ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

1-2

2001

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 77-ე № 1-2 2001 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

თამაზ ჭილაძე – ახალი ათასწლეულის კართან 3

პროზა, პოეზია

ზაირა არსენიშვილი – „ვა, სოფელო...“ რომანი 6
ქანა ოთხვანი – ლექსები 76
ჯემალ ინჯია – სონეტები ციკლიდან: მეგრული სუიტა 77
ლია მოლარიშვილი – დები სევდის ხეობიდან. მოთხრობა 79
გელა კიკოლაშვილი – ლექსები 90

პირველი ნაბიჯები

გიორგი შერვაშიძე – მოთხრობები 92
დათო აფხაიძე – მინიატურები 94

ინტერვიუ

შოთა ნადირაშვილი – თავისუფლებამდე გრძელი გზაა 96

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

შოთა ზოიძე – ფაუსტური ვნებათაღელვა 101
ზაზა ასლანიძე– ქალთა იმპერია 106
თამარ ჭილაძე – „მაიმუნი და არსი“ 117

იხ. მე-2 გვ.

შინაარსი
(გაგრძელება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცნიერება

ედიშერ ხოშტარია-ბროსე – ივანე ჯავახიშვილი და მისი სკოლა 119
ქეთევან შენგელია – „დამაბნეველი სიდიადე" 124

ხელოვნება

მიხეილ თუმანიშვილი-80

ნათელა ურუშაძე– მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს... 134

ანა კლდიაშვილი – დაკარგული ორიენტირების ძიებაში 140

რეცენზია

დევი ბერძენიშვილი – გულისტკივილით დაწერილი წიგნი 141
გულნარა დედაბრიშვილი – მონოგრაფია მოსე გოგიბერიძეზე 142

გამოსათხოვარი

მწერლის უკანასკნელი სიტყვა (ჯანსუღ ღვინჯილია) 144

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
ანდრო გუაჩიძე
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩოდელი (პ\მგ. მდივანი)

ახალი ათასწლეულის კართან

XXI საუკუნის მიჯნაზე ერთდროულად გაოცებისა და სიამაყის გრძნობა გვიპყრობს – ჩვენისთანა მცირერიცხოვანმა, მსოფლიოს ალბათ ყველაზე საბედისწერო წერტილში მცხოვრებმა, უამრავი მტრისგან დაჭრილმა და დაფლეთილმა ხალხმა, არა მარტო მოვაღწიეთ აქამდე, არამედ შევინარჩუნეთ კიდეც ჩვენი ენა, რჯული, ეროვნება და კულტურა, რაც იგივე ოცნებაა უკეთეს მომავალზე. ჩვენც, როგორც ყველა კულტურულ ერს, მარადისობის რუკაზე საკუთარი სივრცე და საკუთარი გზა გაგვაჩნია, თუმცა ისტორიის მანძილზე უკვე რამდენჯერმე გადაგვიყვანეს ამ გზიდან იძულებით, რის გამოც საკმაოდ ჩამოვშორდით არა მარტო დანარჩენ მსოფლიოს, არამედ საკუთარ მომავალსაც.

ჩვენც ევროპელები ვართ და არა მარტო იმიტომ, ევროსაბჭოს წევრად რომ მიგვიღეს ან უკვე გასულ საუკუნეში, არამედ ევროპაა ჩვენი გენეტიკურად ბუნებრივი, მშობლიური გარემო, ევროპული ბუნებისაა ჩვენი აზროვნება, ცხოვრების წესი და, რაც მთავარია, კულტურა. მით უფრო გულდასაწყვეტი ფაქტია, რომ მშობლიურმა სამყარომ – ევროპამ – არ იცის ეს, ჯერჯერობით, კარგად ვერ გაუცნობიერებია, რადგან ჩვენმა ვერაგმა მტრებმა დიდი ხნის წინ გამოგვაცალკევეს, დაგვიმარტოხელეს როგორც მგლებმა – ჯოგს მოწყვეტილი ირემი და ჩვენც ამაოდ ვეღლით, ამაოდ ვუხმობთ მშველელს. დღეს უკვე ცივილიზირებული მეთოდებით „მოწესრიგებული“ მშვიდობის ვითარებაში გვგლეჯენ და გვიფლეთენ სხეულს და მოუშუშებელი, მარად პირშეუკრავი ჭრილობებით სულშეძრულნი ვდგავართ ახალი ათასწლეულის კართან, ვდგავართ და ვიმედოვნებთ, ახალი საუკუნე სამართლიანობის აღდგენისა და დამკვიდრების ხანა იქნება. მაგრამ ვინ ან როგორ უმკურნალებს დედის გულს, რომელსაც „საქართველოს გოლგოთად“ წოდებულ ჭუბერის უღელტეხილზე ხელჩანთით შვილის გვამი გადმოაქვს, რადგან უღელტეხილის იქით ერთი ადლი მიწაც კი არ დაუტოვეს, ბავშვის ცხედარი რომ მიებარებინა...

დიახ, დიდი ტკივილი და საფიქრალი გადმოგვყვა წარსულიდან და ჯერ მთავარი ეროვნული საქმე წინა გვაქვს: სამაჩაბლოცა და აფხაზეთიც ჯერ დასაბრუნებელია. ამ ქვეყნად ცოტა რამ შეიძლება იყოს უფრო სამართლიანი, ვიდრე შენი მიწის განთავისუფლება. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „თავისუფლების მშოვნელი ამქვეყნად მარტო თოფია“-ო და როგორი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატი არ უნდა იყოს დღევანდელი მსოფლიო, ამ სიტყვების მთქმელს ექსტრემისტობას მაინც ვერ დასწამებს. პირიქით, ალბათ ის უფრო უკვირს ჩვენგან, ჩვენი მიწების მიმტაცებელსა და მიმთვისებელს "საუკუნოვან ძმასა და მეგობარს" რომ ვუწოდებთ.

ჩვენ დაჭრილი ხალხი ვართ და თავისუფლებისკენ მიმავალი ჩვენი გზა, უდაბნოზე კი არა, ჯოჯოხეთზე გადის. შეიძლება ამიტომაც ახლავს ჩვენს ყველანაირ საქმიანობას სატანის ირონიული ღიმილი. ამიტომაცაა, ასე რომ გვიჭირს ყველაზე საშინელი სენისგან – აზროვნების ინერციისგან – გათავისუფლება. ისევ უკან ვიხედებით. თითქოს ამდენ გაჭირვებას, უსინათლობას, შიმშილსა და განუკითხაობას თავისუფლების გულისთვის კი არ ვითმენთ, არამედ ისევ მონობაში დასაბრუნებლად, უფრო ზუსტად, მონობაში დაბრუნების გასამართლებლად.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართული ტრაგედია თავის კულმინაციას მიუახლოვდა. ქართველ ხალხს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მიწა გამოსცლოდეს ფეხქვეშ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. როგორც მოსალოდნელი იყო, ორი გზაც აშკარად გამოიკვეთა და ორივე აუტანელ ყოველდღიურობას გაურბის, ოღონდ, ერთი ხსნისკენ მიემართება, მეორე კი – დაღუპვისაკენ. გზები კი გამოჩნდა, მაგრამ

საქართველოს ეროვნული

ახლა არჩევანის არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოიშვა და ამჟამად მხოლოდ ხალხზეა დამოკიდებული, რომელ გზას აირჩევს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, ვანსხვავებთ თუ არა ერთმანეთისაგან გადარჩენასა და დაღუპვას. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია, როგორც ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს. ზოგჯერ ადამიანისა თუ ხალხის ცხოვრებაში დგება ისეთი კრიტიკული მომენტი, როდესაც დაღუპვის გზა ნარკომანის ტკბილ ზმანებებსა ჰგავს, გადარჩენისა კი ტანჯვა-წამების სინონიმად აღიქმება, გამუდმებულ სიფხიზლესა და გარჯას მოითხოვს, რასაც, ცოდვა გამხელილი სჯობს, დიდი ხანია გადავეჩვიეთ. თუნდაც ამიტომ, დღევანდელ დღეს განუზომელია კულტურის, კერძოდ კი, მწერლობის როლი და მნიშვნელობა, რამდენადაც მხოლოდ ის უბრუნებს სამოქალაქო ომისგან ბრბოდ ქცეულ ხალხს თავის ნამდვილ სახეს, ანუ ისევ ხალხად გარდაქმნის. ხალხია თავისუფლების ღირსი და არა ბრბო, რადგან ბრბოს ღირსების გრძნობა არ გააჩნია. საკუთარი ღირსების შეგრძნება სასწაულებრივი ქმედებისათვის აღაგზნებს ადამიანს. დავითის მიერ აღზრდილმა ღირსეულთა თაობამ ველური ურდოები დაამარცხა დიდგორის ბრძოლაში, რომლის გადამრჩენი ინერცია დღემდე გვინარჩუნებს წონასწორობას ამ მოსიპულ პლანეტაზე...

ყველა კულტურულ ქვეყანაში არსებობს ტრადიციული წარმოდგენა, დამოკიდებულება მწერლობასა და ხელოვნებისადმი, ერთგვარი ეროვნული იერარქია, მე ვიტყოდი, გალაქტიკა, სადაც თვითოეულ „პლანეტას“, ანუ მწერლობასა და ხელოვნების დარგებს თავისი ადგილი უჭირავს, თავის „ორბიტაზე“ ტრიალებს. საქართველოში ამ გალაქტიკის ცენტრში მწერლობა დგას, რომელიც თავისი ცენტრიდანული ძალით ერთგვარად აწესრიგებს კიდეც ხელოვნების დარგების მოძრაობას კულტურის დიად სამყაროში და ეს არავის ეთაკილება, პირიქით, მწერლობისადმი უღრმესი მოწიწება სტიმულს აძლევს მუსიკოსსა თუ მხატვარს, მსახიობსა თუ რეჟისორს მეტ წარმატებას მიაღწიოს თავის საქმიანობაში, რაც თავადაც არაერთხელ აღუნიშნავთ. ასეთი ჰარმონიული ურთიერთობა გარანტიაა საერთოდ კულტურის ცხოველმყოფელ ზემოქმედებისა ცხოვრებაზე. „ნაგნი ყოველ ხელოვნებათა დედაა“-ო, ამბობს ესქილე „მიჯაჭვულ პრომეთეში“...

მწერლობაა ყველგან, სადაც ქართველი ადამიანი ვაზს სხლავს, სახლს აშენებს, სპექტაკლს დგამს თუ ვარსკვლავებს აკვირდება. თამამად შეიძლება ითქვას, არ არსებობს ქართველი ადამიანი (ყოველშემთხვევაში, ნამდვილად არ არსებობდა ამ ბოლო დრომდე!), რომლის პიროვნებაც არ იყოს დამუხტული ქართული მწერლობის გზნებითა თუ სიბრძნით და ეს რაღაცით მაინც ხელს არ უწყობდეს თვითოეულ მათგანს პირად ცხოვრებასა თუ საქმიანობაში. აი, ეს გახლავთ მწერლობის დანიშნულება — თუკი მისი განსაზღვრა აუცილებელია — აღაგზნოს ადამიანის სული თავისუფალი ფიქრისთვის, ოცნებისთვის... დანარჩენს თავად ადამიანი გააკეთებს.

ყველაზე დიდი და მძაფრი ომები, რომლებიც კაცობრიობას გადაუტანია, კულტურათა ომები იყო. კულტურას დაუპყრია ქვეყნები, მთელი მატერიკები, აუყვავებია ხალხები, ხოლო უკულტურობას, მსგავსად სხვა დიდი კატასტროფებისა, დაუღუპავს და საერთოდ გაუქრია პირისაგან მიწისა, მილიტარისტული თვალსაზრისით, უძლიერესი სახელმწიფოები. ამ შემთხვევაში, მონღოლების გახსენებაც საკმარისია. კულტურათა ომებში საქართველომ საკვირველი გამძლეობა და შემართება გამოიჩინა. საქართველო გადაარჩინა თავისმა კულტურამ. ქართული კულტურა, უნიკალური მშვენიერების, ჰუმანისტური სულისკვეთებისა თუ მომხიბლავი კეთილშობილების წყალობით, თავისთავად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მკვიდრდებოდა სხვა ხალხთა ზნე-ჩვეულებებში, სიმღერებში, ცეკვებში, ჩაცმულობაში — თითქმის მთელი კავკასიის მასშტაბით. საგულისხმოა ასეთი ფაქტი: როგორც კი კულტურა გამოითიშა, გაიდევნა ხალხთა ურთიერთობებიდან, მაშინვე თავი იჩინა ექსტრემიზმმა და სიძულვილმა.

გასული საუკუნე ჩვენი მარადიული წინამძღვრის მკვლელობით დაიწყო, დე, ახალი საუკუნე მისი უკვდავი აზრის ახალი გამობრწყინებით იყოს აღბეჭდილი. მართალია, ახალი საუკუნის

კარიბჭესთანაც ვერაფრით გავახარებთ ჩვენს მასწავლებელს, მაგრამ ერთი რამ კი შეგვიძლია თამამად მოვახსენოთ: დღესაც თავისუფლების იმ ვარსკვლავისკენ მივისწრაფით, რომელიც მან ჩვენი სულის კოსმოსში აღმოაჩინა და ერთხელ და სამუდამოდ დაგვიდგინა, როგორც დიადი ეროვნული ორიენტირი.

ჩვენ ის ხალხი ვართ, რომლისთვისაც მომავალი და თავისუფლება იდენტური ცნებებია. მაგრამ ჯერ როგორმე ფიზიკურად უნდა გადავრჩეთ, რაც, რასაკვირველია, სულიერ გადარჩენასაც გულისხმობს. ეკონომიური სიდუხჭირე, რომელშიაც, სხვათაშორის, ჩვენი მცდელობით მოვყევით, გაცილებით ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე ის სულიერი კატასტროფა, რომელსაც მხოლოდ ჩვენივე ძალისხმევითა და მონდომებით თუ ავიცილებთ თავიდან.

ახალი წლის, ახალი საუკუნის, ახალი ათასწლეულის კართან ლოგიკურად იბადება კითხვა: არსებობს კი რაიმე გადამრჩენი ძალა, ანუ არსებობს თუ არა „გზა ხსნისა"? ამ კითხვაზე პასუხს, სხვაზე უმალ, ალბათ ნათელხილვის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გასცემდა, მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მწამს სიტყვის იდუმალი ძალა და მისი ღვთაებრივი უნარი ერის გაერთიანებისა. ვერც ერთი პოლიტიკური იდეა ისე ვერ შეკრავს საერთო თრთოლვით ქართველთა გულებს, როგორც, თუნდაც, აკაკის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო". სიტყვა არის ადამიანის სულის ხმა, ღმერთის შუქი ადამიანის არსებაში. სიტყვა იგივე საქმეა, საქმე – იგივე სიტყვა და მათი გათიშვა, მათი დაპირისპირება ხელოვნურია და საბედისწერო. სიტყვა და საქმე უზენაესი ნების ორი, ერთმანეთში შერწყმული, შენივთული იპოსტასია და, ამდენად, ორივე ერთნაირად ცხოველმყოფელია. ღმერთმა ადამიანი შექმნა „ხატად თვისად", ანუ სიტყვა არა მარტო ღმერთია, არამედ ადამიანიცაა. ამიტომ ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ ადამიანობა, როგორც ნათლის დამკვიდრებელი ფენომენი, როგორც ... საქმე. სამყაროში ნათლის დამკვიდრების აქტი, როგორც ჩანს, ჯერ არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ გრძელდება და, იმედია, ახალ საუკუნეში საქართველოსაც მოეფინება ღვთაებრივი სინათლე. ასე რომ, მწამს გადამრჩენი ძალის არსებობა და ეს ძალა ქართველი ხალხია, რომელიც თავისი ტანჯული ცხოვრებითა და უნიკალური ქმნილებებით უმტკიცებს მსოფლიოს, ნამდვილად რომ ღირსია თავისუფლებისა, მაგრამ ახლა ისიც უნდა დავამტკიცოთ, თავისუფლების შენარჩუნებაც რომ შეგვიძლია. დღევანდელ დღეს სახელმწიფოებრიობის დამკვიდრება არა მხოლოდ მსოფლიო პროცესებში მონაწილეობას გულისხმობს, არამედ, ერის სულიერ აღორძინებასაც, რაც, თავის მხრივ, ცხოველმყოფელ ძალად აქცევს, კულტურად გარდაქმნის გაჩენის დღიდან თანდაყოლილ ოცნებას უკეთეს მომავალზე. თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო საქვეყნოდ გამოაბრწყინებს ჩვენი ერის არა მარტო უძველეს ისტორიას, არამედ ასევე უძველესსა და დიდებულ ხელოვნებასა და მწერლობას.

დარწმუნებული ვარ, XXI საუკუნე თავისუფალ პიროვნებათა და თავისუფალ ერთა საუკუნე იქნება. გულდასაწყვეტია, რომ ქართველ ხალხს ჯერ ადამიანურად არც კი უცხოვრია, მაგრამ მიუხედავად ამისა, არასოდეს დაუკარგავს ღირსების გრძნობა, არასოდეს დანებებია „შეჩვეულ ჭირს" და გამუდმებით "შეუჩვეველი ლხინისკენ" მიილტვოდა. დე, XXI საუკუნეში მაინც ასრულებოდეს თავისი ძველისძველი ოცნება, მიეღწიოს იმისთვის, რაც, მართლაც რომ, მოწამებრივი ცხოვრებით დაიმსახურა. გილოცავთ ახალ წელს! გილოცავთ ახალ საუკუნეს! გილოცავთ ახალ ათასწლეულს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაირა არსენიშვილი

„ვა, სოფელო...“

რომანი

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა,
რომელნი ეურჩებიან.“
რუსთაველი

„შემინდევ და შემივედრე,
მკვდარსა რაღა გარდმეხდევის.“

გათენდა... საბოლოოდ განათდა. იმიტომ რომ მეგონა დრო გაჩერდა და აღარ გათენდებოდა. გავიგონე თუ არა ურმის ხმა, პატარა სარკმელს გავხედე. სარკმლის წინ, ბზის დათოვლილ ბუჩქთან ურემი გაჩერდა, კოფოდან გურამა გადმოხტა და ისა და იოსება კუბოს ჩამოღებას შეუდგნენ. სწორედ ისეთი იყო, როგორსაც ბებია მაბარებდა: „მუხისა არა, არაფრის გულისთვის ! რომ გვაჩუქონ კიდეც არ გვინდა! როდის მუხა დალპება! ასე უთხარი იოსებას, რაც შეიძლება რბილი და თხელი ფიცარი! ცხედარს ერთადერთი ვალი აქვს: მიწას შეერიოს და მიწად იქცეს! გაიგეთ? სახურავზე კი აუცილებლად გამოსახოს ჯვარი... არ მეშინია, არა, ულმერთოების კავშირის წევრებისა!“ მე საგანგებოდ შევიჭმუხნე შუბლი და ბებიას თავი დავუქნიე.

„ნუ იღიმები,“ საყვედურით მითხრა, — „დიახაც რომ ცხედარსაც აქვს ვალი.“ მერე დაიხარა, რამდენიმე კალთა მიყოლებით აინია და სულ შიდა, ნაცრისფერი დაბლა კაბის დიდი, ჭრელი ჯიბიდან ხავერდის დაქარგული ქისა ამოიღო: „იოსებას კი უთხარი, არავითარი პუპრუჭანები, არავითარი ანაოჭჩანაოჭებული აბრეშუმები, ტილო-თქო, ტილო უბრალოდ გამოაკარი-თქო!“

ასეც მოქცეულიყო იოსება, ამ მოყავისფრო, ტილოგამოკრული ყუთის ერთადერთი მოსართავი სახურავზე უხვად მოფრქვეული თოვლის მსხვილი ფანტელები იყო, და იმის მოსაშორებლადაც იოსებამ ურმიდან პატარა ცოცხი ჩამოიღო და გურამას მისცა, თვითონ კი სიგარეტს მოუკიდა. გურამამ ძირს დადგმულ კუბოს გადაუსვა, სახურავი გადაცოცხა, მერე გვერდებზედაც გაჰკრა-გამოჰკრა და ამ „სასახლის“, როგორც ბებია იტყოდა, დაღვრემილი სისადავე გამოაჩინა. თუმცა მეცა და ბებიაც გალახული და გასავათებული ვიყავით მიცვალებულთან ღამის თევით, შეფერხებული დროის წიაღში სიფხიზლითა და ერთმანეთთან ურთიერთობით, კუბოს დანახვაზე გამოვცოცხლდით. "ესეც ასე, კუბოც მოიტანეს!“ თქვა ბებიამ მხნე და გამომწვევი კილოთი, — ვითომ ღირდა კი აქ დარჩენაზე უარს რომ მეუბნებოდიო, — და პატარა სამფეხაზე დაყუნცული და მუშტივით შეკრული მყისვე შეირხა, ჯოხს დაებჯინა, მეორე ხელი მე გამომიწოდა, სახსრებადქცეული, დაჯირჯვებული და დალაქული მტევანი მაჯაში ჩამჭიდა და წამოიწია, ნელ-ნელა გაიშალა, ჩაჟანგული ძვლები ტკაცუნით გამართა და ტახტისკენ გამიძღვა...

მე მართლაც წარმოუდგენლად მიმაჩნდა მთელი ღამე აქ ყოფნა, გამჭვარტლული ლამფისა და მიცვალებულისთვის დანთებული სანთლების შუქზე... დაგრძელებული ჩრდილებით აფორაჯებულ, —ჩამოფხავებულ კედლებში.... შმორის, ფსუტის, ზინზლისა და კიდევ ვინ იცის რა უსიამოვნო სუნით გაჯერებულ ნესტიან სარდაფში, სადაც კედლიდან კედლამდე გამართულ ძველებურ ტახტზე, ნაკუწების ჭრელი საბნის ქვეშ მიცვალებული ესვენა. მაგრამ რას გავაწყობდი ბებიასთან? ერთსა და იგივეს გადაბრჯნილი მიმეორებდა: სანამ კუბოში ჩავასვენებდეთ, ნუ დავტოვებთო, ბუხრიდან ან კატა არ ჩამოვიდეს, ან ვირთხები არ იყოს და მიცვალებულს არ მიეტანონო; ადამის შვილს კაცად მოვალეობა ხდის, სხვა კი არაფერიო, ჩვენ კი აქ ყოფნა გვმართებსო, მოვალენი ვართო...

ბებიამ პატარა სარკმელს ჯოხის წვერი მიუკაკუნა და იოსებას, რომელიც თუთუ-

ნს აბოლებდა და შეცბუნებული შემოჰყურებდა თითქოს სრულიად უკაცრიელსა და დადუმებულ სახლს, ანიშნა, კუბო აქ შემოიტანეთო.

„კედლისკენ უნდა ჩავადგმევინოთ, უფრო ადვილად ჩავასვენებთ,“ – მითხრა ბებიამ და მიცვალებულის თავით დადგმული სურა და ხორბლიანი ჯამი მომაწოდა ტაბლაზე გადასადგმელად. მე ვფიქრობდი, რომ ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, კუბო დაბლა დაგვედგმევინებინა და დაბლა ჩაგვესვენებინა, ტახტის გასწვრივ, მაგრამ გუშინდელი შეხლა-შემოხლის შემდეგ გადავწყვიტე, ბებიას აღარ შევკამათებოდი, მაინც ისე გამაკეთებინებდა, როგორც თვითონ მიაჩნდა საჭიროდ, მე კი, მივუახლოვდი თუ არა ტახტს და შევიყნოსე ჭუჭყიანი ქვეშაგებისა და მიცვალებულის სუნი, ვიგრძენი რომ დაღლილობისა და უძილობისაგან გული მერეოდა... ამიტომაც მაშინვე ავუკეცე საბანს ნაპირი და ლეიბის კიდეს დავეჭიდე. „ეეჰ, – თავი გადააქნია ბებიამ, – ეგრე ხომ ულაზათოდ გამოდის, ფარდაგიც მოჰყვება და... ადი და სასთუმლიდან დავიწყოთ!“ მინდოდა მეთქვა: „აქ სხვა ულაზათოს ვერაფერს ვერ ხედავ-მეთქი,“ მაგრამ საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი, ტახტზე ავედი, თავთან ჩავიმუხლე, ფარდაგს დავებჯინე, ხელები შევყავი და მიცვალებულს მხრებში წავავლე... ბებია მეორე მხრიდან დაეჭიდა ლეიბს და „სასთუმალი“ ჩამოვაცურეთ...

სარდაფის კარი გაიღო. იოსებასა და ცამეტი-თოთხმეტი წლის გურამას, იოსებას შვილიშვილს, კუბო მოჰქონდათ.

„როგორ, კაცო! – დაიძახა იოსებამ, სარდაფს თვალი რომ მოავლო და ჩვენს მეტი ვერავინ დაინახა, – თქვენ დაგრჩაათ ბურთი და მოედანი?!“

„აქეთ მოიტათ, იოსებ, – გასძახა ბებიამ, –აი, აქ ჩადგით!“ – ბებიამ თავმოხდილ კუბოს თვალი გამოაყოლა და თავი დაიქნია: „კარგია, ხალვათი დაგიჭერია.“

მე ტახტზე წამოვიწიე და ვეცადე, იოსებას არ მივშტერებოდი. ეს, რა თქმა უნდა, ბავშვობაში ჩარჩენილი შთაბეჭდილების გამოც იყო, როცა იოსება ლამის მისტიკურ არსებად მესახებოდა და ალბათ, არა მხოლოდ მისი მწუხარე და მიუწვდომელი /როგორც ბავშვობაში მეგონა/ ხელობის გამო, არამედ რაღაც უცნაურად უშნო, მიღრეცილ-მოღრეცილი და თვალში საცემი გარეგნობის წყალობითაც.

„შენ როო ბუსავით დიდი თავი გაქვს, ეს კი ყველამ იცის, რუსუდანო, – იძახდა გზადაგზა იოსება, მაგრამა ყვავიც ხო ცოტა უნდა გაისარჯოს, კაცო! ეგრეც ხო არ იქნება!? მაინც სად გადაზღვავებულან?“

„გიგლა დასასვენებლად წასულა... ცოტა მაღლა ასწიეთ, იოსებ, ცხედარს არ მოახვედროთ... სად წასულა?“ – მომმართა ბებიამ და თან იოსებას ხელით ანიშნა, ფრთხილად ჩადგითო.

„ტრუსკავეცში,“ – ვუპასუხე მე და ტახტიდან ხელი ჩამოვაშველე... კუბო გადმოვატარეთ და მიცვალებულის გვერდით ჩავდგით.

„აი, ის დამბლა ისა! კაი დრო კი შეურჩევია დასასვენებლად!!“ – იოსებამ წარბებამდე ჩამოჩაჩული თუშური ქუდი მოიხადა და ნაკუწების საბანს დახედა: „ძალიან კი ჩაგიფუფნიათ აი!? ემანდ არ გაცივდეს!“ „ბევრს ნუ ლაპარაკობ, იოსებ! – შეუტია ბებიამ იოსებას და ტახტთან მიდგმულ სკივრს თავი ახადა, – ჩვენი საქმე ახლა ისეა: ბრმა რომ კედელს მიადგა, შენს იქით გზა არა მაქვსო! გაიგე, იოსებ!“ – ბებიამ სკივრიდან ამოიღო შავი ღაზლის შალი, ძველისძველი პალტო და სახელოებმორღვეული ჟაკეტი და კუბოში ჩასაფენად გადმომანოდა.

„კაცო, ჩემი იმედით იყავიით?!“ – დაიძახა როყიოდ იოსებამ.

ბებია იოსებას მიაშტერდა და შეტევით უთხრა; „ჰი, სწორედ შენი იმედით ვიყავით!“

„რუსუდანო! – შესძახა იოსებამ, – ხო არა გგონია, ჩვენი ხე კიდევა შრიალებს? ალბათ, მოჭრილიც არის უკვე და დახერხილიც!“

„და შენს სახელოსნოში მოტანილიც, ჩემო იოსებ! რამ შეგაშინა, კაცო, ორი მოხუცი და ორი ახალგაზრდა ერთ ცხედარს ველარ გავასვენებთ?“ ბებიამ მიცვალებულს საბანი გადახადა, ოთხად გაკეცა და ტახტის ბოლოს დადო. იოსებამ მიცვალებულს დახედა და ისე გადაიქნია თავი, გეგონებათ პირველად ხედავსო: „აბა, უყურე, მოხუცი და ეგრე სახედაწყობილი! გურამ, ბიჭო, ხედაავ?! – მიუბრუნდა ბუხართან მიფიცხებულ გურამას, – დაინახე, გენაცვალოს პაპა, რა ქალები დადიოდნენ ამ ჩვენს თელავში!“

გუშინ მეც ასევე გამიკვირდა. მაგრამ სხეულმა უფრო გამაკვირვა, ვიდრე სახემ /ხშირად ვხედავდი და მიჩვეული ვიყავი, თუმცა სულთმობრძავს საბოლოოდ სიკვდილმა რომ გადაუარა და ნატანჯი სახე გაეშალა, დაუწყნარდა და დაუმშვიდდა, მართლაც კარგი დასანახი გახდა./. დარწყილული ნიფხავ-პერანგი რომ გავხადეთ, სახტად დავრჩი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოთხმოცი წლის მოხუცს შეიძლებოდა ასეთი სხეული ჰქონოდა. „გახსოვს პლუტარქე, – მეუბნებოდა ბებია და თან არაყიანი წყლით სავსე თასში ტილოს ასველებდა მიცვალებულის გასანმენდად, – როგორ ახასიათებს კეისარს, როცა მას სხვა მხედართმთავრებსაც და სახელმწიფო მოღვაწეებს ადარებს? ყველასთან შედარებით კეისარს რაღაც უპირატესობა ჰქონდაო, ზოგთან რაო და ზოგთან რაო... ამიტომაც მას ვერავინ შეედრებოდაო... ევას სილამაზეც სწორედ ასეთი იყო."

ბებიამ შემომხედა, საქმეს ხომ არ აფუჩეჩებსო, დაინახა, როგორ მუყაითად ვუწმენდდი ცხედარს ჭუჭყისაგან შავად მოქცეულ მაჯას და დაფიქრდა... ვიცოდი, როგორც ყოველთვის, შესაფერის სიტყვას ეძებდა ევას სილამაზის გამოსახატავად. მაგრამ, ეტყობა ვერცერთი სიტყვა ვერ მიიჩნია დამაკმაყოფილებლად და ისევ გრძლად თქმა არჩია: „ერთხელ გიორგობას, ყმაწვილქალები ვიყავით მაშინ, მამა-ლუკამ უთხრა მაწიას: „მშვენიერება დაჰქრის ჩვენს ველმინდვრებზე, მაწიავ, სხივოსანი და სხივმფინარე მშვენიერებაო... მაღალფარდოვანი სიტყვა ჰქონდა მამა ლუკას, მაგრამ ნამდვილად კი ასე იყო: სხივოსანიც იყო და სხივმფინარეც." – და ბებიამ ისევ ჩაასველა ტილო არაყიან წყალში და შავად დაგაზული და დახეთქილი ქუსლების წმენდა განაგრძო.

იოსებაც დაახლოებით იმასვე ეუბნებოდა თავის შვილიშვილ გურამას: „ერთი ევა იყო და ერთიც რუსუდანის ქალი ქეთო. უბნის ლამაზები არ გეგონოს, ბიჭო, სხვაგან რო იმდენად ველარა ლამაზობენ ხოლმე... ცხრა მთას იქით რო წაგეყვანა, იქაც მზეთუნახავებად დარჩებოდნენ, იგეთები იყვნენ. ეეჰ, რუსუდანო, ნეტა შენი ქეთოც ამხნისა მოყრილიყო..." ბებიამ ამოოხვრით გადახედა იოსებას, რომელიც თვალს ვერ აშორებდა მიცვალებულს: „რა არის მაინც ეს ოხერი სილამაზე! იტყვი, ფრთები როგორ არ გამოესხა და როგორ არ გაფრენდაო." ხელები გაშალა იოსებამ.

„ერთი კბილი არ აკლდა, სახის წყობაც იმიტომ შეინარჩუნა," ბებიამ კუბოს გადმოხედა, ჩაფენილები შეამოწმა, ჯიბიდან სუფთა ცხვირსახოცი და სანთლები ამოიღო, – „მაგრამ, იოსებ, ევას ახალგაზრდობა რომ გახსოვს, ახლაც იმ თვალით უყურებ." „იმ თვალითაც და ამ თვალითაც, რუსუდანო, მაგრამ ამისი რჯული არ იყოს," იოსებამ ორმოებივით ფოსოებში ჩაკარგული მზერა ბებიაჩემს მიაპყრო, – „ვისი მხარე უნდა დამეჭირა, ვერა და ვერ გამოვარკვიე, სუ ის მინდოდა გამეგო, საბოლოოდ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, მარო თუ ევა?"

„ტაბლას რომ შემოვუსხდებით, ჩემო იოსებ, მაგაზე მაშინ ვილაპარაკოთ, ახლა კი, აბა, ჩავასვენოთ."

„ნახაა მაინც ქალბატონმა?"

„ნახა ნახა!" მოუთმენლად დაიძახა ბებიამ, – „გურამ, ადი ტახტზე, გენაცვა და ჩავასვენოთ!"

„მერე!" არ ცხრებოდა იოსებაც, – „დაუარაა დავლური?"

„არა, არ დაუვლია! იოსებ, მე და შენ, აი აქ, ტახტის კიდეზე ჩამოვსხდეთ და აქედან ვუშველოთ, მე თავს დავუჭერ და შენ გურამას მიეშველე!" იოსებამ ჭერს ახედა და მიაყურადა, თითქოს ზემოდან მართლა დავლურის ხმა უნდა გაეგონა.

„არა მჯერა და რა ვქნა," თავს აქეთ-იქით აქანებდა იოსება, „არა მჯერა რომა იმ დედალმა არწივმა ნახა და სიხარულით ფრთები არ შეაფრაშუნა!" ჩასვენების მოლოდინში, ტახტზე, მიცვალებულის თავთან ჩამუხლულს, ისე მეხვეოდა თავბრუ და საფეთქლებიც ისეთი ძალით მიფეთქავდა, კედელს რომ მივყუდებოდი, ნამდვილად მიცვალებულს გადმოვემხობოდი.

„ოოჰ, – დაიძახა გაბეზრებულმა ბებიამ, – ადი, ბიჭო, ტახტზე!" გურამა ტახტზე ამოხტა.

არა, მარო დავლურს არ უვლიდა. ან რა ედავლურებოდა, გაბოლმებული ცოფებსა ჰყრიდა: „ჭერმა არ უნდა გაიგოს ამ აძაღლებულის სიკვდილი! კედლებმა არ უნდა იგრძნონ, ჩემი სახლის კედლებმა! ამ ალქაჯის სიკვდილს აქ რა უნდოდა, ტყეში უნდა მომკვდარიყო, ტყეშიი! დათვსა და მგელს ეთრიაა! აი, მადლი რა იქნებოდა! აი, სამართალი სად იქნებოდა!

ეს ღვთის გარეგანი ესა! ძაღლუმადურად რო გამატარებინა მთელი სიცოცხლე და საბოლოოდაც შარში გამხვია! სადაც გინდათ, იქ ჩაფალით და რაც გინდათ, ის გაუკეთეთ!!“ — ტახტთან დახრილი დამუშტულ ხელებს იქნევდა და, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, დარწმუნებული ვარ მიცვალებულს სცემდა. მაგრადაც სცემდა. დაუწყებდა ჯანჯღარს და თავს ტახტის კიდეზე ახლევინებდა. იქნებ ჯოხიც აეღო და გაეჯოხა კიდეც. ასე მეგონა, მაროს დიდ მკერდში /ჩემი ძუძუმკერდი, გენაცვალეთ, ათ ქალადა ღირდა!/ აღშფოთებისა და სიბრაზის მორევი უდუღდა, რომელიც ხორხიდან უხეში და უტიფარი სიტყვების ნაკადად იფრქვეოდა.

სარდაფის კარი რომ შემოაღო და ტახტის კიდეზე მიკრული სანთელი დაინახა, და ცხადია ჩვენც დაგვინახა, სწორედ მის მოლოდინში იქვე, ჩამქრალ ბუხართან ჩამომსხდრები, კოპები ისე შეყარა, სახე ისე შეეცვალა, როგორც იმ კაცს, რომელმაც ეს არის მუხანათური შეთქმულება გახსნა, ბოროტმოქმედებს თავს წაადგა და ახლა გამალებული იმის ფიქრსა და გონებაშია, ერთი ხელის დაკვრით როგორ გააცამტვეროს მოწინააღმდეგე და კუდით ქვა ასროლინოს. რა თქმა უნდა, ევამ საბოლოოდაც ნამდვილი მუხანათობა ჩაიდინა, მაროსთან უსიამოვნების შემდეგ რომ არც აცია, არც აცხელა, აიღო და მოკვდა. და თან ეცადა, თავის ჭუჭყიან სარდაფში მარტოდმარტო არ ამოსვლოდა სული, თვალების დამხუჭიც ჰყოლოდა, ყბის დამჭერიც, ფეხების გამკვრელიც. ეცადა, თავისი უკანასკნელი სურვილი თან არ წაეღო და მაროს გასაცოფებლად და გასაბოროტებლად მოწმეებად დავეხვედრებინეთ, ჩამქრალ ბუხართან ჩამომსხდრები. მკვდარიც ისევ ის ევა იყო, წითელი ცხენი წითელ ტყავში მომკვდარიყო!

ბინდდებოდა...

ბზის დათოვლილ ბუჩქს ლურჯად შემოსდგომოდა ბინდი...

მე ვხედავდი მაროს ფართო, ნაკუწების საბანთან დახრილ ზურგს, ვხედავდი, როგორ ირბეოდა და ქანაობდა რუხი დრაფით შემოსილი ზურგი და ვგრძნობდი, რომ ცოტაც და აღდგებოდა დროის მიერ დაწყვეტილი კავშირი ჩემსა და ამ ზურგს შორის... ვგრძნობდი, როგორ ათრთოლდებოდა ბინდისფერი ჰაერი ბზის დათოვლილ ბუჩქთან და ყოველივეს ჭმუნვა და სასოწარკვეთა მოიცავდა...

ავწრიალდი... მოუსვენრობამ შემიპყრო... მინდოდა, ჩქარა წავსულიყავით აქედან, გავცლოდით ამ ლანძღვა-გინებას... და ესეც რომ არა, საცაა, ჩამობნელდებოდა... ბებია ცუდადაც ხედავდა და სიარულიც უჭირდა, როდის ჩვენ მოლიპულ ალმართებს ავათავებდით, როდის ჩვენ შინამდე მივაღწევდით და სულს მოვითქვამდით... თანაც, რაც ნკიმლები და გუდურის ნარჩენები ეყარა ტახტის ქვეშაც და ბუხართანაც, მომაკვდავ ევასთან ვანთეთ და ვანთეთ, მერე კი ჩაგვიქრა თუ არა ბუხარი, სარდაფში ნესტიანმა სიცივემ დაისადგურა. ძვლებამდე ატანდა. მე კიდევ არამიშავდა, ბებიამ წინ და უკან დაოთხილი მარბენინა: ეს სანთელიო, ეს ახალი საცვლებიო, ეს შესასუდრი ტილოო, ეს გარდაცვალების ცნობაო, ეს კუბოს შეკვეთაო... თვითონ კი მთელი დღე სარდაფში საქმიანობდა და, ბოლოს-ბოლოს, მიუხედავად წარმოუდგენელი სიკერპისა, რომელშიც, როგორც რაღაც უშრეტი ძალ-ღონის ქსელში, ისე ჩაერთვებოდა ხოლმე და ვერასოდეს ვერავინ ვერ შეატყობდა, როდის რა აწუხებდა, ამ ნესტიანი სიცივისაგან მთლად გადანათდა. მარო რომ მობრძანდა, სწორედ ბებიას ვუზელდი გაფიჩხულ ხელებს, ჯაფისა და მარილებისაგან სახსრებადქცეულს და დაწერნაქებულ ხელებს, თან გამგებიანად ვუჭერდი და ვანიშნებდი, არავითარ შემთხვევაში ამ გაცოფებულ ქალს არ შებმოდა, მაგრამ ბებიაც იქნებოდა, სეტყვასათვის ქვა არ დაეხვედრებინა!? ჯერ აცადა მაროს ბოლმის ამონთხევა, თითქოს აინტერესებს სადამდე მივა და რას მოიმოქმედებსო, მერე კი დაიწყო თვალების ცეცება, ბუხრის კალთიდან ფილთაქვა აიღო, მუხლზე დამებჯინა, მეორე ხელი მაჯაში მარწუხივით ჩამჭიდა და ერთბაშად წამოდგა. თახჩისკენ წავიდა, პატარა გოდორში ხელი ჩაყო და მუჭით ჭალის კაკალი ამოიღო... „გაშალე მუშტები მარო!!“ — შესძახა პირქუშად.

ბებიას ხმამ გაარღვია მაროს ბოლმა და სიბრაზე. თავი მოატრიალა და გააფთრებული სახე ბებიას მოაპყრო. ისედაც დიდი, გუდალი თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა „გაშალე მუშტები-მეთქი!“ — დაიძახა ისევ ბებიამ.

მარომ თითქოსდა უნებლიედ გამოშალა ხელები; რა გინდათ ჩემგან, ხელში არაფერი მიჭირავსო. ბებიამ ერთ მუჭზე კაკლები დაუყარა, მეორეზე კი ფილთაქვა დაუდო. განრისხებული იყო, დაყვლეპილ თვალებს არ აცილებდა მაროს და ხმადაბლა /ხმამაღალი ლაპარაკი ბებიას არ შეეძლო/, მაგრამ მძიმედ და მკაფიოდ, თვითეულ სიტყვას მრისხანების დაღს რომ ასვამდა, ისე უთხრა: „დაგვამტვრიე თავზე კაკალი, მარო! რაც იყოს, იყოს, დაგვამტვრიე! მეცა და ჩემს შვილიშვილსაც! მოდი შენც და შევუშვიროთ თავი!!

მაროს მსხვილი სახე, გადაქანებული შუბლი და საომრად შემართული ცხვირი რომ დავინახე, კინაღამ ვუთხარი ბებიას, მაინცადამაინც, თავს ნუ გამოიდებ თავის შეშვერით-მეთქი. მაგრამ მარო შედრკა. და კიდევაც ეს ვერ აპატია ბებიას. რამდენიმე წამი ხელებგამოწვდილი და შეცბუნებული ჩამოჰყურებდა ბებიას, მერე კი მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა: კაკალი ბუხართან დაყარა, ფილთაქვასაც ბუხრის კალთაზე მოადენინა რახვანი, გულზე ხელები დაიჭდო და ბებიასკენ ზვავივით წავიდა. ბებია არც შერხეულა, წარბიც არ შეუხრია, გააფთრებული მზერაც არ მოუცილებია მაროსთვის. ისე უყურებდა, ქვას გახეთქავდა. მე წამოვხტი, მაროს გადავასწარი და ბებიას გვერდით დავუდექი.

„თქვენ ვინა გგონივართ, დეიდა რუსუდანო!! არა, მაინც ვინა გგონივართ?“ შემოგვძახა მარომ და ზვინივით თავზე წამოგვადგა.

„მაინცადამაინც, გინდა, გაიგო, ვინ მგონიხარ!!“ – ბებიამ ქალაქის გამქვავებელი ზღაპრული კუდიანივით ახედა მაროს. ერთხანს ასე უყურებდნენ ერთმანეთს. მარო ისაზრებდა, რა ეთქვა და რით მოეკლა გული ამ გადახრწნილი და აუტანელი მოხუცისათვის. და მოისაზრა. სიამოვნებით ლამის ჩაიხვიხვინა, პალტოს ჯიბიდან გახსნილი კონვერტები ამოილო და ბებიას ცხვირწინ აუფრიალა: „ვინა ვარ? ვინა ვარ? ვალმოხდილი დედა ვარ! აი, ვინა ვარ! ვალმოხდილი დედა!! ორი შვილი გავუზარდე სამშობლოს!! აი! აი!! – მარო მთელი ძალით იქნევდა კონვერტებს, – ერთი დასავლეთ უკრაინიდანა მწერს, მეორე კიდევ გერმანიიდან!! აი, ესა ვარ! ეს გახლავართ!! და თქვენ, თქვენა? თქვენა!!“

ჭინჭარს მდულარეს რომ გადაასხამენ და სუსხიანი ბუსუსები ერთბაშად ჩაუფუფქება, ისე დაემართა ბებიას ცდილობდა, როგორმე დამცინავი გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე და ვერაფერს ახერხებდა. ნიკაპი უკანკალებდა და პირიც რაღაც უმწეოდ და საცოდავად ეპრუწნებოდა. მგონი ასეთი არც კი მენახა. მარომ ნიშანში მოარტყა. სწორედ იმას უკიჟინებდა, რომ არცერთი შვილი აღარ ჰყავდა ბებიას, უკიჟინებდა, რომ ყველა მათგანს თვითონ ვერ მიაყარა მიწა და არც იცოდა მათი საფლავი, უკიჟინებდა, რომ მეღა ვყავდი და მეც ვინ ვიყავი და რა მერქვა? უმაქნისი კითხვით თავგამოტენილი ქარიფანტია, რომელსაც „ვალმოხდილი“ მარო ორ ბატსაც არ მიაბარებდა. მაგრამ ბებიამ სწრაფადვე მობოჭა თავი. ისე სწრაფად, რომ ასე მეგონა, მომეჩვენა, ის წუთიერი „წახდენა“ მეთქი. მე ხელით გამაჩერა, ქომაგები არ მჭირდებაო, ბებიაც იქნებოდა და დააცდიდა ვინმეს, თუნდაც ეს ვინმე საკუთარი შვილიშვილი ყოფილიყო, უპრაგონოდ წამოსროლილი სიტყვისათვის თანაეგრძნოთ და შებრალებოდათ – სახეზე დამახასიათებელი გოროზი გამომეტყველება აღიბეჭდა, დედამიწის ზურგზე მთავარცნებას ვერაფერი დამაკარგვინებსო, და მაროსთვის არც შეუხედავს, ისე უთხრა: „ჩამოიტანე გასაღები და გააღე შეშის ფარდული! ღამე ყინვა მოუჭერს და უცეცხლოდ გაგვიჭირდება... თან შენთანაც სიტყვა მაქვს სათქმელი...“

ღამე უცეცხლოდ გაგვიჭირდებაო, რომ გავიგონე, ერთბაშად გადამიბრუნდა გუნება, ძლივს შევიკავე თავი, მაროს თანადასწრებითვე არ შევბმოდი ბებიას, არ მეთქვა: ულმობელი და შეუბრალებელი ხარ-მეთქი, არ გეყო, რაც მთელი დღე სული ამომხადე, რომ ახლა ღამეც ყოვლად უაზრო გვემაში არ გამატარებინო-მეთქი! მარომ კი ზმუკუნით ჩაიცინა, კონვერტები ჯიბეში ჩაინყო, ბეჭდებასხმული ხელებით მიცვალებულს ქოქოლა მიაყარა და შეცვლილი კილოთი, გულღია შინაურული კილოთი უთხრა ბებიას: „ნეტავ ვის უდგებით ჭირისუფლად ეს ამდროული ადამიანი?! მოსამძიმრეებისა გერიდებათ, თუ მოტირლები მოვლენ დანგი-დუნგით და თქვენც აქედან ბანი უნდა მისცეთ? ჩაიხედეთ ერთი სარკეში, დეიდა რუსუდანო,

რა ფერი გადევთ! ამ თქვენმა სანაქებოდ გაპატიოსნებულმა ყვავის დედოფალმა თავისი ერთადერთი ამფსონი ხომ შემოინარცხა და გაამგზავრა საიქიოს! იცოდეთ, გაფრთხილდით, თქვენც გზას არ გიკაფავდეთ ნვრილიანებში!“

ბებიამ ხელზე ხელი დამადო და ნიკაპი წინ გაიწოდა, სკამზე დამსვიო. მაროსთვის კი არც შეუხედავს და არც ხმა გაუცია. ხელები სეტყვასავით ჰქონდა და ნაბიჯებსაც ისე ადგამდა, ეტყობოდა ფეხებიც სიცივისაგან დაბუჟებოდა. მაგრამ მაროს უკვე გეზი შერიგებისკენ ჰქონდა აღებული, ბებიას უბრობას ყურადღებაც არ მიაქცია და კიდევ უფრო გულითადი კილოთი დაგვიწყო პატიჟი: განა შეშა მენანება, რამდენიც გინდათ დაწვითო, მაგრამ რა ძალაა, ზევით ამოსულიყავით, გავახშმებდით კიდეც, მორთულ ჩაისაც დაგალევინებდითო, ერთ-ორ სიტყვასაც ვიტყოდით და კარგადაც მოგასვენებდითო, შორეულები ხომ არა ვართო, თან მიგვითითა კიდეც: ცუდია ნათესავისაგან შორს რო დაიჭერ თავსაო, ხომ იცით, ცხვირი პირისაგან არ მოიჭრებაო... ერთი სიტყვით, ჯერ ხომ გამოლანძღვის ულუფა მოგვართვა, ახლა კი შერიგებისას გვთავაზობდა, კარლო და გულო დამიდგნენ თვალწინ... ისე ცოცხლად და მკაფიოდ... მე მათ ვხედავდი მოგუნდავე და ციგით მოსრიალე ბავშვებად... რომ შემხვედროდნენ, ვინ იცის ვეღარცერთი ვერ მეცნო, ბავშვობის შემდეგ არცერთი აღარ მენახა... სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ მაროს უნდოდა, თავისი ოჯახით და თავისი შვილებით ჩვენთან თავი მოეწონებინა. ჰოდა, ახლა ადგებოდა და მშვენიერ საღამოს გამოიწყობდა: საკუთარ მოედანზე, საკუთარ დაკრიალებულ-დაწკრიალებულ ოჯახში, მოთუხთუხე სამოვრისა და სურნელოვანი ჩაის გარემოცვაში, კარლოსი და გულოს ამბავსაც დაწვრილებით მომიყვებოდა და აუცილებლად მანანებდა „ბავშვობის მეგობრების“ მიმართ გულგრილობასა და უყურადღებობას, და, ამასთანავე, ბებიას წინაშე თავსაც უკეთესად იმართლებდა თავისი დედამთილის გამო. და თუ ვერ დაგვაჯერებდა, ჯანდაბამდისაც გვევლო, გულს ხომ მაინც მოიოხებდა და თავისი სანიმუშო ოჯახით თვალებს დაგვიყენებდა.

ნესტიანი სიცივით გამსჭვალულ სარდაფში, სადაც თან მიცვალებულიც ასვენია, თუკი სითბოს, სისუფთავეს და სინათლეს შემოგთავაზებენ, არამცდა „ბავშვობის მეგობრების“ წერილებით, ბევრად უფრო უმნიშვნელო ამბებითაც შეიძლება დაინტერესდეს კაცი. და დაინტერესდებოდა, ალბათ, ყველა, გარდა ამ აუტანელი და გაუსაძლისი ბებიაჩემისა, რომელმაც ჯიუტად გაიქნია თავი და მკვახედ წარმოთქვა: „აქ იმიტომა ვარ, რომ სწორედ აქ ვიყო! ვახშმობით კიდევ, ორმოცი წელიწადიც იქნება არ მივახშმია. ჩემი შვილიშვილიც ასე მივაჩვიე“. ვითომ მსუყე სადილის შემდეგ ვახშამზე უარს ამბობდა.

ოჰ, როგორ შძულდა! შეხედვისა მეშინოდა, მარომ არ შემატყოს მეთქი, ენას კბილი დავაჭირე, სიტყვა არ დამცდესმეთქი, მარომ არ აიტაცოს, არ გაჰკრას და გააბუოს-მეთქი, აღარაფერი არ მინდოდა, არც სითბო, არც სინათლე, ბებიაჩემთან ჩხუბი მწყუროდა.

„კერპი ხაართ, დეიდა რუსუდანო, კერპიი...“ და მარომ ხელი გაშალა, რომ ბებიაჩემისთვის მხარზე მოესვა შერიგებისა და მფარველობის ნიშნად, აქაოდა შეშა უნდა მოგცეთო, მაგრამ ბებიამ სრულიად მოურიდებლად აუკრა ხელი და მშრალად უთხრა: “ დიახაც რომ კერპი ვარ და არცა ვნანობ!“

ვერ მოვითმინე და შევხედე. სკამზე დაყუნცული, თიხის ცუდად გამომწვარ, დამსკდარსა და დაშაშრულ მოხუც კერპს ჰგავდა, რომელსაც თითქოს სულ არ ეკითხებოდა გარშემო რა ხდებოდა, იჯდა და უწამწამო, დაყვლეპილი თვალებით ტახტის კიდეზე მოპარპალე სანთელს მისჩერებოდა.

მარომ დაიქნია თავი და მე შემომხედა, ვითომ ამისთანა ღრმა მოხუცს კაცმა ყველაფერი უნდა აპატიოსო. ძალა მოვიკრიფე და კრიჭაშეკრულმა მდურმარედ შევხედე მაროს.

„თქვენ იცით თქვენი საქმისა“, თქვა მარომ მხრების აჩეჩით, ცხადია, გულისხმობდა, გიჟი თვისუფალიაო, „მაგრამ თვალები მაინც არ დაითხაროთ ამ სიბნელეში“. – და ბუხრის თავზე შემომდგარ ლამფას გამჭვარტლული შუშა მოხსნა, აანთო, შუშა ისევ გაუკეთა და თავისი თავით კმაყოფილი კარისკენ წავიდა. მოუთმენლად გავაყოლე თვალი, ჩქარა გასულიყო და გასცდენოდა აქაურობას, რომ სანამ დაბრუნდებოდა, მომესწრო და ბებიასთვის კარგისები მომეხსენე-

ბინა. ასეც მოვიქეცი: სულთამხუთავი ხარ-მეთქი! კრიჭაში ჩამდგომის ჭია გხრავს-მეთქი! პატივმოყვარეობით ხარ დაბრმავებული და შენი თავი ყარამანი გგონია-მეთქი!

გაიგე და შეიგნე ორთხმოცდაშვიდი წლისა ხარ და ამ შენს თავკერძობას ცოტა ძვრა მიეცი-მეთქი! – თავზე ვადექი და გაჩქარებული და გაალმასებული, მარომ არ მომისწროს მეთქი, დავძახოდი და დავძახოდი. ბოლოს ისიც კი ვუთხარი: ეტყობა დაგავიწყდა, გულღონება რომ გემართება ხოლმე და იცოდე, შუაღამისას გული რომ შეგიღონდეს, ზედაც არ შემოგხედავ, წამოდგეს ბებია ევა ამ ტახტიდან და მოგაბრუნოს-მეთქი!

გაყუჩებული იჯდა, არც შერხეულა, მაგრამ ახლა აღარ ჰგავდა თიხის კერპს. ვინც არ იცნობდა, ვინც არ იცოდა, რა ქვის ნატეხი იყო, იქნებ შესცოდებოდა კიდეც: სკამზე მობუზული მიხრწნილი მოხუცი, მტკივნეულად შეჭმუხნული გაქუცული წარბებითა და ჟანგისფერი, დაბეგვილი სახით. ამ შეუსაბამობამაც ისე გამაბრაზა, კინაღამ შევძახე თავს ნუ იკატუნებ-მეთქი. თავი აიღო და შემომხედა. რაღაცის თქმა უნდოდა და ეტყობა, უჭირდა ხმის ამოღება, ნერწყვს ისე ყლაპავდა, გეგონებათ გულზე რაღაც დაადგაო. მერე კი გადასძლია თავს და, თუმცა ხმა ეხშობოდა და ებორკებოდა, სვენებ-სვენებითა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ სათქმელი მაინც მითხრა:

„ზოგჯერ მგონია, რომ შენგან არაფერი არ გამოვა... და ეს გულს მიკლავს. სულ იმის ცდაში ხარ, არც ტანჯვით შეიწუხო თავი... არც სიძულვილით... და სიყვარულიც მხოლოდ სიამოვნებას დაარქვა...“

გაჩერდა, ისევ გულზედამდგარივით ჩაყლაპა ნერწყვი... ხელების ფათურს მოჰყვა... გათოშილი და გაფიჩხული თითები არ ემორჩილებოდა, ძლივს აცაცუნებდა... პალტოს კალთას კიდე მოუნახა და გადასნია, ქვედატანის ჯიბიდან სანთელი ამოიღო. „ადამის შვილს კაცად მოვალეობა ხდის, სხვა კი არაფერი.“ – ათასჯერ ნათქვამი მეათასერთჯერ გამიმეორა და სანთელი გამომიწოდა მიცვალებულის თავთან დასანთებად.

ცხედარს მე მხრებში წავავლე ხელი, გურამამ ფეხებში, ავწიეთ და კუბოში ჩავასვენეთ. ბებიამ ჭუჭყიანი ლეიბი გადაახვია, იოსებამ ტახტის ბოლოს საბანთან დადო, მერე კი კუბო ჩამოვწიეთ და ტახტის შუაში დავდგით. ბებიამ მიცვალებულს დაკრეფილი ხელები გაუხსნა და სუფთა ცხვირსახოცი და სანთელი ჩაუდო. ფეხებთან კაბის ბოლო გაუსწორა, ღილებს თვალი ჩამოაყოლა, ერთი ღილი დაგვრჩენოდა შესაკრავი და ის ღილიც შეუკრა, ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო და სასთუმალთან ჩაუდო, მერე კი გაკეცილი სუდარა აიღო და შესუდრვას მოჰყვა... მზრუნველად უსწორებდა ნაოჭებს, უკეცავდა ნაპირებს...

ჩვენ ვიდექით და შევყურებდით. სუდარა ის იყო გულზე დაკრეფილ ხელებთან გადააფარა, რომ იოსებამ ხმამაღლა ამოიზმუკუნა, კაცს ერთბაშად რაღაც რომ გაახსენდება, ისე, დოინჯი შემოიდგა და ბებიაჩემს მიაჩერდა: „რუსუდანო, ეს რა მოგვივიდა, ადამიანო, სავარცხელიო, სანთელიო და!!“ ბებიამ უცებ შემოხედა იოსებას, თავი გაარაცრაცა და პირზე ხელი მიიფარა. არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა, ამ უკანასკნელი გაპატიოსნების დროს იოსებას ეთქვა ის, რის თქმასაც აპირებდა.

„კაცო, – დაიძახა იოსებამ უფრო ხმამაღლა, – რაც მთავარია, კუბოში იმას არ ვაყოლებთ!? იმას არ ვატაანთ!! აი, გადაყრუებაც ამასა ჰქვიან! კაი რამ, ეხლა მაინც მომაგონდა!!“

„გაჩერდი იოსებ! – დაუტია ბებიამ და ხელი გაუქნია, – გადაყრუება რა შუაშია? არ ჩავაყოლებ!“

„ყველაფერი რომ წარმომედგინა, შენგან ცოდოობის ჩადენას ვერ წარმოვიდგენდი, რუსუდანო! რაღა ევას ცოდო უნდა დაიდო, ადამიანო!!“ – და იოსებას სახის ყველა ღირსშესანიშნაობა: რაღაც უცნაურად ამობნელებული მზერაც, ერთ მხარეს მიგრეხილი ყბაც და მეორე მხარეს დაცერებული ცხვირიც, გაოცებისა და აღშფოთებისაგან კიდევ უფრო ამოუბნელდა და მიეღრიცმოეღრიცა. ბებია ერთ წამს დაფიქრდა, ლამის შეჭოჭმანდა, მართლა ცოდოს ხომ არ ჩავდივარო, მაგრამ ისევ ჯიუტად გააქნია თავი: „მზადა ვარ ეგ ცოდვა ვიტვირთო! ახლა კი, იოსებ, ბარემ სახურავიც შემოიტანეთ და მერე აქვე დავჭედოთ!“ – განგებ სწრაფად დაუმატა, რომ ამ საუბრისათვის ბოლო მოეღეო, მაგრამ ნურას უკაცრავად, იოსებამ ისეთ მადანს მიაგნო, რომელსაც ასე იოლად ხელიდან ვერავინ გააგდებინებდა: „შენა გგონია, მაკა შემომწყრალი იქნებაა?

ნეტა როგორც უკვე შერიგდებოდნენ კიდეც!? უერთმანეთოდ რა გააძლებინებთ? ჰოდა, ჩააყოლე!!“

ბებია თავისებურად გაჯიქდა: „არ ვაყოლებ! აი, სწორედაც არ ჩავაყოლებ! საკმარისი ითამაშა ამ ქვეყანას!!“

„ჰოდა, დაჩვეული გვამი პრუწს ვერ მოიშლის!“ – იოსებამ თავისი გაშავრკინებული ხელი ზევით ამართა, – „მივლენ თუ არა იმ ქვეყანას, აი, ამ ბიჭის მზემ, თუ მაშინვე თამაში არ გაახურონ! ჰოდა, ჩააყოლე!!“ „სანამ კარტის თამაშს დაინყებდა, – თქვა ბებიამ და ბუხრის თავზე შემომდგარ უკვდავას კონას გადასწვდა, ქილაში უწყლოდ ჩარგულს, – მთელი სიცოცხლე ცხვრებსა მწყემსავდა, ჰოდა, მწყემსოს! ბევრი ითამაშა, აი, ხომ ხედავ სადამდე ითამაშა!!“ – ბებიამ კონა დაშალა და ყვავილების გაცალკევებას მოჰყვა.

„ვიცი, ვიცი, მაგრამ რაღა დროს ცხვრებია?! ოთხმოცი წლისა ან როგორღა აედევნება ცხვრებსა?!“ – ისე გაშალა ხელები იოსებამ, თითქოს ეს არის, ბებია ევა კომბალს იღებდა და ცხვარში მიდიოდა, – თანაც მაკამ რაღა ქნას, იმ საცოდავმა და კენტად დარჩენილმა!!“

„ოჰ, იოსებ, ოჰ, იოსებ, – კისერი გადააგდო ბებიამ, – ნეტა ღმერთი გამწყრომოდა და შენთვის დახმარება არ მეთხოვნა...“ ბებიამ ხმელი ყვავილები სუდარაზე მოაბნია... რამდენიმე ცალი კი ევას სასთუმალზე დაუდო. იოსებას ის იყო კიდევ რაღაც უნდა წამოეძახა კარტის ჩაყოლებასთან დაკავშირებით, რომ ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი:

„დამშვიდდით, ძია იოსებ... გუშინ ჩემი თვალით ვნახე, იზოლდი უნივერმაღში კარტს ყიდულობდა და თან გამყიდველ გოგოებს ეუბნებოდა: პაპიდასთვის მინდა, თან უნდა გავაყოლოო.“

მართლაც, მე ფართლეულის განყოფილებისკენ მივიჩქაროდი სასუდარე ტილოს საყიდლად, რომ საგალანტერიო დახლთან იზოლდის გაბუებულ თავს მოვკარი თვალი, შემეშინდა, არ შემნიშნოს და არ შემომტიროს-მეთქი, ფეხი უფრო ავაჩქარე, სვეტს ამოვეფარე და ცალი თვალით გამოვხედე: იზოლდის ხელში კარტის რამოდენიმე დასტა ეჭირა და რჩევაში იყო, რომელი ეყიდა, „მაგრე გეთქვათ, კაცო, კინაღამ დარდი შემომყარეთ, იმ ქვეყანად ევასა და მაკას რა ეშველებათ-მეთქი!“ – დაიძახა იოსებამ კმაყოფილებით აღსავსე კილოთი და გურამას ხელით ანიშნა: წამო, კუბოს სახურავი შემოვიტანოთო.

ევასი და მაკას ამფსონობა და კარტის თამაში საყოველთაოდ იყო ცნობილი. ან კი როგორ არ იქნებოდა, როცა ნახევარი თელავი მაროსთან დაიარებოდა, და მაროს გულის მოოხება უყვარდა, – შინაურთან და გარეულთან ევას ლანძღვაგინების მეტს არაფერს აკეთებდა. იცოდნენ ზევით უბანშიც, დიდი თელის უბანში, სადაც მაკა ცხოვრობდა... ქვევით უბანშიც, მაწანწარაზეც, სადაც ევა ცხოვრობდა და ალბათ, მთელ ჩვენს პატარა ქალაქშიც. მაგრამ, ცხადია, მხოლოდ მაროში არ იყო საქმე. ლამის მთელი სიცოცხლე ევამა და მაკამ თამაშში გაატარეს და საბოლოოდაც ისე ითამაშეს, რომ კოკა წყლის გზაზე გატყდა, ორივე იმ თამაშს გადაჰყვა. ესვენნენ ახლა თავთავიანთ ტახტებზე: ევა თავის სარდაფში და მაკაც თავის ნახევრად დამწვარ სახლის დარბაზში, ბებია და მე ევას ვჭირისუფლობდით და იზოლდი კი თავის პაპიდა მაკას. ასე იყო ეს ამბავი, ოდესღაც ისინი შემთხვევამ და ბედისწერამაც შეახვედრა ერთმანეთს, დაკავშირებით კი, ალბათ, მაინც მარტოობამ დააკავშირა; მარტოობამ და მიუსაფრობამ... ევას თუმცა შვილიც ჰყავდა და შვილიშვილებიც, თავისი რძლის, მაროს გამოისობით, ყველას მიერ დიდი ხანია აბუებული იყო. ზევით უბანშიც და ქვევით უბანშიც ძირითადად ევას ამტყუნებდნენ. მაკა ჯანდაბას, შინაბერაა, ერთი ბეხრეკი თავი აბია და აბარია, არავის წინაშე ვალდებული არ არის, ევას კი არ ეპატიებაო. მთელი ცხოვრება თავის ქეიფზე გაატარა, ტყე-ტყე, ღედეღუდე სიარულისა და კარტის თამაშის მეტი არაფერი გაუკეთებია და საწყალ შვილსა და რძალს მაროს მთავარცნებაღა დააკარგვინაო.

მართლაც, ერთხელ მაროს რა მოსვლოდა!? მამიდა მოჰკვდომოდა ქვემო ხოდაშენში და დასაფლავებაზე მიდენილიყო. მატარებელში თბილისს მიმავალი ნაცნობი ქალები შეხვედროდნენ. თავის დედამთილზე დაეწყო გულის მოოხება. ჰოდა რა!? ქვემო ხოდაშენსაც გასცდა თურმე და სამ პლატფორმასაც. ხალხი დასაფლავებიდან ბრუნდებოდა, ძაძით მოსილი, დაქასქასებული მარო რომ

გამოჩნდა სასაფლაოს ჭიშკარში, ცალი ხელით თავიდან გადამძვრალ შავი აბრეშუმის თავშალს ისწორებდა, მეორეთი კი უკვე შემჭკნარი და ყინწმოწყვეტილი ვარდების მომცრო გვირგვინს მოარბენინებდა. გამობრუნებული ჭირისუფალი რომ დაინახა, „ვაიმე მამიდაო!“ შეჰბღავლა, შურდულივით მიიჭრა ახალმიყრილ საფლავთან, ზედ გადაემხო და ყვავილები და გვირგვინები სულ მიშალმოშალა.

მაროს კლიენტები ამბობდნენ: ასეთი დედამთილი რომელ რძალს არ აუბნევს დავთრებსო!? მერე იმსახურებდეს მაინცო! მშრომელი, ოჯახის მუჭუჭი, შემომტანი, ჭრელი ქვა რომ იპოვოს, სახლში მიარბენინებსო; ხელია და ისეთი ხელი აქვს, ყველა მაგას აჭრევინებს თმას და, აცლევინებს ბეწვებს და აკეთებინებს ექვსთვიანებსო. ტყუილად კი არ ეძახის თავის თავს სილამაზის მსახურსო; მართლაც სილამაზის მსახურიაო, უფრო მეტიც, ხელოვნების მსახურიაო. მარტო საპარიკმახეროს კი არ სჯერდება, თეატრშიც მუშაობს გრიმიორ-პარიკმახერადო, და სანიმუშოდაც მუშაობსო.

ეს ყველაფერი მართლაც ასე იყო. თეატრშიც მუშაობდა და საპარიკმახეროშიც მუშაობდა. შინ და გარეთ ჯარასავით ტრიალებდა . სკოლაში მიმავალს, ან სკოლიდან მომავალს რამდენჯერ შემინეღლებია ნაბიჯი საპარიკმახეროსთან, რომ დამენახა როგორ დასტრიალებდა თავს კლიენტებს, როგორ მარჯვედ ხმარობდა მაკრატელსა და სავარცხელს... იმას არ ჩიოდა და ტიროდა!? მე ვშრომობ და ჩემი დედამთილი დროს ატარებსო: ან ტყეში დაძრწის, ან მაკას ეთამაშებაო.

მაგრამ ბებია მაგალითად ევასა და მაკას არასოდეს არ განაქიქებდა. და არა სიამაყის გამო, და არც მხოლოდ იმიტომ, რომ გაჭირვების ჟამს ევამ ჩვენ შეგვიფარა, შეგვიკედლა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა, არამედ იმის გამო, რომ ბებიას ფხიზელი და დაუცხრომელი სული მიმართული იყო მოვლენათა წვდომისაკენ, და ნიადაგ იმას ესწრაფვოდა, წყალი სათავით მოენახა. თორემ ბებიაზე უკეთ, ჩვენზე უკეთ ვინ იცოდა ევასი და მაკას თამაშისა და წაგებ-მოგების ამბავი. ევა თუ ტყეში არ იყო, იყო მაკასთან, ისხდნენ ტახტზე და თამაშობდნენ კარტს. დამშლელი არავინა ჰყავდათ, და ესეც რომ არა, გვერდებჩამარილებულ მაკას სიარული უჭირდა ბუნებით დაუდეგარი ევა კი ჯერ ისევ ნიავქარივით დაჰქროდა აღმა-დაღმა. თამაშის დროსაც მსუბუქად, კოხტად წამოჯდებოდა ტახტზე, ჯვარედინად მოიკეცავდა ფეხებს, წელში გამართული, ბეჭებში გაშლილი და ოდნავ გადაზნექილი, გეგონებოდათ, მუთაქაზე მაღლად შემომჯდარაო; იმ დროს როცა საწყალი მაკა მთელ თავის მუთაქებსა და ბალიშებს ტახტის კუთხეში მიაქუჩებდა და ზედ მიეყუდებოდა, შიგნით მიბრეცილ, გახრიოკებულ ფეხებს კი ტახტზე გამოშლიდა. ევას თამაშის დროს ეკას ლაპარაკი არ უყვარდა, მშვენივრად მოყვანილი ნიკაპი და ჩამძივულ კბილებზე კოხტად შემომჯდარი ტუჩები არ შეერხეოდა, გაყუჩებული თამაშობდა. მაკას კი ყმაწვილქალური თუ შინაბერული აღფრთოვანება და ეგზალტაცია ბოლომდე შემორჩენოდა და შეძახილების, წყევლაკრულვის, ჩაცინებისა და ჩაზმუკუნების გარეშე თამაში არ შეეძლო.

„წვიმა-წყალი, გენაცვაათ! – დაიძახებდა გულამოგლეჯით, – წვიმა-წყალივით მოსდიის!! ვინ გაუმკლავდება ამ კუდიანს, ვინაა?!“ ზოგჯერ გამწარებული ასაკრეფ კარტს ხელს დააფარებდა: „ეზიდები და ეზიდებიი, ქალო! დაკარგეე სვინდის-ნამუსი!!“ ევა შეხედავდა, კარგი ათიანისა და კარგი ორიანის წაყვანასაც აუცილებლად სათქმელს დააყოლებდა: „გააქანეე ათიანი? ორიანიცაა?! ოიი, დაგიმიწდეს ეგ ხელები, მთლად რომ გაიწყვიტე შუბლის ძარღვი!!“ და ვინ მოთვლის, რას არ იტყოდა და ამოიძახებდა ხოლმე. ყბების გასაწევ-გამოსაწევი კალაპოტივით ჩადგმულ პროტეზს კაპიკუპი გაჰქონდა და ამ კალაპოტზე მრუდედ გადაჭიმული ბებრული, მოლურჯო, გალეული ტუჩები წამინუთს ეხსნებოდა.

ისინი ახლა კონჩინას თამაშობდნენ, კონჩინაზე ჩამოქვეითდნენ. რაც უბნის ქალები, დარუხანა, პელო და სონა გამოეცალნენ ხელიდან და გაუდგნენ გზას გრძელი ქვეყნისაკენ, ევამა და მაკამაც პრეფერანსსა და პიკის ქალს ძალაუნებურად გაანებეს თავი, ცხრიანსაც შეეშვნენ, როგორც თვითონ ამბობდნენ, ბედაურიდან ვირზე გადასხდნენ და ახლა ბებრულ კონჩინას მიერეკებოდნენ. მაგრამ ისე მიერეკებოდნენ, ზარბაზნები რომ დაგეცალათ, იქნებ ვერც კი გაეგო-

ნათ. აკი ერთხელ ასე მოხდა, როცა საწყალ მაკას ნახევარი სახლი დაეწვა. წმინდა გიორგის ხატთან დანთებული სანთლის ნამწვი ჩამოვარდნილიყო და იქიდან გაჩნდა ცეცხლი. ევა და მაკა, როგორც ყოველთვის, დარბაზში თამაშობდნენ და ვერაფერიც ვერ გაიგეს, სანამ ცეცხლი ისე არ მოედო იქაურობას, რომ სახანძრო რაზმმაც იმ ორ ოთახს ველარაფერი უშველა, იატაკი ჩაიწვა და ჩაიქცა, ჭერი ჩამოწვა და ჩამოინგრა, და კედლებგაბოლილ, ქარახინა სივრცეს შავად დაშრეშილი და აქაიქ გაშვერილ-გამოშვერილი კავები და კოჭები ჰკვეთდა.

რამდენი რამ დანთქა მაშინ იმ ხანძარმა: ლუკა მღვდლის ოთახი, საღვთისმეტყველო წიგნებითა და მაკას ბებიის ბებიის ხელით გადაწერილი სახარება, მშვენიერ ტყავის ყდაში ჩასმული და სამ ადგილას ვერცხლის პაწია რაზებით შეკრული. ჩვენი მუზეუმის დირექტორი ბ-ნი სანდრო ლამის თავში ხელს იცემდა, ჩემს მრავალგზის თხოვნას ყური არ ათხოვა მაკამ და აი, რა მოხდაო...

მაგრამ მამა ლუკას ოთახში ერთი საოცრებაც მოხდა, წმინდა გიორგის ფერწერული ხატი, მღვდლის ხელით დახატული, გადარჩა. ისევე უმსნელად ეკიდა გაჭვარტლულ კედელზე. მეხანძრეები უბრალოდ ამბობდნენ: სანამ ცეცხლი მისწვდებოდა, ხანძარი ჩავაქრეთო, მაგრამ მაკამა და ევამ სასწაულმომქმედად მიიჩნიეს ეს ხატი, საქმეც ის არის, ცეცხლი რომ ვერ მისწვდა, რაღა ყველაფერს მისწვდა, ხატის გარდაო. ეს ერთი სიხარული გამოჰყვა იმ ხანძრიდან საწყალ მაკას, — მით უმეტეს ძია ლუკას დახატული შესანიშნავი ხატები თელავის „სობოროდან“ აქეთ-იქით გაიბნა, — სასოებით წააბრძანა ხატი და დარბაზის ბოლოს, კუთხეში ჩამოკიდა. ეს ერთი სიხარული, თორემ იმ ხანძარმა პირწმინდად დანთქა მაკას მზითევი, რამოდენიმე სკივრში ჩაზიმზიმებული და საწოლ ოთახში მაღალფეხა კაკლის საწოლის ქვეშ შებინავებული... ლეიბები კი, მზითვის ლეიბები, ლამის ფუთიანი, აფუებული ლეიბები წალოში იყო ჩალაგებული... არა, არა, არ ელირსა ამ ლეიბებსა და ოქროსფერი ფარჩის კრაველის საბნებში არჩილთან ერთად ჩაცქრიალება, არც არჩილთანა და არც სხვებთანა... მაგრამ მთავარი ხომ არჩილი იყო, იმასთან ერთად უნდა დასწაფებოდა სიყვარულის ბანგსა, იმასთან ერთად უნდა დანთქმულიყო სიყვარულის მორევში... ჰოდა, აგე ბედმა რა განაჩენი გამოუტანა: დაიწვა და დაინაცრა... სუნი, სუნი, სუნი, საშინელი სუნი დამწვარი მატყლისა, ვინ იცის რამდენი ხანი იდგა მაკას გაცრუებული ბედის დასტურად... და არა მარტო მაკასი, არჩილისაც... არჩილსაც რა ბედი გამოუვიდა? საშინელი და შემზარავი! მაგრამ 24 წლის შემდეგ, როცა მხოლოდ მაკასთვის კი არა, ყველასთვისაც, არჩილმა საკოცნელი პირი საფურთხებლად გაიხადა, მაკამაც საბოლოოდ გადაუსვა ხაზი, და ამ ხანძრის დროსაც, საშინელი სუნით რომ გაიჟღინთა არემარე, მაკა ფიქრობდა: ეტყობა, რაც არჩილის სახელს დაუკავშირდებოდა, ყველაფერი უნდა დანაცრულიყოვო...

მაშინ კი , როცა ეს მზითევი იკერებოდა, როგორ კისკისებდა და კისკისებდა... საკერავი მანქანის გრიალი და მატყლის ანკეპის ხმა ყურში ნანად ჩაესმოდა... კისკისებდა რომ თავისიანები ბოლოს-ბოლოს დაიყოლია, მართალია კბილების კრაჭუნითა და თავის გადაქნევ-გადმოქნევით, მაგრამ დაიყოლია. ძია ლუკაც კი, რომელიც ვერ იტანდა ახალი დროების კაცებს, პუნქტობრივად განაქიქებდა, ბოლოს კი დაასკვნიდა ხოლმე: იმის მაგივრად თავის განუჭვრეტლობას ებრძოლონ, ღმერთს ებრძვიანო და რას უნდა მოელოდე ამისთანა ხალხისგანო, ძია ლუკაც კი სდუმდა და აღარაფერს ამბობდა. და მაკას ეგონა, მიხვდაო, ყველა მიხვდაო, რომ არჩილზე ჭკვიანი, არჩილზე განათლებული, არჩილზე მომხიბლავი და მიმზიდველი, თელავი რა სათქმელია, დედამიწის ზურგზე არავინ მოიპოვებოდა... არჩილი, ახალი იდეების დამნერგავი, დღედაღამ ცხოვრების უკუღმართობაზე დაფიქრებული და თავატკიებული... და არჩილი — მაკასთვის თვალანთებული, მომავალი მეუღლე და მეგობარი... განა არჩილმა არ გაუღვიძა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესი, არჩილმა არ აზიარა პროგრესულ იდეებს?.. არჩილი ისე მწყობრად, ისე დალაგებით მოუთხრობდა ჩაგრული ხალხის განთავისუფლებაზე, მთელ ქვეყანაზე სამართლიანობისა და თანასწორობის დამკვიდრებაზე, თან ისეთ ნაპერწკლებს დააფრქვევდა

თავისი შავი – ისეთი შავი, გუგა რომ არ ემჩნეოდა, – თვალებიდან, მაკა თუნდ მთელი დღე მოუსმენდა და არ მობეზრდებოდა, არ დაიღლებოდა, განა შეიძლება, იმაზე ამაღელვებელი იყოს რაიმე, როგორც მომავალზე ფიქრია, უბრალო ფიქრი კი არა, მხოლოდ პირადი ბედის მოწყობაზე ზრუნვა კი არა, ხალხზე ფიქრი, ხალხის მდგომარეობაზე ზრუნვა და მეცადინეობა... და ეს, აი, ამისთანა კაცი, ამისთანა გულდათუთქული ქვეყნის ბედისთვის, კაცთა მოდგმისთვის, თავდადებული და თავგანწირული, ვინც თელავი ახალი მოძრაობის ფერხულში ჩართო, ვინც დღე და ღამ მასების გათვითცნობიერებისთვის იღვწოდა, მაკას საქმრო იყო, მაკას ჩაჰყურებდა თვალებში... თურმე სულ ტყუილი ყოფილა ის ფერადფერადი სიტყვებიო, ფიქრობდა მერე საწყალი მაკა, როგორც ჩვენს მომავალს თურმე არავითარი საერთო არ ჰქონია იმ ოცნების მომავალთან, ასევე არჩილის დალაგებულად ჩამოწიკწიკებულ თეორიებსო... ღმერთო ჩემო, სანეტარო ცხოვრება?! თავისუფლებისა და თანასწორობის ფერხულში ჩაბმული ხალხი?! განთავისუფლებული შრომის პათოსით გალომებული, თუ გაბრწყინებული მშრომელები?! სიამაყით, სილაღით, მტკიცე ნაბიჯით, ლამის ფერხულით, ლამის დავლურით, ყელმოღერებით მოცქრიალე აყვავებულ დედამინაზე?! რომელთა მსგავსი ბუნებაში საერთოდ არ არსებობენ და არც შეიძლება არსებობდნენო... ისიც დაიწვა, ისიც და უკვალოდ გაქრა უთხოვრის მშვენიერი ზარდახში, არჩილის ნაჩუქარი ალმასის ბეჭედთან ერთად, საგანგებოდ მოჩუქურთმებული კოტე ბოტკოვლის მიერ, მაკასი და არჩილის ინიციალებით, ჩუქურთმაში სანიმუშოდ ამოტვიფრული ულამაზესი „მანითა“ და „ანით“... ვერცხლის ანჯამებითა და საკეტებით... არჩილი იმ ხანებში გადაასახლეს გაგრაში და იქიდან გამოგზავნილ წერილებს მაკა სწორედ იმ ზარდახშაში ინახავდა და გასაღებით კეტავდა, თუმცა წარსულს სრულიად ადრიკა ზურგი, წერილებს ხელი არ ახლო, არც წერილებს და არც თავისი ხელით გადაწერილ პროკლამაციას, ყველაზე მიუვალ ადგილას ზარდახშის საიდუმლო ფსკერზე დაკრულს. მაშინ ღამეებს ათენებდა პროკლამაციების წერაში, მერე კი სძულდა, სძულდა, სძულდა და მაინც ნიმუშად დაიტოვა, წარსულს ვერავინ გაასწორებს და შაირი კიდევ არ გამრუდებია, დაე, ჩემი სიკვდილის შემდეგ კოტე ბოტკოვლის ხელით სანიმუშოდ გამოჩუქურთმებული ეს ზარდახშა თავისი პროკლამაციით ჩვენს მუზეუმს გადასცენო. მაგრამ ბედოვლათსა და თავქარიან მაკას ყველაზე მეტად რაზე სწყდებოდა გული და კავებზე, იმ ზარდახშაში სამკვდროდ შენახული კავები რომ დაეწვა, სწორედ ამაზე ითქმოდა თავის დამკარგავი თმას დასტიროდაო, ალბათ, ეს უკანასკნელი წვეთი იყო და ისე იტირა, ისე იტირა, გული ამოიგდებინა ტირილით, თავდაუხურავი როგორ უნდა დავიმარხოო, გაფითრებულ, დატეტკილ სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა... ევა გამტკნარებულიღა შეჰყურებდა თავის დობილს, მაკა არასდროს არ ტიროდა, პირიქით ყოველთვის ყველაფერს აქილიკებდა და კიდევ ამიტომაც მაკას ცრემლებმა განსაკუთრებით გაუცხოველა დანაშაულის გრძნობა. დღე ერთი იყო და ის კავები, ვინ იცის რამდენჯერ უნდა მოეგონებინა მაკას და გული მიემტკივნებინა, თავისი საკუთარი ნაწნავის კავები, არჩილის მოგონებასთან, ტკბილსა და მწარე მოგონებასთან დაკავშირებული. ნათლისმცემლის პატარა საყდრის ბორცვზე ისხდნენ, ნადიკვრის ქვევით, არჩილმა მზერა ჩააყოლა ჩამავალი მზით გაბრწყინებულ მაკას მსხვილ ნაწნავს, მერე მაკას გაშუქებულ სახეს ფრთხილად შეახო ხელი, ძალიან ფრთხილად, თითქოს ეშინია ვნება არ მივაყენოო, თითის წვერები ჩამოუსვა ყვრიმალებზე და სთხოვა: თუ ჩემი ხათრი გაქვს, ნაწნავი დაიშალეო. მაკამ გაიღიმა, ნაწნავის დაშლა კი იუარა, მოერიდა, ჯერ ისედაც გაშლილ ადგილას ვსხედვართ, მარტოები, ან ქვევიდან არავინ მოდიოდეს, ან ნადიკვრიდან არავინ დაგვინახოსო. მაკა, ჩემო სიცოცხლეო, უთხრა მაშინ არჩილმა, შენ ხომ მარტო მეუღლე კი არა, ჩემი ამხანაგი და თანამებრძოლი უნდა გახდეო, ახალი დროების ქალიო, ტრადიციების ტყვეობიდან განთავისუფლებული, დამოუკიდებელი და თავაწეულიო. მაკამ კი მაინც ტრადიციულად, ანუ კდემამოსილად დახარა თავი: ახალი დროება იმას ხომ არ ნიშნავს ქალმა სიმორცხვე და თავშეკავება დაკარგოს: არჩილმა ხელი მოხვია, გულზე

მიიკრა, წინ გადმოგდებული ნაწნავის დაშლას მოჰყვა, მჭიდრო წნულებს ნელ-ნელა უშლიდა... უშლიდა და უწენავდა, უშლიდა და უწენავდა... მხარზე ბულულივით ჩამოეშალა წაბლისფერი თმები, არჩილი კი უფრო უბუებდა, თითებით უვარცხნიდა და ველარ ეშვებოდა მაკას თმას, აი, ეგრე სულ მთლად ევროპელ ქალსა ჰგევხარო... მერე კი ღრმად ამოიოხრა: ეჰ, როდის იქნება ჩვენი დაჩაგრული ქალიც ადამიანად იქცესო, თავის მეორე ნახევარს გაუტოლდესო... მაკა კი ვერავისაც ვერ გაუტოლდა, პირიქით, სულ უფრო და უფრო ჩამოქვეითდა და ჩამოქვეითდა... სიდუხჭირემ, უიღბლობამა და მიუსაფრობამ ერთ დროს მშვენიერ, თავმომწონე მაკას ცალკე ფიქრი და ოცნება, მეორე მხრივ კი ხუმრობა და გაქილიკება შეაყვარა. რაზეც ღამით ოცნებობდა, რაზეც გრძნობამორეული ფიქრობდა და ვალალებდა, დღისით ევასთანა და უბნის ქალებთან სწორედ იმას დასცინოდა და აქილიკებდა.

ძილგამკრთალი მაკას ფიქრები სულ თავის უოჯახობასა და მოახლოებულ სიკვდილს უტრიალებდა... ვიჰ, გენაცვათ, რამდენი ვინმე შეიძლება ვყოფილიყავი, ოჯახი რომ მქონოდაო, და რატომ თავს ძალა არ დავატანეო, რატომაო, რად ვიყავი ეგეთი თავქარიანიო, ზოგს ამითა ვწუნობდი, ზოგს იმითაო, ეხლა ერთი ვარ და მაშინ რამდენი ვიქნებოდიო?!

ჯერ პირველ რიგში დედაო, მერე ცოლიო; მერე რძალიო, მერე დედამთილიო, მერე სიდედრიო, მერე ბებიაო... თუ დიდ ოჯახში შევიდოდიო და მაკა ოცნებით ყოველთვის დიდი ოჯახის რძალი იყო, ქალებით, კაცებით, მოხუცებით, ახალგაზრდებით, მიმსვლელით, მომსვლელით დახუნძლული ოჯახისა, ჰოდა, თქვენი ჭირიმეთ, რამდენი ხლართები, რამდენი ძაფები, რამდენი კავშირები, რამდენი მისვლა-მოსვლა, საზრუნავი, სიყვარული, სიძულვილი, რამდენი ზარი და ზავთი, რამოდენა ორომტრიალი... ახლა ნათლიები, ახლა ნათელ-მირონი?! ამოდენა შვილებისა, ამოდენა შვილიშვილებისა, მათი მიმყოლ-მომყოლი?! მათი ავან-ჩავანი?! კაცი კაცითაო და ღობე ქაცვითაო, გენაცვათ, რამოდენა კვირტი, ყვავილი, ნაყოფი, ტკბილი და მწარე, მჟავე და მწარე, მლაშე და ცხარე!! ამ გაუთავებელი სამარხვოს ნაცვლად, მარხვის, მარხვის, გაუთავებელი მარხვის!!! ეგეთი ეგეთი იქნებოდაა! ეგეთი... ეგეთი! თავის თავს ცივი ნიავი რო არ უნდა მიაკაროს, რაღაცა ნამოსტკივდება თუ არა, და მაშინვე ციებ-ცხელება აიტანს, ვაიმე ეგ არის და ვკვდებიო, და თან შიში რომ დამალოს, ხუმრობს და ქილიკაობს, ვაი, ჩვენი ბრალიცა... მარტო მინდვრის თაგვივით, ჩაიჭუჭკოს თხილები და კაკლები, თუკი ვინმე მოსაკითხს მიუტანს, თუკი ვინმეს კიდევ მოაგონდება, რა თქმა უნდა, მეზობლებსა, თორემა ვინ არის მისი მომგონებელი?! რამდენი ვინმე, რამდენი ვინმე, ვინმეო?! ვინმე კი არა, ღვიძლი, ღვიძლი, რა კარგი სიტყვაა, ღვიძლზე რო გყავს გამობმული, შენგან განუყოფელი როა, შენთან შესისხლხორცებულ-შენივთებული!! ყველა თავისებურად რო გწინწკნის და გხიწნის, ყველა თავისებურად რო გბურჩქნის და გლოკავს... მარილივით, როგორც პირუტყვი მარილს... მერე ამ მარილს ნალოკის კვალი რო ეტყობა, ხაოიანი ენების ანასვამი... სადა, თქვენი ჭირიმე, სადა, დრო და ჟამის კვალი როგორ არ ეტყობა მაკას დამჭკნარ სხეულს, ჩამომჭკნარს, ხელუხლებლად ჩამომჭკნარსა და ჩამოტყლარჭულს მარილებისაგან შესიებულსა და დაჯირჯვებულ სახსრებსა და გამრუდებულ ძვლებს ფეხებზე მაინც რა დამემართა, რა ღმერთი გამიწყრა, რა კოხტა და სწორე ფეხები მქონდა და ეხლა იგრე დამეგრიხა, ულლიანი ბურვაკი თავისუფლად გამეტევა, ვიჰ, გენაცვათ!! რამოდენა ხალხი, ყველას თავისებური დახვედრა-გასტუმრება... მაკაც ჯარასავით რო დატრიალდებოდა, მაკაც მაქოსავით რო დაბზრიალდებოდა!! ეს კი ვერაფრით ვერ წარმოედგინა გაზანტებულსა და გაზარმაცებულ მაკას, მაგრამ, რასა ჰქვია ვერ წარმოედგინა, რასა ჰქვია?! ეს ახლა ვერ წარმოუდგენია თორემაა!? ქალმა თქვა საქმარშვილე წელი მაკასაც ექნებოდა, მაშინ განა ეგრე იქნებოდა მობოშებული, ალმასივით იქნებოდა, მეხი და მედგარი იქნებოდა... განსაკუთრებით სიამე მოეფინებოდა, როცა წარმოიდგენდა გრძელ, ძალიან გრძელ მაგიდას, გრძლად გაშლილს, და განა სტუმრებით? მხოლოდ ოჯახის წევრებით გარშემო შემომსხდარს, მხოლოდ მაკას დიდი

საქართველოს

ოჯახით აბა, თქვენი ჭირიმეთ, მომსვლ-ელიცა და სტუმარიც რას დაეტეოდა მათ გრძელ მაგიდაზე?! ჰოდა, გაშლილ სუფ-რას, საოჯახო სუფრას და მაკას, ოჯახის დედასა და დიასახლისს, სათაყვანებელ მეუღლესა და მეგობარს, მთელი ამოდ-ენა ოჯახის გამძღოლსა და დამაპურე-ბელს, საზრდოს მიმცემს, ყველასთვის სათაყვანოსა და პატივსაცემს, სუფრის თავში დაბრძანებულს, აქეთ-იქიდან რომ დასძახიან: დედა მე ეს ნაჭერი მინდა და დედა ხომ იცი, მე რაც მიყვა-რსო, დედა, ასე და დედა ისეო... ჰო, შვილებო, ჰო, გენაცვალეთ, ახლავე, ახ-ლავე ყველას ჩამოგირიგებთ საჭმელს, ნუ ხართ მოუთმენლები... ურიგებს და ურიგებს, სულ საუკეთესოებს, სულ საუცხოვო ნაჭრებს, აი, ეგრე, აი ეგრე... თავისთვის კისერი და ფეხები, იქნებ საწიწკარაც, სხვა არაფერი, სად არის, გენაცვათ, ნეტავ ოჯახი დააპუროს, მა-ძღრისად, რომ ცოტა ხანი მაინც მიდგნენ და მოეშვნენ... მეუღლე კი გად-მოხედავს ქვეშქვეშ ღიმილით და თავის საუკეთესო ნაჭერს მაკას გადმოუდებს, არავითარ შემთხვევაში, აპაპაპა, არა-სდიდებით, ოჯახს ქორივით თავს ევლ-ება, ამდენს შრომობს, საქვეყნო საქმ-ეშია ჩაბმული, მთელი ქალაქი და მაკას მეუღლე, ყველა და ყველაფერი მაგის კითხულია და კიდევ თავისი საყვარელი კურტუმიც არ შეჭამოს?!

ვიჰ, გენაცვათ, პირს მუწუკი მოერიდება, ზოგი კი ისეთი დაურიდებელია, აიღებს და როყიო სიტყვასა კეტივით გთხ-ლიშავს, ჩაგწიხლავს, რაც ძალი და ღონე აქვს, და თან ვითომ შენი შეცოდებით, თან ვითომ შენდამი გულისტკივილით. მათულიანთ ბაბეს რომ შვილი გაუგიჟ-და, მშვენიერი, თვალმახარა ბიჭი, მაკას თვალწინ გაზრდილი, ჯილა კაკალივით სწორებში გამორჩეული, ქვაც ატირდე-ბოდა იმათი საცოდაობით და მაკა მითუ-მეტეს, აღარ იცოდა, რა ექნა და რა ეთ-ქვა, ვაივიშით აავსო აქაურობა... მოუბრუნდა თებრო და – ნეტავი კი რა სხვისასა სტირი და სჩივიო, შენი თავი იჩივლე, რო არც გიჟი გყავს და არც ჭკვი-ანიო, თორემ ბაბეს ორი სხვა ჭკვიანი უზის სახლშიო... აი, ეგეთი სიტყვა უთხ-რა და ვაივიში პირზე შეაშრო... ვითომ თებროს რო არ ეთქვა, თვითონ ცოტა უფიქრია ამაზედაც, უბედურებაზედაც, თუნდაც ზოგჯერ უბედური ვყოფილიყ-ავიო, თუნდაც მრავალი სიმძიმე შემხვე-დროდაო, რაა მერე, ეგეც სიმდიდრეა, ტანჯვაცა და უბედურებაც ავლადიდ-ბაა, კაცის თავს არის, შეადარეთ ვაშლი პანტას, მსხმოიარე ხეხილი გაცდენილსა, ნაყოფი იყოს და რა ვუყოთ ზოგი ჭიანი იქნება, ზოგი დამპალი, ზოგს იქნებ სი-ცივე მოშუშავდა, მაგრამ გაბრდღვრი-ალებული ნაყოფიც რამდენი?! მაკას კი რა? ფლუსტი! როგორც გოგობიჭებს დაუჩემებიათ, ვანცეტსა და იზოლდის, ღოლოს შეჭამანდი, იხვის ტოლმა, აი რაა!! ვითომ თვითონ მაკას თავის უბოლოო ფიქრებსა და ოცნებებში თავისი თავი ერთხელ და ორჯერ წარმოედგინა დათ-ალხული და ზვიადად მგლოვიარე, საფ-ლავთან გლოვის სვეტად ამართული, წვი-მასა და ქარში, თეთრი მიტკლის ცხვირს-ახოცებს, მაკას ცრემლით დალტობილს ქარი შემოდგომის პეპლებივით რომ გა-აფრიალებდა და ხან რომელ საფლავს მიანარცხებდა, ხან რომელს, ვიდრე შე-მოდგომის წვიმით გალუმპული მომაკვ-დავი პეპლებივით... მომაკვდავი ფრთ-ოსნებივით, ვიდრე სადმე რკინის მოაჯი-რის ამოშვერილ ისარს ფრთებდაკეცილი ჩამომხრჩვალი ფრთოსანივით არ ჩამ-ოაგებდა... მაგრამ არა, მაკას არც გლოვა არგუნა ღმერთმა და არც გულსავსე სი-ხარული, არც ფლავი და არც ფსტანი, არამედ ეს კუდიანი ევა და მასთან ქა-ღალდის ტკაცუნი, აგური და ყვავი, გული და ჯვარი...

რას იზამ ასეთი ბედი ჰქონია, ფაფად ზღვა იდგა და უბედურ მაკას კოვზი არ შეხვდა... ახლა კი, როცა მიეწურა კუთ-ვნილი წუთისოფელი, აღარაფერს ელოდა სიკვდილის მეტსა... უყვარდა სამგლოვი-არო განცხადებების კითხვა, იზოლდის მხოლოდ ამიტომ გამოაწერინა ადგილო-ბრივი გაზეთი „კოლხმა“, გაიკეთებდა ყურებმომტვრეულ, ძაფჩაბმულ სათ-ვალეს, ტახტის კუთხეში თავისებურად მიაქუჩებდა მუთაქებსა და ბალიშებს, მიწვებოდა და დაიწყებდა საგულ-დაგულოდ კითხვასა, თითო განცხადებას ორ-სამჯერ მაინც წაიკითხავდა, ჩაღრ-მავებით, ჩაკირკიტებით, ვის ვინ ჰყოლია, ვის ვინ შერჩენია, ვინ რა ასაკისა იქნებოდა, ვის ვინ დაიტირებდა და ა. შ. ზოგი მაინც, გეთაყვათ, რამოდენა ჭირი-სუფლის პატრონი იყო, რამოდენა ცრემლი გაჰყვებოდა... აი, რა შურდა მა-კას, აი, რაზე სწყდებოდა გული, აი, რაზე

უტიროდა დაჩაგრული გული, ცრემლია რაც არის, ცრემლია დაა!? აი, რასა სთხოვდა ყველას თავის გულში, ცრემლი გამაყოლეთო, თქვენი ჭირიმეთ, ცრემლი ნუ დაგენანებათო, ვითომ ცრემლი ძვირფასი თვლებივით საგანგებო ზარდახშაში ედოთ, უნდა ამოეღოთ და მაკასთვის გადაებნიათ... მეტი არ არი ჩემი მტერი!! ისე უკულმართად არის ეს ქვეყანა მოწყობილი რო ისევ ბედნიერი და დალხენილი ებრალებათ, ისევ იმათ დაადევნებენ ლაზათს, და მაკა კი, რომლისთანა დასატირებელი მთელ ზევით უბანში იქნებ მეორე არც იყოს, მაკა კი, შვინდის ჯოხით რო უნდა გამოეჯაროს კარები და კაცმა არ იცის მისი ისევ ისე ჩაზიმზიმებული მზითევი ვინ უნდა ნეწოს და გლიჯოს, მაკა ისე უნდა წავიდეს, უცრემლოდ, დაუტირებლად, ვინ დაიტირებს, ვინ შეიბრალებს, ვინ ეტყვის ზარს, ვინა თქვენი ჭირიმეთ?! იქნებ მიტუშა და მიტუშას ცოლი ლამარა?! ან იმათი თავაღერილი შვილები, ჩაცმა-დახურვისა და გავლა-გამოვლის მეტს რო არაფერსა ფიქრობენ!! საკუთარი პაპა არ დაიტირეს, ქაა!! ის მშვენიერი, ყველასაგან დაფასებული კაცი... ვიჰ, ვიჰ, ვიჰ, იწვა ისე ყვავილებში ჩაფლული, დაუტირებელი, ვითომ ეხლა მოდაში აღარ არის ტირილიო, ეხლაო გურგურია მოდაშიო, იგეთი გურგური იდგა პანაშვიდებზედა, იგეთი შეუწყვეტი ბუბუნი, მუსიკასა ჰფარავდა, იჯდა ლამარა მოლოკილივით და ამ თავის საუცხოო მამას არცა ტიროდა და არცა! არც ცოლი! გინდ დაიჯერეთ და გინდ არა!! ეგ კიდევ რა!! მიტუშას თოთხმეტი წლის ვებერთელა გოგო, პაპის გაზრდილი, მთელ ბავშვობას ცალ მუხლზე რო ეჯდა და ჩიტის ბარტყივით გაღებულ პირში სუ ნუგბარ-ნუგბარ საჭმელს უდებდა, საერთოდ სახლიდან გახიზნეს, ვითომდა ბალღები არიან და არ ინერვიულონო!! გაგონილა და თქმულა?! ამ ბალღმა, თორმეტისა რო იყო, მაშინ მაკა ზამთარში იქ იყო, ქალაქში, იმათთან, ჰოდა, ამ ბალღმა ტირილით მოიკლა თავი, სწორედაც ასეთი და ისეთი კურტკა უნდა მიყიდოთო, იმოდენა იტირა, იმოდენა, ეხლაო მოდაში არისო კურტკაო, ასეთი და ასეთიო, ნეტა დაგენახათ, რა მსხვილ-მსხვილ ცრემლსა ჰყრიდა კურტკისთვინა, არც სკოლაში წავალო, არც მუსიკაზედაო, თუო იმ კურტკასაო არ მიყიდითო... კურტკასა ტიროდა და მოამაგე პაპას არა!! ჰოდა, ლამარამ თუ საკუთარი მამა არ ატირა, თავის შვილებსა, მაკა ვინ არის, და ვის დაჰკარგვია?! ქმრის მამიდაა?! რომელიც იმიტომ უნდა მოკვდეს, რო სასწრაფოდ მიყიდ-მოყიდონ აქაურობა და სუ კურტკებშია და ნიფხვებში გაანიაონ მამა-პაპის სახლკარი!! მერე რა კარგი მამა ჰყავდა, რა გაგებული, რა გულღია, ქალბატონო მაკაო, უქალბატონოდ სიტყვას არ ეტყოდა, ქალბატონო მაკაო, ეხლანდელ ახალგაზრდობას წვრთნა არ უყვარსო, თქვენ მაგაზე ნუ იბობოქრებთო, ხომ იცითო, კარგ მთქმელსაო კარგი გამგონე უნდაო და ა. შ. სულ თქვენობით, სულ ქალბატონობით, სულ მიბრძან-მობრძანებითა და საამური კილოთი ელაპარაკებოდა ხოლმე... და აემისთანა კაცი უცრემლოდა და გურგურ-ბუბუნით გაასვენეს. მაკას უნდოდა ეტირა, მაკას უნდოდა თავისებურად, გერგილიანად, გულამოსკვნით დაეტირებინა, მერე მე თქვენ გეტყვით სიტყვა არ მოსდგამს, თუ ცრემლის სასესხებლად დასჭირდებოდა სადმე წასვლა. ადგა კიდეც, მივიდა კუბოსთან, ცალი ხელით კუბოს კიდეს დაეყრდნო, მეორე ხელში ცხვირსახოცი ააფრიალა, სატირლად მოსახერხებელი მდგომარეობა მონახა, მარჯვენა ჩამარილებულ გვერდს შვება მისცა, მარცხენა ფეხს, შედარებით უფრო ჯანსაღ ფეხს დაეყრდნო და ის იყო, ღრმა ამოოხვრითა და სინანულის გამომხატველი თავის ქნევით დახედა მიცვალებულსა, ის იყო უნდა დაეწყო თავისებურად და თანდათან მოემატებინა და მოემატებინა, როგორც და საითაც გულისთქმა წაიყვანდა, მთავარი ის იყო, მიჰყოლოდა გულისთქმას, მიჰყოლოდა ამოსკვნილი გულის კარნახს, ენდობოდა მაკა თავის ამოსკვნილ გულს, ტირილის დროს ენდობოდა, სხვა არაფერში გაუმართლა გულის კარნახმა და ტირილის დროს კი გულისთქმას ენდობოდა, გულისთქმასა და კილოს, მშვენიერ ჩახვევებს, სწორედ მაშინ მოაგონდებოდა ყველა გულში ჩამწვდომი სიტყვა... მივიდა მიტუშა, ვითომ ყვავილები გაასწორა, ახალი ყვავილები ჩაამატა ქვევით ვაზაშია და თან მაკას ხელი მოჰკიდა, დუდუნით უთხრა: წამოდი მამიდა, დგომა გიჭირს, დილასაც წვეთები დალიე და არ გინდა ახლა გულის ამოგლეჯაო... მოჰკიდა მაგრად მკლავში

ხელი, წაიყვანა და დასვა გატრიზავებული.

ვისაც უნდა, რაზედაც უნდა დაუდებს სანაძლეოს მაკა, რომ მიტუშა სამსახურშიაც არ შეატყობინებს არავის მაკას სიკვდილს, დაიხსომეთ ხალხო, მაკა ხო ველარაფერს გაიგებს და დაიხსომეთ, მერე იქნებ თქვას კიდეც, მერე, როცა მაკას გასაგისი ქვეყნად აღარ იქნება და მაკასთვის უკვე თავს ველარავინ შეიწუხებს. ესეც მაკას ბედი ყოფილა, ძმისშვილებიც რო ეგეთები ჰყავს. მიტუშას ეჯავრება ჰაი-ჰუი, ხალხის შეყრა და გრიალი. მე რო მკითხოვო, ერთხელ ეუბნებოდა მაკას, უნდა მოისპოს მკვდრებზე ეგეთი ამბებიო, ესაო, პირდაპირ სამარცხვინო ამბავიაო, აიღებენ თავსა და საიდან სად დადიან დასაფლავებებზედაო. მაკას გული ჩასწყდა, მაინცდამაინც ყველაფერი მაკასთვის უნდა მოისპოს.

ვინც დანგიდუნგით გააჯირითა ეს ცხოვრება, სიკვდილშიაც იმასვე შეხვდება ზარი და ზავთი... მაშ არადა მაკასთანა უბედოსა და უიღბლოსა, სიცოცხლეშიც დაჩაგრულსა და სიკვდილშიაც, სიცოცხლეში ეულსა და აბუებულსა, სიკვდილში უჭირისუფლოსა და დაუტირებელსა. ვინაა მაკა, ვინ დაიტირებს? ჭირისუფალი თუ არა ტირის, სხვა მოტირალი ვისი ტიკიტომარაა?! ჰოდა, ვინ ჭირისუფალი ჰყავს საწყალ მაკასა, ვინა?! მიტუშა და იმისი ცოლი ლამარაა?! სურათსაც არ გაადიდებინებენ! თავი არ მომიკვდეს, არ გაადიდებენ! ერთი რო ფულს არ დახარჯავენ, ამისთანა ტყუილუბრალო რამეზედა, ისევ ის არა სჯობია, ლამარამ რამე ძონძი იყიდოს?! თანაც იმას იფიქრებენ, მერე რა უნდა ვუყოთ ამ სურათსაო?! სად წავიღოთ და სად გადავაგდოთო?! მართალია, მაკა ვერ მოსთხოვს რო კედელზე ჩამოჰკიდონ მაკას გადიდებული სურათი, მამიდისა კი არა, დედ-მამის სურათებს აღარა ჰკიდებენ... მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი ლაზათი აქვს, სურათი რო მიუძღვის პროცესიასა და უსურათობა განა ერთია?! უნდა დაჯდეს მაკა, ერთხელაც უნდა დაჯდეს და ყველაფერი ნვრილად დაუწეროს მიტუშას, რა ქნან და რა მოიმოქმედონ მაკას სიკვდილის დროს... ქარი რო ფუნჯებიან ბაირაღს აფრიალებს, გვირგვინები ჩამწკრივებული როა... მკვდრის ბუზი სანდრო ანუ ოდოლა ყვავილებით სავსე კალათით მისდევს გვირგვინებსა და მარჯვენა ხელს მთელი ძალით იქნევს და მიცვალებულს ფეხქვეშ ყვავილების ფიანდაზს უგებს, ყვავილებს უფანტავს... არც მოატარებენ, მაკას ბედია ესეც, რო სასაფლაო ეგეთი ახლოა, ლამის მაკას ფანჯრებიდან მოჩანს სასაფლაოს ჭიშკარი... ასეთ დროს მკვდარს ყოველთვის სხვა გზით წაასვენებენ ხოლმე, მაშ ხო არ შეიძლება, ერთ წუთში გადაარბენინო და უცებ ჩაფლა, კატა ხო არ არის ქაა... არ მოატარებენ, არა, არ გამოათხოვებენ ქალაქსა, არ გამოეფინება ხალხი მაკას გასაცილებლად, არა... მაგრამ დღისით, ოჰოჰო, როგორ დასცინოდა ყველასა და ყველაფერსა: თავის თავსაც, ყოფილ საქმროებსაც (ცხადია, მთავარი საქმროს, არჩილის გარდა, რომელსაც არასდროს, არასდროს არ ახსენებდა), სიბერესაცა და სიკვდილსაცა, რომელსაც თავის უკანასკნელსა და ყველაზე ერთგულ საქმროს უწოდებდა: „აი, ვინ არ გიღალატებს, ევავ, აი, ვინ იქნება შენი ერთგული საუკუნოდა და სამარადჟამოდ, ჰოდა, მე თუ სამოთხეში მიკრეს თავი, როგორც უმანკო ქალწულსა, იცოდე, არ შეშინდე, გამოვიპარები და შენთან მოვალ ჯოჯოხეთში, დავსხდებით ცეცხლთან და მივეფიცხებით მუგუზლებს...“ „რაებს ამბობ, მაკავ, გესმიის?“ დაუტევდა ევა, „თანაც, ვითომ აქ არ გვეყოფა ერთმანეთი, რომ იქაც ერთად არ ვიყვნეთ...“ „იქაც ჩემი ხარ, ევავ, იქაც ერთმანეთისანი უნდა ვიყვნეთ, იმიტომა რომა, თუ შენ გიოსთან შეხვედრის იმედი გაქვს, ძალიან ტყუილად, ძია ლუკა სულ იმას ამბობდა: გიო სამოთხის კაცი იყოვო... მერე კიდევა ასაკი, შემთხვევით ერთადაც რო მოხვედრილიყავით, თუ იშვილიშვილებდი, თორემა ველარც გიცნობდა, ჩაგივლიდა ისე და ზედაც არ შემოგხედავდა...“ „შენ, როგორცა ჩანს, მაკავ, წუხელაც მოგივიდა შეტევა...“ ეტყოდა ევა, მწირი სადილის შემდეგ ჯიბიდან სიგარეტს ამოიღებდა და თამაშის მოლოდინში გააბოლებდა... „შენ ეგა თქვი და, წუხელაც მომადგა კარზე,“ მაკა ბადიაში წყალს ჩამოასხამდა თუნგიდან და ჭურჭლის რეცხვას შეუდგებოდა, „უნდა წამომყვე, მაკაო, გეყოფა, ქალო, განაზებაო, გაიბოტა კარებში და სუ

თვალები მიჩხლაკუნა.“ „ფერად როგორი იყო სასიძო, მოგეწონა მაინც არის?“ ეტყოდა ევა და ისიც ტილოს აიღებდა ჭურჭლის გასაწმენდად. “ფიცხი ჩანს, ევავ, ძალიან ფიცხი ვინმე ჩანს, ძლივს დავუსხლტი ხელიდან, არ დავნებდი, ქალოო...“ და მაკა ბებრულად ჩაიქირქილებდა, „ჯერ ნუგბარი ვარ-მეთქი, ჯერ ოთხმოცდაათი არ შემსრულებია-მეთქი, აეგრე მოვახსენე, მაინც კი მოასწრო და ცოტა დამჯმუჯნა იმ გიჟმაჟმა...“ „მერე რა გუნებაზე დადექი, აგიფანცქალდაა გული?“ „ხო იცი ქალწული ქალის ამბავი, ამიფანცქალდა და იგრე ამიფანცქალდა რომა, მთელი შუშა კაპლი ჩავჭყლურტე, თან რო იცოდე, რასა ვჩიოდი: საქმროს ეგრე თავდაუხურავი როგორ გავყვე-მეთქი, როგორ ვათქმევინო-მეთქი, ვინ მეტრევლიანთ მაკა და ეგეთი ულაზათობაო?! როგორცა ჩანს, დაწუნებასაცა აქვს ადგილი, ქალო...“ და მაკამ, ვითომ დარცხვენის ნიშნად, პირზე ხელი მიიფარა და ჩაიფრუტუნა. „დაწუნების დარდი ნუ გექნება, მაკავ, და მიტუშას კი მისწერე, წინწინ რო სვამდი, ის წამალი გამოგიგზავნოს, არ მომწონს, რომ შეტევებმა რაღაცა მოგიხშირა...“ „მე შენზე ადრე უნდა წავიდე, ევავ, და არ დამიტირებ, ქალო, არ დამაგდეებ ობოლ ცრემლსა?“ ეტყოდა დაეჭვებით, რადგან სულ არ ფიქრობდა, რომ ევას ან დატირება შეეძლო, ან ტირილით გულს გაიხეთქავდა.

„კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, — ეუბნებოდა ევა, — სიკვდილმა დიდ-პატარა არ იცის, მაკავ, თანაც რა ისეთი პატარაც მე ვარ, სამი და ოთხი წელი აქეთ იყოს, იქით იყოს.“

„აღარაფერზე თვალი აღარა მრჩება, ევავ, მარტო იმაზე მწყდება გული, თავდაუხურავი რო უნდა დავიმარხო“. მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება და ერთ მშვენიერ დღეს მაკას დამტირებელიც გაუჩნდა და სამკვდრო კავებიც ჩაიგდო ხელში.

ამ წელიწადნახევრის წინ, აგვისტოს ერთ თაკარა დღეს, როცა მაკა უკანა, ფილაქნიან ოთახში ტახტზე მიწოლილიყო და თან თვლემდა და თან კი იმის ფიქრსა და გონებაში იყო, რა გავაკეთო და რა მოვახლაფორთო ევას მოსვლისთვისო (ტყუილი წვნიანისთვის პამიდორი არ ჰქონდა და პურის ხარჩოსთვის კი კვერცხი), არადა, ევა მაყვალზე იყო ნასული და მაკასაც, თავის მხრივ, უნდოდა, რაღაც მაინც დაეხვედრებინა. ეს ადილებდნენ, ევა ერთს გააბოლებდა, ცოტა დაისვენებდა და მერე კი გაახურებდნენ თამაშს; ჰოდა, სწორედ ამ დროს გაიღო ბაღში გამავალი კარი და ოთახში ვილაც შემოვიდა. მაკა ტახტზე წამოიწია და დაბნეული მიაჩერდა ახალგაზრდა ქალის სიცხისაგან აჭარხლებულ სახეს. მაგრამ ქალმა ხმა ამოიღო თუ არა და გახვითქული სახის წმენდით ტახტისკენ წამოვიდა, მაკა მიხვდა ვინც უნდა ყოფილიყო, ნამდვილად ნაზო იყო, მაკას ბიძაშვილი სანდროს რძალი, რუისპირიდან. პატარძლობის შემდეგ ნაზო აღარც ენახა და მაშინ წინწიკა გოგო, ახლა ჩასუქებული ქალი დამდგარიყო.

„გამარჯობა, მამიდა, გამარჯობაა... ვერ მიცანით? ღირსიცა ვარ, რო ვერ მიცნოთ... ღირსიცა ვაარ...“

ნაზო დაიხარა, მაკას მხრებზე ხელი შემოხვია და გადაკოცნა. „უიმეე,“ შეიცხადა მაკამაც, „რა ქარმა, ნაზო, საიდან, ქალო, როგორ მოგაგონდით, როგორა! ჩემ ბიძაშვილ სანდროს ხო არაფერი მოსვლია?!“ „რასა ბრძანებთ, მამიდავ, ეხლაც ბოსტანში დავტოვე!“ შეიცხადა თავის მხრივ ნაზომაც, მაკა სულ ძალისძალით მიაწვინა მუთაქებზე და თვითონაც იქვე ჩამოუჯდა. მაკამ შეხედა ნაზოსა და გაიფიქრა: ვაითუ ნამგზავრსა შია და რა ვქნა და რა ვილონოო. თურმე ნუ იტყვით, რა ელოდა...

„ოცნება ავისრულე, მამიდავ, — ჰყვებოდა ნაზო, — წელს დაამთავრა სკოლა ჩემმა იზოლდიმ და საფერშლოზე ჩავაბარებინეთ... ჩემსავით არ იქნება მარტო სახლის მონა“.

„როგორი დადგა იზოლდი, შენა გგავს თუ მამას?“ — ჰკითხა დაინტერესებულმა მაკამ.

“აი, ნახავთ ეხლავე, აქ, თქვენ კაკალქვეშა ზის... ჯერ მე მინდოდა, მენახნეთ და თქვენთვის პირი მეკითხნა, არკი მოგერიდოთ, მამიდავ, თუ არ შეგიძლიანთ, ჩვენ ეს საწყენად არ დაგვრჩება, გვინდა იზოლდიმ თქვენთან იცხოვროს...“

„მერე რა გარეთ გაგიჩერებია!?“ — დაიძახა აღელვებულმა მაკამ.

„განა ცალკე არ ვუქირავებდით ოთახსა, — განაგრძობდა ნაზო, — მაგრამ ხომ იცით გოგობიჭების ამბავი, თავს რო დაი-

მარტოხელებენ... ჰოდა, ვაითუ სწავლას უღალატოს-მეთქი! ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და მერე ისევ თქვენმა ბიძაშვილმა მითხრა: წადი, შვილო, მაკასთანაო და პირი უკითხეთო..."

„დაუძახე, დაუძახე ერთი იზოლდის!" – შესძახა მაკამ მოუთმენლად.

„ის მინდოდა მეთქვა, მამიდავ, რომ ერთი ვარდისუბნელი ბიჭი ჰყავს გადაკიდებული, მეშინიან ამ წვითა და დაგვით მოწყობილზე გული არ ააცრუებინოს... მაგან რო ეხლა სწავლას უღალატოს, ის არის კიდეც!"

„ვინ ბიჭია?"

„ჭიბალაანთ ბიჭია, ვანცეტი ჰქვიან."

„რაო, რაო, რა ჰქვიან?" – შეიცხადა მაკამ.

„რა ვიცი საიდან გამოუთხარეს ეს სახელი, ვანცეტი ჰქვიან, მაგრამ კარგი ბიჭია, განა ვწუნობ, არ მინდა, დროზე ადრე მოახდინონ მოსახდენი. თქვენ თვალქვეშ რო იქნება, წარამარა სიარულს ვერ გაბედავს."

„ვიჰ, როგორ გარბის დრო, რაც სანდრომ ერთხელ პატარა გოგოობას მომიყვანა და მაჩვენა, მას შემდეგ იზოლდი აღარც მინახავს!" – თქვა მაკამ ლამის აღფრთოვანებით.

„ისე, მამიდავ, დაუზარელი გოგოა, მაგისმა სიცოცხლემ, დედობით არ ვამბობ, თქვენც მოგხედავთ და თავის თავსაც... – ნაზომ ფილაქნიან ოთახს თვალი მოავლო, – იგრე დაგიმარმაროთ აქაურობა, რომაა?! ჩვენც ხელს შეგიწყობთ, აბა, მაშ ვისთვისღა გვინდა?!"

„დაუძახე, ნაზო, დაუძახე ქალო!" – დაიძახა უკვე გაბეზრებულმა მაკამ.

... შემოვიდა იზოლდი, შავშავი, თვალებბრიალა, დიდ ხელფეხიანი, გრძელნაწნავიანი, ჭრელკაბიანი, ჯანღონითა და სიცოცხლით სავსე ჩვიდმეტი წლის გოგო, ცალ ხელში თავაბმული, ლეღვის ფოთლებით დაფარული და ხარალით გადაჭერილი დიდი მოწნული კალათა ეჭირა, მეორეში მოზრდილი და კოხტად მოყვანილი, ქეჩეჩით თავდაცული გოზაური. იდგა კარებთან და თავისი საცრისოდენა თვალებით შეუპოვრად მოსჩერებოდა მუთაქებზე მიწოლილ მაკას. „რა საყესავითა დგეხარ, გენაცვალოს დედა, მოდი, გაიცანი პაპიდა!" – უთხრა ნაზომ და თან ანიშნა კალათა და გოზაური მანდვე დადგიო.

„გამარჯობა, პაპიდ!" დაიძახა იზოლდიმ, მივიდა და მაკას წინ დაუდგა.

მაკამ მკლავზე წაავლო ხელი, სიწათლისკენ შეატრიალა და შეუდგა მოწონა იზოლდი, პროტეზი დაკრიალებულ ტორზე თავისი გამომშრალი და ძარღვებდაბერილი ხელი მოუთათუნა, მერე თავისკენ მიიზიდა და შავწითელ, დამკვრახულ ლოყაზე აკოცა.

იზოლდიმ ძღვენი ამოალაგა: რა ნაზუქები, რა დედალი, რა ყველი, რა შოთები და რა ყველაფერი, ხილი თუ ბოსტნეული. „ოჰოჰოჰო, გაუხუნდება ევიკოს თავისი ხიჩატელიო," – გაიფიქრა მაკამ.

დატრიალდა იზოლდი, მაგრამ რა დატრიალდა, ხელფეხიდან სულ ნაპერწკლები სცვიოდა. ნაზო სადილის კეთებას შეუდგა, იზოლდიმ კი იქაურობის დალაგებასა და დამარმარებას მიჰყო ხელი.

ევა ტყიდან რომ ჩამოვიდა, მაკას სახლკარი ველარ იცნო. დარბაზიც, ფილაქნიანი ოთახიც, დიდი აივანიც ისე იყო დაკრიალებული, ერბო აიკრიფებოდა. თან რა შემწვარ-მოხრაკულის სუნი ტრიალებდა... ვერცხლის სინზე კი ქარვასავით გულაბი, შავი ლორქლიავა და ადრეულა დიდმარცვალა ყურძენი იყო დაზვინული, სინს აქა-იქღა უჩანდა კიდეები, მაგრამ რაც მთავარია, მაკა აღარ იცნობოდა, ისე იყო გახალისებული, აღტაცებული, ნაზოსთანაცა და იზოლდისთანაც ერთი ხელის დაკვრით სულითა და გულით გაერთიანებული.

„იზოლდიი, მოდი გენაცვალოს პაპიდა, ვინ გაგაცნო, – გასძახა მაკამ და იზოლდი რომ მოვიდა, უთხრა: – ეს ევა ბებოა, იცნობდე, ჩვენი ოჯახის წევრი და ჩემი განუყრელი მეგობარი."

"ევა ბებო, მოგართოოთ კოკურით წყალი, დაღლილი სჩანხართ!" – შესძახა იზოლდიმ და კოკურას ხელი რომ დასტაცა და გაიქცა, მაკამ სიამოვნებით გადაიქნია თავი, ხედაავ, ევიკო, ეს ვინ მომევლინაო.

განსაკუთრებით სიამოვნებდა „პაპიდას" რომ ეძახდა. არ მოსწონდა მაკას ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები რომ გადავარდა და მოდიდან გავიდა. არც მიტუშას, არც მიტუშას ცოლშვილს მაკასთვის სახელის გარდა არ ულირსებიათ არც „მამიდას" დაძახება და არც „პაპიდასი". ეს გასაქრობი გოგო კი სიმღერასავით გააგრძელებდა ხოლმე „პაპიიდ" და მაკას დანატრულებულ გულსაც საალერსო სიტყვასავით ხვდებოდა. ვანცეტიც

მოეწონა. ერთი ეგ არის, სახელს ვერ შეეჩვია, რა არის, ბიჭო, ვინ დაიდო შენი ცოდოვო, ეუბნებოდა.
„რა ვიცი აბა, ჰკითხოს კაცმა მამაჩემს!“ ამბობდა სიცილით ვანცეტი.
„უნდა გადაგარქვათ, ტყუილია, ვანოს ცეტი უნდა მოგაშოროთ, რა არის ბიჭო ცეტი!“ – ეუბნებოდა მაკა.
ერთ კაცად მარტო მაგისი ქოჩორი ღირსო, ამბობდა ვიდრე ქუჩა-ქუჩა იარონ და ხან რომელი ხის ძირას აიტუზნენ და ხან რომელი, სჯობია, ისევ სახლში მოვიდეს ხოლმე და ჩემს თვალქვეშ იყვნენო.
ვანცეტიმ ბიჭები მოიყვანა და ჭინჭრითა და ეკალბარდით გადაბურული ბაღი წმინდად გაასუფთავეს. გაზაფხულზე საბოსტნეც დაუბარეს, მწვანილიც დაუთესეს, ხეხილიც შემოუბარეს, გაუსხლეს კიდეც, დიდი კაკლის ქვეშ ჩამპალი და ჩატეხილი სკამის ნაცვლად ახალი გაუმართეს, მაგიდაც გაუწყეს, ვანცეტიმ გრძელი ზონარი მოიტანა და კაკლის ქვეშ მაგიდის თავზე სინათლეც დააყენა, უკანა, ფილაქნიან ოთახში აერთებდნენ ზონარს და იქიდან ანთებდნენ. ერთი სიტყვით, სახლი სახლს დაამსგავსეს და ბაღი ბაღს.
მაგრამ მაკასთვის მაინც განსაკუთრებით სასიამოვნო იყო იზოლდისთან ურთიერთობა, რადგან სახლის მოვლა-პატრონობა კი მოსწონდა, მაგრამ დიდად არ დაგიდევდათ. თან რა ფეხი მოუტანა იზოლდიმ, ევასთან თამაშიც სულ წაღმა დაუტრიალდა. მართლაც, ბოლო ხანს, რაც იზოლდი მაკასთან დაბინავდა, ევამ წაგება დაიწყო. თან რაც აქამდე არ გაუკეთებია, იმას აკეთებდა, სახლიდან მიჰქონდა ხან რა, ხან რა და ნივთებზე თამაშობდა... და აგებდა. ასე წააგო ხავერდის მშვენიერი ტალმა, ვინ იცის რამდენი ხნისა, მაგრამ ძალიან კარგად შენახული, ასე წააგო ვერცხლის დიდი შანდალი, ხატთან დასანთები სანთლისთვის, ასე წააგო სპილენძის დიდი სინი, კუწუბებიანი და ფაქიზად ამოტვიფრული, ამ ორმოცდაათი წლის წინ რომ იყიდა სპირიდონამ ლეკი ალიასაგან... ხელი შემობრუნებოდა მაკას, იზოლდის მართლა მოეტანა კარგი ფეხი „ერთხელ კოჭლიც წინაო!“ ამბობდა მაკა და თუმცა ამას სიცილით ეუბნებოდა ევას, სრულიად აშკარა იყო, რომ ხუმრობისა და გაქილიკების მიუხედავად, სიკვდილზე ფიქრისა და სამკვდრო საცვლების დამზადების მიუხედავად ევას გვერდით სულ მუდამ დაჩაგრული მაკა, ამჟამად გამარჯვებული მეტოქის ნამდვილ დაკმაყოფილებას განიცდიდა. სამაგიეროდ მარო იფათრებოდა. თუმცა ეს ნივთები ყველა პირადად ევასი იყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუ მათი სახლიდან გადიოდა და ვინ იყო იმისი თავმდები, რომ ხვალ და ზეგ ეს თავზეხელაღებული მოხუცი სხვისას დაინდობდა?!
და აკი ასეც მოხდა. ერთ დღესაც ევამ გამოიხურა სარდაფის კარი და ის იყო, ეზოდან უნდა გასულიყო, რომ თითქოს ხელი ჰკრეს და მიახედესო... ახედა აივანს და რა დაინახა: ბოძებს შუა გაბმულ ბაწარზე, სადაც მარო წვრილმან სარეცხსა ჰფენდა ხოლმე, შავი თასმით გადაბმული, წაბლისფერი კავები კონწიალობდა! თითქოს განგებო. ისე გაუხარდა, რომ ერთბაშად ვერც კი მიხვდა, რა უნდოდა მათ აივანზე კავებს. იდგა ევა და უყურებდა. მშვენიერი კავები იყო, მზეზე ბზინავდა წაბლისფრად, თან ნიავიც ანდამატურად არხევდა. იცოდა მარომ თავისი ხელობა, იმის გაკეთებულს არაფერს წყალი არ გაუვიდოდა. ჯერ უბრალო კლიენტისთვის როგორ ცდილობდა და ეს ხომ ხანუმას კავები იყო, ორ დღეში პირველი ჩაცმული რეპეტიცია უნდა ჰქონოდათ თეატრში და ახლად გაკეთებული კავები მარომ საგანგებოდ გარეცხა და მზეზე გასაშრობად გაკიდა. ევა იმ დღისით მაკასთან რომ მივიდა, ჩვეულებრივ ფეხსაცმელი წაიძრო, ტახტზე მოიკეცა, ჯიბიდან პრიმა ამოიღო, გააბოლა და ფანჯრის რაფაზე შემომდგარ იხვის ყულაბას ჰკიდა თვალი. გადაწყვეტილი ჰქონდა ჯერ კავები არ გამოეჩინა. მაკამაც მიახვავა ტახტის კუთხეში ბალიშები და მუთაქები, მიეყუდა, შესაფერისი მდგომარეობა მოუნახა თავის ჩამარილებულ გვერდებსა და თეძოებს და პატარა ყუთი, რომელშიც კარტის დასტას ჩაჰკეტავდნენ ხოლმე, ფანჯრის რაფიდან ევას გადმოაწოდა.
„პირველი ჩამოსვლა რამდენი იყოს?“ – იკითხა ევამ და ჯიბიდან გასაღები ამოიღო ყუთის გასახსნელად.
„რამდენსაცა ვდებთ ხოლმე...“
„გააოთხმაგე, მაკავ!“
„რა მოგელანდა?! გააღე, რალას უცდი!“

„მომელანდა!" – ევამ გასაღების ძეწკვი თითზე გადაიხვია.
„არა, მაინც?" – მაკას მოუთმენლობა დაეტყო.
„იხვი უნდა დაკლა!" – და ევა გადასწვდა იხვის ყულაბას და ისე სტაცა ხელი, თითქოს იხვი გარბოდა და დაიჭირა, – „ყელი უნდა გამოსჭრა!"
„დადე, დადე ადგილზე, ქალო!" – აღელდა მაკა.
„რაღაცა არ მომწონს, მსუბუქადა ჩხრიალებს!"
„დადგი მეთქი ადგილზე, – შესძახა მოუთმენლად მაკამ და იხვს წაეტანა, – ნეტა რა დიდ გულზე ხარ, რა ოქროს ზოდი გიდევს ჯიბეში!?"
ევამ თვალები გაუჟუჟუნა მაკას, გამომწვევად გააჩხრიალა იხვის ყულაბა, მერე ყულაბა დადგა, ჯიბიდან ქაღალდში გამოხვეული კავები ამოიღო, გაზეთის მონახევი შემოხსნა, კავები გაშალა და მაკას ზედ ცხვირწინ შეურხია. მაკამ თავი გაარაცრაცა და გაოცებისა და სიხარულისაგან ტახტზე შეტორტმანდა, კალაპოტივით პროტეზიც პირში აუთამაშდა: „ვიჰ, ქაა... ვიჰ, ქაა... ზილფი! თქვენი ჭირიმეეთ... თქვენ გენაცვალეეთ..."
„ნახე, ნახე როგორია! ყაჭი, წმინდად დართული ყაჭი!"
„ამასა ჰქვიან ზილფი! საიდან, ქალო, საიდანა? საიდან შე მართლა ალქაჯო და კუდიანო, საიდან! ვუიმეე, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმაა!!" – და მაკა ხელში სინჯავდა კავებს, თითებს უსვამდა, განზე დაიჭერდა და გახედავდა: „ახლა შემიძლიან მშვიდად დავიკრიფო ხელები, სასიძო აღარ დამიწუნებს, ქალო, – და მაკა სიამოვნებისაგან ჩაკუჭკუჭდა, – რაც ის ამ კავებს მოეფერება და თითებზე დაიხვევს!"
„თუ როკაპი მიხვდა, კაი წითელ კაბას შემიკერავს!" – თქვა ევამ და გასაღებით კარტის ყუთი გახსნა, – „ეგეთ ხიფათში ვიგდებ თავსა და შენ კიდევ აქ ეჭვებში ხარ! რასა სდებ, მაკავ!"
„ჯანდაბას გავტეხავ იხვსა!" – ისეთი თავგამოდებით წარმოთქვა მაკამ, თითქოსდა იხვის მუცელი სულ ვერცხლის უზალთუნებით ყოფილიყოს სავსე, და არა კაპიკიანებითა და სამკაპიკიანებით, – „მაგრამ თუ სუფთად მოგიგე? თუ მშრალად მოგიგე? მაშინ? მაშინა!!"
ევამ სწრაფად შეხედა მაკას და დამცინავად გაიღიმა: „შენი საქმე ისეა, თხა რომ გასუქდა და მგელს დამაჭიდეთო!" – და კარტის არევას მოჰყვა. მაკამ თაბაშირის ფრთებშეღებილ იხვს ფანჯრის რაფაზე დაახლეევინა ნისკარტი.

მაროს გულმა რეჩხი უყო, კავები ადგილზე რომ არ დახვდა. მთელი უჯრები ამოატრიალა, იქაურობა ძირს დასცა, მაგრამ კავები ვერსად იპოვა. ისე აღელდა, მთელ სახლში დაუწყო ძებნა და ვერსად რომ ვერ ნახა, ადგა და სარდაფში ჩავიდა. ევა სახლში არ იყო. ჩავიდა კი იმიტომ, რომ მოაგონდა: გუშინ საღამოს, ევა ეზოდან რომ გადიოდა, თითქოს რაღაც საეჭვოდ მიდიოდა... რაც არ უნდა მომხდარიყო ევას დააბრალებდა და მითუმეტეს კავებს. მაროს აბა, რა გამოეპარებოდა, ამდენი წლის მანძილზე თავისი დედამთილის მიხრა-მოხრა შესწავლილი ჰქონდა. მარო აივანზე რომ გადადგა და თვალი გააყოლა, ევას არ გამოუხედია, ისე წავიდა. მაროს რაღაც თვალში არ მოუვიდა. ყოველ შემთხვევაში ახლა ასე ეგონა, იმიტომ რომ რაც არ უნდა დაჰკარგოდა, მაინც თავის დედამთილზე იფიქრებდა. ჰოდა, ახლა ქვევით რომ ჩავიდა, და გასაღები ჩვეულ ადგილას არ დახვდა, იფიქრა სწორ კვალზე ვდგევარო. უფრო აღელდა, ვაითუ გასაღები თან წაიღოვო, მაგრამ წყლიანი ვედროს ქვეშ ამოედო და მაროსაც არ გასჭირვებია პოვნა. შევიდა და მიათვალიერ-მოათვალიერა აქაურობა. ეზიზღებოდა ყველაფერი, აქაურობაზე გული ერეოდა. მაგრამ თხელი ბადე, რაშიაც კავები გამოხვია გუშინ და „ნიანგის" ორი ფურცელი, ზევიდან რაც შემოახვია, ბუხრის კალთაზე დაგდებული რომ ნახა, აღშფოთებამ ყველა სხვა გრძნობა ჩაუხშო. გული გახეთქვაზე ჰქონდა. პირველი ჩაცმული რეპეტიცია და ხანუმა უკავებოდ! მარო, რომელსაც ყოველთვის ყველაფერი საათივითა აქვს აწყობილი და ასეთი უპასუხისმგებლობა!
მარომ ფრთხილად დააკაკუნა და პასუხი რომ ვერ მიიღო, კარის სახელური დასწია და დარბაზში წევიდა. მაკა ტახტზე იჯდა, ფანჯარასთან, რაფაზე სინით ბრინჯი ედგა და იმას არჩევდა, იზოლდი კი უკანა, ფილაქნიან ოთახში გაკვეთილსა ზუზუნებდა. იზოლდიმ ის იყო აალაგა ჭურჭელი, დარეცხა, ოთახები დაამარმარა და თავის სასწავლს მიუჯდა...

მაკამ მაროს შესვლა ვერ გაიგო, ცოტა ყურთაც ეკლდა საწყალ მაკას.
მარო იქვე სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა და ასევე ფრთხილად გაიხედ-გამოიხედა, თითქოს კავები სადმე გამოსაჩენ ადგილას გულწითელა ჩიტივით შემომჯდარი უნდა ყოფილიყო და მაროს დანახვაზე შეფრთხიალდებოდა და გაფრინდებოდა. ის კი არ იცოდა მარომ, როგორ ამბობდა მაკა: გველის ტყავი უნდა გადავაკრა ამ კავებსაო.
ყურნაკლულ მაკას თუმც მაროს შესვლა არ გაუგია, მაგრამ რაღაც იგრძნო, მოიხედა და ლამის შეხტა ტახტზე:
„ვიჰ, გულიღა გამისკდა, როგორ შემოპარულხარ, მარო?!“
„ნეტავი გულს რაღა გიხეთქავდა, დეიდა მაკავ, გულის გასახეთქიცა და თავში სახლელიც მე მააქვს! დავაკაკუნე და არ მიპასუხეთ, ხო ვიცი თქვენი მახვილი ყურის ამბავი!“ — მთელი ხმით შესძახა მარომ.
„ეეჰ, მე საცოდავს ყურთაც დამაკლდა და თვალთაც... — ამოიკნავლა მაკამ და მაშინვე, ვითომც აქ არაფერიო, ისე განაგრძო: — სხვაა, როგორა ხართ, რას მივანეროთ შენი მობრძანება, რასაა?„ —გაგრძელა მაკამ და თავის ჭკუაში მაროს გაულიმა კიდეც.
„ძალიან კარგად იცით რასაც!“ „თქვენი ჭირიმეთ ნეტავ საიდანლა უნდა ვიცოდე! გუშინ მინახნიხარ თუ გუშინწინ?!“ „ლათაიები რომ არ დავიწყოთ, გამოუჯავრდით კავებს! აი, ეხლავე, ამავ წუთს გამოუჯავრდით!!“
„კავეებს!! რა კავებს, ქალო!?“ — მეტისმეტად შეიცხადა მაკამ.
„სანამ ჩხუბზე გადავსულვარ, დეიდა მაკავ, მშვიდობიანად მოიტეთ კავები!“
„რა კავები, რის კავები, მარო, რაც არა მაქვს, რა უნდა მოგცე!“ — ხმა გაიმაგრა მაკამაც.
„თავს ნუ იკატუნებ, გირჩევთ! ყვავის დედოფალმა თვითონვე მომახსენა თავისი პირით! აი, ეს არის თქვენი ამფსონობა! ჰოდა, ჩქარა! თქვენსავით მოცლილი კი არა ვარ!“
„ვერ იტყოდა, თავი არ მომიკვდეს, ვერ იტყოდა!“ — თანდათან წელში გაიშალა მაკა. — ვერ იტყოდა, ვერ იტყოდა, ვერ იტყოდა! — საბოლოოდ გაიმართა მაკა.“
„საწყალი, დაიხვალიებდა! დამიბრუნეთ მეთქი! მართლაცა და მართლაც, მთელმა ჩემმა ქონებამ სულ თქვენს მუცელში ხომ არ უნდა გაიაროს!“
მაკამ ისიც გაბედა, რომ ყური მოიყრუა და ბრინჯის რჩევა განაგრძო. „მშვიდობიანად არ გინდაათ მომცეთ? მშვიდობიანად არ გინდაათ დამიბრუნოთ? — მარომ ისედაც დიდი ნესტოები კიდევ უფრო დაბერა და სკამიდან წამოხტა, — ეხლავე გაანებე მაგ ბრინჯს თავი, თორემა, მაშ მე ქალი არ ვიყო, თუ მილიცია თავზე არ დაგცეთ და ობისკი არ დაგარტყმევინოთ!!“
სიტყვა „ობისკმა“ მაკას ცივად დაუარა და კაკალ გულშიც მოხვდა. თვალები აახამხამა და პირშიც პროტეზი აუთამაშდა. არ იცოდა რა ეთქვა და რა ექნა. „ჩქარა, ჩქარა, თავზე ხელი არ ამაღებინოთ, არ მომაყვანინოთ მილიცია!“ მაკა გატყდა, თავი გადააგდო საწყლად, მაროს ყელისწევით თხოვნა დაუწყო: „რა ვქნა, მარო, სამკვდროდ მინდა, ქალო... თუ ღმერთი გწამს, დამანებე...“ „რაო, რაოო... — სიბრაზისგან ხმა აუკანკალდა მაროს, — თეატრის სცენის მაგივრად მიწაში ჩაიდოოს! მიწაში ჩაიدووოს? ჩქარა, ჩქარა, ჩქარა მეთქი!“ „დამანებე, რა იქნება, მარო — მაკამ გადაწყვიტა თხოვნას არ მოშვებოდა, — ყველა სიკვდილის შვილები ვართ, არ მინდა ულაზათოდ დავიმარხო...“
„ოჰ, შე ასნაოჭავ შენა! — თავაზა დაკარგა მარომ, — ჯოჯოხეთს მუგუზლად უკავებოდაც კარგად გამოადგები!! მე მითქვამს და დაიმახსოვრე, დეიდა მაკავ, ცუდადა ხართ ატეხილი ეს ბებრები! ცუდად!“
იზოლდი, რომელიც აქამდე უკანა, ფილაქნიანი ოთახიდან უგდებდა ყურს მაკასი და მაროს შეპაექრებას, კბილებს ილესავდა და შესაფერის მომენტს უცდიდა ჩასარევად, უფრო დიდი აყალმაყალის შესაქმნელადა და პაპიდის დასაცავად, რადგან ძალიან იზიდავდა ასეთი რამეები, შუა კარებში ჩადგა, დოინჯი შემოიდგა და მაროს გეზად გამოხედა:
„ვის აშინებთ აქა ობისკებითა და ერთითა და მეორით? ვისაა? პაპიიდ, რა სუდში გამტყუნებულივით ჩაგიქინდრია თავი, ჰაა, ქალო!? გმართებს რამეე ამ ქალისა? ის კავები აკი ბებო ევამ უკანვე წაიღო, აბა, მიდი, ნახე, სადღაა კავები?!“ — და იზოლდიმ კომოდისკენ გაიშვირა ხელი ისე ბუნებრივად, კინაღამ მაკამაც კი დაიჯერა იზოლდის ნათქვამი, — ჰოდა, მიბრძანდით, ქ-ნო მარო, და თქვენს დედამთილს მოჰკითხეთ!“

მარო ერთნამს თავში ჩაკრულივით მიაჩერდა იზოლდის, მერე კი განარებულმა შეჰყვირა: „ეს ვიღასი ტიკიტომარაა, ეს გუშინდელი გამოჭყლეტილი გომბიო!?" და გაკაპასებული პირდაპირ კამოდისკენ წავიდა, „მე თვითონ, მე თვითონ დაგარტყავთ ობისკს! მე თვითონ გადავანგრევ აქაურობას!!"

„აბა, ერთი გაბედეთ!!" და იზოლდი შუა ოთახში გადაეღობა, „სადაც დიდი სასამართლოა, წაბრძანდით და იქ გვიჩივლეთ!!"

„როგორ... როგორ..." ამოიხრიალა მარომ. „როგორ და ისე! პაპიდას ის მუცელგაბერილი იხვი ვინ გადაყლაპა, ვინა!! იქნებ ჩვენა! იქნებ ჩვენა, ჰაა?! იმოდენა ფული სუ ცხვირით გააბოლა და გააქშუტუნა ბებო ევამ!!"

„მერე ჩემი კავებისაგან რა გინდათ!"

„არც ჩვენი იხვი იყო შუაში!!"

„გზა, გზა, შე არსაქნელო შენა!!" — და მარომ იზოლდის ხელი აუქნია, გასხლტა და კამოდთან მიიჭრა. მაგრამ იზოლდიმ იმარჯვა, გადაასწრო, კვალში ჩაუდგა და კამოდის უჯრებს აეკრა.

მაკამაც იკადრა ტახტიდან გადმობრძანება, ისიც მიჩლახუნდა კამოდთან და რაკი შეატყო, რომ მარო იზოლდის ვერ აჯობებდა, მოდი დამარცხებას გავუადვილებო, მაროს მკლავში წაავლო ხელი და შეუსაბამო რაღაც უთხრა:

„ჩემს ჭაღარას ეცი პატივი, მარო, ქალო..." მარომ თვალები ჭყიტა და სახეში შესცინა მაკას: „უიიი, ხუმრობაში გენაცვალე, დეიდა მაკავ, დიდი საპატივსაცემო ჭაღარა კი გააქვს, ერთი სიტყვით" „პაპიიდ!" — არხეინი კილოთი დაიწყო იზოლდიმ, — „ეს მე თვალში მპატარაობს, ხედაავ! არ კი ვისთანა აქვს საქმე, აიიი!!" და იზოლდიმ მაროს ცხვირწინ გაფარჩხული თითები დაუტრიალა, ორივე ხელი მხრებში ჩასჭიდა, დარბაზი გაარბენინა და ზედ ტახტთან მიაგდო.

მიხვდა მარო რომ იზოლდის ვერ აჯობებდა და გასავათებული იქვე ტახტის ბოლოზე ჩამოჯდა: „რა გინდათ, ხალხნო, ჩემგან... ამდენი ხანია ვმუშაობ და ჩემი გამოისობით არასოდეს შეფერხება არა ყოფილა... ხალხნი არა ხაართ... რა დამიშავებია თქვენთვის, რა ჯავრი გჭირთ... რას მემართლებით, რასა..." და მარო ის იყო ტირილის დაწყებას აპირებდა, რომ ერთბაშად თითქოს თავში ჩაჰკრეს და გამოაფხიზლესო, პირდაღებული მიაჩერდა იზოლდის ამობურცულ მხარზე გადმოგდებულ მსხვილ ნაწნავს. ამ გომბიოს ყველაფერი დიდი და მასული ჰქონდა: რამოდენა თვალებს აბრიალებდა, რამოდენა პირს აღებდა, ლამის მთელი ყია და ხახა უჩანდა, რამოდენა ტორებს უტრიალებდა ცხვირწინ მაროს, ჰოდა, ახლა ეს ამოდენა ნაწნავი! მარომ თვალი ჩამოაყოლა! თეძომდე უწევდა და დიდი კულულით თავდებოდა! მეორე ნაწნავიც ზურგზე ეგდო! მთელი ქონება! კავები, შინიონები, კუდები და ვინ იცის კიდევ რა!!

მარომ მკლავზე ჩამოკიდებული ჩანთა გახსნა ვითომ ცხვირსახოცის ამოსაღებად, მაკრატელი, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა, სახელდახელოდ დაბღუჯა, იზოლდის მივარდა და ისე სწრაფად და მოხერხებულად შეუგდო მსხვილ ნაწნავს, მეორე ხელით კი მაგრად დაიჭირა, რომ ახლა უკვე მთელი ბატალიონი რომ დახვეოდა და ეს ტროყია იზოლდიც ერთი ათად ქცეულიყო, მაროს ამ ნაწნავს ველარ გამოჰგლეჯდა ხელიდან, ერთბაშად ისეთმა ატაცებულმა გამძვინვარებამ შეიპყრო.

ხელი, ხელიო, დაიჭყივლა იზოლდიმ და გაიბრძოლა კიდეც, მაგრამ მარომ დასჭყივლა „ფრთხილად, გოგო, თორემ პირდაპირ ყელში გატაკებ მაკრატელსაო!"

მაკამაც შვებით ამოისუნთქა, იზოლდის ხელი დაუჭირა და დაყვავებით უთხრა: „სუუ, გენაცვალოს პაპიდა, სუუ!"

ორიოდ წამში მაროს იზოლდის ნაწნავი ხელში ეჭირა. გაგულისებული იზოლდი კი შემოტრიალდა, სარკეში ჩაიხედა და ღრიალი მორთო. მაკა მხრებზე ხელებს უცაცუნებდა და ამშვიდებდა, მასეთი ნაწნავი კი ამოგივაო, ეუბნებოდა.

„მოიტა მეორეც, გოგო!" — უთხრა მარომ და ხელი წაიღო მეორე ნაწნავისკენ, მაგრამ იზოლდი განზე გახტა გაცეცხლებული: „ჩემი ცოცხალი თავიით, არ მოგაჭრევინეებთ! დეე, ვიყო ეგრე ცალი ნაწნავით! მთელი სიცოცხლე ვიზრდიდი!"

„გენაცვალოს პაპიდა, რაღად გინდა ეგრე ცალად ჩამოკანკურებული?"

„რილას მაქნისია ეგ ცალი ნაწნავი, გოგო!" — შემრიგებლურად ეუბნებოდა მარო, რა გინდა, იგეთ ექვსთვიანს გაგიკეთებ, იგეთი დალალები დაგაყარო მაგ თავზე, რო ქვეყანა დაგნატროდეს!"

მარომ და მაკამ ერთსულოვნად გადახედეს ერთმანეთს.

„არა, – გაჯიქდა იზოლდი, – სწორედაც ვანცეტიმ აემ დღეში უნდა მნახოს, რო ძალადობის კვალი სახეზე იყოს! სუ იმას ამბობდა ქალი თმითაოო!!“ – არასგზით არ უნდოდა მაროსთვის თავი კიდევ შეეშვირა, მოვიჭრი და გადავაგდებო, ან არადა ვანცეტის ვაჩუქებ, თქვენ კი არ შეგაჭრევინებთო.

მაკამ მღელვარებისაგან თავის რაცრაცი დაიწყო, რამდენი უყვავა და ევედრა: „მე ვეტყვი ვანცეტის ყველაფერს, გენაცვალოს პაპიდა, ყველაფერს წვრილად ვეტყვი, ერთხელ სტრიჟკითაც იყავი, იცი, ცალ მხარეზე როგორ გიხდება? ნამდვილი ცუგრუმელა გახდი, თავი არ მომიკვდეს, ჩაიხედე სარკეში!“

„აი, შე გაგრიავ, შენა!“ – შემოუძახა მარომაც, – „ნეტა იმ შენ ვანცეტის მაგ ფერიმჭამელებით როგორ ენახვები, ცხვირი სავსე რო გააქვს, ჩემზე კარგთან ვისთან მიხვალ, იგრე გაგიწკრიალო სახე, თავს დანატროდე! სტრიჟკას კიდევ მრგვალს გაგიკეთებ, კინოში მაინც არ დადიხაარ, ვიღასა აქვს ნაწნავები?!“

ერთი სიტყვით, დაიყოლიეს. იზოლდის კი ნაწნავების დაკარგვაზე უფროც და ვანცეტის გულდაწყვეტაზე უფროც, მარომ რო აჯობა იმაზე ერეოდა ბოლმა: „ერთი არ გაგიკეთებიათ კაი ექვსთვიანი!? ჩემზე მეტი მტერი ნუ გინდათ!“ – ამოიზლუქუნა იზოლდიმ, თან პაპიდას ზედმეტად აშფოთებაც აღარ უნდოდა, და რაკი დათანხმდა, მაშინვე ის იფიქრა დაკუწუწებული თმებიც ძალიან ლამაზიაო.

მარო კი იმავე საღამოს, თავის თავს რომ დანატრის ადამიანი, ისეთი სიცილით ეუბნებოდა თეატრის ბუტაფორ ქალს: „ მე, გენაცვალეთ, იგრე არ გავგორდები, ძურნა არ ავიკრა! აბა, მაშ როგორ!?“

... დაბოლმილმა გამოვართვი ბებიას სანთელი. თავი შევიკავე, რომ არ გამომეგლიჯა ხელიდან და ძირს არ დამენარცხებინა... დაბუხული თითებით ძლივს გავკარი და ძლივს ავანთე ასანთი, რომელიც დანოტიებულიყო და გაკვრისთანავე ქრებოდა... კოკურას ტახტის კიდეს ნამწვი მოვაცილე და ის იყო ახალი სანთელი მივაკარი, რომ სარდაფის კარი ხმაურით გაიღო: მაროს ხელში შეშა დაეხვავებინა და შემოფრიალებულ კარებში გვერდულად შემოდიოდა. „ერთ წუთში უნდა გაგიძგრიალოთ ბუხარი, – ამბობდა მარო ხალისიანი კილოთი, ისეთი შეშაა, ბიკონივით ინთება.“ – შეშა ბუხრის წინ დაყარა და თვითონაც იქვე ჩაიმუხლა ცეცხლის დასანთებად. ცხადია, მიხვდა, რომ ბებიასთან ჩხუბი მისთვის სულ არ იყო სახეირო. ამიტომაც მოლბა. მისი დიდი, გუდალი თვალების მზერაც, ჩვეულებრივ კადნიერი და შეუპოვარი მზერა, რომელიც ბავშვობიდან ისე მქონდა ჩარჩენილი, როგორც ლექი ჭურჭლის ფსკერზე, ახლა მორბილებული და ლამის ღიმილიანიც კი მეჩვენა.

„ყველაფერი კარგი მიყვარს, დეიდა რუსუდანო, – მარო შეშის ნაჭრებს ნახლეჩებს აცლიდა და ბუხარში ახუხულავებდა, – შეხედეთ, სულ რცხილაა...“ ბამბაზიის ხალათის ჯიბიდან ასანთი ამოიღო და მოუკიდა. ხმელი ნაფოტები და ნახლეჩები ხელად აბრიალდა. მარომ აქეთ-იქიდან კარავივით შემოუწყო შეშის ნაჭრები... ცეცხლის ენები ჯერ აქა-იქ გამოსხლტებოდა ხოლმე, მერე თანდათან ძალა მოიცა, გაბშირდა, გამთლიანდა, შრიალითა და ტკაცუნით აბრიალდა და მთელი ბუხარი ცეცხლის ალში გაეხვია. მე და ბებია გაყუჩებულები და ლამის მონუსხულები მივეფიცხეთ ცეცხლს... ისე მინდოდა, ცოტა ხანს მაინც ასე ვმსხდარიყავით ბუხართან, აბრიალებულ ცეცხლსა და სითბოს მიცემულნი, ვმსხდარიყავით და ჩუმად გვეფიქრა, და ცოტა ხანს მაინც ერთმანეთის ხმა არ გაგვეგონა... მაგრამ ამაოდ... ჩაახველა თუ არა ბებიამ, რომ თავისი სათქმელი წამოეწყო, მარო, რომელიც მაღალ „ტაბურეტზე“ იჯდა, იქვე ბუხართან, ბებიასკენ გადმოიხარა, კალთაზე ხელი დაადო და :

„დეიდა რუსუდანო, სანამ თქვენ მეტყოდეთ, მე ის უნდა გითხრათ, რომ არავითარ შემთხვევაში გიგლას დეპეშას არ გავუგზავნი! ჩემი ცოცხალი თავით! ვინ აღარ ჩავრიეთ საგზურის საშოვნელად?! მე ცალკე ვთხოვე ჩვენი თეატრის რეჟისორს და გიგლამ ცალკე სთხოვა თავიანთ დირექტორს... სპეციალურად გამოითხოვეს გიგლასთვის, რის ვაივაგლახით უშოვნეს და კაცი ერთი კვირაც არ არის რაც წავიდა და დეპეშები დავადევნო?! (მეც მაგასა ვფიქრობ!) ვინც უნდა გამამტყუნოს, მაგრამ რა თხის ჭკუა იქნება და რა თვალთმაქცობა (საძულველი დედამთილის გულისთვის საყვარელი ქმარი მკურნალობას), თანაც ვაივაგლახით

მოპოვებულ მკურნალობას, დასვენებას და საყვარელ შვილთან ახლოს ყოფნას მოვწყვიტო და აქ გამოვაქანო?! მერედა რისთვის? ყოვლად უვარგისი და უარყოფითი ადამიანის დასამარხად. რა თხის ჭკუაა, გამაგებინეთ ერთი! მტერი კი არა ვარ ჩემი ქმარშვილისა!? აგერა რა უთხრა ვანიჩკა ბურჯანაძემ: აუცილებლად ზედიზედ სამი წელიწადი უნდა იარო ტრუსკავეცშიო და სამი კურსი ჩაიტაროვო. ჰოდა, რაკი გიგლა აქ არ არის, არაფერი საჭირო არ არის ეზოს ატალახება. გიგლას მე თვითონ ვეტყვი, რაც საჭიროა... ვიცი დამიტევს, მაგრამ დამიტიოს, ავიტან როგორმე, ბევრი სხვა ამიტანია და ამასაც ავიტან. იმდენი კარგად ყოფნა თქვენა, დეიდა რუსუდანო, და ამ თქვენს შვილიშვილს, რამდენი სიმწარე მე გიგლასაგან მახსოვს, ჩემი კარლოსი და გულოს სიცოცხლეს გეფიცებით, ერთხელ ხელითაც კი შემეხო. გიგლას ხო ჩვილი გული აქვს და დამყოლი ხასიათი, დაითვრებოდა და დაიწყებდა ტირილს (ზოგი ეხლა დალიოს, წვეთი არ უნდა ჩაუშვა პირშიო, ბურჯანაძემ უთხრა), ისაო შემჭამეთ და შემხარითო, აქეთ შენა და იქით დედაჩემმაო, თქვენს შორის ჩემი მტერი მოხვდესო. სანამ მოვარჯულე, რამდენი რამე გადავიტანე. ეს ხომ კუდიანი იყო, ნამდვილი თილისმა ჰქონდა, მე რომ ეგრე მედგრად არ დავდგომოდი, ქმარსაც გამიგიჟებდა და შვილებსაც. დღეს კი, თუ ვინმეს თელავში ოჯახი აქვს, მეც იმათში ვწერივარ. ოცი კაცი რომ მომადგეს, დეიდა რუსუდანო, სუფრასაც გავუშლი და ლოგინსაც. ტკბილსაც მივართმევ და მწარესაც. ჩემი მამამთილი, ნათელი დაადგეს იმის ხსოვნას, ჩემთვის ის ყოველთვის ტკბილად მოსაგონარი იქნება, სულ იმას მეუბნებოდა: მარტო ამაში მქონია ბედი, რო შენისთანა ყოჩაღი რძალი შემოვიდა ჩემს ოჯახშიო. აღარ იცოდა, როგორ გავენებივრებინეთ, სანამ დუქანი ჰქონდა ხომ, ხელცარიელი სახლში არ მოსულა, ხან რას მომიტანდა, ჩემს რძალს უყვარსო, და ხან რასა. საწყალს რამდენჯერ უთქვამს: ამ კუდიანთან იყავი ფრთხილადო. მე ხომ გამიმწარა სიცოცხლე და შენ უნდა მაგრად დაუდგეო, ერთმა ნაბიჯმა შეიძლება მთლად შეცვალოს ადამიანის ცხოვრება და დიდი სიფრთხილე გმართებსო. რა გგონიათ, მე რო ერთი ვიღაც საცოდავი ვყოფილიყავი, დღეს ჩემი ოჯახი, ოჯახი არ იქნებოდა. რა ოჯახი ჰქონდათ ჩემს მოსვლამდე, ქვეყნის სალაპარაკოები იყვნენ! მთელი სიცოცხლე ერთი ალთას დაიარებოდა და მეორე ბალთას! ჩემი მამამთილის საცოდაობით ეხლაც გული მიდუღს, აბა, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგა და მაინც! აი, ამისთანა ამჩემფეხება რო ეჯდა სახლში! ჯავრის ამოყრისაა ეს ქვეყანა, დეიდა რუსუდანო, და მეც ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ჩემი მამამთილის სიკვდილი! ამ ალქაჯმა მკვდარს რო დახედა, ნეტა ერთი ცრემლი, წამლად ერთი ცრემლი გადმოეგდო. თავის ოთახში შეიკეტა და ფეხი არ გამოუჭაჭანებია! გიგლამ დაუჩოქა, რამდენი ეხვეწა: ნუ მომჭრი, დედი, ქვეყანაზე თავსაო, არ გიყვარდა, არ გიყვარდა, ყველაფერს თავისი ლაზათი აქვს და ერთი საათი მაინც დაჯექი პანაშვიდზეო, მე მაინც გამინიე ანგარიშიო... აბა?! ეგეც იქნებოდა და ვინმეს ანგარიშს გაუწევდა. ის კი არა, მაკასთვისაც აეკრძალა ჩვენთან მოსვლა. იცოდე, შემოგწყრები, ფეხი რომ მიანაწანოვო. თვითონ ხან ტყეტყე დადიოდა და სწორედ მაშინ მაინცდამაინც სოფელში მოიწადინა წარბძანება. გიგლა კინაღამ გაგიჟდა, სახლში მიცვალებული გვისვენია და მთავარი ჭირისუფალი თავაღერილი აქეთ-იქით დადისო! ვაიმე ჩემო ვაჟკაცო მამავო! თმას იგლეჯდა კაცი! უფრო იმის შემდეგ იყო, ჩემსკენ გული რომ მოიბრუნა: თუ ვინმე ყოფილა ამ ქვეყნად ცრემლიანი მკვდარი, ჩემი მამამთილიც იმათში ურევია! კვეხნით არ ვამბობ, მაგრამ ისე დავიტირე, ყველა ჩემს ქებას ამბობდა: ეს ვინა ყოფილაო! ჰოდა, გეკითხებით, დეიდა რუსუდანო, თუკი მაგან ყასიდადაც არ იგლოვა საკუთარი ქმარი, რომელთან ერთადაც ლამის ოცდაათი წელიწადი იცხოვრა, მე რა ვალდებული ვარ მაგის გარდაცვალებაზე ჰაი-ჰუი შევქმნა და თავზე ნაცარი წავიყარო?! რადა და რისთვის, გამაგებინეთ ერთი! ჩემი დაცინვის მეტი არაფერი გაუკეთებია და რა მრჯის!? ტირილი კი არა, იძულებით კაცს სიცილი არ მოუნდება და მე, ორი ვაჟკაცის დედა, დავითალხო და გლოვის კარავი დავიდგა?! მეტი საქმე არა მაქვს! რაც დაიმსახურა, ის უნდა მიიზღოს, ჯავრის ამოყრისაა ეს ქვეყანა!"

ბებია დაიხარა, საჩხრეკი აიღო, ბუხარში შეყო და ბუხრის კუნჭულში აყუდებული ზედადგარი გადმოაბრუნა, მერე ბუხრის კალთაზე შემომდგარ სპილენძის ქეთლს დასწვდა... მე გამოვართვი, თუნგიდან წყალი ჩავასხი და ზედადგარზე შემოვდგი. ბებიამ პალტოს ღილები შეიხსნა, თავშალი მოიხადა, მარომ პალტოს გახდა უშველა და მხოლოდ ამ დროს ერთი წამით გაჩერდა, მაგრამ დაჯდა თუ არა, მაშინვე ისევ თავის სათქმელი განაგრძო:

„ჯერ იყო და მაგისი სილამაზით შემიჭამეს გული. სულ ის მაგონეს: ლამაზი და ლამაზი, ლამაზი და ლამაზი! მესმის ერთი რაღაც თვალნავსი ვყოფილიყავი! აფსუს ჩემო თვალ-წარბო და ტუჩ-კბილო!? აფსუს!? ეს დაბდური გიგლაც: „ჩემი ლამაზი დედაო, ჩემი მზეთუნახავი დედაო“ შეჰხაროდა. მეც ავდექი და ვუთხარი სიმართლე, რა დედაც იყო და რა ვაი-ვუითა ჰყავდა გაჩენილი! ვითომ რა უნდა დამემალა?! სიმართლეს ადამიანმა თვალებში უნდა შეხედოს! ლამაზი და ლამაზი შეუსმენელი ხალხია ქვეყანაზე, დეიდა რუსუდანო, სულ იმას მაგონებდნენ: სარჩული სჯობს საპირესაო! ახალ პატარძალს მაგონებდნენ! შემაჯავრეს ოჯახურად სადმე წასვლა, ისე მიაჩერდებოდნენ, გეგონებათ ქალი არ უნახავთო. ვინმეს ჩემს თავს გააცნობდნენ და აუცილებლად დაყოლებდნენ „ეს ლამაზ ევას რძალიაო“, ერთმა ბრიყვმა ისიც კი გამაგონა „დამჭკნარი ვარდი სჯობს ახალ ჭინჭარსო!“ თითქოს დამნაშავე ვიყავი, რომ მაგისთანა კალმით ნახატი არ ვიყავი! და იმიტომ უნდა გავგებოდი ფეხშქვეშ რო ლამაზი იყო?! მიმიფურთხებია მაგისი სილამაზისთვის! ჩირადაც არ მიმაჩნია! თუ ქალი აესეთი ბოდოშადი და ბედოვლათია, აესეთი ამჩემფეხებაა, რას მიქვია სილამაზე?! გინდ ჰქონდეს და გინდა არა“. მარო ყველაფერ ამას ისე გვიამბობდა, ვითომ ჩვენ საიდანღაციდან ვიყავით ჩამოსული, ყურმოკვრითაც არაფერი ვიცოდით მათ შესახებ და ახლა ისღა დაგვრჩენოდა, მაროსადმი თანაგრძნობის ნიშნად თავი გვექნია და ხელები გაგვეშალა. ჩვენ კი არც ერთს ვაკეთებდით და არც მეორეს. ბებია ცეცხლს ჩაჰყურებდა ბედს მინდობილივით და ალბათ იმასღა ფიქრობდა: როცა მორჩება, მორჩება, მეც ჩემს სათქმელს მაშინ ვეტყვიო. გალეულ მაჯებზე გამობმული, დაჯირჯვებული და დასახსრული, წერნაქით დაფარული მტევნები კალთაში ჩაებუდებინა ფრთებდაკეცილი, ბებერი ფრინველებივით.

მე კი ფაიფურის ფინჯანს ვუყურებდი, გაციებული პიტნის ჩაით სავსეს. ბებია ევას დალევა ველარ მოესწრო. იდგა ახლა ეს „შეუსმელი ჩაი“ ბუხრის კალთაზე, კედელთან მიყუჟული, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის შეჭიდებას გარიდებული. დაესხა ბებია ევას, თვითონ კი წასულიყო. და მე ახლა ამ მანძილზე ვფიქრობდი, მანძილზე ფაიფურის ფინჯნიდან ტახტამდე, სადაც ბებია ევა ესვენა. ვფიქრობდი ფაიფურის ფინჯანზე, რადგან ეს ჩინური ცისფერი ფინჯანი, ფრთაგაშლილი წეროებით მოხატული, ბავშვობას მაგონებდა... ეს ჩემი ფინჯანი იყო, ჩვენი სახლიდან გამოყოლილი და მე მიყვარდა ამ ფინჯნით ჩაის დალევა. ვუყურებდი ხოლმე უწმინდესი თეთრი ზოლებით დაფარულ ტბას, ისეთ ახლობელს, რომ შემეძლო ცხვირი მიმებჯინა ამ ტბისთვის, და თან ისეთ შორეულსა და საოცნებოს... ვუყურებდი წეროების ფაქიზად გამოხატულ ფრთების მარაოს და პაწია ფეხებს, უფაქიზესი წითელი წკიმლების ხლართებს რომ ქმნიდნენ ფაიფურის ლაჟვარდზე. ცისფერი ლამბაქი კი მოფენილი იყო პაწია, დაკუთხულშტოიანი, უცნაური მცენარეებით. ამის გამო, ბებიაჩემის, ან ბებია ევას დაყენებული პიტნის ჩაი შეზავებული და შერწყმული იყო შორეულ ტბებთან, გაფრენილ წეროებთან, რაღაც უცნაურ, არნახულ მცენარეებთან და უცხო ლაჟვარდთან... და როცა ჩვენ სახლი დაგვიბრუნეს და ამ სარდაფიდან მივდიოდით, მაშინ ვაჩუქე ეს ფინჯანი ბებია ევას (ჩემი მშობლები ასეთი შორეული, შორეული ტბის პირას ანწლის ქოხში). მარომ თვალი გამოაყოლა ჩემს მზერას, ერთბაშად გაჩერდა, მერე კი დასწვდა ცისფერ ფინჯანსა და ლამბაქს, ბებია ევას შეუსმელი ჩაი ბუხარში შელვარა და ვითომც აქ არაფერიაო, ისეთი არხეინი კილოთი თქვა: „მაშინ ველარ ვუთხარი უარი, დეიდა რუსუდანო, აქ რომ ჩამოდიოდა საცხოვრებლად, დაავლო ხელი და მეც ვიფიქრე ჯანდაბას მეთქი, ახლა კი წავიღებ!“

ბებიამ სწრაფად შემომხედა მაგრამ დაინახა თუ არა, რომ მე მდუმარედ

ვუყურებდი მაროს, სიტყვების ტკეპნით უთხრა:

„ახლა ევას დანაბარები მინდა გითხრა, მარო!"

„უი, უი, უი, დეიდა რუსუდანო, – შესძახა მარომ, – ბარემ მოვრჩები ჩემს სათქმელს და ისე მითხარით, აი, ახლავე ყველაფერს გეტყვით. მე ყველაფერში წესრიგი მიყვარს, წესრიგი და სისუფთავე! დავიკვეხნი კიდეც: სისუფთავის მონა ვარ! ჩემს სახლში რომ შემოხვიდეთ, თორემ ხომ ყოფილხართ კიდეც, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ჰოდა, თქვენ თვითონა თქვით, როგორ უნდა მოვრიგებულიყავით ერთად? მე მთელი დღე ცოცხი და მტვრის ტილო ხელიდან გაუგდებლივ მეჭიროს, ვაპრიალო და ვაწკრიალო სახლ-კარი, ეგ კი ტყიდან დაბრუნდეს, პირდაპირ შემოალაჯოს და სარკესავით გამარმარებულ იატაკზე კვალი დატოვოს, როგორია?! არა, თქვით ერთი , როგორია?! რა მაქვს დასამალი, პირდაპირ გულმუცელი მიტრიალდებოდა! სანამ ეგ ჩვენთან ზევით იყო, ჩემი მოსვენება არ შეიძლებოდა, მივდევდი კვალდაკვალ და ვწმენდავდი, მივდევდი და ვწმენდავდი. თავისებური ჩაცინება რომ იცოდა, აი, ისე ჩაიცინებდა ხოლმე და ჩემს გასაცოფებლად მთელ ოთახებს მოივლიდა. კიდევ მე დამცინოდა თავის ჭკუაში! უყაირათო, უყაირათო, უყაირათო, რომ რაღა, სადაური გლეხის შვილი იყო არ ვიცი! მაგის ხელში არაფერს ბარაქა არა ჰქონდა! მოვხარშავდი მურაბებს, პავიდლოებს, ტყემლებს, შევინახავდი ზამთრისთვის, მაგრამ საქმეში ხარ?! ბავშვებს როცა რა მოუნდებოდათ, იმას აძლევდა, თან უპრაგონოდ, ყოველთვის იმის მტკიცებაში იყო, რომ დედაზე მეტად მაგას ემეტებოდა ბავშვებისთვის, რომ დედა ცუდია და ეგ კარგია, დედა ქვანვისაა და ეგ ხელგაშლილია... ის კი ავიწყდებოდა, რომ აზიზი გული მაქვს, ზიზღიანი ვარ და მაგის ნატურტლი ყველაფერი მეჯავრებოდა. ის კი არა, გიგლა ტრუსკავეცში რომ მიდიოდა, ჩავიდა, დედაჩემს გამოვეთხოვებიო; წინდები მოეჩხლართა კარლოსთვის და მიეცა – წაუღეო. არც გამიტანებია, რად გინდა ბარგად გაიხადო-მეთქი, ოფიცერი კაცი სწორედაც ევას დაქსოვილ წინდებს ჩაიცვამს-მეთქი. მაინც ჩადო, რაკი დაუქსოვია, წავუღებო. მე კიდევ ავდექი და ამოვაცალე, ზევითა ყრია ეხლაც. წინდებზე არ მიმდის გული, და ხალმელი ხომ, თუ არ ვიცი რანაირად არის გაკეთებული, გემოსაც ვერ გავუსინჯავ. აი, მაგალითად, საწყენად კი არ ვამბობ, დეიდა რუსუდანო, თქვენ ქეთლი შემოდგით ზედადგარზე და აქ ჩაის დალევას აპირებთ. მე კი... მე რომ მოვკვდე, აპაპაპა! აქა? დაგემოვებითაც ვერაფერს ვერ დავიგემოვებ! აესეთი აზიზი გულის პატრონი ვარ! სანამ ეგ ზევით იყო და სადილს აკეთებდა, სულ მშიერი ვიყავი, სულ ყველზე და პურზე გადავდიოდი, არაფერზე გული არ მიმდიოდა... ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, დეიდა რუსუდანო, აქ რომ ცხოვრობდით, თქვენ ერთხელ წამომაყვედრეთ: სარდაფში ჩამოდევნე შენი დედამთილიო. ჭკვიანი ადამიანი ხართ და მიკვირს სწორედ ეგ რამ გაფიქრებინათ. რაც თვითონ არ ეჭაშნიკებოდა, იმას, ბატალიონი რომ მისდგომოდა, ვერ გააკეთებინებდა. გიგლაც იმიტომ ეხვეწა: ნუ იზამ, დედი, მაგასაო, ყველა მე გამამტყუნებსო, განა იმას იტყვიან, რომ შენ თვითონ მოიწადინეო. როდის-როდის მიხვდა, რო მე მართალი ვიყავი და ის მტყუანი, და ისიც საბოლოოდ შეიგნო, რომ მაგისი დაჩაგვრა ქვეყანაზე არავისაც არ შეეძლო. დაბლა ჩამოსვლაც იმიტომ უნდოდა სწორედ, თხუნელასავით როცა უნდოდა შემომძვრალიყო სოროში და როცა უნდოდა გამძვრალიყო. არავისთვის თვალწარბში არ ეყურებინა. ხალხი შეტანას ფიქრობს და მაგას გაეტანა. თავაღერილს ან ტყე-ტყე ევლო და ან კარტი ეთამაშა... და რა შეუპოვარიც იყო, ისევე შეუპოვრად დარჩენილიყო..."

მარო მოსხლეტით გაჩერდა და მიაყურა. ზევით სადარბაზოდან, რომელიც სწორედ სარდაფის თავზე იყო, უცებ ზარმა გაიწკრიალა. ეტყობა ვიღაცამ ზარის ღილაკს თითი დაჭერა და მაშინვე აიღო, ისეთი მოკლე, უეცარი გაწკრიალება იყო, ბებიას, ცხადია, არ გაუგია და მარო ერთბაშად რომ წამოდგა, წავალო, გაკვირვებულმა მოატრიალა თავი, მაროს ამრეზით შეხედა, მაგრამ თქმით კი აღარაფერი უთქვამს, მაშინვე ისევ მიბრუნდა და ცეცხლს დაუწყო ყურება. მაროს თვალები დაუმრგვალდა, თითქოს რაღაცას ორჭოფობდა და როგორ მოქცეულიყო არ იცოდა. ცალ ხელში ფინჯანი ეჭირა, მეორეში ლამბაქი და

სწორედ ლამბაქიანი ხელი გადმოაბრუნა და ვითომ ლამბაქის ყვავილებს ათვალიერებსო, შეუმჩნევლად დახედა ოქროს სამაჯურიან, პატარა, ოთხკუთხედ საათს. ისევ ისე გაიწკრიალა ზარმა. „დაგვიანებული კლიენტი მოვიდა, ალბათ, დეიდა რუსუდანო! მერე ჩამოვალ, თქვენ ხომ მაინც იფხიზლებთ.“ — წამოთქვა ნაჩქარევად და ფიცხლავ წამოდგა.

ბებიამ ხელი მოიჩრდილა და თვალი გააყოლა მაროს, რომელიც ფინჯანსა და ლამბაქს მიიქნევდა და ადლიანი ნაბიჯებით კარებისკენ მიდიოდა.

მე სმენა მივადევნე მის ნაბიჯებს... ჯერ ეზოდან ამავალ კიბეზე... მერე აივანზე... სადარბაზოს კართან... რომელიც გაიღო და მაშინვე მიიხურა. თითქოს მარომ დაინახა, რომ არავინ იყო და კარი მაშინვე მიხურაო. მაგრამ არა, ეტყობოდა, რომ ვიღაც შემოვიდა, ნახევრად გამოღებულ კარებში უცებ ვიღაც შემოვიდა, იმიტომ რომ ერთბაშად მკვდრული სიჩუმე ჩამოვარდა და მაროს ნაბიჯებიც სადარბაზოში თითქოს ჩაკვდა. ერთი-ორი წუთის შემდეგ სიჩუმე დაარღვია მტვრევის ხმამ, ვიღაცის ამოხვნეშამ და მაროს უნებლიე წამოძახილმა, რაღაც გაურკვეველმა შორისდებულმა.

მაროს ეტყობა ან ფინჯანი გაუვარდა ხელიდან, ან ლამბაქი, სადარბაზოს რამდენიმე საფეხურზე დაგორდა და ზედ კარს მიემსხვრა.

„გვეყო დასვენება! — თქვა ბებიამ, — ამალამ ბევრი საქმე გვექნება გასაკეთებელი და უნდა მოვასწროთ! რადგანაც არც გიგლას ატყობინებს, არც მითუმეტეს ბიჭებს, ცხადია, ხვალვე უნდა დავასაფლავოთ! სხვის სახლში, აბა, ჩვენ ხომ არ ვიქნებით განმკარგულებლები! შენ ხვალ დილითვე წახვალ გარდაცვალების ცნობით და გაათხრევინებ საფლავს!“

მე ცალი ყური ზევითკენ მქონდა. მარო ხაზგასმული ბრაგუნით მიაბიჯებდა აივანზე, მაგრამ მთლიანად ვერ ახშობდა ვიღაცის ძალიან ფრთხილ ნაბიჯებს, მაროს ფეხის რიტმს რომ სცდებოდა და სუსტი სინკოპასავით გაისმოდა...

„გაანებე თავი ყურის გდებას! — დატევით მითხრა ბებიამ, — მაგისი ამბავი დიდი ხანია გამორკვეულია... ჩაფიქრებული მაქვს მაგაზე საგანგებოდ გელაპარაკო... მხოლოდ მერე... ახლა კი, მოდი, ჯერ ჩაი დავლიოთ, ქეთლი წელანდელს შემდეგ დუღს!“ ბებიამ თავისი მიმთითებელი მარჯვენა განჯინისკენ გაიწოდა, ჯინჯინიდან გამხმარი პიტნა, პურიდან შაქარი გამოვიღე, თლილი ჭიქებიც ვნახე, სწორედ ორი და კარგად გავრეცხე... სანამ მე ჩაის სამზადისში ვიყავი, ბებია წამოდგა, თავისი შავი ხავერდის პალტო დაკეცა და ტახტზე დადო, მერე მიცვალებულთან მივიდა, ახალი სანთელი დაუნთო, ცხვრის ტყავზე დაიჩოქა და ბუტბუტი დაიწყო... ჯერ ბებია ევას სულს ავედრებდა ღმერთს... „დაუდეგარ“ „გზაკვალარეულ სულს“, „ყმაწვილის სულივით ერთგულსა და მგზნებარე სულს“, რომელიც ბებიაჩემის ღალადისით „ყოველად მოწყალე უფალს“ უნდა დაემკვიდრებინა „ზეცის უკიდეგანო ლაჟვარდებში სანავარდოდ“.

მერე კი ევას ებუტბუტებოდა და პატიებას სთხოვდა, მარო ვერაფრით ვერ გავაჩერეო, აქ, შენს გვერდით ჯერ აყალმაყალი და ლანძღვა-გინება ატეხა და მერე "სული ამოგვხადა შენზე ლაპარაკითო და მაპატიეო“... „ჩემო კეთილოვო, — ეუბნებოდა, — არც გიგლას ატყობინებს, არც ბიჭებსო და ჩვენ აბა, რა ძალგვიძსო, თავზევით ძალა არც მე მაქვსო და მაპატიეო.“

თუმცა გაგიზგიზებულ ბუხართან გავლხვი და გავთბი, ქაფქაფა, სურნელოვანი პიტნის ჩაიც, რომელიც ბავშვობის შემდეგ, ამ სარდაფიდან წასვლის შემდეგ აღარ დამილევია, მთელი დღის მშიერ-მწყურვალს ლამის სანეტაროდ მომეჩვენა, ხოლო მარომ, ჯერ თავისი ლაპარაკით, შემდეგ კი იმ ვიღაცის მოსვლით საბოლოოდ დამისამარა ყოველგვარი სურვილი ზევით ასვლისა და გულოსი და კარლოს წერილების კითხვისა, მე მაინც ბებიაზე მომდიოდა ბრაზი და გულიც არ მომბრუნებია. ახლაც, სუდარის კერვის დროს (ტილო ცალგანი იყო და ჯერ ორი სიგრძე უნდა გადაგვეკერებინა, შემდეგ ბოლოები ამოგვეხვია), როცა ერთმანეთის პირისპირ ვისხედით დაბალ სამფეხებზე, ბებიას გახრიოკებული მუხლები ლამის მუხლებზე მებჯინებოდა და ვხედავდი აკანკალებული ხელებით თითო ნემსის ამოგდება ნებისყოფის რა დაძაბვად უჯდებოდა, სულ არ მეცოდებოდა, პირიქით, გაბრაზებული ვფიქრობდი: მისი ეს გადაბრჯნა რომ არა, ჩვენს გაჩახჩახებულ სახლში, ჩვენი ძველი

ზინგერის მანქანაზე ხელად შევკერავდი-მეთქი ამ სუდარას, არც დაგრძელებული ჩრდილებით სავსე სარდაფში ვიჯდებოდით და არც მაროზე ავიშლიდით ნერვებს. სუდარაში თავჩარგული, გონების თვალით მაროს ვხედავდი... ცუდ გუნებაზე მაყენებდა, გულმუცელს მიმღვრევდა იმისი წარმოდგენა, რომ ზევით, სარდაფის თავზე, თავის ჩაწკრიალებულ „სპალნაში", იქნებ სწორედ გიგლას ლოგინშიც, იმ დროს როცა გიგლა, ტრუსკავეცის გამაჯანსაღებელი წყლით გაჭყიპული, ალბათ, ასევე გამაჯანსაღებელ ძილს მისცემოდა და ბაიბურში არ იყო, იმის სახლში რა ხდებოდა, მარო თავის ხვნეშია კუროსთან კოტრიალობდა, ევას ცხედართან სულ ოთხიოდე მეტრის მანძილზე, ჩემი სიახალგაზრდავისა და ბებიას შეგონებებზე აღზრდის გამო, „ვალმოხდილი დედა" საკოტრიალო ასაკს გადაბიჯებულად მესახებოდა და თანაც, ყველაფერში უხეში, „კოტრიალშიც" ისე უხამსად აღტყინებული წარმომედგინა, რომ ზიზღი მიპყრობდა, ლამის ფიზიკურ გულისრევას ვგრძნობდი და ოდნავადაც არ მსიამოვნებდა ის ამბავი, რომ სწორედ ამ სარდაფში დარჩენის წყალობით შევიტყე კიდევ ერთი „ასეთი სიმართლე" და მე ისევ ბრაზი მომდიოდა ბებიაზე, რომელსაც თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა „მწარე სინამდვილით" გაენელებინა ჩემი „ლაჩრული მისწრაფება" თავის მოტყუების, თვალის დახუჭვისა და ყურის მოყრუებისადმი და რომლის ნიადაგ ჩახმახზე შეყენებული, ფხიზელი სული ჩემი „წვრთნის" სადარაჯოზე იდგა, სისხამ დილიდან დაწყებული, როცა გაღვიძებისთანავე უნდა ავეფრინე ლოგინიდან, რადგან გაღვიძებული ადამიანის ქვეშაგებში მცირეხნითაც დარჩენა „მცონარეობა" იყო და მეტი არაფერი, ხოლო „მცონარეობა" ყოველგვარი ბოროტების სათავედ მიაჩნდა, — და დაძინებამდე, გაბმული ვიყავი „წვრთნის" ჭაპანში და მარადჟამს ჩემი მფრთხალი სულის წრთობაში იყო.

ბებიამ სუდარიდან თავი აიღო და შემომხედა. ჩვენ ასე გავინაწილეთ სუდარა: მე შუიდან ერთი ბოლოსკენ მივდიოდი, ბებია კი მეორე ბოლოდან შუისკენ მოდიოდა. მერე კი ბოლოებს ამოვუხვევდით... მეგონა ძაფი აქვს ასაგები და იმიტომ გაჩერდა-მეთქი. მაგრამ არა, ძაფი არ ჰქონდა ასაგები. რაღაცნაირად მიყურებდა, ერთი პირიდან, თვალებიც მოწკურა და ოდნავ გაელიმა, თავისთვის გაელიმა, თითქოს რასაც ფიქრობდა, იმას ულიმოდა დაეჭვებითა და ორჭოფულად. მე თავი ჩავლუნე და კერვა განვაგრძე. და სწორედ მაშინ მითხრა თავისი „მთავარი სათქმელი": „შეიძლება დიდი გულუბრყვილობაა ჩემგან... ვინ არის დაზღვეული მიამიტობისა და გაზვიადებისაგან, როცა საქმე შენს სისხლსა და ხორცს ეხება?! მაგრამ ორი პარასკევი მაქვს დარჩენილი და მინდა გითხრა ჩემი მთავარი სათქმელი, შეგიძლია ჩემს ანდერძადაც ჩათვალო." ბებია ჩვეულებრივ უფრო წყნარად ლაპარაკობდა, ისეთი კილოთი, რაღაც მნიშვნელოვანს რომ გიბარებენ, და რადგან იგი არ იყო ადამიანი, ვისგანაც კაცი არაფერს უნდა ელოდეს, უცებ ავღელდი, განსაკუთრებით „ორმა პარასკევმა" და „ანდერძმა" გამიკენწლა გული, გაბრაზებაც, გაბერილ ბუშტს ნაპერწკალი რომ მოხვდება, ისე ჩამეჩუტა, მაგრამ არ შევიმჩნიე, შეუპოვრად შევხედე, გაგულისებით ამოვუყარე ნემსი სუდარაში და ვითომ გულს გარეთ, ხუმრობითაც კი შევეკითხე: ნეტავ რა არის ეს შენი მთავარი სათქმელი მეთქი. „გენაცვალოს ბებია, კარგია ზღაპრები... ძალიანაც კარგია... ალეგორიებიც კარგია და ქარაგმულად ნათქვამიც... და ისტორიული რომანებიც... მაგრამ... მაგრამ..." ბებია გაჩერდა, თვალი მოწკურა და გამილიმა... თუ გაღიმება ჰქვია დაბეგვილი და გაფუყული ლოყების შეტოკებას და ერთიანად ნაოჭასხმული პირის ოდნავ გვერდზე მოქცევას... და ცხადია, ჩემს მეტი ვერავინ იგრძნობდა ბებიას სიტყვებსა და ღიმილში ჩამალულ ნესტარს, მომართულს ჩემი ზღაპრებისკენ და იმ განდობისკენ, ოცნების სფეროს რომ მიეკუთვნებოდა და თეიმურაზ პირველის შესახებ რომანის დაწერას გულისხმობდა. ხანგრძლივი გულისაჩუყების არავითარ სახსარს არ იძლეოდა ბებია და მეც მყისვე ავიქოჩრე: „მაგრამ რაა, მითხარი ერთი რაა, მითხარ , აქა ვარ ჩემის თავითა!!" „ძალიან კარგი რომ აქა ხარ, მე რომ მკითხო, უნდა მიმადლოდე კიდეც რომ აქა ხარ, შეემატოს მღვიძარსო, შემოაკლდეს მძინარესო..." „ჰო, ჰო, მთელი ჩემი არსებით ვგრძნობ, როგორ

ვივსები და მემატება...“ „მეც მესმის, მესმის, რომ თხზვა ინტიმური სფეროა და წარამარა არ უნდა ჩაერიო, მაგრამ სადაც არის გაღმა გავაბიჯებ და ამ ერთხელ მინდა გითხრა, გითხრა და მოგიწოდო, თუ მართლა აპირებ რაიმე შეთხზა, არ გაქვს უფლება მთავარ თემას, რაც თვითონ ჩვენმა ყოფამ განსაზღვრა, გვერდი აუარო, გვერდი აუარო იმ ჭირს თუ ხანძარს, ნაპერწკლიდან რომ აალდა, როგორც მეტაფორულად ამბობდნენ, რომელმაც გადაბუგა მთელი ქვეყანა, გათელა ღირსება, გააქარწყლა სინდისი, მარწუხებში მოაქცია ჩვენი ყოფა და უსასოობაში ჩაგვაგდო, და რაც მთავარია გააჩანაგა მილიონობით სიცოცხლე... აი, ეს მიხუთავს სულს, ამდენი გაჩანაგებული სიცოცხლე... მერე შენ მოხვალ და საფლავში ჩამომძახებ, რომ შესძელი, წვითა და დაგვით, ტანჯვით და გვემით გეთქვა მართალი სიტყვა, ამოტანილი ჩვენი სულის უფსკრულებიდან. თუმცა მაინც ვერ მოვითმინე, რომ არ გავხუმრებოდი „მაინც როგორ ფიქრობ, საფლავში ჩამოგძახო, თუ ზეცაში ამოგძახო მეთქი! მაგრამ ეს იმიტომ, რომ გულდაწყვეტა დამემალა, რადგან ასე მკაფიოდ არასოდეს მიგრძვნია, რომ ბებიას წუთისოფელი იწურებოდა, წამოუბერავდა ზურგის ქარი, გააფარფატებდა, როგორც ჟანგისფრად გამშრალ ხმელ ფოთოლს, მოწყვეტდა მიწას, აატივტივებდა მაღლა ჰაერში, მე თვალს მოვკრავდი შავი ხავერდის პალტოს გაფრიალებულ კალთებს, ძველთაძველი „პოლსაპოჟკების“ გადაცრცნილ ცხვირებსა და გაცვეთილ ლანჩებს... მერე კი შეერეოდა ღრუბლებს და სამუდამოდ გაუჩინარდებოდა. და მე ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავდი, ვეღარც ჩვენი სასადილო ოთახის ფანჯარასთან, მაღალზურგა სავარძელში ჩამჯდარს, თავისი საყვარელი და განუშორებელი წიგნების კითხვისას... ვეღარც სამზარეულოში მოფუსფუსეს, ქონდრის ტაბაკას რომ მიკეთებდა ათრთოლებული ხელებით და ჯამ-ჭურჭელს წკრიალი გაჰქონდა... ვეღარც ჩვენს ბაღში, ქათმებს რომ ჩამოაფრენდა ლეღვის ხიდან და ჯიუტად მიერეკებოდა საქათმისკენ, რათა მათ სცოდნოდათ თავისი ბუდე და ქანდარა და ლეღვის ხე არ დაესვარათ... ვეღარც თავის „სენაკში“ დავინახავდი, ჯვარცმის წინ ხელაპყრობილს, სანთლის მოფარფატე შუქითა [illegible] თებულს და ვეღარასოდეს [illegible] ვიგონებდი ბებიას ლოცვას, მღაღადებლის წრფელ ხმას, დაბადებიდან მოაქამომდე თან რომ მდევდა და ურომლისოდაც არსებობა, ჯერ საერთოდ და მითუმეტეს ახლა, ჩრდილებით სავსე ნესტიან სარდაფში, მაროს უტიფარი სიტყვებით გასავათებულსა და რეტდასხმულს, წარმოუდგენლად და შეუძლებლად მეჩვენებოდა.

ვიღასთვის არ ლოცულობდა, ვიღას არ ავედრებდა ყოვლად მოწყალე ღვთაება პირი ღვთისას, რაღას არ უმხელდა სულთა მპყრობელს და არსთა გამრიგეს. განსაკუთრებით კი ავედრებდა „განუკითხველად დასჯილთ და უკანონოდ დაწიხლულთ“: “უფალო, სანთლად გენთებიო“, გულმხურვალედ შეჰღაღადებდა, “უსამართლოდ შებღალულთა და განუსჯელად შეგინებულთათვისო“... მაგრამ, ალბათ, არავის სულს არ ახვეწებდა ისეთი სასოებით, ალბათ, არავისთვის არ ლოცულობდა ისე ხშირად, როგორც ბავშვობისდროინდელი, თანასოფლელი, პატარა, ბოროტი ბიჭისთვის, რომელიც ბავშვობის შემდეგ აღარც ენახა და არც ასავალ-დასავალი იცოდა, ვისი სახელიც, არ ვიცი, მართლა აღარ ახსოვდა, თუ განგებ არ ამხელდა და ვისი სახითაც საერთოდ “უკუღმა გზებზე მავალთ“ და მათ შორის ბოლშევიკებსაც გულისხმობდა, ლოცვაშიც ასე მოიხსენიებდა ხოლმე: „უფალო, შეივედრე პატარა, ბოროტი ბიჭიო“. უკვირდა ბებიას, რატომ უნდა ჩათესლილიყო ბიჭის გულში ასეთი ბოროტება, რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი ულმობელი. ბიჭის მამა სოფლის ფერშალი იყო თურმე, „ფერშალ კოლას“ ეძახდნენ და სოფლის ნამდვილი ჭირისუფალი იყო. ბიჭი კი, ჭროღა, მწითური ბიჭი, რომელსაც ბრტყელი თავი, გატეხილი ცხვირი და გადმოფურჩქნული ყურები ჰქონდა, მთელი დღეები ან წიხლებს იქნევდა, ან მუჯლუგუნებს იკვრევინებოდა, გამუდმებით ვიღაცას აწვალებდა, ბავშვი იქნებოდა, ცხოველი თუ ფრინველი, ამბულატორიის ეზოში მშვენიერი ვარდები გაშლას ვერ ასწრებდნენ ჯოხით სხეპდა... და ვინ იცის კიდევ რას არ აკეთებდა, ნამდვილი მტერი იყო სი-

ცოცხლის და მშვენიერებისო. ბებია ამ ბიჭს "საწუთრო-გაცრუებულსა და ბედუკულმართს" ეძახდა და ყოვლად მაცხოვარს ემუდარებოდა: „ბოროტი ბიჭის წყვდიადში მოხეტიალე, გაუხარელ სულს გარდამოუვლინე სიკეთის შუქი, გაუფანტე წყვდიადი და ბნელი სინათლედ უქციეო".

ბებიას „სენაკი", როგორც თვითონ უწოდებდა თავის პატარა ოთახს, ჩემს ოთახს ემიჯნებოდა და ბებია, ვისი კითხულიც იყო არა მხოლოდ სიფხიზლე, არამედ ჩემი ძილიც, შუა კარს ყოველთვის ღიას ტოვებდა. იგი ჩვეულებრივ გვიან წვებოდა და დაწოლის წინ აუცილებლად მოვიდოდა, მითუმეტეს დედაჩემის სიკვდილის შემდეგ, დამხედავდა, საბანს გამისწორებდა, მერე კი თავის სენაკისკენ გასწევდა და უკვე განმარტოებული, როგორც მაშვრალი მებრძოლი საჭურველს, ისე იხსნიდა სიკერპისა და შეუპოვრობის ჯავშანს და "უფლისა წინაშე" თავმოდრეკილი მსაზოებელი წარდგებოდა. ზოგჯერ ღაღადისის სიწრფელე ისეთ მტანჯველ ნეტარებას განაცდევინებდა, რომ ბებიას ლოცვა წყობილსიტყვაობად იქცეოდა ხოლმე...

ბავშვობა გამახსენდა... და გაუთავებელი, დაუბოლოვებელი რიგები... პურის... ნავთის... მარილის... საპნის... შაქრის რიგები. ყაყანით, შეხლა-შემოხლით, მინევ-მონევით, ჩხუბითა და ლანძღვა-გინებით სავსე რიგები... შიშველი, გათოშილი ხელებით, ძირგავარდნილი კალოშებით, საკერებელდადებული, გაფხეკილი შარვლებითა და უხეში ბაწრის მოჩხლართული შალებით ჩამოგლეჯ-ჩამონეწილი, აჯაჯულ-დაჯაჯული რიგები, რაც მთავარია, მშიერ-მწყურვალი რიგები... და მე და ბებია ამ რიგებში, ერთმანეთთან მიხუტებული, ერთმანეთის პირისპირ. ომის დროს დედა სამ ადგილას მუშაობდა, გვიანობამდე სახლში ვერ შემოდიოდა, ჩვენი მოსამსახურე თუ ერთი რიგისკენ წავიდოდა, ვთქვათ პურის, მე და ბებია ნავთის რიგში ვიდექით... ჰოდა, აი, მე ბებიას ხავერდის პალტოს ჯიბეებში მაქვს ხელები ჩაწყობილი, — ეს შავი ხავერდის პალტო, უკვდავუბერებელი, მარადიული პალტო, შავი ფარჩის დალიანდაგებული სარჩულითა და პრიალა თასმების ღილ-კილოებით, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ პეტერბურგიდან გამოეწერა — პაპაჩემს და საშობაოდ — საჩუქრად მიერთმია ბებიასთვის, და მას შემდეგ ჰქონდა სიცოცხლის ბოლომდე... და სიცოცხლის შემდეგაც... ევას გარდაცვალების წელს გარდაიცვალა ბებიაც, შემოდგომაზე, ოქტომბრის წყნარ, ალერსიან დღეს, და მე იმდენად ვერ წარმომედგინა ბებია უიმპალტოოდ, რომ კაბის ზემოდან ჩავაცვი და თან გავაყოლე, — ბებია კი მხრებზე მხვევს მკლავებს, რომ გამათბოს და შეძლებისდაგვარად დამიცვას კიდეც შეხლა-შემოხლისაგან, და თან ისეთი დამახასიათებელი ყურადღებით ჩამყურებს თვალებში, რომ უკვე ვიცი: თავისი ძირითადი პრინციპი „წვრთნისა" უნდა განახორციელოს. „ჩემო გოგო, აბა, თუ მიხვდები, რომელი აფორიზმი გამახსენდა?! აბა, თუ მიხვდები?!" ბებიას ხმაში მოწოდება გაისმის, თან თვალს არ ახამხამებს და ჯიუტი მოლოდინით ჩამცქერის სახეში. მე სანამ „მივხვდებოდე", მინდა ცოტა მაინც გავიბრძოლო, არ მსურს ასე ერთბაშად დავნებდე ბებიას. „იცი, ბები, მენავთე სიკას უთქვამს დღეს ხუთ-ხუთ ლიტრს დავარიგებო, ესე იგი მე და შენ ათ ლიტრს ავიღებთ და მერე დიდხანს აღარ დაგვჭირდება ნავთის ყიდვა. ბებია წარბს აწკეპავს და კიდევ უფრო შეუპოვრად მომაჩერდება: „ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ხორცთან ჭიდილში იწრთობა სული, გეთაყვანე, და მე არ მსურს ჩვენი სიხარული და მწუხარება მხოლოდ ნავთსა და პურს უკავშირდებოდეს! ღმერთმა მხოლოდ დრო მოგვცა, ჩემო გოგო, სხვა კი არაფერი, ჰოდა, სულისთვისაც უნდა გავისარჯოთ!" მე ფეხებს ვაბაკუნებ, თოვლით დაზეპილ ქუჩაზე დიდხანს დგომას ვერ უძლებენ ბებიას შეკერილი მამაჩემის ფეტრის შლიაპისაგან, დაბალყელიანი „ვალენკები" და სიძველისაგან სრულიად გასიფრიფანებული და განაცრისფერებული კალოშები. „დააბაკუნე ფეხი, დააბაკუნე მაგრამ თან გაიხსენე ჩემი საყვარელი აფორიზმი, ლამის ყველა აფორიზმზე მნიშვნელოვანი ჩემთვის!" ლამის გამბურღოს თავისი შავი, ხოჭოებივით თვალებით. და მეც აღარ შემიძლია გავუძლო ამ „დაბურღვას" და ვერ „გავიხსენო":

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან.“

„ყოჩაღ, ჩემო გოგო, ყოჩაღ!“ მიღიმის და მაგულისებს ბებია, „და შენ, რა თქმა უნდა გახსოვს, რაც ვთქვით ჩვენ ჭკუისა და ურჩობის შესახებ?!“

„მახსოვს, ძალიან კარგადაც მახსოვს, სიტყვასიტყვით შემიძლია გითხრა, რომ ჭკუა ანუ აზროვნება თავისუფლების გარეშე არ არსებობს, აზროვნება უკვე ნიშნავს თავისუფლებას, მაგრამ როცა თავისუფლებას ებრძვიან, ძალიან ხშირად, აზროვნება გმირობას ნიშნავს, გმირობას და ურჩობას...“

„ოჰოჰოჰო, ნამდვილად არა ხარ ჩალაში გასახვევი!“ ბებია ახლა უკვე თავზე ხელს გადამისვამს და ალერსიანად მეტყვის: „გენაცვალოს ბებია, ლამის ნახევარზე მეტ დროს რიგებში ვატარებთ და ხომ არ შეიძლება ჩვენი ძირითადი საქმე ცოტა მაინც წინ არ წავწიოთ?! გულისყური უნდა მოიკრიფო, ჩემო გოგო, მთავარი გულისყურია, ყოველთვის და ყველა ვითარებაში!!“ და თავის ათასგან დაკემსილ ხელთათმანიან ხელს, დამაჯერებლობის განსამტკიცებლად, ზევით აღმართავს.

ჩვენი „მთავარი საქმე“, რითაც უნდა შევჭიდებოდით სიცივითა და შიმშილით შეჭირვებულ ხორცს, „ვეფხისტყაოსანი“ იყო, რომელიც ბებიამ მართლა ზეპირად იცოდა. ხან დაყვავებით, ხან შეგონებით, ხან თავის მოკატუნებით, ხანაც გახელებით ბებია ყოველთვის ახერხებდა ჩემს დათათბირებას და „გულისყურის მოკრებას“. მერე კი თავს დახრიდა და გამახალისებელი ღიმილით ჩამეკითხებოდა: „სად გავჩერდით, გენაცვალოს ბებია?! თითქოსდა ავთანდილის ლოცვასთან, არა?!“ და რომ ვეტყოდი უკვე ავთანდილის მეორედ წასვლაზე ვართ მეთქი, შეიცხადებდა, აბა, უყურე, როგორ გაგვივაკიაო?! მაშ, აბა, განვაგრძოთო!“ და ეს თამაში ისე ბუნებრივად გამოსდიოდა, ისე გულით გაიცინებდა, მეც აუცილებლად ამიყოლიებდა ხოლმე...

განსაკუთრებით მიყვარდა უკვე გავლილისა და ნასწავლის გამეორება „განმტკიცებისვის“. ბებია საგანგებოდ არჩევდა „ამოგლეჯილ“ ტაეპებს და მე უნდა გამომეცნო საიდან იყო და ვინ ამბობდა. ოჰ, რა ჩუმი ნეტარებით წარმოთქვამდა ხოლმე: „ზღვათა შიგან იხვსა ჰგვანდა, ხმელთა ზედა შევარდენსა, – აქა ვდეგ და თვალს ვუგებდი ქორსა: იქით განაფრენსა.“ აბა, განვაგრძოთ! ბებია, ვინ ამბობს, ვის უამბობს და რა უმნიშვნელოვანეს ცნობას აწვდის, მომაგონე?!“

გამეორების დროს აუცილებლად სიტყვებსაც ცალკე შემეკითხებოდა და შეამოწმებდა მტკიცედ მახსოვდა თუ არა: „აბა, გეთაყვანე, თან სიტყვებიც განმიმარტე და მითხარი რომელ სასახლეზეა ლაპარაკი და ვინ უამბობს ვისა: „ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა, კარზედა ბაღჩა, საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა.“ დაღლილ-დაწყვეტილები რომ ვბრუნდებოდით ან ბიდონი ნავთით, ან კილოგრამი ნამჯიანი პურით, ან ქვამარილის პატარა ლოდით, ბებია ხალისიანად შთამაგონებდა: „დღეს ჩვენ ძალიან ვიყოჩაღეთ და გახარებულებიცა ვართ! ასეა, გენაცვალოს ბებია, ტანჯვის გრდემლზე იკვერება სიხარული, მაშ!!“ და ბებიას წყალობით რუსთაველი ჩემთვის ბავშვობიდანვე გადაეჯაჭვა შეჭირვებული ადამიანის ყოფას, სულის საოხად და სასიხარულოდ.

და თუმცა დრო და ჟამი „წვრთნისა“ უკვე მიწურულიყო, ბებია ახლა, ამ ბნელ სარდაფში, სუდარის კერვისას, მიცვალებული ბებია ევას გვერდით და თავისი მოახლოებული სიკვდილით შთაგონებული, მომიწოდებდა ის ტრაგიკული დრო, აქ რომ ვიყავით შემოფარებული, დარბეულები და გზაკვალარეულები, არა მხოლოდ დამვინყებოდა, არამედ წვითა და დაგვით, გარჯით და წვალებით სიტყვებად, ტექსტად მექცია. როგორც ჩანს, „ცოდვილი მიწა“ მაინც თავისკენ ეზიდებოდა, ეტყობა უმძიმდა გასაფრენად გამზადებული სული მხოლოდ და მხოლოდ ლაჟვარდოვანი სივრცეებისთვის მიენდო, სურდა შეფარებოდა სიტყვების წიაღს, ამ უნდო და ცრუ წუთისოფელში, ადამიანური ყოფის ამ წამიერ გაელვებაში მაინც ყველაზე უფრო მისანდობად რომ მიაჩნდა. აკი ბევრჯერ უთქვამს: არა არის რა სიტყვაში გაცხადებულ ჭეშმარიტებაზე მაღალიო. უფალსაც ხშირად ევედრებოდა: „დაწმინდე უფალო სიავით ამღვრეული სისხლი და სიცრუით წარყვნილი სიტყვა.“

ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს.

სანთლების შრიალი ისმოდა...
ჩუმი, იდუმალი შრიალი...
იღვენთებოდა, თაფლის სანთლები მიცვალებულის თავთან, კუბოს გასწვრივ, კედელში დატანებულ აგურის ვიწრო თაროზე, წყლიან სურაზე, წანდილით სავსე ქაშანურის ბადიაზე, ბუხრის თავზე...
ყველგან, მთელ სარდაფში სანთლები ენთო... და სარდაფიც, ის სარდაფი აღარ იყო. ჩვენს თვალწინ გაიცრიცა და გაიფანტა სარდაფის ჩამოფხავებულ კედლებში ჩამომდგარი ბინდი. სარდაფი ახლა სავსე იყო ცვილისა და ახლად შენელებული თბილი წანდილის სურნელით, სავსე იყო ციმციმითა და შრიალით. გუნება გადამეწმინდა, ვიგრძენი შვება და ის თავისებური ნაღვლიანი ნეტარება, მიცვალებულის გვერდით ყოფნა და „სულის წიაღში ჩაღრმავება“ (ბებიას სიტყვით) რომ აღძრავს ხოლმე.
უსამართლობა იქნებოდა არ დამეფასებინა ბებიასთვის ის გაბრძოლება.
„ჩვენ სხვა რა ძალგვიძს?!“ – გვეუბნებოდა ცოტა ხნის წინ ხაზგასმული სერიოზულობით და სანთლების დასტას გაზეთის ნახევს აცლიდა, – პანაშვიდი არაო, ხალხის შეყრა არაო, დატირება არაო! რაც ჩვენ ხელთ არის, ის უნდა აღვასრულოთ! გასვენების წინ დავანთოთ სანთლები და სანამ ჩაიწვება, სიჩუმითა და სულის წიაღში ჩაღრმავებით ვცეთ პატივი მიცვალებულს.
გაისმა ღრმა ამოოხვრა, რომელიც ფრუტუნს უფრო ჰგავდა. იოსებას შევხედე და კინაღამ გამეცინა. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბებია ცალი ნიბოთი ნეტარიც იყო. იოსება წელან ისეთი გამალებული მოარბენინებდა კუბოს საბურავს, ახლა კი ისე მოუთმენლად ატრიალებდა ხელში ჩაქუჩს, რომ ცხადია მას ერთი სული ჰქონდა კუბოს სახელდახელოდ დასაჭედად, ურემზე დასადებად და სასაფლაოზე გასაქანებლად და ოდნავაც არ გრძნობდა იმის საჭიროებას პირში წყალი ჩაეგუბებინა, სანთლების წინ გაყუჩებულიყო და ფიქრებში ჩაძირულიყო.
„რას შემომყურებ, იოსებ! – დაუტია ბებიამ, – დადე ეგ ჩაქუჩი, მოესწრები მაგის კაკუნსაც! აბა, გამომართვით ეს სანთლები!“ – ბებიამ მე და გურამას სანთლები გამოგვიწოდა, – მიაკარით ყველგან და დაანთეთ!“
„კაცო!“ – დაიძახა გაგულისებით იოსებამ, – „ჩვენი პანაშვიდებისთანა საყაყანო ადგილს კაცი ვერა ნახავს და ევა ვითომ რა წითელი კოჭია?!“
„გრცხვენოდეს, იოსებ, გრცხვენოდეს! მიცვალებულისთვის სანთლების დანთებას იყვედრინები!“ – ბებიას წყენისაგან ხმა გაებზარა, – „როდის ეს სანთლები ჩაიწვება, კაცო! წამიერი სიჩუმე კიდევ მესმის და ამოდენა პირის დამუწვა რა ამბავია?! აი, ვინც დამუწა, იმასაც ეყოფა!“
იოსებამ ჩაქუჩი კუბოს ქიმს დააბჯინა და მიცვალებულს უკმაყოფილოდ დახედა, მერე ტელეგრეიკის ჯიბიდან ასანთის კოლოფით ლურსმანი ამოიღო და კუბოს სახურავთან დაიხარა, რომ ნაპირებზე ჩაერიგებინა.
„ყოჩაღ, იოსებ, ყოჩაღ! აღარ დაგვაცადო წმინდა სანთლის დანთება!“ – შესძახა ბებიამ.
„საქმეს წინ წავიგდებ, კაცო! ჯანდაბას, თქვენ სანთლები დაანთეთ, მე კუბოს დავჭედავ, სიჩუმე რაღა საჭიროა!?“
ბებიამ ჯიუტად გაიქნია თავი. აქამდე იგი ცდილობდა წანდილით სავსე ქაშანურის ბადიაზე სანთლები შემოერიგებინა, მაგრამ საჭირო სიჩუმეს რომ ვერ იცავდა იოსებასთან პაექრობის გამო, ხელები კიდევ უფრო უთრთოდა და ძლივს მიკრული სანთლები აქეთ-იქით უცვიოდა. ერთი სანთელი პირდაპირ წანდილშიც ჩაუვარდა. ახლა მან შეუპოვრად გაიქნია თავი, იოსებას შეხედა და დაქადნებით წარმოთქვა:
„მაშ, დაიხსომე, იოსებ, მოწმეებად ჩვენი შვილიშვილები მომიწვევია, შენს შეკრულ კუბოში არამცა და არამც არ ჩავწვები! ამით გათავდება ჩვენი ნაცნობ-მეზობლობა! ჰოდა, გადი ეხლა გარეთ, და გააქშუტუნე ეგ შენი საქშუტუნო!!“
იოსებამ თავი აიღო და ღრმა ფოსოებში ჩამჯდარი ამობნელებული თვალები ბებიას საყვედურით მიაპყრო, ეტყობოდა ბებიას სიტყვებმა გული დასწყვიტა:
„რათა, რუსუდანო, რათა, ადამიანო?! სიკეთე იყოს და იციი რა კუკლასავით კუბო უნდა შეგიკრა?! აემისთანა ყუთი კი არა!“

„ცუდი კაცის შეკრული კუბო არ მინდა! ჩემი ცოცხალი თავით არ ჩავწვები!“ — გადაბრჯნით იმეორებდა ბებია. „ჰო და ჰო, პაპავ, ახია შენზე!“ შემოსძახა იოსებას გურამამ. „რა არის, ძია იოსებ,“ ვუთხარი მეც, „ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაა.“ „ჯანდაბას ლეკების თავი!“ თქვა იოსებამ და ჩაქუჩი ტახტის კიდეზე დაადგდო, კუბოს სახურავის გვერდით, — „მოიტა ეგ სანთლები, მივაკრავ და მივატრიალებ ამ შენი გზაკვალარეული ევასთვის...“ მაგრამ ბებია აღარ ანებებდა იოსებას სანთლების დანთებას, ისეთი სიტყვა თქვი, ღირსიც არა ხარ წმინდა სანთლის ხელში ჭერისაო, კი გედროვება შეიგნო სამოცდაათი წლის მეკუბოვემ, რომ ჩვენ ყველა გზაკვალარეულები და ეულები ვართო.

„მოდი შევრიგდეთ, რუსუდანო,“ თქვა იოსებამ და ბებიას დაფანტული სანთლები მაგიდიდან წამოკრიფა, — „ყველაფერიც კარგად ვიცი, მაგრამ აგე ბიჭს დღეს გუნდის მეცადინეობა ააქვს, საოლიმპიადედ ემზადებიან და არ დაააგვიანდეს-მეთქი...“

„ნუ გეშინიან, პაპავ“ — სიტყვა ჩართო გურამამ, რომელიც სწრაფად და მარჯვედ ამწკრივებდა სანთლებს ბუხრის თავზე, — „იქამდე თუნდ ათ მკვდარს დავმარხავთ...“

„ნეტავი ვინ იმსგავსა ეს მორბედი ბიჭი,“ — ბებიამ გაქუცული წარბები შეჭმუხნა გამანადგურებელი დაცინვის ნიშნად და იოსებას შეხედა, — „რა თქმა უნდა, შენ არა ვაუბატონო!“ „ღმერთსაც დაეფარებინა, რუსუდანო, ჩემისთანას ჩემი მტერი დაემსგავსოს,“ — ერთბაშად გაიბადრა იოსება, რის გამოც თავისი განუმეორებელი სიფათი კიდევ უფრო მიეჩაჩ-მოეჩაჩა და ეშმაკს დაემსგავსა, „ჯერ ანზორაზე მისკდებოდა გული, დარდით აღარ ვიყავი, ჩემისთანა საფთხუნი არ გამოვარდეს მეთქი, ან ყბა არ გამოჰყვეს ჩემი, ან ცხვირი, ან რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, აქლემო, ყელი გაქვს მრუდე და რაღა მაქვს სწორეო. მაგრამ აი, ეგრეცა ხდება, გამოგორდა ჯერ ჩემი ბიჭი ბროწი კაკალივით და ჩემმა გურამამ ხომ, ენაცვალოს პაპა, ამ უნდილ გოგრაზე გვირგვინი დამადგა“.

გურამამ ხმამაღლა გაიცინა, ბებიასაც შეჭმუხნული შუბლი გაეხსნა და ჩვენ ყველა, ერთსულოვნად შევუდექით სანთლების დანთებას...

„პაპავ, ხედავ რა საყურებელია!“ გურამა შუა სარდაფში გაჩერებულიყო, ხელები გაეშალა და თავის ფოფინა თვალებს დანთებულ სანთლებს ავლებდა, თან ვარაუდს სწევდა დაუნთებელი ხომ არსად დამრჩაო...

... ყველგან, მთელ სარდაფში სანთლები ენთო...

ჩვენც ორ-ორი სანთელი გვეჭირა ხელში და ბებიას უკანასკნელი გაბრძოლების წყალობით გაყუჩებულები ვიდექით ტახტთან. თვითონაც არაფრით არ მოინდომა დაჯდომა, იდგა მიცვალებულის სასთუმალთან, ჯოხზე ჩამოყრდნობილი და კრიჭაშეკრული, გეგონებათ მთელი თავისი სატკივარი შეკრულ კრიჭაში მოუქცევიაო. მაგრამ მე მაშინვე მოვაცილე თვალი ბებიას და აღარც იოსებასთვისა და გურამასთვის შემიხედავს. სანთლის შუქით გაჩირაღდნებული მიცვალებული, რომლის ფაქიზად გამოძერწილ ნაკვთებს არც ცხედრისთვის დამახასიათებელი გახევება ემჩნეოდა და არც ტანჯვის ნატამალი, მშვენიერი სახე, რომელიც უსაზღვრო, თითქოს დაუსაბამო სიმშვიდეს გაემსჭვალა, ფიქრისა და განცდისთვის განმაწყობდა... დამიამდა თავის ტკივილი, ვიგრძენი შვება და თანდათან დამეუფლა ის თავისებური, ჭმუნვით სავსე სიამე, სიკვდილით დამუხტული მოგონებები და ზმანებანი რომ აღძრავს ხოლმე...

ჩამომდგარ სიჩუმეში სანთლების უჩუმარი შრიალი ისმოდა...

და მე უკვე სხვა შრიალი მესმოდა...

რიყისპირა წნორის შორეული შრიალი...

შორეული... ძალიან შორეული...

ევასი და გიოს სიყვარულისდროინდელი...

ჩუმათხევის სიოსი და ჩუმათხევის წნორის შრიალი...

როცა ჩამავალი მზის ირიბი სხივები ანათებდა რიყეს, და საძნე ურემს რიყისპირა საურმე გზაზე...

ურმის კოფოზე ევა და გიო ისხდნენ, ძნაზე ხალვათად მიყრდნობილნი და ნელი ტაატით მიირწეოდნენ...

მე კი გავრბოდი... მათკენ გავრბოდი... მათი უიღბლო სიყვარულის გადასარჩენად...

მე ვიცოდი, რომ აი, საცაა ისინი სამუდამოდ გაიყრებოდნენ...

მე ვიცოდი უკვე მათი სიყვარულის მწუხარე ბოლო...

მე ხომ ევასი და გიოს სიყვარულის ამბავი ბავშვობიდან თან მდევდა.
იმ დროიდან, ბებია ევამ დარბეულები რომ შეგვივრდომა და ამ სარდაფში შემოგვიფარა. როცა ბებიაჩემი და ბებია ევა, გაჯახირებული ცხოვრებით შეღონებულნი, ხშირად სიყმაწვილის მოგონებითღა ითქვამდნენ სულს. ისხდნენ ბუხართან, ზამთრის გრძელ ღამეებში, საკერებელს ადებდნენ გაცვეთილ ტანსაცმელს, კემსავდნენ გაწყალებულ წინდებს... ან საბატიბუტე წვრილკბილა სიმინდს ფხვნიდნენ, რომ ჩემთვის ბატიბუტი დაეხალათ... და იგონებდნენ...
„მამა ლუკა გულდაწყვეტილი მეუბნებოდა...“
„როდის, რუსუდანო, მაშინ?“
„ჰო, თქვენი უბედურების დროს, გიოს ანდერძის ასაგებად რო მოვიდა...“
„ოჰ, როგორ სწყდებოდა გული... გაუცრუვდა ლოცვა-კურთხევა ჩვენს მამა ლუკას...“
„კაკალქვეშ იჯდა, სანამ დიაკვანი და მგალობლები მოვიდოდნენ და სწორედ მაშინ მეუბნებოდა...“
„ალბათ, იმას ამბობდა მე და გიოს რო შეგვხვდა ჩუმათხევში და დაგვლოცა...“
„ჰო, ამ ცოტა ხნის წინ შემხვდნენ რიყეშიო ევა და გიოვო და არასდროს ცოცხალი ადამიანის ნახვას ასეთი სრულყოფილების გრძნობა არ აღუძრავსო...“
„მინდვრიდან მოვდიოდით საძნე ურმით... ძნა მოგვქონდა...“
„არასოდეს ცოცხალი ადამიანის ნახვას ჩემში ასეთი სრულყოფილების გრძნობა არ აღუძრავსო...“
„ეჰ, ჩემო რუსუდანო, შენა და მამა ლუკა იყავით ჩემი მანუგეშებლები...“
მე ტახტზე ვწევარ, აი, ამ ტახტზე, სადაც ახლა ბებია ევა ასვენია და როგორც ბავშვებს სჩვევიათ, ყველაფერი აღმატებულ ხარისხში, მოჯადოებულივით წარმომიდგენია: ნნორი შრიალებს... და ეს შრიალი კი არა მოთქმაა...
არავის არ ესმის რაზე შრიალებს ნნორი, რას მოთქვამს, მე კი ვიცი, ყველაფერი ვიცი, და სწორედ ეს უნდა შევატყობინო ევასა და გიოს...
ახოვან კამეჩებსაც
„ბებია ევა, რა ერქვათ თქვენს კამეჩებს?“
„შენ არ გძინავს?“ შეიცხადებს ბებია.
„რომელ კამეჩებს?“ – იკითხავს ბებია ევა.
„აი, საძნე ურმით რო მოდიოდით და მამა ლუკა შეგხვდათ...“
„ყორანა და მერცხალა ერქვათ...“
„ყორანა და მერცხალა, აღარც დამავიწყდება...“
„გიომ დაარქვა, იმან იცოდა კარგი სახელების დარქმევა.“
„დაიძინე, გენაცვალოს ბებია, დაიძინე!“
მიკვირს ბებიასი, რა დროს დაძინებაა, როცა ყორანასა და მერცხალასაც თავები ჩაუქინდრავთ და დიდი შავი თვალები კაეშნითა აქვთ სავსე... ისინი გრძნობენ, და იქნებ ხედავენ კიდეც გიოსკენ დამიზნებულ სიკვდილის მახვილს, ბასრი წვერი ვარსკვლავივით რომ უელავს.
და მე გავრბივარ, მათკენ გავრბივარ, მუჭაში ნატვრის თვალი მაქვს დამუწული და დედამიწას ფეხს არ ვაკარებ, ისე გავრბივარ. მხოლოდ შარაგზას ვხედავ, გრძლად განელილს, მაღლა, მაღლა რომ მიიწევს და თითქოს ცას უერთდება... შარის გაყოლებით მაყვლის ბარდებს კი ყურადღებასაც არ ვაქცევ, დაე გაკენკონ მთელი მაყვალი გაუმაძღარმა შაშვებმა და ჩხართვებმა, სიხარბით აჭრიახებულნი, ფრთხიალ-ფრთხიალით გარს რომ ევლებიან მწიფე მაყვლით გადაშავებულ, სურნელოვან ბარდებს...
მე მათთვის არ მცალია...
მე არავისთვის არ მცალია...
მე უნდა დავეწიო ევასა და გიოს და გავაფრთხილო...
მე უნდა გადავარჩინო მათი სიყვარული! ამიტომ გავრბივარ ისე სწრაფად...
რა თქმა უნდა, უფრო სწრაფად, ვიდრე აივენჰო, რებეკას გადასარჩენად რო მიათქარუნებდა თავის რაშს... ყველაზე სწრაფად, ვისაც კი ოდესმე ვინმეს გადასარჩენად ურბენია... გული ამოვარდნაზე მაქვს... ცოტაც და ასე მგონია სული ჩიტივით ამომიფრინდება...
უკან მოვიტოვე მაწანწარა...
ვარდისუბანი...
თურდო...
ბურდელაური...
რუისპირი... აგერ იყალთოც...
საცაა ჩუმათხევიც გამოჩნდება...
ქვიშას ჩხრიალი გააქვს ჩემს ფეხქვეშ...
აი, ავუხვიე ჩუმათხევისკენ, შორს ურემიც გამოჩნდა, ჯერ მხოლოდ ზვინს ვხედავ, მაგრამ მანძილი სწრაფად კლებულობს ჩემსა და მათ შორის... აი,

დავეწიე კიდეც ურემს, გადავასწარი, წინიდან დავუარე და...
მოჯადოებულივით მივაჩერდი ევასა და გიოს, ძნაზე მიყრდნობილნი, ნელი ტაატით რომ მოირწეოდნენ ახლა უკვე ჩემსკენ...
ევას შაბიამნისფერი თავშალი აქვს თავზე დაბორბლილი, შუბლზე ჩამოშლილ ფოჩებს რიყის სიო ურხევს და უშლის, უფაქიზეს ყვრიმალებთან დიდი ზურმუხტები თილისმასავით უელავს, ოქროსფერ შუქს ასხივებენ მისი საოცარი თვალები, ზვიადი ბედისწერის მომნუსხავ შუქს, მოახლოებული განშორების გულსაკლავ ნათელს. გიო ევასკენ გადახრილა და სახეში ჩასცქერის...
თვალები ლურჯად უკაშკაშებს...
ძნისფერ თმებზე კი ჩამავალი მზის ნათელი განწირულების შარავანდედივით უბრწყინავს. მათ სხეულებში, დანინწკლული ჩითით შემოსილ სხეულებში, სიტკბოებაა ჩაღვრილი, სიყვარულის მთრთოლვარე სიტკბოება...
– ჩემო გიო... – ამბობს ევა.
– ჩემო ევა... – ამბობს გიო.
მე მოჯადოებულივით ვუყურებ მათ და ნელნელა უკან ვიხევ...
არა, მე არ დამვიწყებია რისთვის მოვრბოდი, მათკენ რისთვის მოვისწრაფოდი. მაგრამ მათ დანახვაზე მყისვე ვგრძნობ ბედისწერის სუნთქვას და სასოწარკვეთით ვხვდები, რომ ჩემს მუჭში მომწყვდეულ ნატვრის თვალსაც არ ძალუძს გათიშოს და გაყაროს სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული წყვილი.
„დიდი ცოდოობა დატრიალდა,“ მეუბნებოდა ხოლმე ბებია, „და ეს განსაკუთრებით დასანანია იმიტომ, რომ ევას ცხოვრება, მშვენიერი ქალის საღი და ჯანსაღი ცხოვრება ჩემს თვალწინ გაცამტვერდა, და თვითონ ევა უფსკრულში ჩაკიდებული ნამეხარი ხესავით დარჩა.“
ბებიას სიტყვები ლახვარივით მხვდებოდა, გულს მიკოდავდა, უსამართლობისა და უწყალობის შეურიგებელი განცდით მავსებდა.
„სიმართლე გითხრა, – განაგრძობდა ბებია, – ზოგჯერ მეც კი მაოცებდა როგორ შესძლო ცალად დარჩენილმა მზეთუნახავმა წინ აღდგომოდა აღტაცებულ მსურველთა ლაშქარს, წინ აღდგომოდა თავისი მეორე ქმრის, სპირიდონას ბობოქარ ვნებებს, მთელი სიცოცხლე ჰყვარებოდა თავისი უდროოდ წასული გიო და არასოდეს მისი ხსოვნისთვის არ ეღალატა. ჩემს თავს რომ ყოფილიყო ეს ამბავი, გასაკვირიც არ იქნებოდა, იმიტომ, რომ ქალვაჟური სიყვარული ჩემთვის გადამწყვეტი არასოდეს არ ყოფილა, გათხოვებამდე მე საქვეყნო საქმეზე ვოცნებობდი და რაც გავთხოვდი, ძალიანაც მიყვარდა პაპაშენი გრიგოლი, მაგრამ ჩემთვის მთავარი ოჯახი და შვილები იყვნენ. ევა კი სწორედ სიყვარულისთვის იყო დაბადებული და ერთი დღე ვერ წარმოედგინა უსიყვარულოდ არსებობა. თანაც, ყოველგვარი პრანჭვის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ძალიანაც სანდომიანი ვიყავი, მაგრამ ასეთი ლამაზი და მითუმეტეს მზეთუნახავი არასოდეს არ ვყოფილვარ. ჰოდა, საქმეც ეს არის, ევას დანახვაზე ხომ ყველას, დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, გაოცება აღეჭდებოდა ხოლმე სახეზე. ევას აღმართზე გამოჩენისთანავე ხომ მედუქნეები დუქნებს კეტავდნენ და გარეთ გამოეფინებოდნენ ხოლმე... გიუნა ვახვახიშვილი კი, მშვენიერი ჭაბუკი, თელავის გიჟმაჟი ყმაწყილკაცობის თვალისჩინი, ყოველ მისვლაზე სათავადაზნაურო კლუბის მეკარეს ხელში ოქროს ჩაუდებდა ხოლმე: ფხიზლად იყავი და ევას თუ მოჰკრა თვალი, ან ავლილს, ან ჩავლილს, ან ქვეითად, ან ეტლით, ფიცხლავ შემატყობინე, რომ დავინახო მაინც არის და თვალგული გავახაროვო. რაღა გიუნა ვახვახიშვილი და რაღა სხვები, ვინ მოთვლის რამდენნი იყვნენ. მაგრამ ველარავინ ვერ აუძგერა გული, თავის სიყვარულს მისტიროდა და მართლაც რომ უმერთობა იყო იმ სიყვარულის დაღუპვა... უმერთობა.“
მე ახალი ძალით მომაწვებოდა სასოწარკვეთა და სინანული, აკანკალებულ ნიკაპზე მუშტებს მივიბჯენდი, რომ მოზღვავებული ცრემლისთვის გზა გადამეკეტა. ბებია კი ხმას გაიმტკიცებდა და ჩემს დამშვიდებას მოჰყვებოდა: „გენაცვალოს ბებია, სიყვარული ტანჯვითაც ხომ უნდა აიწყას, მხოლოდ ტკბობისა და ლხენის საწყაულით ხომ მრუშები და თავქარიანები წყავენ სიყვარულს?! ევა კი თავის გრძნობას ჩვენს სალოცავ წმინდა გიორგის უკავშირებდა და ასეთი სიყვარული რომ ჰქონდა, მთავარი ხომ ეს არის?! სოფელში ამბად დარჩა მათი სიყვარული და ესეც ხომ რამედ ღირს?! მამა ლუკა ჩემი დაუვიწყარი მოძ-

ღვარი, ზეგარდმო ნების განხორციელებად მიიჩნევდა ევასი და გიოს სიყვარულს, უფლის წყალობად თვლიდა, და განა ეს ჩვენთვის სანუგეშო არ უნდა იყოს?!" ჩემთვის ეს ნაკლებ სანუგეშო იყო და მე ისევ მოვმუჭავდი ნატვრის თვალს და ბავშვის თავგანწირვით გავრბოდი მათ გადასარჩენად.

მაგრამ ზოგჯერ გრძნობით ვხვდებოდი ბებიას სიტყვებში გაცხადებულ პირქუშ ჭეშმარიტებას. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ბებია ევა ტყეში წამიყვანდა ხოლმე. საღამოს თუ მეტყოდა: ეცადე დილით ადრე გაიღვიძო და ტყეში წაგიყვანო, სიხარულით ძილი გამიკრთებოდა. ბედნიერება იყო ბებია ევასთან ერთად ტყეში წასვლა. ტყე-ველი ხომ მისი სამფლობელო იყო. ტყუილად კი არ ეძახდა მარო თავის დედამთილს ტყის ქალსა და ტყის ალქაჯს. ტყეში მას მართლაც თითქოს სხვა სული ედგმებოდა, გულ-გვამში თითქოს ტყე-ველის სიო ჩაუსახლდაო, სხეული ერთბაშად შეუმსუბუქდებოდა და აუმჩატდებოდა და მის ყოველ მოძრაობასა, თუ მიმოხრაში იგრძნობოდა ის შვება და სიხალვათე, მშობლიური წიალი რომ ბადებს.

ახლაც თვალწინ მიდგას: მიდის ტყის ბილიკზე ბებია ევა, სხარტად, მსუბუქად მიაბიჯებს, თავშლის ბოლოები კეფაზე აუკრეფია, კაბის საყელო შეუხსნია, მიდის მლოცველივით თავაწეული, ხეებს თვალს აყოლებს და დუდუნით, თავისთვის ამბობს: „მიყვარს კენწეროებს შორის გამომზირალი ცა... დაილოცოს შენი სინათლე."

ახლაც თვალწინ მიდგას: ქვიან ფერდობზე, შავჯაგასთან ჩაყუჟულა ბებია ევა, მარჯვე საფარი მოუნახავს და განაბული უთვალთვალებს ჩიტბატონას, იქვე შორიახლოს ბალღოჯის გაპენტილ შტოზე რომ გალობს, პაწია სალამურის კამკამა ხმით ამბობს თავის საგალობელს და გალობის დროს ღაბუა მკერდი ისე უთრთის, ასე მგონია: ხმაც რომ არ გავიგონოთ, თრთოლვით ვიგრძნობთ ჩიტბატონას ჰანგის ფაქიზ მიმოხვრას. ბებია ევა მხარზე ფრთხილად მხვევს ხელს, მის მშვენიერ თვალებში სინაზე კრთის, ცვილისფერ სახეზე კი სათუთი ღიმილი დაჰფენია...

ახლაც ვხედავ როგორ იწვდის ხელს ცისკენ ბებია ევა, რომ დამანახოს კირკიტა, ცაში მოლივლივე და ჰაერში მეყვსეულად შეჩერებული. საოცარი იყო ეს შეჩერება, ეს წამი, ნადირობის ლტოლვითა და ჟინით დამუხტული წამი. ბებია ევა კირკიტას ელვასავით მზერას ბრძოლის ველი მყისიერად უნდა აღენუსხა, რათა თვალისდახამხამების უმალ ციდან მოსხლეტილი მეხივით დასცემოდა ნადავლს.

ახლაც მახსოვს ის უსურვაზი, ბებია ევამ რომ მაჩვენა. რამდენი ვიარეთ, რამდენი ვიხეტიალეთ, სანამ მივაგნებდით ულრანი ტყის შუაგულში, დიდ წიფელზე ასულ უსურვაზს, მზის მოტრფიალეს, შავ ხაზად რომ ასდევდა წიფლის თეთრ ტანს, ბედმა თუ შემთხვევამ ულრან ტყეში, უზარმაზარი ხის ქვეშ ამოაყოფინა თავი და ისიც კერპი და თავგადაკლული მოთმინებითა და მისწრაფებით დაადგა მზისკენ მიმავალ გრძელ გზას, და კინაღამ გაწყდა წელში, კინაღამ სული ამოხდა, სანამ თავისას გაიტანდა, სანამ წადილს ეწეოდა, სანამ ცაში ატყორცნილ ხეს წვერზე მოექცეოდა და მაღლა გასული თავისუფლად ამოისუნთქებდა, ლაღად და ნებივრად გაირთხმებოდა, კელაპტარივით ანთებულ წიფელს ჩამოაბნელებდა, და კენწეროზე გადაბარდული, ცის ნამით განბანილი, მზის გულზე სურნელოვან თაიგულად გადაიშლებოდა...

ბებია ევას შემწეობით გაჭირვების დროს სანახევროდ ტყით ვირჩენდით თავს: შეშა-ფიჩხი იქნებოდა, ტყის მხალეული, თუ ხიჩატელი... ჯერ კიდევ ყვავილობის დროს მიხვდებოდა როგორი მოსავალი იქნებოდა ტყეში, მერე ხომ სულ ზეპირად იცოდა როგორ ესხა მუხებსა და წიფლებს, მაყვალსა და ზღმარტლს, შვინდს, ქაცვს, პანტასა და მაჟალოს, გუმანით ხვდებოდა სად როგორი სატაცური გაიხარებდა, სად როგორი არჯაკელი, სოკო და ღანძილი... წყალი ხომ, რაც უნდა გვალვა ყოფილიყო, და რაც უნდა უწყლო ადგილი, გეგონებათ ფრჩხილში ჩაიხედაო, ისე უტყუარად, ისე შეუმცდარად აიღებდა გეზს უჩინარი წყლისკენ. თითქოს ჩვენი უძველესი წინაპრის, ტყის ბინადრის პირველყოფილი სული იყო ჩასახლებული და შერწყმული თანამედროვე ადამიანის სულთან. და მეც მის გვერდით მეუფლებოდა გრძნობა, რომ ჩვენ დაგვკარგოდა რაღაც მნიშვნელოვანი, შეიძლება ძირითადი და არსებითი, ჩვენს ულრმეს ფენასთან, სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლის მთავარ ძარღვთან დაკავშირებული. ამიტომ ბებია ევასთან ერთად ტყე-ველზე ხეტიალი და ხიჩატელის კრეფა სხვა მნიშვნელობით ტვირთავდა, სხვა შინაარსით ავსებდა ირგვლივ ყოველივეს. მის გვერდით, მის თვალქვეშ ყველაფერი სხვაგვარად ცოცხლდებოდა, სხვაგვარად იწყებდა ფეთქვას. აქ მისთვის უცნობი და უსახო არაფერი იყო, აქ მისთვის ყველაფერი განუმეორებელი და გულში ჩამწვდომი სახელით იყო სახელდებული, და ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინ მოიგონა ამდენი უჩვეულო და ნაირნაირი სახელი, ბებია ევა შემომანათებდა თავის სხივიან თვალებს, ტყეში რაღაც უცნაურად მოელვარე რომ უხდებოდა და ღიმილით მეტყოდა:

„ღმერთისა და კაცის მონათლულია ეს მთაბარი, ჩემო გოგო, დაიხსომე!“

ჩემზე ეს სიტყვები გამოუთქმელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

სივრცე უსაზღვროდ ვრცელი და დიადი ხდებოდა...

ყოველივეს სხვა ელფერი ედებოდა... წარმოვიდგენდი როგორ დააბიჯებდა ღმერთი თავისივე შექმნილ ბიბინა ველ-მინდვრებზე, მოშრიალე ჭალებში, მთების ხავერდოვან კალთებზე, მისი უმაღლესი ნებით სივრცეში ცვარი ციმციმებდა, ჟუჟუნა წვიმა ეპკურებოდა ირგვლივ ყოველივეს, ის კი ღვთაებრივ თვალს ავლებდა მიდამოს, შემოქმედის გამჭოლი მზერით დაღავდა და მცენარე იქნებოდა, მღილი, ყვავილი თუ ჩიტი, ხე თუ ქვა, ბალახის ღერიდან დაწყებული, „კენწეროებს შორის გამომზირალი ცით“ გათავებული, ყველაფერს სახელს ჩაუთქვამდა, გულში ჩამწვდომ, უცნაურსა და უჩვეულო სახელს, რომელიც შემდგომში ადამიანებს უნდა გამოეცნოთ. მე ღრმა სინანული მიპყრობდა იმის გამო, რომ მეც იმ ბედნიერ ადამიანებში არ ვერიე, ღმერთის ნაგულისხმევი სახელები რომ ამოიცნეს და მიხვდნენ: ამ უმშვენიერეს ყვავილს „ნაღველა“ ერქვა, ამ ვარდისფრად აფეთქებულ ბუჩქს, რუხ ქვიშრობზე უზარმაზარ თაიგულად რომ გაფურჩქნულიყო, „იალღუნი“ და ამ ვერცხლისფრად მოშრიალე დიდებულ ხეს კი „ვერხვი“. მაგრამ ბებია ევა მარწმუნებდა: მაგაზე შენ გულს ნუ დაიწყვეტ, იმათ თუ ის ამოიცნეს, სხვებმა სხვა უნდა ამოიცნონო. ყველამ თავისი ამოსაცნობი უნდა ამოიცნოსო, ეს არის მთავარიო. ღმერთს ხომ ყველას წილად რაღაც აქვს ჩაფიქრებულიო.

„და ჩემს წილადაც?“ – გაფაციცებულმა შევეკითხებოდი.

„რა თქმა უნდა, პირადად შენს წილადაც! ღმერთი არავის ჩალაში არა ხვევს, რაღა შენ უნდა გაეხვიე?!“

„მერე როგორ უნდა ამოვიცნო?“

„საქმეც ტოროლაა! ამოცნობა ჭირს, ძალიან ჭირს, უმრავლესობას უჭირს, იმიტომ რომ, ჩემი ფიქრით, გულში ღრმად ჩახედვაა საჭირო... ძალიან ღრმად...“

„მერედა ასე ძნელია გულში ღრმად ჩახედვა?“

„ჭრელი სოფლით თავბრუდახვეული, საწუთროს სიმუხთლით დალაჩრებული კაცისთვის სწორედაც რომ ძალიან ძნელია. ყველაფერს თავის მოტყუება ურჩევნია. ჰოდა, თავის მოტყუების გზაზე დამდგარი თავისი მანანავებელი, სულ იავნანა-ვარდონანას მოღიღინე ვერასოდეს ვერ მიხვდება ღმერთმა მისთვის რა ჩაიფიქრა და გულში რა ჩაუდო. ივლის ბენტერასავით თავისი დღე და მოსწრება და გრძელ გზასაც ბენტერასავით გაუდგება“.

მე გავჩუმდებოდი, არ შევეკითხებოდი: შენ თუ ამოიცანი რაც ღმერთმა შენს წილად ჩაიფიქრა მეთქი, იმიტომ რომ ტყე-ველზე ხეტიალის დროს მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი, რომ ეს ჩანაფიქრი შორეულ წარსულთან იყო დაკავშირებული, გიოსი და ევას მწყემსობასთან და სიყვარულთან.

ტყისპირებში ფიჩხის გროვების დროს ცხვრისა და მწყემსის ხმას თუ გაიგონებდა, გეგონებათ ზარი ჩამოურეკესო, ფიცხლავ აიღებდა თავსა და თვალს გააყოლებდა ტყის გზაზე ჩამოვლილ ფარას. დიდხანს, დიდხანს უყურებდა...

„შეხე, შეხე ქეჩსა?! რა დარბაისლური სვლა აქვს?! მიდის და თან ისე დინჯად ატრიალებს აქეთ-იქით თავსა, ღირსებით ავლებს თვალს გარემოს! ცხვარი კი მიყვარს! ძალიან მიყვარს! უბედური ცხოველია, დაბნეული ცხოველია, სუნი მაგან არ იცის, გეზი მაგან არ იცის, ოგური მაგან არ იცის, სიუცხოვე მაგან არ იცის, გზა და კვალი... ქეჩის გარეშე ფეხს ვერ გადაადგმევინებ... სულ შენს თვალქვეშ უნდა იყოს... მარტოდ დარჩენილმა ერთმა ცხვარმა შეიძლება ბღავილი დაიწყოს და სამი უკვე ხმას არ იღებს... რო დაი-

ნახო როგორ მისდევს მგელსა! თვითონ უფრო სწრაფად გარბის, ერთი ბეწვა წინააღმდეგობას არ უწევს, გარბის რაც ძალი და ღონე აქვს, საცოდავია და რა ქნას?!"

„შენ საცოდავი თქვი და სიღარიბეს როგორ დაუბაკუნა ფეხი და ფარეხიდან გააგდო?!" – ვეტყოდი მე დიდი თავგამოდებით, რომ მესიამოვნებინა, აქაოდა შენი ნათქვამი და ნაამბობი მახსოვს მეთქი.

„გააგდო მაშ, გააგდო! აბა, შენი ადგილი აქ სად არისო? ერთ კუთხეში მე უნდა დავდგე, მეორეში მატყლი დავდო, მესამეში ყველი და მეოთხეში ბატკანი დავაყენოვო..." – ღიმილით თავს გადააქნევდა, – „დალოცვილი ცხოველია".

ჩვენ ისევ ფიჩხს მივუბრუნდებოდით, ერთხანს გაჩუმებულები ვაგროვებდით და მე ვიცოდი: ბებია ევა თავის წარსულზე ფიქრობდა, თავის გიოზე, ამ ქვეყნად თავის დაკარგულ ადგილზე და თავისი ნამდვილი დანიშნულების გაცრუებასა და გაქარწყლებაზე. „ეჰ, ჩემო გოგო, – როდის, როდის მეტყოდა დანანებით, – ვინლა ვარ მე ეხლა და რა მქვია, – არც არავინ... ვიღაც... ფესვებდაგლეჯილი..."

ჩემთვისაც ყველაზე უფრო სანუკვარი და ამაღელვებელი სწორედ იმ შორეული, უიღბლო სიყვარულის მოგონება იყო, ბებია ევას სულში სამუდამოდ რომ დაეტოვებინა გლოვის დაღი და ბუნების წიაღში თითქოს ხელმეორედ იბადებოდა და ცოცხლდებოდა. არც მახსოვს ტყეში წავსულიყავით ისე, რომ თავისი გიო და თავიანთი მწყემსობა არ გაეხსენებინა.

მზის ჩასვლის ფიქრიანი ჟამი რომ ჩამოდგებოდა და ჩვენც მთელი დღის ხეტიალით, ფიჩხის გროვებითა, თუ ხიჩატელის კრეფით დაღლილ-დაწყვეტილები ამორჩეულ ვერხვის კორომთან, დიდი ვერხვის ამოკუზულ ფესვებზე ჩამოვსხდებოდით და ჩვენს ღარიბულ სუფრას გავშლიდით, ბებია ევა მჭადპურის ნატეხს წყალღვინოში ჩაანობდა, „მიაგებოს ჩემს გიოსო", იტყოდა და ისე გახედავდა მიდამოს, თითქოს გიოს ცხოველ სულს აქ დაედო სამუდამო ბინა, ამ ტყე-ველზე, ამ ახოებში, ამ ჭალებში დარჩენილიყო, აქ დავანებულიყო... და ამ სულთან შეხება იყო სწორედ მოგონებასა და სიყვარულს რომ აცხოველებდა. მე ისიც კი მეგონა, თუ ძალიან დავძაბავდი სმენას, ძალიან... გიოს სალამურის ხმასაც კი გავიგონებდი... ვინ იცის, იქნებ ამ ვერხვის ქვეშ რამდენჯერ მჯდარა, რამდენჯერ აუკვნესებია სალამური. აკი მეუბნებოდა ბებია ევა:

„იმისთანა ცეკვა-თამაში, ფანდური და სალამური ამ არემარეზე არავინ იცოდაო".

„ბებია ევა, – ვეტყოდი მუდარით, – თუ ხათრი გაქვს, გიოს სიმღერა მითხარი, შენ რომ მოგიმღერებდა ხოლმე".

ბებია ევა გულიანად გაიცინებდა, დროჟამისაგან შეუმუსრავ კბილებს გააელვებდა:

„სად ბერი ცხენი, სად ჭრელი უნაგირი..."

„თუ ხათრი გაქვს, მითხარი..."

„ეჰ, სახუმაროდ მოიგონა ის შაირი და გამართლდა კია..."

„ჰოდა მითხარი, გეხვეწები მითხარი".

ბებია ევა წყნარი, მოლულუნე ხმით დაიწყებდა შაირის წამღერებას: „გულის ნატეხო ევაო... დარდი ნაბდად მეხვევაო... შენი სიტურფის პატრონსა... მოელის ცრემლთა ნჩქრევაო..."

მე ვიჯექი ვერხვის ამოკუზულ ფესვზე, ყურს მივუგდებდი ბებია ევას მოლულუნე ხმას და ვგრძნობდი: ღმერთისა და კაცის მონათლული ეს მთაბარი სიყვარულისა და განშორების სევდით იყო გამსჭვალული და ჩემთვის ახლა ნამდვილი ღირებულება სწორედ ამ განცდას ჰქონდა, სამუდამოდ დაკარგული აღთქმული ქვეყნისა და სიცოცხლის მუდმივი მდევარი ბედისწერის განცდას. მეც მიყვარდა ის შორეული მწყემსი, ჩემი არსება მას ეკუთვნოდა, ამიტომაც მოვისწრაფოდი ტყისკენ, ამიტომაც მომიხაროდა, რომ განმეცადა ოდესღაც ნათქვამი ჰანგი, თითქოს მაშინაც საგანგებოდ ჩემთვის ნათქვამი.

და მე აღარ გავრბოდი ევასი და გიოს გადასარჩენად, აღარ მივფრინავდი გასროლილი ისარივით, შველისა და გადარჩენის წყურვილით ატანილი, არამედ მთელი დღე ტყეში ხეტიალით დაღლილ-დაწყვეტილი, ვერხვის დაშაშრულ მერქანს მიყრდნობილი, ყურს მივუგდებდი ბებია ევას დაბალ, მოლულუნე ხმას, გარინდებული გავყურებდი გიოს სულით გამსჭვალულ მიდამოს და გულს მიკლავდა გორს იქით ჩაბრძანებული მზის ათინათი, მთის წმინდა გრეხილს და ფერდაზე შეფენილი

ტყის ოქროსფერ ქოჩორს რომ ევლებოდა...
მე ვგრძნობდი, რომ ახლა უკვე ჩემი განცდა ხდებოდა ჩემთვის ფასეული, დროჟამის შამბნარში ჩაკარგულ საიდუმლო ბილიკისკენ რომ მიბიძგებდა...
ვგრძნობდი რომ მათი უბედურება უნდა გამხდარიყო ჩემთვის საწინდარი საკუთარი ჭეშმარიტების ძიებისა და იქნებ პოვნისაც. და კიდევაც ამისი შეგრძნება მავსებდა ჭმუნვით სავსე ნუგეშით.

●

„ბროლო და ლალო, ოროვე, კვლა ერთად შენათხზენაო“

გაზაფხულის გიორგობას მაწია ყოველთვის სოფელში ხვდებოდა.
ამოვიდოდა ზამთრის ბინებიდან, დაიბანდა, დასუფთავდებოდა, წვერს შეისწორებდა, კოხტად დაიყენებდა, ლურჯი მაუდის ჩოხას ჩაიცვამდა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალს შეიბამდა, კრაველის ქუდს დაიხურავდა, ევასაც ახალ კაბა-ჯუბაში გამოაწყობდა, ახალ ფეხსამოსს ჩააცმევდა, ლამაზად აწვდილ ყელ-კისერზეც ჭრელ ქალაღაიას მოახვევდა და თავის მორთულ-მოკაზმულ გოგოსთან ერთად დილის წირვაზე საყდრისკენ გასწევდა.
უყვარდა მაწიას ეს დღე, გულს მიამტკივნებდა და გამორჩეულადაც აღნიშნავდა. სწორედ გიორგობა დღეს იყო, ამ თვრამეტი წლის წინად, საყდრის ეზოში პატარა, მწყაზარ ხვარამზეს რომ მოჰკრა თვალი და ვინ მოთვლის რამდენი ღამე გაათენა თეთრად, სანამ გაბედავდა და უცოლოდ ჩამობერებული ნორჩი მზეთუნახავის მამას კაცებს გაუგზავნიდა. ის დიდებული შუბლის ქინძისთავებიც, ძველებური მსხვილი ალმასებისა, მაშინ მიართვა საჩუქრად. ასი სული ცხვარი კი არა, რომლის საფასური ამ ალმასებში გადაუხადა მაყაშვილის ქვრივს, სული რომ ეთხოვათ, ალბათ, სულსაც არ დაიშურებდა, ისე იყო შეძრული ხვარამზეს მშვენებით.
ახლა კი რა?! ავიდოდა თუ არა საყდრის ეზოში, წირვის დაწყებამდე ჯერ თავისი დაუვიწყარი ხვარამზესი და დედ-მამის საფლავებს მოინახულებდა, სეფისკვერს გაჭრიდა, წირვის შემდეგ კი აუცილებლად გადაუხდიდა პარაკლისსაც.
მუხთალი წუთისოფელი! შვიდი გაზაფხული იზეიმა ხვარამზესთან ერთად, შვიდი გიორგობა, შვიდი „დიდბატონობა“. მერე კი გამოეცალა ხელიდან, გადაჰყვა მუცელს და თავისი მაგიერი პატარა ჩვილი დაუტოვა. გულმოკლული მაწია თავდაპირველად ახლადდაბადებულისაკენ არც კი იხედებოდა. ღმერთო მაპატიე, მაგან გამაუბედურა და მაგან მომიკლა ჩემი ხვარამზეო, ღმერთო მაპატიეო, თავის გულში, ჩუმად შეღაღადებდა ღმერთს. მაგრამ „ხვარამზეს სახსოვარზე“ ჩქარავე მოიტრიალა გული, დედის სახელი, ევა, დაარქვა და მას შემდეგ უბიდან და კალთიდან აღარ მოუცილებია. თვალადი და შემძლე კაცი იყო მაწია, ჭარმაგობის მიუხედავად ბევრი სიამოვნებით შეებმებოდა მასთან უღელში, მაგრამ ჯერ იყო და ხვარამზეს გლოვობდა, დიდხანს გლოვობდა...
მერე კი გადაწყვეტით ფიქრობდა: ჩემს თვალისჩინს, ჩემს ობოლ ევას არავის დავაჩაგვრინებო, სანამ კარგად არ მოვაჩიტებ, ჩემს თავზე არც ვიფიქრებო. აკი შეასრულა კიდეც ნაფიქრალი, ევა სადაცაა თორმეტი წლისა გახდებოდა, კვიცივით სულ მამას დასდევდა და მაწიაც თავისი სიცოცხლის აზრს სწორედ ამაში ხედავდა. რამდენჯერ უთქვამს: წყალსა და მეწყერს წაუღია ყველაფერი, თუ ჩემი ევა კარგად არ მეყოლებაო.
ახლად ფეხადგმული იყო პირველად მთაში რომ წაიყვანა და მას შემდეგ ევას გარეშე მთაში აღარც წასულა. ავიდოდა აიყვანდა, ჩამოვიდოდა ჩამოიყვანდა. თავიდან ხურჯინში ჩასვამდა ხოლმე, და ისე მიჰყავდა, ცოტა რომ წამოიზარდა, ცხენზე დაისვამდა, მერე და მერე კი თვითონ ევა ისე დააჭენებდა ცხენს, ვერავინ გაუსწრებდა.
მწყემსებსაც ველარ წარმოედგინათ ევას გარეშე, რა გვეშველებოდა ეს გოგო რო არ გვახარებდეს და გვახალისებდესო. კეთილი ზნის ბავშვი იყო და თან ისეთი მშვენიერი, ყველა შეხაროდა: „აჰაა, მაწიავ, თუ ხვარამზესაც არ გაუსწროს სილამაზითაო“, ამოიოხრებდა მაწია, სახე დაუნაღვლიანდებოდა, იმისი დღეები შეემატოს და ღმერთმა ბედნიერი მიმყოფოსო. მაგრამ განსაკუთრებით რა უხარებდა გულს მაწის და ისა, რომ ევა გამრჯე და მშრომელი იყო. თუ რამ აზრი აქვს ამ წუთისოფლის ნაღმა-უკუღმა ბრუნვას, შრომითა აქვს აზრიო, იტყოდა

ხოლმე მაწია, მადლი უფალს, ჩემს ევას ჩემგან დაანათლა შრომის სიყვარულიო. მართლაც საკვირველი ბავშვი იყო, ჯერ ისევ ერთი ბეწვა საქმეს ეტანებოდა, ცოტა რომ მოიზარდა ხომ სისხამ დილიდან გვიანობამდე მუხლს არ ჩახრიდა, არ გაჩერდებოდა, წველა იქნებოდა, დღვება, ყველის ჩადედება, თუ მატყლის დამუშავება, რთვა და ქსოვა, ყველაფერში ფიცხი და დაუდგრომელი იყო, მარჯვე და შნოიანი, მის ნახელავს წუნი არ დაედებოდა. ასეთი სანიმუშო გუმანი როგორა აქვს ამ გასაქრობ გოგოსაო, ამბობდნენ ხოლმე მისი მაყურებელი მწყემსები. მაგის ჩადედებულ და მოწეულ ყველს ხომ ყველი არ შეედრებაო და მაგის მოქსოვილ წინდასა და საჩოხეს ხომ კბილით ვერ გაგლეჯავს კაციო, თავი მოსწონდა მაწიას: ვისი შვილია, რო ზარმაცი და ბოდოშალი იყოსო. მთაში ყოფნის დროს ევას განსაკუთრებით რა უყვარდა და ხეიბარი და ავადმყოფი ცხვარ-ბატკნის მოვლა, იმათი დევნა და მწყემსვა. ვაი, თქვე საწყლებოვო, იგრე უნდა გიშველოთო, იგრე უნდა გიპატრონოთო, ედუდუნებოდა ხოლმე თავის სამწყსოს: ფიშმით ჩლიქდაწყლულებულებს, პარსვის დროს შემთხვევით დაჭრილებს, ციცაბო ბილიკებზე ფეხნაღრძობსა და ფეხმოტეხილ ცხვარ-ბატკანს. წამლისა და მალამოს გაკეთებაც კარგი იცოდა, ბავშვობიდანვე მიეჩვია, მიუცუცქდებოდა მამას და გაფაციცებული მიადევნებდა თვალს (ემანდ არაფერი გამომრჩეს და გამომეპაროსო), როგორ ამზადებდა მაწია ფიშმის წამალსა, თუ მოტეხილისა და ნაღრძობის მალამოს.

ხეიბრების პატარა ფარა ქვევით, ბინებთან შორიახლოს ბალახობდა და ევა მწყემსავდა კიდეც, ბინასაც უგდებდა ხოლმე ყურს: ან თავის პატარა გუდას გადააბრუნ-გადმოაბრუნებდა, რომ ყველს წაქა მისდგომოდა ყოველი მხრიდან, ან სახმიადე ცომს მოჰქნიდა, ან რძის ჭურჭელს მოამზადებდა... თან თვალი თავისი ხეიბრებისკენა ჰქონდა... მაწია თუ ბინებში არა საქმობდა და ცხვარი გორზე ჰყავდა გარეკილი, დღეს ისე როგორ გაიყვანდა, ერთი-ორჯერ მაინც არ ჩამოეძახა გორიდან:

„ევაააავ! ჰაი, ევაააავ!"

„რაოო, მამაააავ, რაოოო!" გასძახებდა ევაც.

„როგორა ხაროოო, როგორაოოოო!!"

„კარგადაო, მამაავ, კარგადაოოო!!"

„აბა, შენ იცი და შენმა ქალობამაოოოუ!!" დაიწყებდა ევა სიცილს, მოეფინებოდა მიდამოს ევას წკრიალა ხმა. პირჯვარს გადაისახავდა გორზე შემომდგარი მაწია: „ღმერთო, ჩემს ევას წკრიალა სიცილს ნუ მოუშლიო. საღამოთი, ბინებში რომ მოიყრიდა ყველა თავს, ვახშმისთვის მზადებას შეუდგებოდნენ; ხშირად აკეთებდნენ ხოლმე ხინკალს, ან ხორცისას, ან ხაჭოსას, ან ახალი ყველისას, ან მხალეულისას. ოჰოჰო, როგორ დაფაცურდებოდა ევა, როგორ ცდილობდა კოხტა ხინკლებიც გაეკეთებინა და ჩქარ-ჩქარაც მოეხვია. ზოგჯერ მაწიაც კი დაუტევდა ხოლმე: „შვილო, შენოდონები კუკაობასა თამაშობენ, შენ რომ სულ საქმისკენ მიგირბის ხელები, ჩვენ აქ რას ვაკეთებთ და რისი მოხელეები ვართო". „მეხალისება, მამავ, და რა ვქნაო".

ვახშმის შემდეგ, თუ ხალისზე იყვნენ, ტაშფანდურას გამართავდნენ ხოლმე. ახალგაზრდა მწყემსები ჩამოჰკრავდნენ ფანდურს, ჩაბერავდნენ სალამურს და მოჰყვებოდნენ შაირობასა და ცეკვა-თამაშს. მაწიას მუხლზე ჩამომჯდარი ევა მყისვე გადმოხტებოდა, კოხტად მოიღერებდა ყელს, გაშლიდა ხელებს, შეარხევდა მტევნებს და ფეხის წვერებზე, ნარნარად ჩამოცქრიალდებოდა. გეგონებათ ვილაცას საგანგებოდ უსწავლებია ცეკვის ილეთებიო, ისეთი მშვენიერი იყო მისი ცქრიალი. ძალიან უყვარდა ცეკვა-თამაშიცა და სიმღერაც.

„აბა, ჩემო ქალო, – ეტყოდა ტკბილად მაწია, ცეკვით გულნაჯერები ევა ისევ მუხლზე რომ ჩამოუსკუპდებოდა, – აბა, ეხლა ერთი შენი ხმაც გაგვაგონეო".

„მამავ, რომელი გიმღეროთო?" – ჰკითხავდა ევა.

„ჩვენ რო გვიყვარს ის იმღერეო." – ეტყოდნენ მწყემსები.

„მაინც რომელიო?"

„რუსუდანმა რო გასწავლა ამასწინეებზე, ის იმღერეო." – ეტყოდა მაწია.

„სადაც ვშობილვარო?"

„ჰოო, სწორედ ეგაო."

„ბანს მომცემთო?"

„მოგცემთო, მოგცემთო..."

ევაც შემოსძახებდა თავისი წკრიალა ხმით, მწყემსები ბანს მისცემდნენ და გაჭრიალდებოდა სიმღერა...

ბოლოს მაწია იტყოდა: „ეხლა კი, ჩემო ქალო და თვალო, მწყემსებსაც მოსვენება უნდათ და ჩვენცაო“. მოჰკიდებდა ევას ხელსა და თავიანთი ქოხისკენ გასწევდნენ. მცირე მანძილი ჰქონდათ გასავლელი, მაგრამ თუ უმთვარო ღამე იყო, არაფერი არ ჩანდა და გოგონასაც ეშინოდა. განსაკუთრებით, გრძელ ჩარხადს რომ გაუვლიდნენ, ევა მამას მიეკვრებოდა.

„რა იყო, შვილო?“

„რა ვიცი, მამავ, ფარდულთან რაღაცამ გაიკვესა და...“

„მერე რო გაიკვესა...“

„რა ვიცი, ჭინკა არ იყოს-მეთქი და...“

„თუ იქნება და იყოს მერე...“ იტყოდა მაწია, ევა კი გრძნობდა რომ მამა განგებ ამბობდა, სიბნელეში კილოზეც ატყობდა – იღიმებოდა მაწია.

„იი, ცხვარ-ძროხა რო გაგვითვალოს, მერეც თუ გაგეღიმება?!“

„ნუ გეშინიან, შვილო, წმინდა გიორგი გვყავს მფარველი, ჭინკა რას დაგვაკლებს? იხტუნებს, ყირამალა გადავა, ცხენებს კუდებს დაუწნავს და ნატუსტუსდება. საშიში ცუდი კაცია, ჭინკას არა უშავს?“

მწყემსების დიდი ბინა, სადაც შუაცეცხლი ენთო და ვახშამი მზადდებოდა, მრგვალი ხეებითა და ნახლეჩებით იყო შეკრული და ყავრით დახურული. მაწიას კი, როგორც ცხვრისა და სარქალ-მწყემსების პატრონს, და რაც მთავარია, პატარა გოგოს პატრონს, იქვე ახლოს კარგი მკვიდრი ქოხი ჰქონდა გამართული, ბრტყელი ფიცრით ნაგები და ფიქლით გადახურული. ქოხი შუაზე იყო გადატიხრული, ერთ მხარეს ეძინათ, მეორე მხარეს კი, რომელიც უფრო დიდი და ვრცელი იყო, საწყობადა და სანოვაგის შესანახად ჰქონდათ გამოყენებული, აქ ელაგა ცხენის უნაგირ-მოსართავები, მატყლის შეკრულები, გუდები, ხურჯინები, ერბო-კარაქისა და ხაჭოს ქოთნები და სხვა საჭირო საციქველი.

საძილე სადგომში ორი ტახტი ედგათ, პაწია სარკმლის აქეთ-იქით, მოპირდაპირე მხარეს ბუხარი და ბუხრის წინ ხონჩა თავისი პატარა სამფეხებით. ძილის წინ მაწია პირჯვარს გადაიწერდა, უფალს მადლს მოახსენებდა კეთილად დაღამებისთვის, მშვიდობის ძილა გაგვითენეო, შესთხოვდა. თავის სალოცავ წმინდა გიორგისაც შემწეობასა და სიკეთეს შეევედრებოდა, ევას სიმრთელესა და კარგად ყოფნას. მერე დახედავდა თავის გოგოს, საბანს ამოუგებდა, პირჯვარს გადასახავდა, თავზე ალერსიანად გადაუსვამდა ხელსა და დაწვებოდა.

ისიც ხშირად ხდებოდა, რომ მაწია და ევა თავის ქოხში რჩებოდნენ, ერთად საქმობდნენ, მარტონი ვახშმობდნენ, მერე კი, თუ ჟინჟღლიანი საღამო იყო, დიდხანს ისხდნენ ბუხართან, თან სასამალდე ბაწარს წნავდნენ და თან საუბრობდნენ. ევას ასეთი საღამოებიც ძალიან უყვარდა, მამასთან გატარებული საღამოები. როცა მაწია გვერდით მოიდგამა თხის ბალნით სავსე წნელის კალათას, ევას თავზე ხიხრიკას გადააცვამდა და ბაწრის წვნას შეუდგებოდა. ევა ხიხრიკას ატრიალებდა და თან მამას მიუგდებდა ყურსა. მაწია ხან ზღაპარს მოუყვებოდა, ხან ერეკლე მეფის ამბებს, ხანაც თავის დუხჭირ ბალღობას გაიხსენებდა, როცა ნვრილშვილმა და ხელმოკლე მშობლებმა ჯერ კიდევ შვიდი წლისა თუშებში სხვისშვილად მისცეს. ევას ისე არაფერი უყვარდა, როგორც მაწიას სიყმაწვილისდროინდელი ამბებისა და თავგადასავლების ხელმეორედ მოსმენა.

„მამავ, შენი ჭირიმე, ერთი ის მიამბე, მშიერ მგლებს რომ გაუმკლავდიო...“ და მაწიაც მოუყვებოდა საუცხოო ქოფაკის, ყაითარის, ამბავს, რომელმაც გაიგონა პატარა ბიჭის ძახილი, აგელებული მიიჭრა და კეტით შეიარაღებულ მაწიასთან ერთად მშიერ მგლებს სულ ბუნდღა ადინა.

„სწორედ მაშინ გაჩუქა არაა, მამავ, ცხვრის პატრონმა ჭყოპიშვილმა თოფი?“

„არა, მაშინ არ უჩუქებია, მაშინ ერთი კარგი თოხლი მაჩუქა; თოფი ალავერდობას მაჩუქა, სანიშნედან სამჯერ რომ ჩამოვიღე ბოხოხი“.

„ვაიი“, შეიცხადებდა ევა ისე, ვითომ პირველად გაიგო მაწიას ზუსტი მიზნის ამბავი, თავმომწონე ღიმილით გადმოხედავდა მამას და ხიხრიკის ტრიალს განაგრძობდა. იცოდა ევამ, რომ ის თოხლი უბრალო თოხლი არ იყო, იმ თოხლიდან დაიწყო პატარა მაწიამ საკუთარი ცხვრის შექუჩება. და იმ თოფსაც მერე აღარ გაშორებია, სადაც წავიდოდა, სულ თან დაჰქონდა. თითქოს იმ ნაჩუქარმა თოხლმა, ჯილდოდ ბოძებულმა, თითქოს მშიერ მგლებთან შებრძოლებამ განსაზ-

ღვრეს მაწიას შემდგომი ბედი. ევაზე ყველაზე მეტად ის მოქმედობდა, რომ მაწია სიმწრითა და სიძნელითაც აფასებდა თავის საქმეს. შვილო, სიძნელემ უკან კი არ უნდა დაგახევინოს, პირიქით, კიდევ უფრო უნდა აგაზავთოს, რო შეება და დასძლიოვო, სულ ამას ეუბნებოდა თავის გოგოსაც.

მაწია რაც დაოჯახდა, შორს წასვლა და სოფლიდან შორს გახიზვნა აღარ უყვარდა. ზაფხულობით ცივ-გომბორისკენ, აბიდასტურისკენ გარეკავდნენ ცხვარ-ძროხას, ბალახიც კარგი იყო. იქვე გვერდით ხევიც ჩამოუდიოდათ და ნაჟური წყლებიც ჰქონდათ, სოფლიდანაც ასე ნახევარი დღის სავალი იქნებოდა. ზამთრობით კი, თუ საკვებს კარგად მოიმარაგებდნენ, სოფლის ზევით, გრძელ ახოში ჰქონდათ საზამთრო ბინები გამართული. მაწიას ცხვარ-ძროხისა და ცხენების გარდა, ერთი ხუთასი სული ღორიც დაუდიოდა ცივ-გომბორის ტყეებში. სოფელთან შორიახლოს, და, ცხადია, ხელს აძლევდა სახლთან ახლოს ტრიალი, ხელს აძლევდა, რაც მთავარია, ევას გამო, რომლის დიდი ხნით დატოვება ძალიან უჭირდა. მაგრამ ბოლო რამდენიმე წელი, რაც ცხვარმა იმატა და იმატა, ზამთარში შირაქისკენ დაეშვებოდნენ ხოლმე. ზამთრობით ევა ყოველთვის სოფელში იყო, რუსუდანთანა და მაწიას მოხუც მამიდასთან. თუ გრძელი ახოდან სოფელში მისვლა-მოსვლა იოლი იყო, შირაქიდან, რა თქმა უნდა, ძალიან ჭირდა. მაგრამ მაწია, როგორც ცხვრის პატრონი, სარგებლობდა თავისი უპირატესი მდგომარეობით, ამიტომ, ცხვარს რომ დააბინავებდა ზამთრის საძოვრებზე, გიორგობისთვის დასასრულს, ღორების ტყიდან ჩამორეკის დროს ამობრუნდებოდა სოფელში, სახლში დატრიალდებოდა, შობა-ახალწელს თავის ევასთან გაატარებდა და დოლობისთვის ისე დაეშვებოდა ზამთრის ბინებისკენ.

დოლობას არ ეღალატებოდა, დოლობას ცხვარში უნდა ყოფილიყო, დედა-ბატკანში პატრონის თვალსა და ხელს უნდა ეტრიალა, კარგ მოსავალს, კარგი გამრიგე უნდოდა. თავის სარქალ-მწყემსებთან ერთად მაწიასაც, თუმცა დილიდან საღამომდე თავის მოსაფხანი დრო არ ჰქონდა, მაინც სოფელში დატოვებული ევა თვალიდან არ სცილდებოდა. განსაკუთრებით პირველ ხანებში გაუჭირდებოდა ხოლმე, ადგილს ვერ ნახულობდა: აი, ცუდი სიზმარი ვნახეო, აი, თვალი მითამაშებსო, აი, ყურიმ[illegible], აი, ჭედილა რომ დავკალით, ბეჭი ცუდი ჰქონდაო...

შარშანდელს აქეთ ხომ, რაც ევამ ერთბაშად აიყარა ტანი და ნორჩი, ხასხასა ყლორტივით იფეთქა, რაც მისი სიტურფისა და სილამაზის ხმა დაირხა და ერთ მშვენიერ დღეს, სწორედ გიორგობის შემდეგ, მთხოვნელებმა კაცები გამოგზავნეს, მაწიამ ძილი და მოსვენება დაკარგა. მაშინ კი კაცები კინნისკვრით გარეკა: ვინ გაიგონა თერთმეტი წლის ბალღის თხოვნაო, მაგრამ იცოდა: როგორც ევას გაფურჩქვნას, ისევე კაცების მიმოსვლას ვერაფერი ვერ შეაჩერებდა. კიდეც ამას დარდობდა და ჯავროობდა. ევა კი აწყნარებდა: „ნეტავი რა გულს იღონებ, მამავ, შენს უნებურად ასი წლისაც რომ ვიყო, ტყუილია არავის გავყვებიო", მაგრამ სახლს მოშორებული მამა უფრო ცუდს ფიქრობდა, ვიდრე კარგსა: ათასი მტერი ჰყავს მოწიფულ ქალსა, ათასი ოხერი და მუდრეგი დაეთრევაო. მაწიას დიდი იმედი ჰქონდა რუსუდანისა, ხვარამზეს დისშვილის, ევაზე ხუთი-ექვსი წლით უფროსი რუსუდანისა, მისი გახსნილი გონებისა და მოსიყვარულე გულისა. მოძღვარი ლუკას მოწაფე იყო რუსუდანი, წიგნის ერთგული და წერა-კითხვის დიდი მოყვარული. რაც არ უნდა მიეტანა მაწიას საშობაო თუ საახალწლო ნობათად, არაფერი ისე არ გაახარებდა, როგორც ქაღალდებისა და კარანდაშების ჩუქება. ჩვეულებრივად დინჯი და თავშეკავებული, გახარებული შესძახებდა: „უი, შენს წვერს ვენაცვალე, ძია მაწიაო", თავის გრძელ მკლავებს გაშლიდა და შემოხვევდა. თვითონ მამა ლუკაც აკი ამბობდა: რუსუდანი სხვანაირად მოსწივისო. დიდად მფარველობდა თავის დეიდაშვილს რუსუდანი, როცა სოფელში ერთად იყვნენ, გვერდიდან არ იცილებდა. მაწიას უთხრა შარშან: „ძია მაწიავ, ევას წიგნი მინდა ვასწავლო და მამა ლუკას ვთხოვო შეგირდად მიიღოსო". ჰოდა, რუსუდანის გამოისობით მაწია თუმცა უფრო გულდანდობილად იყო, მაინც კი ერთი სული ჰქონდა, როდის გამოზაფხულდებოდა, როდის ჩამოშრებოდა მთის კალთები, როდის შეჯდებოდა თავის ჩალისფერ საფერხეზე და გაუდგებოდა სოფლისკენ გზას. გულშიც სხვა-

გვარი სიამე ჩაუდგებოდა ხოლმე, შინდაბრუნების სიამე, სიცოცხლის განახლების, მომავალი „დიდბატონობის“, გაზაფხულის გიორგობის მადლით სავსე სიამე. ჭარმაგობისა და გრძელი გზის მიუხედავად ხალისიანად მოათოხარიკებდა თავის იაბოს. მოუხაროდა რომ თავის სალოცავ ხატებს მუხლს მოუყრიდა, საკლავს დაუკლავდა და გულმხურვალედ შეევედრებოდა, თავისიანებთან ერთად, მრევლთან ერთად წირვა-ლოცვით გულს მოიოხებდა.

კარგად სწირავდა ლუკა მღვდელი. უყვარდა მაწიას მისი პარაკლისებიც და ქადაგებებიც. დოლობის შემდეგ ცხვარბატკნის ბღავილით გაყრუებული, განსაკუთრებული გულისყურით მიუგდებდა ყურს მამა ლუკას „ჟღეროვან“ ხმას, და ასე ეგონა კლიტენი სულისა ეხსნებოდა. ეუბნებოდა ხოლმე: „მამაო, მთაში საგზლად უნდა წავიყოლო შენი ნაქადაგარიო“. წმინდა მხედრის წარმტაცი თავგადასავლი ხომ დიდ სარბიელს უხსნიდა მოძღვარი ლუკას ფრთაშესხმულ წარმოსახვასა და მგზნებარე ბუნებას. ვინ იცის რაღას არ ქადაგებდა სიკეთესა და ბოროტებაზე, რაღას არ ქადაგებდა ერთის მხრივ წმინდა მხედრის საკვირველმოქმედებაზე, ხოლო მეორე მხრივ ხალხის გამხრწნელსა და გამრყვნელ ვეშაპზე, რომელსაც „შიგანში“ შხამისა და გესლის ულევი მადანი ჰქონდა და რომლის უწმინდური ზრახვა და ეშმაკეული ამოცანა ადამიანთა საბოლოო და საყოველთაო გახრწნა და გაურცხვება იყო... მაგრამ წირვა-ლოცვასა და ქადაგებაზე არანაკლებ, და იქნებ მეტადაც, მაწიას ლუკა მღვდელთან ურთიერთობა უყვარდა. ყოველთვის და ყველაფერში უაღრესად სადას და უბრალოს, იშვიათი უნარი ჰქონდა გულშემატკივარი ყურის გდებისა და გონივრული რჩევის მიცემისა. ამიტომაც ეკლესიის ეზოში გამოსულს, ხალხი ბუზივით მიეხვეოდა ხოლმე, ყველა მიესწრაფოდა გული გადაეშალა მისთვის და თავისი სატკივარი ეთქვა. საგიორგობო თოხლებიდან, მაწიას სამარქაფე ცხენზე გადაკიდებული დიდი ხურჯინით რომ მოუდიოდა, ერთი ყოველთვის მოძღვარი ლუკასთვის ჰყავდა ძღვნად გამიზნული. თავის უნაგირზე კი ცარიელ ხურჯინს გადაიკიდებდა საჩუქრებისთვის. გზადაგზა ბაზრობებზე შეივლიდა, ურიების სახელდახელოდ გამართულ ფარდულებთანა და ფანჩატურებთან ჩამოდგებოდა, ღამეს გურჯაანში გაათევდა, ოქაბაზრობაზე მიივლ-მოივლიდა, თელავში ამოსული ხომ საგანგებოდა დაივლიდა დუქნებს, საწვრილმანოებს, დიდოების სახელოსნოებს... სადაც რაიმე სათვალიო მოხვდებოდა, ჩასაცმელი, დასახური, თუ მოსართავი, ყველაფერს გულუხვად ყიდულობდა და ხურჯინის თვლებში ალაგებდა.

სოფელს რომ მოუახლოვდებოდა და ჩუმათხევისკენ შემოუხვევდა, მშობლიური რიყის სიო შემოეგებებოდა და გორზე წამომდგარ წმინდა გიორგის ეკლესიაც თეთრად გამოჩნდებოდა. მაწია სვლას შეანელებდა, პირჯვარს გადაიწერდა, მადლი უფალს, რომ კვლავ გიხილე, ჩემო სალოცავო წმინდა გიორგიო, იტყოდა, მერე კი ქუსლს უკანასკნელად გაჰკრავდა ფერდზე თავის იაბოს, უკანასკნელად ააჩქარებდა, რომ გზა სახლამდე სწრაფად გაევლო. ძლივსღა იოკებდა თავს ევას ნახვის სურვილით. ბოლოს-ბოლოს დაინახავდა თავის კარმიდამოს, დაინახავდა ძეძვის ღობესაც და შვილის სახელს მონატრებული, გეგონებათ გული ამოატანაო, ისე დაიძახებდა: „ევაااავ!! ევაااავ!!“ „ევაა! ევა!“ იძახის რუსუდანი.

ევა კი დგას და აფეთქებულ კუნელს შეჰყურებს... ასე ჰგონია, ახლად გაფოთლილ ნორჩ სიმწვანეს ზეცამ დაათოვა გუნდ-გუნდად შეჯგუფული და საგანგებოდ აკინძული სიფრიფანა, სპეტაკი ყვავილები.

რუსუდანი ზევით, ფერდაზე მიჰქრის... ისე მსუბუქად მიჰქრის, გეგონებათ მისრიალებსო. ერთბაშად მოსხლეტით გაჩერდება, შემოტრიალდება და ჩამოიძახებს: „ევა... ევაااა!“ თავშლის ბოლოებს ნიავი უფრიალებს, თხელი და ნერწეტა დავლურის მოცეკვავესავით შლის ხელებს და ევას უქნევს. ევა კი დგას და აყვავებულ კუნელს შეჰყურებს: ღრმად დანაკვთულ, ფაქიზად დაკბილულ ფოთლებს და წითელი მტვრიანებით დაწინწკლულ გულყვითელა ყვავილებს. ფოთლები ხშირად პირდაპირ ეკლებზეა შემომსხდარი, გაუშლელი საყვავილე კვირტები კი პაწია გუნდებად გამოკრული და სიმწვანეზე დაფრქვეული ფანტელებად... ევას კი სურს იდგეს ასე და თვალმოუცილებლად

უყუროს, თუ მზის სხივებით დაისრული ნორჩი კვირტები რა ფრთხილად გაიღეღავენ სიფრიფანა, სპეტაკ ფურცლებს და სისხლისფერი მტვრიანებით დაწინწკლულ, ოქროვან გულმკერდს საალერსოდ მიუშვერენ მზეს. და ამ პაწია ყვავილების ნარნარი, კდემამოსილი ფურჩქვნა სიხარულით ავსებს გოგონას აფეთქებულ, მოხიბლულ სულს.

უცებ იგრძნობს, რომ დიდი ხანია რუსუდანის ძახილი აღარ გაუგონია. ადგილს მოწყდება, სიმინდის ქეჩეჩის მომცრო კალათას მჭიდროდ მიიკრავს და სირბილით დაედევნება რუსუდანს, რომელსაც აგერ უკვე აუთავებია კიდეც გრძელი ფერდა და წმინდა გიორგის საყდრისკენ გამალებული მიიჩქარის.

„რუსუდაან! რუსუდაან!!" მაგრამ რუსუდანი არ ჩერდება და გოგონაც სირბილს უმატებს. რუსუდანი სერზე შემომდგარ საყდარს უახლოვდება... გალავანში დატანებულ ლურჯად შეღებილ კართან გაჩერდება, სულს მოითქვამს, პირჯვარს გადაიწერს, თავშალს გაისწორებს და საყვედურით გამოხედავს ევას: „იცოდე, გამიფრთხილებიხარ, მოძღვარი ლუკა დაგვიანებას ვერ იტანს!"

„ხო მაინც დაგეწიე და..." ამბობს ღიმილით გოგონა. „ქოთნები არ დაგემტვრა?" ევა თავს გაიქნევს, კალათას მკლავიდან მოიხსნის და რუსუდანს გაუწვდის: „შენ მიართვი რაა?!" „კარგად კი შეიდღვიბებოდა". „რას ამბობ, აი, შეხედე?!" ევა თიხის ქოთანს ამოიღებს და გადმოატრიალებს, ქოთნიდან წვეთი არ გადმოვარდება. „ჩვენს მერცხალას რო რძე აქვს, ტყუილია..." ქოთანს ისევ ჩადგამს კალათაში.

რუსუდანი უბეში ხელს ჩაიყოფს, გულის ჯიბიდან ოთხად გაკეცილ ქაღალდს ამოიღებს, გაშლის და ბატიფეხურით ნაწერ გვერდს თვალს ჩააყოლებს... თავს აიღებს, შუბლშეჭმუხნული გაჩერდება... მერე კი ისევ განაგრძობს კითხვას...

„ისე მოეწონება, ისე მოეწონება, აი, ნახავ!" ამბობს ევა.

„ოჰ!" დამცინავად აღმოხდება რუსუდანს. ქაღალდს ისევ ისე გაკეცავს, ჯუბის გარეთა ჯიბეში ჩაიდებს, ევას კალათას გამოართმევს და პატარა კარს შეაღებს. გოგონა უკან მიჰყვება და თან ბილიკის აქეთ-იქით, ხასხასა ბალახში მოკიაფე ღიღილოებსა და ცხვირის სატეხელებს ავლებს თვალს. მოპირდაპირე მხარეს, გალავანთან ჩარიგებული დიდი ცაცხვები, თუმცა ჯერ ისევ შიშვლები და შეუმოსავები უძრავად დგანან, გოგონას მგრძნობიარე თვალი ღიმილით აღბეჭდავს ახალი სიცოცხლის ფერნაცვალ შტოებს...

„დღეს-ხვალ ცაცხვებიც გაიფოთლება, ხედავ რუსუდან, კვირტებია უკვე შემომსხდარი..." „ვერა და ვერ გადამიწყვეტია..." რუსუდანი ევასკენ შემოტრიალდება, „აბა, ყური დამიგდე: სიქველე შენი ძალმოსილი **განაფინე**, თუ **განფინე** ყველგან? „მე მგონი განაფინე, თითქოსდა უფრო უსაზღვროსავით არის". ამბობს გახარებული გოგონა, ხუმრობა ხომ არ არის, რუსუდანმა აზრი ჰკითხა და სიტყვა გაუზიარა. „მეც განაფინე მირჩევნია, მაგრამ თან თითქოს გადაპრანჭულივით არისო... „რუსუდანი ქვის კიბესა და ვიწრო სარკმელს მიაჩერდება: „თავის სენაკშია მამა ლუკა". „ალბათ, მთელი დედამიწის ზურგზე არავის არა აქვს მამა ლუკასნაირი წარბები, არა, რუსუდან?" ალერსიანი კილოთი წარმოთქვამს გოგონა. „ეჭვიც არ მეპარება!" ლამის აღფრთოვანებით დაეთანხმება რუსუდანი, თითქოს მოძღვარი ლუკას ღირსებებს მისი უჩვეულოდ დაფანჩული წარბები კიდევ უფრო აშკარასა და საცნაურს ხდიდეს.

ქვის მაღალ კიბეებზე ადიან...

ჭიკჭიკი ისმის. ევა აქეთ-იქით იყურება. ჭიკჭიკი კი არა, ბოლოცეცხლას ცალფა, გაგრძელებული ხმა... „რა გამჭვირვალეა ჰაერი"... გაიფიქრებს გოგონა, შორს ლურჯი ცის ტატნობზე თოვლიანი მწვერვალების მკაფიოდ გავლებულ ზიგზაგს თვალს რომ გააყოლებს... „სად არის ეს მატრაკვეცა ბოლოცეცხლა?"

ვიწრო, ერთი ბეწვა აივანზე მცირე ხნით შეყოვნდებიან. რუსუდანი ქვევით, ალაზნის ველზე თეთრად მოქათქათე ალავერდს სასოებით გახედავს და პირჯვარს გადაიწერს. „აგერ თურმე სად შემომჯდარა, ცაცხვის დაბლითა შტოზე..." გოგონა კისერს წაიგრძელებს... „წიი... წიიი"-ს მოძახილის დროს ღაბუა ყელი შეუთრთოლდება ხოლმე ბოლოცეცხლას, ჟანგისფერ ბოლოსაც დაუდგრომლად იქნევს...

რუსუდანი დაკვირვებით შეავლებს თვალს ევას, ოდნავ გაიღიმებს გოგონას სიმშვენიერით კმაყოფილი, ქათიბშემოვლებულ ჯუბაზე ხელს ჩამოუსვამს,

აქა-იქ მატყლის თითოროროლა ბეწვს ააცლის, მერე შეტრიალდება და კარზე ფრთხილად მიაკაკუნებს: „მობრძანდით“, ისმის შიგნიდან მოძღვარი ლუკას ხმა.
რუსუდანი და ევა კარებთანვე გაჩერდებიან და მოძღვარს თავს დაუკრავენ. მამა ლუკა სათვალეებსა და ფანქარს გაშლილ ფურცლებზე დადებს და სკამიდან წამოიწევს, ნელა წამოიმართება და ლამის მთელ ამ პატარა სენაკს გაავსებს. მართლაც ყველაფერი პაწაწინაა ამ სენაკში: ბუხარიც, მაგიდაც. ხონჩაც თავისი ორი სამფეხათი. ერთ მხარეს ცხვრის ტყავები, მუთაქა და ნაბადი აფენია. „ალბათ, როცა სახლში ვერ მიდის, აქ იძინებს მამა ლუკა, თავს ერთ კუთხეს მიაბჯენს, ფეხებს მეორეს...“ და უცებ თვალს მოსტაცებს იქვე კედელთან მიყუდებული მუყაოები, ერთზე შვინდისფერმანდილიანი ქალია დახატული ხელში ჯვრით. რუსუდანივით, სწორედ რუსუდანივით მძაფრი მზერა აქვს. „ნამდვილად წ-და ნინოა“ „მობრძანდით, ქალებო, მობრძანდით“. ხალისით ამბობს მოძღვარი და მოსულებს სამფეხა სკამებზე მიუთითებს.
„ოჰოჰოჰო, რა სანიმუშო წარბები აქვს.“ სენაკში საკმლისა და ნაცრის სუნი დგას... და კიდევ რაღაცის... ჰო, საღებავების... „ცეცხლი ეტყობა დიდი ხანია ჩაჰქრობია“, გაიფიქრებს გოგონა.
რუსუდანი ნაბიჯს გადადგამს, თავდაბრილი გაჩერდება და როგორც კი მოძღვარი ხელს გაუწვდის, დაიხრება, ხელზე ემთხვევა, მერე გაიმართება და კალათს გაუწვდის: „მამაო, ეს ევამ მოგართვათ... კარაქი შეგიდღვიბათ და მაწონიც ჩაგიდედათ კამეჩისა“. მოძღვარი კალათს ჩამოართმევს რუსუდანს, ევას ღიმილით ჩამოხედავს და მზერა გაუჩერდება... მერე კი სიმინდის ქეჩეჩის კალათას ყურებს გადაუწევს:
„მადლობთ, ჩემო ევა, მადლობთ, დიდებული მაწონი ჩანს“.
„მერცხალა გაგვიბერწდა, მამაო, ისეთი მაწონი აქვს, უკეთესი არ შეიძლება“.
„უხაროდეს მაწიას, კამეჩის მაწონს არაფერი მირჩევნიაო, მეუბნებოდა“.
„მამასაც ჩავუდედე, მამაო.“ „ამოვიდა უკვე მაწია?“ „დღესაც ველოდები, მამაო.“
მამა ლუკა თიხის ქოთნებს პატარა თახჩაში შედგამს, ჯამისა და სურის გვერდით. ევა ახლაღა შენიშნავს თახჩის გვერდით, მარცხენა კედელში დატანებულ ვიწრო ჭრილს, დაინახავს კიდეც ეკლესიის შიგა სივრცის ნაწილს, საკურთხეველთან ქორკანდელის სანთლებს და ნმიდა გიორგის დიდი ფრესკის ჩამონაჭერს: ცხენის კუდსა და გაფრიალებული მოსასხამის სამკუთხედს. სივრცეს ჰკვეთს მზის სხივი, რომელიც ოქროს პაწია ფირფიტასავით ეცემა ცისფერი მოსასხამის კუნჭულს.
„ქადაგებას ვამუშავებდი და ცეცხლი სულ ჩამქრობია, ხომ არ გცივათ, ქალებო?“ მოძღვარი თავის სკამს უბრუნდება, დიდ ხელებს გაშლილ ფურცლებზე დააწყობს და სამფეხებზე ჩამომსხდარ რუსუდანსა და ევას გამოხედავს.
„მე კარგი ცეცხლის დანთება ვიცი, მამაო.“ გოგონა უეცრად წამოდგება, გეგონებათ წამოფრთხიალდაო და ბუხრის სიპთან ჩაიმუხლებს.
რუსუდანი აწურული ზის სამფეხაზე, ძალზე გაფითრებულია, თვალებს სწრაფად ახამხამებს და ხელის გულებზეც ისე ისვამს ცხვირსახოცს, თითქოს ესაა ხელები დაუბანია და იმშრალებსო. მოძღვარი დაფანჩულ წარბებში შეყუჟულ საფირონივით თვალებს რუსუდანს მოაპყრობს, და ხელით ანიშნებს, იჯექი, არ წამოდგეო.
„მამაო“, ჩავარდნილი, ხმით ამბობს რუსუდანი, „ორი საგალობელი დავწერე... სიტყვებიცა და გალობაც... რა ვიცი... არ კი ვიცი როგორი გამომივიდა...“
ევა ნაცარს გადაქექავს და მინავლულ ნაკვერჩხლებს წკიმლებს დააყრის.
„გული ყელში ნუ გებჯინება, რუსუდანო“, წყნარი ხმით ამბობს მამა ლუკა, „ეს ხომ საერთო სამზადისია“.
ევა ცქვიტად გამოიხედავს, ყოველთვის თავშეკავებული და ზომიერი რუსუდანი არასოდეს ასეთი აღელვებული არ უნახავს. „რა დაემართა? ნეტავ რა სჭირს...“
„ერთი მუდარის საგალობელია, მამაო, და მეორეც დიდებისა“. და რუსუდანი ჯიბიდან ოთხად გაკეცილ ქაღალდს ამოიღებს. „ჯერ წაგიკითხოთ თუ გიმღეროთ კიდეც“. „წამიკითხე... ოღონდ ნუ იღელვებ...“
წკიმლები აბრიალდება, გოგონა პატარა ნაჩეხებს მოუწყობს ცეცხლს, ისევ ისე სწრაფად და მსუბუქად დაჯდება სამფეხაზე, მუხლებს ერთმანეთს მიატკუცე-

ბს, ხელებს შემოიჭდობს და რუსუდანს მიაჩერდება.

„მე ვეცადე, მამაო," ამბობს რუსუდანი ლამის აკანკალებული ხმით, „ისე დამეწერა, როგორც თქვენ მიხსნიდით ვეშაპისა და წმინდა გიორგის არსს."

„საქმემან ჩემმანო, რუსუდანო..." გააწყვეტინებს მოძღვარი და ანიშნებს წაიკითხეო და რუსუდანიც იწყებს კითხვას: „წმინდავ გიორგი / შენ გადმომხედე/, ვეშაპით ძლეულს / ჩემს ბნელ წიაღში / ჩაკვერცხილ და გამოჩეკილ / შხამიან გველებს... / უწმინდურების /, ბოროტების / ულმობელ მცველებს... / შენ გადმოხედე ჩემს სულს დაგესლილს /, მწუხარეს, ეულს." რუსუდანი მაშინვე თავს ჩაღუნავს და პირმოკუმული ფილაქანს დააჩერდება.

სიჩუმე ჩამოვარდება...

„ღმერთო, ეს რა დაუწერია რუსუდანს! დაფუთფუთებენ შიგნით ღრმად, თავებს ასავსავებენ, იკლაკნებიან, იგესლებიან, შხამს აფრქვევენ, შხამს..." და გოგონა წარმოიდგენს როგორ იფრქვევა შხამი გველების დაღრენილი ხახებიდან... თავს სწრაფად გადასწევს, შეშფოთებულ მზერას ვიწრო ჭრილს დაუპირისპირებს და დაინახავს მზის სხივს, რომელიც ახლა ქორკანდელის ნაპირა სასანთლეზე ბრწყინავს. „მამა ამოვა! მამა ამოვა! ვინ იცის დღესაც ამოვიდეს! წყლებს დავუმზადებ! ჩოხას გავუწმენდავ! მუხლზე დავუჯდები, წვერებს ჩამოვუვარცხნი! ევაა! ევაა! ვინ იცის დადის ეზოში და მეძახის!!!"

„წიი... წიიი..." – ისმის გარედან ბოლოცეცხლას ცალფა მოძახილი...

ბუხარში ფიჩხი გაიტკაცუნებს...

„დიახ, რუსუდან," – სიჩუმეს დაარღვევს მამა ლუკა, – „სწორედ ამას ვგულისხმობდი... რამეთუ ადამიანი მოწყალე თვალით ჩაიჭვრიტება საკუთარ სულში... გარდას გადასული მოწყალებითა და გულის მიმტკივნებით. და ვეშაპი კი სხვა არა არის რა, თუ არ საკუთრად ჩვენი, ყველა ჩვენგანისაგან გამოკრეფილი და ხორცშესხმული უწმინდურება". რუსუდანი ისე ღრმად ამოისუნთქებს, თითქოს ქვეყნიერების დარდი შემოსწოლიაო, თხელი, ჩამოქნილი ლოყები შეფაკლული აქვს, მუქი თვალები კი უფრო მეტად ჩამუქებია: „მამაო, მე „დაგესლილ სულს" დავუსვი მახვილი და გალობის დროს სწორედ ამის გამეორებას ვფიქრობდი, ოღონდ სხვადასხვაგვარად: „დარბეულ სულს", „დანენილ სულს", „დაფლეთილ სულს", „ჭუჭყიანარე სულს"... როგორც თქვენ ინებებდით, ისე ამოვუწერდი მგალობლებს, გადაძახილებიც ალმოხდებათ, გოდების გადაძახილები – ეს იქნება გოდება".

„ყველა ამოწერე, ჩემო რუსუდან, შერჩევა კი ლოტბარს მივანდოთ. გალობა გოდებასავით უნდა გაისმას. როგორც უწმინდურებით შებღალული და დამძიმებული სულის ღაღადისი." – მამა ლუკა მტკივნეულად შეარხევს თავის უჩვეულოდ დაფანჩულ წარბებს და ღრმად ჩამჯდარ თვალებს რუსუდანს ჩაშტერებით მოაპყრობს, – „აბა, ახლა დიდებისა წამიკითხე... ოღონდ გული ყელში ნუ გებჯინება."

რუსუდანი ჩაახველებს, ხმას ჩაინმენდს, ქაღალდს გადააბრუნებს და ბატიფეხურით აჭრელებულ გვერდს დააჩერდება, მერე ერთბაშად აიღებს თავს და მოძღვარს მორიდებით შეხედავს.

„რა იყო, რუსუდან?!" – წყნარი, გულშიჩამწვდომი ხმით შეეკითხება მამა ლუკა.

ევა რუსუდანს მიაჩერდება.

„არაფერი, მამაო," – ხმა გაებზარება რუსუდანს, – „ახლავე წაგიკითხავთ..." – თავს დაღუნავს და კითხვას დაიწყებს: „მახვილმა შენმა /, ვითარც სხივმა /, გამჭვალოს მინდა! / ცისკრის ნათელო /, პირნათელო, / მხედარო წმინდა! / სიქველე შენი ძალმოსილი / განაფინე გარეთ და შინ და / უწმინდურება დათრგუნე და იავარ ჰქმენ, / დიდება შენდა! / ფრთების ფათქუნით / სიხარული მგალობელი / გულს მომაფრინდა... / და სული ჩემი დაწმენდილი /, ვითარც სპეკალი /, თეთრო რაინდო /, აწ და მარადის / შენ დაგეწინდა!!"

ევას მუხლებზე შემოუჭვდია ხელები და ვიწრო სარკმლიდან ციხისჯვრის მზემიმდგარ კედლებს გაჰყურებს... მოათქარუნებს კლდის ბილიკზე თავის თეთრონს თეთრი მხედარი, გაფრიალებული ბაირაღივით ულივლივებს ცისფერი მოსასხამი, მზეზე უბრწყინავს მოზიდული შვილდისარი, ლურჯი ცის ფონზე თეთრად მოქათქათე ფრინველთა გუნდი ფრთხიალითა და გალობით დასტრიალებს თავს თეთრ მხედარს...

„ო, რა მშვენიერი ხარ, თეთრო რაინდო! შენს მუხლებს ვენაცვალე... შენს წმინდა სახელს... მამას გზაში წყალი არ აუდიდდეს... ბოგირი არ ჩაუტყდეს...

ფონის მონახვა არ გაუჭირდეს... ცხვარო, მოხვალ, მორაკრაკებ, დადგები და გაიშლების! გზა დაულოცე ჩვენს ცხვარს, წმინდაო გიორგი!“ – და გოგონა სასოებით მიიჭდობს გულზე ხელებს... მამა ლუკა... მკაფიო ხმა გამოაფხიზლებს, ციხისჯვრის მზემიმდგარ კლდეებს თვალს მოაცილებს და მოძღვარსა და რუსუდანს გადახედავს.

„ძალიან კარგი, რუსუდან! მომწონს განწყობილება, სინმინდისათვის მზადყოფნის განწყობილება! ეს არის მთავარი!“ – მამა ლუკა იცვე მაგიდასთან ვერცხლის ძეწკვზე ჩამოკიდებულ ვერცხლისავე ჯიბის საათს შეხედავს, – „სარეფრენო სიტყვების შერჩევაც შენთვის მომინდვია, ფანჯარასთან მიიდგი სამფეხა და მგალობლებს გადაუწერე, მე და ევა კი მაგიდასთან ვიმეცადინებთ.“ – და მოძღვარი ევას ხელით ანიშნებს მოინიეო, მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს წყობისად მიაქუჩებს ერთ მხარეს და თახჩიდან დიდ შავყდიან წიგნსა და მანწვნის ქილას გადმოიღებს. რუსუდანი გაუნძრევლად ზის, ფილაქანს დასჩერებია და თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებს. გეგონებათ მოძღვარის სიტყვები არც გაუგონიაო.

„ვაიმე, რა მოუვიდა რუსუდანს?!“ – გაიფიქრებს გოგონა.

მამა ლუკა მაგიდის უჯრიდან რქის გრძელტარა კოვზს ამოიღებს და რუსუდანს შეხედავს: „შეენ... ხომ არაფერი გაქვს სათქმელი?“ – ხმადაბლა იკითხავს. რუსუდანი უეცრად სახეზე ხელებს აიფარებს და ტირილს ამოუშვებს...

ტირის, ტირის, გულამოსკვნით ტირის... მხრები ლამის ყურებამდე აუწურავს, ნიკაპი გულზე დაუბჯენია და მკერდიც ისე უთრთის, როგორც იმ ჩიტს, ცაცხვის ქვედა ტოტზე რომ შემომჯდარა და წიო-წიოს მოსძახის. მოძღვარი და გოგონა ჯერ შეცბუნებულები მოაჩერდებიან, მერე კი ევა სწრაფად ჩაიჩოქებს ფილაქანზე, მუხლებზე ხელებს შემოხვევს და რა დაგემართაო, ეკითხება. მამა ლუკა თავს დაადგება, მხარზე ხელს დაადებს, დაყვავებით ჩაეკითხება რა მოგივიდაო.

რუსუდანი ცრემლებით დასველებულ ლოყას მამა ლუკას დიდ მტევანს დააყრდნობს და კიდევ უფრო აზლუქუნდება. „შენი ჭირიმე, რუსუდან! შენ დაგენაცვლე, რუსუდან!“ – ვედრებით ამბობს გოგონა და ატირებულ რუსუდანს ეხუტება.

„აბა, დამშვიდდი, დამშვიდდი და წყალრად მითხარი რა გჭირს...“ – ჩაეკითხება მომთხოვნი კილოთი მოძღვარი.

„ხმალი დამიღერა... ჩემმა ძმამ ივანემ... მამაო, თავს გაგაგდებინებო!“ – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობს რუსუდანი და თან თავშლის ბოლოებით იწმენდს ჩამომდინარე ცრემლებს.

„რატომო! რატომო! – შეშფოთებით შესძახებს ევა, – „უპატრონო კი არა ხარ!“ გოგონას თანაგრძნობაზე რუსუდანს ცრემლების ახალი ტალღა მოაწვება...

„მამაჩემი ამოვა და ისეთი დღე დააყაროს ივანეს რომაა!“ – არ ცხრება ევა.

„ახლაც თუ უარი თქვიო...“ – ზლუქუნით ამბობს რუსუდანი, – „დაგვრჩები გაუთხოვარი და... დაგიდგება თვალიო...“

„ვაიი!“ აღმოხდება ევას. „მაშ, განა სიავით მოსდის ივანეს რომა, გაბეზრდა და რა ქნას?! ჩემი ბედნიერებისთვის იღწვის...“ გამოესარჩლა ძმას რუსუდანი. მამა ლუკა თვალებს მოჭუტავს, დაფანჩულ წარბებში ჩამალავს მზერას, არაფრით არ სურს გულდაწყვეტა გამოამჟღავნოს, არადა ამ რამდენიმე დღის წინ, რაც გოგლომ გაუმჟღავნა გადაწყვეტილება და გუშინ კი ივანე ყელისწევით სთხოვდა: ბედი კარზე მოგვდგომია, მამაო, გაბრუნება არ იქნება, ჩვენ ვერ ვითანხმებთ რუსუდანს და თქვენ უნდა როგორმე დაარწმუნოთო, თუმცა ერთიც და მეორეც დააიმედა: აუცილებლად თვითონ გამიმჟღავნებს და ყველა ღონეს ვიხმარ, რომ დავარწმუნოვო, ნაღველმა მოიცვა, სევდა დაეუფლა, აშკარად იგრძნო: თელავიდან ამ სოფელში გამოდევნა, შურისა და ინტრიგების წყალობით აღმა სვლისა და მომავალი ეპისკოპოსობის ნაცვლად პატარა საყდრის მღვდლად ჩამოქვეითება უპირველესად რუსუდანთან მეცადინეობამ, რუსუდანის გალობამა და რუსუდანთან ურთიერთობამ შეუმსუბუქა. გოგლოსაც ხომ გალობის დროს დაედგა თვალი. ხარებობის წინა დღეებში გადმოეყვანათ თელავიდან რაღაც საქმეზე, ისე როგორ გავბრუნდე უკან, მამა ლუკა არა ვნახოვო, ეთქვა. მოშუაღდევებულზე ავიდა, ეკლესიაში აღარავინ იყო, წმინდა გალობა კი ისმოდა... მარცხნივ, სვეტთან გოგონები იდგნენ და გალობდნენ. სამნი ზურგით იყვნენ კარისკენ, ერთი კი წინ

ედგათ, თან გალობდა და თან ხელმძღვანელობდა გოგონებს, ხმას აძლევდა, უსწორებდა, აწევ-დაწევას ანიშნებდა, თვითონ პირველ ხმაზე გალობდა, კრიალა ხმა ჰქონდა, მკვრივი და მორაკრაკე, წმინდა, წმინდა ინტონაცია... ჩითის კაბები ეცვათ გოგონებს, თავზეც ჩითის მოსახვევები ეხვიათ... გოგლო ფრთხილი ნაბიჯით წავიდა, მოპირდაპირე სვეტს ამოეფარა და გოგონებს გვერდიდან შეხედა. მუქი მოსახვევები კიდევ უფრო გახაზავდა მათი სახეების სინორჩეს... ხელმძღვანელს კი თავშალი გადასწეოდა, მაღალი შუბლი, დაძგიბული შავი თმები, დიდი მრგვალი, ახლო-ახლოს დამსხდარი და შეუპოვრად მომზირალი თვალები სულიერ ძალაზე მიანიშნებდა, „ოო, კურთხეულო დედათა შორის... ველის შროშანიი სპეტაკი წმინდაა... მომირთმევია ქალწულო შენთვისს", გალობდნენ გოგონები. სვეტს ამოფარებული გოგლო შეიყოლია მათმა ყურებამ... ერთხელაც, შუა გალობაში, ხელმძღვანელმა გააჩერა გოგონები და მკაცრად მიუთითა: „პელო, ქალო, ნინუავ, სონავ, სიტყვებს ხეირიანად რო ვერ გამოსთქვამთ?! რადა ჰყლაპავთ სიტყვებსა, ჰაა? მთავარანგელოზის სიტყვა თქვენა უბრალო სიტყვა ხო არა გგონიათ?! ეს ხომ ჩვენი მაცხოვრის ხორციელად ჩასახვის დასაბამია?! ვიჰ, რამდენჯერ უნდა გითხრათ და განგიმარტოთ?!" სალაპარკო ხმაც მკაფიო, მჟღერი ჰქონდა, გაგრძელებული კილო კი გულუბრყვილობას სძენდა. ბზობას ისევ გასწია გულმა მამა ლუკასკენ. უყვარდა თავის ყოფილ პედაგოგთაგან და ახლობელთან სიტყვის გაზიარება, ზოგად თემებზე მსჯელობა თუ ცხოვრების ჭირვარამის ჩხრეკა. გარდა სურვილისა, გოგლოს თავის მოვალეობადაც მიაჩნდა ხანდახან მაინც მოენახულებინა მამა ლუკა, შურისა და მზაკვრობის მსხვერპლი, უსამართლოდ ჩამოქვეითებული და გამოდევნილი თელავიდან, ენახა და გამამხნევებელი სიტყვა ეთქვა, მარტოობა შეემსუბუქებინა. ახლა კი ამასთანავე სხვა ინტერესიც ამოძრავებდა: გაეგო იმ მგალობელი გოგოს ამბავი.

თითქოს განგებო, ისხდნენ, თევზს შეექცეოდნენ, ვარდისუბნის ბოგირთან, დუქანში გამოართვა მოხარშული ცოცხალი გოგლომ, კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა, ის მგალობელი გოგონა შემოვიდა ბადიით ხელში, ნიგვზის ხინკალი მოგართვითო, თავის დაკვრით მოახსენა მამა ლუკას, გოგლოსაც შესალმა, ბადიას ხუფი მოხადა და ტაბლაზე დაუდგა, ისევ დაუკრა თავი, გატრიალდა და სწრაფად წავიდა, კარებში გასულსღა დაადევნა მადლობა მამა ლუკამ. მერე გოგლოს მიუბრუნდა: ჩემი შეგირდიაო, ძალზე გონებაგახსნილი და თანატოლებში დიდად გამორჩეული გოგოა. რამდენი წლისაა, რატომღაც დაინტერესდა გოგლო. ცხრამეტი უსრულდებაო. არ დაგიმალავთ, მამაო, უთხრა გოგლომ, ამას წინად, ხარებობას რომ მოვედი თქვენთან, გალობის დროს ვნახე და თვალში მომივიდაო...

მოძღვარი რუსუდანს გადახედავს, რომელიც ახლა, სათქმელის ამოხეთქვის შემდეგ, ნაავდრი ბელურასავით აბუზულა სამფეხაზე. ის პატარა, მშვენიერი გოგონა კი გაფაციცებული გამოჰყურებს რუსუდანს და მღელვარებისაგან ხელებს ხან გულზე მიიჭდობს, ხანაც მსასოებელივით მიატკუცებს. მოძღვარი უკან დაიხევს, ფანჯრის დირეს მიეყრდნობა: „ივანემ მითხრა ყველაფერი, ჩემო რუსუდან... ივანემაც და თვითონ გოგლომაც. მე კარგად ვიცნობ შენს მთხოვნელს. ამ თოთხმეტი წლის წინ ჩემი შეგირდი იყო თელავის სასულიერო სასწავლებელში... მერე წავიდა, კიდევ ისწავლა, გორის საოსტატო სემინარია დაამთავრა, რამდენიმე წელია მასწავლებლობს... ადვილად ხელსაკრავი კაცი არ არის, იცოდე! დაფიქრება გმართებს, ჩემო რუსუდან, გამიხარდებოდა... ძალიანაც გამიხარდებოდა, ჩემს ძმისშვილ მაკას ასეთი ღირსეული საქმრო თუ გამოუჩნდებოდა..."

„განა ვწუნობ, მამაო!" წამოიძახებს რუსუდანი ცხვირის სრუტუნით, „ჩემი დასაწუნი ვის რა სჭირს?! მზითვი მე არა მაქვს და ქრთამი... დედინაცვალმა ცარიელზე დაგვსვა მეცა და ჩემი ივანეც, მოუკვდეს იმას ჩემი თავი... მაგრამ გათხოვებით მაინც ვერ გავთხოვდები, მამაო, ვერ გავთხოვდები და რა ვქნა..." ისეთი კილოთი ამბობს და ისეთი ვედრებით მოაპყრობს მოძღვარს ნამტირალევ სახეს, თითქოს აღთქმა ჰქონდეს დადებული. მოძღვარი გულხელს დაიკრეფს და შუბლშეკრული მიაჩერდება რუსუდანს: „კარგად მიუგდე ყური, რუსუ-

დან, ბედისწერის ძახილი არ გამოგეპარ-ოს.“ „ალბათ, უშნოა“, ფიქრობს აღელვებული ევა და შუაში გამოჩხირული რომ არ იყოს, შეუმჩნევლად ჩაცურდება და კუთხეებში დაგებულ ცხვრის ტყავზე მოირთხავს ფეხს, „ვერც გავამტყუნებ, უშნოს ცოცხალი თავით არ გავყვებოდი, ბრძენთ-ბძრენიც რომ ყოფილიყო...“ „ქვეყანას მინდა ნავადგე, მამაო!“ შელაღადებს მოძღვარს რუსუდანი. „ჩვენი სოფლის ბავშვებს წერა-კითხვა მინდა ვასწავლო... თქვენ ხომ იცით, თიბათვის დასაწყისში ეგზამენი უნდა დავიჭირო, უფლება უნდა მივიღო... მაშ, წყალში უნდა გადაგიყაროთ იმოდენა გარჯა.“
მამა ლუკა სარკმლიდან ალაზნის ველსა და ალავერდს გახედავს, პირჯვარს გადაიწერს, „უფალო, მაპატიე ის უღირსი ჭმუნვაო“, გუნებაში იტყვის და ღრმად შეყუჟულ საფირონებივით თვალებს რუსუდანს მოაპყრობს: „დიდი რამ არის წმინდა ბუდის აგება, ჩემო რუსუდან... ყველა რომ თავისი ბუდის სიწმინდისთვის ისევე იღვწოდეს, როგორც კეთილდღეობისთვის იღწვის, ეს ქვეყანაც, ალბათ, სიყვარულისა და სათნოების ბუდედ იქცეოდა... და შენც სწორედ ასეთი ბუდის ასაგებად მოგიწოდებ. მერწმუნე, ეს ეგზამენზეც ძნელია და წერა-კითხვის სწავლებაზეც...“ მამა ლუკა ხელს გამოიწვდის, რუსუდანს თავზე დაადებს, თითქოს იმიტომ, რომ უკედ შთააგონოს ნათქვამი და ღიმილით დასძენს: „ეგზამენს ისევე ყოჩაღად დაიჭერ, როგორც აი, ეს საგალობლები დაწერე, და არც არავინ გადაგეღობება, პირიქით, დაგეხმარებიან კიდეც, ჩემი შეჭედილი ხატის ამბავი, მეც ხომ ვიცი და დამიჯერე...“
რუსუდანი დაიხრება, ანაფორის კალთაზე ემთხვევა მოძღვარს, მერე კი ღრმა ამოოხვრით წარმოთქვამს: „მადლობთ, მამაო, ნუგეშისათვის... თქვენი სიტყვა ჩემთვის ბევრს ნიშნავს... შემინდეთ, ამდენ დროს რომ გართმევთ... ვიფიქრებ... და მერე იქნებ ორიოდ სიტყვა კიდევ შემომაწიოთ...“ „გათხოვდება... ნამდვილად გათხოვდება!“ სინანულითა და სიხარულით ფიქრობს გოგონა და თავისი კუთხიდან რუსუდანს სასოებით გამოჰყურებს. „აბა, ახლა შევუდგეთ საქმეს, სადაც არის მგალობლებიც გამოჩნდებიან...“ მოძღვარი ევას მაგიდისკენ ანიშნებს, თვითონაც თავის ადგილს იკავებს. რუსუდანი თიხის პანია ჯამში ბოთლიდან მელანს გადმოასხამს, სარკმლის რაფასთან მიიდგამს სამფეხას. ჯიბიდან ბატის ფრთას ამოიღებს და გადაწერას შეუდგება. მოძღვარი შავყდიან დიდ წიგნს გადაშლის და ევას გამამხნევებლად გაუღიმებს: „აბა, მშვენიერო ქალო, შენ კითხვას დაიწყებ აი, აქედან, მე კი შენს ჩადედებულ მაწონს შევექცევი.“ და რქის გრძელტარა კოვზით მაწვნის პატარა ბელტს ამოიღებს. „მეერე... მეერე... მამასაც ეტყვიან ევა მოგვეციო...“ გაიფიქრებს გოგონა, ასომთავრული თავკიდურებით გაწყობილ გვერდს დააჩერდება და ნელა, ჩათვლით დაიწყებს კითხვას: „აბ... რა... ამ შ..ვა ის..ა..აკ...“

●

„გულსა შუქი შემომადგა.“

იმ წმინდა გიორგობას, ღმერთმა გიო რომ მოგვაყენა კარზე, წინა ღამით დიდი დელგმა მოვიდა. დილიდანვე ემზადებოდა საწვიმრად, იკრიბებოდა ცაზე მოქუფრული ღრუბლები, ჯარდებოდა პირქუში ლაშქარივით. ციდან დროდადრო ყრუ გუგუნი ისმოდა, თითქოს ელია რკინის ეტლით უვლის ლაშქარს და საბრძოლო მზადყოფნას ამოწმებსო. მე ბავშვობიდან მეშინოდა ჭექა-ქუხილისა, სახლში თუ მარტო ვიყავი, წალოში დავიმალებოდი ხოლმე. საღამოს ეკლესიიდან რო ვბრუნდებოდით მე და მამა, წმინდა გიორგის ფერდობი სულ სირბილით ჩამოვათავე, მამასაც ვაჩქარებდი, ქარიშხალი გვიახლოვდება და გზაში არ მოგვისწროს მეთქი. ის იყო, ეზოში ფეხი შემოვდგით და ცამაც იჭექა. კიდევ კარგი, ნახირი დაბრუნებულიყო, ჩვენი საქონელი ეზოში დაგვხვდა, დარბაზის წინ, უმოაჯირო აივნის დირესთან ჩარიგებულიყვნენ და მარილსა ლოკავდნენ. ჭექის ხმაზე ბაღდადამ, ჩალისფერმა ლამაზმა ძროხამ, თავი აიღო, დაიზმუვლა, მარილის ლოკვას თავი ანება და გომურისკენ წავიდა. მას დანარჩენი ფურ-კამეჩიც მიჰყვა. მე და მამამ მოჯამაგირე უშანგას ვუშველეთ ფურ-კამეჩის ჩამოწველა, ყველანი ვჩქარობდით, რომ უშანგას ქარიშხლისთვის გაესწრო. არემარე შრიალმა აავსო, იძალა ქარიშხალმა, ფრთა გაშალა, რიყისპირა

საურმე გზაზე კორიანტელი ავარდა, დელგმამ ჩამოაბნელა ქვეყანა, ისეთი გრიალი და გრუხუნი იდგა, გეგონებათ მეხი მეხზე ტყვრებაო. მე და მამა დარბაზის ფანჯარასთან, ტახტზე ჩამოვსხედით, მამამ ხელი მომხვია და არემარეს გამოვყურებდით. „ღმერთო, შენ გადმოხედე ცისქვეშ დარჩენილს", ამბობდა მამა პირჯვრის წერით, — „წმინდაო გიორგი, ნუ ჩაუშხამებ ნურავის შენს დღესასწაულსო."

უამინდობა მამას არ ესწავლებოდა, და თუ თვითონ სახლში იყო, მაშინვე გული მწყემსებისკენა და ცხვრისკენ გაუქანდებოდა ხოლმე. ახლაც წამოდგა, ბუხრის თავზე სანთლები მიაკრა, თან სულ იმეორებდა: წმინდაო გიორგი, გადმოხედე საწყალ მწყემსს, წყალობის დღესასწაული დაუყენე ყველა გაჭირვებულსო. ქარიშხალი კი მძვინვარებდა. ძეძვის ღობესთან დიდი ტყემლის ტოტებს ისე ახეთქებდა ერთმანეთს, შტო-ფოთოლს ისე უწყალოდ აფრიალებდა, ღუნავდა და ზნექავდა, ტყემლის მსხვილ ტანსაც ისე აზანზარებდა, თითქოს საგანგებო ჯავრი სჭირს და გულში ამოიჭრა ხის ძირიანად მოგლეჯაო.

„ვაიმე, მამავ, ან მლოცველს რა ეშველება, ან ჩვენ რა გვეშველებაო..." — ვეუბნებოდი მამასა და თან ვეხუტებოდი. „გადაიღებს, აუცილებლად გადაიღებს," — დაბეჯითებით მეუბნებოდა მამა, — „როგორც გვიზეიმია, ისევაც ისევ ვიზეიმებთო."

ეგეთ დროს ნეტავ როგორ ადიდდებოდა ხოლომე ჩვენი რიყე, ჩვენი ჩუმათხევი. ჩვენ ხომ სწორედ რიყის პირას, სოფლის თავში ვესახლეთ, დიდი კლდეების პირდაპირ, სერების, ახოებისა და ტყეების მიჯნაზე. ჰოდა, კლდის ძირას ძაფივით მიკარგული წყალი, მზის შუქზე აბლაბუდას ბეწვივით რომ გაიკიაფებდა ხოლმე, გაზაფხულის წვიმების დროს ისე გადიდგულდებოდა, ისე გაიფოფრებოდა, ისეთ ძალას მოიცემდა, მთელ რიყეს გადაფარავდა და ღრიალით არემარეს აყრუებდა. ჩვენი ჩუმათხევი ერთი ხელის დაკვრით დოღრიალად გადაიქცეოდა ხოლმე. ახლაც დელგმის ხმას რიყის ღმუილი უერთდებოდა, თან თითქოს ვიღაც უსტვენდა, წიოდა, თუ მოსძახოდა — მამავ, ნეტავ კლდიდან ჭინკები ხო არ გამოვიდნენ და ადიდებულ რიყეში ხო არა ჭყუმპალაობენ მეთქი. — ვუთხარი მამას.

— რაღა ეხლა გამოვლენ და თავებს დაიციებენ? — გამიქარწყლა ეჭვი მამამ, — იმათ თავსხმაში უგზოუკვლო ხეტიალი კი არ უყვართ, იმათ უყვართ ნაწვიმარზე გამოსვლა, წყალი რო დაიწრიტება, ქვიდან ქვაზე ხტომა და ქვიშის აჩხრიალება... მაგრამ მე მაინც მესმოდა ვილაცის სტვენა თუ წივილი.

მთელი ღამე შფოთიანად გავატარეთ. ჯერ იყო და როდის-როდის დავწექით. სადღეობოდ მამამ უშანგა რო დაითხოვა, ჩვენც საქმე მოგვემატა. მე თან საქადე ცომიც მოვქენი. გასაღვივებლად დავდგი, ნაღვერდალზე ქადის გულიც მოვშუშე; მამას ნიგვზიანი ქადა უყვარდა, თაფლშერეული, ის კიდევ ცალკე ვნაყე და ვზილე. რაც ვიცოდი და არ ვიცოდი, ყველაფერი მინდოდა ხოლმე ამ დღეს გამეკეთებინა.

მამამ კი საღამოს ჩამონაწველი ძროხაკამეჩის რძე მაწვნად ჩაადედა, დანარჩენისა კი ახალი ყველი ამოიყვანა. ჰოდა, როდის-როდის დავწექით და ბალიშზე ყური რო დავდე, ასე მეგონა დედამიწა ზანზარებს მეთქი...

პირველივე ძილიდან უცნაურმა სიზმარმა გამომაფხიზლა. ერთბაშად ვერც მივხვდი სად ვიყავი, თავი ისევ სიზმრის მინდორში მეგონა. მამას დავუძახე მაშინვე.

— რა იყო, შვილო, რა ამბავია?! — ფრთხილი ძილი იცოდა მაწიამ, მყისვე დაეხმიანა.

— სიზმარი ვნახე, მამავ...

— თუ ცუდი სიზმარი ნახე, გადი კარებთან და წყალს უთხარი, წაიღებს და გაგიქარწყლებს, ეს ნიაღვარი რას არ გააქარწყლებს...

გარეთ ისევ ქარიშხალი გუგუნებდა.

— არ ვიცი, ცუდია თუ კარგია, არ ვიცი, მამავ!

— მაშ, მითხარი ბარემ რა ნახე!

— ვითომ ყვავილებით გადაბიბინებულ მზიან ველზე ვიდექი... ირგვლივ ყველაფერი ჩახჩახებდა.

— ძალიან კარგია, შვილო, მზე და ყვავილები სიხარულის ნიშანია.

— მეც მიხაროდა, ეს რა მზიანი გიორგობა გაგვთენებია მეთქი.

— მაგრეც იქნება, ნახე თუ დილისთვის ქვეყანა არ დაშოშმინდეს... მერე, მერე!

— გაოცებული თვალს ვავლებდი ველსა, მთისა და ბარის ყვავილს ერთად შეეყარა თავი და ეს მიკვირდა... რას არა ნახა-

ვდა კაცის თვალი, რომელი მცენარე გინდა რო იქ არ იყო, გინდ სამკურნალო, გინდ სამღებრო, გინდ მხალეული... და ყველაფერი ყვაოდა...

– მთა-ბარის ერთობა მოგზმანებია და ეგ არის.

– ლურჯად კაშკაშებდა ნაღველა, თეთრად ანათებდა მჟაველა, მაღლა-მაღლა ოქროსფრად ყელყელაობდა სკიპალო, ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ მთელ ველზე მიმობნეული სამყურას წითელ-ყვითელი ყვავილები, იფურჩქნებოდა ტანმაღალი კენკეშა, ალაგ-ალაგ დიდ ვარდისფერ თაიგულებად აფეთქებულიყვნენ იალღუნის ბუჩქები... რომელი ერთი ჩამოგითვალო, ისე ბრწყინავდა და ელავდა ირგვლივ ყველაფერი, წალკოტი გეგონებოდა.

– სწორედ რო წალკოტი გინახავს, ევავ, ამ გიორგობა ღამეს!

– მეც ეგრე მეგონა, მამავ... სანამ ვიდექი და ვუყურებდი ველსა და ვტკბებოდი მზერით, მეც ეგრე მეგონა... მაგრამ გადავდგი თუ არა ნაბიჯი, რაღაცას წამოვკარი ფეხი და კინაღამ წავიქეცი, დავხედე და ყვავილებში მკვდარი ცხვარი ეგდო, სისხლის ნიშანი არსად ეტყობოდა, უსულოდ იყო მკვდარი, მუცელი ჰქონდა გაბერილი და ვიფიქრე ვაიმე დამხრჩვალა მეთქი...

– ღმერთო, გადმოხედე საწყალ მწყემსს... – აღმოხდა მამას.

– საითაც არ მივბრუნდი, საითაც არ გადავდგი ნაბიჯი, ყველგან დამხრჩვალი ცხვარი მებლანდებოდა ფეხებში, ნაბიჯს მიბორკავდა და მთელი ეს წალკოტი მოფენილი იყო დამხრჩვალი ცხვრით... ვაიმე, ვაიმე მეთქი, გული ამომიფუვდა, ჩავჯექი და ტირილი დავიწყე, ვტირი, ვტირი, ღვიარება ჩამომდის...

– ტირილი კარგია, გენაცვალოს მამა, – გული მოიცა მაწიამ, – ტირილი სიხარულის ნიშანია, მოულოდნელი სიხარულის ნიშანია...

– ამ ტირილში ვარ და ცხენის ფეხის ხმა გავიგონე, გავიხედე და ველზე თეთრი ცხენოსანი მოდიზ, სპეტაკი ცხენოსანი, მზეზე ულივლივებს თეთრი მოსასხამი, თავზე შარავანდედივით გვირგვინი უბრწყინავს... გავითანგე, ცრემლები შემაშრა, მზერადქცეული, სასოებით მივაჩერდი თეთრ მხედარს... ცხენი ნელა მოირწეოდა, თითქოს მოცურავსო, მიკვირდა კიდეც, როგორ არც ერთხელ არ წამოჰკრავს ფეხს დამხრჩვალ ცხვარს მეთქი... ასე ნელი სვლით შემოუარა ველს გარშემო და ჩემსკენ გამოემართა... ბრწყინვალებისაგან თვალთ დამიბნელდა და მიწაზე დავეცი... რაღაც უჩვეულო სიომ გადამიარა და ცხენის ფეხის ხმაც მიწყდა, თავი ავიღე და რა დავინახე. შუა ველზე ჩემთან შორიახლოს ბატკანი იდგა და შემომბღაოდა... ეღარც თეთრი მხედარი იყო და აღარც დამხრჩვალი ცხვარი...

– შვილო! – შესძახა მამამ, – ეგ სიზმარი კი არა, გამოცხადებაა! ჩვენი სალოცავი წმინდა გიორგი გამოგცხადებია და ბატკანი უბოძებია! ადექი ახლავე, შენი ხელით დაუნთე სანთელი და მადლი მოახსენე.

რაღა თქმა უნდა, მაშინვე სანთელიც დავუნთე და მადლიც მოვახსენე.

სანამ სანთელი ჩაიწვებოდა, საქადე ცომი გადავზილე და თბილად დავაფარე, რომ დილაადრიანად ქადები დამეცხო... გარეთ ჩვენი რიყე ღრიალებდა და ბობოქრობდა, მე კი ისევ მზით გაჩახჩახებულ ველსა და პატარა ბატკანს ვხედავდი...

ჯერ გათენებული არ იყო რო ავდექი. მამა უკვე ბუხარს ანთებდა და მახარა: ქარიშხალი ჩადგა და თავსხმამაც გადაიღოო. ცომიც კარგად გაღვივებულიყო, ამოვაგუნდავე და მაშინვე ქადების ცხობას შევუდექი. რო ვსაქმობდი, მამასაც ჩემს გვერდით ტრიალი უყვარდა, ამიტომ ჯერ ხანჯალი გალესა ბუხრის პირას ცხვრების დასაკლავად, მერე კი, ირიჟრაჟა თუ არა, გარედ გავიდა ეზო-ყურის სანახავად და საქონლის მისახედად. მეც ერთი სული მქონდა როდის გავხედავდი ჩვენს რიყეს და ჩვენს ტყემალს. მერე როგორ მიყვარდა ერთიცა და მეორეც. მივეყუდებოდი ხოლმე ძეძვის ღობესთან და თვალს ვერ ვაცილებდი თიხისფერ ღვარცოფებს. ოჰ, როგორ გაოცდებოდნენ შორი სოფლებიდან მოსული მლოცველები, მოჩურჩულე და მოშრიალე ჩუმათხევის ნაცვლად ეს როხროხა ბაყბაყდევი რო დახვდებოდათ...

დაბრაწული საგიორგობო ქადები წყობისად დავალაგე ტაბაკზე და ქათქათა ტილო გადავაფარე. ცოტაოდენი ცომი დამრჩა და გულისთვის ქოთანში სახელხადელოდ ერბო ჩავადნე, ფქვილი ავურიე, ავზილე, მარილი მოვაყარე და ღადარში მოსაშუშებლად ჩავდგი,

ვიფიქრე ერთი წუთით თვალს დავკრავ არემარეს, მაშინვე შემოვბრუნდები და იმ უკანასკნელ ქადასაც ჩავაცხობ მეთქი.

თეთრი ღაზლის შალს დავუწყე ძებნა. თეთრგიორგობა დილით სწორედ ის შალი უნდა მომეხვია, რო წმინდა გიორგის ყმობაც მეთქვა და დამკვებებოდა კიდეც მრავალი დღესასწაული. გამახსენდა რო ის შალი საქსოვთან ერთად წალოში შევინახე. მაშინვე რუსუდანი დამიდგა თვალწინ და გული ჩამწყდა. რუსუდანი ხო სააღდგომოდ დავნიშნეთ, საამაღლებოდ ჯვარი უნდა დაეწერა და მე საჩუქრად სწორედ ჩემნაირ ღაზლის შალს ვუქსოვდი. ძალიან მოსწონდა რუსუდანს და იმიტომ. მამამ სხვენიდან ორი გაძეკილი ტომარა მატყლი ჩამოიტანა, რუსუდანს ჩვენგან ორი ხელი ლოგინი გავატანოთ მზითევშიო, კარგ პირებს გიყიდით, ქიშმირისას, დასხედით და ლეიბ-საბნები შეკერეთო. შენ კი თუ გინდა, შენი მხრიდან სხვა რაიმეც დაუმატეო. ჰოდა მე სწორედ ღაზლის დიდი შალის მოქსოვა გადავწყვიტე. რუსუდანის ნიშნობა-ქორწილი მაღელვებდა კიდეცა და მამწუხრებდა კიდეც. რო წარმოვიდგენდი: ჯვარს დაიწერდა, წავიდოდა და როცა მომინდებოდა ველარა ვნახავდი, დარდით გული ამიძგერდებოდა ხოლმე. გუშინ საღამოსაც ეკლესიაში რუსუდანი თავის ახლად დანიშნულ გოგლოსთან ერთად იყო და მამამ მითხრა: შუბლი გახსენი, ეგრე დარუშხული ნუ უყურებო. მაგრამ რუსუდანის დანიშვნის შემდეგ მეც ძალაუნებურად საბედოზე დავიწყე ფიქრი, თითქოსდა რუსუდანისაგან გადმომედოვო. აქამდე, თუმცა მამას უკვე კაცებს უგზავნიდნენ, ფიქრადაც არ მომსვლია, კაცმა რომ თქვას, გათხოვებაზეც არც ახლა ვფიქრობდი, მამასთან დაშორება ვერ წარმომედგინა, მაგრამ რუსუდანის დანიშვნის შემდეგ საბედოზე კი დავიწყე ფიქრი...

ჩვენს სოფელში ვისაც თვალს გადავავლებდი, ყველა ჩემიანი მეგონა... ოცნებით კი ჩემი საბედო ვიღაც უნდა ყოფილიყო... ვიღაც უცხო და უცნობი, საიდანღაც მოვლენილი, ჯერ უნახავი, მაგრამ განგების მიერ მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის შექმნილი, ერთმანეთის დანახვისთანავე ცა რო გაგვეხსნებოდა და მყისვე ვიგრძნობდით რომ არავინ, სხვა არავინ, დედამიწაც რო გადაბრუნებულიყო, არასოდეს არავინ არ მოგვესურვებოდა ერთმანეთის მეტი. ჩემი საბედო გმირთ-გმირად წარმომედგნა, ვინ იცის რის არ ჩამდენად. ჰოდა, ღაზლის შალი რომ მოვიხვიე და რუსუდანისთვის დაწყებული საქსოვი თავის გორგლიანად წალოში შევდე, გულმა გამკენწლა და იქნებ გასაქარვებლადაც, იქნებ ცნობისწადილის გამოც გავიფიქრე: ნეტავ ამ თეთრგიორგობა დილას ჩემი საბედო სად არის მეთქი.

ღაზლის შალი მოვიხვიე და გარედ გამოვედი. ახალი გარიჟრაჟი იყო. პირველი რა დავინახე და ჩვენი ტყემალი, ქარიშხალთან ნაბრძოლს ცალ მხარეს დიდი ტოტი რომ ჩამოლეწოდა და ძეძვის ღობესთან გალუმპული და ფრთამოტეხილი იდგა...

არემარეს ავსებდა აზვირთებული რიყის ხმაური. წელს მაინც ჩუმათხევს მეტისმეტად გაეგიჟებინა თავი. ლამის ჩვენს ღობემდე უწევდა. სადღა იყო საურმე გზა რიყის პირას, ღობესა და წყალს შორის საცალფეხო ბილიკი ძლივსღა შეინიშნებოდა... ქვევით, ალაზნის ველზე ნისლი იდო, თეთრი, ქათქათა ნისლი და ლაჟვარდოვანი მთები — დათოვლილი მწვერვალებით, ნისლზე ატივტივებულივით მოჩანდნენ. აქეთ-იქით გავიხედ-გამოვიხედე, თითქოს ვიღაც უნდა დამენახა... ვინ იცის სწორედ ახლა შორეული და უცნობი დები თავის ძმას ხურჯინში ახლად გამომცხვარ ქადა-ნაზუქს ულაგებენ ჩვენს თეთრგიორგში სადღეობოდ მეთქი, გავიფიქრე.

ზევით, ცივ-გომბორის კალთებს თხელი ნისლი ლეჩაქივით ეფინა. ვინ იცის, მოდის, მოაგელვებს თავის თეთრონს და ისიც ჩემზე ფიქრობს მეთქი. ამის წარმოდგენისას რაღაც უცნაურმა განცდამ შემიპყრო; მანამდე არასოდეს ასეთი რამ არ მიგრძვნია, თითქოს წვიმით გაჟღენთილი სივრცე ჩვენი ფიქრით იყო სავსე, ერთმანეთის საძიებლად დაძრული ჩვენი ფიქრით, უხილავი ფრინველებივით რო დაფარფატებდნენ თეთრგიორგობის ლილისფერ განთიადში. ქარიშხალმა და იმ უცნაურმა სიზმარმა კინაღამ გონებიდან გადამიგდო მე და რუსუდანს რო უნდა გვეგალობა დღესა მგალობლებთან ერთად. და როგორც გოგლომ გალობის დროს შენიშნა რუსუდანი, ისიც, ის უცხო და შორეული, სწორედ ჩვენს თეთრგიორგობაზე, ჩვენს ეკლესიაში

მოსული სალოცავად და სადღეობოდ, ზღვა ხალხში გამომარჩევს და ვინ არისო? ვინ არისო? შფოთიანად იკითხავს... მაწიას ევაო... მაწიას ევაო...

მე ვდგევარ ახლად დანიშნული რუსუდანის გვერდით, რუსუდანს „ბორბლებიანი“ ვარდისფერი კაბა აცვია, ნიშნობისთვის მკერავმა ბაბალემ რო შეუკერა, ისა; მე გულს მიკოდავს რუსუდანთან განშორება, მაგრამ სულში ნათელი მიდგება, რო ერთად ვგალობთ რუსუდანის შეთხზულ საგალობელს, წმინდა გიორგისას... ორივენი განწირულებივით ვგალობთ, ჩვენი გალობა ავსებს ჩვენს ეკლესიას, მე გალობის დროსაც მესმის, მკაფიოდ მესმის ჩუმი ძახილი: ევავ! ევავ!

სურვილმა მომიარა ჩვენს აზვირთებულ რიყეს შევხმიანებოდი, შევმღერებოდი, არემარე რო მოგაქვს, მარტო შენ კი არა ხარ ქვეყანაზე მეთქი, მარტო შენ კი არა გაქვს დიდი გული მეთქი, აბა, მიყურე როგორი მოძახილი გითხრა მეთქი. მე განსაკუთრებით მიყვარდა წირვის ბოლოს მრავალჟამიერს რო დავცხობდით ხოლმე. ზევიდან რო გუნდი დააგუგუნებდა, ჩვენ ქვევიდან ხმას მივცემდით, შევუერთდებოდით, ჟრუანტელი დამივლიდა ხოლმე. ჰოდა, ახლაც ყელი მოვიღერე, გამომწვევად გავხედე ჩვენს რიყეს და მთელი ხმით შემოვძახე: მრავალჟამიეერ... მრავალჟამიეეერ... უკანასკნელ, მეოთხე მრავალჟამიერზე ისე ავუწიე ხმას, რაც ძალი და ღონე მქონდა, რო მევე შევკრთი... მაგრამ ჩემი სიმღერა არავის ესმოდა, მამასაც კი არა, იმიტომ რო ის ახლა, სახლს უკან, გომურში ფურებსა სწველიდა... გალმა კლდეს გავხედე, ჩამოსველებულს და ჩამოჟამებულს, ძირზეც მღვრიე თიხისფერი ღვარები რო ეხეთქებოდა. ნეტავი ჭინკები ხო არ მითვალთვალებენ კლდიდანა მეთქი. მაგრამ მაშინვე უკუვაგდე ეს ფიქრი, დღეს ისეთი დღეა, კლდიდან ცხვირის გამოყოფასაც ვერ გაბედავენ მეთქი... სადაც არის მლოცველები გამოჩნდებოდნენ, სადაც არის თეთრებში ჩაცმული მონა დედაკაცები აივლიდნენ... სადაც არის წაბლა ვირზე გადამჯდარი მამა ლუკა ამოივლიდა. მერე ჩვენც წავიდოდით... უჰ, რამდენს ვიცეკვებდი! დღეობაზე ხელის გაშლას და წრეში ჩამოვლას არაფერი მერჩივნა. დოლ-გარმონის ხმას რო გავიგონებდი, ხელ-ფეხი თავისით დამიწყებდა ტოკვას. თუნდ მთელი დღე ნიავივით ვიქროლებდი და ფეხს არ ჩავიკრეფავდი, არ დავიღლებოდი... და დოლ-გარმონის ხმაშიაც გავიგონებდი შფოთიან კითხვას: ვინ არისო? ვინ არისო? ვინაო! მაწიას ევაო! მაწიას ევაო!

ტაშის გუგუნშიაც გავიგონებდი ჩუმ ძახილს:

ევაო! ევაო!

ტყემალი გავარხიე და ხშირ წვეთებს სახე შევუშვირე.

საქადე გული უკვე მოიშუშებოდა, მე კი ფეხი უკან მიდგებოდა. თეთრგიორგობის დილა არავისთვის მიმილოცავს, არავისთვის მადლის შეწევნა არ მითქვამს, ჩემთვისაც არავის მოულოცავს და ეგრე უსალმოდ და უმადლოდ სახლში როგორ შევტრიალდე მეთქი. თანაც ჩვენი რიყე გეგონებათ კალთაზე მეჭიდება და არ მიშვებსო, თვალს ვერ ვაცილებდი იმის ზვირთებს და ვგრძნობდი, რო ჩემს შიგნითაც ზვირთდებოდა უჩვეულებრიოსი და ჯერარგანცდილის წყურვილი და მოლოდინი.

ჩავიფიქრე: თუ აი, ახლა, ამ წუთასვე პირველი მლოცველი ამოივლის და ცხენოსანი იქნება – ბედნიერების ნიშანი იქნება მეთქი. ყურთასმენა დავძაბე, მაგრამ წყლის შხუილის მეტი ისევ ვერაფერი გავიგონე. გავიხედ-გამოვიხედე, არემარეს თვალი მოვავლე და ზევით, ბეჟანაანთ ახოში ვიღაც შევნიშნე. ცხენოსანი კი არა, ფეხითაც ძლივს მოდიოდა, დროდადრო წაბარგანავდებოდა ხოლმე. ვინ უნდა იყოს ეხლა ზევიდან მომავალი მეთქი, თუ მთვრალია, ეგრე წინასწარ როგორ გაილეშა მეთქი. იერზე ვერ ვიცანი, სულ ვერ ვიცანი, მოკლე ნაბადი ჰქონდა მოხვეული, თავზე ბოხოხი ეხურა, გულთან კი რაღაცა თეთრად მოუჩანდა. ნათლისმცემლის პატარა საყდარს ჩამოუარა და ქვევითკენ დაეშვა... ფერდაზე ჩამოსვლისას იგრე დატორტმანდა, მე მეგონა ჩამოგორდება და პირდაპირ რიყის ზვირთებში გაადენს ზღართანსა მეთქი... კისერი წავიგრძელე, ძეძვის ღობეზე გადავიწიე და გადავიხედე... როგორც იყო გამოჩნდა რიყისპირა ბილიკზე... ძლივს მოლასლასებდა... თუმცა ბოხოხი წარბებამდე ჩამოეფხატა და თავიც ჩახრილი ჰქონდა, ეტყობოდა ახალგაზრდა იყო. ნაბდიდან კი კრავს თუ ციკანს გამოეყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი. სათეთრგიორგობო და საზეიმო ამ კაცს არაფერი ეტყობოდა. თითქოს ნაძალადევად ადგამს ნაბიჯებსო, თვალებდახრილი ბილიკს დასჩერებოდა და არსაით იყურებოდა. ვაიმე, ნეტა რა სჭირს მეთქი... მომიახლოვდა და ახლა უკვე მკაფიოდ გავარჩიე ყველაფერი. სულ მთლად დამბალი იყო, ქალამნები, ტოლუღები გალუმპული ჰქონდა, ეტყობა თიხიანებში კარგა მაგრად ეჭიმა სასახლეები, ნაბადი სულ სველი თიხით ჰქონდა გაგლესილი, ჩამოფხატული ბოხოხიდანაც წვეთები სცვიოდა... გაჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, სული მოითქვა, ადიდებულ რიყეს გახედა... ეტყობა თავბრუ დაეხვა, უეცრად შექანდა და კინაღამ მუხლებში ჩაიხვეწა... რო მობრუნდა და აქეთკენ წამოვიდა, ახალგაზრდა ბიჭის მოჭმუხნული სახე დავინახე, კრიჭაც ისე ჰქონდა გაკრული, გეგონებათ ვერა ძალა ვერ გაუხსნისო. მართალია, ჩემსკენ არ გამოუხედავს, მაგრამ გვერდიდან უეჭველად უნდა დავენახე. ვაიმე, რა სჭირს ამისთანა, ამ თეთრგიორგობა დილას სალამსაც რო მიჭერს მეთქი. რო გამისწორდა, ღობეზე გადავინიე და ხმამაღლა გადავძახე, მეგონა ისე ვერ გაიგონებს მეთქი, თანაც სურვილი მომერია გამომეფხიზლებინა და გულისხმაში ჩამეგდო:

„რა დაგემართა, ბიჭო, სალამსაც რო არ ამბობ!"

გაჩერდა, თავი აიღო და გაოგნებულივით შემომხედა. ლურჯი თვალები ჰქონდა და რატომღაც გამიკვირდა, თითქოს სხვა ფერი უნდა ჰქონოდა და მოულოდნელი იყო ის ლურჯი მზერა... ერთხანს ასე მიყურებდა დარეტიანებულივით, ისიც კი მეგონა, მომჩერებია, მაგრამ ვერა მხედავს მეთქი. მერე კი, თითქოს ბოლმა ყელში ეჩხირება და ენას უბორკავსო, ისე ამოილაპარაკა: „ცხვარი დამეხრჩო..."

ამისი თქმა იყო და ბატკანი ხელიდან გაეშვა, ნაბდიდან ჩამოუცურდა, თვითონ ჯერ ღობეს მოეყრდნო, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა, ზედ დაეცა და ასე მეგონა უეცრად სული განუტევა მეთქი, ეგრე დარჩა ძეძვზე გარდიგარდმო გახიდული. „მამაააავ!! მამაააავ!!" – დავიძახე და გომურისკენ გავიქეცი.

მამამ ცუდუბრალო აღევლება არ იცოდა, მაგრამ ჩვენს ღობეზე ცოცხალმკვდარი ბიჭი რო დაინახა, „ეს რა ამბავიაო!" შესძახა, გალუმპული ნაბადი მხრებიდან გადააძრო, ბიჭი ბუმბულივით აიტაცა და სახლისკენ წავიდა.

ბატკნის ბღავილი მომესმა, გავიქეცი, მარტოდ დარჩენილი, აბღავლებული ბატკანი წამოვიყვანე, მერევე სველი ნაბადი როგორც იყო მოვაცილე ძეძვის ღობეს...

მამას ბიჭი დარბაზში ტახტზე დაეწვინა და შეწუხებული თავს დასტრიალებდა, ყბებს უზელავდა, ნიკაპზე ეჭიდებოდა, ხელებს განზე უწევდა, რომ როგორმე გულისხმაში ჩაეგდო, მაგრამ ბიჭი გრძნობაზე ვერ მოდიოდა. ჩქარა ძმარი და ჩემი საცვლები მომიტანეო, მითხრა მამამ, ზედადგარზე ქვაბით წყალი შედგი და ტახტზე ლოგინი დააგეო. მე ჯარასავით დავტრიალდი, ფიცხლავ მივურბენინე მამას ძმარიცა და საცვლებიც, ბუხარს ჩავუკეთე და ახლაღა გამახსენდა ქადის გული, ღადარში ჩადგმული პაწია ქოთანი რო დავინახე. გავიფიქრე: ამ უკანასკნელ ქადას ამ ბიჭის ბედობაზე გამოვაცხობ მეთქი, წყლისთვის გავიქეცი. ქვაბით წყალი შემოვიტანე ზევით ოთახიდან, ცეცხლზე შემოვდგი და ლოგინის გაშლა დავიწყე. თან თვალი მამასკენა მქონდა, ბიჭისთვის სველი შარვალ-ხალათი და საცვლები რო გაეხადა, თავისი ტყაპუჭი დაეფარებინა და გულმკერდს ძმრით უზელავდა.

„აბა, უყურე, მამავ, – დანანებით გადავულაპარაკე მამას, – თეთრგიორგობა დილას ლოგინს რო ვშლი..."

„საყვედური არ დაგცდეს, შვილო, არ იქნება..."

„რა უნდა ვქნათ, რო არც ვიცით ვინ არის?!"

„გაღმიდან უნდა იყოს, იმათ იციან ეგეთი ტოლუღები."

„რამე რო მოუვიდეს?"

„უნდა მოვუაროთ, ცოცხალსაც და მკვდარსაც მოვლა უნდა. ხელები აღაპყრო, შელაღადა: ღმერთო, ნუ დაგვატეხ რისხვას, უცხო შვილს ჩვენს კარზე ნუ მოჰკლავ!"

ბიჭს დაუბუმბლავი მკერდი ჰქონდა, სუფთა, სუფთა გულმკერდი. მამასი მერიდებოდა, რო ტახტთან მივსულიყავი და ნახევრად შიშველისთვის გაბედვით დამეხედა, ლოგინის გაშლის დროს გავხედავდი ხოლმე ცალი თვალით და ტახტზე უსულოდ მდებარეს რო ვხედავდი სიბრალულთან ერთად და იქნებ

უფრო მეტადაც, უცნაური გრძნობა მეუფლებოდა, განგებისა თუ ბედისწერისა. ახლა უკვე სხვაგვარად გამიცოცხლა ჩემი სიზმარი, დამხრჩვალი ცხვრით მოფენილი დიდი მინდორი და შუა მინდორში პატარა ბატკანი რო ვნახე. ნეტავი ეს ბატკანი როგორღა გადაურჩა მეთქი, გავიფიქრე.

„აბა, თვალი გაახილე, ბიჭო. თვალი გაახილე!“ ჩასძახოდა მამა.

ბიჭმა წარბი შეჭმუხნა და ძლივს ამოიკვნესა. მამამ თავისი საცვლები ჩააცვა, ტყაპუჭში გახვია და მეორე ტახტზე, ფანჯარასთან, ჩემს დაგებულ ლოგინში ჩააწვინა. „გტკივა რამე?“ კიდევ ჩასძახა მამამ.

ბიჭმა რაღაც ამოილუღლუღა: ყველაფერი მტკივაო, თქვა მამამ.

„ნუ გეშინია,“ ჩასძახა ისევ მამამ, — კიდევ ბედი გქონია, რიყეში რო არ ჩავარდი და წყალმა არ წაგიღო.“

ცოტა ხნის შემდეგ ისეთი ბაბანი აუტყდა, კბილს კბილზე სცემდა. საბნები დავაყარეთ, ზევიდან მამას ნაბადიც დავაგდე, მაინც კი ვერ წყნარდებოდა... სუნთქვითაც ეოშინითა და სტვენითა სუნთქავდა... ზოგჯერ იგრე მეგონა მკერდი გაუსკდება და სული ამოხდება მეთქი... მამამ ისა თქვა „საჩვენოს არა ჰგაავს, და უზიარებლად მაინც არ უნდა მოკვდესო, ნუ მოკვდებაო, ნუ მოვკლავთო.“ ავცახცახდი, მთლიანად შემძრა ამ ბიჭის ამბავმა. მამას შევევედრე: მამავ, შენი ჭირიმე, როგორმე ვუშველოთო, როგორმე გამოვატრიალოთო, ხელს ნუ ჩაიქნევო, შენი მუხლების ჭირიმეო, და მამას მუხლებზე შემოვეხვიე, შენ ყველაფერი შეგიძლიანო, შენ ხო რაღა არ შეგიძლიანო, ჩვენ სახლში ნურაფერი დაემართებაო, ვეხვეწებოდი მამას, ვეღმერთებოდი, რო ვეუბნებოდი ჩვენს სახლში ნუ დაემართებაო, განგებ ვეუბნებოდი... თან იმასაც კი ვფიქრობდი.. ეხლა უკვე საყდარშიც უნდა ვყოფილიყავით, წირვაზე, ჩვენ კიდევ აბა, რა უნდა გვექნა. უნდა გვეგალობა. რუსუდანი უკანასკნელად ამღერებდა გოგოების გუნდს, აგალობებდა და მერე კი ნიშნობა უნდა ყოფილიყო. გოგლოც ეკლესიაში იქნებოდა, თავისი ძმითა და მომყოლებით, ამ დღეს განსაკუთრებული მოლოდინით ელოდა თერთმეტი წლის ევა. სულ რუსუდანის გვერდით უნდა ყოფილიყო, არცერთი წამით არ უნდა მოსცილებოდა, ერთად უნდა წასულიყვნენ, ერთად უნდა ყოფილიყვნენ საყდარშიც, ერთად ეგალობათ რუსუდანის საგალობელი „წმინდავ გიორგი“ და მრავალჟამიერი, მერე კი მამას ჭედილა უნდა დაეკლა, დასხდებოდნენ ალაჩოხში, იქვე, ან არადა სახლში წამოვიდოდნენ, გაშლიდნენ სუფრასა და კარგად იქეიფებდნენ. მაწია რუსუდანს მოისვამდა ხოლმე გვერდით, კარგი სიმღერა იცისო და რუსუდანის გარეშე არ გასტეხავდა ლუკმას. ეხლა რაღა, ყველა გახარებული იყო, გოგლოს ყველა აქებდა, სწორედ იგეთია, წერაკითხვის მოყვარულ რუსუდანს რო შეეფერებოდაო, თანაც აზნაურიო, თუმცა შეძლების პატრონი არ არის, მაგრამ თავისთვის ტკბილი ლუკმა ყოველთვის ექნებათ, რადგან სამსახურშია ჩამდგარიო... მაგრამ ნასწავლია და სწავლა კიდევ ჩვენს დროში შეძლებაც არის და ქონებაცო. ჰოდა, მე სულ სხვა მოლოდინი მქონდა ამ დღისა, ჯერ ისედაც განსაკუთრებით უყვარდა და მითუმეტეს დღევანდელ დღეს ხომ საგანგებოდ ელოდა. ეხლა ამ ახალგაზრდა მომაკვდავი ბიჭის სახეს რო დავცქეროდი, გული სხვაგვარად მიძგერდა... წავსულიყავით, როგორ წავსულიყავით, არ წავსულიყავით და ეგეც ვერ წარმომედგინა, რაკი დღევანდელ დღეს ეგეთი სტუმარი მოგვაყენა ღმერთმა კარზე, მაშ, სწორედ ამ სტუმრის გადარჩენასა გვთხოვსო, ჯერ როცა არ უნდა მოეყენებინა, და ისიც ეგეთ დღესა, ვეუბნებოდი მამას, იმისი შიშით, რო ბოლომდე გვებრძოლა და ხელი არ ჩაექნია, მე ეგრე მეგონა: თუ ვიბრძოლებდით, თუ თავს გადავიკლავდით, ღმერთი გადმოგვხედავდა... ბიჭი კი ბორგავდა, ეხლა უკვე სახე დატეტკილი და ფერმკრთალი კი აღარა ჰქონდა, მთლად გაჭარხლდა, ოფლმა დაასხა...

„ბიჭოო, ბიჭოო...“ ჩავძახოდი მე, აბა თვალები გააჩილე... ოფლს ხილაბანდითა ვწმენდავდი, გახურებულ ტუჩებს — წუა გავხსენი წყალში და იმითი ვუსველებდი... იწვის საწყალი, იწვის, თუ ამ სიცხეს როგორმე გაუძლო, ვარვარებს... ამბობდა მამა. მე ეგრე რო ვევედრებოდი, მითხრა: მერე წირვას რა ვუყოთო, ეგეთი დღეა და ჭედილაც დასაკლავი გვყავსო, ჩვენი წილი ვინ ილოცოსო, ვინ შეევედროს წმინდა გიორგის, ვინ დაანთოს

სანთელიო... ეხლა რაც გასაკეთებელი იყო, გავუკეთეთ, თუ გასძლო საღამომდე საფენებს გავუმეორებო... ჭედილაც ამის სახელზე დავკლათო, შევეხვენე. რამდენიმე დღე სიკვდილს ებრძოდა და მერეც ძალიან ცუდად იყო, დააწყებინებდა ხურვებას და ვარვარი გაჰქონდა, რაღას არ უკეთებდა მამა, რა ნახარშებს აღარ ასმევდა, რა დასაზელებით აღარა ზელავდა, რა მტლეებს აღარ ადებდა, მეც ვშველოდი, გვერდიდან არ ვშორდებოდი, საფენებს ვუცვლიდი, ფაფა-ფუფას ვუხარშავდი, მამა რასაც მეტყოდა, ყველაფერს ვუკეთებდი. თვალები სუ დახუჭული ჰქონდა, ზოგჯერ, გრძნობაზე რომ მოვიდოდა, გაახელდა, ლურჯად გამოაბრჭყვიალებდა, ამოიგმინებდა, ამოაქოშინებდა, ძლივს გასაგონად ამოილულლულებდა, რად მივლითო, ცუდი მწყემსი გადასარჩენი არ არისო. რას ვიზამთო, ერთხელ ხუმრობით ჩასძახა მამამ, იგეთ დღეს მოგვაყენა შენი თავი განგებამ, ხელის კვრა არ იქნებოდაო, წმინდა გიორგი გაგვიწყრებოდაო. მეც გიო მქვიაო, ამოიკვნესა. ჩვენც ვინაობას გვეკითხებოდა, იქვე ავინყდებოდა, მოვიდოდა გრძნობაზე და ისევ იკითხავდა სადა ვარო. ცოტა რო მოვარგდა, ამბავი ვკითხე, პირველად იყო რო დალაგებით ხმა ამოიღო: იმ ღამეს დიდი დელგმა მოვარდაო, ეგეთი არცა მსმენია, არცა გამიგიაო, ელვა რო გაკრთებოდა, წყალს კაპკაპი გაჰქონდაო, მტკიცედ შეკრული ძეძვის ღობე მიინაშა, მიილამა, ჩაიხრჩო მთელი ცხვარი ბაკშიო, ხუთმეტისა ვიყავი, ცხვარი რო დავიზიარე, ცხრამეტი გავათავე, ყავლიც გადიოდა, ნამატი უნდა გაგვეყო, ოთხი ნლის შრომა წყალში ჩამეყარა, დავრჩი ცარიელ-ტარიელიო. სამი თხა გადარჩა, შორიახლოს ნიშის ნანგრევებზე იყო ასული, იმათთვის აღარ მიმიხედავს, ბატკანი შემეცოდა, ჩლიქებზე ფიშმა სჭირს, ხურჯინში გვეჯდა, მაღლად, ტახტზე... მე და მეორე მწყემსმა, ამხანაგმა, ბაკშივე გადავყარეთ ჯოხები, ჩამხრჩვალ ცხვარს დავაგდეთ, ის იქით ნავიდა, მე აქეთ, მაგრამ რამდენიც უნდა ვიცოცხლო, არც როდის ჩემი ცხვრის ბღავილი ჩემი გულიდან არ ამოვაო...

„ბაკს კარგი საწვიმრიდან ხო არა ჰქონდა?" დავეჭვდი მე, „კარგი შერჩევა უნდა ბაკსა, ქვათა ცვენაც არ უნდა იყოს, წყალს გასავალი კარგი უნდა ჰქონდეს, ეგრე პირწმინდად რო [illegible] მაფიქრებინებს..."

ბიჭი შეკრთა, ფერმა გადაჰკრა, „იგრე მყუდროდ იყო ჩვენი ბაკი გორის ძირას მიყუჟული, მეორე მხარეს კიდევ, მოშორებით ფლატე ჩასდევდა... არც როდის ეგეთი დელგმა იქ არა ყოფილა..." სიტყვა გაუწყდა, რაღაცნაირად შემომხედა, იტყვის პირველად დამინახაო, „ჰოო, მაგრამ, ამ პატარა გოგომ საიდან იცი ამისთანები, ან ბაკის გუმანი საიდანა გაქვსო?!"

ვიუკადრისე, ოჰ, როგორ ვიუკადრისე, პატარა რადა ვარ, თერთმეტისა ვარ მეთქი, და ბაკისაც ვიცი, ცხვრისაცა და პირუტყვისაცა... და ღორისაცა მეთქი და ცხენი ხო მიყვარს და მიყვარს მეთქი, მთის დაკაწრულ ბილიკებზე იგეთი ჭენაობა შემიძლიან, გულითაც რო გინდოდეს, ვერ დამეწევი მეთქი."

სუ დარდიანად იყო, დანა პირს არ უხსნიდა, ჩემ სიტყვებზე კი გამოცოცხლდა, თვალები ლურჯად აენთო, თითქოს გამოჯავრებაც შევატყვე ხმაში: „არა, მართლა?! იქნებ მითხრა მაინც რა იცი ცხვრისაო?!" ვითომ ბალღს ელაპარაკებოდა, იგეთი კილოთი მითხრა, მე კიდევ არაფერი იგრე არ მაბრაზებდა, როგორც ისა, უასაკოდ თუ ჩამთვლიდნენ და ბაუასავით დამელაპარაკებოდნენ, ამიტომაც მაშინათვე ავიღე დიდი საქსოვი, რუსუდანის ღაზლის შალისა, საწოლის ბოლოს სამფეხზე ჩამოვუჯექი და ენად გავიკრიფე, შეიგნოს კარგად რა ვიცი და რისი შემძლე ვარ მეთქი, თან მეც ისეთი კილოთი მოვუთხრობდი, ვითომ ცხვრისა არაფერი გაეგებოდა: „უბედური ცხოველია... დაბნეული ცხოველია... ღორი რო ჭკვიანია და უცხოზე დაიხუვლებს, ცხვარი ეგრე არ არის, სიუცხოვე მაგან არ იცის, სუნი მაგან არ იცის, გზა მაგან არ იცის და კვალი, ქეჩის გარეშე ფეხს ვერ გადაადგმევინებ, — ქეჩს კიდევ, ოჰოჰოჰო, რა დარბაისლური სვლა აქვს, როგორ თავმომწონედ მიდის და თან აქეთ-იქით იყურება, თვალს ავლებს არემარეს, ჰოდა, საწყალი ცხვარი, ერთი თუ დარჩა მარტოკანა — დაიწყებს ბღავილს და სამი უკვე ხმას არ იღებს, სულ უნდა თვალქვეშა გყავდეს, ააყოლო ჩააყოლო, იმიტომ რო დიდძალი მტერი ჰყაავს, თანაც რა შორსმჭვრეტელი მტერიი, მგელიცა და დათვიც, სუ იციან როგორ

უნდა იმოქმედონ, ვერც მოიპოვებდნენ საზრდოს, ამოდენა მეცხვარეებსა და ძაღლებში, ეგეთი გამჭრიახები რო არ იყვნენ... ჩვენ საბატკნეს შემოეჩვია დათვი, – ბატკანი ხო სუმთლად ცოდოა, დღისით ორბი და არწივი იწევს ბატკანზე, ბატკნიჭამია ორბი, ყელტიტველა, ფრთებსა შლის აქედან აგეიქამდე, გაძღება და ადგილიდან ვერ აიწევს, ვერ აფრინდება, თუ არ გაიქცა, – ღამე კიდევ დათვი, თუ გაირყვნა ბატკანზე, გათავებულია საქმე, ჰოდა, ორნი მოდიოდნენ, ერთი ძაღლებს გაიტყუებდა, – დათვმა ხო სროლა იცის და გამოუწუწუნებდა ქვასა და ბელტს ძაღლებისკენ, თეოსკენ, მეორე კიდევ, სანამ მწყემსები მოგონდებოდნენ, ამოიჩრიდა ბატკანს და გააძუნძულებდა. აი, თქვე უშნოებოო, შეუძახა მამამა და თვითონ ავიდა საბატკნეში. საბატკნეები ხო მთაში ყველაზე მაღლაა, ბატკანი ყინულზე თამაშობს, ყინულზე უნდა გაიმაგროს ჩლიქი, თანაც ბატკანს ბუსნო უყვარს, ახლად წამოსული ხამი ბალახი. ჰოდა, დაუმიზნა თუ არა მამამ დათვს თოფი, იმან კიდევ თავპირზე თათები აიფარა, – არ მომკლაო, – მონანური გული ააქვს მამას, არ ესროლა, ჩამოიღო თოფი, დათვი გატრიალდა, გაძუნძულდა და ის იყო და ისა, აღარც გამოჩენილან ჩვენ საბატკნეებში. აი, რამდენი რამე გითხარი, კიდევაც გეტყოდი, მაგრამ...“

„ეხლა არ მითხრა რო წველისა და პარსვისაც იცი...“ გამაგულისა და მეც გავგულისდი. „მაშ, რაღა ვიცი?!“ ავგულისდი, „ორივე ძალზე ძნელია, იმიტომ რო ცოტას იწველება ცხვარი, ჭიქა, ჭიქანახევარი, მოუჭერ-შხხ და გათავდა, ერთიორჯერ დაუნაცვლებ და ეგ არის, თანაც დამუავება არ შეიძლება, ყველი უნდა აკეთო, ყველს კიდევ კარგი გუმანი უნდა, ყველა კი ვერ აკეთებს კარგ ყველსა?!“ „იქნებ შენ აკეთებ?“ „ვაკეთებ, მაშ არა?! თუ გინდა მოგიტან პურსა და ყველსა და ნახავ რა ყველს ვაკეთებ!“ „პატარა ქალო... პატარა ქალო...“ უცებ გული აუჩუყდა და ლამის თვალიც მოუწყლიანდა, მე კიდევ გავუწყერი, ხომ გითხარი პატარა ქალი არა ვარ მეთქი. დაფიქრებით შემომხედა: „დაიცადე, დაიცადე... მე სადა ვარ, ვისთანა ვარ, გოდერძიანთ მათიასთან?“ „ბოდიში და უკაცრავად!“ ვითაკილე, ჭაკატიც გამოვიკარი, „ბოლო კაცი პირველში აგერია, ის ჩალაჩულაში გასახვევი უქნარა მათია სამხარაულთ მაწიაშიიი!!!“ რა მამა მყავდა, რა მამა, თვალტანადობით თუ დოვლათ-ოთ, სიტყვა-პასუხითა და ადამიანობით, თვალში ვინმეს ჩავარდნოდა, ხელს არ მოისვამდნენ, „მათიასთან კაი დღეც გაგითენდებოდა, იმან წამლობისა რა იცის!“ ბიჭი გაშრა, გამტკნარდა, მაწიაო, მაწიაოოო, მაშ შენ მაწიას ქალი ხაროო?! დიახაც, მაწიას ევა ვარო, თავმომწონედ ვუთხარი. მოიღრუბლა, კიდევ უფრო დადარდიანდა, მიყურა, მიყურა და მწუხარედ თქვა: აბა, მე თქვენთან რა მინდაო, სად ჩემი ღარიბი ქოხი და სად თქვენი კარვებიო... აბა, რა ვიცი რა გინდაო, ჩვენ ღობეს რო გადმოეყუდე, რასა ფიქრობდიო, სიცილით ვუთხარი. სახე გაუნათდა, ხელი გამომიწოდა, ეს რა კარგი პატარა... არა, პატარა კი არა, ყოჩაღი ქალი-ქანცია ხარო, მითხრა და თან დაატანა: „თქვენს ამაგს მე როგორ გადავიხდი... ღმერთი გადაგიხდითო...“ ეს თქვა და გეგონებათ ცეცხლი თქვა და პირი დაეწვაო, ტკივილით მოექცა პირისახე, ნიკაპზე ხელი იტაცა, მაგრამ მოზღვავებული ცრემლები ვერ შეაფერხა, ღაპაღუპით წამოუვიდა თვალებიდან, კედლისკენ გადაბრუნდა და ქვითინი დაიწყო... ქვითინებდა, ისე ქვითინებდა, მხრები უტოკავდა. მე გავისუსე, გავინაბე, სიტყვა ველარ ვუთხარი... იმ ღამით ისევ დაიწყებინა ცხელება, ბორგავდა, წასასვლელად იწევდა, ქვეშაგებში ძლივს აკავებდა მამა, სიცხის გამოსანელებელ მტლეებს ადებდა, დასამშვიდებელ ნაყენს ასმევდა... დილისთვის სიცხე გამონელდა, მაგრამ ისეთი დაზაფრული იყო და მჭმუნვარე, დანა პირს არ უხსნიდა. მამა საწოლთან სამფეხაზე ჩამოუჯდა და წყნარი ხმით დაიწყო: „გიო ბიჭო, აბა ერთი ყური მომიპყარო, სიტყვა მინდა გითხრაო, უფლებაცა მაქვს, ასაკითაცა და ამაგითაცო, შენს ბედობაზე ჭედილა დავკალი, ბეჭში ჩავიხედე, შენი ავადობა ეხლა დარდისაო, რა ვუყოთ დაგეხრჩო, დაგეხრჩო, თავსაც ხო არ გადააყოლებ იმ ცხვარსაო, უარეს საქმეს ხო არ დაიმართებო, კაცის ეგრე შეკრთომა როგორ იქნებაო, კიდევაც შეაქუჩებ ფარას, კიდევაც დაიჭერ სალამურს, ეგრე დაძმარება ვინ გაიგონაო, წამალი წყლად წაგივა, გაგიწყალდება და ჩვენც ცოდონი ვართ, ამდენს ვცდილობთ, ამდენს ვირჯებით და მად-

ლს მატლად ნუ გვიქცევო, არც კაცი მოგიწონებს მაგასა და არც ღმერთიო." აი, მაშინა თქვა, რაცა სჭირდა, რა სახმილი სდაგავდა და სტანჯავდა, იგრე ჩუმად ამბობდა, ლამის ჩურჩულით, თითქოს ძლივს ამბობსო, თითქოს ამ სიტყვების თქმით სული ეპარებაო: „იმ ღამეს... ღმერთი... დავწყევლე... ზეცას მუშტები... მოვულირე... ღმერთი ჩემზე გამწყრალია," ელდა მეცა, მამასაც ფერმა გადაუარა, თავი ჩაჰკიდა, ჩაფიქრდა... ერთხანს გაჩუმებულები ვიყავით, მერე კი მამამ ჰკითხა: „შენი საქციელი გაწუხებს, თუ გეშინია, რომ ღმერთი აღარ შეგეწევა, აბა, ჩაუკვირდი შენ თავსა და ისე მითხარი." სასოწარკვეთით ჰქონდა თვალები ჩაღრმავებული, თეთრი პერანგი ეცვა მამასი ქათქათა მიტკლისა, ნეტავ როგორ უხდებოდა, თვალს ვერ ვაშორებდი, თან სასოებით ვფიქრობდი ვილოცებ და სანთლებს დავუნთებ, რომ ღმერთმა აპატიოს მეთქი.

„არცა ვარ შეწევნის ღირსი და არც უნდა შემეწიოს", თქვა ბიჭმა.

„რაკი ასერიგად წარგიკვეთია სასო", დარწმუნებით უთხრა მამამ, „მაღალია ღმერთი, შეგიწყალებს, არ გაგწირავს, ჩვენ ვილოცებთ შენთვის, იმდენ სანთელს დავანთებთ, შენი სიგრძე გამოვიდეს, ეს ამბავი კი, ღმერთთან მეტოქეობისა, ჩვენში დაიმარხება."

თუმცა მაშინ მამას ნუგეშმა შვება მოჰგვარა, თანდათან წინ და წინ წამოვიდა და მალე გამომრთელდა კიდეც, ის დაღი წყევლისა სულ გაჰყვა, ის უცნაური სევდა და ჭმუნვა, დროდადრო რომ მოიცავდა ხოლმე. აკი ამბობდა რუსუდანი: ზოგჯერ გიოს რო ვუყურებ, გული მტკივაო, მეტირებაო, მეც არ ვიცი რატომ მომდის ასეო. გული უთქვამდა ღვთისმოსავ რუსუდანს, თორემ გამხელით იმისთვისაც კი არ გამიმხელია. ვიჰ, რამდენს ვლოცულობდი. როგორ ვავედრებდი ღვთაება პირი ღვთისას, აპატიე მეთქი, რამდენ სანთელს ვუნთებდი! მაშინ რო ჩაეძინა, მტკავლით გადავზომე, და რა დამემართა, ერთიანად ავკანკალდი, საბანზე ხელი ისე მითრთოდა, შემეშინდა, არ გავაღვიძო მეთქი. რჩენაში რომ შევიდა, მე კიდევ თითქოსდა არ მიხარიაო, გული მიკვნესოდა, ადგება, წავა და რაღა უნდა ვქნა მეთქი, ველარა ვშორდებოდი, გავაძგრიალებდი ბუხარს, თექაზე ფეხს მოვირთხავდი, იგრე მოვეწყობოდი, იმისი დანახვა შემძლებოდა, მოვიმარჯვებდი საჩეჩელსა და სართავს და ხანა ვჩეჩავდი, ხანა ვართავდი... ყველა სამუშაოს ხომ თავისი შნო და ლაზათი აქვს, მიყვარდა წმინდად ნაჩეჩი ფთილები წყობისად რო ჩალაგდებოდა მოწნულ კალათაში...

ახლა რთვაა? ვაბზრიალებდი და ვაბზრიალებდი ტარსა, ლარივით ბაწარს ვართავდი... მერე აკი ამბობდა: ევას საჩეჩლის წკრიალში და თითისტარის ძგრიალში გამოვრჩიო, ძილ-ღვიძილში ნანასავით ჩამესმოდაო...

გადავწყვიტე მამას გავტყდომოდი, ჩემი სათქმელი მეთქვა. ის იყო თერთმეტი შემისრულდა, ტანაყრილი ვიყავი და ვიღაცეებს მოწიფული ვეგონე, მამას კაცებს უგზავნიდნენ, ჩემ თავსა სთხოვდნენ, სოფელში რო გამოჩნდებოდა ხო ეშურებოდნენ, გზავნიდნენ და გზავნიდნენ, ერთ სულელს ისიც კი ეთქვა, ტყუილია მოვიტაცებთო. ბრაზობდა მამა, ოჰ, როგორ განრისხდებოდა, დაიქუხებდა: ერთხელ გაგიბედიათ, მეორედ არ გაბედოთო, დაიფრენდა ყველას. ბალღის უღელში შებმა ვინა თქვაო.

ნაღები დაგვიგროვდა. მოჯამაგირეები წასულები იყვნენ, ვინ სათესში, ვინ ღორში; ვიფიქრე: მამას უფრო ადვილად ვეტყვი დღვების დროს მეთქი, იგრე როგორ იქნება, ხელი არ გამიკრას სადღვებელზე, არ მომეშველოს მეთქი. ეგრეც მოხდა და მეც აღარ დავიხიე უკან, მამავ მეთქი, ვუთხარი, შენს უნებურად წყალს არ გადავღვრი, მინდა გაგენდო და შენ იცი, როგორც გადამიწყვეტავ ჩემ ბედს მეთქი.

აღელდა მამა, გამეტებით გამოჰკრა სადღვებელს, თავი დამიქნია თქვიო.

„გიოზე გული შემივარდა, მამავ, გთხოვ მწყემსად აიყვანო, გაუხარდება კიდეც, დარჩა ცარიელ-ტარიელი, მაგრამ სიტყვას გაძლევ, თუ ფხა არ გამოიჩინა, უქნარა და ბოდოშალი სულაც არ მინდა, ამოვიფხვრი გულიდან, თუ არა და, შენც თუ თვალში მოგივა, თუ შეატყობ სამამულე რქას, დამნიშნე გიოზე, მამავ, გაყოლით კიდევ, როცა დავქალდები და შენი ნებაც იქნება, მაშინ გავყვები. ჰოდა მაჭანკლებიც მოგვეშვებიან". მამამ მითხრა გაუშვი სადღვებელს ხელი, მე შევდღვებავო და დაიწყო გაგულისებით დღვება, წნელებს სულ ჭრიალი გაჰქონდა, ჭანჭყარის ხმაც ჩაყრუვდა და ჩაყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსდა... „მომიტანე ბადია, ამოვიღოთ კარაქი“, მითხრა მამამ და ბადია რომ მოვურბენინე, შემომძახა: „ჰაიტ, ჩემო ქალოვო, როგორ მოჩიტებულხარო, რო დაგიწუნოს გიომაო, რა ვქნათო, რომელ წყალს მივცეთ თავიო,“ თან გამიცინა და თავი გაიენია, მერე კი თავისებური სიდინჯით გამიზიარა სათქმელი: „თვალადობაზე ნუ ვილაპარაკებთ, ყველასთვის დასანახია, ის კი სათქმელია, რომ აზრიანი და სანდო მზერა აქვს, მე კი ყველაზე მეტად რითი მიზიდავს და იმითი რო უპოვარია და შენს თავს ვერ მომტაცებს, მაგრამ, ჩემო გოგო, გენაცვალოს მამა, ხვაშიადს მორიდება უნდა, ჩვენ ნურაფერს ვეტყვით, ცოტა დავაცადოთ, ვადროვოთ, რა პირით გამოგვეთხოვება, ან არადა იქნებ სულაც არ გამოგვეთხოვოს...“

მართალი გამოდგა მამა, ორიოდ დღესაც არ გაუვლია, თვითონ დაილაპარკა: „თქვენ მე სიკვდილს გადამარჩინეთო, საიქიოსკენ პირმიქცეული სააქაოს დამაბრუნეთ, სული ჩამბერეთო, მე რა ძალმიძს, რა და მწყემსად თუ ამიყვან, მინდა უსასყიდლოდ გემსახურო, მაწიაო, რამდენ ხანსაც დამიდებ ვადას და როგორც იტყვიო, მე წასასვლელი არსადა მაქვს, შვიდი წლისა ვიყავი, სხვის შვილად რო გამაბარეს და ეხლა ჩემს ბედობაზე ზევით, ახოებში სამი თხაღა დაიარება, ეს არის ჩემი ავლადიდება.“

„და კიდევ ბატკანი, რომელიც მე მოვარჩინე“, ჩაურთო მამამ, „შენ რომ იცოდე, გიორგი, ცხრა წლისამ მე ერთი თოხლით დავინყე ჩემი საქმეო... ახლა კი ჩემი პირობა ასეთი იქნებაო: ექვსი წლის ვადა მომიცია, აქედან წელინადი გამოსაცდელი იყოს, კაცნი ვართ, რამდენს ასცრუებია გული მწყემსობაზე, ვინ იცის იქნებ არა საკმე ეგეთ ერთგულებასა, ჯაფას არ ითხოვდეს, როგორც მწყემსობა, ჰოდა, ცხვარს თუ ისევ დაჰყრი გულსა, ექვს წელიწადში იმდენს მოინაგრებ, იმდენს შეაქუჩებ, – შენი ჯამაგირით, ნამატიდან მიღებული წილით, უყვედრი ლუკმაც გქონდეს და ოჯახსაც მოეკიდო. ჯამაგირს თავიდანვე გამოგიყოფ, მუქთი შრომა არ იქნება, ჩემი სამართალი ეგრე არა სჭრის; ჩვენი ამაგი კი ალალი და უსაყვედურო იყოს, სადაც არის ჩვენს ცხვარს ამოასხავენ, მთაში უნდა წავიდეთ, ის შენი სამი თხაც, – თუ კიდევ დაეხეტებიან ტყე-ღრეში, მოინახებიან, – და ეს შენი ბატკანიც თან წავიყვანოთო.“

ო, როგორი დანთქმული იყო მაწიას სმენით, გეგონებათ სიცოცხლის წყაროს ეწაფებაო, დაძაბულობისაგან შუბლი ეჭმუხნებოდა და თვალები მგზნებარედ ენთებოდა... მამას სიტყვებმა თვალდათვალ ააღორძინა, აკი თქვა კიდეც „ხელმეორედ დავიბადეო.“

●

„გულმა გლახ რა ქნას უგულოდ, თუ გულსა გული ელია.“

მოკეთეს ახარებდა, ბევრს კი ამწუხრებდა ევასი და გიოს სიყვარული.

ცუდია ავი თვალი და მწყინს, თორემ სულაც არ მიკვირსო, იტყოდა ხოლმე მაწია, შურიან კაცს ვაშლი შეშურდება შენი და ბედნიერებას როგორ გაპატიებსო, არადა შური დაფრინავს ჰაერშიო... მართლაც, რაღას არ ამბობდნენ, როგორ აღარ განაქიქებდნენ: ერთმანეთის გარდა აღარავინ აგონდებათო... ისე ხარობენ, გეგონებათ მთა და ბარი მათ ეკუთვნითო... აშკარად ნიშნს გიგებენ, აქაოდა შენც მათნაირად არა ხარ ატანილი და აზავთებულიო... ევას არა აქვს ქალური მორიდებაო, გიოს არა აქვს ვაჟური თავდაჭერაო, შინ და გარეთ ერთმანეთს შესციცინებენო, მეტის მეტიო, რეტის რეტიო... დრო და ჟამი თავისთვისო და მაგათი სიყვარული თავისთვისო, რით ვერ მოისურვილეს ერთმანეთიო... უყურეთ, უყურეთ, დღეობაში ურმით ან ეტლით კი არ მოდიან დარბაისლურად, როგორც გათხოვილ ქალსა და ჭკუადამჯდარ ქმარს შეშვენის, ცხენებს მოაჭენებენ, ვინ წინ და ვინ უკანაობას თამაშობენ, თან როგორ არიან გაცისკროვნებული, გეგონებათ ნატვრის თვალი უპოვნიათო... ზოგი კი იმასაც ამბობდა: ცუდია, ცუდი ასე გადარევა და გადაშლაო, ერთმანეთს ეშურებიანო და ხომ გაგიგიათ: ბედნიერების საღამოს გაადილავებს ზენაო...

სახლში არ დაჯდა, ჯვრისწერის შემდეგაც სულ თან დაჰყვებოდა გიოს, მთასა და ბარში. და ამასაც უძრახავდნენ, გარედ გასული კაცის დევნა ვინ გაიგონაო.

სახლს ახლა გულქანი უძღვებოდა, მაწიას ცოლი, დედის სიკვდილისა და გიოს

გამოჩენის შემდეგ, მაწიამ ევას ყოფილი ძიძა, აწ დაქვრივებული გულქანი მოიყვანა, თავისი შიოთი, ევას ძუძუმტეთი, შვილად მიიღო მაწიამ ევას ტოლი შიო, თან იმასაც ფიქრობდა, ჩემს ევას ძმად გავუზრდიო. შეივსო ოჯახი. ოჯახს დაემსგავსა, გიომაც ისეთი შნო და ალღო გამოიჩინა, დუმითა და უკანა ფეხებით შეეძლო ცხვრის ცნობა, მარჯვე იყო და თავდაუზოგავი, ყველაფერში გამოსცადა მაწიამ, მშრალშიც ჰყავდა, სველშიც ჰყავდა – მეწველებში, პარსვაშიაცა და დოლშიაც, მის გაკეთებულ საქმეს წუნი არ დაედებოდა და სიფხიზლეც ისეთი ჰქონდა, ბატკანი არ დაუკარგავს. მეორე წელსვე სასიძოდ გამოაცხადა მაწიამ და ახალი პირობაც დაუდო: ჩვიდმეტისა რო შესრულდება ევა, გამოგაყოლებო. ახლა უკვე პირველი ექვსი წელიც ჩათავებულიყო და ევას გათხოვებიდან მეორე ექვსი წელიც იწურებოდა. ერთი ეგ არის, შვილი არ ჰყავდათ და ეს იყო მათი საწუხარი. თუმცა მაწია და გულქანი ანუგეშებდნენ და ევამაც იცოდა: მათი ჯიშის ქალებს გვიან ეძლეოდათ შვილები, საწყალ ხვარამზესაც ხომ ექვსი წლის შემდეგ მისცემოდა ევა, ხვარამზეს დასაც, რუსუდანის დედას, და თვითონ რუსუდანიც ექვსი წელი ცარიელტარიელი დაიარებოდა, ისე შემოაწვებოდა ხოლმე ჯავრი, ერთხელ ევას გამოუტყდა: ლამის არის გრიგოლზედაც გული ამიცრუვდესო, ეგრე ყოფნას ხო ისა სჯობდა, სოფლის ბავშვებისთვის წერაკითხვა მესწავლებინაო. და მიეცა კიდეც ვაჟიშვილი, და მერე ხო დაუხანებლად ქალებიც შეეძინა. მაგრამ მიუხედავად ამნაირი გამოცდილებისა, ევას მაინც შიშითა და მოლოდინით ელეოდა გული, ისე როგორ გადაბრუნდებოდა წელიწადი, ორჯერ-სამჯერ მაინც არ ასულიყო რძის საყდარში, ქადა არ გაეჭრა, სანთლები არ აენთო და მამალი არ შეეფრინა... ბერწ ძროხებს რქებზე სანთლები ენთოთ, უშვილო ქალები მუხლმოყრილი უვლიდნენ გარშემო საყდარს. ევაც გულმხურვალედ ლოცულობდა, მოიღე წყალობა, უფალო, და ჩვენი სიყვარული ნაყოფით დააგვირგვინეო. ერთხელ აკი მოეჩვენა კიდეც, რომ დაფეხმძიმდა, ისე იყო დარწმუნებული და ისე ხარობდა, ჯარა ექიმმა იმედი რომ გაუცრუა, ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები, როგორო, როგორო, განა შეიძლება ეგეთი მოჩვენებაო?! იცისო, ჯარა ექიმმა უთხრა, სურვილსა და წადილს რაღაც შეუძლიანო, მე ისეთი შემთხვევაც კარგად ვიცი, ოჯახს ფეხმძიმობაში დაიმედებულ ქალს მუცელიც კი დასიებიაო, ისე ტყუილუბრალოდო.

ბოლო დროს, მართლა რო დაფეხმძიმდა, შეშინებულმა არაფერი თქვა, ვაითუ ახლაც მეჩვენება და მაშინდელივით გავმტყუნდეო, სანამ ისევ ის აწყურელი ექიმი არ მეტყვის და არ დამიდასტურებს, არ გავამხელ, გიოსაც არ ვეტყვიო. ცრუმორწმუნედ ისიც ეგონა: ადრიდანვე თუ ვიტყვი, ავმა თვალმა მუცელში არ გამიწყალოსო. გიოს უთხრა: სოფელში უნდა ჩავიდე, ყველაც ჩავიტან. დასარეცხიც დამიგროვდა, დავრეცხავ, გულქანსაც მივეშველები და შენც ხილს ამოგიტანო.

ბოლო ზამთარი, თითქოს გულმა უგრძნოვო, გადაწყვიტა გიომ სოფელთან, სახლთან ახლოს ყოფილიყვნენ, არ წავიდა ალაზნის პირებში, აქვე, ახოების ზევით, ცხენით ერთი საათის სავალზე, ცივგომბორის მთებში, კარგი ბინები გაუმართა ცხვარს, ალაჩოხებივით, გასანთლული ბრეზენტით გადახურა და მოაფარდაგა, საკვებიც საკმარისი მოუმარაგეს, ზვინები დადგეს, ზვინები დადგეს, იქაურობა ზვინებით მოფინეს, ევამ ისეთი დადგმა იცოდა ზვინისა, ისე დააცერებდა, წვეთი წყალი არ ჩავარდებოდა. ფერი ფერსაო და ორივეს უყვარდა გარჯა, შრომასთან შეჭიდება, ყოველ დღეს დასაძლევი ფალავანივით შეჰყურებდნენ, საღამოს კი, დატვირთული დღის შემდეგ, რა სჯობდა გორზე შემოჯდომას, ევა ფეხს მოირთხავდა საქსოვით ხელში, გიოს ფანდურზე დამღერება უყვარდა, მიუმღერებდა ხოლმე ევას, მერე კი გადასდებდა ფანდურსა და ხან სალამურის თლას დაიწყებდა, ხანაც, ბოლო დროს კრაველის ტყაპუჭს იკერავდა... მშვენივრად გამოიყვანა ტყავები, სანახევროდ გაპარსა დუქარდით, ერთ დონეზე დააყენა, ნაპირებს სადგისით ჩხვლეტდა და თასმებით კერავდა, საუცხოო რამ გამოდიოდა. ევა საქსოვიდან თავს აიღებდა, გიოს ტყაპუჭს მიადევნებდა თვალს, მერე მზის ჩასვლას გახედავდა, თვალს ვერ აშორებდა ჩამავალი მზით განათებულ გორებს, ნეტავ როგორ უნდა მობეზრდეს კაცს ან შრომა, ან სიყვარული და ან მზის ჩასვლა-ამოსვლის

ყურებაო, გაიფიქრებდა. სოფელში რომ ჩავიდა, სულაც არ ჩქარობდა აწყურში გადასვლას და თავისი ამბის გამორკვევას, სახლის საქმეს დაეშურა, წელავდა ჯარა ექიმთან მისვლას, მოვასწრებო, თან საშინელი სიზმრები აეკვიატა, რაც სოფელში ჩამოვიდა, სულ ცუდ სიზმრებს სინჯავდა, ვითომ რიყეში მიდიოდნენ და მგელი შემოეფეთათ, ველური ცეცხლი ენთო თვალებში, ევასა და მაწიას ეტოტებოდა, თქვენი ფარის ძაღლი ვიქნებიო, და მაწიაც ამბობდა ამაზე კარგ პატრონს ჩვენს ფარას ვერ ვუშოვითო, რა ძალაა, მამავ, რა ძალაა, მგელი ძაღლად რად გვინდა, ძაღლების მეტი რა გვყავსო, ემუდარებოდა ევა და შეშინებულს ეღვიძებოდა... ვითომ გიოს ნისლა ჭიხვინით დარბოდა ეზოში და პირიდან სისხლი სდიოდა, წითლად ირწყვებოდა ბალახი, ვაიმე უშველეთ, უშველეთ, უშველეთ, ყვიროდა ევა, მაგრამ არავინ იძვროდა, ირგვლივ ყველა თითქოს მარილის სვეტებად ქცეულანო, გაშეშებულები იდგნენ, თითქოს არც ესმით ევას მუდარაო... ვითომ წყაროსთან ქალებს სამღებრო გაემართათ, ცეცხლები დაენთოთ, ქვაბები შემოედგათ და ნართის შულოებს ღებავდნენ, ნაირფერი შულოები ამოჰქონდათ, წყაროს აუზში ავლებდნენ და იქვე სარებზე გადებულ ხარიხებზე ფენდნენ, თვალს ახარებდა ხასხასა ფერები, ისეთი ხასხასა, ცხადში რო ვერ ნახავ... ევასაც ვითომ თეთრი ნართის შულოები ჰქონდა ხელებზე აცმული და ჯერს ელოდა, უხაროდა, ვიჰ, რა საამური ფერებია, ბალღს მოვუქსოვ აკვნის გადასაფარებელსაო, პაჭიჭებსაო, წინდებსაო. სულ ჭრელაჭრულასაო... უვლიდა ქვაბებს და ჰყრიდა თავის ნართს... ქალები ქვაბებს ჯოხებს უტრიალებდნენ... ამოიღეს წითელი ქვაბიდანა და ევასი შავი ამოვიდა, ამოიღეს ფირუზისფერი საღებავიდანა და ისევ შავი... ყველასი სათანადო ფერი ამოდიოდა და ევასი სულ შავი და შავი, ვაიმე ქალებო, რა არის ესა, რატომ მიღებავთ ეგრე, რატომაო, ნანატრი ბალღისთვის მინდოდა მომექსოვა და აბა, ეს რა არისო! ტიროდა, ტიროდა, სახეზე ღვიარება ჩამოსდიოდა... ამ სიზმრების შემდეგ, ადგებოდა უბრად, წავიდოდა და წყალს ეტყოდა, წყალო, წაიღე ჩემი სიზმარიო... გულქანი თუმცა ყველა სიზმარს კარგად უხსნიდა და ამშვიდებდა, მაინც კი გული უკვნესოდა, ვაითუ ახლაც არ გამართლდეს ჩემი ვარაუდი და მოლოდინი კვლავაც გამიქარწყლდესო. არც არავინ გააფრთხილა, არც გაიყოლა, ცხენიც არ შეკაზმა, მოკლეებზე გადავირბენო და აწყურისკენ გასწია. მერე კი გულის კანკალით შეჰყურებდა ბებია ქალს და განაჩენივით ელოდა მის სიტყვას. გასინჯვის დროს შუბლი ჰქონდა შეჭმუხნული ბებია ქალსა და კიდევაც ეს აფიქრებდა. მაგრამ თანდათან სახე გაეშალა, გეგონებათ გაუფართოვდაო, გაიღიმა და ევას თავი დაუქნია, ახლა კი ნამდვილად ხარ ფეხმძიმედ, უტყუარია შენი მდგომარეობა და ჩემი გუმანით ხარებობისთვის კიდევაც უნდა ელოდო უცხო სტუმრის მობრძანებასო. გაიხარა, გაიხარა, გაიხარა, აი, ჩემი სიზმრები როგორ შემომიბრუნდაო... უკანა გზაზე ისე მოფრინავდა, დედამიწას ფეხს არ აკარებდა, კიდევ კარგი ცხენით არა ვარ, თორემ პირდაპირ გიოსკენ გავქუსლავდიო. ახლა უკვე ერთი სული ჰქონდა, ენახა გიო და ეხარებინა. რამდენჯერ უნატრია: ნეტავი შეიძლებოდეს პატარა გიო დამენახაო, ნეტავი კი როგორი იყოვო, ჰოდა, ახლა ნარმოიდგინა, თუ ბიჭი მეყოლება, — და უნდა სწორედაც ბიჭი ჰყოლოდა, მწყალობელი უფალი ამ ნატვრასაც განუხორციელებდა, — ნამდვილად გიოს ემსგავსებაო, პატარა ტყაპუჭსაც შეუკერავსო და პატარა გიო გამომეცხადებაო...

ბევრი უთხრა გულქანმა, ნუ წახვალ დღესა, ცივისკენ შავი ღრუბელია და შეიძლება გაგიავდრდეს, ვერ აასწროვო, მაგრამ არცერთი წუთი დახანება აღარ შეეძლო, მხოლოდ ღვინა ლეღვი უყვარდა გიოს, წინა ჩამოსვლაზეც აუტანა, ახლაც, ილეოდა უკვე, ჩამოუკრიფა რაც იყო, ხურჯინის ერთ თვალში პატარა წნული კალათა ჩადგა ყურძნითა და ლეღვით, მეორეში სუფთა თეთრეული, თვითონაც, ყოველთვისაც უყვარდა ლაზათიანი ჩაცმა-დახურვა და ახლა ხომ საგანგებოდ, გიოს რომ მოსწონდა, წმინდა ქიშმირის ღვინისფერი კაბა, მანებიანი, — ის ჩაიცვა, ოქროს ბურთულებიანი საყურეებიც მოიხსნა და გიოს ნაჩუქარი, ზურმუხტის საყურეები და ზურმუხტისავე ბეჭედი გაიკეთა. ეცინებოდა გულქანს, ეგრე მოკაზმული რო აუხვალ გიოს, რას გეტყვისო, მთაში მოდიოდი თუ დღეობაშიო. შესცინა გულქანს, გადაე-

ხვია, სადაც გიოა, ჩემთვის დღეობაც იქ არისო... ბოლოს აბრეშუმის ბაღდადიც გადაიფრიალა თავზე, შემოაჯდა ცხენსა და რიყისპირა საურმე გზაზე სულ ნავარდით წავიდა... წმინდა გიორგის ფერდა რომ აათავა, მარცხნივ გაუხვია და სანამ კლდისპირა ბილიკს გაჰყვებოდა, ცხენი შეაჩერა, გუმბათზე ჯვარს სასოებით გახედა და სამჯერ გადაისახა პირჯვარი: „მაპატიე, შენს მუხლებს ვენაცვალე, დიდო მოწამეო, ჩამოვლისას დაგინთებ სანთლებს, მადლი მომიხსენებია, უფლის ბოძებული უნდა სულერთი იყოს, მაგრამ ჯერ ვაჟს გთხოვ, გიოსნაირ ვაჟს, ასე მგონია, კიდევ უფრო მეყვარება მეთქი და შენს სახელს დავარქმევ, დიდო მოწამეო." თან რა მოხდა, რა სანიმუშო რამ მოხდა, გაავდრების ნაცვლად, ერთ ადგილას გაიპო ღრუბელი, მზემ ჯერ გამოაჭიატა, მერე გამოშუქდა, შემდეგ კი გამობრწყინდა კიდეც, ღრუბელი გათხელდა, გაცრიატდა, თანდათან სულ ალაგდა, ცა მოკრიალდა, ეს კი ნამდვილად წყალობაა, გახარებულმა გაიფიქრა და უცებ ისე მოენატრა გიო, ისეთმა სურვილმა წამოუარა მასთან ყოფნისა, ცხენს ქუსლი ჰკრა და გააჭენა... რა დაგემართაო, ჩამოსძახებს, რას მოაჭენებ ცხენს ამ ბილიკებზეო, რა დამემართაო და აი, რა დაგვემართაო, ასძახებს, გაუხარდებათ, გაუხარდებათ, გაუხარდებათ, რამდენს განსჯიან, რა მომავალს დასახავენ, ხინკალსაც მოუხვევენ, გამარჯვებისასაც დალევენ, მერე კი ჩაიძირებიან ჩუმ სიხარულში. ო, რა კარგია გიოსთან სიჩუმეც, სანეტარო სიჩუმე... სხედან ჩუმად... ან საქმიანობენ ჩუმად, ისე შეწყობილად... მათი სიჩუმეც ხმაშეწყობილი მდუმარებაა თითქოს, არავის, არავის რომ არ ესმის ამ მდუმარების უტყვი ჰანგი... კურთხეული მყუდროების იდუმალი ჰანგი... ცხვრების ბღავილი შემოესმა შორიდანვე... მიაყურა, ხომ არ მეჩვენებაო, ახლომახლო არავის ჰქონდა ბინები და ნამდვილად ჩვენი ცხვარი ბღავისო... ძაღლების ხმაც ერთვოდა... ხმა კი არა, ყმუილი... ცხენი ააჩქარა... აგერ ბინებიც გამოჩნდა, მისკენ მორბოდა ყველაზე დიდი და ყველაზე ჭკვიანი ჩობანი ალმასა, უზანგზე აეტოტა ევას გაბმული ყეფით თუ წკმუილით. არასდროს გაეგონა ალმასასაგან ასეთი მოთქმის მსგავსი გაბმული ყეფა... ნიავივით წავიდა ცხენი... ბაკში ცხვარი დონდგოლებდა და ბღაოდა... დაფეთებული შევარდა ქოხში. გიო პირქვე იყო ტახტზე წაგორდილი. ზევიდან თავისი შეკერილი ტყაპუჭი ეხურა, ცალი ხელი და ფეხი ჰქონდა ჩამოვარდნილი ტახტიდან... გიო... გიო... გიო... დაიძახა ევამ შეცვლილი ხმით, მაგრამ გიო მკვდარი იყო.

„ჰოი, რა სწრაფია და დაუდგრომელი ბედნიერების ფრინველი, შემოფრინდება შენს ერდოზე, გაიჭიკჭიკებს, ერთ-ორს ჩაიჟღურტულებს, ფეხს მოინაცვლებს, ფრთებს შეარხევს და გაფრინდება, შეერევა ცის ლაჟვარდს... და მის ნაცვლად შავი ფრთების ფრაშუნით დაგაცხრება ტანჯვა და ურვა... კლანჭებს ჩაგარჭობს, გულს დაგიკორტნის და სასოს წარგიკვეთს.." თავისი რომელილაც ქადაგებიდან ამოუტივტივდა მამა ლუკას; და დაზაფრულსა და შეწუხებულს, უსიამოვნო ფიქრებში ჩაფლულს, თითქოს რაღაც თავსატეხი ამოცანა ჰქონდა ამოსაცნობი, უცნაური და ამოუხსნელი ამოცანა.

კაკალქვეშ, გრძელ სკამზე ზის და დიაკვანსა და მგალობლებს ელის.

იქნებ არც იგვიანებენ... თვითონ ველარ გაჩერდა თავის სენაკში, სული ეხუთებოდა, არც ჯორზე შეჯდომა მოისურვა, ფეხით ჩამოიარა წმინდა გიორგის გრძელი ფერდა, სიარული გუნებას გამიქარვებსო, აწენილ ფიქრებს დამილაგებსო...

ზევით, კალოს ბექზე მოზვრები ბღავიან...

დარბაზიდან გაბმული გოდება ისმის... „ჰოი, კაეშანო, სასტიკო და ულმობელო, ჰოი, გლოვის ძალმოსილებავ..." კაკლის ხეს ფოთლები წყდება და წყდება ჩუმი წკაპუნით... კენწეროზე ნელა ირხევა მოლაღურის დაცარიელებული ბუდე... რიყიდან ცივი ნიავი ქრის... იქვე კაკალთან გიოს ნისლა ბალახს წიწკნის... თავს აიღებს, ყელმოღერებული მიაჩერდება სივრცეს, თითქოს მგოდებელი ქალების გაბმულ ბანსა და ევას შემზარავ ამოკივლებას ყურს მიუგდებსო..." „სარეცელნი მისნი ისრის პირნი მახვილნი... საწოლი მისი საჩხვლეტელი ლესული..." გაღმა კლდეებს ნაცრისფერი დასდებიათ... ნაცრისფერია ცაც...

„რა მოგვივიდა, მამაო, ეს რა დაგვატყდა... რამ მოგვიკლა, რამა, საღსალამათი..." ხმა ებზარება მაწიას, ხელები უმწეოდ გაუშლია, მწუხარე ვედრებით

მიმართავს მოძღვარს, „რო აპატიოსნებდნენ, საგანგებოდ დაათვალიერეს, არსად არავითარი კვალი ძალადობისა...“ „მაშინ რო იმდენი იავადა, თქვენ რო გამოარჩინეთ, მაწიავ, იქნებ რაღაც ზადი დარჩა, იქნებ ჩუმად რაღაც აწუხებდა...“ „არა, მამაო, შენი ჭირიმე, ის იყო და ისა, მას შემდეგ ფრჩხილი აღარ წამოსტკივნია...“ ოჰ, რომ შეეძლოს, ოჰ, რომ ძალუძდეს „ტაბითა აღსდეგ! და მან მეყვსეულად აღიხილნა თვალნი თვისნი...“ ლურჯი თვალები... ყოველთვის მოულოდნელობას იგრძნობდა ხოლმე... სიკაშკაშის გამო... თითქოს გამოაბრჭყვიალაო წაბლისფერი, ხშირი წარბებიდან... „და იხილა რა პეტრე, წარმოსჯდა.“ არა, ჩამოხტა ურმიდან, ანაფორის კალთაზე ემთხვია „დაგვლოცე, მამაო...“ არც ახსოვს ასეთი განცდა სრულყოფილებისა, იშვიათი განცდა, უიშვიათესი, ცოცხალი ადამიანისაგან მოგვრილი...

„შენი იმედი მაქვს, მამაო, შენი ჭირიმე, ევა როგორმე უნდა მინუგეშო, აღარ უნდა სიცოცხლე, გულქანს შიო რო არ დაედევნებინა, ეხლა ცოცხალიც აღარ მეყოლებოდა, უსულოდ ეგდო ქოხის წინა, სისხლში ცურავდა... მაშინათვე გადმოვიყვანეთ თელავიდან დანილოვი, გაუკეთა რაც გასაკეთებელი იყო, უნდა დაწვესო, აუცილებლადაო... ღამეც არა წვება, მამაო, დღისით ვინა ჩივის, ეგრე ჩაცმული ზის გიოსთან, გოდებს და გოდებს, მადლი იქნებოდა ჩემთვის სიკვდილიო...“

„ოჰ, ჩემო მაწიავ, გული მიწუხს... რით განუგეშო არც ვიცი...“

მწუხარებითა აქვს მაწიასაც თვალები ამოღამებული, სასოებით იწვდის ხელებს მამა ლუკასაკენ, მერე ნისლას მიაპყრობს მზერას: „ეს ცხენიც გულს მიკლავს, მამაო, კისერზე შემოხვია ხელი ევამ... იმდუღრებოდა, ისე იმდუღრებოდა, გული შეუღონდა, ძლივს გამოვარიდეთ...“ „მამაო, ხედავთ რა კვიცია“ ესმის მამა ლუკას გიოს ხმა „თუშებისაგან ვიყიდე ალავერდობას. ნახავთ ორ-სამ წელინადში რა დადგება...“ ევას კი შაბიამნისფერი თავშალი დაუბორბლია თავზე, თავშლის ფოჩები შუბლზე ჩამოშლია, დიდი ზურმუხტები თილისმასავით უელავს ყვრიმალებთან, წმინდა გიორგის გორიდან ჩამავალი მზის გრძლად გამოძაბული სხივები მისდგომია მის მშვენიერ სახეს, ოქროსფერ შუქს ასხივებენ მისი საოცარი თვალები, თითქოს საწყისი სიცოცხლისა ჩაბუდებულა ამ უცნაურ თვალებში...

„დამილოცნიხართ, შვილებო, დამილოცნიხართ, გწყალობდეთ უფალი, იხარეთ და იმრავლეთ...“ კარგად იხარეს... რიყისპირა გზაზე ხალხი მლოცველივით მოედინება, სავსეა ეზოც მოსამძიმრეებით... „ჰო, ჰო, არსი ჩვენი ცხოვრებისა ცვალებადობაა... და თუ ეს ასეა.. ბერკეტები ამ ცვალებადობისა ხან სიკეთე იქნება და ხან ბოროტება... და ადამიანიც ამიტომ არის ჩავარდნილი ბედისწერის ორომტრიალში... აი, ახლა ყველა წუხს... უმტირალი ვერავინ ვნახე... და სწორედ ბოროტების აუცილებლობის გამო... სწორედ უბედურების გარდუვალობის გამო... სწორედ ეკალნარით მოფენილი გზისა და სასოწარკვეთის გამო... გოლგოთის გამო საჭიროა ის უზენაესი ძალა, იდეა სიკეთისა და ნუგეშისა, ღმერთში განსხეულებული... და ასევე სჭირდება ადამიანს, იმავე ბოროტების გამო უმაღლესი მსაჯული... მაშინ ერთადერთი რწმენა გამოდის, რომელშიც შეიძლება გადაჭრას ადამიანმა თავისი პრობლემა... ასეა ეს, ასეა... ჯიუტად გაიმეორა თავის გუნებაში მამა ლუკამ, თითქოს თავის ძმისწულ მაკასთანა და მის საქმრო არჩილთან კამათს აგრძელებსო...

გიოს დასაფლავების შემდეგ, დიდი თხოვნის მიუხედავად, მამა ლუკა არ დარჩა ქელეხში, ახალგაზრდების ქელეხს არასდროს ესწრებოდა, მხოლოდ სუფრა აკურთხა და გაჩქარებული გაემართა თავისი სენაკისკენ... მაგრამ იმიტომ არა, რომ გიოს სულისთვის ელოცა, არამედ იმის გამო, რომ გიო დაეხატა წმინდა გიორგის სახით. ვერა და ვერ იცილებდა ამ ხატებას... მართლაც მუყაო მოამზადა, საღებავები გახსნა, მყუდროებისთვის ბუხარში ცეცხლი შეანთო და ხატვას შეუდგა...

პაპაჩემი გრიგოლი ბებიას თურმე შინაურ მგოსანს ეძახდა. აბა, ჩვენო შინაურო მგოსანო, რა დაგვიწერე და რა მოგვართვიო, თურმე ხუმრობით ეტყოდა ხოლმე. შობა-აღდგომას, თავისი შვილების დღეობებზე, წმინდანთა დღესასწაულებზე, თუ სხვა ძლიერი შთაბეჭდილების შედეგად, ლექსებსა და ლოცვებს შეთხზავდა ხოლმე. რომ გამოვიდოდა და სუფრასთან გაყუჩებული დაჯდებოდა,

პაპა თურმე თავის შვილებს გადახედავდა: ჩვენმა შინაურმა მგოსანმა ეტყობა კვერცხი დაგვიდოვო. ბებიას არასდროს არ სწყინდა პაპას ხუმრობა, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, თავის მთხზველობას პირად ამბად სთვლიდა და დიდად არ მიაჩნდა, და მეორეც გოგლო უფრო უფრთხილდებოდა ამ ლექსებს, ვიდრე თვითონ შინაური მგოსანი, რომლის ფარატინაზე მინერილ ტაეპებსა და ლოცვებს სუფთად გადასწერდა ხოლმე საერთო რვეულში და თავის უჯრაში შეინახავდა საოჯახო რელიკვიად.

ჰოდა, გიოს სიკვდილის დროს ევას გოდებას ბებია ისე შეეძრწუნებინა, ისე შეეძრა, რომ სახლში დაბრუნებულს ლექსი დაეწერა. პაპა თვლიდა თურმე, რომ ბებიამ მწუხარების ჟამს, რაღაც თვალსაზრისით, შეძლო განეჭვრიტა ევას შემდგომი ცხოვრების მთავარი შინაარსი. აი, ის ლექსიც, პაპაჩემი გოგლოს ხელით გადაწერილი შავყდიან დავთარში: „დამატყდა მეხი, /ჯოჯოხეთს გაჩნდა ხანძარი,/ იავარ მექმნა სიყვარულის წმინდა ტაძარი,/ ო, ტანჯვა ჩემდა, ულმობელი და შესაზარი,/ აწ და მარადის... (ვეღარ ვხარობდე მოხარულთ თანა,/ ავივსო რისხვით,/ ვეღარ ვტიროდე მტირალთა თანა, ბალღამად მექცეს, ამემღვრას სისხლი/ უსიყვარულოდ, ო, ვეღარ მივწვდე სიკეთეს დიადს,/ ვერ განვეშორო, ვეღარ გავექცე ბოროტების უდაბურ წიაღს,/ არა ვიბრალო მტერი ჩემი,/ არცა მოყვასი, არ განვიკითხო, რომელსა შია... ვერ შევიმოსო აწ ნათლისა მე საჭურველი,/ და სამუდამოდ განუჭვრეტელს დავენთქა წყვდიადს/. გულქვა ვაება დამეუფლოს მადლის წილადო,/ სიცოცხლე ჩემი არ ჩავაგდო არცა ჩირადო,/ ადამის მოდგმა მივიჩნიო არცა მღილადო, ამპარტავნება შემომიდგეს, კადნიერად მივიტაცო სიტყვა უფლისა: რომ შურისგება ჩემი არს და მევე მივაგო." ხოლო როცა მაწიამ თბილისიდან ყევარი ხარის ურმით იტალიური ლაბრადორი ჩამოიტანა გიოს საფლავისთვის, ევას ტირილი წასკდა, მოეხვია თურმე რუსუდანს, მის სანახავად და სანუგეშებლად თელავიდან გადასულს და გულამოსკვნით სთხოვა: საფლავის წარწერა შენ შემითხზე, ჩემო რუსუდანო, შენ იცოდი ყველაზე უკედ ჩვენი ბედნიერების თავი და ბოლოვო. ბებიასაც დაეწერა „გიოს ეპიტაფია", რომელიც შემდეგ კიდევაც ამოტვიფრა ქვისმთლელმა რამანამ. ახლაც ჩვენი სოფლის სასაფლაოზე, დიდი ცაცხვის ქვეშ, ლაბრადორის მშვენიერ ლოდზე იკითხება ბებიას შეთხზული სიტყვები: „იცოცხლე დიდხანს,/ რომ თვალთა შენთა/ ნამი აპკურონ/ ჩემი სამარის გადამხმარ ბალახს/. იცოცხლე დიდხანს,/ რომ შენთა ბაგეთ/ სიყვარულით კვლავ წარმოთქვან ჩემი სახელი./ ო, იდღეგრძელე, რომ ჩვენს სიყვარულს, /ვარსკვლავჩამქრალს,/ სვედაბნელებულს სანთლად დაენთოს შენი სიცოცხლე."

●

„სხვა სხვისა ომსა ბრძენია".

მე კინაღამ ცეცხლში ჩავაგდე ეს დაჭმუჭნული ქაღალდები...

ბებიამ ახლომხედველი ადამიანის დაეჭვებით გამომაყოლა სწრაფი მზერა, გორგალი გამომართვა და ნელა, დაკვირვებით დაუწყო გახსნა... ნეტავ რა მადანი უნდა აღმოეჩინა ამ აშმორებულ ქაღალდებში?!

სუდარის კერვას რომ მოვრჩით, მითხრა: ხომ იცი მიცვალებულს რა უთქვამსო, ხორბალი თუ არა გქონდეთ, ბაგანი წამობერტყეთ, ნარჩენი მარცვალი ამოხვეტეთ და წანდილი მოგვიხარშეთო, ჰოდა, ადექი ახლა, განჯინაში დაძებნე, შეუძლებელია ჩემს საწყალ ევას ცოტაოდენი ხორბალი მაინც არ ჰქონდაო.

მე უკვე ლამის თვალები მეხუჭებოდა, მაგრამ ხელჩაქნეული ადამიანის მორჩილებით წავედი განჯინისკენ, ჯერ მუშტები მივცხე განჯინის კარს თაგვებისა და ვირთხების შიშით, მერე გამოვაღე, დამატებითი ულუფასავით გადავყლაპე განჯინიდან გამოვარდნილი, შმორით გაჯერებული მძიმე ჰაერი, თვალების ცეცებით სიბნელეში ხელი მოვაფათურე და პირველივე თაროზე მოწნული დიდი კალათა გავარჩიე. კალათა ტომსიკებით, ქილებითა და ქოთნებით იყო სავსე. ავიღე და ბუხართან მივიტანე. ტომსიკებს აქა-იქ ვირთხების მსხვილი ცურცლი და ჩურჩისა და მუხუდოს დაღრღნილი ნამუსრევი ეყარა... ბებიამ დახედა თუ არა კალათას, მაშინვე გაახსენდა სადაც ინახავდა ხორბალს ევა და სიპით მჭიდროდ თავდაცულ ქოთანზე მიმითითა. მათრალიც გამოდგა, თიხის ქოთანში მსხვილი, თეთრი საწანდილე ხორბალი ეყარა. ქოთანი ამოვიღე და მა-

შინვე ისევ კალათას მივუბრუნდი, ბებია ადრევე მეუბნებოდა ევას სახსოვრად რაიმე წამოიღეო, ჩემი ყურადღება ქილებსა და პარკებს შორის ჩადგმულმა სპილენძის მომცრო თუნგმა მიიპყრო, ამოვიღე და კარგად შევათვალიერე, კოხტა თუნგი იყო, პირგანიერი, ლამაზად მოყვანილი, ამოტვიფრული ყურით. აი, სწორედ ამ თუნგს ჰქონდა თავი დაცული ქაღალდების გორგლით, ბებიამ ცეცხლს რომ გადაარჩინა და ახლა ფრთხილად ხსნიდა... თუნგს ჩავხედე, ცეცხლის შუქზე რაღაც შავად თიმთიმებდა, თხლე გამოდგა, ტალახივით იდგა თუნგში, ჩამჟავებული და ჩაშმორებული. ეტყობა შეჭამანდისთვის მოიტანა ბებია ევამ და მიავიწყდა...

გარედ გავედი, თხლე გადავღვარე და თუნგში თოვლი ჩავყარე. გულდაგულ თოვდა... მესიამოვნა გარეთ, სუფთა ჰაერზე... სარდაფის გვერდით, საქათმეში მამალმა იყივლა, მაშინვე ქათმების ხმადაბალი ჭუკჭუკი მოისმა...

ზევით, ფანჯრებს ავხედე. ნაპირა, ბაღისკენ გამავალი საწოლი ოთახის ფანჯრიდან მკრთალი შუქი გამოდიოდა. თოვლის ფანტელები პეპლებივით ირეოდა, ფანჯრის იქით კი მარო ალბათ, თავის კუროსთან კოტრიალობდა, მე განსაკუთრებით მაღიზიანებდა ახლა, ამ თოვლში, ამ სითეთრეში, მამლის თავგამოდებულ ყივილში მაროს ავხორცობის წარმოდგენა... თუნგი დავდგი, გადათეთრებულ ბზასთან მივედი, ორივე მუჭით მოვხვეტე ბუჩქიდან თოვლი და სახე დავისრისე. მივუახლოვდი თუ არა უშიშრად ბზის დათოვლილ ბუჩქს, მაშინვე ვიგრძენი, რატომ მაღიზიანებდა მარო, ის ხელს მიშლიდა აღმედგინა ბავშვობისდროინდელი მთრთოლვარე შეძრწუნება ღამეული ჩვენებებით: ბზის ბუჩქში სასიკვდილოდ დაჭრილი მნათე ჩაყუჟულა და კვდება, ჩუმად, უდრტვინველად კვდება...

ტუჩის კუთხეებიდან სისხლი მოჟონავს. ზოგჯერ გაიბრძოლებს, ამოსუნთქვას მოკლე სტვენას ამოატანს... და ისევ კვდება... სულ კვდება... მე ვცდილობ დავინახო მკვდარი მნათე, უსიცოცხლოდ ჩაკეცილი ბუჩქში, უკვე გაშეშებული და გაფიჩხებული... მაგრამ არა, თითქოს მოსჯილი მქონდეს, ნიადაგ სულთმობრძავს ვხედავდე, ვხედავდე ამოსტვენის დროს როგორ უთრთის ჩამოტყლარჭული ყელი, როგორ ეკრუნჩხება ცვილისფერი ბებერი ხელები... რამდენჯერ უამბია ბებია ევას მომაკვდავმა მნათემ სპირიდონას დაუბარა: ღრმა სამარე არ გამიჭრათ, სასთუმალიც ამიმაღლეთ რომ მამლის ყივილი გავიგონოვო...

მე კიდევ მოვხვეტე ბზის ბუჩქიდან თოვლი, სახე კარგად დავიზილე, რომ ძილი არ მომრეოდა, თუნგი ავიღე და სარდაფისკენ შევბრუნდი. სარდაფის გვერდით, საქათმეში ისევ ყიოდა მამალი...

ბებიას ამასობაში გორგალი გაეხსნა, გრძელი ნახევები ბუხრის კალთაზე წყობისად დაელაგებინა, ხელში რაღაც მონაცრისფრო ქაღალდი ეჭირა და ჩაციებით ჩასცქეროდა. აბა, თუ იპოვე, ბები, ნეხვში მარგალიტი მეთქი, ღიმილით ვუთხარი და ბუხართან ჩავიმუხლე თუნგის გასაწმენდად. თუნგს ძირი და მუცელი გამურული ჰქონდა და სანამ ბებია ხორბალს გაარჩევდა, მინდოდა ნაცრით კარგად გამეპრიალებინა შენ წარმოიდგინე, ვიპოვნეო, მითხრა ბებიამ და ქაღალდი გამომიწოდა. ეს იყო კიდეებშემოჭმული, ნესტითა და ობით დალაქულ-დაწერნაქებული თაბახივით ქაღალდი, სიტყვები სანახევროდ იყო გადაშლილი, ზოგან ხომ სულ არაფერი აჩნდა... მეც ბებიასავით ჩაციებით ჩავაცქერდი ქაღალდს, შმორის სუნი ცხვირში მცემდა... დასაწყისი რამდენიმე სტრიქონი ვერაფრით ვერ გავარჩიე, მერე კი ბორძიკ-ბორძიკით დავიწყე კითხვა: „სულამდე ხელი ჩაგვაწვდინეს, თავისუფლება მოგვისპეს... ჩვენს მონობაში ქვაც კი ხმას ამოიღებდა, ჩვენ კი დაგვიმუწავს პირი და შეგრნებულნი და თავლაფდასხმულნი დადამბლავებულებივით შევყურებთ ერთმანეთს...“

მე თავი ავიღე და ბებიას შევხედე.

„ვერა ხვდები რა არის?“ შემეკითხა და თავი რომ გავუქნიე, ვერ ვხვდები მეთქი, მანიშნა განაგრძეო. მე ისევ ჩავაცქერდი გადაცრეცილ და დალაქულ სტრიქონებს და ჯახირით განვაგრძე კითხვა: „მეტი მოთმენა შეუძლებელია... ის ვინც დედამიწას გული გაუხსნა და ზურმუხტად აახავერდა, ვინც ტყეები გაჩეხა და სოფლები გააშენა, ვინც წელებზე ფეხს იდგამს და დღე-მუდამ ოფლს იწურავს, ის ხალხი გლეხკაცობაა, და აი, სწორედ ეს ხალხია დღეს სიღარი-

ბესა და შიმშილობაში ჩავარდნილი... დიახ, მეტი მოთმენა შეუძლებელია..." ამ ადგილას სულ აღარ იკითხებოდა არაფერი, მე თვალი ჩავაყოლე ქაღალდს და ბოლოში რამდენიმე მკაფიოდ შემორჩენილი სტრიქონი წავიკითხე: „წყევლა და სიკვდილი საზიზღარ მთავრობას, რომელმაც ასე ახლართ-დახლართა ჩვენი ცხოვრება. როგორც ძაღლისაგან ბატკანი ვერ დაიბადება, ისე ამ მთავრობისაგან სიკეთეს არ უნდა ველოდეთ. მაშ, ძირს მუქთაყლაპიები, ძირს თვითმპყრობელობა!" – ქაღალდი გადავატრიალე, მეორე მხარეს არაფერი ეწერა.

„ახლა ხომ მიხვდი რაც არის?" მომეშველა ბებია, – როგორც მახსოვს, ჩვენს მუზეუმში პირველი რევოლუციისდროინდელი პროკლამაციები არც უნდა ჰქონდეთ, ჰოდა გააუთოვებ ნელი უთოთი მეორე მხრიდან და ხვალვე წაუღებ სანდროს. ალბათ, ამ სამუზეუმო ექსპონატებს ახლა უკვე სიზმარშიც ხედავს.

პირი დავაღე, როგორ, ეს პროკლამაციაა მეთქი?

დიახ, პროკლამაცია გახლავსო, თავის ქნევით მითხრა ბებიამ.

„აი, ეს კი" – და ბუხრის კალთაზე წყობისად დალაგებული ქაღალდები ერთმანეთის მიყოლებით გაშალა, გაზეთი „ბრძოლაა", ხედავ?

რა თქმა უნდა ვხედავდი, მითუმეტეს, მთელი სათაური ერთ ნახევზე იყო მოხვედრილი – 1902 წლის მეოთხე ნომერია... მე მგონი სჯობს ასევე ნახევებად წაიღო მუზეუმში, სანდრო თავისებური გულმოდგინებით მოუვლის და აღადგენინებს.

„კი მაგრამ..." – ვთქვი მე და თან ბუხრის კალთაზე გაშლილ ნახევებს თვალი ჩავაყოლე, – „ბებია ევას განჯინაში საიდან მოხვდა ეს ექსპონატები? ან პროკლამაცია და ან ეს გაზეთი?"

– როგორ! – ხმას აუწია ბებიამ და საყვედურით შეიჭმუხნა თავისი გაქუცული წარბები, – ნუთუ აღარ გახსოვს სპირიდონას რევოლუციონერობის ამბავი?! ცოტა ხნის წინ ანდერძად გიბარებდი მართალი სიტყვის სამსახურს და შენ თუ ასე სწრაფად დაივიწყე შენიანების ისტორია, კაი დახლიც დაგიდგება!!

მე იქით შევუტიე: სპირიდონა რომ მოკვდა, ჯერ არც დავბადებულიყავი მეთქი, და ბებია ევამ ამ სარდაფში რომ შემოგვიფარა, პატარა ოქტომბრელს შეეძლება ყველაფერი არც დამახსომებოდა, რასაც თქვენ ჰყვებოდით მეთქი, და თუ ასე გწყდება გული, მადლობა ღმერთს, ნახევარი ღამე წინ გვიდევს და ჩვენც ყარყუმებივით შევყურებთ ერთმანეთს მეთქი.

მე კიდევაც გამიხარდა ახალი სალაპარაკო თემა რომ გაგვიჩნდა, ჩვენს საქმიანობასა და მიცვალებულთან ღამის თევას ცოტათი მაინც გაახალისებდა.

„ძალიან კარგი, ძალიანაც კარგი..." გახალისდა ბებია, რაკი დაინახა, რომ მეც დავინტერესდი სპირიდონას ამბით: ბებიას ხომ არაფერი ისე არ იზიდავდა, როგორც წარსულის, გარდასული ამბების რკვევა და ჩხრეკა, იზიდავდა მას დინჯი თხრობაც და პოლემიკური პათოსიც, და თუმცა ამ სარდაფში ყოფნისას და შემდეგ მაკასთანაც, „ისტორიული ქარტეხილების" მომსწრე (ასე ამბობდა ხოლმე მაკა), სამი მანდილოსნის გვერდით ბევრი რამ გამეგონა, ბებია შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა და ყოველთვის მიესწრაფვოდა მინავლული მოგონებების გაცოცხლებასა და გაცხოველებას, ამას ის თავის მოვალეობად სთვლიდა, „რაკი ღმერთმა ჩვენ ერთმანეთის თავი გვარგუნა," გამიმეორა კიდეც თავის შეგონება, „ჩვენი ვალია გავიგოთ ერთმანეთისა და ჩავუღრმავდეთ ერთმანეთს..." „მე უკვე ჩავიცვი აკვალანგები, მზად ვარ დავეშვა ფსკერზე!" სიცილით ვუთხარი და კვლავ დავხედე გაზეთის ნახევებს... „რევოლუცია!" მკვახედ შესძახა ბებიამ და მუშტი შემართა, „ასე მგონია, არცერთი სიტყვა ასე არ მძულს! რა იქნებოდა მსოფლიო რევოლუციების გარეშე ვერ გეტყვი, ცხადია, დიდი დრამატიზმი და ტრაგიზმი მოაკლდებოდა, მაგრამ როცა უშუალოდ შენ გატყდება თავს რევოლუციის მეხი და მედგარი, როცა იფეთქებს ძალადობა და უმეცრება, მკვიდრი საყრდენები თუ არა გაქვს, – და ვისა აქვს ასეთი საყრდენები, ერთ-ორს, მეტს კი არა, – წავიდა ალაოზე სინდის-ნამუსი და გაირყვნა სიტყვა... მაგრამ, საუკუნის დასაწყისში ასე არავინ ფიქრობდა და ყველას რევოლუცია ეკერა პირზე, თქვენც ხომ სკოლაში ამას გასწავლიდნენ და მართლაც, საითაც არ გაიხედავდი, რევოლუციურად განწყობილ, რევოლუციურად მოაზროვნე,

რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანებს დაინახავდი, ყოველივე პროგრესულსა და მოწინავეს დამპალი ცარიზმის რევოლუციის გზით დამხობას უკავშირებდნენ... აბა, ერთი დახედე ამ ლექსსა?!“ ბებიამ გაზეთის ერთ ადგილზე მიმითითა, სადაც კარგა მოზრდილი ლექსი (დავთვალე და რვა სტროფი გამოვიდა) იყო დაბეჭდილი, „საპირველმაისო ლექსია, ასე ვთქვათ, რევოლუციური მგზნებარებითა და პათოსით სავსე.“ „არ მითხრა ახლა რომ სპირიდონას ლექსია!“ ვთქვი და ლექსიანი მონახევი ავიღე. „ასეთ ლექსს მაშინ ვინც გინდა ის წერდა, მითუმეტეს სპირიდონა, არჩილის მოწაფე, არჩილ აბელიშვილის, თელავის რევოლუციური უჯრედის მესვეურისა და სულისჩამდგმელის, სწორედ მან აიყოლია ხიფათიანი და დაუდგომელი ცხოვრების მოყვარული ახალგაზრდები, ვითომ ქვეყნის ბედი რომ აღელვებდათ, სინამდვილეში კი ყველას ტვინს უბნელებდა ხელისუფლების წყურვილი და ტკბილი კვერი...“

„მაგრამ ვიყოთ ობიექტურები, ბები, იდეურებიც ხომ იყვნენ მათ შორის, გარიჟრაჟზე მაინც, თუნდაც იგივე პაპა არჩილი...“ „ღმერთო ჩემო!!“ გაწყრა ბებია, „იდეურები?! იდეურები!! და შენ ამბობ ამას?! სერიოზულად?! რას ნიშნავს იდეურები, გამაგებინე ერთი, რა სიტყვაა ეს! ბოლშევიკების მოგონილი ცრუ სიტყვა, რომლის უკან ძმათა მკვლელობა და ღვთის გმობა იმალება, თუმცა რაღა იმალება, იგულისხმება თვალთმაქცურად და ყოვლად უტიფრად! იდეურობის სახელით მათ შეეძლოთ ილიაც მოეკლათ და მთელი ქვეყანაც ციხედ ექციათ, და ციხის კედლებზე იდეური ლოზუნგები გაეკრათ, ყველაზე იდეური საბჭოთა ციხეაო! შენ თუ ასეთ სიტყვებს წარმოთქვამ პროტესტისა და ზიზღის გარეშე, სიცრუის მსახურებს ამოუდგები მხარში, გესმის, გესმიის!!“ ბებიამ მუხლზე მარნუხივით მომიჭირა ხელი, ფრჩხილები ჭანგივით ჩამასო და ეცადა შევენჯღრიე... საწყალი ბებია, ნამდვილად გიგის ღალატად ჩამითვალა და ამიტომ გამწარდა, მე კი პაპა არჩილის ხსენებაზე მყისვე ჩიკო დამიდგა თვალწინ, ჩემი დაუვიწყარი ჩიკო: „ბავშვობაში როგორ შევნატროდი ჩიკოს, ასეთი „დიდი კაცი“ პაპა რომ ჰყავდა, მერე კი რა გამოვიდა, შენთვის არც მითქვამს, ჩიკო შემეცოდა და იმიტომ... მაშინ იყო, ამ სარდაფში რომ ვიყავით ბებია ევასთან... ახალ ბაღში ნაგვიყვანეს და ჩიკო შემეხვეწა ზევით გამომყეო. მათი სახლი ხომ ბაღის თავში იყო და სწორედ თავიანთ სახლს გულისხმობდა. ჩვენ „კარმაქსის“ ძეგლთან თოვლში ვთამაშობდით... გავიქეცით ზევით და რა ვნახეთ, სწორედ ბარგი გამოჰქონდათ, ხომ გახსოვს რა მშვენიერი ავეჯი ჰქონდათ, და დეიდა ალისას ის არაჩვეულებრივი მცენარეები, ყველაფერს თოვლზე ჰყრიდნენ, სახლში კი ფანერის საწერი მაგიდები და კარადები შეჰქონდათ... თოვლზე ეგდო პაპა არჩილის დიდი სურათიც, ძია ლექსოს თავის კაბინეტში, სავარძლის თავზე რომ ეკიდა. ჩვენ სვეტს ამოვეფარეთ და გათანგულები და თვალებდაჭყეტილები ვუთვალთვალებდით რა ხდებოდა, ის იყო შევნიშნეთ პაპა არჩილის სურათი, ის იყო ჩიკო შეირხა, რომ ახალგაზრდა კაცი დასწვდა სურათს, მოჩუქურთმებულივით შავი ჩარჩო მოგლიჯა, სურათი გამეტებით დაანარცხა, ფეხით შედგა, დავინახეთ ცალი ქუსლი სახეზე როგორ დაუტრიალა პაპა არჩილის სურათს, მერე კი დააფურთხა, ფუო, დაიძახა და ჩარჩოთი ხელში ისევ აირბინა კიბეები... „ოჰ, ოჰ, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად, როგორც პოეტი იტყოდა...“ თქვა ბებიამ, „ჯობს ისევ ჩვენ თეთრ ვირს მივუბრუნდეთ, ანუ სპირიდონას, ის მაშინ ბოზორჯაიანცის თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა მუშად, მერე კი ისევ თელავში დაბრუნდა არჩილის მითითებით და არჩილისავე თაოსნობით სოფლებში პროკლამაციებს ავრცელებდა, ახალი დროების თავგამოდებული ქალების ხელით დაწერილ პროკლამაციებს...“

მე ისევ დავხედე „ბრძოლის“ მონახევს: „ხმამაღლა წავიკითხო ეს ლექსი?“ „აუცილებლად, აფსუსია სმენა არ დავიტკბოთ და არ გავხალისდეთ...“ მეც დავიწყე: „ავაფრიალოთ წითელი დროშა, ნუ შევუდრკებით ქარიშხალს, მეხსა! ძმებო, არ ვენდოთ ცარიზმის როშვას, ბრძოლის ყიჟინით ვეკვეთოთ მტერსა!!“ შემდეგ ლექსში მხილებული იყო ცარიზმის სისასტიკე და დაუნდობლობა, ციხე, დევნა, ბორკილები, სახრჩობელები, ციმბირში გადასახლება... და ყოველი სტროფი ლექსისა მთავრდებოდა მოწოდებით „ბრძოლის ყიჟინით ვეკვეთოთ მტერსა!!“

ბოლოში კი ლექსს ხელს აწერდა. ლექსის კითხვა რომ ჩავათავე, ხელმოწერას დავხედე, ბრჭყალებში ჩასმულ „ნაღარას“ და იმდენად ვერ დავუკავშირე ეს სიტყვა ზემოთ, ყარაბაღულ ხალიჩაზე გაკრულ, ჩამოქრუშული კაცის სურათს, ისევ შევხედე ბებიას დაეჭვებით: „ნამდვილად იცი რომ ეს „ნაღარა“ სპირიდონაა?“ „რა თქმა უნდა... პოლიკლინიკაში ყოფილიყო ცნობისათვის და სულის მოსათქმელად ჩემთან შემოვიდა. იმ ღამით მოკვდა კიდეც. ჰოდა, გაზეთიც თან ჰქონდა წამოღებული, როგორც ყოფილი რევოლუციონერობის დამადასტურებელი ნივთმტკიცება.“ ბებიამ შუბლი შეიჭმუხნა, გაზეთის მონახევები და პროკლამაცია წამოკრიფა და მაგიდაზე გადადო, ეს ამბები რომ მორჩება, სანდროს წაულებ მუზეუმშიო, მითხრა, მერე კი ისევ ქოთანზე მანიშნა: „დამიყარე ახლა ხორბალი გასარჩევად და შენც თუნგი გაწმინდე...“ ქოთნიდან საწანდილე ხორბალი წამოვყარე ხის ტაბაკზე და ბებიას მუხლებზე დავუდგი. „მე კი მახსოვს კარგად სპირიდონას გადიდებული სურათი, მაგრამ ფოტო მაინც ფოტოა და ცოცხალი როგორი იყო?“ ვკითხე ბებიას. “უშნო არ ეთქმოდა, პირიქით, სწორნაკვთადი კაცი იყო. შავყვითელი, ჩამოგრძელებული სახე ჰქონდა და შეყრილი წარბები.“

აქანდაზით ბუხრის კუთხიდან ნაცარი გამოვხვეტე, ქეთლიდან ცოტაოდენი წყალი დავასხურე, ჩვარი მოვიმარჯვე და ბუხრის კალთაზე ჩამოვჯექი: „თვალები როგორი ჰქონდა, „სარკე სულისა“?“ „თვალები?“ ბებია ჩაფიქრდა, ერთხანს ჩუმად არჩევდა ხორბალს, ნელა აცაცუნებდა ხის ტაბაკზე თავის დაკოჟრებულ, მიბრეცილ მტევნებს, ასე მეგონა ხორბლის რჩევასთან ერთად ფიქრის უხილავ ძაფს ართავდნენ ეს ხელები. მათი მოძრაობა თანდათან თითქოს შინაგან რიტმს დაემორჩილა და ხალისიანი გახდა. „გამახსენდა“ თქვა ბოლოს კმაყოფილი კილოთი, „მაინც მწყინდა რომ ვერ ვიხსენებდი.“ „ოჰოჰოჰო, ვინც არ გიცნობს, შენს თავმოწონეობას საზღვარი არა აქვს, ბები.“ სიცილით ვუთხარი.

„ვითომ რატომაც არა?! იმ უკანასკნელ დღეს ჩემთან რომ მოვიდა, ჭიდან წყალს ვიღებდი და იქვე სპილენძის დიდ კასრში ვაგროვებდი, საღამოსთვის ვარდების მოსარწყავად... ბორბლის ჭრიალში შორიდანვე ვერ გავიგონე ნაბიჯების ხმა... უცებ მივიხედე და შემეშინდა... აჩრდილს ჰგავდა, ჩვენი სამზარეულოს კედელს ეყუდებოდა... ვედრო სწრაფად დავდგი, გავიქეცი, ხელი მივაშველე, ასე ხელიხელ წამოვიყვანე და გულაბის ქვეშ სკამზე დავსვი... მძიმედ სუნთქავდა, წამლის და შმორის ოხშივარი ამოსდიოდა გვამიდან. აქვე, შინსახკომში ყოფილიყო და სულის მოსათქმელად შემოვიდა... „სიტყვა მინდა ჩაგაბაროვო“ აი, ასე მითხრა, მაგრამ მერე ის „სიტყვა“ აღარ ჩაუბარებია, „შემდეგისთვის იყოსო“, და იმღამესვე მომკვდარიყო... ჩვენგან რომ წავიდა, მერე მთელი დღე სპირიდონაზე ვფიქრობდი... აი, სწორედ მაშინ წარმომიდგა ნათლად პავლე მოციქულის სიტყვები რომაელთა ეპისტოლედან...“ — ბებიამ წარბებს ქვეშიდან ამომხედა და როგორც ყოველთვის, მარჯვენა ხელი ასწია: „რომელთა პირი წყევითა და სიმწარითა სავსე არს; მალე არიან ფერხნი მათნი დათხევად სისხლისა, შემუსრვა და უბადრუკება არს გზათა მათთა; და გზა მშვიდობისა არა იცნეს. არა არს შიში თვალთა მათთა.“ „მნათეს შვილობილი და ასეთი ულმერთო!“ წამოვიძახე მე გულისტკივილით, „არა არს შიში წინაშე თვალთა მათთა... მნათე ხომ ისეთი ღვთისნიერი იყო!“ ისევ ამოვაწე ნაცარტუტში ჩვარი და გაგულისებით გავუსვი თუნგის ძირს. „მნათე! მნათე ნახევრად ღვთის გლახა იყო და სპირიდონას ნამდვილი მამა, ზორბა, კი მთისოდენა ყაჩაღი, ერთ დაჯდომაზე ექვს ხელადა ღვინოს თნქავდა და კაცის მოჭრილ თავს ყარფუზს ეძახდა, ერთხელ ღამით საყვარელთან მისულიყო და დედაკაცო, ხურჯინს მიხედე, ყარფუზი მოგიტანეო, ეთქვა, ჩაეყო ხელი ქალს ხურჯინის თვალში და წვერულვაშიანი თავი კი შერჩენოდა ხელში... თვითონ კი თურმე როხროხებდა: მოუხდებათ ჩემს მტრებსაო! ამ ამბავს ზორბას რამდენიმე საყვარელი ჰყვებოდა თურმე, არა, მე მომართვა „ყარფუზი“, არა მეო... შეიძლება მართლა ყველას მიართვა სხვადასხვა „ყარფუზი“, ან იქნებ ერთი და იგივე შემოუტარა, ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს“ „საყვარლები ბლომად ჰყავდა?“ „უჰ, თავისი დღე და მოსწრება თურმე ხონჯარშეხსნილი დაიარებოდა!“ „და სპირიდონას დედაც ზორბას საყვარელი იყო?“

„არაა! საწყალ თებროს ზორბას საყვარლობა არ ღირსებია, ეს მისთვის მეტისმეტი პატივი იქნებოდა, ერთხელ შეეცდინა თურმე და მიეგდო! მაშინ ჯერ ყაჩაღად არ იყო გასული, თურმე დილიჟანზე იჯდა და თელავსა და თბილისს შორის დააგრიალებდა ცხენებს. თებრო ვახვახიშვილების მოახლე გოგო იყო, კნეინა ანიკოს ამოეყვანა ხორხლიდან, ღარიბ-ღატაკები იყვნენ თურმე და მადლს მოვისხამო, ეფიქრა, გაიზრდება და გავათხოვებო. საქმეებისგან რომ მოიცლიდა, ბატებსა და ინდაურებს გარეკავდა ხოლმე ნადიკვრის ფერდაზე სამწყსოდ, ზორბაც ზოგჯერ დილიჟნით სწორედ ნადიკვრის ქვევით ჩაგრიალდებოდა ხოლმე, სამხედრო პოლკიდან ჩინიანი მგზავრის წასაყვანად, ჰოდა, შეემჩნია თმაგაწეწილი თებრო, კალთააწეული რომ უგლეჯავდა ჭუკებს ნაცარქათამასა და მატიტელას. ზორბა თურმე რაღაც თავისებურად უწრუწუნებდა ცხენებს და თებრო ცხენების თქარათქურისა და რაც მთავარია ზორბას იმ გულისგამგმირავ დაწრუწუნებას რომ გაიგონებდა, ჩამოწეწილ თმებს უკან გადაიყრიდა და დაგლეჯილ მატიტელას დაუქნევდა ამწვანებული ფერდობისკენ კისერმოღრეჯილ მედილიჟანეს. ჰოდა, ერთხელაც, მგზავრები რომ მიერიგმოერიგებინა, ქვევიდან ამოევლო, ცხენები იქვე მიეყენებინა, კოფოდან გადმომხტარიყო, ფერდა ამოერბინა და თმაგაწეწილი თებრო სახელდახელოდ გაეფორმებინა ბუჩქებში... მერე ისევე ჩაერბინა ფერდა, შემხტარიყო კოფოზე, თავისებურად დაეწრუწუნა ცხენებისთვის და თქარათქურით გაგრიალებულიყო.

სულ მალე თურმე თებრო გაითქვირა, გვერდები განზე გაუვიდა, გახორხლილი სახე გადაეწმინდა და მუცელიც წამოეზარდა. საწყალი, რაღას არ აკეთებდა თურმე, რომ მუცელი როგორმე მოეშორებინა: შემოიკეცდა კაბის კალთებს, გაწვებოდა და ნადიკვრის ფერდას სულ გორიგორით ჩაათავებდა... შედგებოდა თურმე კიბის თავზე, გაშლიდა ხელებს, წაიხრებოდა, აიქნევდა კურტუმს, გადმოხტებოდა... და დაეზღართებოდა... ერთი სიტყვით, ძალს თებრო და ძალს უკანონოდ ჩათესილი ნაყოფი, რომელიც არც ხტუნვას ეპუებოდა, არც გორაობას, არც მუცელში ნაშენილ მუშტებს, და მითუმეტეს აინუნშიც არ სთვლიდა ფებროს ცრემლებსა და სასოწარკვეთას, ყველას ჯიბრზე იზრდებოდა და მხიფდებოდა. საწყალ თებროს საქმე ხელში უჩერდებოდა, მიდგებოდა კუთხეში და ჩუმად იმდუღრებოდა. ერთხელაც კნეინა ანიკოს დაენახა ბალკონიდან: დგას თებრო შუა ოთახში და გადმომსკდარ ცრემლებს მტვრის ტილოთი იწმენდავს, სახე შავადღა აქვს ალესილი. რა იყო, გოგო, რა მოგივიდაო, წამომდგარიყო და შესულიყო ოთახში, თებროს თურმე მოწოლილმა ბოღმამ გამოხეთქა, ფეხებში ჩაუვარდა კნეინა ელიჩკას და კაბის კალთა დაუკოცნა, შემიბრალეთო. ხო არავინ შეგაცდინაო, მაშინვე ის ეთქვა და თებროსაც ტირილი უფრო ავარდნოდა. მეტი რაღა გზა ჰქონდა, გასტყდომოდა და შევედრებოდა: ნუ გამაგდებთ, ქალბატონო, ნუ დამტოვებთ ულუკმაპუროდ, ჩემიანები, მოგეხსენებათ, შიმშილითა ფართხალებენ, თავისი უბედურებაც ეყოფათ და ეგრე თავლაფდასხმული ვერ მივადგებიო. თან სადღაც შიგნით იმედი უჭიატებდა, იქნებ ბატონი გამომესარჩლოს, მოელაპარაკოს იმ პირქვე დასამარხავ ზორბას და ნამუსი მოაწმენდინოსო, ოღონდ ყასიდად მაინც დაინეროს ჯვარი და აღარაფერს არ დავეძებო. კნეინა ანიკო კეთილი და ღვთისმოსავი ქალი იყო, შეეცოდა მოახლე გოგო და ქმარს მოელაპარაკა. ითაკილა თურმე თავადმა გიგომ, როგორთუ იმ მამაძაღლმა მოახლე გამომიორსულაო და მოურავი გაუგზავნა მედილიჟნეს. მაგრამ ყურებჩამოყრილი დაბრუნდა მოურავი: შემოგითვალათ, ბატონო, სხვისი ნატვლეპი ჯამი ერთხელა ვტვლიპე და მეყოფაო, მე რა დაბალი ღობე მნახა, საკუთარ შვილებს მოჰკითხოსო. გაბრაზდა თურმე ბატონი გიგო, შემოჰკრა ტაში და ყველას ბალკონზე მოუყარა თავი, თავის ექვს ვაჟსაცა და საწყალ თებროსაც, ერთ მხარეს ბიჭები ჩაამწკრივა, მეორე მხარეს, სკამზე თებრო დასვა, შუაშიც თვითონ დაბრძანდა და კნეინა ანიკოს წინააღმდეგობის მიუხედავად ბჭობა გამართა.

— ჰაიტ, თქვე მამაძაღლებო თქვენა, ავი ბულა შინაურს წაახტებაო, თქვით ეხლავე რომელმა გამოაორსულეთ ეს საწყალი გოგოვო, ფარნა, შენაო?!

– არა, დედა არ მომიკვდესო! – შესძახა თურმე სულ უფროსმა, ცხრამეტი წლის ფარნამ.
– რევაზიკა, შენაო?!
– არა, მამა არ მომიკვდესო!! – დაიძახა ფარნას მომდევნო რევაზიკამ.
„ანდრო, შენაო?"
„ღმერთი გამიწყრეს და ეშმაკმა დამლახვროს!!" – შეჰფიცა ანდუყაფარმაც.
დანარჩენებმაც ასევე იუარეს თორმეტი წლის თაზოს ჩათვლით, რომელიც თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა ხან თებროს, ხან თავის ძმებს, ეტყობა მოსწონდა მთელი ეს თამაში და მამა რომ აღარ შეეკითხა, ითაკილა, როგორთუ ძმებს უნდა ჩამოვრჩეო, ორი ნაბიჯი წინ წამოდგა, ფეხი ფეხს მიარტყა, და მთელი ხმით შესჭყივლა:
„ღვთისმშობელმა დამკრუნჩხოს და დამაკუტოს, თუ ეს მანდილოსანი მე გა-მო-მე-ორ-სუ-ლე-ბი-ნა-ო."
ბიჭებმა ჩაიფხუკუნეს, ბატონმა ულვაშებზე ხელი გადაისვა, ჩაახველა, და საწყალ თებროს მიუბრუნდა, რომელიც თავჩაქინდრული იჯდა სკამზე და ჩუმად იმდუღრებოდა: „აბა, დაზარალებულო თებრო, შენ რაღას იტყვიო?"
თებრომ ძლივს ამოილუღლუღა: „მართალს ამბობენ, ბატონო, ჩემთვის ხელი არავის უხლია"
„ეგ ძალიან კარგი, რომა ჩემი ბიჭები არაფერ შუაში არ ყოფილან, მაგრამ ამას რას ამბობს ზორბა, სხვისი ნატვლეპი ჯამიო, ვინა გტვლიპა, გოგო, კიდევა, ჰაა?"
„არავის არ ვუტყეპივარ... ბატონო... ზორბას მეტსა."
„სადა გტვლიპა მერე, გოგო, სადაო?"
„ნადიკვრის ფერდაზე ჭუკებისთვის ნაცარქათამასა და მატიტელას ვგლეჯდი ხოლმე და იქ მომატანა."
– მატიტელა! აი, შე ტრაკტიტველა შენა!!" დაიძახა ბატონმა, „შემომფიცე რომა ზორბამ შეგაცდინა და თანაც ეგეთ ცილსა გწამებს, შემომფიცე და გაპატიებ! მაგრამ! გააჩენ თუ არა ნაბიჭვარს, ზორბა თუ არ დანამუსდება და არ შეგირთავს, იმის დევნას თავი უნდა გაანებო! თუ შეგატყობ კალთააწეულ ხეტიალსა, გუდანაბადს აგიკრავ კიდეც იცოდე, ნადი და უყარე კაკალი შენი ბუშიანადა!!"
თებრომ, რა თქმა უნდა გულმხურვალედ შეჰფიცა, მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ თვეში იყო უკვე ჩამდგარი... თურმე მუცელი ცხვირზე ეკიდა... ბებია ერთბაშად დადუმდა... ზერეს ადგილაც წაუვიდა... ხორბლიან სინზე ხელები გაეფარჩხა და გაუშეშდა... სკამზე შეტორტმანდა...
თუნგს ხელი ვუშვი, წამოვხტი, ბებიას მივვარდი, ხორბლიანი სინი გაფარჩხული ხელებიდან გამოვაცალე, ბუხრის კალთაზე გადავდგი, ჩავიმუხლე, ცალი ხელი ბებიას შემოვხვიე და მივიყრდენი, მეორე ხელით კაბის კალთა ავუწიე და შიდა ქვედატანის დიდი, ჭრელი ჯიბიდან ორი შუშა ამოვიღე, ერთი იქვე კალთაში ჩავუგდე, მეორეს თავი მოვხადე და ცხვირთან მივუტანე... ერთხელ და ორჯერ არ მენახა ბებიას გულღონება. პირველად 24 წელს დამართნოდა, უფროსი ვაჟი, დედაჩემის უფროსი ძმა გიგი რომ დაუხვრიტეს, გვამი რომ მოიპარეს დედამ და დეიდამ გიგოსგორიდან და ჩვენს ეზოში ჩუმად დამარხეს. ჰოდა, ბებიას გულღონებას სხვა დროსაც არაერთხელ შევსწრებივარ, მაგრამ ყოველთვის ელდა მეცემოდა ხოლმე გაფარჩხული ხელებისა და უსიცოცხლოდ ჩამოვარდნილი თავის დანახვაზე, ახლაც შეშინებული და დაბნეული შევყურებდი ბებიას განაცრისფრებულ სახეს, უმოძრაო ნაკვთებს, სიცოცხლის ნიშანწყალი რომ აღარ ეტყობოდა და ხან ნიშადურს ვასუნებინებდი, ხან ვუზელდი ხელებს თან ჩავძახოდი: ბები, ბებია, აბა, გამოიხედე, აბა, თვალი გაახილე მეთქი... როგორც იყო შეირხა გაქუცული წარბები, გული მოუბრუნდა და ღრმად ამოისუნთქა... თვალები კი ისევ ეხუჭა, სანამ სულ გამოგონდებოდა, თვალს ვერ ახელდა. მაგრამ ახლა ხელების ფათურს მოჰყვა, მუხლებზე სინი რომ აღარ დახვდა, თვალები გაახილა და ენის ბორძიკით მითხრა: – ხორბალი ხომ არ დამიბნევიაო? – არა, ბატონო, არ დაგიბნევია, აგერ შენი გარჩეული ხორბალი მეთქი.
მობოდიშებისა თუ მოფერების ნიშნად ხელზე ხელი მომითათუნა და წამლის შუშა გამომიწოდა. საერთოდ წამლებს ვერ იტანდა, თავისი გულღონების დროს ორადორ წამალს სცნობდა და ხმარობდა: ნიშადურის სპირტსა და ვალერიანის ნაყენს. ჩაფურიდან ჭიქაში ცოტაოდენი წყალი ჩამოვუსხი, ვალერიანი ჩავუწვეთე და დავალევინე.

საცოდავად წკურავდა. ასეთი შეტევების შემდეგ ძალღონე ეცლებოდა და ყოველთვის დამნაშავესავით შემომხედავდა: ხუთი წუთი მართლა დავხუჭავ თვალს, თორემ ასე უდროო დროს უარესი არ დამემართოსო. წამლის შუშები აიღო და ისევ დიდ, ჭრელ ჯიბეში ჩაიდო. ასეთ დროს ამ ჭრელი ჯიბის დანახვა გულს გამიკენწლავდა ხოლმე. ძნელია სულ თალხის ტარება, ჩემო გოგო, ძნელიაო, რამდენჯერ უთქვამს, მსიამოვნებს შიგნითა ქვედატანზე შენი კაბის მონარჩენი რომ მაკერიაო. ჰოდა, ჩაიდო შუშები ჯიბეში და ტახტს გახედა. სანთლის ნამწვიღა პარპალებდა. წამოვდექი, ახალ სანთელს მოვუკიდე, იქვე მივაკარი. ამ ტახტზე თუნდ ათი კაცი დაეტეოდა, მაგრამ ბუხართან მოშორებით უკვე ციოდა, ბებიას ვუთხარი მხარზე მომეყრდენი და ისე დაიძინე მეთქი. არაო, არ ინდომა, სკამი ცოტა უკან მისწია, მაგიდის ჩამოშვებულ კალთას მიეყრდნო, ნიკაპიც შეკრულ მუშტებს ჩამოაყრდნო და ის იყო თვალები დახუჭა, რომ მაშინვე ისევ წამოსწია თავი და შემომხედა:

„— მეშინია ღრმად არ ჩამეძინოს... თუნგის წმენდას რომ მორჩები, კაკალი დაამტვრიე წანდილისათვის.“

„ნუ გეშინია, ისეთს დავცხობ ბუხრის კალთას, დიახაც რო ახია გაგალვიძო...“

„ჰოო, მართლა, საწყალი თებროს ამბავი ხომ ბოლომდე გითხარი?!“

„რა თქმა უნდა... თვეში იყო ჩამდგარი, რომ გათხოვდა მნათეზე, არა?“

„ჰოდა, სპირიდონაც ყოვლად კანონიერად მოევლინა ამ ქვეყანას.“ ბებიამ ისევ ისე ჩამოაყრდნო ნიკაპი დაჯირჯვლებულ მუშტებს, ღრმად ამოიოხრა, სული მოიბრუნა და ჩაიძინა.

ბებიას ამოოხვრამ რატომღაც შემაკრთო... და უეცრად, სრულიად მოულოდნელად გამიცოცხლდა და აღმიდგა შორეული წარსულის თვალუწვდენ სივრცეებში გაბნეული სახე, აქვე, ჩვენს გვერდით ტახტზე დასვენებული მიცვალებულისა: ბებია ევას აი, ეს თუნგი უჭირავს ჩამწიფებული ზღმარტლით სავსე და თიხის ჯამში მიყრის... მე ასევე ვზივარ ბუხართან ბებიაჩემის გვერდით, და ქვევიდან შევყურებ ბებია ევას გამწყრალ სახეს, ჯავრით გამომზირალ ჩამუქებულ თვალებს... და მესმის, ისე ცოცხლად და მკაფიოდ, თითქოს, აი, ახლა ფხვნიდეს ბებიაჩემი საბატიბუტე წვრილკბილა სიმინდს და ამოოხვრით ამბობდეს:

„არ უნდა გაჰყოლოდი, ჩემო ევა, არა... მოინელებდი შენს დარდსა და გამოჩნდებოდა მერე ვინმე, შენი სწორი... აუცილებლად გამოჩნდებოდა...“

„ქაღალდის მონახევადაც აღარ მიღირდა სიცოცხლე, რუსუდანო, ვიფიქრე მამას მაინც წავადგები მეთქი...“

მე გამალებული შევექცევი მწიფე ზღმარტლს, თვალს ვერ ვაცილებ ბებია ევას დარდიან და თითქოს ამიტომ კიდევ უფრო მშვენიერ სახეს, ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდის, მწიფე ზღმარტლთან ერთად ვყლაპავ და ვფიქრობ: რატომ ვართ ჩვენ ყველა ასეთი უბედურები... რატომ?

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟანა ოთხვანი

სასოწარკვეთის ნაპირებიდან

ყველაზე ახლო, ყველაზე შორი
სამყაროს ზღვართან სიჩუმე ისმის...

გაუბედავად შევაღებ კარებს...
იმ სიჩუმეში... გაუბედავად...

და... წყნარ სენაკში გაბნეულ
სპეტაკ,
ცისკრისფერ სხივებს შევეფეთები —
იქ, სიმარტოვის ზღვარს მიღმა ბრწყინავს...

გამოვბრუნდები უკან უცებვე,
რომ ჩემი ოქროს მძიმე ხმაურში
არ დაარღვიოს ეს სიმყუდროვე
და არ შეაკრთოს სინათლე ჩემი...
სასოწარკვეთის ნაპირებიდან
გამოღწეულმა მშფოთვარე ქარმა
რომ არ ჩააქროს მოულოდნელად
მარტოსულ, სხივთა წყნარი კამკამი —

მე...
შეუმჩნევლად,
ფეხაკრეფით
გამოვბრუნდები, —
ისევე ჩუმად,
როგორც მოვედი,
ისევე უცებ...

და... ჩემთვისვე მოულოდნელად...

დედას

განა არ ვიცი, როგორ ვაბრაზებ
ამ მკაცრ ცხოვრებას ურჩი ოცნებით —
არ ჩაქრებიან ფანჯრის რაფაზე
იები ნაზი გვირგვინოსნები.

ალბათ მრავალჯერ ძირს დაანარცხებს
ცხარე ბრძოლაში თეთრ ფრთებს ცხოვრება, —
მაინც ვერ შემცვლის, ვერ დამამარცხებს,
სანამ... ბავშვობა მემახსოვრება...

●

სიცოცხლე მოგაწყურეს წვიმებმა,
დავიწყების ფერფლი ჩამოგრეცხეს
და... გაკრთი წყვდიადში
ნაკვერცხლისფრად —
ტკივილი, სევდიანად მბრწყინავი...

სევდიან სხივებით ვის ეძახი,
ღამეულ წვიმებში მიმავალი, —

სად, საით მიჰყავხარ, სიყვარულო,
ალისფრად მოელვარე იალქნებს?

სამყაროს —
პირველქმნილს, დავიწყებულს —
უსიზმრო წყვდიადში...
მიაგნებ?..
სიცოცხლე მოგანატრეს წვიმებმა...

მამიდა

სავსეთ ნატიფი ხელების თრთოლვით,
ისე შევყურებ ძვირფას ნაქარგებს,
თითქოს ის მზერა —
მომცველი ყოვლის —
ახლა ვიპოვე, კი არ დავკარგე.

კვლავ შევაჩერე კარებთან თითქოს,
კვლავ თბილ კალთაზე ჩამოვეკიდე...

სულს მზერით მითბობს, არაფერს ითხოვს,
ნაქარგ იებში სუნთქავს ჯერ კიდევ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სონეტები ციკლიდან: მეგრული სუიტა

1

იმისთვის, ვისაც საქართველოს გახლეჩა ნებავს,
ჭკვიანმა კაცმა როგორ უნდა გახარჯო რითმა?
არა სჯობია, იღულუნოს ტაეპში გვრიტმა,
რომელიც ჩემი სამეგრელოს ბუნებით ტკბება?!

არ მომწყინდება იმ კუთხის და იმ ხალხის ქება,
რომელთა ქედზე გადიარა მუხთლობამ დიდმა.
ამოწვერილან სამყურები სენაკთან მინდვრად
და ჩემს სტრიქონებს მათი მკვეთრი სიმწვანე ღებავს.

თუ არ გაქვს სმენის ნატამალი გაგამგოსნებენ,
გაგამხატვრებენ, თუ არ იცი ფუნჯის ხმარება
და ვეღარაფრით ვერ ამოსდებ ლაგამს ოცნებებს,

ვიდრე არ უხმობ ჟინი ანთარს დასახმარებლად.
არ ჩაიწვები, არ ჩაქრები მაღალ ბორცვებზე
ათასი ჯურის მტერ-მოყვარის გასახარებლად.

2

და საამისოდ აჟღარუნებს დრომოჭმულ ებანს
მზაკვარი სული. შენ ჰოროლით მისდევ მზვაობარს.
რა კარგი იყო ისკიაში ის თევზაობა,
კამკამა წყალში თვიონაკეთი ანკესის გდება.

წყალთან მზის გულზე ონავარი მურია თბება...
ჭყონდიდის მჭვრეტი წარმოსახვით ხატავ ბაობაბს.
ესალბუნება ეს ბუნება რამდენ თაობას
მდინარეებად, ზღვად, მინდვრებად, მთებად და ტბებად.

შეშაზე წახვალ, გიწილადებს ტყემი პანტა ხემსს,
„ოდოიაზე“ გაიგიჟონ თავი ხარებმა.
ნუ შემოვუჭერთ მეგრულ ჰანგებს აკვნის არტახებს.

კაცისთვის არის ეს დრო თვალის დახამხამება,
თორემ სიმღერას ვერაფერი გააპარტახებს,
ჩვენი სახლები არ იქცევა ნასახლარებად.

3

სანამ სამშობლოს ვიფიცებით და სახარებას,
სავსე იქნება დევის სისხლით სულ ეს ჭურები.
რა ძვირფასია, ორშიმოს რომ ეჩურჩულები,
შფოთიანი დღის გუნებაზე დასაღამებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაგაღონონ, მეგობარო, შუბლის ღარებმა,
კაცის დაშრეტას უდევს უფრო ღრმა სარჩულები,
მე თვით მოწმე ვარ ბევრი ტვინის გადარჯულების,
რომ გადმოცლილან ბალღამის თუ ბოღმის ღვარებად.

ისეთი ჭკუის პატრონისგან კარგს რას ისწავლი,
ვინც უაღვიროდ დოღრიალა მოაღო ლაში.
წიქარას ზურგზე დამიღამდა ზღაპრის გმირსავით

საჭირბოროტო სტვირის, განა შამფურის თლაში.
დღესაც ღამდება. როგორც ქარი, ნაეგრისალი,
სივრცეს მიაპობს მიშვებული ნებაზე რაში.

4

სივრცეს მიაპობს მიშვებული ნებაზე რაში,
გამოხმობილი წარსულიდან, მრავლის მხილველი.
ეს ბინდი შავი, ფრთაფარფატა ღამის ფრინველი,
ბუდეს იკეთებს სევდიანი მედეას თმაში.

ჩადგა ბორიო და მიწყნარდა ფოთლების ტაში.
ამ სიმშვიდეში ვინ იქნება მაინც პირველი?
სამეგრელოში კერამოშლილს რა და ვინ მელის
უტუ მიქავას დაწრთობილი წალდივით საშიშს.

იმისთვის, ვისაც საქართველოს გახლეჩა ნებავს
ათასი ჯურის მტერ-მოყვარის გასახარებლად
და საამისოდ აყღარუნებს დრომოჭმულ ებანს.

ჩვენი სახლები არ იქცევა ნასახლარებად,
ჩვენი კაკალი არ იგუებს გულჭიან ლებანს,
სანამ სამშობლოს ვიფიცებით და სახარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია მოლარიშვილი

დები სევდის ხეობიდან

მოთხრობა

აი, ჩემი დები. ლამაზი, უფროსი დები. მაღლები, სათნოები და მეტად კეთილნი. მე კი პატარა ვარ. ტანადაც, ასაკითაც... და უცნაური, მაგრამ მათ ვუყვარვარ, რადგან ობოლი ვარ და შვილივით გამზარდეს. სულ მე მიფიცებენ, მეალერსებიან და მანებივრებენ.

ჩვენ მთაში ვცხოვრობთ.

აქ ცა ისე დაბლა ახურავს ხეობას, რომ გგონია, თუ გაიქცევი, მდელოს ნაზი ბალახიდან მუქ-ლურჯ ცაში ააბიჯებ, ხოლო ნისლიან დილას, ფიჭვის ხეების მიღმა, მხოლოდ ბურუსში გახვეულ ჩვენებას ხედავ, სოფელს კი არა, თითქოსდა სიზმარს.

ღრუბელი ჩემი სარკმლის წინ მიცურავს, ისე ახლოს, რომ შემიძლია ხელი გავიწოდო და თავზე გადავუსვა...

ვინ მასწავლა იმის დანახვა, რაც სხვას არარსებულად მიაჩნდა? ვინ მასწავლა წვიმის ფიქრების გამოცნობა და თოვლის სიჩუმის ყურისგდება, გადამფრენი წეროების სიმღერაში სიტყვების გარჩევა?

ვინ დამანახა პირველად ღეროში გადატეხილი, ულონოდ ძირს დასვენებული ბალახი, ვინ ამიხილა თვალი, ვინ?..

ჩვენს პატარა სახლს გარს ტყე აკრავს და ყოველ დილით ხეთა შრიალი მაღვიძებს, ჩიტების ჭიკჭიკი. განა ჩვენი მამლის ნაგვიანევი ყივილი.

ყველაზე ადრე ვდგები, რათა დილის ცვრით დავიბანო პირი და ამომავალი მზის სხივები თუ ნიავი მიშრობს სახეზე ნამის წვეთებსა და სიხარულის ცრემლს.

არავის, არავის უყვარდა ჩემსავით გათენება.

ჩემი უფროსი და, მარიამი, კერავს ტილოებს, მერე კიდეებს უქარგავს, კერავს ქათქათა ზეწრებს და ზედ თეთრსავე ყვავილწნულებს აგვირისტებს. სახელგანთქმული მქარგავია მარიამი, თვით მოხუცი ქალები ამოდიან ჩვენს სახლში საღამოობით და სწავლობენ მისგან.

მომდევნო და, ეფემია, ხალიჩებს ქსოვს და ულამაზესი, ჯერარნახული სახეებით ამკობს.

კარგად მახსოვს ერთი მომცრო ხალიჩა. ზედ ჩიტის ბუდე გამოსახა ჩემმა დამ, ბუდეში კი, თეთრ ფთილის კვერცხებზე ფრთაგაშლით მჯდომარე ჭრელი ჩიტი. ამგვარი სურათი გაუგონარი იყო ხალიჩისთვის და მით უფრო მშვენიერი და საოცნებო.

არასოდეს გასჭირვებია ეფემიას თავისი ხალიჩების გაყიდვა. ფასი ეთქვა და მგონი, ასი ცხვრის სასყიდელს შეაძლევდნენ მოხიბლული ჩარჩ-მოვაჭრენი.

აი, ვხედავ, როგორ ბრუნდებიან ჩემი დები, ეფემია და მარიამი, ქალაქიდან ხელდამშვენებულნი. მე დაღმართზე კისრისტეხით გავრბივარ მათ შესაგებებლად. მძიმე კალათებს ვეკონწიალები და დახმარების მაგიერ ხელს ვუშლი და უფრო ვამძიმებ ჩემი დების ტვირთს.

შინ კი სოფიო გველოდება. სოფიო, რიგით მესამე და, რომლის მხრებზე გადადის შინაურ საქმეთა უდიდესი წილი. არა, უდიდესი კი არა, მთლიანად ის უძღვება ყველაფერს. უვლის ჩვენს ერთადერთ მეწველ ძროხას, ორ თხას, ბაღბოსტანში ტრიალებს, კარ-მიდამოს აკრიალებს, სადილ-ვახშამს ამზადებს...

ვერასოდეს ნახავ შენ, ნიავო, ჩემს დას უბრალოდ ჩამომჯდარს, ისიც ხომ ნიავ-ქარივით დაჰქრის. შენ კი, ყოვლად სახიერო მზეო, ვერ გაიტყუებ მას შენი ნათელით აბზინებულ ველ-მინდვრად სახეტიალოდ...

იქნებ მთვარიანი ღამე საოცნებოდ იწვევდა სოფიოს, მაგრამ ის არაფერს ამხელდა.

სოფიო არასოდეს მსაყვედურობდა, თუმცა მე ერთადერთი ვიყავი დებს შორის პეპელასავით უზრუნველი და უსაქმური.

— ელენე, განა არ გინდა, კერვა შეგასწავლო? კაბის ქობის შემოტეხვა მაინც... ან ქარგვა...

— არა, არა, აბა რად მინდა! შენ ცხენის გაჭენებაც არ შეგიძლია, სულ ქარგავ, კერავ... არ მინდა, საკერავმა მეც დამავიწყოს მთის სილამაზე.

— ელენე, ხალიჩის ქსოვას როდის დაიწყებ, ჩემო პატარავ?

— ხალიჩის ქსოვა ნეტა რად მჭირდება? ქარივით გადავუფრენ ჩვენი მთის ყველა ხეობას. მუდამ დავქრივარ, როდისღა მოვახერხო ხალიჩის ქსოვა?

და მხოლოდ სოფიო მიღიმოდა გაგებით. ის არასოდეს მეტყოდა: ჭურჭელი დარეცხე, ეზო-კარი დაგავე ან საქონელს ყური უგდეო.

სოფიო, ჩვენი მომღიმარი სოფიო, ასეთი მაღალი და ძლიერი, თანაც ასეთი ნაზი ხელისგულებით... რა საოცარია...

„როცა ლოყაზე ხელისგულს მადებ, სოფიო, თვალს ვხუჭავ და დედის ხელი მგონია შენი ხელი“.

აი, გესმით მშვენიერი სიმღერა? ეს სოფიო მღერის.

ძროხას წველის — მღერის, რეცხავს — მღერის, შეჭამანდს ამზადებს — მღერის უტკბილესი ხმით.

და თვალები აქვს ისეთი ხავერდოვანი, როგორც არავის ქვეყნად. როცა იცინის, თითქოს ვერცხლი წკრიალებს.

მარიამი და ეფემია მხოლოდ იღიმებიან.

წითელა ბატონები დამიბრძანდა. შიში და შეშფოთება არ უნდა გაამჟღავნონ, თორემ ბატონები განრისხდებიან.

მარიამი და ეფემია იღიმებიან. წითელ პერანგს მიქარგავს მარიამი, ხოლო ეფემია ღიმილ-ღიმილით მიფენს იებს სასთუმალზე.

სოფიო ნელი ხმით მღერის. ნუთუ არ გესმით ეს უტკბესი ქართული სიმღერა?

— ჩუ, ჩუმად, ჩუმად! ბატონები არ გაანაწყენო!

— ჩუმად, ჩუმად! — ჩუმი ჩურჩული ისმის მთელ სახლში.

მერე დედაბრები ამოდიან და დაჩოქილები გარს უვლიან ჩემს საწოლს.

— სოფიო, განა ბატონები ასე საშიშნი არიან?

— არა, არა, მაგრამ...

— სად ცხოვრობენ ისინი?

— ზეცაში, ჩემო სიყვარულო.

— ისინი... მათ შეუძლიათ ჩემი წაყვანა?

— ვიმედოვნებ, რომ შენს თავს გვაჩუქებენ, ჩვენო სიხარულო.

მარტის ბოლოს მზემ დაადნო ყინული და თან წაიღო ყველა საშიშროება. იმ წელს არც წყლები ადიდებულა.

მარიამი აუთოებდა და კეცავდა დაქარგულ ტილოებს, მთელი ზამთრის ნაშრომს, ხოლო ეფემია ამზეურებდა დიდ, ძალზე დიდ ხალიჩას, ზამთრის გრძელ ღამეებში, სანთლის შუქზე რომ ქსოვდა. კიდობანში ხორბლის ფქვილი მიილია, ქალაქისკენ უნდა გასდგომოდნენ გზას.

მე კი, მერე, დიდხანს ვიხსენებდი, როგორ გადიოდა დილა-უთენია სოფიო სახლიდან და ბრუნდებოდა ყინვით სახეაყირმიზებული. მას ადრეული იები მოჰქონდა ჩემთვის და გათოშილ თითებს ძლივს ითბობდა ცეცხლთან.

ზაფხულთან ერთად ძველი სილაღეც დამიბრუნდა.

ჩვენი სოფლის მღვდელი, კეთილი ჭაღარა მღვდელი, რამდენს შევეფეთები ეკლესიიდან სახლისკენ მიმავალს, იმდენს ლოყაზე მომიალერსებს და მკითხავს:

— გაბრიელი განა შენთან არ არის, პატარა ცქვიტო?

გაბრიელი მღვდლის ბიჭია.

ღარიბი მრევლი და სიღარიბე... ხუთი შვილი...

გაბრიელი და-ძმებში ყველაზე უმცროსია.

ჩვენ განუყრელნი ვართ და როგორც და-ძმა, დაურიდებელნი. ყველა მშვენიერი დილა და შუადღე ჩვენი კუთვნილებაა, მხოლოდ ჩვენი.

ის ჩანჩქერიც, ულრანს მოფარებული, ჩვენ ვიპოვეთ.

მეჩვიდმეტე გაზაფხულს შევხვდი. სწორედ იმ წელს მიიცვალა ჩვენი დედის უფროსი ძმა, ერთადერთი ნათესავი, რომელიც ზოგჯერ მაინც გვინახულებდა და ნუგეშიან სიტყვას არ იშურებდა ჩვენთვის. ისე კი, წვრილ-შვილი კაცი იყო, ხელმოკლედ მაცხოვრებელი.

ბიძაშვილები, განსაკუთრებით ვაჟები, ძალზე კარგი შეხედულები იყვნენ, მაგრამ ცოტა დაუდევარნი. არ იყვნენ მონადინებულნი არც შრომას, არც სწავლას.

გარეგნულად მათზე უფრო მხიარულსა და თავშესაქცევარ ყმანვილებს ვერსად ნახავდით. რვანი იყვნენ და თვითეულს, ვგონებ, სამჯერ რვა გულითადი ამხანაგი ჰყავდა. განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა იყო მათ სახლში, სიცილი და თამაშობა.

ჩვენ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, თითო კვირით ვესტუმრებოდით მათ. მე

და ეფემია, ან მე და მარიამი. სოფიო არასოდეს სტოვებდა სახლს.

— თქვენ ყველანი ცოტა ველურები ხართ, — გავიგონე, როგორ უთხრა ერთხელ ეფემიას ჩვენმა უფროსმა ბიძაშვილმა ნინომ. — არადა, ასეთი ლამაზი მაინც არ იყო. — და ამოიოხრა.

ნინოს სახის კანი არ უვარგოდა და ეს უფუჭებდა მშვენიერ ნაკვთებს.

ამჯერად კარი გამოვიკეტეთ და ერთად გავუდექით გზას, რათა ბიძაჩვენი დაგვეტირა.

შევამჩნიე, რომ ხალხი ცნობისმოყვარედ გვიყურებდა. მე არა, ჩემს დებს კი ძალიან უჭვრეტდნენ და მაშინ პირველად დავინახე, რომ ისინი, მარიამი, ეფემია და სოფიო, მართლაც ყველასაგან გამოირჩეოდნენ სიმაღლით, სისადავითა და რაღაც მშვიდი სილამაზით.

— დარჩით ჩვენთან! — გვემუდარებოდნენ ბიძაშვილები, განსაკუთრებით კი ორი უმცროსი გოგო. ესენილა დარჩნენ გასათხოვარნი.

მათ დაიყოლიეს ეფემია და ჩვენც გამოვეთხოვეთ მას.

— მხოლოდ ორი კვირით, — აღგვითქვა ეფემიამ.

მაგრამ ერთი თვე გავიდა და ეფემიას ამაოდ ველოდით.

— რამე მოხდა ალბათ! — წუხდა მარიამი.

კიდევ ორმა კვირამ გაიარა და ერთ შაბათ დღეს სტუმრად გვეწვია ქვრივი ბიცოლა, ვისაც არასგზით არ მოველოდით, მით უფრო, ეფემიას გარეშე. მას თან მხოლოდ სულ უმცროსი ქალიშვილი ახლდა.

ბიცოლასაგან გავიგეთ, რომ ეფემია ცოლად გაჰყოლია მეტად კარგ ადამიანს, შეძლებულ ოჯახისშვილს.

ნუთუ შესაძლებელი იყო, რომ ჩვენი და ასე უცაბედად გათხოვილიყო, თანაც იმ კაცზე, ვინც თვალითაც კი არ გვენახა არასოდეს?

— ბედი ყოფილა, მის ბედის წიგნში, ჩანს, ასე ეწერა, — გვეუბნებოდა ბიცოლა დამნაშავის იერით.

ჩემი დები შემცბარნი იყვნენ. მე კი — უბედური. ამ ამბის გაგებიდან რამდენიმე ღამე თვალღია ვიწექი და ერთიმეორეზე უფრო მწუხარე სურათები მეხატებოდნენ ბნელში.

აი, ვხედავ ეფემიას ვიღაც ჩასუქებული, პირმოქუფრული კაცის გვერდით, რომელიც არასოდეს არ იღიმის. ამის წარმოდგენისას გული ამომიჯდებოდა და ღია თვალებიდან მდუღარება მდიოდა, ბალიშით ვასველებდი ბალიშს.

არავის შეეძლო ჩემი ნუგეშისცემა. არც გაბრიელს, რომელიც აქამდე ყოველთვის პოულობდა საშუალებას, რომ გავემხიარულებინე.

ეფემიას ქმარი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, მე რომ წარმოვიდგინე. ახალგაზრდა იყო, ძალიან მაღალი და მიმზიდველი სახისა. ისიც ცხადად ჩანდა, როგორ უყვარდა და პატივს სცემდა ჩვენს დას, მაგრამ მაინც, მაინც არ გამიწია გულმა მისკენ...

დავრჩით სამნი. ცხოვრება ისევ ისე ძველებურად მიდიოდა.

ეფემიას გარეშე გავიდა გრძელი თეთრი ზამთარი, უხვთოვლიანი. არასოდეს მოსულა ხეობაში იმხელა თოვლი, როგორც იმ წელს.

ჩვენ და მდუმარე ხეობა...

მარიამი, თავისი საქარგავით ხელში, სარკმელთან გარინდულა, სოფიო ზამთრის ღამეებში სიმღერით გვიქცევს.

მე კი... მე მგლის ნაკვალევზე დავხეტიალებ ღამეულ სიზმრებში.

— აჰ, როგორ ყმუიან მგლები! — კრთება მარიამი.

— შეიძლება ბოსელთან მოვიდნენ. საიმედოდ უნდა ჩავკეტოთ ბოსლის კარები, — წუხს სოფიო.

გაბრიელი მოვიხმეთ. ურდულები გაამაგრა. აქა-იქ ხის ძელები ააჭედა.

მარჯვე ხელი აქვს გაბრიელს. ამ თოვაშიც კი ლაბადა არ აცვია და სქლად ნაქსოვ პერანგში კისერი სულ ღიად მოუჩანს. რაღაცას აჭედებს და თან თვალისმომჭრელი თეთრი ღიმილით ელაპარაკება სოფიოს. უეცრად ფაფუკ თოვლში ვიკეცები მუხლებით. გული მითრთის როგორღაც.

მერე გაბრიელს წინილით ვუმასპინძლდებით ვახშმად. სოფიოს ღვინო გამოაქვს მამისეული ხელადით. გაბრიელი სვამს, ისევ ისე ხალისით ლაპარაკობს და გული კვლავ მიკრთება, არც საუბარში ვერთვები. ჩუმად ვზივარ და ჩემს დებს ვუთმობ გაბრიელის თავს.

ზამთრობით ხეობა მდუმარებს. მხოლოდ საკვირაო ზარების რეკვა აცოცხლებს მას. ხან კი მის მყუდროებას არღვევს თოფების გასროლა და მონადირეთა ძაღლების გნიასი.

თოვს... მუხლამდე თოვლს მივარღვევ თავშიშველი და ამ თოვაში თმა მითეთრდება. ბედნიერი ვარ, გულიდან სევდა გადამეყარა. ვხედავ, დაღმართიდან მოაბიჯებს ჯოხზე დაყრდნობილი ეული მგზავრი. ნეტავ სად იყო?

ეს კაცი, არავინ იცოდა საიდან მოვიდა ჩვენს სოფელში, ან რას დაეძებდა აქ. ბაბუა ქრისტეფორესთან დადგა მდგმურად და ახლა ყოველდღე შემეძლო დამენახა, როგორ დაუღალავად მიჰქონდა ჩვენებური ცხოვრების ტვირთი. გეგონებოდათ, მთაში დაბადებულაო.

და მას, სწორედ ჩემსავით იზიდავდა უღრანები ამ დიდთოვლიან ზამთარშიც კი. უყვარდა ნადირობა, მაგრამ ებრალებოდა მოკლული ნადირი. ის ისეთი კარგი იყო და უცნაური... ლურჯი თვალებით გნვდებოდათ სულში.

მოხუცები სახლობდნენ მთაში და ჩვენი მგზავრიც ყველას ეხმარება. გაბრიელის გვერდით ისიც აპობს ვეება კუნძებს ჩვენს ეზოში. მასაც ვეპატიჟებით ვახშმად.

სტუმარს ეფემიას ხალიჩებმა მოსტაცეს თვალი.

— რა ფერებია, რა სილამაზე! — აღფრთოვანებით ამბობს ის და მერე საქარგავ დაზგაზე გადააქვს ყურადღება, სადაც მარიამის ნაქარგი ტილოა გაჭიმული.

— საოცარი ხელი გქონიათ, — ეუბნება სტუმარი მარიამს. ის კი წითლდება.

მას საერთოდ არ მოსწონდა ხასხასა ფერები. თეთრი, ბაცი ვარდისფერი და ცისფერი ძაფებით ქარგავდა მუდამ. ეგებ ამიტომაც უყვარდა მარიამს ყველა დროზე უფრო ზამთარი. ეგებ ზამთარმა შთააგონა თეთრი ფერისადმი მოწიწება და სიყვარული.

მაგრამ გაზაფხული დადგა და მარიამს სულ უფრო ხშირად ვხედავდით აყვავებულ კორდზე მგზავრთან მოსაუბრეს.

ალბათ ის მაინც უფრო დუმდა თავდახრილი, ხოლო ვაჟი გატაცებით უამბობდა ათასგვარ ამბებს.

და ჩვენ მივხვდით, რომ ეს იყო სიყვარული. მარიამი პირზე ყვავილივით გაშლილი ღიმილით ართავდა ძაფებს და ქარგავდა ქათქათა მანდილს. რომ გეკითხათ, ვერ გეტყოდათ, ჯვრისწერისათვის თუ რისთვის...

„ყველაფერი ქრება ამქვეყნად, როგორც კვამლი უჩინარდება ცაში. მაგრამ მე ვერ დაგივიწყებ, ვერ დაგივიწყებ და სიკვდილის შემდეგაც ვიმღერებ სიყვარულზე, რომელიც არასდროს ქრება“.

მაგრამ ვინ ფიქრობდა სიკვდილზე? მარიამი თითქოს ახლა იწყებდა სიცოცხლეს და ისე ჩანდა, რომ ამ გაზაფხულს დასასრული არ ექნებოდა. ჩვენს ჭერქვეშ ბედნიერების გამჭვირვალე ღრუბელი ჩასახლდა და ყველანი მისი სურნელით გავიჟღინთეთ.

უცაბედად კი ყველაფერი ისევე უბრალოდ დამთავრდა, როგორც დაიწყო. ეული მგზავრი თიბათვის ერთ დღეს წავიდა. წავიდა სამუდამოდ. მარიამის თვალებმა მიგვახვედრეს, რომ ის აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

ამ დროისათვის ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ იდუმალებით მოცული ეს ადამიანი მწერალი იყო, მოგონილი სახელით დასახლდა მთაში და აქ ყოფნა რაღაც დიდი ნაწარმოების შესაქმნელად სჭირდებოდა.

ვის შეეძლო ეთქვა, რად დასჭირდა მას მარიამის სულის თან წაღება?

— ცოლიც ჰყოლია. ძალიან ლამაზი ცოლი და ორი პატარა ვაჟიშვილი, — გვითხრა მარიამმა მრავალდღიანი სიჩუმის შემდეგ და მეტად აღარ უხსენებია თავისი იმედების დამმარხველი.

თვალხელშუა გაქრა ზაფხული. ადრეულ შემოდგომაზე ჩვენს სახლში მეზობელ სოფელში გათხოვილი შორეული ნათესავი ქალი ამოვიდა უცხო დედაკაცების თანხლებით.

მესმოდა, როგორ არწმუნებდნენ მარიამს ვილაცის ავ-კარგიანობაში. ყმაწვილქალობა მალე გაგიფრინდებაო, ჩასჩიჩინებდნენ.

რა იცოდნენ, რომ მარიამისთვის სულ ერთი იყო. ან ვისთვის უნდა მიეძღვნა სილამაზე და ახალგაზრდობა...

ასევე უანგარიშოდ მისცა მან თანხმობა, გამხდარიყო იმ კაცის ცოლი, ვინც სხვებმა შეურჩიეს.

ღვინობისთვეში პატარა ქორწილით გავაცილეთ მარიამი. ამ შემთხვევისათვის დიდი ხნის უნახავი ეფემია გვეწვია ქმრისა და სამი გაუთხოვარი მულის თანხლებით.

ვეღარ ვიხსენებ, რამ დამთრგუნა უფრო — მშრალმა, განურჩეველმა

ღიმილმა მშვენიერი პატარძლის ფერწასულ სახეზე, თუ ეფემიამ, რომელიც სრულებით ვერ ვიცანით დანახვისას.

ეფემიას ცრემლები წასკდა და ხელები გამოგვიწოდა.

— ნუთუ ასე შევიცვალე? — ქვითინით გვითხრა მან.

ის შეიცვალა. შეიცვალა საბედისწეროდ. მისი ქმარი ძველებურად წარმოსადეგი და მიმზიდველი ჩანდა, ძველებურადვე პატივისცემით ექცეოდა ცოლს, მაგრამ თვით ეფემიას ამის გამო ბედნიერება არ ეტყობოდა. ან კი, რა შეიძლებოდა წაგეკითხათ მის თითქოსდა მიმქრალ, სანთლისებურ სახეზე. გადიდებული თვალები უწინდებურად ლამაზი ჰქონდა, უფრო ლამაზიც, ოღონდ რაღაც უცნაურად მოელვარე. ხელებიც, მეტისმეტი სიგამხდრისაგან უფრო ჩამოქნილი მოუჩანდა, მარჯვენა ხელის თითზე კი საქორწინო ბეჭედი სძვრებოდა.

„რა მოგვიდა, ეფემია? რამ წაშალა შენს სახეზე ნაზი ღიმილი, ან რას ნიშნავს ეს ქარვისფერი შენს ღაწვებზე? თითქოს უსიხარულოდ ცხოვრობ, ეფემია... უგაზაფხულოდ. მხოლოდ უამინდობისა და სევდის ამარა. განა შენს მხარეში მზე არ ამოდის, ეფემია?"

ქორწილი უფრო სამუდამოდ გამოთხოვებას ჰგავდა.

— ალბათ წასულები ასე იცვლებიან, სოფიო, რაკი სახლს, ხეობას მოშორდნენ, სხვანაირები გახდნენ, მაგრამ ჩვენც რომ შევიცვალეთ? — ვეუბნები სოფიოს, რომელიც დაღლილ-დაქანცული ისვენებს და შუბლი ბუხრის კედელზე მიუყრდნია.

გვიანი ღამეა. ძლიერი ქარი დაჰქრის და ტყე თითქოს კვნესის. შავ ჩრდილებად ირხევიან ხეები.

— ჩვენც შევიცვალეთ, სოფიო. მეშინია, ვაითუ სულ სხვანაირები გავხდეთ, როგორც მოჯადოებულნი.

— ნუ გეშინია, ჩემო პატარავ. — დაღლილი ღიმილით მამშვიდებს სოფიო.

პატარა... დიდი ხანია, რაც ბავშვობას გამოვეთხოვე. თუმცა ზოგჯერ ძველებურად გამინევდა გული სახეტიალოდ, მაგრამ უზრუნველობის მხოლოდ ნიღაბი შემრჩა. ახლა მეც დაკავებული ვიყავი საქმით და ხანდახან დღე ისე ჩამელეოდა ხელში, ისე მომისწრებდა ბინდბუნდი, რომ ჩამუხვლასაც ვერ ვასწრებდი.

სოფიო ძალიან სწუხდა ჩემზე. მეხვეწებოდა, ყველაფრისათვის თავი მიმენებებინა და ისე მეცხოვრა, როგორც უწინ.

თანდათან უფრო გვიჭირდა არსებობა. ნელ-ნელა, მოპარვით დაგვიახლოვდა სიღარიბის აჩრდილი. ზოგჯერ, ოთახის კუთხეში, ეფემია მომელანდებოდა, სარკმელთან მიდგმული სკამი ნაქარგი ბალიშით კი გამუდმებით მახსენებდა ხელსაქმეში გართულ მარიამს — ეს იყო ამოჩემებული ადგილი.

სოფიო მაინც არ იშლიდა სიმღერას. გაორკეცებული ძალით ტრიალებდა სახლში. ეს იყო სიხარულის უშრობი წყარო ჩემთვის. მადლობა ღმერთს, მთებიც ძველებური სიდიადით იდგნენ, როგორც ერთგული დარაჯნი ჩვენი სიმშვიდისა. ისინი ხან მოლურჯო ნისლს მოიხვევდნენ, ხან უეცარი ახალი ელფერით აყვავდებოდნენ ჩვენს თვალწინ, ან თეთრ საბურველში იმალებოდნენ მოთმინებით, მაგრამ მაინც შეუცვლელნი და მარადიულნი იყვნენ.

„არ ვიცი, რა იქნებოდა ჩემი სიცოცხლე, აქ, სულ ახლოს რომ არ მეგულებოდე, სულო ჩემო, საყვარელო ჩემო!..

რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთად დავეხეტებოდით ტყეში, მივუყვებოდით მდინარის ნაპირს, ვბანაობდით ჩანჩქერში ფორეჯებიან კალმახებთან ერთად... ყველაფერი თითქოს გუშინ იყო, მაგრამ ჩვენი ლაღი ბავშვობა ხომ დიდი ხანია დამთავრდა.

ამ ზამთარს ვით გადავიტანთ, მითხარი, სულო ჩემო. სევდის ხეობაში ვარ ობლად ამოსული და მკერდთან მწვდება სევდის მდინარე. აჰა, სინაზის, მწუხარების, თმენის ზვირთები მევლებიან გულზე...

ითოვებს... ზამთარი ჩვენს ხეობასთან სულ ახლოს მოსულა.

დარჩი ჩემს ახლოს, სიყვარულო, ნურასოდეს ნუ მიმატოვებ".

ფრთების ტყლაშუნით გადამიფრინა რაღაც დიდმა, შავმა ფრინველმა. შეშინებული გაუნძრევლად ვდგავარ და თვალით ვაცილებ, სანამ ტყეს არ მოეფარება. მერე პირჯვარს ვიწერ და ფარდულში შევდივარ, შეშის გამოსატანად.

— აჰ! — გამობრუნებული გაბრიელს ვაწყდები. ფარდულის კარში დგას და მთლიანად ავსებს მას.

ჩემს შიშზე გაბრიელი იცინის და ჩამობნელებული ფარდული შუქით ივსება.

— აი, ნანადირევი მოგიტანეთ, — მიწვდის დახოცილი ჭრელი იხვებით სავსე ჩანთას.

ერთი კვირით იყო ტყეში გადაკარგული. დათვის ხევის გადაღმა, სხვა მონადირეებთან ერთად ათევდა კოცონთან. წვერგაუპარსავი, დენთისა და კვამლის სუნით გაჟღენთილი ზის ბუხართან და ჰყვება, როგორ მოკლეს ბებერი თეთრი მგელი.

— საწყალი მგელი! — ამოოხვრით ამბობს სოფიო და მერე მხიარულად იცინის, როცა ნირწამხდარ გაბრიელს უყურებს.

მაინც რა მარდია სოფიო, რა ხალისით მიდის ძროხის მოსაწველად. თეთრი ტილოს თავსაფარი მოიხვია და კარში გასვლისას ხელი დაგვიქნია. გაბრიელმა თვალი გააყოლა.

— რა უცნაურია შენი და, — დაფიქრებით მითხრა და თვითონაც ძალზე უცნაურად ჩაიღიმა, თითქოსდა ტანჯვით.

მშვენიერი აპრილი იდგა, როცა ეფემიასთან წავედი სტუმრად. ეს ჩემი პირველი მგზავრობა იყო მარტოდ და სოფიო ისე აღელვებით მაცილებდა, როგორც პატარა ბავშვს.

ეფემიას სახლი კარგ ადგილას იდგა, ვრცელი მამულით შემოსაზღვრული. ქვითკირის თეთრი შენობა დიდიც იყო და მოხერხებულიც, მაგრამ შევდგი თუ არა ფეხი ზღურბლზე, სიცივე და მოწყენილობის პირქუში აჩრდილი შემომეგება.

ჩემი და მწოლიარე დამხვდა, თუმცა მზიანი შუადღე კაშკაშებდა მის ოთახში. შევამჩნიე, რომ აქ ფარდა ბოლომდე იყო გაწეული, სხვაგან კი თითქოს საგულდაგულოდ გმანავდნენ სარკმლებს.

ეფემიას მულები სიტყვაუთქმელად, ცივი ღიმილით ისხდნენ გაყინულ, დიდ დარბაზში. სამივეს ნაცრისფერი ედო სახეზე და გახამებული შავი კაბები ეცვათ.

— როგორ ცხოვრობ, ეფემია?

— ასე ვცხოვრობ, დაო ჩემო. აქ გამუდმებული წვიმები იცის, ხოლო როცა ამინდებია... ეჰ, მაინც მუდამ შინ ვზივარ, მუდამ ოთხ კედელს შორის...

— რატომ, ეფემია?

— ხალიჩებს ვქსოვ.

— ხალიჩებს?

— ჰო, ხალიჩებს. განუწყვეტლივ, მუდმივად... სამუდამოდ.

ეფემიას ქმარი ნამდვილი ბატონიცაცური იერით, მშრალად მესაუბრებოდა, ცოლს კი დამშვიდობებისას თავზე ჰკოცნიდა.

მე და ეფემია განიერ საწოლში ვწვებით. გაზაფხულის წვიმა ასხამს სარკმელზე. გამხდარ მხარზე ვეხუტები ჩემს დას.

— ისინი მაიძულებენ, ხალიჩები ვქსოვო. სხვენის ნახევრად ბნელ ოთახში ვიჯექი და ვქსოვდი. მათ დამავიწყეს, რომ სიცილი შემეძლო... ტირილიც კი გადამავიწყდა, არ გჯერა? რამდენი ხანია, რაც ერთი ცრემლიც კი არ ჩამომვარდნია, თუმცა ბევრჯერ გულსაკლავ სურათებს ვხედავ.

ეფემიას შეუბრალებელი ხველა აწყვეტინებს ჩურჩულს.

— ნუ გეშინია, ელენე, ნუ გეშინია!

„ნუ მეშინია? ეს ხომ შენ არა ხარ. რა გიყვეს, რა დაგმართეს მათ? სად გაქრა შენი სილამაზე?"

ეფემიას რომ ვეთხოვებოდი, ვიცოდი ველარასდროს ვნახავდი მას. ჩათბუნებული, შალში გახვეული მომყვებოდა ხასხასა ვრცელ მინდორზე გაჭრილ ბილიკზე. მდუმარედ მივაბიჯებდით, ერთმანეთს მიკრულები.

ორმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ეფემია მინას მივაბარეთ. ჩვენ დაგვრჩა მისგან ორი ხალიჩა, წერილები და გრძელი წაბლისფერი ნაწნავი.

სიზმარში ხშირად მეცხადებოდა ეფემია, ძველებურად ვარდივით აყვავებული და ხალისიანი, მის გვერდით კი — მარიამი. ამიტომ სულ მეშინოდა, მარიამიც არ დაგვეკარგა. მაგრამ ჩემი შიში სრულებით მოკლებული იყო საფუძველს. მარიამი, ოთხი შვილის დედა, არასოდეს ყოფილა ასე ჯანმრთელი. გასუქდა და იმდენად დასრულდა, რომ ძნელი იყო მასში ძველი მარიამი შეგეცნოთ. მაგრამ შესაძლებელია, ის უფრო შორს იყო ჩვენგან, ვიდრე ეფემია.

— რაღაც უნდა შეიცვალოს, სოფიო. რაღაც უნდა შეიცვალოს აუცილებლად. ვიცი, ბედის კმაყოფილი უნდა ვიყოთ, ასე მშვიდად რომ ვცხოვრობთ და როგორღაც თავი გაგვაქვს, არც გვშია, მაგრამ... ო, ღმერთო, რა აუტანელია ეს მყუდროება. აქ არაფერი ხდება, მხოლოდ ვბერდებით,

ჩუმად ვბერდებით. მერე კი ალბათ ასევე ჩუმად დავიხოცებით და ამით არაფერი შეიცვლება, სულ არაფერი.

— ჯერ სულ ბავშვი ხარ, ელენე. ამას ეფემიას სიკვდილი გალაპარაკებს. შენ ვერ შეეგუე მის დაკარგვას. უნდა იცოდე, საყვარელო, ეს ჩემთვისაც სიცოცხლის სიხარულის წართმევას ნიშნავს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ, ელენე, უბრალოდ ვიცხოვროთ.

ერთ კვირა დილით, ეკლესიიდან რომ ვბრუნდებოდით, უეცრად გული შემიღონდა. მახსოვს მხოლოდ, რომ ვიღაცის ძლიერმა ხელებმა ამიტაცეს. გონს ჩემს საწოლში მოვედი. აღელვებული სოფიო თავთან მეჯდა და თვალს არ მაცილებდა. კარში კი უხერხულად გაშეშებულიყო გაბრიელი.

შვიდი დღე ვიწექი ციებ-ცხელებით და არავინ ფიქრობდა ჩემს გადარჩენას. ეს მდგომარეობა არც ისე ცუდი იყო ჩემთვის. თითქოს ლერწმის ნავს მივქონდი მდინარეში. ნელი ტალღები ისე საამოდ არწევდნენ ნავს, სხვა აღარაფერი მსურდა, თუ არა — დაუსრულებლად ასე ვწოლილიყავ და მეცქირა ლაჟვარდი ცისთვის, სადაც ყვავილები წვიმდა.

„ნუ მიმატოვებ! — ვედრებით ამბობდა ხმა საიდანღაც. — ნუ მიმატოვებ, ელენე!"

— სოფიო, სოფიო, სადა ხარ?

— აქ ვარ, შენთან ვარ, ჩემო საყვარელო. მადლობა ღმერთს, რომ შენი თავი დამიბრუნა.

სოფიოს ამოღამებული თვალებიდან ცრემლმა იწვიმა.

მთელი ზაფხული მტანჯავდა უძილობა. რომ არა მშფოთვარე სიზმრები, ვიფიქრებდი, რომ საერთოდ არ მეძინა. ამის გამო გამუდმებით დაქანცულად ვგრძნობდი თავს.

მშვენიერი დღეების განმავლობაში ეზოში, ძელსკამზე ვიჯექი გაუნძრევლად, ბალიშებს მიყრდნობილი. აქ გამოჰქონდა სოფიოს საჭმელი ჩემთვის, რომელსაც ხშირად ხელუხლებელს ვტოვებდი.

ვხედავ, როგორ ოქროსფერი გახდა მთაზე ბალახი. თანდათანობით, ადგილადგილ ვიღაცის უჩინარი ხელი პირწმინდად ასუფთავებს გორაკებს და მარცვლისოდენა წერტილებით ამკობს. ეს თივის ბულულებია.

მაღლობზე ავდივარ და მტვრიან, თითქოსდა მზეში გამოხუნებულ ბარაგებს გავყურებ. ორნი მოაბიჯებენ.

ვცნობ ჩემს დას ლამაზი ლაღი ნაბიჯებით, თავაწეულს, გვერდით ახოვანი ტანის გაბრიელი მოჰყვება. ის თავდახრილია. ალბათ ახლა ჩამოშლილი ხორბლისფერი თმა უფარავს გარუჯულ შუბლს.

ტანმაღალი ფიჭვები ნელა შრიალებენ და დამბინდავ სურნელს აფრქვევენ.

სოფიო მაყვლით სავსე კალათს მაგიდაზე აპირქვავებს. მსხვილი ნაყოფი კრიალებს და სოფიოს თვალებს წააგავს, რომელთაც რაღაც სასწაულით ძველი ელვარება დაბრუნებიათ. არასოდეს მომჩვენებია ასე ლამაზი სოფიო. გრძელი, მზემოკიდებული თითებით არჩევს მაყვალს და ჩუმად ღიღინებს.

— როგორ მომენატრა შენი სიმღერა, სოფიო. — ვეუბნები კარის წირთხლს მიყრდნობილი.

ის დანაშაულზე წასწრებულივით კრთება, ჩუმდება და თვალს მარიდებს.

„არ ვიცი, რად ავფორიაქდი ასე, დედა. შენ ხომ ყველაფერს ხედავ, ყველაფერი გესმის, შენი ასულების გულისძგერაც კი. რაღაც უნდა მოხდეს. მოლოდინი ძალას მაცლის. გაფანტე ღრუბლები ჩვენს ირგვლივ, დედა".

როცა წვიმები იწყება, გამომშრალი მინა სუნთქვას იწყებს. ფერშეცვლილი ბალახი ცოცხლდება და მინდვრის ყვავილებიც ახლად იშლებიან. მსურს ფეხშიშველი გავიჭრა წვიმაში, სველი გაშლილი თმა ზედ მეკვრის.

„ნუთუ თქვენც გაგიწიათ გულმა წვიმის შესაგებებლად? როგორ სველდებით, ჩემო ძვირფასებო... რამ დაგადუმათ? ერთმანეთის პირისპირ დგახართ უძრავად. შემომხედეთ, შემამჩნიეთ: ახალი ძალით აღვივსე, ფეხშიშველი ვარ და არც სიცივეს ვგრძნობ, არც დაღლილობას. შე-მო-მხე-დეთ!"

გაბრიელი იდგა სოფიოს პირდაპირ, მაღალი, მხრებში გაშლილი, გაღეღილ მკერდზე ვერცხლის დიდი ჯვარი უბრწყინავდა. ის თვალმოუშორებლად, ვედრებით შესცქეროდა ჩემს დას.

სოფიო კი... აჰ, ველარა ვცნობ სოფიოს. დაბნეული, აღელვებული და რის გამო? სახეალეწილი, თითებათ-

რთოლებული და მეზობლის ბიჭის, მასზე ბევრად უმცროსი ბიჭის წინაშე?

ღამეები, რომელთაც ჩვეულებრივ კითხვაში, ქაღალდის თამაშში ან უბრალოდ ცეცხლისპირ საუბარში წყნარად ვატარებდით, ახლა სრულიად შეიცვალა. ჩვენ უფრო მეტად ვდუმდით რაღაცის მოლოდინში.

სოფლის დედაკაცებს შეუმჩნეველი არაფერი დარჩენიათ.

როცა მოხუცი მღვდელი გარდაიცვალა, ჩემთვის ძნელი იყო ბავშვივით აქვითინებული გაბრიელის დანახვა, მაგრამ უფრო ძლიერ მატკინა გული გამკიცხავმა და ცნობისმოყვარე მზერამ, რომლითაც თითქოს სუსხავდნენ ჩემს დას. ის კი, შავკაბიანი, ლამაზი და ამაყი, გეგონებოდათ, ვერაფერს ამჩნევდა.

უტყვი დღეები სწამლავენ ჩემს გულს. სარკმელთან ვზივარ და მოწყენილი გავყურებ სივრცეს... რას ნიშნავს ეს – მთების დანახვაც აღარ მამშვიდებს. ვგრძნობ, როგორ მიჭერს ყელში ქვითინი.

უცაბედი ქარი ამოიჭრა და ცა ჩამობნელდა. იქუხა. ერთხელ, მეორედ... ფეხზე წამოვიჭერი. შიშით კი არა – აუტანელი გახდა ეს ქუხილიც და შავად ჩამუქებული ზეცის მზერაც.

თავს ვერ მოვრეოდი. ვტიროდი ცხარედ, გულამოსკვნით.

– შენ ის გიყვარს, სოფიო! მასაც უყვარხარ. ნუ დამიმალავ!

სოფიო ჩემთან მოდის, დაფიქრებით მაცქერდება, მერე ხელს მადებს თავზე და გაყინული ტუჩებით მკოცნის.

– შენ ხომ იცოდი, რომ უმისოდ ერთი დღეც არ შემეძლო. მე მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ, სოფიო. მან კი შენ ამოგარჩია... რატომ, რატომ, რატომ?

სოფიო გულში მიკრავს ხმაამოუღებლივ.

– წყეულიმც იყავ! – ვუთხარი ქვითინით. – წყეულიმც იყავ! დაე, შენი გულიც ისევე ამოაშროს მწუხარებამ, როგორც მე ვარ გამშრალი, – მარტოოდენ ნაღველით სავსე. ეს ნაღველი წვეთ-წვეთობით იღვრება სადღაც სიღრმეში, ტვინსა და გულში აღწევს და სიცოცხლეს მიწამლავს.

– გაჩუმდი... შემიბრალე!

– განა შენ შემიბრალე?

– ო, ამას ვერ გადავიტან!.. გეხვეწები! ამას ვერ გავუძლებ, შემიბრალე, ნუ შემიძულებ, თორემ მოვკვდები.

– მოკვდები? – აჰ, არ ვიცი, როგორ გაიხლართა ჩემს სულში დაუნდობლობის აბლაბუდა, ბოროტი გავხდი... ოვალეთ-მაქცი ხარ, სიყვარული მომპარე!

სოფიო კარში გავარდა, ეზო გაირბინა და ტყეს მისცა თავი.

საღამოვდებოდა. ცა ჭექდა, რისხვად გვატყდებოდა თავს. შეშინებული დავრბოდი ტყის გასწვრივ, შიგ შესვლა ვერ გავბედე და განწირული ხმით ვეძახდი სოფიოს. წვიმა თქეშად ასხამდა და გრიგალი თითქოს ცდილობდა ძირფესვიანად აღეგავა მიწისაგან ყოველი. ხეები წელში იზნიქებოდნენ, ეხლებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს კი მეც, როგორც ქარიშხლისგან ძლეული კვრინჩხის ტოტი, მიწაზე დავეშვი და ჩემს გონებამდე მოაღწია ერთადერთმა აზრმა, რომ გათავდა, მორჩა, ველარასოდეს ვიპოვიდი ჩემს დას.

შუაღამისას გავიგონე, როგორ შემოვიდა სოფიო ოთახში და საწოლში ჩაწვა. მეც უხმოდ დავწექი მის გვერდით და მკლავები მოვხვიე, მაგრამ ის მაინც კანკალებდა და კბილს კბილზე აცემინებდა.

დილით სოფიომ საწოლიდან წამოდგომა ვერ შესძლო. სიცხიანი მოუსვენრად ტრიალებდა საწოლში და მე მიხმობდა.

ექიმმა თქვა, რომ მან ბავშვი დაჰკარგა.

– ყველაფერი დაგვიანებულია. რომ არა ეს შემთხვევა, ასეთი ჯანმრთელი ახალგაზრდა ქალი ხანგრძლივად იცოცხლებდა.

„ბავშვი? რომელი ბავშვი!.. – სასოწარკვეთილს თითქოს მეხი დამეცა. – განა ის უნდა მოკვდეს?!"

ჩვენს პატარა სახლში უამრავი ადამიანი ირეოდა. ქალი და კაცი. ასე მეგონა, ყველას სახეზე გამკიცხავი და ცნობისმოყვარე გამომეტყველება ეხატა მწუხარების ნაცვლად. ვიღაც ტანსრული ქალი გულში მიკრავდა და ხმამაღალ განკარგულებებს იძლეოდა. გვიან შევიცანი მარიამი.

მე არ გამიცილებია სოფიო... რა უნდა მოეთხოვათ ნახევრად მკვდრისთვის და თავი დამანებეს.

მოთმინებით ველოდი, როდის დაბრუნდებოდა მარიამი თავის სახლში. მან შემატყო ეს და განაწყენებული დამშორდა.

ვიგრძენი, რომ წინათგრძნობა ამიხდა – ისიც დავკარგე. მე დავკარგე ჩემი დები და ახლა აღარავინ მყავდა, ვისაც

მათსავით ვუყვარდი, ვინც მათსავით მეყვარებოდა.

წლები, როგორც უბადრუკი, უგვანი ქურდები, ისე გარბიან და თან მიაქვთ ჩემი თმის მბზინავი ოქრო, თვალების შუქი...

ხომ გახსოვთ ის ნაპერწკალი – სიხარულს ნიშნავდა...

ეჰ, ბნელ ღამეში წვიმა მოწვიმს, ხმაურობენ ხის დარაბებზე მსხვილი წვეთები, რაღაც ძველ, მივიწყებულ სიზმარს მახსენებენ.

დღეები წყალივით იღვრებიან, უერთდებიან დავიწყების დიდ მდინარეს.

– ახალგაზრდა ხარ. რა არის, ნიადაგ თავშალში მალავ მაგ ლამაზ თმას!

– ჩვენსას გადმოდი, რა სულ კერასთან ზიხარ, ჯაჭვით დაბმულივით!

– კარში გამოდი, რა ამინდია!

„მერე რა, რომ კარგი ამინდია, სოფლის ქალებო...

ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს: თავჭრელი პაწია ჩიტი დილიდან ჩემს კართან ტრიალებს. არც შიგ შემოდის, არც საით მიფრინავს, ყივყივებს და მომძახის ჩიტის ენით".

– კარგია და კეთილი, ნუ გეშინია.

„განა მეშინია? არაფრის, სულ არაფრის მეშინია. მხოლოდ ღამღამობით... ცოტათი..."

ღამეები ისე უსაშველოდ გრძელდებიან... სახლთან სულ ახლოს ჭოტს აქვს ბუდე და მისი ძახილი შუაღამისას ისეთი ამაზრზენია... გულში ჩასობილი ბრჭყალივით.

ხოლო როცა თენდება... ეჰ, არც გათენებას ველი სიხარულით, მხოლოდ ოდნავი შვება მოაქვს: მაინც დღე უკეთესია.

გამუდმებული უძილობა მღლის და სიცოცხლის ძალებს მართმევს. ვგრძნობ ამას, როგორც ადრე, გარეული ფრინველის მსგავსად ვგრძნობდი განწვიმებას ან ქარის ამოვარდნას.

მეზობლის გოგო ჭორ-მართალს ფქვავს ჩემთან. შემეჩვია, აღარ მშორდება. ლონიერი და მარჯვეა ყოველ საქმეში. ისეთი ძალით იქნევს საცეხველს, რომ ლობიოს მარცვლები აქეთ-იქით იფანტება.

– აი, როგორი ყოჩაღი ხარ. მე კი ასე ვერასდროს შევძლებდი. – ვეუბნები გაოცებული.

– შენ რაღაც სხვანაირად ხარ აგებული. – მეტყვის ის, გრძელ კაბის კალთას აიკეცავს და მსხვილ წვივებზე იხედება ეჭვით.

მზე ჩასვლას არ ეშურება, გველაცცება კიბის საფეხურზე ჩამომჯდარებს. ვისვენებთ... ჩემს მეზობელს თხელ, მბზინავ შავ თმას ნიავი ურხევს, ისიც სიამოვნებით უშვერს მრგვალ სახეს შებინდების მაცნე გრილ სიოს და ამბავს მიყვება:

– მღვდლის შვილი ჩამოვიდა. აი, სულ უმცროსი, გაბრიელი. ყველას კი კარგა ხნის მკვდარი ეგონა. თან ცოლი ჩამოიყვანა. ერთი შეუხედავი, უშნო ქალი. ხმელი, ხმელი, როგორც როკის სარი, თანაც, ამბობენ, ავადმყოფიაო. ოღონდ, რა სჭირს, ეს არავინ იცის... წარმოგიდგენია? დედამისს კი თურმე ხუთი წელია, თვალით არ ენახა... რა მოგივიდა? ფერი აღარ გადევს. რა ნაზი ხარ, შენი გადაღლა არ შეიძლება.

„სწორედ ხუთი წელია. ხუთი წელი და კიდევ თვე-ნახევარი... ეს მაშინ ბავშვი იქნებოდა. ამან რა იცის ძველი ამბისა... მაშ, დაბრუნდა... ღმერთო, შენ დამიფარე!"

სულ მალე, ქორწილში ვნახე ისინი, როცა დიაკვანმა სვიმონმა ქალიშვილი გაათხოვა. რატომ წავედი? ახლა, ამდენი ხნის შემდეგ...

ქორწილის მსვლელობისას გაბრუებული ვიყავი. აღარ ვიცი, როგორ შევძელი შუაღამემდე აქ დარჩენა, ან რანაირად მეჭირა თავი. არც ის გამიგია, ამ დიდძალ ხალხში ვინ მესალმებოდა და მიბამდა საუბარს. ჩემს თვალწინ მხოლოდ ისინი იდგნენ, ეს ორნი, თუმცა ერთის მეტად არც შემიხედავს. სუსტი, თხელბაგეებმოკუმული, მოღუშული ქალი ქმარს ეყრდნობოდა მხარზე. ისიც მზრუნველად აშველებდა ხელს.

ერთ თვესაც არ გაუვლია და გაბრიელის ცოლი ლოგინად ჩავარდა. არავინ იცის, ეგებ ნაღველი რამ სწამლავდა: ბარში გაზრდილი მთის ერთფეროვან ცხოვრებას ვერ შეეგუა. ან რით უნდა შეექცია თავი? ერთი, ჩემი მეზობლის გოგო ერთგულად დაიარებოდა მათთან საღამოობით, ლოგინთან ეჯდა ავადმყოფს და ართობდა, როგორც შეეძლო.

შობის ღამეს ისე ჰყინავდა, არ მეგონა თუ რამ სულდგმული გაუთოშავი გადარჩებოდა გარეთ. შალმოხურული

ვიჯექი ბუხართან მარტოდ-მარტო და ვუმატებდი შეშას აგიზგიზებულ ცეცხლში, სანამ არ ინათა.

ჟივჟივებდნენ მოშიებული ბელურები. პურის ნამცეცები დავუყარე მათ და ბოსელში შევედი, საქონლისთვის თივა რომ მიმეცა. ძროხას კი ხბო მოეგო. მშვენიერი, დიდრონთვალება... აბა, მე რა დიასახლისი ვარ: არც კი ვიცოდი, თუ ასე უნდა ყოფილიყო.

— ვაითუ შეგცივდათ, საწყლებო? მაგრამ აქ, გომურში თბილა კიდევაც.

ძროხა ისევ ლოკავს ხბოს და დროდადრო ნელა შემომზმუის.

— საბრალო, საბრალო პატარა! რა უმწეო ხარ, რა საყვარელი.

კართან მურამ საშინელი ყეფა ასტეხა. მერე აწკმუტუნდა, ეტყობა იცნო ის, ვისაც უყეფს. ალბათ ფეხებთან დაუგორდა კიდევაც მოსულს.

გომურის კარი ჭრიალით შემოაღო გაბრიელმა.

— ვიცოდი, რომ აქ იქნებოდი. — მითხრა მშვიდად. — აი, ნანადირევი მოგიტანე. — და მოკლული ჩიტები გამომიწოდა.

— შობას გილოცავ. — მითხრა ისევ, როცა ხმა არ გავეცი.

„არ შემიძლია ხმა ამოვიღო, სიტყვები სადღაც ყელში იხშობიან. მე არც მზერა ძალმიძს შენი, ჩემი თვალები გაგირბიან. წადი, წადი და თან წაიღე საბრალო ჩიტები!.. გული მიმდის, გარეთ, ჰაერზე მინდა... თუმცა არა, თოვლი ახლა თეთრ სუდარად მომეჩვენება, რომელშიც ვიმარხებით ასე ხანგრძლივად, გაუსაძლისი დღეებისა და ღამეების განმავლობაში. მანამ, სანამ ზამთარი, ბოლოს და ბოლოს, არ დატოვებს ჩვენს ხეობას“.

ჩვენ, ორნი, განმარტოებით ვდგავართ მოკრიალებული ცივი ლურჯი ცის ქვეშ. გაყინული თოვლით დაზვინული, ტოტებდაშვებული ხეები არიან ამ შეხვედრის მოწმენი. ირგვლივ ყველაფერი გაყუჩებულა, თითქოს სულგაკმენდილი იმახსოვრებს რაღაც იდუმალ სანახაობას. აქა-იქ სახლებიდან კვამლი ნაცრისფრად ამოედინება და თანდათან ქრება.

— მხოლოდ ხანდახან დამრთე ნება, მასზე გელაპარაკო.

ეს სულ სხვა ხმაა, მწუხარებით ერთ წუთში გამოცვლილი.

— არ შემიძლია. — ვეუბნები და თითქოს გაყინული ცრემლის ნამსხვრევები მისერავენ თვალის უპეებს.

— შენც გეჯავრები?

— ჰო, მე დამნაშავე ვარ ყველაფერი ჩემი ბრალია, მაგრამ რომ იცოდე... ვინმემ რომ იცოდეს, როგორ მიყვარდა... ღმერთო! ვილაცამ ხომ უნდა იცოდეს, რომ ის იყო ჩემთვის ყველაფერი!..

ფიჭვები თოვლის სიმძიმითა და მწუხარებით იზნიქებიან.

— ის მართლაც იყო ჩემი... მხოლოდ ერთხელ... არც კი ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ მე მეკუთვნოდა... თავი დავკარგე... ისე მიყვარდა... მეუბნებოდნენ, რომ მასზე უმცროსი ვიყავი. არც ისე ბევრად და თანაც, ახლა ისიც ხომ თითქმის ჩემი ტოლია. მერე მე მასზე უფროსი გავხდები და თუ ვიცოცხლე, ისეთი დროც მოვა, როცა შვილად მერგება ასაკით...

შვილი... მე არასოდეს მეყოლება შვილი. არასოდეს. არც ქალი, არც ვაჟი.

— არც მე. არასოდეს.

— შენ... რატომ?

— მე მოვკალი შენი სიყვარული. — ვუთხარი ჩუმად, მაგრამ მაინც ზარივით ჩამესმა საკუთარი ხმა, რადგან ისევ მდუმარება გვივლიდა ირგვლივ.

— მე მოვკალი შენი სიყვარული, უბედურო!

როგორ მისმენენ... ყველა მისმენს: ცივი, თითქოს ყინვით მოჭიქული ცა და გათოშილი ხეები, თოვლის ქვეშ მომწყვდეული აკანკალებული მიწა. მათაც ახსოვთ... მაინც შიშით გარინდებულან და მისმენენ.

ჩემი სუნთქვისას ამონაორთქლი ჰაერით იბინდება მისი სახე, მერე სრულიად ქრება ცრემლიანი ნისლის ფარდაში. მხოლოდ ვგრძნობ მხურვალე ხელების შეხებას გაყინულ სახეზე და მესმის:

— გახსოვს, რა ანკარა წყალი იცოდა ჩვენმა წყარომ? ხოლო სოფიო... ის ისეთი წმინდა იყო... და შენ ისე ჰგავხარ მას... ასე მგონია, მკვდრეთით აღსდექი ჩემს სანუგეშებლად... ან როგორ შემიძლია გისაყვედურო...

ღმერთო! მაინც რატომ აავსე ჰაერი სიყვარულის სურვილით ან რატომ ვისჯებით სიყვარულისთვის, როცა ჩიტებსაც კი მიეც ნება, ასე უბრალოდ უყვარდეთ ერთმანეთი... რატომ იყო იმ დღეს ისე ლამაზი თვით მოთიბული ბალახი აქა-იქ გაბნეული მინდვრის ყვავილებით?

ამ ხეობასავით ლამაზი აღარაფერი შემხვედრია. რა არის იგი — ცოდვილების სამოთხეა თუ უცოდველთა ჯოჯოხეთი?

და ახლაც... რატომ ვკითხულობ შენს სახეს, როგორც სიყვარულის წიგნს? მომეცინება, ზოგჯერ მაინც მოგინახულო. თუ გინდა, სულაც აღარ ვილაპარაკებთ, კრინტსაც არ დავძრავ, ოღონდ...

— არა, არასოდეს!

— ოდესმე მაინც...

— აღარასოდეს!

„ახლა რატომ აღარ რისხდები, ცაო? ან ქარიშხალი რად არ არღვევს ცოფიანივით ამ მყუდროებას? სწორედ რომ დროა, ქარმა სადმე შორს გადამისროლოს ამ ხეობიდან, ან თქეშად მოსულმა წვიმამ წამიღოს, როგორც ნიაღვარს მიაქვს გაზაფხულობით გზად შემოყრილი ყოველი ნაფოტი და ბილიკებს შლის... რა სასოებით შევხვდებოდი ჭექა-ქუხილიან წვიმას — სიყვარულივით წამლეკავდა იგი“.

ისინი გამუდმებით ჩემთან არიან. მესმის მათი ხმა. რა თქმა უნდა, გარკვევით არა, მაგრამ მაინც, ნაზ, შორეულ ექოდ... და ეს უფრო მშვენიერია, ვიდრე თქვენი ნამდვილი ხმები. თქვენ ხომ სულ ხმამაღლა ჩამძახით ყურში. გგონიათ, აღარაფერი მესმის.

როცა ყინვისგან თავდახსნილი წყალუხვი მდინარეები კვლავ აჩქეფდებიან, ერთად ვიქნებით.

სევდის ხეობა ბორკილებს აგდებს. მწვანე ხავსი მიცოცავს ჩვენი სახლის ძელურ კედლებზე. ესეც კი შვენის. რა ვუყოთ მერე, თუ კრამიტის სახურავს სურო დაჰპატრონებია.

აი, სოფიო მღერის... ჩვენი ღიმილი დახურულ დარაბებში აღწევს და უერთდება ზეციურ სილურჯეს.

ნუ მიფრთხობ სიმშვიდეს, მოგონების გორგალს მირღვევ ფრთების ტყლაშუნით, უცხო ფრინველო. რაღაცას მომძახი საწყალობლად, დანდობას მთხოვ.

ეს ხმა ჩამესმის: „შემიბრალეო!“ და შენც შემიბრალე, მამა-უფალო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

არანაირად არ მოდის თოვლი
ის ემატება საგნებს და ჩრდილებს
არანაირად არ მოდის თოვლი,
ის მოდის როგორც სექტემბრის დილა.
თოვლს ემატება თოვლი და შიში —
ეცემა სახლებს და დუმილს ვერ ცვლის
და შენს თვალებში თუ რამდენს ნიშნავს
დაგუბებული სითბო და ცეცხლი
მე ვიცი მხოლოდ. რადგან თოვლია
ჩემი სიზმრების თავი და ბოლო.
და ხეობებზე ფრთებით თოლიებს
შენი მოწყენა გადააქვთ მხოლოდ.
მე ვიცი თოვლი თოვლით საკსეა.
თოვლი თოვლია. ღამე — მხედარი.
და ქუჩებს აკრთობთ თქვენი მსგავსება
მაშინ, როდესაც თოვლში გხედავენ.
მე ვიცი თოვლი არ დაიცლება
სიზმრებით, რადგან სიზმრების იქით
არაფერია. და მზის მაცილი
უფერულდება ღვინით და ჭიქით...
არაფერია ამ თოვლის გარდა
დამტევი შენი სუნთქვის და ტანის,
და ყველაფერი იწყება სადაც
თავდება შენი სიზმრების მხარე.
თავდება, რადგან თავდება თოვლი,
როცა გაზაფხულს მზის სუნი უდის.
ასე თავდება ზღაპარი ხოლმე
ყველანაირი... კარგიც და ცუდიც.
ასე თავდება ქალი და ქალში
თავდება თოვლი, ვერაფერს შველი,
ასე თავდება ქალი და ქალში
თავდება მზისკენ გაწვდილი ხელი.
უნდა დაეცეს მიწაზე თოვლი,
როგორც ფრინველი ეცემა ალვებს,
რომლის თვალებიც და ფრთებიც რომლის
ჰგავს სამშვიდობოდ გაკიდულ ალმებს.
უნდა დაეცეს მიწაზე თოვლი
ის დაეცემა და შენსკენ ივლის
ჩემი დაღლილი მზერა. და თოვლი
გაკვირვებული იქნება ხილვით.
არანაირად არ მოდის თოვლი
ის ემატება ჩრდილებს და საგნებს
არანაირად არ მოდის თოვლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის და... მიწას ყოველთვის აგნებს.
და ასე აგნებს შენი სახელი
ჩემს მზერას, მზერა ყველაფერს ასწრებს
და იმახსოვრებს. და მზე ანათებს
შენი დაღლილი დუმილის გასწვრივ.
იმახსოვრებენ ქუჩები მერე
კაბას, და კაბის ჩრდილების რხევას.
მერე შუადღეს აკლდება ფერი
და ემატება ღამეთა თევას.
შენ წევხარ როგორც ტალღებზე ნავი
და ხერხემალი ჩიტივით გიცემს.
შენ წევხარ. შენში იღვიძებს ქალი.
მუხლები თეთრი. კისერი — კვიცის.
იმახსოვრებენ შენს თმებს და ღამეს
ჩემი თვალები. და ჩუმად იწვის
ღამე. და ვიცი ათასი წელი
შენ მოგესაჯა რომ ასე იწვე,
რადგან თოვლია თავი და ბოლო
ჩემი სიზმრების. და მუდამ იწყებს
იმას, რაც ასე თავდება მალე,
როგორც ჩრდილებით თავდება სიცხე.
უნდა მოვიდეს თოვლივით თოვლი...
უნდა წავიდეს თოვლივით მერე.
უნდა დააკლდეს ტკივილი ხსოვნას
და მოემატოს ტკივილი ფერებს.
არ გათავდება ზამთარი თოვლით,
როგორც მე შენით. და მთვარე ყვითლით,
რადგან დღეები შენი თმის სუნით
ათასწლეულებს ადვილად ითვლის.
არ გათავდება ეს ყველაფერი,
რადგან ჩვენშია, და იქით მიდის,
რომ არ გათავდეს და იყოს მუდამ
თოვლივით თეთრი, ჩუმი და მშვიდი.
და მერე როცა შიში და თრთოლვა
აკლდება საგნებს და უფრო ჩრდილებს,
არანაირად არ მოდის თოვლი
ყველანაირად იწყება დილა...

●

ხიდები თრთიან. საღამოა. ცამ იცის ასე
მოწყენა, როცა ამოდის მთვარე.
ჩამორჩენია ღრუბელი ღრუბელს,
დაღლილა მტკვარი.

მე მახსენდები გაბრუებულს
ბინდით და არყით.

ქარი ლეკვივით ილოკავს თათებს —
ხეებს და მერე უმიზნოდ დადის.
სექტემბერია და რიცხვი ათი.

ჩამორჩენია ღრუბელი
ღრუბელს,
დაღლილა მტკვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შერვაშიძე

მოთხრობები

მინდა – არ მინდა წუხილი

– მინდა... არ მინდა... მინდა... არ მინდა.

ითხოვ. გამუდმებით ითხოვ. ითხოვ ყველასგან და ითხოვ ყველაფერს. შემოგადგება წუხილი და ჩაიჩოქები ხატის წინაშე. დაანთებ ობოლ სანთელს, ჩარგავ თავს ხელისგულებში და ლოცულობ. ლოცულობ და თან ითხოვ. უფრო ძალიან ითხოვ. მთელი შენი ლოცვა ერთ დიდ თხოვნაში გადადის. კატეგორიულ თხოვნაში.

– მინდა, მინდა ღმერთო... ძალიან მინდა... შენი სახელის ჭირიმე... არ მიწყინო, მაგრამ... მინდა... დავიღალე... აღარ მინდა... მომბეზრდა... აღარ მინდა... მინდა რომ უბრალოდ... ძალიან მინდა და რა ვქნა?.. აუ... აღარ მინდა და რა ვქნა? არ ვიცი... არა...

შემდეგ ადგები, გაიფერთხავ მუხლებს და რაღაც გაუგებარი შვებით უყურებ ნახევრამდე ჩამწვარ სანთელს. უყურებ და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს საქმე ჩაგეწყოს უფროსთან. ტრიალდები ზურგით ხატისკენ და გგონია, რომ ყველაფერი გექნება, ყველაფერი მოგვარებულია და ყველაფერი წესრიგშია. აღარ არსებობს პრობლემა. აგიხდა ოცნება და რაც მთავარია, შენ ამაში დარწმუნებული ხარ. გინდა, ძალიან გინდა, რომ ამაში დარწმუნებული იყო და ისევ დგახარ ზურგით. შორდები ხატს, სანთელს, ლოცვას და განსაკუთრებით მინდა-არ მინდას.

ნელ-ნელა ქრება წუხილის ცეცხლი. ცეცხლი, რომელიც არასოდეს არ ჩაქრება. მარადიული ცეცხლი. ცეცხლი, რომელიც საშიშია, როცა მძვინვარებს. როცა აგიზგიზდება წუხილის ნაკვერჩხალი, მაშინ გინდა განსაკუთრებით და მაშინ არ გინდა ყველაზე ძალიან. მაშინ, სწორედ მაშინ გინდება ასე ნაჩვევი, ამდენად დიადი სიმშვიდე და სწორედ მაშინ ყველაზე ძალიან არ გინდება შფოთი, სულის მჭამელი შფოთი. გინდა ერთი, არ გინდა მეორე და არ გსურს შუალედი. ან გინდა რომ იყოს ან არ გინდა, მაგრამ არანაირ შემთხვევაში არ გსურს შუალედი. არ არის შუალედი, როცა არის „მინდა, არ მინდა".

– მინდა, რომ არასოდეს აღარაფერი მინდოდეს და არ მინდა, რომ როდესმე რაიმე მინდოდეს. სწორედ მაშინ იქნება დიადი სულის სიმშვიდე. დაწყნარდება შფოთი, მინელდება წუხილის ცეცხლი და აღარ იტყვი „მინდა, არ მინდას" მშფოთვარე ლოცვას. მოიშლი ლოცვას, რომელიც სავსეა კატეგორიული თხოვნით და არა სიწმინდით. სიწმინდით? იქნებ სწორედ ამაში დევს ჭეშმარიტება, რაც შენ გინდა, და სიმახინჯეა ის, რაც არ გინდა. იქნებ, გამორკვევა არის სწორედ შენი მოწოდება. იქნებ, ამიტომ არსებობს ლოცვა ლოცვისთვის, ხატი თაყვანისცემისთვის და ობოლი სანთელი ძირამდე ჩასაწვავად. ისე კი უბრალოდ აღარ გინდა „მინდა, არ მინდა" და გინდა ის, რაც ძალიან გინდა.

მშვიდდები, ნელ-ნელა მშვიდდები. ნაკლები გინდა და ნაკლებად აღარ გინდა. მშვიდდები, ოღონდ ისე არა, რომ რაღაც არ დაგრჩენოდა გულში. გულში, რომელსაც ყველაზე ძალიან წვავდა წუხილის ცეცხლი. გულში, რომელიც ვერასოდეს ვერ დაწყნარდება. ვერ დაწყნარდება, რადგანაც წუხილის ნაკვერჩხალი ვერასოდეს ჩაიფერფლება. რატომ? „ასეა მოწყობილი თურმე ეს ცხოვრება". შენც ხვდები, ნელ-ნელა ხვდები ამას. ყოველთვის იქნება შენი წილი წუხილი, სულის მჭამელი შფოთი, „მინდა, არ მინდას" ლოცვა, მარადიული ცეცხლი და სწრაფვა სიმშვიდისკენ. კი აღარ გსურს ამის ხელმეორედ გადატანა, მაგრამ სადღაც კმაყოფილი ხარ, რომ „ასეა მოწყობილი თურმე ეს ცხოვრება". აფასებ, უფრო აფასებ იმ წილ სიმშვიდეს, რაც წუხილის შემდეგ გხვდება ხოლმე. სიმშვიდეს, რომელიც კვლავ წუხილით შეიცვლება. წუხილი... შფოთი... ცეცხლი... ტკივილი... არა... არა... არ არის საჭირო... „მინდა არ მინდა"... რა გაეწყობა?! ამაშია ბედნიერების განცდის უდიდესი ხვედრი. ბედნიერი ხარ იმდენად, რამდენადაც იცი ყველაფრის ფასი. იცი იმდენად კარგადაც, რომ გსურს სიმშვიდე, სიყვარული, სითბო, ტკბობა, ალერსი და ყველაფერი ის, რაც შეიცანი წუხილით. წუხილით, რომელიც არ გინდოდა, მაგრამ თურმე გდომებია.

ანიმა

– რა გჭირს?

– არ ვიცი.

– რაღაც ვერ ხარ ამ ბოლო დროს.

– კი ვხვდები, მაგრამ რატომ, არ ვიცი.

– რას გრძნობ?

– ალბათ... სიცარიელეს?! ხო, სიცარიელეს, რომელსაც არავინ ავსებს და... ალბათ მეც ვერ ვავსებ ვერაფრით.

– წამომყევი... გესმის?.. წამომყევი! ნურაფერზე ნუ იფიქრებ და – ნუ შეგეშინდება...

წავიდნენ. გაურკვეველი მიმართულებით მოძრაობდნენ. თითქოს წინ მიდიოდნენ, მაგრამ უკანაც დგამდნენ ნაბიჯებს. მარჯვნივ უხვევდნენ, მაგრამ მაინც მარცხნივ მიდიოდნენ. ცა... ცა დაბლა, ძალიან დაბლა დაშვებულიყო. ხშირი, წვრილი, მუქი ფერის წვიმა ასველებდათ. ისე მონდომებით წვიმდა, რომ ირგვლივ არაფერი ჩანდა. მიიწევდნენ, სულ წინ მიიწევდნენ. კოჭებამდე სველები და სიცივე ძვალში გამჯდარნი, უკან მოუხედავად მიაბიჯებდნენ.

– სად მივდივართ?

– უნდა დავიბრუნოთ.

– რა უნდა დავიბრუნოთ?

– ის, რაც შენს სიცარიელეს შეავსებს.

კიბე, ძალიან უცნაური, ძველი ხის კიბე, თითქოსდა არსაიდან აღმართული და თითქოს არსაით მიმართული. ასე 35⁰-იანი კიბე. სიგანეში ორი მეტრი. სიგრძე? – ... სიგრძე არავინ იცოდა. ერთი საათია უკვე ამ კიბეს მიუყვებოდნენ და ბოლო არ უჩანდა. ისევ ისე კოკისპირულად წვიმდა. დაღლილიყვნენ. მუხლი აღარ ემორჩილებოდათ. არც ერთი ხმას არ იღებდა. არც ერთი არაფერზე არ ფიქრობდა. ფიზიკური დატვირთვა, გონებრივი განტვირთვა.

– მალე მივალთ?

– სად?

– არ ვიცი!.. სადაც მივდივართ იქ.

– არ ვიცი... ვნახოთ.

კი იყო ძალიან გრძელი კიბე, მაგრამ როდესაც თავიდან საფეხურების დათვლა სცადა, ოცს ვერ ასცდა. იწყებდა დათვლას და მიაღწევდა თუ არა ოცს, უნებურად იმეორებდა, ოცი... ოცი... რას უნდა ნიშნავდეს ოცი?.. მაინც მედგრად მიიწევდნენ წინ, მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ ორივე ერთმანეთის ზურგს ხედავდა. უცნაურია, ყველაფერი ძალიან უცნაურია.

– მოვედით?!

– საიდან მიხვდი?

– ოცდაერთამდე შევძელი დათვლა!

– ხო, მოვედით. დაჯექი, დაისვენე.

ჩამოჯდნენ. წვიმა შეწყდა. სისუსტე და დაღლილობა სადღაც გაქრა. თითქოს არც ისე სველები იყვნენ. უბრალოდ ისხდნენ და შვებით იცქირებოდნენ უსასრულო სივრცეში, სადაც გაუთავებლად წვიმდა.

– ეს წვიმა გუშინდელია?

– ხო, გუშინდელია!.. გუშინდელი, გუშინწინდელი და ვინ იცის რამდენი ხნის წინანდელი.

– ჩვენ აღარ დაგვასველებს?

– აღარ!.. აღარასოდეს აღარ დაგვასველებს!

ისხდნენ ასე, თითქოს ორი ცხოვრებაგამოვლილი მოხუცივით და ტკბილად საუბრობდნენ. არადა, არ იყვნენ მოხუცები. სულ რაღაც ოც წელს ჩაევლო მათ თვალწინ და ბჭობდნენ არა ტკბობაზე, არამედ ცხოვრებაზე. ზუსტად ასე ისხდნენ, ძალიან უცნაურ, ძველ ხის კიბეზე, გასცქეროდნენ სივრცეს და უბედნიერესნი თავისი მიღწევით, საუბრობდნენ ყველაფერზე. რა იყო მიღწეული? დიდი არაფერი, მაგრამ მაინც ოცდამეერთე საფეხური, სადაც აღარ წვიმდა.

– წავიდეთ წინ?

– ჯერ არა!

– რატომ?.. მოსახდენი ხომ მაინც მოხდება?

– იცი?.. მოსახდენი ვერ მოხდება. თუ შენ მოინდომებ... უნდა ისწავლო!.. ყველაფერს შენარჩუნება სჭირდება და არა... არა... არა...

– რა? რა არა?.. რა არ სჭირდება?

– უდიერად მოპყრობა და ფიქრი, რომ მერე ყველაფერს გამოასწორებ... უნდა გეშინოდეს დანაკარგის.

გვერდიგვერდ ისხდნენ. მაგრამ მაინც ერთმანეთის ზურგს ხედავდნენ. სუფთა ჰაერი ფილტვებს უვსებდათ სასიამოვნო სუსხით. ის, ის ველარ გრძნობდა სიცარიელეს. სადღაც გამქრალიყო სიცარიელე და მისი ადგილი დაეკავებინა გაუგებარი მხრიდან მოსულ სისავსეს. მას კი ნასიამოვნები სახე ჰქონდა. რადგანაც შეაძლებინა, სწორედ მან შეაძლებინა ამ უსასრულო კიბის ოცდამეერთე საფეხურზე ასვლა.

– სად ვართ?

– რა მნიშვნელობა აქვს?

– რატომ მოვედით?

– ხედავ? აღარც კი გახსოვს რატომ მოვედით.

შემდეგ, შემდეგ ორივემ დაადეს ერთმანეთს თავები და ტკბილად ჩაეძინათ. ჩაეძინათ გამზადებულებს ტკბილივე სიზმრების სანახავად. დიდხანს, ძალიან დიდხანს იქნებოდნენ ასე, სანამ არ იგრძნობდა რომელიმე ოცდამეორე საფეხურზე ფეხის დადგმის საჭიროებას, ანდა, სანამ ისევ არ გაწვიმდებოდა დაბლა ჩამოშვებული ციდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათო აფხაიძე

მინიატურები

ერთფეროვნული მრავალფეროვნება

როგორ შეიძლება დასცინო შენზე განათლებულ და ჭკვიან ადამიანს ჰა? იქით ხარ დასაცინი.

რატომ დასცინი შენზე უტვინოს და გაუნათლებელ ადამიანს? მას შენზე ნაკლები პრობლემა აქვს, იცი? უნდა გშურდეს მისი.

საკმაოდ პრობლემატური საკითხი დგას.

– ქოთანი ცარიელია.

– მერე რა მოხდა?

– არაფერი არ მოხდა, უბრალოდ წყლით უნდა აივსოს!

– რატომ, სავალდებულოა?

– ჰო, სავალდებულოა. ქოთანი იმისთვის არის, რომ შიგნით წყალი უნდა ჩაასხა.

– მერე, პატარა ბავშვს რომ გაუვარდეს ისევ ხელიდან?

– მერე შენც ნუ მისცემ პატარა ბავშვს.

– რომელს მივანიჭოთ უპირატესობა?

– ქოთანი გატყდა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ბევრი წყალი ესხა შიგ.

– ვერ გავიგე, ეგ რა შუაშია?

– მძიმე იყო პატარა ბავშვისთვის, ხელიდან გაუვარდა და გატყდა.

– ააა, გასაგებია...

განთიადზე კი მზის პირველმა სხივმა თამამად შესძახა: აბა, აქ რა ხდება? მე უკვე მოვედი. მხოლოდ ზარმაცთ არ მიუქცევიათ ყურადღება თვალს შეჩვეული სასწაულისთვის. მათ კი, ვისი ქოთნებიც ასე თუ ისე სავსეა, არ დაუტოვებიათ შეუმჩნევლად მზის პირველი გაზმორება და უხმო დუდუკის აყვირება.

წუნამ ისევ არასახარბიელო გუნებაზე გაიღვიძა და არც კი უთქვამს მადლობა მზის სხივის მიერ განეულ დახმარებაზე. რა დროს ეგ არის, ჯერ ხომ ერთი კვირა უნდა იტიროს, აბა ამდენი ფიქრით ისეთ დასკვნებამდე მიდის, რომ მხოლოდ ცრემლებით თუ შეძლებს ამ საზიზღარი აზრების გაფანტვას, შემდეგ გონების კონცენტრირებას და ბიოლოგიის სწავლას.

შალვა რამიშვილმა ჩვეულ ამპლუაში გაიღვიძა. დღეს დილითაც ცდილობდა გამოეცნო, თუ რა სქესის არის მზე. იმ იმედით, რომ თუ მზე მდედრობითი სქესის იქნებოდა, უთუოდ სქესობრივი კავშირი უნდა დაემყარებინა.

– როგორ კაცო, მზესთან? – გაიკვირვა ერთმა.

– ჰო, მზესთან.

– ეგ როგორ?

– უბრალოდ ცოტაოდენი ფანტაზია. ეგ რამიშვილს არ გაუჭირდება.

ზუკამ კარგ ხასიათზე გაიღვიძა. უკვე აღარ აქცევს ყურადღებას იმას, სიზმრები რომ არ ესიზმრება, უსიზმროდაც კარგად გრძნობს თავს... უცებ ყველაფერი ჩერდება. ეს თავისებურად ლამაზი ცხოვრება მომენტალურად წყვეტს დინებას და რაღაც ნოტების ლამაზი, ოღონდ განსხვავებულად ლამაზი ფერები ყველანაირ რეცეპტორს მიღიზიანებენ და იმპულსები ახალ იერიშს ამზადებენ ჩემს ტვინზე. ისევ ის შეგრძნება მებადება. რაღაც მოუსვენარი ძალა მეუფლება, რომელიც მშფოთვარე სულს კიდევ უფრო მიფორიაქებს. მინდა ყველა, ვინც ხელთ მომხვდება, ვცემო, გავლახო და ამით კმაყოფილმა ზემოდან გადმოვხედო მსხვერპლთ. ცის კაბადონი გაიხსნა და სისხლმა წვეთა დაიწყო. პაპაჩემმა კი ქვაბი შეუშვირა, ტყუილად რატომ გადავლვაროთ, რა იცი რაში გამოგვადგებაო. ხალხს კი ეშინოდა: ვაი დედა, მგონი მეორედ მოსვლა იწყებაო.

– მერე მართლა მეორედ მოსვლა იყო?

– არა, უბრალოდ ზეცაში უკვდავი ღმერთები სასიკვდილოდ ებრძოდნენ ერთმანეთს. ერთმა მეორე დაჭრა და ეს ნაიარევიდან წამონთხეული სისხლი იყო. ისე, ღმერთებს თვითონაც კი უკვირდათ: ეს როგორ, ჩვენ ხომ უკვდავები ვართო? უკვდავებსაც აღარ აქვთ ძალა ბოლომდე უკვდავები იყვნენ. ალბათ განგებასაც მოსწყინდა. ძველი მიდიოდა და ახალი მოდიოდა. ოღონდ ეს ახალი ისევ ძველი იყო, ოღონდ გარეცხილი. სხვების თვალის ასახვევად იარლიყიც კი ჰქონდა.

როდესაც ჭიანჭველა თავის წონაზე ოთხჯერ მეტ ტვირთს მიათრევდა და ზამთრისთვის ემზადებოდა, ამ დროს ღმერთები მას

ბურის თვალით შესცქეროდნენ: ჩვენ რატომ ვართ ასეთი უსაქმურები, ჩვენი ერთი სიტყვა კანონი რატომ არის და საერთოდ, რაიმე მიზნის მისაღწევად დიდი, ჭიანჭველისნაირი შრომა რატომ არ გვჭირდებაო? როდესაც ღმერთები ასე ბჭობდნენ და თავიანთ ბედს უბრაზდებოდნენ: განგებამ რატომ ჭიანჭველად არ მოგვავლინაო, ამ დროს ადამიანი ნატრობდა: ნეტა ღმერთი ვიყო და ძალაუფლება სულ ჩემი იყოსო. ფიქრობდა: სიკეთე იქნებოდა გამეფებული დედამიწაზეო. ერთ-ერთმა ღმერთმა კი ამ დროს ადამიანის ამ ოცნებას ფეხი წამოჰკრა და მეორეს უთხრა: რა გაუნათლებელია, სულ სიკეთე ვის გაუგონია. თუმცა ვერ შეაგნებინებ, რაც არა აქვს იმისკენ მიისწრაფის და იმას კი აღარ ფიქრობს, რომ ისიც მობეზრდება. მეორემ კი ერთი გაიფიქრა: ეჰ, ნეტა მეც ეგეთი სულელი ვიყოო და სამუდამოდ წავიდა ღვთიურ ფიქრებში, რასაც ვერც შენ, ვერც მე ასავალ-დასავალს ვერ გავუგებთ.

რატომ?

დილის (ღამის) პირველ საათზე, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ბნელ ქუჩაზე, მისეირნობს ამავე ქალაქის ჩვეულებრივი მაცხოვრებელი, ოღონდ თვითონ თავისი თავი უიღბლო ადამიანად მიაჩნია. ჯერ მაინც დანებებული არ არის. არ უნდა ბოლომდე შეეგუოს ამ აზრს და ცდილობს სადმე იპოვოს იღბალი, მაგრამ სად? – ზუსტად არ იცის და ამიტომ გადაწყვიტა აყოლოდა ფეხების მოძრაობას, თავიანთ ნებაზე მიეშვა ისინი და გაჰყოლოდა მათ. ასეც მოიქცა.

მიდის უმისამართოდ და ფიქრობს: ნეტავი სად დავკარგე იღბალი, მე ხომ, როგორც ყველა ადამიანს ის დაბადებიდან მომყვებოდა? ალბათ ვინმემ მომპარა, ან კიდევ...

ასეთ ფიქრებში იყო გართული, როდესაც შავმა კატამ შეუმჩნევლად გადაურბინა წინ. ადამიანებს აქვთ ასეთი ცრურწმენა: თუ წინ შავმა კატამ გადაგირბინა, მთელი დღე დათარსული იქნები. მაგრამ ამის მიხედვით არ განვითარებულა მოვლენები. გათენებამდე ისე იარა, ცუდი არაფერი შემთხვევია. პირიქით, გზაზე ვიღაც, ნამდვილად უიღბლოს მიერ დაკარგული ოქროს ბეჭედი იპოვა. ძალიან გაეხარდა და უმალ ოქროულობის მაღაზიაში გაიქცა ჩასაბარებლად. იქ საკმაოდ კარგ ფასად ჩაიბარეს ოქროს სამკაული. ტვინი დაძაბა: „იქნებ გავიხსენო, ასეთი იღბლიანი დღე ოდესმე თუ მქონიაო". მაგრამ ვერ შეძლო. ერთი მიზეზი ამისა ის იყო, რომ ცხოვრების სასიხარულო ეპიზოდების გახსენების მცდელობისას, ეს ოქროს ბეჭედი დაუდგებოდა თვალწინ და აღარ აძლევდა აზროვნების საშუალებას. მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ალბათ მართლა არ ჰქონია ასეთი იღბლიანი დღე. ამიტომ უხეიროდ დაასკვნა: „არ მქონიაო".

მაღაზიიდან კბილებდაღრეჯილი გამოვიდა, ჯერ კიდევ არ დამცხრალა მისთვის ესოდენ დიდი სიხარული. ჯიბეში ფული ჰქონდა და გადაწყვიტა უახლოეს რესტორანში მადიანად ესადილა. გზას გაუდგა და ისევ ამ ბეჭდის პოვნისთვის ღმერთს მადლობას სწირავდა. უცებ შენიშნა, რომ წინ შავმა კატამ გადაურბინა. გული გადაუცივდა. „დავითარსე, დავითარსეო" მორთო ყვირილი. ნაბიჯს აუჩქარა, იქნებ უფრო მალე მისულიყო რესტორანთან, ეშინოდა, მანამდე გზაში არაფერი შემთხვეოდა. მაგრამ... უკნიდან ვიღაცამ პირზე ხელთათმანიანი ხელი მოუჭირა. რაღაც ცივი იგრძნო ყელთან და კაცის ჩახლეჩილი ხმა აფრთხილებდა: „ჯიბეები ამოიტრიალე, თორემ მოგკლავო". შიშისაგან და უფრო იმედგაცრუებისაგან, გული წაუვიდა. რომ გამოფხიზლდა, ადამიანის ჭაჭანება არ იყო არსად, აღარც შავი კატა დადიოდა მოარული სიკვდილივით და აღარც ერთი კაპიკი არ ედო ჯიბეში.

ფეხზე წამოდგა და დაღვრემილმა გზა განაგრძო, ოღონდ არც რესტორნისკენ ჰქონია აღებული გეზი და აღარც იღბლის პოვნას ლამობდა. ამჯერად მისნაირ უიღბლოს ეძებდა, იქნებ იმას აეხსნა... რატომ?

სულ ახლოს ხორცშესხმული ბედიღბალი დაიარება. ხან კატასავით ილოკავს ფეხებს, ხან მტრედივით იკორტნის იღლიებს. ვერა ადამიანი იფიქრებს, რომ სწორედ ის არის ყველასათვის სანატრელი იღბალი და ამიტომ ოდნავი ყურადღების ღირსადაც არ თვლიან. ზუსტად ამ დროს იგი ნელ-ნელა შლის სამოსელში ჩამალულ გიგანტურ ფრთებს, ემზადება გასაფრენად და კიდევ ერთხელ რწმუნდება თავის სიძლიერეში. მეფური სიხარულით უხარია, კვლავ რომ გააცურა ადამიანი, სულელი თუ ჭკვიანი. ხალხი გაოგნებულია და კვლავაც პირდაღებული. ახლა მხოლოდ მისი ფრენით დატკბი.

სანთელი კი იწვის ჩუმად, უდარდელად. მაგრამ მაინც ტირის თავის დარად. იგი მხოლოდ მაშინ მოაგონდებათ, როდესაც ჩაქრება, დაბნელდება და მისგან ასული კვამლი მარტოსულივით გაემართება იქითკენ, სადაც არ არსებობს მარტოსულობა.

და მაშინ ინატრებენ სანთელს.

ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებამდე გრძელი გზაა

ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი
ესაუბრა ფსიქოლოგ შოთა ნადირაშვილს

– ბატონო შოთა, ჩვენი საზოგადოება მძიმე დღეშია, რა შეიძლება ითქვას მასზე ფსიქოლოგის თვალსაზრისით?

–ჩვენი საზოგადოება, მართლაც, მძიმე დღეშია ჩავარდნილი. ჩვენს ცხოვრებაში მკვეთრი ცვლილებები მოხდა. დაიშალა საბჭოთა კავშირი, მას გამოეყო საქართველო და დამოუკიდებელ ქვეყნად იქცა. იგი თავისუფალი სახელმწიფოს აშენების ამოცანის წინაშე დადგა. ეს ძალიან ძნელი ამოცანა აღმოჩნდა, ჩვენი ხალხი ორასი წელი ეროვნულ დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა, მისი ლიტერატურა და კულტურა ამ იდეით იყო გამსჭვალული. დამოუკიდებლები გავხდით, მაგრამ გაირკვა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თავისუფალი, ეროვნული სახელმწიფოს აშენება. ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ ვერ შეძლო ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ სხვა სახელმწიფოებთან. ჩვენს ხალხს სახელმწიფოს მართვის არავითარი გამოცდილება არა აქვს და ამიტომ ქვეყანა ქაოტურ მდგომარეობაში, უმართავი აღმოჩნდა. დაირღვა ძველი სოციალური კავშირები, რომლებიც არ მოგვწონდა, მაგრამ ახალი სასურველი კავშირების ჩამოყალიბება ვერ შევძელით. ამას მოჰყვა მძიმე სოციალური, ეკონომიკური და მორალური მდგომარეობა, რამაც ხალხი უმძიმეს დღეში ჩააგდო. საბჭოთა კავშირის ხალხთა გაერთიანებას ერთ იმპერიულ სახელმწიფოში დიქტატორული ხელისუფლება ახერხებდა, ხალხი კი ძირითადად პირად მიზნებს სახავდა და ასრულებდა. ჩვენმა ხელისუფლებამ უარი თქვა ქვეყნის დიქტატორულ მართვაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო ხალხის ერთი ზოგადი და ამაღლებული ღირებულების სამსახურში ჩაყენება. მან, ფაქტობრივად, უარი თქვა ეროვნული სახელმწიფოს აშენებაზე. ასეთი ზოგადი იდეის უქონლობის გამო ჩვენი საზოგადოება დაიყო მცირე სოციალურ ჯგუფებად, რომლებზედაც ჩვენი ხალხი იყო ორიენტირებული. ეროვნული იდეის დაკნინების შედეგად დაიკარგა ქვეყნის დიდი საზოგადოებრივი ღირებულება, რომელსაც შეეძლო ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და გამთლიანება. ქართველი ხალხი მხოლოდ ისეთი სოციალური ორიენტირების ამარა დარჩა, როგორებიც არის ოჯახი და ამხანაგ-მეგობრების წრე. ზოგადი ეროვნული იდეის დაკნინებამ და მცირე სოციალურ ჯგუფებზე ორიენტაციამ, მატერიალური და სოციალური საკითხების გამწვავებამ გამოიწვია კორუფციის, ძალადობის და დანაშაულებრივ საქმიანობათა გაძლიერება. ხალხის მინიმალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარანტიას ადრე სახელმწიფო იღებდა თავის თავზე. ჩვენმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ხალხის მინიმალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ამავე დროს ქართველ ხალხს ვერ შესთავაზა რაიმე სერიოზული ზოგადი, სულიერი ღირებულება, რის გამო ხალხი აიტანდა მატერიალურ გაჭირვებას. ქართველი კაცი აღმოჩნდა იმ ვითარებაში, რითაც ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსები ადამიანის ტრაგიკული ყოფის დახასიათებას ახდენენ. ქართველი კაცი დღეს თავს თვლის „უპატრონოდ, მიგდებულად, უმწეოდ და მიუსაფრად". ხალხმა იმის იმედიც დაკარგა, რომ თვალმისანვდომ მომავალში გამოსწორდება მისი მდგომარეობა. ამ ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზს ხალხის ერთი ნაწილი იმითი ხსნის, რომ ხელისუფლების სათავეში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უკიდურესად ნაციონალისტური ორიენტაციის მქონე ხელმძღვანელობა მოვიდა. მათ ვერ მოახერხეს სხვა ეთნოსებთან და სხვა სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბება. ხალხის მეორე ნაწილის აზრით, ეს ყველაფერი შემდგომში მოსული არაეროვნული ხელისუფლების ბრალია. მიუხედავად იმისა, თუ რომელი შეხედულება შეესატყვისება სინამდვილეს, ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო ჩვენი ქვეყნის თავისუფალ ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ჩვენი ხალხის სასოწარკვეთილება სულ უფრო იზრდება. დღეს ჩვენი ხალხის 70%-ზე მეტი ნევროზულ მდგომარეობაშია. ნორმალურ ქვეყნებში ნევროზული ადამიანების რიცხვი მცხოვრებთა 10%-ს არ აღემატება. ასეთ დღეში ჩავარდნილი ხალხი კი ვერ ახერხებს საკუთარი მიზნებისა და ძალების მიზანშეწონილ გამოყენებას, ისინი თავიანთ საქმიანობას ინტელექტისა და მორალის მოთხოვნების მიხედვით ვერ ახორციელებენ. მათი აქტივობა იმპულსური, ვიტალური მოთხოვნილებებით არის გაპირობებული.

კიდევ ერთი სამწუხარო ფსიქოლოგიური მოვლენის აღნიშვნა მინდა, რაც ემპირიული გამოკვლევის შედეგად დადასტურდა. დაახლოებით 20 წლის წინათ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართველი ხალხი ოცი ძირითადი ღირებულებიდან სულიერ და ეროვნულ ღირებულებებს ანიჭებდა უპირატ-

ესობას. ახლახან ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით ქართველები თითქმის იმავე მიმდევრობით ალაგებდნენ და აფასებდნენ იმავე ღირებულებებს, მაგრამ სრულიად საპირისპიროდ შეიცვალა განწყობა აღნიშნული ღირებულებების მიმართ. ქართველი ხალხი დღეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკურ და მატერიალურ ღირებულებებს, სულიერმა და ეროვნულმა ღირებულებებმა დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა. ჩვენთვის ძალიან თვალშისაცემი აღმოჩნდა გაორებული დამოკიდებულება საკუთარი თავისა და ქართველი ხალხის მიმართ. ჩვენში თვითეული პიროვნება ისევ ძველებურად, სიტყვიერად – სულიერ ღირებულებას ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, მაგრამ სხვები, საერთოდ ქართველი ხალხი, პირადი და მატერიალური ფასეულობების მოპოვებით არიან დაკავებულნი. გარკვეული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში რეალურად მოხდა სულიერ ღირებულებებთან შედარებით, მატერიალური ღირებულებებისადმი მეტი მნიშვნელობის მინიჭება, მაგრამ ადამიანებს ჯერ კიდევ უჭირთ ამ ფაქტის აღიარება. ისინი ფიქრობენ, რომ ღირებულებათა გადაფასება სხვათა ხვედრია და არა უშუალოდ მათი. მალე, ალბათ, ამის აღიარებაც მოხდება და უკვე ძალიან ძნელი იქნება მდგომარეობის გამოსწორება. ჩვენი ხალხი მომხმარებლური დამოკიდებულების მქონე ერად გადაიქცევა და მისთვის სულიერ ფასეულობათა შექმნა, მეორეხარისხოვანი საქმე გახდება.

– ბატონო შოთა, თქვენ თქვით, რომ ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ჩვენ ვერ ჩამოვყალიბდით თავისუფალ ეროვნულ სახელმწიფოდ. რა განსხვავებაა დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის?

– დამოუკიდებლობა და თავისუფლება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ ცნებებს სამწუხაროდ, ხშირად ერთსადაიმავე მნიშვნელობით ხმარობენ. სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტებისთვის ეს ნათელი გახდა პიროვნების ფორმირების საკითხების შესწავლის დროს. ბავშვი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში ბევრი რამისგან ხდება დამოუკიდებელი, მაგრამ იგი თავისუფლებისაგან მაინც ძალიან შორს არის. ბავშვი როცა იბადება და დედის ორგანიზმს გამოეყოფა, დამოუკიდებელ ინდივიდად იქცევა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი არსება. იგი შემდგომში დამოუკიდებელი ხდება ოჯახისაგან, სკოლისაგან, თანატოლების გავლენისაგან, და სხვა დეტერმინანტებისაგან, მაგრამ თავისუფალ პიროვნებად, სათანადო ფსიქიკური ორგანიზაციის საფუძველზე 18-20 წლის შემდეგ შეიძლება იქცეს. მას თავისუფალი პიროვნება მაშინ დაერქმევა, როდესაც თვითონ აირჩევს თავისი ცხოვრების გზას, როდესაც იგი შესაძლებელი ქცევებიდან ერთ-ერთზე გააკეთებს არჩევანს. სოციალურ ფსიქოლოგიაში დადგინდა, რომ ერი, ხალხი უკვე დამოუკიდებელი შეიძლება იყოს რომელიმე ერისა და სახელმწიფოსაგან, მაგრამ თავისუფალი მაინც ვერ იქნება. ცნობილმა სოციალურმა ფსიქოლოგმა ე. ფრომმა სათანადო ანალიზის საფუძველზე კარგად უჩვენა, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ადამიანები და ერები დიდ ფსიქოლოგიურ სიძნელეებს აწყდებიან და უჩნდებათ, როგორც ის ამბობს „თავისუფლებისაგან გაქცევის ტენდენცია". მან დაწერა საინტერესო და ფართოდ ცნობილი წიგნი „თავისუფლებისაგან გაქცევა". შემდგომში ამ საკითხების გაღრმავებული ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ ერებს, ხალხს, პიროვნებებს უჩნდებათ დამოუკიდებლობისაგან და არა თავისუფლებისაგან გაქცევის ტენდენცია. დამოუკიდებლობა თავისუფლების მოპოვების პირველ საფეხურს წარმოადგენს. ამ დროს ერი გამოეყოფა სხვა სახელმწიფოს, დამოუკიდებელი ხდება, თავს აღწევს სხვა ერის ბატონობას, მაგრამ მას ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ თავისუფალ სახელმწიფოდ იქცეს. დამპყრობელი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვება იმას ნიშნავს, რომ მისი საქმიანობა სხვა სახელმწიფოს მოთხოვნით და ძალადობით არ არის გაპირობებული, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა საჭირო, რომ ერმა, როგორც თავისუფალმა სახელმწიფომ, თვითონ განსაზღვროს თავისი საქმიანობა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სანამ თავისუფალი და თვითაქტივობის მქონე სახელმწიფო გახდება, ქვეყანა გარდამავალ საფეხურზე იმყოფება. იგი თავს, როგორც წესი, „უმწეოდ, მიუსაფრად, უპატრონოდ" გრძნობს და ცდილობს გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან. დამოუკიდებლობის მოპოვების დროს ხალხი ხშირად კარგავს იმ მინიმალურ პირობებსაც, რაც მისი არსებობისათვის არის საჭირო, რაც მას მონობის პირობებში ჰქონდა. ასეთ პირობებში ერს ხშირად უჩნდება დამოუკიდებლობისაგან გაქცევის ტენდენცია, საიდანაც თავის დაღწევის ოთხი გზა არსებობს. სწორედ ამ დღეშია ახლა ჩვენი ქვეყანა. დამოუკიდებლობისაგან, ამ მძიმე მდგომარეობიდან გაქცევის პირველ გზას ძველ მდგომარეობაში დაბრუნების ტენდენცია წარმოადგენს. ხალხში ჩნდება სურვილი უკან, ძველი ბატონის მფარველობაში დაბრუნებისა. ეს ტენდენცია ჩვენში ნათლად არის გამოხატული და მას მრავალი პარტია და პოლიტიკური ლიდერი იცავს. ჩვენ გვახსოვს მათი განცხადებები: „საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე ცხოვრება", „რუსეთს უნდა მთლიან და თავისუფალ საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობა" და სხვა. მაგრამ როცა რუსეთმა ჩვენდამი აშკარა მტრული დამოკიდებულება გამოიჩინა, კვლავ ანექსია მოინდომა, უკან დაბრუნების მომხრეებმა წამოაყენეს დებულება: „არსებობს ორი – კეთილი და ბოროტი რუსეთი, ჩვენ კეთილ რუსეთს დავუკავშირდეთ"... დამოუკი-

დებლობიდან გაქცევის მეორე გზას ახალი მფარველის ძიება წარმოადგენს. ამ ტენდენციის მატარებელი ხალხი აცხადებს: „ჩვენ უნდა შევიდეთ ევროპის ქვეყნების, ამერიკისა და სხვათა მფარველობაში". „ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებელი ცხოვრება, ჩვენ დამოუკიდებლობისათვის მზად არა ვართ" და სხვა. მესამე გზას ე. წ. „ნევროტული ფუსფუსი" წარმოადგენს. დამოუკიდებლობისაგან წარმოქმნილი სიძნელეებისაგან თავის დასაღწევად, ამ დროს, ხელისუფლება იწყებს მცირე ამოცანების დასახვას, ხალხის ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანას: „აბრეშუმის გზის აღდგენა, გაზის ან ნავთობის გატარება, ქვეყნის გამავალ გზად გადაქცევა" და სხვა. დამოუკიდებლობისაგან გაქცევის მეოთხე გზას, თავისუფლებისაკენ სვლა წარმოადგენს. თავისუფლების მოპოვებისათვის არის საჭირო აქტივობა, ერმა, როგორც სახელმწიფომ თვითონ უნდა დასახოს სათანადო ინტერესები, უნიკალური ეროვნული ცხოვრებისათვის საჭირო ამოცანები. ხელისუფლებამ უნდა იბრძოლოს პირობების შესაქმნელად, რათა სხვა სახელმწიფოებთან ითანამშრომლოს და გახდეს სახელმწიფოებრივი ურთიერთობის თანასწორუფლებიანი წევრი. ცხადია, ამ ამოცანების შესრულებას შინაგანი ტენდენციების გარდა სხვა სახელმწიფოებმაც შეიძლება შეუშალონ ხელი , მაგრამ ხელისუფლების ამოცანა თავისუფლებისაკენ სწრაფვა, თავისუფალი ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ტენდენცია უნდა იყოს.

დამოუკიდებლობიდან თავისუფლების მოპოვებამდე გრძელი და ძნელი გზის გავლა არის საჭირო. თუ გარდამავალი პერიოდის ხელისუფლებას თავისი მოქმედების ძირითად პრინციპად თავისუფლების მოპოვების ამოცანა არა აქვს, იგი ვერ შეძლებს დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. დამოუკიდებლობა და თავისუფლება სახელმწიფოს ფორმირების სხვადასხვა საფეხურებია. თავისუფლების მოპოვების გზაზე დამოუკიდებლობა პირველი საფეხურია. მასზე დიდხანს შეჩერება ძნელია, შეუძლებელია.

ერი თავისუფალი ხდება მაშინ, როდესაც იგი თვითონ არის თავისი საქმიანობის თაოსანი, თვითონ ირჩევს თავისი ცხოვრების გზას, როდესაც იგი თავისი ისტორიისა და კულტურის გათვალისწინებით ქმნის საკუთარი მიზნებისა და ამოცანების სისტემას, თავის იდეოლოგიას, რაც განვითარების მოცემულ ეტაპზე უზრუნველყოფს მისსავე წინსვლას.

— ბატონო შოთა, თქვენ ახსენეთ ერის ისტორია და კულტურა. რა მნიშვნელობა აქვს ეროვნულ კულტურას ეროვნული სახელმწიფოსა და მის პიროვნებათა ჩამოყალიბებისათვის?

— ერისა და მისი პიროვნებების ფორმირება იმ კულტურისა და ტრადიციების საფუძველზე ხდება, რასაც ერი ისტორიის მანძილზე ქმნიდა. კულტურის შემოქმედი სუბიექტი ერია, ამიტომ კულტურა და ხელოვნება ერის ეროვნულ ხასიათს ატარებს. ისინი უნდა განვასხვავოთ მეცნიერებისაგან, რაც თავისი ბუნებით ინტერნაციონალური ხასიათისაა.

მეცნიერების განვითარების პროცესში სხვადასხვა ქვეყანაში მოპოვებული ცოდნა ზოგადდება და იქმნება ერთი, მთლიანი მეცნიერული ცოდნის სისტემა. მისგან გამოირიცხება ყოველი ცალკეული ელემენტი, რაც მეცნიერული სისტემის ზოგად მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. სულ სხვაგვარი ურთიერთობები არსებობს ეროვნულ კულტურებსა და ხელოვნების ფენომენებს შორის. აქ არ ხდება მათი ზოგადი, აბსტრაქტული ელემენტების გამოყოფა და უნიკალურ თავისებურებათა უგულებელყოფა. მსოფლიო კულტურაში ეროვნული კულტურები თავისი უნიკალური თავისებურებებით იკავებენ ადგილს. ისიც აღსანიშნავია, რომ ადამიანი თავის კულტურის ბაზაზე ყალიბდება პიროვნებად. ერი და პიროვნება, სხვა სოციალური ერთეულებისაგან განსხვავებით პირველად სოციალურ ფენომენებს წარმოადგენენ. მათ შორის ღრმა, შინაგანი ურთიერთობა არსებობს. მისი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ერისა და პიროვნების ბუნებისა და შინაარსის გაგება. მათ კულტურა და შემოქმედება აკავშირებს. კულტურა და ხელოვნება მათი ერთიანობის ბაზაა. მათი განვითარება ურთიერთთან კავშირში ხდება. სხვა დანარჩენი სოციალური ერთეულები უკვე ჩამოყალიბებულ პიროვნებათა გაერთიანებით ან ერთიანი ერის დიფერენციაციის გზით იქმნება და მეორადი სოციალური მნიშვნელობისაა. ერიცა და პიროვნებაც პირველადი სოციალური ფენომენებია. მათი ურთიერთობის საკითხები ცალკე, საგანგებო განსჯის საგანია. აქ მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით, — მარქსისტული შეხედულება იმის შესახებ, რომ ერი, ეროვნული კულტურა, ერის ტრადიციები და სხვა ღირებულებანი კაცობრიობის განვითარების პროცესში თითქმის მოისპობიან, გაერთიანდებიან ერთ ერში, ენაში, და კულტურაში, მცდარია. ყოველი ერი სულიერი განვითარების უნიკალურ გზას გადის. ერები კულტურის განვითარების ალტერნატიულ გზებს ქმნიან და რომელიმე მათგანის ანულირება ცარიელ ადგილს დატოვებს კულტურის სფეროში. ვერცერთი სხვა ერი ვერ შეავსებს ამ ადგილს. ეს კი გააღარიბებს მსოფლიო კულტურას. ქართული ცეკვა, სიმღერა და პოეზია, გერმანული სიმფონია, იტალიური ოპერა და სხვა ეროვნული კულტურის ელემენტები განვითარების სპეციფიკურ ხაზზე არიან განლაგებულნი. კულტურები ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ. მაგრამ ეს ერთმანეთში განსხვავებულ კულტურათა შეჭრის გზით არ ხდება. ქართველმა ხალხმა იტალიური ოპერის გავლენით თავის წიაღში იტალიური ოპერის ექვივალენტური ქართული მუსიკა მოიძია — ოპერის

ქართული ვარიანტი. კულტურათა ურთიერთზე გავლენით ისეთი მხარეები წარმოჩნდება, სამუდამოდ რომ უნდა დაფარულიყო.

– ბატონო შოთა, მაშინ რითი უნდა აიხსნას ის, რომ კულტურათა შეჯახება ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნული კულტურის განვითარებაზე, ხომ ნათელია, რომ ახალგაზრდობამ ერთგვარად დაკარგა ეროვნული კულტურის პატივისცემა და დასავლეთის პოპკულტურით არის გატაცებული?

– ხშირად რომელიმე ერი სხვა ერის ანექსიასა და ასიმილაციას ახდენს, რასაც მოსდევს ამ ერის ფიზიკური და სულიერი განადგურება, სიკვდილი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ასეთ ვითარებაში რჩება მკვდარი ენები და მკვდარი კულტურები, – ისტორიკოსების შესწავლის ობიექტები. ასეთი ეროვნული კანიბალიზმი უდიდესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე. ასეთი დანაშაული ბევრმა იმპერიამ ჩაიდინა. ერები და მათი კულტურები ის ფენომენია, რომელთაც შეუძლიათ თანამშრომლობა და ერთმანეთზე სასიკეთო გავლენის მოხდენა. სულიერება და კულტურა ადამიანთა ურთიერთობის პროცესში ვლინდება და ყალიბდება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კულტურა ცალმხრივი პიროვნული ან ეროვნული მოთხოვნილებების ბაზაზე ყალიბდება. მაგალითად, ამერიკა, როგორც სახელმწიფო, თავისი ერის უარმყოფელი ხალხის გაერთიანებით შეიქმნა. მათ შექმნეს სახელმწიფო და არა ერი. მათი ცხოვრების წესი და კულტურა პიროვნებათა მოთხოვნილებებისა და უფლებების ბაზაზე ჩამოყალიბდა. აღმოსავლური კულტურები კი ხშირად ერებისა და სოციალური ჯგუფების მოთხოვნათა საფუძველზე ყალიბდებოდა. აღმოსავლეთში საზოგადოება ადამიანების იმთავითვე გარკვეულ სოციალურ როლებს, ეროვნული კულტურის მოთხოვნებს ახვედრებს. ადამიანები ამ გზით შედიან ერისა და საზოგადოების ცხოვრებაში. მათ გარკვეული ვალდებულებები ეკისრებათ, ისინი გარკვეულ მოვალეობებს კისრულობენ და ამ საფუძველზე იშლება სოციალური ცხოვრება.

ამერიკული კულტურა უფრო პიროვნებათა უფლებებზეა აგებული, აღმოსავლური კულტურები ვალდებულებებისა და სოციალური როლების საფუძველზე ყალიბდება. გასაკვირი არ არის, რომ ადამიანთა უფლებების დაცვის ქარტია შეიქმნა და ამერიკა იჩენს დიდ აქტივობას მის გასავრცელებლად და დასაცავად. ევროპული ქვეყნები ამ ტენდენციების ერთგვარ მორიგებას ცდილობენ. ქართული კულტურა უფრო მოვალეობათა მოთხოვნებს ეყრდნობა. ჩვენში სამშობლო, ოჯახი, მეგობართა წრე და სხვა სოციალური ფენომენები სერიოზულ ღირებულებად მიიჩნევა. მათი სამსახური სერიოზულ საქმიანობად ითვლება. გასულ საუკუნეში დიდ პიროვნებად და გმირად ითვლებოდა სამშობლოსა და მისი კულტურისათვის თავდადებული ადამიანი. ხალხი მას სიცოცხლეს სწირავდა. ადამიანის უფლებათა ქარტია კი პიროვნების უფლებათა პრიორიტეტულობაზეა აგებული. ევროპული ქვეყნები ამ პრინციპების ცალმხრივობის შერბილებას ცდილობენ. ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და სხვა დიდი ქვეყნები ეროვნული ინტერესებისა და კულტურის დასაცავად იბრძვიან. ისინი ამერიკანიზმისა და მისი პოპკულტურისაგან თავდაღწევას, ამ პრინციპების შეთანხმების გზით ცდილობენ.

ერების მიერ ერთმანეთის ანექსია და ასიმილაცია ისევე მიუღებელია, როგორც მათი კულტურების მიერ ერთმანეთის ასიმილაცია. ეროვნული და კულტურული კანიბალიზმი დიდი ბოროტებაა და მის წინააღმდეგ სამართლიანად იბრძვის ყოველი ნორმალური ერი და სახელმწიფო.

– ბატონო შოთა, ჩვენში უკანასკნელ ხანს ვრცელდება ერთგვარი ანტიქართული ტენდენციები. ეს პროცესი აღნიშნული პრინციპების დანაშაულებრივი დაპირისპირებით ხომ არ არის გამოწვეული?

– დიახ, ეს სწორედ ასეა. საბჭოთა კავშირი, თავისი ბუნებით, როგორც პიროვნების უფლებების, ისე ეროვნული ღირებულებებისა და ვალდებულებების გაუფასურებას ახდენდა. ოფიციალური ხელისუფლება ხელოვნურად უპირისპირებდა საბჭოთა და დასავლურ კულტურას. ჩვენი ხალხი ხელისუფლებისადმი შინაგანი ოპოზიციის გამო დასავლეთის კულტურისადმი დადებითად იყო განწყობილი. დიდი შემოქმედებითი უნარით დაჯილდოვებული ადამიანები მაინც ახერხებდნენ მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნას, ეს ნაწარმოებები ეროვნულ, პიროვნულ, ესთეტიკურ და საერთოდ, დასავლურ ღირებულებებს ზრდიდა და ანვითარებდა. საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ ჩვენ ქართული და დასავლური კულტურის ორიენტაციის მიმართ დადებითი განწყობა დაგვრჩა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღნიშნულ ორიენტირებს შორის ურთიერთობის გარკვევა გახდა საჭირო. აქ ჩვენ დიდი სიძნელის წინაშე აღმოვჩნდით. იმ დიდმა წარუმატებლობამ, რაც ჩვენ ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების საქმეში განვიცადეთ, ჩვენი ხელისუფლების არაეროვნული ორიენტაციის გაძლიერების გავლენით ახალგაზრდობაში გაძლიერდა მისწრაფება ამერიკული კულტურისადმი, მისი ფასეულობების მიმართ.

– ბატონო შოთა, როგორია ჩვენში „მამათა“ და „შვილთა“ შორის ურთიერთობა?

– საზოგადოების განვითარების პროცესში ყოველთვის წარმოიშვება დაპირისპირება მამათა და შვილთა შორის. ახალგაზრდობამ უნდა შეითვისოს თავისი ერის კულტურული მემკვიდრეობა, მაგრამ ამავე დროს უნდა განავითაროს და გარკვეული დოზით შეცვალოს კიდეც.

ამ მხრივ ჩვენში ერთგვარი შეფერხება მოხდა. არაბუნებრივი პოლიტიკური ცვლილებების გამო, ახალგაზრდობა ერთგვარად გამოეთიშა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. პოლიტიკურ ელიტაში ძველი თაობა, ნაცნობი სახეები მონაწილეობენ. ახალგაზრდობასა და მამათა თაობას შორის ერთგვარი დისტანცია გაჩნდა. ასეთი შეყოვნების გამო ახალგაზრდობამ თავისი ინტერესები და აქტივობა დასავლურ კულტურაზე წარმართა. „შვილები" ნაკლებად ერევიან უფროსების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, მაგრამ ისინი აქტიურად ემზადებიან ქვეყნის ინტელექტუალურ და სულიერ ცხოვრებაში ჩასართველად. სულიერი და კულტურული ცხოვრების არენაზე სულ მალე გამოჩნდება შემდგომი თაობა. ადგილი ექნება მამათა და შვილთა მკვეთრ დაპირისპირებას. ახალგაზრდები დიდი მასშტაბის ცვლილებებს მოახდენენ ქვეყანაში. მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ჩამორჩა, ისინი ვერც მოწინავეთა რიგებში არიან და ვერც ძველი თაობის გვერდით ეწევიან კულტურულ და პოლიტიკურ საქმიანობას. ამან გამოიწვია უსაქმურების, დამნაშავეების, ლოთების, ნარკომანების გაზრდა. მომავალში ალბათ დიდი დაპირისპირებაა მოსალოდნელი, მოწინავე და ჩამორჩენილ ახალგაზრდობას შორის. მიუხედავად ამისა, ასევე მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდობის მოსვლა გაფანტავს პესიმიზმისა და უიმედობის განცდას, რაც ჩვენს ხალხში დაგროვდა.

— ბატონო შოთა, რა ფსიქოლოგიური პირობებია საჭირო, რათა ჩვენში შესაძლებელი გახდეს ნორმალურ პიროვნებათა ჩამოყალიბება? როგორ უნდა დაიბრუნოს ქართველმა კაცმა თავისი სახე?

— ფსიქოლოგიაში ჩვენ ადამიანის აქტივობის სამ დონეს გამოვყოფთ. პირველ დონეზე ადამიანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომლის აქტივობა, მისი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. ადამიანში თუ ეს დონე ბატონობს, იგი მომხმარებლური დამოკიდებულების მქონე არსებაა. გარდა ამისა ადამიანი სუბიექტია, შემმეცნებელი არსებაა. შემეცნება ადამიანს ეხმარება საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. სუბიექტი შეიმეცნებს სინამდვილეს, როგორც ობიექტს, ქმნის მეცნიერებას ფიზიკური და სულიერი სამყაროს შესახებ და იყენებს მას თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ადამიანის ფსიქიკური აქტივობის მესამე დონეზე პიროვნული საქმიანობა ხორციელდება. პიროვნების აქტივობა განსაკუთრებული უნარისა და ორიენტაციების, აგრეთვე ნებელობის გამომუშავებას გულისხმობს. ამისათვის საზოგადოებამ განსაკუთრებული სოციალური გარემო უნდა შეამზადოს, სადაც თავისუფალი პიროვნება შექმნის სულიერ ღირებულებებს, მატერიალურ და სულიერ კულტურას. პიროვნება არა მხოლოდ მომხმარებელი და შემმეცნებელია, იგი ამავე დროს შემოქმედია, იგი ახალ სინამდვილეს ქმნის და მასში ცხოვრობს.

დღეს ჩვენი ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმე დიდი სიძნელეების წინაშე დგას. ახალგაზრდობის თვალში ეკონომიკური და სოციალური გაჭირვების გამო დიდი ღირებულება შეიძინეს, ერთი მხრივ, დამნაშავეთა ჯგუფებმა: ქურდებმა, ყაჩაღებმა, ნარკომანებმა და მეორე მხრივ, სუპერმენებმა, როკმუსიკოსებმა და სხვებმა. ასეთ სიტუაციაში ძნელია ნორმალური დადებითი ადამიანის ფორმირება. ადამიანთა პიროვნული ორიენტაციების გამომუშავებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებაში გაბატონებულ მორალურ და სულიერ მიმართულებებს. ახალგაზრდობის მორალური და, საერთოდ, სულიერი ორიენტაციების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ხელისუფლებაში გამეფებული მისწრაფებები კორუფციისადმი.

დღეისათვის ჩვენში არ არსებობს ისეთი გარემო, რომელიც ახალგაზრდობის პიროვნულ აღზრდაზე სასურველ გავლენას მოახდენს. ჩვენი ახალგაზრდობის პიროვნული აღზრდის საქმეში ყველაზე დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ხელისუფლებაში მორალური ორიენტაციების სასიკეთო მიმართულებით შეცვლას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერი ისეთი იქნება, როგორი ხელისუფლებაც ჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ზოთა ჭეიკე

ფაუსტური ვნებათაღელვა

ნიკოლოზ ბარათაშვილი უცნაურ გარემოში გარდაიცვალა. თავისი გენიალობა სიკვდილითაც დაგვიდასტურა, სიკვდილითაც გაიმეორა დიდი ადამიანების ბიოგრაფია, რაც მეტწილად მოულოდნელობითა და უცნაური აღსასრულით მთავრდება. მართალია, ლორდ ბაირონივით მისოლუნგში, ბერძენთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში არ დაღუპულა, მაგრამ განჯაში უჩინარ ყაჩაღებთან დევნამ შეინირა. შანდორ პეტეფი ცოცხალი დამარხეს. ცოცხალი ვარ, მიწას ნუ დამაყრითო, წამოიძახა, მაგრამ გამგონე არავინ იყო. ღრმად მოხუცი ლევ ტოლსტოი სახლიდან გაიქცა და მივარდნილ სადგურ ასტაპოვოში შეეგება სიკვდილს. თვრამეტი წლის ჩატერტონმა თავისი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ოცდაშვილი წლის იყო.

სიკვდილის შემდეგაც ღმერთმა უცნაური ბედი არგუნა. სულნათელი პოეტის ძვლები უცხო მიწამ კინაღამ შეჭამა, ხალხმა კი მისი ლექსების შესახებ არაფერი იცოდა. ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა ნორჩი გენიოსის ქმნილებებს, სტუდენტი ილია ჭავჭავაძე ცარსკოე სელოში რომ არ სტუმრებოდა დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძეს. ამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით პოეტის შემოქმედება დაუბრუნდა თავის მარადიულ პატრონს — ქართველ ხალხს, ხოლო წმიდათაწმიდა ძვლები მთაწმინდის მიწას.

ყველაფერს ამას ერთი საუკუნის შემდეგ თითქმის ყველანი, დიდიც და პატარაც, გულისტკივილით ვიგონებთ, ზოგჯერ ბრალსაც კი ვდებთ პოეტის თანამედროვეებს, იმდროინდელ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, ახლობლებსა და ნათესავებს, ბრალს ვდებთ მაშინდელ სოციალურ ვითარებასა და XX საუკუნის ამბიონიდან ვასამართლებთ XIX საუკუნეს. შეიძლება ნაწილობრივ მართალიც ვიყოთ, მაგრამ რა ვუყოთ მეორე, ყველა ქართველისათვის უფრო მსუსხავ და გულდასაწყვეტ ფაქტს — გენიალური ნიკო ფიროსმანის დაკარგულ საფლავს? იგი ხომ ჩვენს საუკუნეში, ჩვენს დღეებში გარდაიცვალა, უფრო სწორი ვიქნები, თუ ვიტყვი, დაიღუპა.

ილიას ერისკაცობამ განსაზღვრა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის უმთავრესი მომენტი. პოეტის საქართველოში გადმოსვენებაც მისმა ავტორიტეტმა უზრუნველყო.

1893 წლის 25 აპრილს წარმოთქმული სიტყვაც ამისი ნათელი საბუთია. აქედან მოკიდებული ასობით წერილი, ბევრი სქელტანიანი წიგნი დაწერილა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მაგრამ ილიას სიტყვა დღესაც რჩება უპირველეს ეტალონად, პოეტის მემკვიდრეობის სიღრმისა და სიმაღლის გამოსაჩენად. კიდევ მეტი: იგი გვეხმარება საერთოდ პოეზიის რაობის განსაზღვრა-შეფასებაშიც, რომლის უამრავი მაგალითებით სავსეა თანამედროვე ქართული ლიტერატურა.

დიდი ილიას ეს სიტყვა ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს ერთი ადგილი შევახსენო: „კიდევ ვიტყვი, რომ პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შევსწირავ განნირულის სულისკვეთებამდეო. ამ განწირულებამ გარდაცვალების ერთი წლის წინათ, ეს სტრიქონები ამოაკვნესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაექცა ბოლოს“.

ამის შემდეგ ილია იმოწმებს საკმაოდ ვრეცლ ადგილს „მერანიდან“. ეს კი ოქროს გასაღებია იმათთვის, ვინც კი განიზრახა და აწ ამას იქით განიზრახავს ამ გენიალური ლექსის იდეურ-მხატვრულ ანალიზს.

დიდი ხანია ქრესტომათიული გახდა აზრი, რომ „მერანის“ ლაიტმოტივი ბედისადმი დაუმორჩილებლობის იდეაა. არა აქვს მნიშვნელობა, როდის და ვის მიერ წამოიჭრა ეს აზრი. მთავარი ისაა, რომ იგი მტკიცედ დამკვიდრდა ქრესტომათიაში და ამ პოზიციიდან ვასწავლით მომავალ თაობებს. მიუხედავად იმისა, იგი მძლავრად ფესვგადგმულია და მისი ხელაღებით უარყოფა ძალიან ძნელია, მე მაინც უნდა გავუზიარო მკითხველს ჩემი მოსაზრება „ბედისადმი დაუმორჩილებლობის იდეის“ გარშემო.

გარკვეული აზრით, ამ იდეას მეტნაკლებად ყველა საკაცობრიო ნაწარმოები ატარებს. შორს რომ არ წავიდეთ, ქართულ ლიტერატურაში დაიძებნება უამრავი მაგალითი. თუნდაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირები გავიხსენოთ! „მერანის“ ლირიკული გმირის მსგავსად და განსხვავებით ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი და თინათინი როდი ემორჩილებიან თავიანთ ბედს, მაგრამ აზრად არავის მოსვლია ეთქვა — ამ გენიალური პოემის იდეა ბედისადმი დაუმორჩილებლო-

ბააო. მით უმეტეს, „მერანის“ ლირიკული პერსონაჟისა და ავთანდილის პარალელური ხაზები სავსებით მართებულად დაძებნა სიმონ ჩიქოვანმა. „მერანის“ ორმა სტრიქონმა („გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი; თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი“) ამის საბაბი არ უნდა მოგვცეს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვევითაა მინიშნებული ლირიკული პერსონაჟის ამ განწყობილებაზე. ეს არის „მერანის“ ერთ-ერთი და არა ერთადერთი მძლავრი მეტაფორა და მისი ეპიგრაფად გამოტანა და ამ პოზიციიდან გაანალიზება ზღუდავს იმ მძაფრ სულისკვეთებას, რითაც იგი დაიწერა.

„მერანში“ გაცილებით მეტი ვნებათა ღელვა, მეტი ეროვნული ენერგია, თავისუფლების მეტი წყურვილია, ვიდრე ბედისადმი დაუმორჩილებლობის იდეაა. იგი ქართული კლასიკური პოეზიის ორგანული გაგრძელება და ამავე დროს, სრულიად ახალი სიტყვაა, რამდენადაც ეროვნული, იმდენად საკაცობრიოცაა, უპირველესად ყოვლისა კი თავისი ხალხისა და საერთოდ კაცობრიობის ბნელი ჯურღმულიდან მზის სინათლეზე გამოყვანის ძალუმი სწრაფვაა. ცამდე მართალი იყო აკადემიკოსი ნიკო მარი, როცა „მერანს“ „კატასტროფის წინაშე მდგარი ერის მონოლოგი“ უწოდა.

რარიგ სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო დაღესტნის იმამის შამილის მიერ ილია ორბელიანის დატყვევების ცნობა, „მერანის“ დასაწერად ვერ იკმარებდა, რადგან იგი დამუხტულია ფაუსტური სულისკვეთებითა და იმ მარადიული ლტოლვით, რაც თავისი დროის წინააღმდეგობების გამოხატვამ განაპირობა. ალბათ, შემოქმედებითი ენერგიის ეს მომენტი ჰქონდა მხედველობაში გოეთეს, როცა ამბობდა — მხოლოდ პოეზიას შეუძლია ისეთ საიდუმლოებათა გადმოცემა, რომლებიც პროზაში აბსურდულად გვეჩვენებიან, რადგან მათი გადმოცემა შეიძლება მხოლოდ წინააღმდეგობაშიო. ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის ეს წინააღმდეგობა იყო ის სულისშემხუთველი სოციალური ატმოსფერო, რაც რომანოვების იმპერიაში სუფევდა. „მერანის“ მხედარი დაღესტნის მთებში ილია ორბელიანის გამოსახსნელად კი არა, თავისი ხალხისა და კაცობრიობის მზის სინათლეზე გამოსაყვანად ისწრაფვის. მგოსნის სიყრმისეული ოცნებაც სამხედრო სამსახურზე მისი ბობოქარი და აჯანყებული სულის ძალუმი გამონაშუქია. „მერანზე“ ოთხი წლით ადრე, 1838 წელს, დაიწერა ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ლექსი. ოცდაერთი წლის ჭაბუკი პოეტი, ისე როგორც დიდი გოეთე, ბალზაკი, სტენდალი, მოხიბლულია კორსიკელი სარდლის ნიჭითა და დიდებით:

„მაგრამ მე გვამში სული ველარ მომთავსებია!
მითხზავს გვირგვინსა, დიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვახსნა შარავანდედი;
ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“!

ამ ლექსის ვნებათა ღელვა საგრძნობლად ესადაგება და ეწყვილება „მერანის“ მხედარს. „თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!“ — გვეუბნება პოეტი ნაპოლეონის პირით და ჩვენც გვჯერა, რომ ამ სიტყვების ავტორი საკაცობრიო რანგის პიროვნებაა, რომლისთვისაც მართლაც ვიწრო აღმოჩნდა პირველი ორი სამარე, რაც მეტად სიმბოლურია.

ერთ-ერთ ქრესტომათიაში წამიკითხავს, პოეტი გაურბოდა საზოგადოებას, რომლის წიაღშიც თავს სულით ობლად გრძნობდაო და იქვე მოტანილია ადგილები „მერანიდან“.

ის ფაქტი, რომ პოეტი აუჯანყდა თავის ყოფასა და სოციალურ ატმოსფეროს, გაქცევას როდი ნიშნავს, ბედს რომ გაქცეოდა, მაშინ თავს მოიკლავდა, „მერანის“ მხედარი კი იბრძვის. ლექსში გარკვევით არის ნათქვამი: „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი“. ბედის საზღვრის გადალახვა სხვაა და გაქცევა კიდევ სხვა. ამიტომ ლექსის იდეური მიმართულება დასკვნით სტრიქონებში უნდა ამოვიკითხოთ:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის
სულის-კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,
მაინც დარჩება:
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა
გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ
გამოუქროლდეს.“

„მერანის“ მხედარი მზად არის მოკვდეს უპატრონოდ, მარტოობაში, ოღონდაც „გაპკვეთოს ქარი“, „გააპოს წყალი“, ოღონდაც მისმა განწირულმა სულისკვეთებამ გზა გაუკვლიოს კაცობრიობას ბედნიერი მომავლისაკენ. ამიტომაც ბრძანებდა დიდი ილია: „მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საკაცობრიონი, საყოველთაონი არიან, ვიდრე მარტო საკუთარი გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია“.

ილიას ეს სიტყვები ყველაზე მეტად „მერანის“ მხედარს ესადაგება. თუ არა ეს გენიალური ლექსი, არც ეს სიტყვები დაიწერებოდა. ამის შემდეგ, ვფიქრობ, მასში უფრო მაღალი იდეა უნდა ვეძიოთ, ვიდრე ბედისადმი დაუმორჩილებლობაა. ვთქვათ, ბრძოლისა და არსებული სოციალური ვითარებისადმი შეურიგებლობის, ან უფრო მოკლედ — ბრძოლის მოტივი ნიკოლოზ ბარათაშვილის

„მერანში". ვფიქრობ, მომავალში ღირს ამ საკითხებზე სერიოზული მსჯელობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსებსა და უფრო მეტად პირად წერილებში ხაზს უსვამს თავის უბედობასა და ტანჯვას. ეს შემოქმედებითი ტანჯვაა, რაც შეიძლება პოეტს არც კი ჰქონოდა გაცნობიერებული. გავიხსენოთ მაიკო ორბელიანისადმი 1842 წლის ოქტომბერში გაგზავნილი ბარათის ფრაგმენტი: „... კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენილობამ, ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ, არ დაიჯერებ მაიკო! სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაც ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენიც და მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში! ვინც მაღლის გრძნობის მქონი მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია, ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველებად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთი საშინელისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?"

ასეთია გენიოსი ადამიანის ხვედრი მოკვდავთა სამყაროში. ვის შეეძლო ჩაეხედა ტატოს სულის ლაბირინთებში? ვის შეეძლო შეემსუბუქებინა მისი ტანჯვა და გულისტკივილი? ვინ შეიძლება მდგარიყო პოეტის გვერდით, რომ თავი მარტოდმარტო არ ეგრძნო?! ყველაფერს დროს და ეპოქას ვერ დავაბრალებთ.

მიხეილ კვესელავა თავის წიგნში „პოეტური ინტეგრალები" იმოწმებს კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს: „ყოველი შემოქმედი თავისებურად იტანჯება, ყოველ ჩვენთაგანს ათასი დემონი უღადრავს გულს".

მინდა შედარებისათვის გალაკტიონ ტაბიძის ოლია ოკუჯავასადმი მინაწერი ბარათის ფრაგმენტი მოვიტანო: „ოლკინ! შენ იცი, როგორ სულიერ განწყობილებაში ვიცი მე შენთვის წერილების მოწერა. მოიგონე ჩემი წინანდელი წერილები... ყოველთვის უსათუოდ დიდი მწუხარება მაწუხებდა, მაგრამ ეხლა პუშკინის ლექსით გეტყვი: «Мне тяжело, как смутное похмелье». ყველაფერი დღეს სულ სხვაგვარად მეჩვენება"...

როგორ გავს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქაში დაწერილი ეს ორი ბარათი?! აქ მთავარი ის კი არაა, ვინ ვის მისწერა, ორივე წერილი გენიოსის კალმის ნაყოფია. ეს იმას ნიშნავს, რომ გენიოსები მოკვდავთა შორის თავს მარტოობაში გრძნობენ. გალაკტიონის სხვა წერილების დამოწმებაც შეიძლება. მისი შიში ჰგავს ბარათაშვილის შიშს, მისი ტანჯვა – ბარათაშვილის ტანჯვას, მისი წუხილი – ბართაშვილის წუხილს, მისი სიმარტოვე – ბარათაშვილის სიმარტოვეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გენია ვერ იგუებს მინიერ გარემოს. ყოველ გარემოში ადამიანურობის მაქსიმუმს ეძებს, რაც მეტად მძიმე ტვირთია. ეს ტვირთი თავს ზემოთ საჯილდაო ქვასავით გადაიტარა, რამაც, სამუდამოდ დაუმკვიდრა ადგილი გენიოსთა თანავარსკვლავედში.

ადამიანში ადამიანურობის ძიებისა და ქვეყნის წინაშე ადამიანის მოვალეობის იდეითაა შთაგონებული ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას". სამწუხაროდ, დღემდე მასში მხოლოდ სევდის მოტივებს ვკითხულობდით. პოეტი დაფიქრებულია წუთისოფელზე, მის რაობაზე:

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ
უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან:
„როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს"? და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ
თვითვე არიან...
თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე — ზრუნვა,
შრომა და ცდა ქებული,
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავის მამულსა, თვისთა შვილთა,
რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი
შთამომავლობას!..
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდ
ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ
სადღა იყოს?!"..
მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი
სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.

ამ სტრიქონებში სევდის მოტივის ნატამალიც არ ჩანს, რაც შეეხება მის დასაწყისს „წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად"... და სხვა მისთანანი, არ კმარა „სევდის მოტივის" საილუსტრაციოდ. „სევდიანი ფიქრთ გასართველად" წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს შესანიშნავი ლექსი სევდის მოტივის აპოლოგიაა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ პესიმისტური გრძნობები უმეტესად დიდი ადამიანების ბუნებაა.

ერთ-ერთ ლიტერატურულ ანკეტაში აკაკი გაწერელია წერდა: „თვითკმაყოფილს არასოდეს არ ეწვევა უმიზეზო მოწყენა, იგი

მხოლოდ და მხოლოდ დიადების თანხმლები თვისებაა". აინშტაინის მეგობარი პოლ ვალერი, რომელიც, მგონი, გოეთეს შემდეგ ყველაზე სვებედნიერი იყო პოეტებს შორის, ამბობს: „სევდა – აი ჩემი ჭეშმარიტი ხელობა".

ამის შემდეგ აკაკი გაწერელია იმოწმებს პლანეტარული მასშტაბის ავგუსტინეს, რომელიც თავის გენიალურ „შესწორებებში" („რეტრაკტაციონეს") წერდა: „ადამიანი დედის საშოშივე ატარებს გაქრობასა და დავიწყებას". თუ უნიჭიერესი გერმანელი ლირიკოსის ჰაინრიხ ჰაინეს ცრემლები „იორდანეში ცვივიან", ნიკოლოზ ბარათაშვილი მტკვართან მიდის „ფიქრთ გასართველად".

თანამედროვე ეტაპზე დღითი დღე და წლიდან წლამდე მაღლდება ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიის როლი და ავტორიტეტი. წლითი წლობით ახალი მოვლენები იჩენს თავს მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად. ანჩისხატის უბანში მისი სახლმუზეუმის გახსნაც ამ კატეგორიის მოვლენაა.

ჩემი ღრმა რწმენით, მომავალში კიდევ უფრო ამაღლდება ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი და დიდება, კიდევ უფრო განმტკიცდება მისი ადგილი მსოფლიო პოეზიის თანავარსკვლავედში ბაირონის, პუშკინის, შელის, შატობრიანის, ნოვალისის, ლერმონტოვის, მიცკევიჩის, ლეოპარდის, გალაკტიონისა და სხვათა გვერდით.

მომავალი თაობები ახლებურად წაიკითხავენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსა და პოემას, გაცილებით მეტს და საკაცობრიოს აღმოაჩენენ მათში, ვიდრე პოეტის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ შევძელით. ახლებურად წაიკითხება მისი სატრფიალო და პატრიოტული ლირიკა. ჩემი აზრით, მკვლევარების თვალში „მერანმა" დაჩრდილა მისი ავტორის სხვა ლექსები. უპირველესად ეს სიყვარულის პოეზიაზე ითქმის.

რუსული ლიტერატურის მკვლევარები ახალი რუსული ლიტერატურისა და კერძოდ, რუსული სიყვარულის პოეზიის მამამთავრად ალექსანდრე პუშკინს ასახელებენ, თუმცა არცერთი მათგანი არ უარყოფს, რომ პუშკინამდე ბრწყინვალე ლექსები შექმნეს სიყვარულზე სუმაროკოვმა და კოსტროვმა, ბოგდანოვიჩმა და დერჟავინმა, კარამზინმა. რუს მკვლევარებს აქცენტი მაინც პუშკინზე გადააქვთ.

ქართულ პოეზიაში სხვა სურათი გვაქვს. XIX საუკუნის ქართველ პოეტებს წინ უძღვის რუსთაველის გაკვეთილები, რომლის პოეზია სიყვარულის უკვდავი ჰიმნია. ეს გაკვეთილები მიიღეს დავით გურამიშვილმა და ბესიკმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ და გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმაც. ეს განასხვავებს მას პუშკინისაგან. ასეთი დიდი გაკვეთილი პუშკინს არ მოუსმენია, რადგან რუსთაველის რანგის წინამორბედი არ ჰყავდა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა მსგავსად პუშკინისა, „ანავითარა" და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ახალი ქართული ლიტერატურა. აქ მისი სიყვარულის პოეზიაც იგულისხმება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყვარულის ლირიკიდან ერთ-ერთი საანთოლოგიო ლექსია „ჩემს ვარსკვლავს", რომელშიც ვკითხულობთ:

რა სახითაც გინდა მე შენ მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო!
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა!
მალხინებელ დაბინდულის გულისა!
მოციმციმდი, მოდი გამომედარე,
შენგან ბნელი გული გამომიდარე,
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაპერწკალნი ეშხისა მომაყარე.

ეს ლექსი არ არის რომელიმე კერძო შემთხვევის გამო ინტიმურ გრძნობათა გამოხატულება. ეს იმ გულითა და გრძნობით არის შექმნილი, დიდმა შოთამ „სიყვარული აგვამაღლებს" რომ უწოდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის სიყვარულის პოეზია ამგვარი ამაღლებული და ფაქიზი გრძნობების აღმძვრელია.

იმის გამო, რომ ზედმიწევნით დეტალურად ვიცით ნიკოლოზ ბარათაშვილის უიღბლო მიჯნურობის ისტორია და სხვა ბიოგრაფიული მომენტები, გვგონია, რომ მისი სატრფიალო ლექსები უმთავრესად უშუალო შთაბეჭდილებებითაა შექმნილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა რუსთაველის ბიოგრაფიასავით ბურუსით რომ ყოფილიყო მოცული, ალბათ მისი ლირიკა სხვაგვარ ემოციებსა და განცდებს აღგვიძრავდა, ალბათ პოეტის არც პესიმისტურ განწყობილებებს გავაზვიადებდით ზომაზე მეტად.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკაშიც კარგად იგრძნობა იმედიანი განწყობილება, მომავლის რწმენა და პათოსი. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ პირადი წერილების კვალობაზე პოეტის შემოქმედების გაშიფვრა ყოველთვის არ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, რადგანაც მათში მინიერი გრძნობებიც იჩენენ თავს. ამიტომაც მისი ცხოვრების ყოფითმა დეტალებმა არ უნდა დაგვაბნიოს:

არ უკიჟინო, სატრფოო,
შენსა მგოსანსა გულისთქმა;
მოკვდავსა ენას არ ძალუძს
უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!

სწორედ, რომ უკვდავთა ენით, ჭეშმარიტი პოეზიის ენით გამოთქვა სულიერი მშვენიერებით ნაკარნახევი სიყვარული; თვით მიძღვნით ლექსებშიც კი, რომლებსაც

კონკრეტული ადრესატი გააჩნიათ, პოეტი გაურბის ხორციელი სილამაზის დასურათებას. თვით კიტა აბაშიძემ თავის დროზე აღნიშნა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი სიყვარულში იმას უგალობს, რაც კი რამა აქვს ამ გრძნობას უზენაესი და უკვდავი. ამის გარეშე არ დაიწერებოდა „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალებიანო, დღისით მზევ, ღამე მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხმიანო!" პოეტი, რომლისთვისაც „მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული", ერთ-ერთ უსათაურო ლექსში თავისი სულის მოძრაობას, უფრო სწორედ, სულიერ ყოფას ასე გადმოგვცემს:

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
ღიმილით გევხარ მაისის დღესა.
მე შენს თვალებში ვჭვრეტ სამოთხესა
და მათი მჭვრეტი ვიწვი ცეცხლითა!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,
არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

სხვა ლექსებს აღარ მოვიხმობ. მოვიტანთ მხოლოდ ერთ ადგილს სიმონ ჩიქვანის წერილიდან. „ნიკოლოზ ბარათაშვილმა უარყო აღმოსავლური პოეზიის სატრფიალო ლირიკაში გამეფებული სანთლისა და ფარვანას, ვარდისა და ბულბულის და სხვა ამგვარი სიმბოლოების მოშველიებით სატრფიალო სიმღერის თქმა. მან დასძლია აღმოსავლური გრძნობა სატრფიალო ლირიკაში და სიყვარულის თემა დიდი დაფიქრებისა და განსჯის საგანი გახადა".

სამწუხაროდ, ჯერჯერობით დაკარგულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ივერიელნი", რომელიც თანამედროვეთა გადმოცემით ასახავს X-XII საუკუნეების საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, მართალია, ჩვენ არ ვიცით მისი ფორმა და შინაარსი, მაგრამ სათაურიდანაც ჩანს, რომ იგი პატრიოტული სულისკვეთებით უნდა იყოს გაჟღენთილი.

საგულისხმოა, რომ პოეტი არც ერთ ლექსში უშუალოდ არ მიმართავს სამშობლოს, მაგრამ მთელი მისი პოეზია პატრიოტიზმის ძალუმი გამოხატულებაა. ასევე საპროგრამოა პოეტის შემოქმედებაში პოემა „ბედი ქართლისა".

ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული მუზა მშობლიური მიწის ეროვნული ძალების გაღვივებას უგალობს. მისი პოეზიის დასაყრდენი ქართული მიწაა, ხოლო სამრეკლო – საქართველოს ცა. საგულისხმოა, რომ „შემოღამება მთაწმინდაზედ" სამშობლოს სიყვარულის ნათელი გამონაშუქია. ცხადია, სწორი არ ვიქნებით მხოლოდ ბუნების სურათების ხილვით რომ დავკმაყოფილდეთ. მართალია, ბუნების გაიდეალება ქართული რომანტიზმის დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მარტო რომანტიკული განცდა არ არის:

სდუმდა ყოველი მუნ არე-მარე,
ბინდი გადეკრა ცისა კამარას.
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური,
ვარსკვლავი მარტო მისა ამარა.
გინახავთ სული ჯერეთ უმანკო,
მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე ნაზად მოარე,
დისკო-გადახრით შუქმიბინდული.

„ამგვარი იყო მთაწმინდაზედ შემოღამება!" – გვარწმუნებს პოეტი და, ჩემი აზრით, იგი უბრალო სურათი როდია, პირიქით, ეს არის მშობლიური გარემოს ღრმა განცდა. გავიხსენოთ აკაკი: „წინ მომეგებენ ღიმილით შენი მზე, შენი მთვარეო, გუნდი და გუნდი ვარსკვლავი, მოკაშკაშ-მოელვარეო"... ან კიდევ „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, სულის ჩამდგმელო მხარეო..." აქაც, ბუნების დასურათხატების გენიალურ მეტაფორებში, სამშობლოს უმაღლესი განცდაა განსახიერებული. ისიც სათქმელია, რომ მთაწმინდამ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდგომ ეპოქაში სულ სხვა შინაარსი შეიძინა. აკაკისათვის მთაწმინდა „საშვილიშვილო სამარის" ასოციაციაა, ასეა გალაკტიონთანაც. მან იცის, რომ აქვე „მოხუცის ლანდს ძინავს მეფურ ძილით", რომ „ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული"...

დღეს ჩვენს წარმოსახვაში მთაწმინდა უპირველესად ეროვნული პანთეონის სინონიმია, პანთეონისა, რომლის სავანეშიც სულმნათი წინაპრების ძვლებია მიბარებული. მათ შორისაა ქართული პოეზიის გენია – ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლისთვისაც „თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია" (ილია).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა ასლანიძე

ქალთა იმპერია

კაცობრიობამ უზარმაზარი გზა განვლო – დიდი წვითა და დაგვით გამოიარა საუკუნეების ქარტეხილი, რათა მისულიყო საბოლოო მიზნამდე – ადამიანამდე, ანუ მიბრუნებულიყო უკან, სამყაროს სათავეებთან – საკუთარ თავში ჩაეხედა და იქ ეცადა გარკვეულიყო თავის რაობაში – ეძებნა პასუხი მარადიულ კითხვებზე. ერთობ დიდი დრო დასჭირდა ადამიანს იმის მისახვედრად, რომ მხოლოდ ადამიანშია კითხვაც და პასუხიც. სწორედ ამ კანონზომიერებამ მიიყვანა მოაზროვნენი კაცობრიობის გარიჟრაჟთან – ნიცშე ზარატუსტრამდე, ფროიდი და ეგზისტენციალისტები ბერძნულ მითოსადმე, ბახოფენი, მორგანი, ბრიფო და ფრომი უფრო ღრმად – მატრიარქატში, სამყაროს შექმნის დასაბამში ეძიებდნენ ადამიანს და ადამიანურობას. ბოლოს კი, თითქმის ყველანი, მართალია, სხვადასხვა გზით, მაგრამ მაინც ერთ დასკვნამდე მივიდნენ – ადამიანის, ადამიანების ისტორია ქალისა და კაცის თავგანწირული ბრძოლაა, მატრიარქატის კონფლიქტი, უფრო ზუსტად კი, გრძნობისა და გონების ჭიდილი.

ადამიანი უძველესი ხანიდან ცდილობდა, რათა სიმბოლოების ენაზე გადაეტანა, როგორც სულიერი ძვრები, ასევე გარესამყაროში მომხდარი ამბები, დაპირისპირებები თუ რელიგიურ-ფსიქოლოგიური სინამდვილე. უმთავრესის, რაც სინამდვილეში არსებობდა და არსებობს, იდუმალების, შეგრძნებების, ამოუცნობის, ემოციების შესანარჩუნებლად სიმბოლიკა უაღრესად ზუსტია, ტევადია და ყოვლისმომცველი.

გრძნობის, განცდის და გონების დაპირისპირებამ შვა მატრიარქალური და პატრიარქალურ-კულტურულ-რელიგიურ-ყოფითი აზროვნება. აქედან გამომდინარე, ქალისა და შამაკაცის უკომპრომისო ბრძოლას პირობითად შეიძლება დაერქვას მატრიარქატისა და პატრიარქატის ბრძოლა. თუმც, ამავე იდეის – მატრიარქალური და პატრიარქალური აზროვნების – მომხრეთა დასკვნებზე დაყრდნობით, სრულიად განსხვავებულ შეხედულებამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი. კერძოდ კი, – **არასოდეს ყოფილა პატრიარქატი – იყო, არის და იქნება მარტოოდენ მატრიარქატი – გრძნობა, ვნება, განცდები.** რა თქმა უნდა, ისტორიის ცალკეულ მონაკვეთზე ქალური აზროვნების ბატონობას უწევდა ჩრდილში დამდგარიყო, შენიღბულიყო – გარეგნულად უარი ეთქვა პირველობაზე, მაგრამ რეალური ძალაუფლება მატრიარქატს არასოდეს გაუშვია ხელიდან. ხოლო ბრძოლა და ჭიდილი ადამიანთა შორის, გაორება თუ სულიერი კატაკლიზმები მხოლოდ შიდა, შიდამატრიარქალური კარდიოგრამა და მატრიარქატის წიაღში მიმდინარე სიცოცხლეა. თვალნათლივი რომ გახდეს მატრიარქატის მარადიული მბრძანებლობა, უპრიანია, სნორედ მატრიარქალურ-პატრიარქალური იდეის მამების დასკვნების უფრო დეტალური, ღრმა განხილვა.

სამყაროს შექმნის ბაბილონურ მითში ერიჰ ფრომი პირდაპირ ხედავს და მიგვითითებს ქალური და მამაკაცური საწყისის ღრმა კონფლიქტს:

„სამყაროს შექმნის ბაბილონური მითი (ენუმა ელიში) მოგვითხრობს მამაკაცური ღვთაებების ძლევამოსილ გამარჯვებას სამყაროს მბრძანებელ დედა თიამათზე. ღმერთები გაერთიანდნენ თიამათის წინააღმდეგ და თავიანთ წინამძღოლად მარდუკი აირჩიეს. სისხლისმღვრელ ომში თიამათი მოკლეს და მისი სხეულიდან ცა და დედამიწა შეიქმნა, მარდუკი კი უზენაეს ღმერთად მოგვევლინა. მაგრამ, მარდუკმა გამოცდა უნდა გაიაროს. გამოცდა, ერთი შეხედვით, გაუგებარი და უმნიშვნელო ჩანს, სინამდვილეში კი ეს გამოცდა მითის ამოცნობის საფუძველია. მარდუკს დაულაგებენ სამოსელს და მოუწოდებენ – ჯერ გააქროს, მერე კი ისევ გააჩინოს სამოსი. მარდუკი იოლად შეასრულებს ამ მოთხოვნას და მხოლოდ მერეღა აღიარებენ მას უზენაეს ღმერთად. რა აზრი აქვს ამ გამოცდას? რაც მარდუკმა გააკეთა, უფრო ჯადოქრობას ჰგავს, ვიდრე გადამწყვეტ გამოცდას, რომლითაც დადასტურდება მარდუკის გამარჯვება თიამათზე.

ბაბილონურ მითში – რელიგიასა თუ საზოგადოებაში – პატრიარქალურ და მატრიარქალურ წესწყობილებებს შორის აშკარა კონფლიქტი მიმდინარეობს – შვილები უმხედრდებიან დიად დედას. მაგრამ როგორ დაამარცხონ დედა, თუ ერთში მაინც ჯაბნის ქალი კაცებს (ქალი ბუნებამ დააჯილდოვა შექმნის უნარით). ამ მხრივ კი მამაკაცები უნაყოფონი არიან. „პენისის გამო შურიანობის" ფროიდისეულ განმარტებას, რაც ქალის ფსიქიკისათვის ბუნებრივია, შეგვიძლია დავუპირისპიროთ „შურიანობა ფეხმძიმობის გამო", რომელიც მამაკაცებს აწუხებდათ, მანამდე სანამ თავად გაბატონდებოდნენ ქალებზე.

დედაზე გამარჯვებისათვის კაცმა უნდა დაამტკიცოს, რომ ქალზე არანაკლებია და თვითონაც შეუძლია შექმნას, გააჩინოს. თუ მას არ ძალუძს გააჩინოს საშოთი, მაშინ სხვაგვარად უნდა შვას; მამაკაცი ქმნის, შობს სიტყვით, აზრით – სწორედ ეს არის გამოცდის დედააზრი; მარდუკი მხოლოდ მაშინ დაამარცხებს თიამათს, თუ დაამტკიცებს, რომ მასაც შეუძლია შექმნა, გაჩენა – თუნდაც განსხვავებული სახით. ამ გამოცდაში ქალური და მამაკაცური საწყისის ღრმა კონფლიქტი ჩანს, რომელიც საფუძვლად ედება თიამათისა და მარდუკის ორთაბრძოლას. მარდუკის გამარჯვებისთანავე დამყარდება მამაკაცთა უპირატესობა – ქალის ნაყოფიერება უფასურდება და მამაკაცთა ბატონობის ერა დგება. მამაკაცის უნარი – შექმნას აზრით, შექმნას სხვა ხერხით, კაცობრიობის ცივილიზაციის დასაწყისია".

ერიჰ ფრომი ადასტურებს მატრიარქალური და პატრიარქალური მსოფლმხედველობების შეჯახებას, საიდანაც პატრიარქატი გამარჯვებული გამოდის. ნათელია, როგორი სისასტიკით იქნა დამხობილი მატრიარქალური მბძრანებლობა, და რომ იგი არ შემოიფარგლა მარტოოდენ მამაკაცის გაბატონებით – სიმბოლოების ენაზე აქ ქალის სრული განადგურებაა აღწერილი, ანუ უმთავრესი – დედობა, ქალურობა ჩამოერთვა და სრულ არარაობამდე, უფუნქციობამდე იქნა დაყვანილი ქალი. უფრო ზუსტად კი დედობა, შვილის გაჩენის სასწაული დაემხო – სასწაული ჩვეულებრივ, უბრალო ამბავთან გაიგივდა. სასწაული ამიერიდან გონების, აზრის ნაყოფია.

ბაბილონური მითი მამაკაცების ოცნებაა, ოცნება ქალის დამხობაზე, ოცნება, რომელსაც აღსრულება არ უწერია. ბრძოლიდან, სინამდვილეში, თიამათი გამარჯვებული გამოდის, მან მეტამორფოზა განიცადა და უზენაესი ღვთაებიდან ყოვლისმომცველობაში, განსაზღვრულობიდან განუსაზღვრელში, ცა და დედამიწაში გადავიდა. იერარქიულადაც მაღლაც და დაბლაც თავად ბატონობს. აზროვნება, გონება პატრიარქატის უპირველესი ჰიპოსტასია, და თიამათი თვით პატრიარქატის წმიდათაწმიდა საუფლოსაც ეპატრონება, რასაც, მოგვიანებით, ოიდიპოსის მითში თვალნათლივ, აშკარად ვხედავთ, ოიდიპოსი სფინქსს ინტელექტუალურ ბრძოლაში ადამიანურობით დაამარცხებს და გონება უკვე წმინდა მატრიარქალურ მოვლენად აღიქმება. დედობა თუნდაც დამცრობილი, ისედაც მატრიარქატს ეკუთვნოდა, ახლა პატრიარქატს ინტელექტიც ნაჰგვარეს და მის ადგილზე ადამიანი დააყენეს. ადამიანურობა კი მატრიარქატის ჰიპოსტასია – იოჰან იაკობ ბახოფენი ამბობს:

„დედობის ჯადოქრობა – სასწაულებრივი საფუძველია ყოველგვარი სათნოებისა და ყოფიერების სიკეთისა; დედობა ძალადობით აღსავსე ნუთისოფელში მართლაცდა ღვთაებრივი საწყისია სიყვარულისა, სიმშვიდისა და მშვიდობისა. საკუთარი სხეულის ნაწილის, შვილის გაზრდისას დედა კაცზე ბევრად ადრე აცნობიერებს, რომ მისი ზრუნვა, სიყვარული სცილდება საკუთარ „მეს" საზღვრებს და სხვა არსებაზე გადადის. ქალის მთელი გამომგონებლობა, რაც კი მის სულს ხელეწიფება, მიმართულია მხოლოდ იმგვარად, რომ შეინარჩუნოს შვილი და უფრო ლამაზი, უკეთესი გახადოს ბავშვის ცხოვრება. თვით ახლაც კი, მისგან, დედობრიობისგან მომდინარეობს ყოველგვარი ამაღლება კულტურისა, თავგანწირვა, ზრუნვა და დატირება. დედობრივი სიყვარული არა მარტო ლმობიერია, არამედ უფრო ფართოა და საყოველთაო. თუკი მამობრივი სიყვარული შეზღუდულია, დედობრივი ყოვლისმომცველია, მატრიარქალური საზოგადოება საყოველთაო თავისუფლებასა და თანასწორობაზეა აგებული, მატრიარქალური კულტურა გამსჭვალულია სილბოთი და ადამიანურობით".

ერიჰ ფრომი სავსებით ეთანმხება ბახოფენს და ორი სამყაროს დაპირისპირებით სურს თითოეულის სახე აღწეროს:

„პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ადამიანის დაწესებული კანონების დაცვა, რაციონალური აზროვნების უპირატესობა, ადამიანის მისწრაფება – შეცვალოს ბუნება. ამ სიბრტყეზე პატრიარქალური კულტურა მატრიარქატზე მაღლა დგას, მაგრამ სხვა განზომილებებში. მატრიარქალური წყობა უფრო მაღლა იდგა, ვიდრე გამარჯვებული პატრიარქატი. მატრიარქალური თვალსანიერიდან ყველა ადამიანი თანასწორია, ვინაიდან თითოეული მათგანი დედამიწის შვილია. დედას ერთნაირად და უპირობოდ უყვარს ყველა შვილი. დედას მხოლოდ იმიტომ უყვარს, რომ მისი შვილები არიან და არა რაიმე დამსახურების, ან მიღწევებისათვის. მატრიარქალური კულტურის მიზანი ადამიანთა ბედნიერებაა და არაფერია ადამიანის არსებობაზე უფრო მნიშვნელოვანი".

როგორც ვხედავთ, ბახოფენიც და ფრომიც ერთნაირად ახასიათებენ მატრიარქატს, სადაც მთავარია სიყვარული, გრძნობა და ადამიანი. მაგრამ ფრომიც და ბახოფენიც მატრიარქატს განვლილ ეტაპად განიხილავენ, წარსულში მოიხსენიებენ და პატრიარქატს უფრო მაღალ საფეხურად წარმოადგენენ. ფრომი პირდაპირ ამბობს, მარდუკის ჯადოსნობიდან იწყება ცივილიზაციაო. ბახოფენი და ფრომი ოიდიპოსის მითზე დაყრდნობით ამტკიცებენ მატრიარქატისა და პატრიარქატის ჭიდილს – მატრიარქატის დამარცხებას და ოიდიპოსს ამ თვალსაზრისის ქვაკუთხედად წარმოგვიდგენენ. ერიჰ ფრომმა, ოიდიპოსის მითის განხილვისას სოფოკლეს ტრილოგიაზე – „ოიდიპოს მეფე", „ოიდიპოსი კოლონოსში", „ანტიგონე",– ააგო თავისი მთავარი იდეა. მათზე მსჯელობისას სამივე პიესას ერთობლიობაში აქცევს, ვინაი-

დან მიაჩნია, რომ ამ თხზულებებს მთავარი, ერთი ღერძი აერთიანებთ – სწრაფვა ძალაუფლებისაკენ, ანუ მატრიარქატისა და პატრიარქატის ბრძოლა პირველობისთვის, რომელიც მამების და შვილების წინააღმდეგობებით იწყება და ვითარდება. „ოიდიპოს მეფეში" ოიდიპოსი და ლაიოსი უპირისპირდებიან ერთმანეთს; „ოიდიპოსი კოლონოსში" ოიდიპოსის შვილების პოლინიკესა და ეთეოკლეს ტახტისთვის ბრძოლაზე გვიყვება; „ანტიგონეში" უფრო მძაფრადაა ასახული მამების და შვილების კონფლიქტი – ჰემონი მამის – კრეონტის მოკვლავს ლამობს, და რომ ვერ შესძლებს, თავს იკლავს.

„კრეონტი, ოჯახშიც და სახელმწიფოშიც, სასტიკი ავტორიტარიზმის განსახიერებაა და სწორედ ამგვარ თვითმპყრობელობას აუჯანყდება ჰემონი. მთლიანი ტრილოგიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი მთავარი თემაა ბრძოლა მამის ძალაუფლების დასამხობად, რომლის ფესვები უხსოვარ წარსულში მიდის, იმ დროში, როცა საზოგადოებაში გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა მატრიარქალურ და პატრიარქალურ წყობებს შორის. ოიდიპოსი, ჰემონი და ანტიგონე მატრიარქალურ სამყაროს წარმოადგენენ. ისინი ამ საზოგადოებრივ-რელიგიური წყობის წინააღმდეგ გამოდიან, მაშის პრივილეგიებზე რომ არის დაფუძნებული – და რომელსაც განასახიერებენ ლაიოსი და კრეონტი".

იოკასტაც პატრიარქატის კლასიკური წარმომადგენელია. ფრომი ერთობ საინტერესოდ გვიხატავს იოკასტას ტრაგიკულ ხვედრს. მატრიარქალური სამყაროსთვის მთავარია სისხლისმიერი კავშირები, ქმარი მეორეხარისხოვანი, დაბალი რანგის მოვლენაა, პატრიარქალურისთვის კი პირველი ოჯახია, კანონზე დაფუძნებული ერთობა, სადაც ქმარი ცოლზე მაღლა დგას და ქმრის კეთილდღეობას ეწირება ყველაფერი.

ფრომი წერს: „იოკასტამ არ მოიხადა დედობრივი მოვალეობა და ქმრის გადასარჩენად შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა. ეს საქციელი პატრიარქალური საზოგადოების თვალსაზრისით კანონიერია, მაგრამ მატრიარქალური საზოგადოებისთვის და მისი ეთიკისთვის გაუმართლებელი დანაშაულია. იოკასტას დანაშაულმა საფუძველი ჩაუყარა მოვლენათა ჯაჭვს, რომელმაც საბოლოოდ იოკასტაც იმსხვერპლა, ქმარიც და შვილიც".

ფროიდისტული განმარტების საწინააღმდეგოდ ფრომი ასკვნის: „ეს მითი არ არის სიმბოლო დედისა და შვილის სისხლის აღრევის, არამედ პატრიარქალურ ოჯახში მამის წინააღმდეგ აღმდგარი შვილის პროტესტია. იოკასტას და ოიდიპოსის ქორწინება მეორადი ელემენტია. მითი სიმბოლოა შვილის გამარჯვებისა მამაზე, რომელმაც გამარჯვებასთან ერთად მამის ყველა პრივილეგია მოიპოვა".

ფრომი უფრო დაწვრილებით განიხილავს ფროიდის ჰიპოთეზას და ამკვიდრებს აზრს, რომ მითში აღწერილია არა ინცესტუალური სიყვარული, არამედ მატრიარქატის წარმომადგენლის – ოიდიპოსის გამარჯვება გაბატონებულ პატრიარქატზე, როცა ლაიოსის მოკვდინებითა და იოკასტაზე დაქორწინებით, ოიდიპოსმა მატრიარქატი ხელისუფლების სათავეში აიყვანა.

„თუ ფროიდს დავუჯერებთ, მაშინ ოიდიპოსს ჯერ უნდა ენახა იოკასტა, არ სცოდნოდა, რომ იოკასტა დედაა მისი, შეეყვარებინა და მერეღა მოეკლა მამა. ამასთანავე არც ის სცოდნოდა, რომ მამას კლავდა. მითიდან კი ვერსად ვიგებთ, რომ იოკასტამ მოხიბლა ოიდიპოსი, რომელსაც დედა შეუყვარდა. სამაგიეროდ, მითში ნათლად ჩანს, რომ ოიდიპოსს იოკასტა მეფის გვირგვინთან ერთად ეძლევა და ეს ქორწინების ერთადერთი მიზეზია".

ფრომს რომც დავეთანხმოთ და ფროიდისტული-ინცესტუალური განმარტება მცდარად ჩავთვალოთ, ეს ვერაფრით ეხმარება ფრომის იდეას, რომ მითში მოთხრობილია ძალაუფლებისთვის ბრძოლა – ოიდიპოსი მიემართებოდა ხელისუფლებისაკენ – დაამხო პატრიარქატის მბრძანებლობა და გააბატონა მატრიარქატი. ვერსად იხილავთ ოიდიპოსის სწრაფვას ძალაუფლებისკენ. მან იმიტომ კი არ მოკლა მამა, რომ ტახტისკენ მიმავალ გზაზე ეღობებოდა, ანდა დედა – იოკასტა, იმიტომ კი არ მოიყვანა ცოლად, რომ მისი მეშვეობით გამეფებულიყო, არამედ ორივე – მეფობაც და დედოფალიც თვითონვე, მარტომ, ერთდროულად მოიპოვა. მოიპოვა სფინქსის დამრაცხებით! **სწორედ სფინქსია მთავარი – სფინქსში იმალება საიდუმლო და მითის ამოცნობის გასაღები!** ოიდიპოსის მოსვლამდე ლაიოსი კი არ მეფობდა, სფინქსი მბძრანებლობდა. სფინქსი იყო სინამდვილეში ბატონი და მას ეკუთვნოდა თებეც, იოკასტაც და ულუფა ქალ-ვაჟიც. ლაიოსი დელფოსში სფინქსისგან თავის დახსნის გზას ეძიებდა, ოიდიპოსმა კი აღკვეთა პატრიარქატის მცდელობა სფინქსის დამხობისა და სწორედ დელფოსის გზაზე შემოაკვდება ლაიოსი ოიდიპოსს. თებეში ჩასული ოიდიპოსი კი „ამარცხებს" პატრიარქატის დამმონებელ მბრძანებელს.

ფრომს და ბახოფენს ირიბი თუ მეორადი მინიშნებები ამოსავალ წერტილად უქცევიათ. უმთავრესი კი ძალზე საეჭვოდ „ავინყდებათ" ფრომსაც და ბახოფენსაც, რომ **სფინქსი ქალია და მატრიარქატის უდიდესი წარმომადგენელი!**

იბადება კითხვა, ოდიპოსს, თავადვე მატრიარქატის წარმომადგენელს, როგორღა უნდა დაემარცხებინა პატრიარქატის ბატონობა. მატრიარქატის მთელი ცინიზმი, შურისძიებით ნეტარება და პატრიარქატის მასხრად აგდება, სწორედ სფინქსისა და ოიდიპოსის ვითომდა „ორთაბრძოლაში" მეღავნდება. აქ ვხედავთ მატრიარქატის ორი წარმომადგენლის არა

ბრძოლას, არამედ შენაცვლებას, ანუ მატრიარქატის შიგნით გარიგებას. ვისაც უნახავს ძველბერძნული ამფორები და ვაზები სფინქსისა და ოიდიპოსის გამოსახულებებით, გაოგნდება, ვინაიდან ეს არის ორი გულითადი მეგობრის, ან შეთქმულის მუსაიფი და არა ურჩხულისა და მისი მძლეველი რაინდის შერკინება, თუმც ეს ურჩხული – სფინქსი ახალგაზრდა მზეთუნახავი ქალია. უნებურად ნამოტივტივდება ბაბილონური მითი – მამაკაცურმა ღვთაებებმა რომ „დამარცხებული დედობის სასნაულის იმიტაცია გაითამაშეს და „დაამარცხეს" მატრიარქატი, ასევე ოიდიპოსმა და სფინქსმა ინტელექტუალური ბრძოლა გაითამაშეს. სფინქსი უბრალოდ ელოდა შემცვლელს და მათი პაროლი გამოცანა იყო. გამოცანა სფინქსს მუზებმა გაანდეს, მუზები კი ალმაფრენის, ფანტაზიის, შეგრძნებების ქალღმერთები არიან, ანუ იმ სამყაროს ღვთაებები, რომელსაც ოიდიპოსი და სფინქსი განასახიერებენ, ამიტომ არის, რომ პასუხი კითხვაზე ოიდიპოსმა და სფინქსმა იციან. ადამიანურობა ყველაზე უკეთ მატრიარქატის წარმომადგენლებმა უწყიან და განიცდიან. ოიდიპოსი რომ სფინქსის – მატრიარქატის გზის გამგრძელებელია, ადასტურებს თებეში გაჩენილი ჭირი, რომელიც ოიდიპოსისი გამოისობით სფინქსზე არანაკლები გახელებით ნთქავდა ქალაქის მცხოვრებლებს.

სფინქსი ხმაურით ინთქმება უფსკრულში; ოიდიპოსი ყველასგან უარყოფილი, პატივაყრილი და მიუსაფარი გადადის სულთა საუფლოში; ანტიგონე, ჰემონი და ევრიდიკე ტრაგიკულად იღუპებიან, რაც, ბუნებრივია, იწვევს კითხვას – თუკი მატრიარქატი გამარჯვებული, უძლეველი და მარადიულია, მაშინ მისი უსაჩინოესი შვილები რატომღა იღუპებიან და რატომ რჩება ცოცხალი კრეონტი – განსახიერება პატრიარქატის ტირანიისა? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კრეონტი მკვდარია, მკვდარია თავად პატრიარქატისთვის, ვინაიდან პატრიარქატის მთავარი და უმაღლესი ჰიპოსტასი – ოჯახი – დაინგრა, ჰემონი მოკვდა, ევრიდიკემ თავი მოიკლა. ვის ზეღა იმეუფოს მამა-ბატონმა? კრეონტმა სასტიკი დამარცხება სწორედ პატრიარქატის ბასტიონში – ოჯახში – იგემა, ხოლო მარტრიარქატის ძლევამოსილება იქ ჩანს, როცა მეორეხარისხოვანი, ან მოვლითი კი არა, პირდაპირი და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა პატრიარქატს. მატრიარქატს ახალ-ახალი გამარჯვებები სწყურია, ვინაიდან სხვანაირად იგი მოკვდება. პარადოქსია, მაგრამ საგანგებოდ ისეთებს ირჩევს მატრიარქატი, რომელნიც თითქოსდა თავისთავად, დასაწყისშივე არიან დამარცხებისათვის განწირულნი. პარადქოსის თავისებურება და იდეა ემსახურება იმ მიზანს, რათა ყველას განუმტკიცოს რწმენა თავისი ყოვლისშემძლეობისა. მატრიარქატი ამკვიდრებს აზრს, რომ ადამიანი, მიუხედავად მისი ბედისწერისა, მომხიბვლელია, დიდებულია სწორედ თავისი ადამიანურობით და არა გონებით, სიმართლით ან კარგი ფიზიკებით. „რა უბადრუკი იქნებოდა ოიდიპოსი, სასამართლოზე და რა დიდებულია სცენაზე". მიუხედავად ყველაზე პირუთვნელი სამსჯავროსი, თუ სამართლიანი კანონებისა, რაგინდ საღად აზროვნებდეს საზოგადოება, მისი ვერდიქტი არ შეიძლება ჭეშმარიტებად მოინათლოს. ჭეშმარიტება ცალკეულ ინდივიდშია, ადამიანში. ოიდიპოსი მისნისგან იგებს წინასწარმეტყველებას, რომ არამცთუ მხოლოდ თვითონ, მისი მოდგმაც კი დაწყევლილია ღმერთების მიერ და ხალხში, საზოგადოებაში მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს გამოიწვევს. სწორედ ამაზე ამაღლდნენ ოიდიპოსიც და მისი შთამომავალნიც, თუ ბედისწერას ვერ გაექცნენ, ზიზღისა და სიძულვილის მაგიერ აღტაცება, სიყვარული, თანაგრძნობა დაიმსახურეს.

ფრომი და ბახოფენი მართებულად უწოდებენ მატრიარქატს ადამიანურს. ფრომი ოიდიპოსის პასუხის თანახმად თავადვე განმარტავს, რომ „ყველაზე ძნელ კითხვას მხოლოდ ადამიანმა შეიძლება უპასუხოს". მაგრამ ადამიანურია, როგორც სიყვარული, ასევე სიძულვილი, ღალატი, შური და სიმხდალე. შეუძლებელია დაეთანხმო ფრომს და ბახოფენს, როდესაც მატრიარქატს ლმობიერს, ბედნიერების სავანეს უწოდებენ. მატრიარქატი – სასტიკია, დაუნდობელი და მძვინვარე. პირადი ბედნიერების მისაღწევად არათუ მეტოქის, სრულიად უდანაშაულო, უმწეო ადამიანების განადგურებაზეც არ იხევს უკან. მატრიარქატი-გრძნობა-ქალი თავისი ბუნებით ვამპირია და, არცთუ იშვიათად, მსხვერპლს თავადვე შობს ხოლმე. ქალს ვნებების მოძალებისას თვითგანადგურება, საკუთარი თავის მოსპობაც შეუძლია, მისთვის წამიერი ვნება, გრძნობა მარადიულობის ტოლფასია. თუ ფრომისა და ბახოფენისეულ დასკვნებს დავუჯერებთ, მედეა პატრიარქატის წარმომადგენელია, ვინაიდან დაარღვევს მატრიარქატის ფრომი-ბახოფენისეულ ჰიპოსტასს – არაფრად ულირს სისხლისმიერი ერთობა და ღვიძლ შვილებს ერთიმეორეს დააკლავს. არადა, მედეაში წვეთიც არ არის პატრიარქალური, ტერფით თხემამდე ქალი იყურება, ქალი, რომელმაც შვილები დაუხოცა იაზონს, რადგან სიყვარულის, გრძნობის, ვნების გარდა ყველაფერი არარაობაა. მედეა გათანგულია ყველაზე ადამიანური გრძნობებით – ეჭვით, სიყვარულით, მეტოქის სიძულვილით. მას მხოლოდ შურისძიება ამოძრავებს. მას არც ქმრის გადარჩენა ამოძრავებდა და არც სიყვარულისა. იცოდა, ამ გზით, შვილების დახოცვით, ვერასოდეს დაიბრუნებდა იაზონს, მაგრამ გრძნობით შეპყრობილს მხოლოდ ერთი – იაზონის გამწარებაღა ამოძრავებს, ანუ იაზონში ადამიანური გრძნობების, ადამიანის გაღვიძება სურს. მხოლოდ ადამიანურობას ძალუძს იაზონისა და მედეას

ერთობის გახანგრძლივება და მარადიულობაში გადასვლა. იაზონის შენარჩუნება უკვე სხვა ფორმით, ბავშვების სისხლითღა შეიძლება და მხოლოდ ენით აუწერელი ტკივილი და ტრაგედია აახლოვებს განშორებულ ადამიანებს. მედეასა და იაზონს ამიერიდან ვერავინ და ვერაფერი დააცილებს, მათი კავშირი ბავშვების სისხლს შეუდუღაბებია. შვილების დახოცვისას არის დიდებული მედეა და უსაჩინოესი შვილი მატრიარქატისა.

ადამიანს ეშინია სიმართლეს ჩახედოს თვალებში, ეშინია აღიარება, რომ გრძნობა მთავარია ადამიანისათვის. თუკი ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა თავის გრძნობებს სრული გასაქანი მისცეს, ბუნებრივია ეზიზღება იგი და თავგამოდებით აძაგებს განცდებს, თუ აქვს ამის შესაძლებლობა, პირიქით, ცდილობს მოთოკოს, მოახრჩოს და გაანადგუროს. ეს მაზოხიზმი კი არა, შიშია, შიში თავისუფლებისა. ისე გაითავისა ადამიანმა მონობა, ისე ეძნელება მასთან განშორება, რომ თანახმაა არარაობად, კაცუნად იქცეს. თავისუფლება ხომ ნეტარებასთან და ბედნიერებასთან ერთად აუწერელი ტანჯვაცაა. საზოგადოების სამსჯავრო, აი, უპირველესი მტერი ადამიანისა, რომელიც დამოკლეს მახვილივით დასცქერის თავისუფლებას. თუმც, იგივე საზოგადოება ინტუიტურად კეთილგანწყობილია, აღფრთოვანებულია და სულის სიღრმეში ეთაყვანება კიდეც ადამიანურობას, ეგ არის, იმის ხმამაღლა აღიარება არ ძალუძს, რომ მატრიარქატი თავისუფლებაა, პატრიარქატი – მონობა და გაჩენის დღიდან ამ დილემის ირგვლივ ტრიალებს.

ოიდიპოსი სიმბოლოა ადამიანის თავისუფლებისა და უპირველესად – ადამიანურობისა.

„მხოლოდ და მხოლოდ ოცნებას შეუძლია გვაიძულოს, ვიბრძოლოთ და გვინდოდეს ცხოვრება"– ეს უაღრესად მატრიარქალური სიტყვები მეოცე საუკუნეში თქვა იუჯინ ო. ნილმა. ოცნება, სევდა, სიმარტოვე ადამიანურობის ის უმაღლესი გამოვლინებებია, უფრო ნათელს, ხელშესახებს, საცნაურს რომ ხდის მატრიარქატის მარადიულობას. მითებში თუ მხოლოდ კონტურებია მატრიარქატის-გრძნობის-ადამიანის ბატონობისა – განვლილმა დრომ უფრო გაამძაფრა, გაამრავალფეროვნა, გამოკვეთა და თვალშისაცემი გახადა შიდამატრიარქალური ვნებების შეჯახება – კონფლიქტი, როცა პატრიარქალურ აზროვნებას აღარ ებრძვიან, რადგან იგი დიდი ხანია მატრიარქატის სამსახურშია – უკვე მატრიარქატის წარმომადგენლები უპირისპირდებიან და მთელი სისასტიკით ანადგურებენ ერთმანეთს.

ო. ნილის დრამა – „სიყვარული თელებს ქვეშ"– მოგვითხრობს სიყვარულის ყოვლისწამლეკავ ძალაზე, როდესაც გრძნობა აღემატება ყოველივეს – კვდება წარსული, ინგრევა მომავალი, ემხობა გუშინდელი სიწმინდეები და რჩება მხოლოდ ვნება – სიყვარული, წამიერი ბედნიერება, როცა ადამიანები გაელვებას, წამს ანაცვალებენ ყველაფერს, ოღონდაც ადამიანებად იგრძნონ თავი.

„ღმერთო რა სილამაზეა!" – პიესა სწორედ ამ სიტყვებით იწყება და ებინი, რომელიც ამ პირქუშ, შემზარავ სამყაროში მხოლოდ ბუნებასღა ეტრფის, მალე თავადვე ხდება ყველაზე მშვენიერი, ლამაზი და დიდებული. ტრაგედია, ერთი შეხედვით, პატრიარქალურ გარემოში, ფერმაში თამაშდება, სადაც მამა-კებოტი განუსაზღვრელად ბატონობს და ტირანისა და ტირანიის კლასიკური განსახიერებაა. და როდესაც მამის სიკვდილს ნატრულობს ყველა – კებოტის შვილები პიტერი და სიმეონი, რომელთაც ადამიანურობა ბუნდოვნადღა ახსოვთ, მხოლოდ იმასღა მიელტვიან, გააღწიონ თავი ამ ფერმიდან და თუნდაც მიუსავლეთში გადაიხვეწონ. მათ ჰგონიათ, რომ მამის დამთრგუნველი გავლენა ღუპავთ და იმდენს ვერ ხვდებიან, ამ სულიერებისგან, ადამიანურობისგან დაცლილ კედლებში მხოლოდ კებოტია ის ძალა, ადამიანურობის ნაპერწკლებს, მბჟუტავ ნაკვერჩხლებს რომ აღვივებს. კებოტი არნახული ფიზიკური ძალით კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ იმით, რომ მისთვის ასაკი, ოჯახური ბორკილები თუ საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს და მუდმივად სიყვარულს ეძებს. კებოტს სიმარტოვე ღმერთმა მიუსაჯა და მისი ტრაგედია მისსავე სიმარტოვეშია. მას ქალი – ცოლი კი არ უნდოდა სახლში, – ქალი რომ სდომებოდა, წინა ცოლებს სიკვდილის პირამდე არ მიიყვანდა – სიმარტოვის დაძლევა სურდა და იმედოვნებოდა, რომ სიყვარულის მეოხებით მოიპოვებდა სულიერ სიმშვიდეს. კებოტი თავად ამბობს: „ოცი წელი ვიცხოვრე ქალთან, რომელსაც ჩემი არ ესმოდა. კარგი ცოლი იყო, მუხლჩაუხრელად მუშაობდა, მაგრამ რისთვის მუშაობდა, ის არ ესმოდა. მე ყოველთვის მარტო ვიყავი. ცოლი რომ მომიკვდა, ნაკლებად ვგრძნობდი სიმარტოვეს (პაუზა). დროის სათვალავი ამერია – აღარ შემეძლო მეთვალა წლები. სემი და პიტერი მეხმარებოდნენ. ფერმა უფრო და უფრო იზრდებოდა, ფერმა მე მეკუთვნოდა, მხოლოდ მე როცა ფერმაზე ვფიქრობდი, სიმარტოვეს ვეღარ ვგრძნობდი, მაგრამ ერთი და იგივეზე მუდმივად ფიქრი ხომ არ შეიძლება. (პაუზა) მეორედ დავქორწინდი – ცოლმა ებინი გამიჩინა. ცოლეურმა დავა დამიწყო ფერმაზე, ჩემს ფერმაზე. აი, რატომ იწყებს ებინი სულელურ ბოდვას, თითქოსდა ფერმა დედამისს ეკუთვნოდა. სისულელეა. მეორე ცოლი ლამაზი ქალი იყო, მაგრამ რბილი, მასაც არ ესმოდა ჩემი. ის ცდილობდა ძლიერი გამხდარიყო, მაგრამ არ გამოუვიდა. მასთან უფრო ვგრძნობდი სიმარტოვეს".

ებინი, სიმეონისა და პიტერის ნახევარძმა, ხვდება, რომ მხოლოდ აქ, ფერმაშია ერთადერთი ხსნა და გაადამიანურება – ტანჯვაში, სიძულვილში, სიყვარულში. სწორედ ეს აფიქრე-

ბინებს ყველას — თუ რა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ებინი კებოტს, და რომ ერთ მშვენიერ დღეს ყელებს გამოსჭრიან ერთმანეთს. დიახ, ორი ადამიანისთვის ნამდვილად ვიწროა ფერმა და მითუმეტეს, როცა მეტოქეებად აღიქვამენ ერთმანეთს. კებოტს, მხოლოდ მას, ერთს შეუძლია გადაწყვეტილების მიღება და აღსრულება, მაგრამ საკმარისია მატრიარქატის უდიდესმა წარმომადგენელმა — აბიმ, ებინის დედინაცვალმა და კებოტის მორიგმა მეუღლემ, შემოაბიჯოს სახლში, რომ კებოტის გადაწყვეტილებები არარაობად იქცევა. კებოტი დამდაბლდა, უფრო სწორედ აბი და ებინი ამაღლდნენ, თუმცა არავინ იცის, კებოტი უფრო ამაღლდა თავისი სიმარტოვით, თუ აბი და ებინი შემზარავი ტრაგიზმით.

პიესაში ფერმა საჯილდაო ქვად ქცეულა. მამისთვის ფერმა სიმარტოვისგან თავის დაცვა და იმედისა და სიძლიერის განსახიერებაა, ძმებისთვის მემკვიდრეობითი წილი, რომლის მეშვეობითაც თავისუფლებას მოიპოვებენ. ებინისთვის ფერმა დედა-წარსული, აწმყო, მომავალი — ყველაფერი. მისი მეშვეობით სულდგმულობს და არსებობს. ფერმა ებინისთვის მისტიკურ-ირეალური ცნებაა, აბისთვის — საშუალება, რათა ჯერ ადგილი მოიპოვოს სასიცოცხლო სივრცეში, მერმე კი გაბატონდეს.

მატრიარქატი აბის გაბატონების სურვილს სიყვარულით — ახალი, მატრიარქალური სიმაღლით შეცვლის, რათა უფრო გაამძაფროს ბრძოლა-ჭიდილი. მატრიარქატს რაღაც არნახული, გაუგონარი აქტი ესაჭიროება, რათა ცრემლი მოჰგვაროს კაცობრიობას და ადამიანურობის გაღვიძებით მოიპოვოს გამარჯვება. ებინს სანამ სიყვარული ეწვეოდა, ერთობ უმნიშვნელო სურვილი წვავდა — კებოტის დამხობა და შურისძიება ეწადა, მაგრამ საკმარისია მასში ყველაზე ადამიანური გრძნობა — სიყვარული დაიბადოს და იგი უფრო დიადი ვნებით განიმსჭვალება და მოღალატედ გარდაიქმნება, თითქოსდა დამთავრდა ყველაფერი — კებოტს რქები დაადგეს, გრძნობა ბატონობს, სიყვარული დაიბადა ამ რუხ კედლებში — მატრიარქატმა გაიმარჯვა. მაგრამ არა! შვილი მამას კი არა, მას ღალატობს, ვისაც მთელი ცხოვრება შესწირა, რითიც სულდგმულობდა და აზრი გააჩნდა მის სიცოცხლეს — ებინი **დედას ღალატობს**. ებინი იმ დროზე ოცნებობდა, მამაზე რომ შურს იძიებდა და დედას მოასვენებდა — გაახარებდა, მაგრამ სიყვარული წარმოუდგენელ საქციელს ჩაადენინებს — ებინი დედას მოკლავს, ანუ დაივიწყებს, უღალატებს. სანამ ებინისთვის ფერმაა ყველაფერი, მანამდეა დედა ცოცხალი. აი, აქ ვხედავთ შიდამატრიარქალურ კონფლიქტს.

დრამა ინცესტუალურ სიყვარულზე მოგვითხრობს, როდესაც დედინაცვლისა და გერის სიყვარულის მიღმა, დედისა და შვილის სიყვარული სუფევს. ინცესტუალური სიყვარული ერიჰ ფრომისავე განმარტებით, სრულიადაცარ ნიშნავს მხოლოდ ფროიდისეულ სექსუალურ-ლტოლვას. იგი უფრო ფართო ცნებაა და ყოველ-სმომცველი, ანუ ნოსტალგიაა ჰარმონიაზე. სიმშვიდეზე და დაკარგულ სამოთხეზე. ერიჰ ფრომი წერს:

„ბავშვის გენიტალურამდელი „ინცესტუალური ლტოლვა დედისადმი ერთ-ერთი ფუნდამენტალური ვნებაა, როგორც მამაკაცისა, ასევე ქალისა. და ეს ლტოლვა სევდაში გამოხატული სურვილია — დაიკმაყოფილოს ნარცისიზმი, იყოს დაცული საფრთხეთაგან; სევდაა, რათა გაექცეს პასუხისმგებლობის რისკს, თავისუფლებას და საკუთარი თავის შეცნობას. მისი სურვილია — იგი უყვარდეთ უპირობოდ, მისგან დამოუკიდებლად — საპასუხო სიყვარულის გარეშე შეიყვარონ. ბუნებრივია, ასეთი მოთხოვნილებები, როგორც წესი, ყველა ბავშვს აქვს. და სწორედ დედაა ის ადამიანი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს".

სწორედ, შვილისა და გარდაცვლილი დედის ინცესტუალურ სიყვარულზე გვიყვება ო. ნილი, როდესაც ამ სიყვარულში შეიჭრება ცოცხალი ადამიანი — დედინაცვალი, რათა განდევნოს მეტოქე — მიჯნურის დედა და თავად დაიკავოს მისი ადგილი. „სიყვარული თელებქვეშ" კლასიკური ნიმუშია შიდამატრიარქალური დაპირისპირებისა და დედისა და სატრფოს — დედინაცვლის მძვინვარე შებრძოლებისა. ფერმა-დედა ინცესტუალური სიყვარულის სახით უპირისპირდება ქალ-ვაჟის სიყვარულს. ეჭვი, რომ აბი ფერმის ხელში ჩაგდებისათვის და არა სიყვარულით აჩენს მემკვიდრეს, მუდმივად იარსებებს. აბი ქმრის ღალატით კებოტს კი არა, დედას უპირისპირდება. აბი და ებინი მწარედ ცდებიან და გულუბრყვილოდ ჰგონიათ, რომ თავიანთი სიყვარულით განდევნეს დედა, მის ოთახსაც დაეპატრონნენ და ბედნიერნი იქნებიან მუდამ. ებინს ჰგონია დედის გულიც მოიგო და შურიც იძია მამაზე.

იოკასტა შვილს ქმრის გადასარჩენად იმეტებს სასიკვდილოდ; დედა-ფერმა დედაშვილობის გადასარჩენად შვილს და შვილიშვილს სწირავს. აბი კი შვილს სიყვარულის მოსაპოვებლად კლავს. ფერმა-დედა ებრძვის და ეწინააღმდეგება მათ სიყვარულს — დედამ ეჭვი, საშინელი ეჭვი ჩათესა ებინის გულში. ეჭვის განდევნა კი მხოლოდ უაღრესად შთამბეჭდავი, გამაოგნებელი აქტითაა შესაძლებელი. აბიმ ისეთი ნაბიჯი უნდა გადადგას, რომ ფერმა საერთოდ გაქრეს ებინის ცნობიერებიდან და მხოლოდ სიყვარული ასულდგმულებდეს. თავი და თავი მაინც დედაა — იგი აიძულებს ებინს, ებინი აიძულებს აბის ჯერ აბიმ უნდა განიცადოს შვილის დაკარგვის სიმწარე. მართალია, დედა აიძულებს მეტოქეს გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ არჩევანი მაინც აბის ეკუთვნის და სწორედ არჩევანითვეა თავისუფალი

აბი – ან შვილი, ან ებინი. აი, ამ არჩევანის წინაშე დგას აბი. და საერთოდ, თუკი არჩევანი ჰქვია აბის გადაწყვეტილებას; შვილის უყოყმანოდ მოკვდინება, ანუ დედა-ფერმის დამარცხება, აბის სიყვარულის სიდიადეა. სიცოცხლე, ღირსება, შვილი – რა უბადრუკი და არაფრისმთქმელი სიტყვებია აბის სიყვარულის წინაშე.

აბიმ შვილის მოგუდვით მოიპოვა ებინი. აბი რომ მთლიანად იპყრობს ებინს, სწორედ ამითვე ეპატრონება ფერმას-კერიას, ვინაიდან ფერმას მნიშვნელობას ებინის პიროვნება ანიჭებს. აბის სიყვარული შთანთქავს ებინსაც და ფერმასაც, მაგრამ აბიმ ბავშვის მკვლელობით არჩევანის საშუალება მისცა ებინს და ებინიც თვითონვე ირჩევს მარადიულ ნეტარებაში გადასვლას, როდესაც თავადაც დაიბრალებს მკვლელობაში მონაწილეობას. ებინი ამ წამიდან თავისუფალია, ბედნიერია, მატრიარქატის ღირსეული შვილია. ინცესტუალური სიყვარული პასუხისმგებლობას, თავის შეცნობას არიდებდა და ერთგვარ სიმშვიდეს უქადდა, მაგრამ უმთავრესს – თავისუფლებას ართმევდა ებინს. აბის სიყვარულმა კი ყველაზე დიდი – ადამიანური გრძნობა დაბადა ებინში – თავისუფლება. თავისუფლება კი მხოლოდ სიყვარულს – გრძნობას, ადამიანურობას ხელეწიფება. აბი და ებინი სიყვარულის არელაში ორნი რჩებიან, მათთვის აღარაფერი არსებობს – აღარც დედა-ფერმა, აღარც საზოგადოება, აღარც შვილი და არც კებოტი. კებოტი კი... კებოტის სიდიადე კიდევ ერთხელ გაიჟღერებს ამბის მინურულს – კებოტს დაასწრეს აბიმ და ებინმა, თორემ თავადაც არანაკლებ ამაღლებულ აქტს აღასრულებდა, თუმცა აღასრულა კიდეც, სულიერთაგან მარტოოდენ კებოტი გაუგებს, უთანაგრძნობს და გულის სიღრმეში ეთაყვანება კიდეც ებინსა და მოღალატე ცოლს.

მატრიარქატის ძლევამოსილება და სისასტიკე მთელი სიმძლავრით წამოიმართება, როდესაც აქვითინებული ადამის მოდგმა აბის და ებინს სახრჩობელისკენ მიაცილებს – ეს არის ადამიანის დიდებულება, ადამიანურობის სიამაყე და ამასთანავე შემზარავი, კურნჩხვადქცეული ტკივილი და ტრაგედია.

მატრიარქატი ყოველთვის ხაზს უსვამს მატრიარქალური აზროვნების უპირატესობას და ამის დასამტკიცებლად ცინიზმს არ ერიდება. მატრიარქატი ყოველგვარი მორცხვობის გარეშე აშიშვლებს ქალის ბუნებას და თუნდაც უზნეო, ამორალურ, მაგრამ, რაც მთავარია, წრფელ ქალურობას ნიშნისმოგებით უკრავს კვერს. ამის თვალსაჩინო ნიმუში ორი ფრანგული ზღაპარია – „წითელქუდა" და „ლურჯწვერა". ერიჰ ფრომი „წითელქუდას" ოიდიპოსისა და ბაბილონური მითის გაგრძელებად, პატრიარქატსა და მატრიარქატს შორის არსებულ კონფლიქტად მიიჩნევს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ზღაპარში მატრიარქატს რჩება გამარჯვება.

„ამ ზღაპარში სიმბოლოთა უმრავლესობა იოლი ასახსნელია – „ხავერდის წითელი ქუდი" მენსტრუაციის სიმბოლოა – პატარა გოგონა, – ვის თავგადასავალსაც გვიყვება შეზღაპრე, – ზრდასრულ ქალად წარმოგვიდგება და სექსუალურ პრობლემებს აწყდება.

აშკარაა, რომ „გზიდან ტყეში არ გადაუხვიო", რათა „არ დაეცე და ბოთლი არ გატეხო" – გაფრთხილებაა, თუ რა საშიშია სექსუალური კავშირი და უმანკოების დაკარგვა. გოგონას დანახვაზე მგელს სექსუალური მადა გაეხსნება და გოგონა რომ აცთუნოს, სთავაზობს „ირგვლივ მიმოიხედოს", მოუსმინოს ჩიტების გალობას. წითელქუდა თვალს ახელს და მგლის დარიგებისამებრ „ღრმად და ღრმად შედის ტყეში". ამასთან წითელქუდა თავის საქციელს საინტერესო და რაციონალურ ახსნას მოუძებნის, – ფიქრობს, რომ გაახარებს ბებიას, თუკი ყვავილებს მიუტანს.

მაგრამ ზნეობრიობის პირდაპირი გზიდან გადახვევისათვის გოგონა სასტიკად ისჯება – ბებიის როლში მოვლენილმა მგელმა გადაყლაპა უდანაშაულო წითელქუდა, გამოძღა და დაიძინა.

თითქოსდა, ზღაპარში, ამ მომენტამდე ერთი მარტივი მორალია წარმოდგენილი – სექსუალური ურთიერთობები სახიფათოა. სინამდვილეში კი, ყველაფერი ერთობ რთულადაა – როგორია მამაკაცის როლი და როგორაა ნაჩვენები სექსუალური კავშირები.

მამაკაცი ნაჩვენებია ვერაგი და დაუნდობელი ცხოველის სახით, სექსუალური აქტი კი კაციჭამიობადაა აღწერილი – როცა მამაკაცი ჭამს ქალს. ქალები, რომელთაც მოსწონთ მამაკაცები და სიამოვნებას ღებულობენ სექსუალური კავშირით, არ ეთანხმებიან ამგვარ ახსნას. ასეთი მიდგომა სექსისადმი და მამაკაცებისადმი, შეურიგებელ მტრობას ასახავს. ზიზღი და მტრობა მამაკაცებისადმი უფრო მძაფრად ზღაპრის დასასრულში გაიჟღერებს. აქ, ისევე როგორც ბაბილონურ მითში ხაზგასმულია ქალის უპირატესობა – იყოლიოს ბავშვი. რა უნდა მოხდეს, რომ მგელი სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდეს? ზღაპარში ჩანს – თუ როგორ ცდილობს მგელი ფეხმძიმე ქალის განსახიერებას, რომელსაც მუცელში ცოცხალი არსებები ჰყავს. წითელქუდა მგელს ქვებით, უნაყოფობის სიმბოლოთი ამოუვსებს სტომაქს – მგელი მარცხს განიცდის და კვდება, დანაშაულის შესატყვისად, უძველესი ადათით ისჯება. მას ქვები შეინირავენ, ანუ უნაყოფობის სიმბოლო შთანთქავს და ამით დასცინიან მგლის პრეტენზიას ფეხმძიმობაზე.

ამ ზღაპარში სამი თაობის ქალები არიან მთავარი გმირები, და ქალისა და მამაკაცის კონფლიქტია მოთხრობილი (მონადირე პირობითი სახეა მამისა, რომელსაც რეალური მნიშვნელობა არ გააჩნია). აქ მამაკაცების მძულვარებით შეპყრობილი ქალების გამარჯვების

ისტორიაა გადმოცემული და ეს ისტორია ქალის გამარჯვებით მთავრდება".

„წითელქუდამ არ იცოდა, რა ცუდი იყო მგელი და არ შეშინებია".

„წითელქუდას" შარლ პეროსეულ ვარიანტში მგელს – ნათლიმამა ჰქვია, ანუ მშვენივრად იცნობდა გოგონა მგელს; ხალხურ ზღაპარში კი წითელქუდა და მგელი ძველი ნაცნობებივით ესალმებიან და პირდაპირ სახელებით მიმართავენ ერთმანეთს:

– გამარჯობა, წითელქუდა, – უთხრა მგელმა.

– გამარჯობა, მგელო!

დიახ, არ შეშინებია წითელქუდას და ბრწყინვალედაც თამაშობს უმანკოების, მიამიტობის განსახიერებას. თუმც, ხანდახან ვნება ეძალება გოგონას, ენა წინ უსწრებს და მგელს, შეკითხვაზე – თუ საით გაუწევია, ისე დაწვრილებით ჩაუკენჭავს და მიასნავლის ბებიის სახლს, თითქოსდა ეშინია, მგელს გზა არ აერიოს.

ზღაპარი „წითელქუდა" ქალის თავისუფლებაზე გვიყვება – ქალი რომ კაცს ნებდება, თავისუფლებას კარგავს და წითელქუდა-ქალი მანამდეა თავისუფალი, სანამ კაცს-მგელს ჩაუწვება. ამიერიდან, მათ უკვე ორმხრივი პასუხისმგებლობა და ვალდებულებები აქვთ – მამაკაცს ყოველთვის ჰგონია, რომ ქალი მას ეკუთვნის, მისი საკუთრებაა – საკუთრებას კი დაცვა-მოფრთხილება ესაჭიროება და მამაკაცი ქალის თავისუფლებას შთანთქავს – ჭამს. ეს კი მისი ბრალი სრულიად არ არის – უხსოვარი დროიდან, ისტორიულადაა ჩამოყალიბებული ქალისა და კაცის ამგვარი ურთიერთობა – უფრო ზუსტად კი, მამაკაცის სურვილი ამგვარი ურთიერთობისა. მგელი წითელქუდას აფრთხილებს კიდეც და თან ერთგულების ფიცს დებს – სექსუალური აქტის წინ, ალერსისას – სექსუალური თამაშებისას პირდაპირ ეუბნება წითელქუდას, რომ დიდი თვალების მეშვეობით კარგად შეისწავლის ქალს და მუდამ მხედველობის არეში – კონტროლის ქვეშ ეყოლება; დიდი ხელები ბორკილების სიმბოლოა; დიდი კბილები ის იარაღია, რომლითაც დაიცავს ქალს და აღასრულებს ყველა მიზანს. წითელქუდა გატაცებულია, ვნებას ჰყავს ატანილი – ოღონდაც აღისრულოს საწადელი, ოღონდაც დაიცხროს გრძნობა-ვნებანი და ყველაფერზე თანახმაა. წამიერი, გრძნობისმიერი, ადამიანური სურვილის დაკმაყოფილება – აი, კიდევ ერთი ჰიპოსტასი მატრიარქატისა. გაივლის წამი, გამოფხიზლდება წითელქუდა და ხედავს, რომ უმთავრესი – თავისუფლება დაკარგა, მაგრამ წითელქუდამ იცის გამოსავალი, როგორ დაიბრუნოს თავისუფლება – ისევ და ისევ მამაკაცის მეშვეობით. ერიჰ ფრომის ათვალწუნებული მონადირე ერთობ საკვანძო ადგილს იკავებს მოვლენათა შემდგომ განვითარებაში და წითელქუდამ მშვენივრად უწყის, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად საჭიროა სხვა, მომდევნო მამაკაცი აცდუნოს, მსხვერპლის როლი გაითამაშოს, ქმარი ან უკვე არსებული მამაკაცი მგლად წარმოაჩინოს, ხოლო მონადირე ვიდრე მდა მხსნელის, რაინდის, გმირის შარავანდედში გახვიოს და მონადირის სიამაყეზე, მამაცობაზე, თავმოყვარეობის ფაქიზ სიმებზე ითამაშოს – მადლობა ღმერთს, მრავლად არიან ბოთე რაინდები ციხე-კოშკებიდან რომ იხსნიან მზეთუნახავებს. მგელი, მართალია ქალის გამჭრიახობით, მაგრამ მაინც მამაკაცის ხელით ილუპება.

ზღაპარი „ლურჯწვერა" სწორედ ამბოხებული ქალის ამბავს გვიყვება, როცა ცოლს ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე ქმარს ეყმოს, მისი მითითებები შეასრულოს და უარი თქვას თავისუფლებაზე. უფრო საინტერესო ხდება ცოლ-ქმრის დაპირისპირების ანალიზი, როდესაც ხალხურ „ლურჯწვერასთან" ერთად პეროსეულ ვარიანტსაც ეცნობი – ერთობლიობაში უფრო იკვეთება და უკეთ ჩანს, ის ნამდვილი, ძირეული მიზეზი კონფლიქტისა ქალსა და მამაკაცს შორის რომ არსებობს, ხალხურ ზღაპარში ლურჯწვერა – ტირანი მამაკაცია, რომელიც ძალადობით მოიტაცებს ცოლს, უხეშად ეპყრობა. ქალს მუდმივი სიკვდილი ემუქრება. შარლ პერო გვიხატავს რაინდის სახეს, რომელმაც თავი მოაწონა გოგონას, მერე შეირთო ცოლად და ზედ დაჰფოფინებს – ქალი თითქოსდა ბედნიერების სავანეშია. თუმც ორივეგან ლურჯწვერამ უკვე შვიდი ცოლი მოინელა და აკრძალვაც ერთნაირია. თითქოსდა აკრძალვა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ყურადღების გამახვილებაც არ ღირს, არადა, სწორედ ერთი კარის გაღებას შეეწირნენ წინა ცოლები და ნაყრუებისთვის, ამ უკანასკნელსაც სიკვდილი ემუქრება. ერთობ საინტერესოა, რომ ვერცერთმა ცოლმა ვერ გაუძლო ტაბუს, გააღო კარი და თავიც წააგო.

„ლურჯწვერაში" ისევე, როგორც „წითელქუდაში", ქალის მხსნელად, როგორც ნესი, მამაკაცები გვევლინებიან. მამაკაცები, ასე გამეტებით რომ იცავენ მატრიარქატის ღირსებას – ჰიპოსტასებს და თან გულუბრყვილოდ, – გნებავთ სულელურად, – ჰგონიათ, რომ სუსტ, დაუცველ არსებებს ესარჩლებიან და მამაკაცურ, გმირულ, პატრიარქალურ იდეებს ემსახურებიან.

ქალის დაუმორჩილებლობაზე და თავისუფლების სიდიადეზე მოგვითხრობს „წითელქუდაც" და „ლურჯწვერაც" – ქალებს ირონია, ცინიზმი და მამაკაცის გაბაიბრუება უქცევიათ მიზნად და ორმაგად ბედნიერნი, – თავისუფალნი და მბრძანებელნი, – ხვალინდელი დღისთვის, სამომავლო თავგადასავლებისთვის ემზადებიან.

მატრიარქატის კანონმდებლები და უდიდესი წარმომადგენლები – ევტერპე, მელპომენე და ერატოც კი უფერულდებიან, ავგუსტ სტრინდბერგის „ფრეკენ ჟიულის" ქალ-

ობის, ქალურობის, ადამიანურობის აფეთქებისას.

„ფრეკენ ჟიული" მატრიარქატის ჰიმნია; თავქარიანი, თავგზაბნეული, ცვალებადი ფრეკენ ჟიული პეპელასავით დაფარფატებს, ხშირად თვითონაც რომ არ იცის რა უნდა; იმპულსურია, ვნებიანი, გრძნობისმიერი – ღვინომორეულივით ბარბაცებს, წუმპეშიც ეცემა; მაგრამ ლამაზია, გეგონება დაუწყევლიათო, ისეთი ლამაზია. დიახ, დაუნდობელი, ულმობელია მატრიარქატი ფრეკენ ჟიულის რომ აირჩევს და გაიმეტებს სადედოფლოდ. ფრეკენ ჟიულის მატრიარქატის უმაღლესი ტიტული – სიმარტოვე მიესაჯა და ახლა უკვე თავად არის სიმარტოვე. დედა, მამა, ოჯახი, მეგობრები ის სამყაროა, სადაც სიმარტოვე უფრო მძაფრად შეიგრძნობა და აუტანელი ხდება. მარტოობით შეპყრობილი საზოგადოების ნაძალადევ ურთიერთობებს უყურებ და ხვდები, რაოდენ უბადრუკნი, საცოდავები, არაბუნებრივები არიან. და მითუმეტეს გაუსაძლისი ხდება მათი ატანა, ვინაიდან საზოგადოება იხტიბარს არ იტეხს და თავს ბედნიერების ერთადერთ ნავსაყუდლად მიიჩნევს. არა მარტო მიიჩნევს, მოგიწოდებს და გაიძულებს შენც ამ ამაზრზენი ტყუილის მონაწილე, მომხრე, შემოქმედი გახდე. თუ მათი წესებით არ იცხოვრე და იაზროვნე – გიჟად, შეშლილად შეგრაცხავენ, აკი შერაცხეს კიდეც: ფრეკენ ჟიული შეშლილი ჰგონიათ; მისი საქციელი იმდენად მარტიარქალურ-გრძნობისმიერი-ადამიანურია, ვერ აუხსნიათ რა ემართება და ხან მენსტრუაციას მიაწერენ მის „უცნაურობებს", ხან ცუდ აღზრდას, საბოლოოდ კი, მაინც სულელის სახელს იმსახურებს. არადა, რას სჩადის ამისთანა განსაკუთრებულს ფრეკენ ჟიული? არაფერს – ცეკვავს. ცეკვავს ვისთანაც და სადაც მოეგუნებება. საზოგადოებაში კი, ცეკვის სურვილიც გარკვეულ კანონებს, წესებს ემორჩილება და მისი დამრღვევი გაიკიცხება, დაისჯება. ფრეკენ ჟიული ხომ გრაფის ქალიშვილია და ვინაიდან სხვა, დამამცირებელი რამ ვერ გაუბედეს და აკადრეს, გიჟად ჩათვალეს. ფრეკენ ჟიულის ტრაგედია მისსავე **გაცნობიერებულ სიმარტოვეშია**, თუ სხვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების მეოხებით ცდილობენ გაექცნენ სიმარტოვეს, და მათ ჰგონიათ უშველეს თავს, ერთად ყოფნით, ერთობით დაძლიეს სიმარტოვის საზარელი განცდა – ფრეკენ ჟიული აცნობიერებს, რომ სიმარტოვეს ვერც საზოგადოება მოერევა და ვერც ადამიანი. სიმარტოვე ხომ ის ბედისწერაა, ვერსად რომ ვერ დაემალები და ფრეკენ ჟიული ადამიანურობით ცდილობს სიცოცხლეს აზრი მისცეს. ფრეკენ ჟიულიმ ჯერ ადამიანურობა უნდა ისწავლოს. მართალია მშობლებმა დიდი ვერაფერი მისცეს, მაგრამ დედამ ამბოხის მაგალითი მაინც დაუტოვა – ფრეკენ ჟიულის „სიგიჟეს", სიმარტოვეს, სულიერ კატაკლიზმებს, სამყაროსთან სრულ შეუთავსებლობას ბევრად ადრე, მის დაბადებამდე ჩაეყარა საფუძველი. ფრეკენ ჟიული მართლაც ჭეშმარიტი ძვილია, მემკვიდრეა საკუთარი მშობლების უძლურების, დაბნეულობის, უდღეურობისა. ფრეკენ ჟიულის დედა ის პიროვნება იყო, მთელი ცხოვრება მამაკაცებს რომ ებრძოდა და შვილსაც ამავე სულისკვეთებით ზრდიდა.

ფრეკენ ჟიულის დედის გაბორროტება კაცებისადმი, პროტესტია უაზრო, არაფრისმთქმელი არსებობისა – ქალისა და კაცის უსიყვარულო, ნაძალადევი, რაღაც წესებს დამყარებული თანაარსებობისა. მაგრამ ფრეკენ ჟიულის დედის ტრაგედია მისსავე „შეცდომაშია", როცა პატრიარქალურ აზროვნებას კი არა, კაცს, ზოგადად მამაკაცებს დაუპირისპირდა. მან საკუთარი თავი დაიგიწყა და მამაკაცების დამხობის მიზნით სიძულვილს დაემონა. ის კი ვერ გათვალა, რომ, თუ, ჯერ პიროვნება არ არის თავისუფალი – ყველაფერი ამაო და ფუჭია. დედა პატრიარქატის ატრიბუტების – ხელისუფლების, ფინანსების, გარეგნული განსხვავებების ხელში ჩაგდებას ესწრაფოდა და არა შინაგან თავისუფლებას. ანუ თავად ფრეკენ ჟიულის დედამ აღიარა პატრიარქალური სინმინდეები – მიაჩნდა რა, ამ გზით მიაღწევდა თავისუფლებას. სინამდვილეში, დაემონა პატრიარქატს და თვითონ გახდა პატრიარქატის წარმომადგენელი. თავისი მცდარი წარმოდგენით, ფრეკენ ჟიულის სახით, მომავალშიც კი დაუმორჩილებლობას უცხადებს და ებრძვის მამაკაცის ბატონობას. ის კი დაავიწყდა, რომ თავად ქალურობა, თუნდაც დამცრობილი, დამდაბლებული, დაჩიავებული ასგზის აღემატება აპოთეოზში მყოფ მამაკაცურ ძლიერებას. დედას არ უნდოდა გათხოვება და მაინც გათხოვდა; ბავშვის გაჩენა არ სურდა და ფრეკენ ჟიული ეყოლა; დედას ეგონა, რომ მამაკაცები სძულდა, სინამდვილეში კი საკუთარი მეც კი ვერ ეპოვნა. დედას ძალა ეყო და ჭკუიდან შეიშალა, მამას კი გამბედაობამ უმტყუნა და ვერც თავი მოიკლა და ვერც ძირეული სულიერი გარდატეხისთვის იბრძოლა. მამამ თავისი ადამიანური, ბუნებრივი გრძნობები ჩაიხშო – ცოლის საქციელი ვერც გაამხილა და ვერც აპატია ქალს ღალატი – „რას იტყვის ხალხი". სამაგიეროდ ზუსტად ისე მოიქცა, პატრიარქატის უდიდესი მონაპოვარი, საზოგადოება რომ მოითხოვს – ფრეკენ ჟიულის მამის ტრაგედია იქიდან დაიწყო – სიმართლე რომ გაირკვა, მაგრამ არაფერი შეიცვალა; არც ცხოვრებაში, არც ურთიერთობებში და არც სულიერი ცვლილება განუცდია. მისი ტრაგედიაა, რომ არც უცდია რაიმე შეეცვალა, უბრალოდ მოერგო ამ სიყალბეს, ტყუილს, და არსებითად ძველებურად განაგრძო ცხოვრება.

ფრეკენ ჟიულის შეუძლია აღასრულოს დედის ოცნება – ანდერძი, თითქოსდა აღასრულა კიდეც – მამაკაცს არ დაემონა, საქმროს

საქონელივით შოლტავს და გოშიასავით ახტუნავებს, მაგრამ ქალს ეს არ აკმაყოფილებს. გამარჯვება ერთობ იოლად მოიპოვა და არცთუ მიმზიდველი, მაცდუნებელი ჩანს გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი. ფრეკენ ჟიულის ნამდვილი მამაკაცი ესაჭიროება გვერდით – თუ დასამარცხებელია კაცი, დაე, ღირსეული დაამარცხოს.

ჟანი ფრეკენ ჟიულის მხოლოდ ვნების მოძალებისას, ლოგინისთვის როდი ატყუებს, იგი უფრო შორს იხედება; ჟანი მზაკვარი და დაუნდობელი პიროვნებაა, რომლისთვისაც წმინდა არაფერი არსებობს – სიყვარული, თანაგრძნობა და თავგანწირვა, თუნდაც ავხორცობა უცხო და არაფრისმთქმელია მისთვის, სამაგიეროდ, ეტრფის და თვალი ებნიდება ტიტულზე, ფულზე, უზრუნველ ცხოვრებაზე. ქალი განა იმიტომ მოიპოვა, რომ მოსწონს ან უყვარს, ჟანი იმედოვნებს, რომ ჟიულის მეშვეობით მოიპოვებს ადგილს საზოგადოებაში.

ჟანის უბედურებაა, რომ თავისუფლებისა არა გაეგება რა, მას მონობიდან თავის დაღწევა პატრიარქალური აზროვნების სიმბოლოებით – ტიტულებით, კეთილდღეობით, მომხვეჭელობით ეიმედება; ჟანს მიაჩნია რომ საზოგადოება უნდა გაღიარებდეს თავისუფალ პიროვნებად და აქედან გამომდინარე, მხოლოდ საზოგადოებაში მიიღწევა სანუკვარი თავისუფლება. აი, ეს არის ჟანის პატრიარქალური აზროვნება და სწორედ ამდაგვარი აზროვნების ნაყოფია ჟანის არა ადამიანურობა, ვერაგობა და მონური სული. ჟანი იმდენსაც ვერ ხვდება, რომ მხოლოდ ადამიანია თავისუფალი და არა საზოგადოების ხელდასხმული ოქროსა და ტიტულებში გამომწყვდეული „თავისუფლება". ჟანი მონაა, ვინაიდან მას პიროვნულად კი არ ეშინია ვინმესი, რომელიმე ადამიანისა, არამედ ტიტულის გაგონებაზე ფერი მისდის. გრაფი საერთოდ არ ჩანს, მაგრამ მხოლოდ მისი სახელის ხსენებაც კი კმარა, რათა ისევ ამაზრზენ მონად იქცეს ჟანი. ჟანს რომ ვინმე, კონკრეტული ადამიანის შინებოდა, გასაგები იქნებოდა, მაგრამ იგი პატრიარქალურმა აზროვნებამ გადააქცია მონად, ანუ მას პატრიარქალური აზროვნების ნაყოფის – საზოგადოების შექმნილი – ე. წ. ცივილიზაციის პირმშოს – იერარქიის შიში აქვს. ჟანი მონაა, მაგრამ თავხედი მონა. თავდაპირველად იგი დაჯდომასაც ვერ ბედავს ფრეკენ ჟიულის წინაშე, თქვენობით ელაპარაკება და ფეხსაცმელებს უკოცნის, მერმე კი, ლოგინში რომ შეიტყუებს, შეარცხვენს და საიდუმლოს გათქმით აშინებს – ქუჩის უკანასკნელი ქალივით ეპყრობა ჟიულის, ძუკნას უწოდებს და შემზარავი გულგრილობით, პირში ეუბნება ყველაფერს.

მატრიარქატის კიდევ ერთი პარადოქსია, რომ ფრეკენ ჟიულის მხოლოდ დაცემით შეუძლია ადამიანური იყოს და მხოლოდ დაცემაშია მისი სიმაღლე. ქალის კვალობაზე ფრეკენ ჟიული ისე დაეცა, ბრწყინვალე გარეგნობისა და აღზრდა-განათლების პატრონი, მამამისს ლაქიას ჟანს, – პიროვნული თვისებებით არამზადასა და გარეწარს ეყმო – მონას თავი გაუყადრა, ლოგინში ჩაუწვა, ქურდობა იკადრა, უსაყვარლესი არსების – ჩიტის ამაზრზენ სიკვდილით დასჯას უყურა და გადაიტანა, ამაზე მეტად როგორღა დაცემულიყო.

ხომ ასე ეცემა ფრეკენ ჟიული, მაინც თითოეულ მათგანზე ლამაზი, ამაყი, ღირსეული და დიდებული ბანოვანია, თუ ჟანი თავისი პიროვნული თვისებებით, მონური სულით იმსახურებს ზიზღს და აღშფოთებას იწვევს – ქრისტინა, რომელსაც არავითარი, იოტისოდენა ბრალიც კი არ მიუძღვის არამარტო ჟიულის, საერთოდ ნებისმიერი ადამიანის წინაშეც კი, ქრისტინაც კი ერთობ მდაბალი, პატარა და საწყალი მოჩანს, ვიდრე სულიერადაც და ფიზიკურადაც გაუპატიურებული ჟიული. უჩვეულოა, მაგრამ ქრისტინა უფრო იმსახურებს თანადგომას, ვიდრე ფრეკენ ჟიული – ქრისტინა ხომ ვერასოდეს ეღირსება იმის მტვერსაც კი, რაც ჟიულის უკვე აქვს, გააჩნია – თუნდაც ერთ ჟესტში, ფიქრის ნაფლეთში, გამოხედვაში. ფრეკენ ჟიული თავისუფალია, არჩევანს თავად აკეთებს, უფრო სწორედ, თვითონვე შექმნის იმის პირობებს რომ დილემის წინაშე აღმოჩნდეს. ქრისტინას კი არჩევანის და დილემის ხსენებაზე ზარავს და ზაფრა ეცემა. მას სამზარეულო, დიასახლისობა, კარგი ცოლის სახელი და უშფოთველი ცხოვრება ღვთიური წყალობა ჰგონია და მზადაა ნებისმიერს, თუნდაც ისეთ არამზადას როგორიც ჟანია, ცოლად გაჰყვეს და საკუთარი თავი, მეობა, ადამიანურობა სრულიადაც გადაავიწყოს. თუ ფრეკენ ჟიული ავხორცად გამოიყურება, დაე იყოს ავხორცი – ამით მას არაფერი აკლდება, პირიქით ადამიანურია და მასზე „პატიოსანნი" მის ფეხის ფრჩხილადაც არ ღირან. თვით დაცემული ფრეკენ ჟიულიც კი ყველაზე მაღალი, დიდებული და ლამაზია – ვერცერთი მამაკაცი – პატრიარქატის უმაღლეს საფეხურზე მყოფიც კი ვერ შესწვდება ფრეკენ ჟიულის – რაგინდ დაცემული იყოს ჟიული. იგი ყველა მამაკაცზე მაღლა დგას თავისი ადამიანურობით, სიმარტივით, სიწრფელით, მომხიბვლელი ტრაგიზმით. ქალი დაცემულიც კი აღემატება მამაკაცს – აი ამ პიესის დედა-აზრი და მატრიარქატის თვალსანიერი.

საოცარია, მაგრამ ფრეკენ ჟიულის, – მამაკაცთაგან, პატრიარქატის შვილებთაგან, – მხოლოდ გარეწარს – ჟანს ესმის, მხოლოდ ჟანმა იცის ფრეკენ ჟიულის სიდიადე და იმედოვნებს, ჟიულის დამხობით რომ ამაღლდება. „– არ ჩამოხვიდეთ ქალბატონო – იტყვიან დაეცაო" – ჟანმა იცის, რომ ჟიული თავისი ნებით ჩამოდის.

ფრეკენ ჟიული ქალურობის, ადამიანურობის არსს რომ ჩანდება თავზარი ეცემა – თუ რა მდაბიო სულის არარაობებთან უნევს ცხ-

ოვრება და ჟიულის მართლაც შეუძლია მოკლას ჟანი, ხელიც არ აუკანკალდება და არც სინანული შეიპყრობს, მაგრამ მან მთავარს მიაგნო, მიხვდა რომ ჟანის მოკვლით არაფერი შეიცვლებოდა. ახლა, მხოლოდ საკუთარი თავი აფიქრებს და ხვდება, რომ მისი ადგილი არ არის აქ, ამ უგვან გარემოში. ულირსი, ცარიელი, ადამიანურობისაგან დაცლილი სახეები, მხოლოდ კიდევ ერთხელ ახსენებს ადამიანურობას, და ტკივილს, აუნერელ ტანჯვას აყენებს. ფრეკენ ჟიულის რომ ეშინია თავის მოკვლისა, ესეც ადამიანური და გასაგებია. იგი მთვარეულივით, დაჰიპნოზებულივით იქცევა – თამაშობს, ისევ თამაშობს – ის ხომ ქალია, სხვანაირად არ შეუძლია.

სიკვდილის სუნით გაჟღენთილი სახარებისეული თამაში, როცა პირველნი უკანასკნელნი გახდებიან, ნათელს ხდის ფრეკენ ჟიულის სულიერ მდგომარეობას. იგი ხვდება, რომ უკანასკნელია პატრიარქალური აზროვნებისათვის, ამ საზოგადოებისთვის, მაგრამ უპირველესია ადამიანთათვის, მატრიარქატისთვის. და სწორედ ესაა ფრეკენ ჟიულის გადაწყვეტილება – განშორდეს საზოგადოებას, პატრიარქატს, სიცოცხლეს, და დაუბრუნდეს ჭეშმარიტებას – ადამიანურობას, თავისუფლებას.

ფრეკენ ჟიულის სიკვდილით ჟანი ისევ წუმპეში აღმოჩნდება და ისე დაეცემა, წამოდგომა აღარ ძალუძს. ამით ნაჩვენებია პატრიარქატის არამარტო უსუსურობა და სიმდაბლე, არამედ დამარცხებაც. ჟანი ხომ პატრიარქატის ის ერთადერთი და უდიდესი წარმომადგენელია ფრეკენ ჟიულის რომ დაამარცხებს და თითქმის მიაღწევს მიუღწეველს – სულ ერთი ბეწო დააკლდება, რომ დაიმონოს, ყმად გაიხადოს ეს ულამაზესი ასული მატრიარქატისა. მაგრამ ჟანი – პატრიარქატი მუდამ მატრიარქატის სურვილზეა დამოკიდებული – თუ ინებებს, ამოიყვანს წუმპედან, თუ არადა, მოისვრის, და თან ისე მოისვრის, რომ ველარასოდეს ადგეს. ანუ იმისთვის რომ პატრიარქატი ამაღლდეს, მატრიარქატი უნდა ჩამოვიდეს დაბლა და თან თავისი სურვილით, მარტოოდენ პირადი შეხედულებებისამებრ გაუწოდოს ხელი მინაზე განრთხმულ პატრიარქატს.

კაცობრიობის აზროვნება მატრიარქატის მარადიულობა-ძლევამოსილებითაა გამსჭვალული და მითოსია, ხალხური ზღაპრები თუ დრამატურგია – შუამდინარეთი თუ ელადა, ველური დასავლეთი, და გნებავთ კონსერვატორულ-პატრიარქალური სკანდინავია. ქრისტეს შობამდე თუ ახალი წელთაღრიცხვით – სამყარო გამუდმებით მატრიარქატის ირგვლივ ტრიალებს. გამაოგნებელია, თუ რა დიდია ადამიანი და გატყვევებს, განცვიფრებს შეგრძნება ადამიანის არსის უცვლელობისა, ეს ხომ ცხადია – ოიდიპოსის გმინვა მოისმის ყინულოვან შვედეთში; „უცოდველი გართობისას“ აბი და ებინი უდგანან გვერდზე ფრეკენ ჟიულის; ნითელქუდა თითქოს ხვდება ამჯერად რომ უნდა დადუმდეს და მხოლოდ ჟიულის სიკვდილის შემდგომ აუხსნის ჟანს მამაკაცის არარაობას; სისხლისფერ ნისლში გახვეული მედეა ქალურობის სიდიადეზე უსაუბრება და თვალშეუდგამი სიმაღლიდან მოუთხრობს ადამის მოდგმას, რა გადახდა ქალს, ადამიანს, მატრიარქატს...

თამარ ჭილაძე

„მაიმუნი და არსი“

უაზრო და ხანგრძლივ ომებს სასწაულად გადარჩენილი ცივილიზაციის წარმომადგენლები, ამჯერად, ახალი ზელანდიის კუნძულებიდან მიადგებიან ამერიკას და ხელმეორედ აღმოაჩენენ მას. ჰოლივუდი პართენონს დამსგავსებია. მის კიბეებზე მაიმუნის მსგავსი ადამიანები დარბიან.

ასე იწყება ოლდოუს ჰაქსლის რომანი „მაიმუნი და არსი“, თუმცა, უჩვეულო სიუჟეტით, დახვეწილი იუმორითა და ძალდაუტანებელი გონებამახვილობით სხვაც ბევრი მისი რომანი გამოირჩევა. ჰაქსლის გმირებით გამხიარულებულმა, არა ერთმა თაობამ იჯერა გული ხითხითით. ის ხომ თანამედროვეობის მანკიერ მხარეებს ამხელდა და მის გმირებს ინგლისის საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში ყავდათ პროტოტიპები. ამიტომაც, ზოგისთვის ულმობელი ცინიკოსია, ზოგისთვის – წინასწარმეტყველი, ზოგისთვის კი – ინტელექტუალური რომანის ფუძემდებელი. ერთი უდავოა, ის ყოველთვის ისწრაფოდა ესწავლა და სხვებისთვისაც ესწავლებინა ადამიანის ბუნების არსი. თავისი რწმენითა და მონოდებით სიმართლის მძებნელი გახლდათ, რის გამოც, როგორც ერთი მისი მკვლევარი ამბობს, ხშირად, ადრე გამოთქმულ საკუთარ მოსაზრებებსაც კი ენინააღმდეგებოდა. იშვიათია მწერალი, რომლისთვისაც ამდენი მეტსახელი შეერქვათ და ეს ძირითადად იმან განაპირობა, თანამედროვეთათვის ბოლომდე ამოუხსნელი რომ დარჩა, უფრო სწორად, ვერც იმან ასწავლა თანამედროვეობას, როგორ ჩასნვდენოდა ადამიანის ბუნების არსს. „საჭირო მასწავლებლები არ არსებობენო“ – თქვა ერთ-ერთ თავის რომანში, მაგრამ, ოქსფორდიდან მოყოლებული, არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა ადამიანისა და ადამიანობის გადასარჩენად.

1994 წელს კულტურულმა მსოფლიომ ოლდოუს ჰაქსლის 100 წლისთავი აღნიშნა და ინგლისში ხელმეორედ გამოსცეს მთელი მისი შემოქმედება. დევიდ ბრადშოუს წინასიტყვაობით გამოქვეყნდა მეტად საინტერესო წიგნიც – „იდუმალი ჰაქსლი“ – რომელიც ძირითადად იმათთვისაა გამიზნული, ვინც ჰაქსლის მხატვრულ ნაწარმოებებში ვერ შეძლო იუმორსა და ექსცენტრულობას ამოფარებული მწერლის ჭეშმარიტი სახის დანახვა. „იდუმალ ჰაქსლი-ში“ გამოქვეყნებული პირადი წერილებისა თუ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრეფილი სტატიების მეშვეობით, ჩვენს წინ იკვეთება სახე ინგლისური ლიტერატურის ბედით შეწუხებული ადამიანისა, ადამიანისა, რომელიც უპასუხოდ თუ არა, უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ მნიშვნელოვან მოვლენას და მიუხედავად თავისი შესაშური პაციფისტობისა და დემოკრატობისა, შეუძლია (რასაკვირველია, გარკვეული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე), დიქტატურა ამჯობინოს ნებისმიერ ქაოსს.

როგორც ყველა გულწრფელი მებრძოლი, ჰაქსლიც ალბათ ხშირად ცდებოდა – მის თაობას სამოლვაწეო ასპარეზზე გამოსვლა ორ დიდ ომს შორის მოუწია და ამ ორ ურჩხულს შორის გატარებული ცხოვრება, რასაკვირველია, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა მთელი თაობის სულსა და ფსიქიკაზე. ჰაქსლისთვის ომი არა მარტო ყველაზე საშინელი მოვლენაა, არამედ ყველაზე სულელურიც. თუმცა, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, არცერთი მისი რომანი არ ეხება ომის თემას. უფრო სწორად, მის რომანებში ზარბაზნები არ გრუხუნებენ, მაგრამ 1944 წელს გამოქვეყნებულ რომანში არის ერთი პატარა ეპიზოდი – უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრება ფაშისტების მიერ – რომელიც თავისი დრამატიზმითა და სიმძაფრით ბევრ ბატალურ სცენასა და მასობრივი სისხლისღვრის სურათზე შთამბეჭდავია. ჰაქსლი საერთოდ გამორჩეული ნიჭის მწერალია, ის ყოველთვის რაღაც საშუალოს ეძებს რომანსა და ესსეს შორის, ცდილობს ორი სიტყვით თქვას, რასაც სხვები გვერდებს მოანდომებენ. „მწუხარებაშიც დახვეწილი იყოო“ – ამ ერთი ფრაზით კმაყოფილდება „კონტრაპუნქტში“ ელეონორას დახასიათებისას და ასეთი „სიძუნწე“ და სიზუსტე, რა თქმა უნდა, მისმა არისტოკრატიულმა წარმომავლობამ და აღზრდამაც განაპირობა. ჰაქსლი, როგორც მამის, ისევე დედის მხრიდან, ინტელექტუალური არისტოკრატიის წარმომადგენელია. მის გვარს ბევრი ცნობილი მეცნიერი და ესეისტი ამშ-

ვენებს. ასე რომ, როგორც დევიდ ბრადშოუ აღნიშნავს, ჰაქსლისგან თავიდანვე ბევრს ელოდნენ. საერთოდ დიდი იმედებით დაიწყო მეოცე საუკუნე. ოლდოუს ჰაქსლიმ რომ ნათესაობის იმედები გაამართლა, ეს ალბათ ეჭვგარეშეა, მაგრამ რაც შეეხება კაცობრიობის იმედებს, ისინი მოჭრილი ხეებივით ენარცხებიან ძირს ჩვენს თვალწინ. სამაგიეროდ, თავისი ცხოვრებითაც და შემოქმედებითაც, ჰაქსლიმ შესძლო ის, რაც ყველა დროში და ყველასთვის თანაბრად აუცილებელია, რაც მხოლოდ ჩვენს ხელთაა და ვერავის გადავაბარებთ – ადამიანის სახის შენარჩუნება.

ეს პრობლემა ალბათ ჩვენთვის, ქართველებისთვისაა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დღეს. სამწუხაროდ, ადამიანის გამაიმუნების ფაქტებმა უკვე ჩვენშიც იჩინა თავი. ხდება ისეთი რამ, რასაც ჯერ კიდევ გუშინ, ფიქრშიც არ დაუშვებდა ქართველი. მაგალითად, ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს ესირცხვილება თავისი ეროვნების გამომჟღავნება. არადა, ეროვნება ჩვენი ადამიანობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ეს ყველა ნორმალურმა ადამიანმა იცის. საზღვრების მოშლით ინგლისელი არასოდეს გახდება ფრანგი და პირიქით. ჩვენ კი, სადაც მივდივართ, იქაურ ქუდს კი არ ვიხურავთ, ანდაზისა არ იყოს, არამედ იქაურები ვხდებით სულიან-ხორციანა. ენასაც ვიცვლით და ფსიქიკასაც, ეროვნებასაც და რელიგიასაც... თუმცა, სამარცხვინო არასოდეს არაფერი ჩაგვიდენია თითქოს და არც გამორჩეული, გენიალური პიროვნებები გვყოლია (და გვყავს) სხვებზე ნაკლები. მაგრამ, ჩემი აზრით, ესეც საერთო, საერთაშორისო დაბნეულობის შედეგია, დროა ასეთი – არეულ, გაურკვეველ – ოლონდ, არეულსა და გაურკვეველ ეპოქაშიც, რაც უფრო მეტად გვექნება დაზუსტებული ჩვენი წარმომავლობაცა და სქესიც, მით უფრო მყარად ვიდგებით ფეხზე...

საუბედუროდ, ჩვენ დამპყრობელიც განსაკუთრებული ბუნებისა შეგვხვდა. რასაკვირველია, ნებისმიერი დამპყრობელი უბედურებაა, მაგრამ ეს უბედურება კიდევ უფრო შემზარავია, როცა დამპყრობლის ოფიცერიცა და პოეტიც ერთნაირად აზროვნებს. ინგლისმა ირლანდიაში სისხლიანი კვირადღე რომ მოაწყო, ჯონ ლენონმა საკუთარ მთავრობას „ნაბიჭვრები", ხოლო, მათ ნამოქმედარს „გენოციდი" უწოდა. როცა რუსი ოფიცერი ქართველ გოგო-ბიჭებს ტანკს გადაატარებდა ხოლმე, „საქართველოზე შეყვარებული" რუსი პოეტები პირში წყალს იგუბებდნენ... მაგრამ, მე თუ მკითხავთ, გარკვეული თვალსაზრისით, მათი გამართლება მაინც უფრო შესაძლებელია, ვიდრე ჩვენი ასევე პირში წყალჩაგუბებული საზოგადოებისა. არ შეიძლება ადამიანი გერქვას და დუმილით იტანდე იმ უმსგავსობებს, რაც ჩვენს გარშემო ხდება; არ შეიძლება, ქვეყანა გენგრეოდეს და შენ, ვთქვათ, ელექტროენერგიის გრაფიკის დაცვასა და სადღესასწაულო სუფრებზე ფიქრობდე მხოლოდ... ამდენად, არც უცხოა და არც მიუღებელი ჩვენთვის ჰაქსლის სულისკვეთება – შევინარჩუნოთ ადამიანის სახე – ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ „კაცია-ადამიანის?!" შემქმნელი ხალხი ვართ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ხოშტარია-ბროსე

ივანე ჯავახიშვილი და მისი სკოლა

ივ. ჯავახიშვილმა თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ქართული ისტორიოგრაფია – საქართველოს ისტორიის შესწავლა ახალ საფეხურზე აიყვანა. საამისო წინაპირობა შეიქმნა XIX ს. მანძილზე ამ დარგში გაწეული დიდი მუშაობით ქართულ სიძველეთა შეკრების, საქართველოს ისტორიის წყაროების გამოცემის და შესწავლის თვალსაზრისით (მარი ბროსე, პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, დ. კარიჭაშვილი, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი). განსაკუთრებით არის აღსანიშნავი ამ მხრივ ე. თაყაიშვილის ღვაწლი. ამ უკანასკნელმა ქართულ საისტორიო წყაროების მოძიების, შესწავლის და პუბლიკაციის საქმეს მანამდე არნახული მასშტაბები მისცა, ხოლო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნით ორგანიზებული ხასიათიც შესძინა. ეს საზოგადოებრივი დაწესებულება ჭეშმარიტად იყო ქართველოლოგიური სამეცნიერო ცენტრიც და ღირსეული წინამორბედი ამ თვალსაზრისით ქართული უნივერსიტეტისა, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით დაარსდა ე. თაყაიშვილისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა თანადგომით.

ივ. ჯავახიშვილს, როგორც მეცნიერსა და ახალგაზრდობის აღმზრდელს, ჰყავდა მოწაფეთა და მიმდევართა ფართო წრე. თუკი საკუთრივ ისტორიის სფეროს ავიღებთ, ასეთები იყვნენ ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, თ. ლომოური, ლ. მუსხელიშვილი, გ. გოზალიშვილი, კ. გრიგოლია, ა. კიკვიძე, ვ. გაბაშვილი... ესენი და სხვა მისი მოწაფენი, თუ მოწაფეთა მოწაფენი ჰქმნიან ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ „სკოლას", ისინი ჯერ მის სიცოცხლეშივე და გარდაცვალების შემდეგ წარმატებით აგრძელებენ მასწავლებლის მიერ გაკვალულ გზას, ხორცს ასხამენ ბევრ მის ჩანაფიქრს და გარდა ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარებისა, რაც გამოიხატა ისტორიის პერიოდიზაციის მეცნიერულ გამართვაში, მთელი დარგების წინ წამოწევაში, ამზადებენ ახალგაზრდა კადრებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ისტორიკოსთა მთელი თაობები, რომელთაც მოუწია თანამედროვე ქართული ისტორიოგორაფიის გამართვა (გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, მ. ლორთქიფანიძე, შ. ბურჯანაძე და მომდევნო თაობის მრავალი წარმომადგენელი).

ესენი არიან ივ. ჯავახიშვილის სკოლის (ფართო გაგებით) წარმომადგენლები.

ცნება ივ. ჯავახიშვილის სკოლა გაჩნდა უკვე 30-იანი წლების შუა ხანებში. კერძოდ, იგი გამოყენებული იყო 1936 წლის მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში უნივერსიტეტში მოწყობილ დისკუსიაზე, რომელიც ივ. ჯავახიშვილისა და მისი სკოლის კრიტიკას, ფაქტობრივად კი „მხილებას" და „განადგურებას" ისახავდა მიზნად. კრიტიკის ქარცეცხლში ივ. ჯავახიშვილთან ერთად მოხვდნენ მისი მოწაფეები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი, რომელთაც მოუხდათ მასწავლებლის დაცვა უაღრესად რთულ და მძიმე პირობებში, რამდენადაც ივ. ჯავახიშვილს ბრალად ედებოდა, რომ იგი იყო „ფეოდალურ-ბურჟუაზიული" (ერთდროულად! – ე. ხ.), „ფეოდალურ-მემამულურ-პომეშჩიკური" კლასის სულისკვეთების გამომხატველი ისტორიკოსი, რომელიც „ამართლებს ფეოდალურ ექსპლოატაციას", „განგებ ფარავს გამწვავებულ კლასთა ბრძოლას" წარსულში და რომლის „თანაგრძნობა აშკარად მჩაგვრელთა კლასის და მათი წარმომადგენლების მხარეზეა". დისკუსიაზე მომხსენებლის, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის კ. ორაგველიძის მოხსენებაში პირდაპირ დასახული იყო მიზნად ივ. ჯავახიშვილისა და მისი სკოლის „ანტიმარქსისტული", „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური" მსოფლმხედველობის „მხილება" და „განადგურება".

იმაზე, თუ ვინ იგულისხმებოდნენ ივ. ჯავახიშვილის სკოლის წარმომადგენლებად, წარმოდგენას გვიქმნის ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილის სიტყვა, რომელიც ეხება დისკუსიის საგანს, აღნიშნავს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის და ისტორიის კარდინალური პრობლემების ახლებური გადაჭრის აუცილებლობას. კერძოდ, მან თქვა: „ჩვენი მიზანი არის ის, რომ სწორედ იმ პირებმა, რომლებიც პროფ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არიან აღზრდილნი და რომლებიც დღეს სრულიად ახლებურად, კლასობრივი ბრძოლების საფუძველზე ამუშავებენ საქართველოს ისტორიას, სწორედ იმ პირებმა, რომლებიც დღეს აქ უნივერსიტეტში პროფ. ივ. ჯავახი-

შვილთან მუშაობენ, უნდა შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ შეიძლებოდეს პროფ. ივ. ჯავახიშვილის უაღრესად დიდი ცოდნის და ერუდიციის გამოყენება ჩვენი თვალსაზრისისათვის. მე სხვანაირად არ მესმის ამ კრიტიკის წარმოება და ვფიქრობ, რომ ის ახალგაზრდები, რომელთა ხელშიაც არის დღეს არსებითად მეთაურობა საქართველოს ისტორიის ფრონტზე მუშაობისა, ამას შესძლებენ თავიანთ უნარისა და ენერგიის წყალობით".

ძნელი არ არის მიხვედრა, თუ ვინ იგულისხმება აქ და ვინ იყო ივ. ჯავახიშვილის სკოლის წარმომადგენელი.

ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა, მიუხედავად ივ. ჯავახიშვილისადმი წაყენებული ზემოაღნიშნული პოლიტიკური ბრალდებებისა (რასაც გარკვეული მიზანიც ჰქონდა), ხაზგასმით აჩვენეს მასწავლებლის მეცნიერული მემკვიდრეობის უდიდესი მნიშვნელობა და რაც მთავარია სტუდენტობისათვის ამ მემკვიდრეობის მიწოდების აუცილებლობა!

ივ. ჯავახიშვილის მოწაფეთაგან დისკუსიაში მონაწილეობდნენ გ. გოზალიშვილი და ა. კიკვიძეც. მაგრამ მათი გამოსვლა იყო არა იმდენად მასწავლებლის დაცვა პოლიტიკური ბრალდებებისაგან, რამდენადაც საუბარი ზოგიერთ პრობლემებზე, ივ. ჯავახიშვილის დამსახურების ჩვენებით.

ერთი სიტყვით, ძირითადად ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის გამოსვლათა წყალობით ღირსეულად იქნა დაცული პირადად ივ. ჯავახიშვილისა და მისი სკოლის ავტორიტეტი. დიდ მეცნიერს კვლავ მიეცა საშუალება ნაყოფიერად განეგრძო საქმე...

ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის საერთო სიტუაციაც, რომელიც შეიქმნა ისტორიის გაშუქებასა და სწავლებასთან დაკავშირებით. 1934-1936 წლებში საბჭოთა კავშირის კომპარტიის და მთავრობის საგანგებო დადგენილებები გულისხმობდნენ სამოქალაქო ისტორიის სწავლების გაუმჯობესებას და სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნას. ქვეყნდება სტალინის, კიროვისა და ჟდანოვის შენიშვნები ზოგიერთი ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ. ცხადდება ბრძოლა ნიჰილიზმისა და პოკროვსკისეული სოციოლოგიური სქემატიზმის წინააღმდეგ. ახალი იდეოლოგიური მოთხოვნა იყო ისტორიის გაშუქებაში „კონკრეტულობა და ისტორიული სიმართლე".

ამდენად ხელისუფლებას ჭირდებოდა ისეთ კადრებზე დაყრდნობა, რომლებიც შეძლებდნენ ამ მოთხოვნათა რეალიზაციას. ასეთებად, ცხადია, ვერ გამოდგებოდნენ ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან ივ. ჯავახიშვილისა და მისი სკოლის კრიტიკოსები, როგორც ეს აჩვენა კიდეც ზემოთ ხსენებულმა დისკუსიამ.

ცხადია, იმ პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ მესვეურთა, კერძოდ, ი. სტალინისა თუ ბერიას განწყობილებას და პოზიციას, მაგრამ მარტო პიროვნული ფაქტორით ისეთი საკითხის გადაწყვეტა, როგორიც ივ. ჯავახიშვილისა და მისი სკოლის ბედი იყო, მისი გამარტივება იქნება. თუმცა არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ისეთი პიროვნებების ზრუნვასაც ივ. ჯავახიშვილზე, როგორიც ა. სვანიძე იყო (სტალინის ცოლის ძმა, თვითონვე მალე დაპატიმრებული), რომლის თანაგრძნობით აღსავსე წერილიდან ივ. ჯავახიშვილისადმი (1935 წ.) ვიგებთ, რომ იგი „შეხვეწნია" საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს გ. მგალობლიშვილს დახმარება გაეწია მეცნიერისათვის. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ივ. ჯავახიშვილს სადოქტორო ხარისხს უმტკიცებდნენ 1935 წ., ხოლო 1936 წლიდან ის ენიმიკის კონსულტანტია, სადაც დირექტორად უკვე ს. ჯანაშიაა (ამავე დროს საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე). ზემოხსენებული დისკუსია ჩატარდა 1936 წ. მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში, ხოლო ივ. ჯავახიშვილი მაისში უკვე წერს ვ. დონდუას, რომ მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და მას აუარებელი დავალება მიეცა.

ასე რომ, აქ საქმე გვაქვს არა მარტო ივ. ჯავახიშვილის პიროვნულ რეაბილიტაციასთან, არამედ საერთოდ მისი სკოლის წარმომადგენელთა წინ წამოწევასთან ისტორიის ფრონტის ხელმძღვანელ პოსტებზე.

ეხლა დავუბრუნდეთ ცნებას „სკოლა".

საინტერესოა თვით ს. ჯანაშიას თვალსაზრისი ამაზე, რომელიც მოცემულია მის მიერ ნ. ბერძენიშვილისათვის დაწერილ დახასიათებაში სადოქტორო ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით (დახასიათება მოსკოვისათვის არის გამიზნული). დახასიათებაში ვკითხულობთ: „ნიკოლოზ ალექსანდრესძე ბერძენიშვილი ეკუთვნის საბჭოთა ისტორიკოსების მოწინავე რაზმს, რომელთაც შეითვისეს ისტორიის მატერიალისტური გაგება არა დეკლარატიულად, არამედ შემოქმედებითად, როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების მექანიკის სიღრმისეული გააზრების მეთოდი, და, რომელნიც ათავსებენ თავის მაღალ მეთოდოლოგიურ აღჭურვილობას ფაქტიური მასალის ამომწურავ ცოდნასთან. ნ. ა. ბერძენიშვილი მარქსისტულ-ლენინური მოაზროვნეა ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. იგი ეკუთვნის უდიდესი მეცნიერის, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სკოლის აღზრდილთა რიცხვს (воспитанник), რომელმაც შეითვისა ყველა დადებითი თვისებანი

ამ სკოლისა — სიზუსტე და სიმკაცრე კრიტიკული აპარატისა, მაღალი მეცნიერული პრინციპულობა და სრულყოფილი კვლევითი ტექნიკა, — არ შეჩერებულა სკოლის მიღწევებზე, არამედ დაუღალავად და გაბედულად წავიდა წინ, როგორც მასალის დაგროვების მხრივ, ასევე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მეთოდის სრულყოფაში. ამიტომაც ნ. ა. ბერძენიშვილის მოღვაწეობა სისტემატურად ემსახურება ჩვენი სამეცნიერო ცოდნის მნიშვნელოვან გამდიდრებას" (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 5, გვ. 401).

როგორც ვხედავთ, აქ ერთის მხრივ, ხარკი არის გაღებული იდეოლოგიური მოთხოვნისადმი, რაც წაყენებული ჰქონდა მეცნიერებას და მით უმეტეს ისტორიის დარგისას — ე. ი. აღნიშნულია ნ. ბერძენიშვილის „მარქსისტ-ლენინელობა", მაგრამ აქვე ს. ჯანაშია აზუსტებს ამას და მიუთითებს, რომ ეს იგულისხმება „ჭეშმარიტი გაგებით" და არა დეკლარატიულად, არსებითად კი ნ. ბერძენიშვილი იყო „მატერიალისტურად" მოაზროვნე მეცნიერი. მეორეს მხრივ, იგი ხაზს უსვამს ივ. ჯავახიშვილის სკოლის ისეთ თვისებებს, როგორიცაა წყაროების ღრმა კრიტიკული ათვისება, მაღალი მეცნიერული პრინციპულობა და სრულყოფილი კვლევის ტექნიკა. მაგრამ, ცხადია, ნ. ბერძენიშვილი ამაზე არ შეჩერებულა და განსაკუთრებით სრულჰყო კვლევის მეთოდი... ე. ი. არ დასჯერდა სკოლის მიღწევებს და წინ წავიდა.

ამასთან კავშირში გასარკვევია ის, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ცნება „სკოლაში". კერძოდ „სამეცნიერო სკოლა" გულისხმობს მარტო თავდაპირველ კავშირს მოწაფისა მასწავლებელთან, უკანასკნელის მიერ პირველისათვის მეცნიერების საფუძვლების — კვლევის საგნისა და მეთოდის გადაცემა-გაზიარებას, კვლევის მიმართულების განსაზღვრას, თუ მოწაფეთა მიერ მასწავლებლის საქმის გაგრძელებასაც, იმ შემთხვევაში, თუ კი მოწაფეები რადიკალურად არ ცვლიან კვლევის საგანსა და მეთოდს (ხერხებს), არამედ აღრმავებენ და ანვითარებენ მათ, სრულყოფენ და ამით ახალ ეტაპზეც აჰყავთ მეცნიერული კვლევა?

ამ თვალსაზრისით, კერძოდ, რა მიმართებაა ივ. ჯავახიშვილსა და მის მოწაფეთა ს. ჯანაშიასა, ნ. ბერძენიშვილსა და სხვათა შორის?

ზოგჯერ, ივ. ჯავახიშვილის სკოლის შიგნით, როგორც ერთგვარი წყალგამყოფი, ანდა ზღვარი თუ მიჯნის გამვლები მსოფლმხედველობაში, განიხილება მარქსიზმი. მაგრამ, გააჩნია რა იგულისხმება მარქსიზმში: თუ მარქაიზმს განვიხილავთ, როგორც მოძღვრებას საზოგადოების განვითარების შესახებ — ეს ერთია, ხოლო თუ მივუდგებით, როგორც ე. წ. „პროლეტარიატის იდეოლოგიას" ანუ საბრძოლო პროგრამას — ეს მეორეა.

მარქსიზმი, როგორც მოძღვრება, ცნობილია, რომ მხოლოდ მარქსს არ მოუგონია, იგი ემყარებოდა ან შეიცავდა წინამორბედ მოძღვრებებსაც — მატერიალიზმს (ფეიერბახისეულს) და დიალექტიკას (ჰეგელისეულს). მატერიალიზმი კი სხვა არაფერია, თუ არა ისტორიის რეალური თვალით, ისტორიზმის თვალით დანახვა, ხოლო დიალექტიკა — მოვლენათა განვითარებასა და ურთიერთკავშირში განხილვა. და ორივე ეს ნიშანი იქნა სწორედ, უპირველეს ყოვლისა, შეთვისებული ივ. ჯავახიშვილის მოწაფეთა მიერ კვლევის მეთოდის სახით, თუმცა ამას მარქსისტ-ლენინელობის აუცილებელი იარლიყი ჰქონდა. სინამდვილეში კი ეს იყო ისტორიზმის პრინციპის გამოყენება — სწორედ დიალექტიკურ-მატერიალისტური პოზიციებიდან (ეკონომიკა, სოციალური წინააღმდეგობანი და ბრძოლა, ანუ ე. წ. „კლასთა ბრძოლა", მოვლენათა ურთიერთკავშირი და სხვა), რაც ბუნებრივია, დამახასიათებელი იყო თვით ივ. ჯავახიშვილის კვლევის მეთოდისათვისაც.

ასე რომ, დიდი ზღვარი აქ არ შეინიშნება — თუმცა კი ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი მარქსისტ-ლენინელ ისტორიკოსებად ითვლებოდნენ და ამას თვითონაც აღნიშნავდნენ. სხვანაირად არც შეიძლებოდა, თუ კი ისტორიკოსი იყავი — ასეთი უნდა ყოფილიყავი. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ივ. ჯავახიშვილიც მარქსისტად გამოვაცხადოთ, ეს აბსურდია.

ივ. ჯავახიშვილთან მისი მოწაფეების ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის დამოკიდებულების შესახებ სწორედ მარქსიზმთან მიმართებაში ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1936-1937 წლებში ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის ავტორობით გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის კურსის პროგრამები.

კერძოდ, 1936 წლის პროგრამაში, თავში — „გვაროვნული წყობილების რღვევა და საზოგადოებრივი კლასების წარმოშობის დასაწყისი (გარდამავალი პერიოდი)" გარდა გამოთქმებისა: „საწარმოო ძალთა განვითარება" და „შრომის საზოგადოებრივი დანაწილება", სხვა რამ ოდიოზური მარქსიზმის თვალსაზრისით, თუ კი ეს მაინცდამაინც მარქსიზმია, სხვა არაფერია. სხვა მხრივ სულ კონკრეტული ფაქტობრივი მასალაა მოტანილი.

თავში: „ფეოდალიზმი" მხოლოდ შესავალი ზოგადთეორიული პარაგრაფი, ასე ვთქვათ ხარკის მოხდის სახით, შემდეგნაირად არის დასათაურებული: „ფეოდალურ-

ბატონყმური ფორმაციის ძირითადი ნიშნები მარქსისა და ლენინის მიხედვით". აქაც ფეოდალიზმის ზოგადი ნიშნებია ნაჩვენები, რაც ყოველგვარი მარქსიზმის გარეშეც ცხადია (უშუალო მწარმოებლის მიწით („საწარმოო საშუალებებით") უზრუნველყოფა და პირადი დამოკიდებულების გაჩენა „საწარმოო პირობების პატრონის" მიმართ...).

პროგრამის ტექსტში მხოლოდ „ექსპლოატატორულ და მწარმოებელ კლასებზე" არის საუბარი და მათ შორის წინააღმდეგობაზეც, თუ შინაკლასობრივ დიფერენციაციაზე...

1937 წ. გამოცემულ პროგრამაში საერთოდ მარქსიზმი, როგორც ასეთი არაფერში იჩენს თავს, გარდა მითითებისა სახელმწიფოზე, როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანოზე და იბერიისა და კოლხეთის წამყვან რაიონებში მონათმფლობელურ სახელმწიფოს პრიმიტიული ფორმების არსებობაზე... თვით საზოგადოება კი დახასიათებულია „როგორც გარდამავალი პერიოდის განსაზღვრული კლასობრივი საზოგადოება".

ნიშანდობლივი კი ის არის, რომ ამ პროგრამის ყველა თავისათვის რეკომენდირებულ ლიტერატურაში მითითებულია ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" I ტომის და „ქართული სამართლის ისტორიის" (წ. 1) შესაბამისი ადგილები და აგრეთვე ს. ჯანაშიას „განაკვეთები"; შემდეგ მითითებულია: ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" II ტომი და „საქართველოს ეკონომიური ისტორია" (II წ.), 1907 წ. გამოცემა. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია", შემდგომ კი ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია" IV წ., მისივე შრომა „დამოკიდებულება საქარველოსა და რუსეთს შორის მე-18 ს." – (რომელიც მერე აკრძალული იქნა საერთოდ), აგრეთვე – ივ. ჯავახიშვილი – „სოციალური მოძრაობის ისტორია"; ნ. ბერძენიშვილის – „საქართველოს ისტორიის კონსპექტი", „ფეოდალური ურთიერთობა XV ს.", ს კაკაბაძის – „საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეები".

და ეს პროგრამა ქვეყნდება ერთი წლის შემდეგ, რაც ჩატარდა დისკუსია ივ. ჯავახიშვილისა და მისი სკოლის „მხილებისა" და „განადგურების" მიზნით.

განხილული პროგრამების შედგენა იყო წინაპირობა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნისა, რომელიც 1943 წ. გამოიცა კიდეც ს. ჯანაშიას თანაავტორობით და რედაქტორობით (თანაავტორები: ივ. ჯავახიშვილი და ნ. ბერძენიშვილი). და თუ კი მარქსიზმია საძიებელი, აქაც უნდა ყოფილიყო იგი წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო ამ თვალსაზრისით თვით სტალინს არ დაუნუნეია, იგი გარკვეულია ჩვენთან 50-იან წლებში სწორედ მარქსიზმის პოზიციებიდან – როგორც არასაკმარისად მარქსისტული (ბროლიძე)!

ივ. ჯავახიშვილის მონაფეთა და კერძოდ ს. ჯანაშიას მეთოდოლოგიური პოზიციის, მსოფლმხედველობის გასარკვევად მეტად საინტერესოა მისივე შეხედულება მისი კვლევის მეთოდის შესახებ, რომელიც მან ჩამოაყალიბა 1941 წ. მარტში მოსკოვში მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხომაზე გაკეთებულ მოხსენებაში: „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი წყობის შესახებ ძველ დროში" (მოხსენების სტენოგრამა ინახება ს. ჯანაშიას არქივში, მის ოჯახში).

აქ მოცემულია მსჯელობა ძველი სომხეთისა და საქართველოს საზოგადოების ბუნების შესახებ და კონკრეტულად იბერიაზე სტრაბონის ცნობის ინტერპრეტაციის შუქზე. ს. ჯანაშიას მოჰყავს ამ საკითხზე ივ. ჯავახიშვილის, ადონცისა და მანანდინის შეხედულებანი, ჩერდება თავის საკუთარ თვალსაზრისზე და აღნიშნავს, რომ ეს თვალსაზრისი გამოთქმული აქვს მის ადრეულ პუბლიკაციებში, რომელნიც მხოლოდ ქართულ ენაზე გამოქვეყნდა. იგი წერს: „მეთოდი, რომელიც გამოყენებული იქნა ამ მონოგრფიებში, რამდენადმე განსხვავდება წინამორბედ მკვლევართა მეთოდებისაგან.

ჯერ ერთი – ჩვენ მიზანშეწონილად ვთვლიდით გვევლო რეტროსპექტიული გზით – უფრო ცნობილიდან ნაკლებ ცნობილისაკენ.

შემდეგ – ჩვენ ვთვლით აგრეთვე, რომ ფრიად სასარგებლოა საკითხის (შესწავლის) დაწყება ზოგიერთი ზედნაშენური მოვლენით.

და ბოლოს – ჩვენ ვთვლით აუცილებლად წყაროების კომპლექსურ შესწავლას, მთელი ხელმისაწვდომი ისტორიული მასალის მოხმობით.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გაპირობებული იყო და არის წყაროების მდგომარეობით, მათი სიმწირით და ცალმხრიობით" (სტენ. გვ. 6.).

წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მასალის ანალიზის შემდეგ ს. ჯანაშია, სტრაბონისდროინდელ იბერიის შესახებ იმეორებს თავის ცნობილ კონცეფციას, საზოგადოების და სახელმწიფოს სპეციფიკური მონათმფლობელური ფორმის შესახებ. გამოთქმის „პოლიტიკური ზედნაშენი"-ს მეტი აქ მარქსიზმისა არაფერია. მთელი მოხსენება აგებულია წყაროე-

ბის, წერილობითის თუ არქეოლოგიურის სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე — იმდროინდელი რეალურ-ისტორიული ფონის გათვალისწინებით და მარქსისტული დოგმებით მანიპულირების არავითარ ნიშანს აქ არ ვხვდებით, მიუხედავად იმისა, რომ მოხსენება მოსკოვში იკითხება უმაღლეს მეცნიერულ დონეზე, როდესაც იდეოლოგიური ზედწოლაც და ფორმაციების (კერძოდ მონათმფლობელურის) არსებობის დამტკიცებაც აუცილებელი მოთხოვნა იყო.

ეხლა ზოგი რამ ნ. ბერძენიშვილისა თუ სხვა მოწაფეთა მსოფლმხედველობაზე, კერძოდ, მარქსისტობაზე.

ნ. ბერძენიშვილის მეთოდოლოგიური პოზიციების გასარკვევად თუ ავიღებთ მის ნაშრომებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებაც კი, როგორიცაა «Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI ს. ს.)», ან „ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში", „ფეოდალურ ურთიერთობიდან XV საუკუნეში" და სხვა, აბსოლუტურად ვერაფერს სპეციფიკურს მარქსიზმისათვის, ფრაზეოლოგიის თვალსაზრისითაც კი ვერ ვნახავთ — ისეთს, რაც არა გვაქვს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებშიც. ასე ვთქვათ, მარქსისტულად მოაზროვნედ ნ. ბერძენიშვილი უფრო მის საკუთრივ ისტორიოგრაფიულ ნაშრომებში გვევლინება („ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი" და სხვა), სადაც იძლევა ზოგად სქემებს და კვალიფიკაციებს ისტორიოგრაფიის განვითარებისა. ცხადია, ნ. ბერძენიშვილი მყარად დგას ფორმაციების არსებობის თვალსაზრისზე და საზოგადოების განვითარებაში დიდ როლს ანიჭებს კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის ფაქტორს, რასაც არც ივ. ჯავახიშვილი უგულვებელყოფდა. ყველაზე მძაფრად ეს მოცემულია ნ. ბერძენიშვილის შრომაში „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობაში", სადაც ავტორი სტალინის თეზას ემყარება იმის თაობაზე, რომ შინაგანი სისუსტის დასაძლევად ცენტრალური ხელისუფლება ხშირად საგარეო ძალას მიმართავს. მაგრამ აქაც საკუთრივ მარქსისტული არაფერია, აქაც ვერაფერს დავინახავთ ივ. ჯავახიშვილის სკოლისაგან გამმიჯნავს.

ივ. ჯავახიშვილის მოწაფეთაგან, მიიერ დავალებით ლევან მუსხელიშვილი ერთ ხანს საგანგებოდ მუშაობდა გვიანი შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიის საკითხებზე, კერძოდ, იკვლევდა გლეხთა სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიებს XVI-XVII საუკუნეებში. ავტორმა მთელი სიცხადით დახატა დას. საქართველოს გლეხთა მდგომარეობა, მიწით უზრუნველყოფა, საბატონო ვალდებულებანი და სხვა, მაგრამ მარქსიზმისაგან არაფრის დასესხება არ დასჭირვებია (თუმცა სამოღვაწეო დროის მიხედვით ისიც მარქსისტ ისტორიკოსთა რიგებს შეიძლება მიეკუთვნებინათ). იგივე ვითარებაა ვ. გაბაშვილის მეცნიერულ ნამუშევარსა და ნააზრევში.

მაგრამ განსხვავებული ვითარება გვაქვს ა. კიკვიძის მიმართ, რომელსაც დაეკისრა ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემების კვლევა და აქ კი, ცხადია, მარქსიზმს, როგორც იდეოლოგიას ვერ ასცდებოდა. სულ სხვაა მისი შრომები შუა საუკუნეების ისტორიიდან და სხვაა ახალი ისტორიიდან (XIX-XX სს.), თუმცა აქაც ფაქტოლოგიური თვალსაზრისით და თუნდაც ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების ანალიზის მხრივ, ა. კიკვიძის შრომებშიც საკმაოდ ბევრი რამ არის პოზიტიური, თუნდაც საკამათოც.

ერთი სიტყვით, ვერც მარქსიზმი გამოგვადგება ივ. ჯავახიშვილის სკოლაში მისგან, მის შემოქმედებისგან, მისი მოწაფეების გამიჯვნის დასასაბუთებლად. უდავოდ ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მოღვაწეობა, მიღწევები ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალ ეტაპს წარმოადგენს, ბევრ შემთხვევაში კონკრეტული პრობლემატიკის გაშუქების თვალსაზრისით მათ გადატრიალებაც მოახდინეს მეცნიერებაში, მაგრამ ეს თავსდება ივ. ჯავახიშვილის შემოქმედების თუ მისი სკოლის უნივერსალიზმის ფარგლებში, როგორც საქართველოს ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევის გაღრმავება და ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარება, ახალ თვისობრიობაში აყვანა (როგორც წესი, ივ. ჯავახიშვილის მოწაფეთაგან თითქმის ყველას თავისი კვლევის, ძირითადი მეცნიერული ინტერესების საკუთარი სფერო ჰქონდა). ერთობლიობაში კი ყველაფერი ეს ქართული ისტორიოგრაფიის თანამედროვე ეტაპად მიიჩნევა*.

** 1936 წელს უნივერსიტეტში გამართული დისკუსიის შესახებ იხილე: ე. ხოშტარია-ბროსე, ბრძოლა ივ. ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ 30-იანი წლების შუახანებში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 321, 1996 წ. (ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავს).*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან შენგელია

„დამაბნეველი სიდიადე“

(„გველისმჭამელის“ მიხედვით)

კრიტიკის, როგორც ლიტერატურათმცოდნეობის განსაკუთრებული დარგის კვლევის საგანი არის ლიტერატურული ფაქტი – პოეტის შემოქმედება, როგორც სისტემატური მთლიანობა და ცალკეული ნაწარმოები, როგორც ამ სისტემის შემადგენელი ორგანული ნაწილი, განხილული თანამედროვეობის პოზიციიდან (იგულისხმება მკვლევარ-კრიტიკოსის თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების კანონზომიერებასთან შესაბამისობა), რაც ბუნებრივად მოიცავს ისეთი ასპექტების განხილვას, როგორიცაა მწერლის დამოკიდებულება რელიგიურ და ფილოსოფიურ საკითხებთან, იმის გათვალისწინებით, რომ მხატვრული შემოქმედების ნაწილი, თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც, ავტორის ხორციელი თუ სულიერი თავგადასავალია. თავის მხრივ, ეს წარსული დეტერმინირებულია მწერლის ისტორიული და კულტურული გენეტიკური მემკვიდრეობით.

რამდენადაც დიდია პატივი მწერლისა, იმდენადვე დიდია მისი პასუხისმგებლობა უფლისა და ერის წინაშე და ისიც ცნობილია, რომ ამ მძიმე ჯვრის ღირსეულად ატანა გოლგოთაზე მხოლოდ რჩეულთაგან რჩეულს შეუძლია. მწერლის ცხოვრება „ერთიანი გაბმული კვნესაა“... მაცხოვრის ამაღლების ჟამს ღვთიური მადლი ზეგარდამოადგა მოციქულებს და მათ „იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა. ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად“ (საქმე 2.4.). მწერლის კალამმა იტვირთა ამბავთა ასახვა მხატვრული მეტყველების მეშვეობით და დღეს აღარავინ ეჭვობს იმას, რომ მწერლობა „სიბრძნისაა ერთი დარგი“; და ეს კიდევაც „სიტყუაა უცხოთა ენათა“, რომელიც სიცოცხლის ნიშანს ანიჭებს „უსულდგმულო ცხოვრებას“. მაგრამ ეს სიტყვა ხშირად შეუსმენელია, დაუფასებელია თანამედროვეთაგან, ხოლო ზოგჯერ მტრულადაც შესმენილი. ორივე შემთხვევაში შემოქმედი უდიდესი განსაცდელის წინაშე დგება, ვინაიდან არავინ უწყის, რომელ იარაღს უფრო მძლავრი გამანადგურებელი ძალა მოეპოვება – აშკარა მტრობას თუ გულგრილობას; როგორც ზემოთ ითქვა, ამ უმძიმესი განსაცდელის ღირსეულად დაძლევა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რამეთუ „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისა? უბრალო ჴელითა და წმინდაჲ გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თჳსი და არცა ეფუცა ზაკვით მოყვასსა თჳსსა. ამან მიიღოს კურთხევაჲ და წყალობაჲ ღმერთისაგან მაცხოვრისა მისისა“ (ფს. 23. 3-5).

ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების სულ ზედაპირული გაცნობაც კი გვარწმუნებს, რომ ზემოთქმული განზოგადებანი ზედმიწევნით ესადაგება მას. მაღალმხატვრული ნაწარმოები ნაირგვარი ასპექტით შეფასებული და განხილული კრიტიკის მიერ, სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხის, ესთეტიკური ფუნქციისა თუ ზემოქმედების გამო, ხშირად საშუალებას იძლევა გამახვილდეს ყურადღება არა იმაზე, თუ რას ამბობს ავტორი, არამედ იმ საკითხზე – თუ როგორ ამბობს იგი. ვაჟა-ფშაველას „მხატვრულ გამოცანად“ მიჩნეული მემკვიდრეობა ნაირგვარი იდეოლოგიური კრედოს მატარებლის მსჯელობის საგნად ქცეულა და სხვადასხვა ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი მკითხველის წინაშე. თუ გავიხსენებთ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას (სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ეყრებოდა საფუძველი) მივიჩნევთ, რომ მარქსისტული იდეოლოგიის მიერ დამკვიდრებულ კოსმოპოლიტიზმსა და ათეიზმის მქადაგებელთა საპირისპიროდ, ეროვნული და ქრისტიანული მრწამსის მქონე გენიოსი მაშინდელ პოლიტიკურ ყოფას „უყურადღებოდ“ არ დარჩებოდა; ალბათ, ამიტომაც, ქართულ მწერლობაში ყველაზე დიდი აზრთა სიჭრელე, ურთიერთგამომრიცხველი შეხედულებები და, იმავდროულად, უზარმაზარი ასპარეზი აზრთა ნებისმიერი მიმართულებით მიმოხვრისა სწორედ ვაჟა-ფშაველას „შემოქმედებითი ისტორიის“ კვლევამ გამოავლინა. გარდა ამისა, ლიტერატურათმცოდნეობა, მოწოდებულია თანამედროვეობის პოზიციიდან შეაფასოს თავისი კვლევის ობიექტი. იმავდროულად, ისიც ცნობილია, რომ ამ შეფასებისას ბევრი რამ

საზოგადოებრივი გემოვნების კონიუნქტურის გათვალისწინებითა და ცალკეულ კრიტიკოსთა მიერ ინდივიდუალური ფისქოლოგიური მოტივით არის შეპირობებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ცისფერყანწელთა დამოკიდებულება ვაჟას მხატვრული შემოქმედების მიმართ.

XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში დაიწყო ახალი ეტაპი. გამოჩნდნენ პოეტები, რომლებმაც სალექსო ფორმათა ნაირგვაროობა, მწერლობაში ახალ მხატვრულ ფორმათა დამკვიდრება, სულიერ განცდათა „ლანდურ სამყაროში“ გადასახლება, „მთვრალი ხომალდით“ მოგზაურობა, ყოფა ბოჰემური... პოეზიაში თვითდამკვიდრებისა და თვითგამოვლინების მთავარ საშუალებად მიიჩნიეს. „ცისფერყანწელებმა“ მიზნად დაისახეს მოდერნისტული გარდაქმნების და დასავლეთევროპულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ეროვნული ქართული სულის აღორძინება. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ დიდია ხელოვანთა და მიმდინარეობათა შორის ურთიერთზემოქმედების ძალა. ზოგჯერ ეს ზეგავლენა პოლემიკის ფორმით არის გამოხატული. ლიტერატურათმცოდნეობის მიერ ნამდვილი ზემოქმედების ფაქტი მაშინაა მეტი დაბეჯითებით პოსტულირებული, როდესაც აშკარად გამოხატულ იდეოლოგიურ დაპირისპირებასთნა გვაქვს საქმე. აკი მიხეილ ჯავახიშვილიც ამბობდა: „ზოგნი ყველაზე მეტად იმას ებრძვიან, ვისაც ჰბაძავენ“-ო. ყოველივე ამის გათვალისწინებით ალბათ შესაძლებელიც იქნება იმის თქმა, რომ, ცისფერყანწელებს გაცილებით მეტი აქვთ შინაგანი ერთობა მათ მიერ „ბანალიზმის, პრიმიტივიზმისა და ლიტერატურული შაბლონის ატმოსფეროთი დამხრჩვალ“ (როგორც თავად ამბობდნენ) ქართულ მწერლობასთან, ვიდრე „სულიერ ძმებად და წინაპრებად“ მონათლულ ფრანგ სიმბოლისტთა შემოქმედებასთან. ამანვე განაპირობა მათი განსაკუთრებული ინტერესი ვაჟას პიროვნებისა და მხატვრული ნააზრევის მიმართ. „ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ეროვნული სიმბოლიზმი, ამის ნიადაგია გრიგოლ რობაქიძე, მისი ქადაგებები მიიღო ჩვენმა სკოლამ. ის ვალიარეთ ჩვენ წინამძღვრად“– წერდნენ ცისფერყანწელები თავიანთ პირველ ჟურნალში. 1909 წელს გრ. რობაქიძე სათავადაზნაურო თეატრში, შემდეგ – ქუთაისში კითხულობს ლექციას ვაჟაზე, რომელიც უმთავრესად „გველისმჭამელს“ მიეძღვნა. ვაჟას კულტი ჩემი ლექციიდან იწყება – აცხადებს მწერალი. მან არაერთი ლიტერატურული წერილი უძღვნა ვაჟას შემოქმედებას «Поэт Важа-Пшавела» (ж. «Русская мысль», 1911, 8)» „ვაჟას“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. №348). „ვაჟა-ფშაველა“ (გაზ. „საქართველო“, 1916 წ.); „ნიკო ფიროსმანი“ (გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ. №8), საზღვარგარეთ გამოქვეყნებული წერილების სერია და მათ შორის ყველაზე ვრცელი – ვაჟას „ენგადი“ (ბარათი სამშობლოსადმი) (ჟურნალი „ბედი ქართლისა“, პარიზი) ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პოემა „გველისმჭამელის“ გრ. რობაქიძისეული ანალიზი, რადგან ვაჟას არცერთ ნაწარმოებს არ გამოუწვევია ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში აზრთა ისეთი სხვადასხვაობა, როგორიც „გველისმჭამელმა“ გამოიწვია. ეს ნაწარმოები მწერლის იდეური მისწრაფებების შეჯამებას წარმოადგენს და ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში სწორედ ამ ნაწარმოებს ეყრდნობოდნენ მკვლევარები, რომელთათვისაც პოეტის მრწამსი განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა; ვაჟას შემოქმედების შესახებ წაკითხულ ლექციაზე, რომელიც შემდგომ გამოქვეყნდა, გრიგოლ რობაქიძე გვთავაზობს მსჯელობას პოეტის მრწამსისა და მსოფლმხედველობის შესახებ: „... ქალწულმა წყაროს სარკეში პირველად იხილა თავის ლამაზი სახე და მის ტურფა ბაგეს ცისკროვანი ღიმილი დააკვდა. ეს ქალწული – ეს ღიმილი ვაჟას... ზღაპრული მუზაა...

მგოსნის შეცნობა ჰქმნის ბუნების მოვლენაში თავის სახეს და მით აპიროვნებს მას. მაგრამ, როგორ შეიძლება რისიმე გაპიროვნება, თუ მას იმთავითვე თავისი საკუთარი სახე არ აქვს?! დიახ, ყოველს მოვლენას საკუთარი სახე აქვს – და როცა მგოსანი მასში თავის სახესა ჰქმნის, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბუნების მოვლენამ და მგოსანმა საიდუმლო შეხვედრის წამს ერთიმეორე იცნეს. აქ არის სათავე პანთეიზმისა, – და ვაჟა-ფშაველაც პანთეისტია უცილობლად მაგრამ როგორი?“ (რობაქიძე, 1987, 168).

პანთეიზმის ნაირგვარი ინტერპრეტაცია არსებობს სპეციალურ ლიტერატურაში, მცირე და თითქოს საგულისხმო განსხვავებებით; მაგრამ ის, როგორც ფილოსოფიური მოძღვრება მეტნაკლებად ერთგვაროვნად არის განმარტებული. „პანთეიზმის იდეოლოგიურ სამშობლოდ ითვლება ინდოეთი. ორ უმთავრეს ძველინდურ ფილოსოფიურ სისტემაში ვედანტასა და საიტიაში მოცემულია ამ მსოფლმხედველობითი თვალსაზრისის მისტიკური და მატერიალისტური საწყისების პრევალირებული საყრდენები“ (Брокгаузъ, Эфронъ, 1897, 704). აქვე განმარტებულია, რომ ყოველი ფილოსოფიური მოძღვრების ძირითად პრობლემას ერთეულისა და მრავლის, სასრულისა და უსასრულოს მიმართების

საკითხი წარმოადგენს. პანთეიზმიც, რასაკვირველია, ამას ვერ აუვლიდა გვერდს. ამიტომ ამ ფილოსოფიური მოძღვრების განვითარების მთელ მანძილზე იკვეთება მცდელობა ორი ურთიერსაწინააღმდეგო პრინციპის შეთავსებისა. საბოლოოდ, შეიძლება განირჩეს ორი ძირითადი ტენდენცია: პირველი მოწოდებულია სასრული და მრავალსახოვანი გაითქვიფოს ღვთიური ყოფიერების უსასრულო ერთობაში, ხოლო მეორე – გაანაწილოს უსასრულო ერთობა მოვლენათა სასრულ მრავალსახეობაში. პირველი მიმართულება იხრება რელიგიური მისტიციზმისაკენ, მეორე – მატერიალიზმისაკენ. პანთეიზმმა, რომელსაც მწყობრი ფილოსოფიური მოძღვრების პრეტენზია ჰქონდა, სცადა ამ შეუთავსებლობის შეთავსება და მისი მარცხიც სწორედ აქედან იღებს სათავეს. გერმანელი პანთეისტები ღმერთს განსაზღვრავდნენ, როგორც სუბიექტს და ამ განსაზღვრაზე დაყრდნობით გაიაზრებდნენ ღმერთისა და სამყაროს ერთობას. ამ შემთხვევაში ღმერთი გაგებულია, როგორც ტრანსცენდენტული გონი, რომელიც მართავს სამყაროს, რაც შეეხება მეორე მიმართულებას, რომელიც სპინოზას მოძღვრებაში ვლინდება ყველაზე უფრო თანმიმდევრულად, აქ ღმერთი გაგებულია, როგორც სუბსტანცია და, გაიგივებულია სამყროსთან. ბუნებრივია, რომ ვერც ერთი და ვერც მეორე თვალსაზრისი ვერ სძლევს ღმერთის არსის გონებაჭვრეტით წვდომას და, შესაბამისად მატერიალისტური მსოფლმხედველობის ფარგლებს ვერ სცილდება. ამიტომ უწოდა შოპენჰაუერმა მას „ათეიზმის ზრდილობიანი ფორმა“.

გრიგოლ რობაქიძე, მსჯელობს რა ვაჟას პანთეისტობის შესახებ, ჩვენი აზრით, არ ეყრდნობა პანთეიზმის ცნებებრივ განსაზღვრებას და „გველისმჭამელზე“ გამოთქმული შეხედულებებით ვაჟას მრწამსს სჭვრეტს ლირიული ხილვებისა და წარმოსახვების საფუძველზე: „არა, იგი არ არის პანთეისტი ფიგურალურად: არა: იგი თავის პანთეისტობაში ნამდვილი მისტიკოსია... ბუნება მისთვის ცოცხალი არსია, რომელიც ჰლამობს თავის სრულობას... ლოგოსია სათავე ვაჟას პოეტური გენიისა!!! ლოგოსის გარეშე მისი პოეტური სიტყვა მხოლოდ „ჭრელი სიტყვა“ იქნებოდა. ამას ნათლად ამართლებს მისი პოემა „გველისმჭამელი“(-რობაქიძე, 1987, 168). მწერალი ახსენებს მისტიციზმს... ეს კი გულისხმობს ზებუნებრივი ძალების რწმენას; ოღონდ ის შორეულ წარსულში იღებს სათავეს და ისტორიული განვითარების პროცესში ცნების ჯერ სახელი (რომელიც მეხუთე საუკუნემდე არ იყო ცნობილი) და შემდეგ შინაარსი ნაირგვარ ინტერპრეტაციას ღებულობს: „თეოლოგიური მისტიკა განსხვავდება გამოცხადების მისტიკისაგან. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ფილონისათვის იყო ცნობილი, ოფიციალურ ქრისტიანობას არაფრით არ უპირისპირდებოდა, მის შემადგენლობაში იქნა შეტანილი და ფილონიდან ავგუსტინემდე უკვე ჩამოყალიბდა, როგორც ქრისტიანული დოგმატიკის მოუცილებელი ნაწილი. საეკლესიო დოგმატიკაში გამოცხადების მისტიკის შეტანა იმდენად განმტკიცდა, რომ იგი მთლად აითვისეს ალბერტ დიდმა და, განსაკუთრებით, თომა აქვინელმა, და ორივემ განსაკუთრებით კი უკანასკნელმა, დაიწყო გამოცხადების მისტიკისათვის საფუძვლის ძიება არისტოტელეს სილოგისტიკაში. ეს მისტიკა არ იყო მიმართული ეკლესიის წინააღმდეგ, პირიქით, იგი მას ამაგრებდა... თომამ მას მკაცრად განსაზღვრული ადგილი მიუჩინა – კერძოდ, იქ, სადაც ინყება არისტოტელესაგან ნასესხებ დასაბუთებათა მდინარება და ასპარეზზე გამოდის რწმენა და გამოცხადება (ნუცუბიძე; 1976, 32). ასე რომ, თეოლოგიური მისტიკა სრულიად განსხვავდება გამოცხადების მისტიკისაგან, ხოლო რაც შეეხება „ლოგოსს“, როგორც მიუთითებენ ანტიკურ და ქრისტიანულ მოძღვრებათა შერწყმის ისტორიულ პროცესში ჩამოყალიბებული ზოგიერთი ფილოსოფიური მოძღვრების (ნეოპლატონიზმი) ცენტრალურ მომენტად იქნა აღიარებული, რასაც ადასტურებს იოანეს სახარებაც. მისტიციზმი შემდეგ თითქმის ყველა ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებისთვის იყო დამახასიათებელი, მას აღიარებდნენ, როგორც პროგრესულ, ისე რეაქციულ მიმდინარეობათა წარმომადგენლები. მისტიციზმის რომელ „ფორმასთან“ კავშირში განიხილავს გრ. რობაქიძე „გველისმჭამელს“, ამაზე მის მიერ წაკითხული ლექციიდან ამონაწერი გვაძლევს პასუხს: „ვინ არის მინდია? მსოფლიოს უთუოდ ეტყობა ავადური ტეხილი. ყოველი ნაწილი ქვეყნისა ილტვის და ყოფადობს თავის თავის გარე და წინააღმდეგ ყოვლისა. ხოლო არც ერთ ნაწილს ქვეყნისას არ ძალუძს სრულიად გამოეყოს ყველა სხვა ნაწილებს და დამთავრდეს თავისს განცალკევებულს კერძოობაში. აქედან: შულლი, გაუგებრობა, მონობა, გახრწნილობა. რელიგიის შემოქმედი საქმეა აღადგინოს მსოფლიო ნაწილთა შორის სიყვარულის ქსოვილი შინა-მხრით და თავისუფალი ურთიერთობა გარე მხრით. გარნა ამისათვის საჭიროა ერთხელ და საყოველთაოდ დაიმსხვრეს ყოველი ზღვარი და ყოველი ზღუდე, ეს საშინელი თესლი ცალკერძი თვითდამყარებისა. საჭიროა მიწვდომა „სხვისა“, საჭიროა „სხვის“ გაგება, საჭი-

როა „სხვაში“ გადასვლა, საჭიროა „სხვადქცევა“. აი შემოქმედი დანიშნულება რელიგიისა! და ჰქმნის კიდეც ხომ შემოქმედი ლოგოსი — რაიცა თვითონ „საზრისის“ სხეულებაა, მსოფლიო ისტორიას სწორედ ამ გზით!.. მინდია სწორედ ამ ლოგოსის ერთ-ერთი ნატეხის სხეულებაა: იგი გასცილდა თავის თავს, გადაეზარდა თავის თავს: მან სძლია თავის თავში ვიწროპირადული, ადამიანურ-შეზღუდული, ცალკერძ-საზღვრული. მან განასხეულა თავის თავით შემოქმედი გენია ბუნებისა და იქცა თვითონ ნამდვილ გენიოსად მსოფლიოს აზრით. იგი აღარ არის ადამიანი უბრალო, იგი ზესთაადამიანია ნამდვილი, — მაგრამ არა ნიცშეს ზესთაადამიანი — ინდივიდუალისტი, არამედ რელიგიური უნივერსალისტი. რასაკვირველია, იგივ პიროვნებაა, ინდივიდუალობაა: მას არ მოუკლავს თავი „სხვადქცევაში“, იგი არ გათქვეფილა „უნივერსალურში“. პირიქით: იგი არის „ეს“ კერძოდ საზღვრული პირადობა (რობაქიძე, 1987, 169). სწორედ ამ წერილიდან იწყება ვაჟას პანთეისტობის შესახებ საუბარი ქართულ კრიტიკაში. გრ. რობაქიძის მიერ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით დაინტერესებამ გამოიწვია შემდგომში ის, რომ ცისფერყანწელთა ლიტერატურულ წერილებში ვხვდებით გამორჩეულ ყურადღებას, აღფრთოვანებას და ამ დიდი პოეტის შემოქმედების ანალიზს.

ვაჟა — სიმბოლისტი, ვაჟა — ნარმართი, ვაჟა — რომანტიკოსი, ვაჟა — რეალისტი, ვაჟა — ქრისტიანი, მართლმადიდებელი, ვაჟა — მწერალი, რომელსაც ვერ მოაქცევ ვერცერთ ლიტერატურულ მიმდინარეობაში. აი, ამჟამად არსებული ის ნაირგვარი შეხედულება, რომელიც გენიოსის შემოქმედების შესახებ გამოითქვა, ყოველივე ეს შემფასებელთა დასაყრდენს, რაღა თქმა უნდა, პოეტის შემოქმედებაში პოულობდა, და თითოეული აზრი მეტნაკლები არგუმენტაციით იკვეთებოდა. ტიციან ტაბიძის აზრით, ვაჟას დამაბნეველმა სიდიადემ გამოიწვია პოეტის ირგვლივ არსებულ „ცნებათა აღრევა“.

ტიციან ტაბიძე გრ. რობაქიძისაგან განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს: ის მიიჩნევს, რომ „მისტიციზმი დამახასიათებელი თვისებაა სიმბოლიზმისა, მაგრამ ვაჟა-ფშაველა სწორედ იმის დამამტკიცებელია, რომ მისტიციზმი არ არის ქართული მწერლობის თანდაყოლილი თვისება, ვაჟა-ფშაველას აზროვნება მთლიანად ეწინააღმდეგება მისტიციზმს... მას აქვს ნამდვილი წარმართის მსოფლმხედველობა და ყველაზე უკეთ ეს მოცემულია „გველისმჭამელში“ (ტაბიძე, 1966, 19).

ვალერიან გაფრინდაშვილი წერილში — „პოეზია და ბუნება“ მსჯელობს ბუნების შეცნობისა და გადმოცემის ოსტატობაზე მსოფლიო პოეზიაში. ავტორი ბუნების პოეტურ წვდომას მეცნიერული კვლევისა და ხილვის დონეზე აღიქვამს.

„საქართველოს ბუნებამ შექმნა ერთი უდიდესი პოეტი — ეს არის ვაჟა. ვაჟას მოწაფეები გამოჩნდებიან და გამოაცხადებენ ბუნებას თავის ღმერთად“ (ვ. გაფრინდაშვილი, 1990, 553). ის ვაჟას რამოდენიმე გენიოსის (გოეთე, შექსპირი, ლეონარდო) გვერდით ბუნების ვიზიონერად აცხადებს.

პაოლო იაშვილი „სულიერი ძმების“ შეხედულებებს იზიარებს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სიდიადის შესახებ და პოეტის სამწერლო ენას „ღმერთების ენას“ უწოდებს... „ცისფერყანწელთა“ აზრით, ვაჟაში „იყო ძველი სული და ის მაგიურად იღვიძებდა, როცა შეეხებოდა ქართულ ეპოსს“ (ტაბიძე, 1990, 67).

გრ. რობაქიძისა და „ცისფერყანწელთა“ დაკვირვებები ვაჟა-ფშაველას მრწამსის შესახებ არაერთგზის იჩენს თავს XX საუკუნის ქართველ მკვლევართა ნაშრომებში.

ს. დანელია წიგნში „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, ვაჟას მიერ ბუნების აღქმის საკითხს ფილოსოფიურად განმარტავს. ავტორი, ვაჟასთან, ბუნებას მარადიული სიცოცხლის გამოვლინებად მიიჩნევს, რომელიც საწყისისა და სასრულის გარეშე არსებობს. იგი ცვალებადია: ერთი ინდივიდი იცვლება მეორეთი, ხდება ერთის მიერ მეორის შთანთქმა... „ყველაფერი, რაც არის, იბრძვის ინდივიდუალიზმის შესანარჩუნებლად“ (დანელია, 1927, 10). ამდაგვარი აზროვნებით, კრიტიკოსი, ვაჟას ჰერაკლიტეს ადარებს და მათ შორის დიდ მსგავსებას ხედავს.

საგულისხმოა მოსაზრება, სადაც მოცემულია ვაჟას მიერ სიცოცხლის მიმართ დამოკიდებულება ბუნებასთან კავშირში და მისი შეპირისპირება მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული აზროვნების ტრადიციებთან. მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ აკ. წერეთლის მხატვრულ წარმოსახვაში სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესი, ყველა მოვლენა სიყვარულის გამოვლენაა, ამიტომ სიყვარული ქმნის ბუნებას (ესაა პანეროტიზმი). ხოლო ვაჟასთან, სიყვარულის ადგილს სიცოცხლე იკავებს და ამიტომ პანეროტიზმს აქ პანფსიქიზმი ცვლის, რადგან სიცოცხლე უფრო ფართო ცნებაა.

ს. დანელია ვაჟას შემოქმედებას განიხილავს იდეალისტური ათეიზმის პოზიციიდან და მიაჩნია, რომ პოეტის აზროვნებაში ვხედავთ წარმართული ინდივიდუალიზმის გამოვლინებას. პოზიცია განსაკუთრებით მკვ-

ეთრად ვლინდება „გველისმჭამელზე" მსჯელობისას: „მინდია კვდება, რადგან მას ბალახის მოკვლა არ შეუძლია. ეს სიყვარული მინდიასი ბალახისადმი არის შეცოდების სახე: მინდიას ეცოდება ბალახი; რადგან ის ბალახში ხედავს საკუთარ „მე"-ს. შეცოდება უღვთო ან არაქრისტიანული ზნეობის პრინციპია — „ნურავის ვნებ, პირიქით, ყველას რამდენიც შეგიძლია, დაეხმარე", ასეთია ამ ზნეობის ფორმულა, რომელსაც გვაძლევს შოპენჰაუერი (იქვე, 540). „ პოემა ქრისტიანულ თვალსაზრისზე არ დგას" (იქვე 46), ეს მოსაზრება „გველისმჭამელის" განხილვისას მკვლევარის მსჯელობის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს; იგი მიიჩნევს, რომ „მინდიას ტრაგედია იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ის ქაჯურ სიბრძნეს იძენს..."

პოემაში ნათქვამია, რომ გველის ხორცის შეჭმის გამო მინდიას „ახლად სული ჩაედგა". ერთი შეხედვით საფიქრებელია, რომ ესეც ულოგიკობაა: „სული" ტერმინის უმართებულოდ ხმარებაა. როგორ შეიძლება, მართლაც ახლად სული ჩაედგას კაცს? ქრისტიანული თვალსაზრისით?.. პოემის თვალსაზრისი წარმართულია (იქვე, 44).

მკვლევარს ვაჟას „გველისმჭამელი" მიჩნეული აქვს ბოლო სახედ ინდივიდუალიზმისა, სადაც ხდება „პიროვნების გამოსვლა ადამიანობიდან". როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალურ ლიტერატურაში პანთეიზმის ნაირგვარი ინტერპრეტაცია გვხვდება. ერთი მათგანის მიხედვით იგი „მონიზმის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ღმერთსა და სამყაროს აიგივებს. ამდენად იგი იდეალისტური იქნება თუ მატერიალისტური, პრინციპულად მიუღებელია ყოველი რელიგიისათვის, რომელიც პერსონალურ ღმერთს აღიარებს. შუა საუკუნეების ფილოსოფიაში, ნეოპლატონიზმიდან დაწყებული და კუზანელით დამთავრებული, არ შეიძლება ვილაპარაკოთ პანთეიზმზე ამ ცნების პირდაპირი აზრით. აქ შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ დებულებები, რომლებიც თანამიმდევრული განვითარების შემთხვევაში პანთეისტურ მოძღვრებას მოგვცემენ, მაგრამ მოცემულ სისტემაში არსებობენ არათანმიმდევრულობის წყალობით. ისინი ამ სიძნელის გამოხატულებაა, რაც აზროვნების წინაშე დგება ტრანსცენდენტური ღმერთისა და სამყაროს კავშირის გააზრების ცდისას. კავშირი მსგავსებას მოითხოვს, რასაც დასაკავშირებელთა იგივეობამდე მიჰყავდა მკვლევარები, მეორე მხრივ, პერსონალური ღმერთის ტრანსცენდენტობის ჩვენების ცდას მოსდევდა სამყაროსთან მისი კავშირის გაწყვეტა" (თევზაძე, 1996, 354). ამ ამონაწერის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ს. დანელია ცნება „პანთეიზმზე" საუბრობს ამ სიტყვის „პირდაპირი მნიშვნელობით", ხოლო გრ. რობაქიძესთან კი პანთეიზმი და წარმართობა მხოლოდ „დებულებების" სახეს იღებს, რომელთა სისტემური განვითარება მოგვცემს ან არ მოგვცემს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სამყაროს ჭეშმარიტ პანთეისტურ აღქმას. იმავდროულად, სავარაუდოა, რომ ორივე შემთხვევაში პერსონალური ღმერთის აღიარებას (ე.ი. ქრისტიანობას) სცილდება ამდაგვარი აზროვნება.

ვაჟა-ფშაველას მრწამსის შესახებ მსჯელობას ვხვდებით ს. ჩიქოვანის, გ. ქიქოძის, გ. ჯიბლაძის, შ. რადიანის... ნაშრომებში, სადაც პოეტის წარმართულ შეხედულებათა მსოფლმხედველობრივი ანალიზია დადასტურებული (იხ. ჩიქოვანი, 1963, ქიქოძე 1946, ჯიბლაძე, 1958).

„რამდენადაც უფრო ღრმად ვაკვირდებით, ვგრძნობთ, რომ ვაჟას პოეზია ანთროპომორფიულია. იქ თითოეულ ხეს, ფოთოლს, ფრინველს, მდინარეს — ადამიანური თვისებები აქვს მინიჭებული", წერს გ. ჯიბლაძე, ხოლო „გველისმჭამელზე" მსჯელობისას დასძენს, რომ ამ პოემაში პანთეისტის ხმა ესმის...

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გრიგოლ კიკნაძის მიერ სრულიად სხვა, თუ შეიძლება ითქვას, „ანტიპანთეისტური" პოზიციიდან იქნა განხილული და შეფასებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ბუნების გადმოცემისა და თვითგანცდის გზა. „ვაჟა-ფშაველასთვის ბუნება თავისთავადაა დიადი, მაგრამ, ზოგიერთი მწერლისაგან განსხვავებით, მის სიდიადეს პოეტში უძლურების გრძნობა არ გამოუწვევია; ბუნების სიდიადეს ვერ დაუმორჩილებია და ვერ გაუქვრია პოეტის პიროვნული ძალა. ამაშია თვით ვაჟას სიდიადე. „რომანტიკოსთა საპირისპიროდ, ბუნების წინაშე ადამიანი ვაჟასათვის არარაობას არ წარმოადგენს; ბუნების წიაღში ადამიანსაც ეკუთვნის გარკვეული და მნიშვნელოვანი ადგილი. ყველაფერს — ადამიანსაც — თავთავისი ადგილი აქვს განკუთვნილი ამ ნაირ-ნაირ სამყაროში და მათი გათქვეფა ურთიერთში არამცთუ სასურველი არაა, არამედ შეუძლებელიცაა" (კიკნაძე, 1989, 320). გრ. კიკნაძე გვთავაზობს ანიმიზმისა და ანთროპომორფიზმის განმარტებას და ხსნის, თუ რატომ იყო ამგვარი შეხედულება გაბატონებული ვაჟა-ფშაველას შესახებ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. მკვლევარის აზრით, წარმართობის ქვეშ (როგორც წესი) იგულისხმება ყველა რელიგია, რომელიც ქრისტიანული რელიგიისათვის უცხოა. ანთროპომორფიზმი ის მეცნიერული წარმოდგენაა, სადაც

ცხოველებს, მცენარეებსა და ბუნების მოვლენებს მიეწერებათ ადამიანური თვისებები, აზრები... ხოლო ანიმიზმში კი იგულისხმება რომ სამყაროში არსებულ ყველა საგანს აქვს სული. ყველა მითსა და გადმოცემაში სული გარკვეული ინდივიდუალური არსების საკუთრებაა, რომელსაც შეუძლია მიაშუროს ან დატოვოს ადამიანი. ამიტომ მითოლოგიური წარმოდგენა ბოლოს და ბოლოს დაიყვანება გასულიერებამდე.

არსებობს ანიმიზმის სხვაგვარი ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც საგნებს მიეწერება სიცოცხლე და არა სული... საბოლოოდ მაინც ირკვევა, რომ ანიმისტურ თეორიას არ აქვს საგანი... ანიმისტურ ხედვაზეა გადაჯაჭვული ანთროპომორფისტული შეხედულებაც. მკვლევარის აზრით, ყოველივე ეს, პოეტურ მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალების ერთ-ერთ ხერხს, გასულიერებას უკავშირდება; მისთვის ეს მხოლოდ პოეტური ხერხია და არა მრწამსი. გრ. კიკნაძე არ ეთანხმება ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომ ვაჟა-ფშაველა „პირველყოფილი ადამიანისდაგვარად აზროვნებს, რამდენადაც იგი აიგივებს ადამიანსა და არაადამიანს... თავის მხატვრულ თხზულებებში იგი ადამიანურ თვისებებს არაადამიანთ მიანერს და ამდენად, როგორც ხელოვანი ანთროპომორფისტულსა და ანიმისტურ ტენდენციას ააშკარავებს, რასაც არაფერი აქვს საერთო მსოფლმხედველობრივ განსხვავებულობასთან: ეს ტენდენცია მხოლოდ გამოსახვის სფეროზე ვრცელდება“ (კიკნაძე, 1989, 139). ამავე საკითხებს უკავშირდება ვაჟას შეხედულება პანთეისტობის შესახებ; ავტორი ამოსავალ დებულებად, რაღა თქმა უნდა, მიიჩნევს ყველაზე უფრო აღიარებულ თეზას პანთეიზმისას: ღმერთი ყველაფერშია და პირიქით. გულისხმობს თუ არა პოეტი ბუნების სახეში ღმერთს? არა! მკვლევარი ფიქრობს, რომ პოეტი არაერთგზის მიმართავს თავის პოეზიაში უფალს.

პოეტისათვის ბუნების საოცრებანი, ბუნების წიაღი არის აღმაფრენის წყარო და არ შეიძლება აქ ვეძიოთ ბუნების წარმონაქმნისა და ღმერთის გაიგივება. ბუნების სიდიადეს გრძნობდა ყოველი დიდი ხელოვანი, ბუნებასთან კონტაქტიც ყოველდღიური ყოფისაგან განთავისუფლებისა და ღმერთზე დაფიქრების, ღმერთთან მიახლოვების საშუალებას იძლეოდა; ეს კი მკვლევარის აზრით, არ ნიშნავს, იმას, რომ პოეტი აუცილებლად ათეისტად უნდა ჩაითვალოს. კერძოდ, ზოგჯერ ვაჟასთან ბუნება ღვთის მორჩილია ან მისი მომდურავი, არც ღვთისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების ფორმა არ ეგუება პანთეისტურ თვალსაზრისს. ვაჟა-ფშაველას პანთეისტური გაგების დასაყრდენს მკვლევარი ეთიკის სფეროშიც უარყოფს, რადგან „წარმართობამ არ იცის ზნეობრივი იდეალი“...

ვაჟა განასხვავებს ადამიანისა და ბუნების მიზნებს; გვაჩვენებს მათ ურთიერთწინააღმდეგობასაც, რაც ნიშნავს იმას, რომ ბუნება და ადამიანი არ არის ერთი და იგივე არსი. გრიგოლ კიკნაძე უარყოფს რა პანთეისტური აზროვნების ძიების შესაძლებლობას ვაჟა-ფშაველას თხზულებებში, „გველისმჭამელზე“ მსჯელობის დროს, პოემის ახლებურად გააზრებას გვთავაზობს; სადაც, სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, მინდიას ყოვლისმცოდნეობას საფუძვლად უდებს არა ინტელექტუალურ ცოდნას, არამედ ადამიანურ ინსტინქტს. მინდიამ კი არ იცის ცხოველთა და ფრინველთა ენა, მას ესმის ის. მინდიას აქვს უნარი იგრძნოს და მიხვდეს. ამიტომ მკვლევარს მიაჩნია, რომ ცოდნის მოპოვების გზა, რომელიც ნაწარმოებშია მოცემული, არ შეესაბამება „ცოდნის ბუნებას“, რადგან მისი მოპოვებისა და დაკარგვის, თუნდაც ამ „ცოდნის“ დაბრუნების მცდელობის გზა (ლოცვა) არ შეესაბამება ნამდვილი ცოდნის შეძენის საფუძველს. მინდია გულით მოქმედებს; მისი ცოდნა ბუნების შეგრძნებაზეა დამყარებული...

ზემოთ თქმულის მიხედვით, მინდიას შეუძლია გაიგოს ის, რაც სხვისთვის არ არის მისაწვდომი და მიაღწიოს იმას, რასაც სხვები ვერ ახერხებენ. მართალია, ვაჟასთან მინდიას მოქმედებასა და მთელ მის ქცევას ინტელექტუალური სფერო არ განაგებს, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ „გველისმჭამელში“ ნარმოდგენილია ბუნების წვდომის გრძნობითი გზა. ეს გზა ინსტინქტის გზაა... თუ ს. დანელიას აზრით, „ახლად სულის ჩადგმა“ ერთ-ერთი არგუმენტია პოემის ანტიქრისტიანულად გამოცხადებისა, გრ. კიკნაძე ამ საკითხთან მიმართებით, სხვაგვარად განიხილავს პრობლემას: მას მიაჩნია, რომ ვაჟას პოემაში ნაძალადევია „ინტელექტუალური ძიება“ სულისა; გარდა ამისა მიაჩნია, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც, შემოქმედებაშიც და „წმინდანთა ცხოვრების“ საღმრთო წერილებშიც ხშირად გვხვდება იგივე გამოთქმა და ეს არამც და არამც არ ადასტურებს პოემის წარმართულობას; თუმცა ავტორი იმასაც დასძენს, რომ „სრულიად არ არის სავალდებულო ეს ეპიზოდი გავიგოთ, როგორც აუცილებლად ქრისტიანული თვალსაზრისის გამოხატულება, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ეს არის გამოხატულება იმ ინსტინქტისა, რომელიც ასე გამახვილებული აქვს მინდიას“ (იქვე, 157). ამ შემთხვევაში თავს უფლებას მივცემთ, ვივარაუდოთ, რომ

წარმოდგენილი მსჯელობის ბოლო პასაჟი, რომელიც ქრისტიანული თვალსაზრისის გამოხატულების ფაკულტატურულ, არასავალდებულო თეზას წარმოადგენს და ბუნების არსის მინდიასეულ წვდომას ხსნის, უნდა იყოს ერთგვარი ხარკი, გაღებული იმ წლების იდეოლოგიური დიქტატის წინაშე, როდესაც ეს ნაშრომი იწერებოდა, ვინაიდან შეუძლებელია იმ მასშტაბის მკვლევარს, როგორიც გრ. კიკნაძეა შემთხვევით ეხსენებინა „წმინდანთა ცხოვრების" საღმრთო წერილები.

ბოლო ათწლეულის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გამოითქვა აზრი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ქრისტიანული კუთხით გაშუქების შესახებაც. თამარ შარაბიძე მიიჩნევს, რომ ქაჯეთი ჯოჯოხეთური სამყაროა, ხოლო მინდიას სამშობლო „სამოთხედ მისაღები"; მისი განმარტებით ქაჯთა შორის ტყვეობა ეშმაკის ტყვეობას უდრის, ხოლო მინდიას მიერ გველის ხორცის ჭამა – საიდუმლო ზიარებას. ავტორს მამტკიცებელ საბუთად მოჰყავს ციტატა ძველი აღთქმის საღვთო ისტორიიდან (დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი), სადაც სპილენძის გველი ჯვარცმულ იესო ქრისტეს მოასწავებს; აქედან გამომდინარე, ავტორი მიიჩნევს, რომ გველის ხორცის ჭამა, ღვთაებრივი, ჭეშმარიტი ცოდნის მოპოვებას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, პოემაში ღვთიურ ჭეშმარიტებამდე მისვლის პროცესია აღწერილი და მინდიას უნარს ავტორი სულიწმინდის მადლად აღიქვამს. გრიგოლ კიკნაძის საწინააღმდეგოდ, თ. შარაბიძე მიიჩნევს, რომ ადამიანი ცოდვის ჩადენის შემდეგ ინსტინქტს ვერ დაკარგავს (და ცოდნას, მითუმეტეს), მან შეიძლება დაკარგოს მხოლოდ ღვთაებრივი მადლი. მისი აზრით, სიკვდილზე გამარჯვების გზა, პოემაში იგივე პიროვნების განთავისუფლების გზაა, რაც ღვთის ხატობაშია გამოხატული. ეს კი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას გულისხმობს, რაც ნიშნავს უფლის ერობას და არა სხვა ერის მონობას. ბუნებას პოემაში განასახიერებს მინდია, რომელმაც უარყო უფლის გზა, უღალატა თავის რწმენას, ვითარცა მორწმუნე, ცოდვის ჩადენის შემდეგ, ურწმუნო ადამიანთან შედარებით, მეტად დაეცა ღვთის წინაშე. როცა მინდია ცდილობს მტრის ხელით „ეღირსოს" სიკვდილს, მკვლევარი ამას სინანულისაგან გაქცევის მცდელობად მიიჩნევს. ხოლო, როცა თანამოძმეთაგან გათოკილი მინდია კვლავ ცდილობს თავის დახსნას, წვალობს და გაორებულია, სიცხე მისი ხელმეორედ შობის დასაწყისად არის გააზრებული. მომხდარი ტრაგედიის, თვითშემეცნების შემდეგ მინდიას თვალზე ცრემლიც კი არ ადგება, ის ჩავარდება სინანულში და თვითმკვლელობით იხსნება ღმერთის წინაშე, რასაც უმალ მოჰყვება ჰარმონიის აღდგენა ადამიანის ბუნებასა და მის გარემომცველ ბუნებას შორის. მკვლევარე მინდიასა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებას შემდეგნაირად გაიაზრებს – როცა მინდია ბუნების ერთგულია, მას ესმის ბუნების ენა, როცა მერყეობს ბუნება თავად ურჩევს და ასწავლის ჭკუას, „რად სჩადი მაგას, მინდიავ, ვითომ არ იყავ მტერია?" ხოლო განწირულ მინდიას კი ბუნება მაგალითს აძლევს თავის დახსნისა. ყოველივე ამის შემდეგ მოულოდნელია ბუნების უგრძნობლობა თავის „პირმშოსადმი" (შარაბიძე, 1993, 171). მკვლევარის აზრით, მინდია გამარჯვებულია, ნიავის უდარდელობაც გმირის გამარჯვების ნიშნად მიიჩნევა. ზემოწარმოდგენილი მსჯელობის ზოგიერთი აზრის შესახებ საჭიროდ ვთვლით რამდენიმე შენიშვნის გამოთქმას: მკვლევარი ამბობს, რომ „მინდია ჩავარდება სინანულში ცეცხლმოდებული სოფლის ხილვისას". როგორც ვიცით, ახალი აღთქმის ერთ-ერთ შვიდ საიდუმლოთაგანია სინანული, რომლის სიმბოლო ცრემლი და აღსარება გახლავთ (შდრ.: „სულო ჩემო უბადრუკო, სულო ვნებულო, შეძრწუნდი მხედველი საიდუმლოსა დიდებულისა. სულთქმით ცრემლოდე მკერდსა ცემით, ხმობდი და იტყოდი – ღმერთო, განმწმიდე მე ვითარცა მეძავი ცოდვათა ჩემთაგან, ღმერთო მამათა ჩვენთაო"...) (ლოცვანი 1996, 53), თავი რომ დავიზღვიოთ ინტერპრეტაციის ნებისმიერობისაგან, მივმართოთ ტექსტს:

„... და ამ დროს ნახა სოფელში
ცეცხლები, რაც მომხდარიყო,
აღარ უნდოდა მისანი
გაშრა, გაფითრდა, ცრემლი კი
არ მოსდგომოდა თვალებში
სულ გულში ჩაგუბებულა
და გაბნეულა მკლავებში.
ქედს იხრის... სიტყვა ვეღარ სთქვა,
ხმლის ტარს შეეხო ცერითა,
ამოიწვადა ქარქაშით
გულს მიიბჯინა წვერითა".

აშკარაა, რომ მინდიას ცრემლიცა და სიტყვაც წართმეული აქვს, უფრო სწორედ კი ღვთიური ნიჭის დაკარგვასთან ერთად მან სინანულის მადლი დაკარგა და ჩავარდა სასოწარკვეთილებაში (მიმომწვლილველობაში), რაც ერთ-ერთი შვიდთაგანია მომაკვდინებელ ცოდვათაგან, ამიტომაც ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალი „გულს მიაბჯინა წვერითა".

(შდრ.: მახვილი მათი განეწონენ გულისა მათსა და მშვილდი მათნი შეიმუსრნენ, ფს. 36. 15).

შეიძლება გაჩნდეს კითხვა – იქნებ სასოწარკვეთილებამდე მინდია სოფლების გადაწვამ მიიყვანა, მანამდე კი იგი

გულწრფელი მონანიე იყო? არა, მინდიას გულწრფელი სინანული, საკუთარ ცოდვათა განცდა არ დაუფლებია, იგი თავისი დაცემის დამნაშავეს სხვაში ეძებს:

„... თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო,
უფალს თქვენგანა ვცოდია.
შვილებიც ჭირად გამიხდა,
შამაცვლევინეს ფიქრია,
დაკარგულს სულს და ხორცზედა
ეხლა დღედაღამ ვტირია“
(ვაჟა-ფშაველა, 1961. 174).

ხოლო ამგვარი განცდა მეტად შორსაა აღმსარებლური სინანულისაგან (შდრ.: „ჰე, უფალო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ“) (ლოცვანი, 1996, 27).

თ. შარაბიძე აგრეთვე მიიჩნევს, რომ „თავისუფლებას უმალ მოჰყვება ჰარმონიის აღდგენა ადამიანის ბუნებასა და მის გარემომცველ ბუნებას შორის... განწირულ მინდიას ბუნება მაგალითს აძლევს თავის დასახსნელად. ჩვენი თვალსაზრისის ნათელსაყოფად შევადაროთ ვაჟასეული ორი სხვადასხვა გმირის სიკვდილი და ბუნების გამოძახილი ამ სიკვდილზე:

„ზვიადაურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორგვა წყლისაო,
ნიავად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო,
ცრემლი ნისლების ჯარისა
ნაბრძანებია ღვთისაო“...
(ვაჟა-ფშაველა, 1961, 110).

„მთვარემაც გადმოაშუქა
საჯიხვეების სერითა
და დააცქერდა თავის მკვლელს
მოზარეს ქალის ფერითა,
ნიავიც მიდ-მოდიოდა
უდარდოდ, ნელის მღერითა...
ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა
ამოღებულის ენითა,
შაღებილს ჭია-ფერადა
კაცის გულ-მკერდის წვენითა,
და გათამაშდეს მწვანეზე,
ლაღად, მოლხენით, სტვენითა“.
(იქვე, 183)

ძნელია ამ ორი ეპიზოდის შეპირისპირების ვადაუჭარბებლად შეფასება: ერთ შემთხვევაში გმირის სიკვდილის გამო სინანულის გამოვლინებაა უფლის მიერ „ნაბრძანები“. ცრემლი ნისლების ჯარისა, ბუნების საყოველთაო გლოვა, ხოლო მეორე შემთხვევაში – „მოზარეს ქალის ფერით“ დასცქერს მთვარე შემცოდე თვითმკვლელს. ამ შემთხვევაში ბუნების ჰარმონია კი არ აღდგა, ის არასოდეს დარღვეულა, რამეთუ შემცოდე მხოლოდ საკუთარ თავს ანადგურებს; სიცოცხლის ხელყოფა მას არ შეუძლია. სწორედ ამიტომ „მიდმოდის“ ნიავი „უდარდოდ, ნელის მღერითა“, გაჰკრავს ფრთას „კაცის გულ მკერდის წვენითა“ შეღებილ ხმლის პირს და „ლაღად, მოლხენით, სტვენითა“ გაინავარდებს...

ლიტერატურული კომპოზიციის ურყევი კანონის მიხედვით ნაწარმოების ფინალში (არა აქვს მნიშვნელობა ჟანრსა და ფორმას), უფრო ზუსტად კი მის ბოლო ფრაზაში აკუმულირებულია ავტორის კრედო. ამ თვალსაზრისით კვლავ ორი პოემის ფინალი შევაპირისპიროთ, რათა ავტორისეული დამოკიდებულება ნათელვყოთ:

„მხოლოდ მდინარის ხმა ისმის
დაბლა მიქანავს ხველითა
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა“.
(ვაჟა-ფშაველა, 1961, 136)

„ფრთა გაჰკრის წვერსა ხმალისა
ამოღებულის ენითა,
შაღებილს ჭიაფერადა
კაცის გულ-მკერდის წვენითა
და გათამაშდის მწვანეზედ
ლაღად, მოლხენით, სტვენითა“.
(იქვე, 183)

თუ ერთ შემთხვევაში სათნოებისა და სიყვარულის ძალით ბოროტების ძლევის სიმბოლოდ უფსკრულის პირზე ყელმოღერებულ პირიმზეს ვხედავთ, რაც უეჭველი ნიშანია გმირის სულიერი გამარჯვებისა, მეორე შემთხვევაში, გაფითრებული მთვარის ნაღველი და ნიავის უდარდელი სტვენა იმის ნიშანია, რომ სულიერად დამარცხებული გმირი მხოლოდ „თავის თავს მოუკვდა“ და ბუნების დიდი ჰარმონია ამით არ დარღვეულა (შდრ: „არამედ კაცი ცოდვასა შინა თავსსა მოუკვდეს“... (ფს. 31. 29). მინდიასნაირი პიროვნება ვერ მოუკვდება იმ საზოგადოებას, რომელმაც ვერ „იცნო“. ის მათ შეიძლება დააკლდეს. ასეთი გმირი თავს უკვდება; უკვდება შემოქმედს.

ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებულია ვაჟას წარმართობის თეორია, ვინაიდან მინდია „ბუნებისგან გამოწვეული მოვლენა, მიზეზის მიერ შექმნილი შედეგი“ კი არ არის, არამედ ჭეშმარიტების საიდუმლოს „შეჭმით“ (შიგნით მიღებით) ნაზიარები „ახალად სულჩადგმული“ რჩეული, რომლის შემდგომი ცხოვრება ბედისწერით კი არ არის წინასწარგანსაზღვრული, არამედ საკუთარი ნებითა და რწმენის ძალით იმართე-

ბა, ეს სწორედ პრინციპული სხვაობაა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის; მიუხედავად ამისა, ვერ დავეთანხმებით აზრს, რომ მინდია ჭეშმარიტი მართლმადიდებელი მორწმუნის მოდელია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისთვის მონანიების ფორმა უცხოა; ჩვენ აქ უფრო ტრაგიზმს ვხედავთ; რადგან მინდიასნაირი ადამიანები იღუპებიან საკაცობრიო პრობლემებისა და ამქვეყნიური არაჰარმონიული ყოფის გამო. არც მხოლოდ ბუნების ინსტინქტურად წვდომის გზა იქნებოდა ვაჟას გმირის ხასიათის „გასაღები".

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას მიერ ადამიანის ღმერთთან მიმართების, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით – სარწმუნოებრივ საფუძველს, აქ შეიძლება ითქვას შემდეგი: მინდია გველის შეჭმით ეზიარა წმიდა საიდუმლოს და მას მიეცა სიტყვის ნიჭი – ესმის ენა ბუნებისა. ვფიქრობთ, ახსნა არ სჭირდება, რას ნიშნავს „სიტყვა", რომელიც მიეცა მინდიას და რომლის წყალობითაც მას ესმის ენა (შდრ. „რამეთუ ჩემი არს ყოველი მწეცი ველისა, ნადირი მთათა და ყოველი პირუტყჳ. ვიცნი მე ყოველი მფრინველნი ცისანი და შუენერებაჲ ველთა ჩემ თანა არს, შე-თუ-მემშიოს, არავე შენ გეტყოდი, რამეთუ ჩემი არს სოფელი და სავსებაჲ მისი" (ფს. 49, 10-11). ეს კი უეჭველად არის ცოდნით განათლებული გონება. იქ, სადაც სულის მღვიძარებაზე (ანუ ცოდნით განათლებული გონებისა და ნების ერთობლიობაზე) ვსაუბრობთ, ინტუიციაზე ლაპარაკი ალბათ უკვე საკითხის მეტისმეტად გამარტივებას ნიშნავს. მაგრამ ჩვენი მსჯელობა მეტისმეტად სწორხაზოვანი და ცალსახა რომ არ გამოვიდეს, ვიტყვით, რომ ინტუიციური იმპულსის გამორიცხვა ადამიანური ყოფიერებიდან არ შეიძლება; ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, რომ მკვლევარ გრიგოლ კიკნაძეს შემთხვევით არ უნდა ჰქონდეს ნახსენები „წმინდანთა ცხოვრება" სულის ფერიცვალებასთან დაკავშირებით; გარდა ამისა, ჩვენი მოსაზრების ამოსავალ დებულებად მივიჩნიეთ არა წმინდა სახარებისეული მოქმედება გმირის (როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანის), არამედ ავტორისეული აზროვნების სიახლოვე ბიბლიურ მოტივებთან.

ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ მინდია შეიძენს ბოროტების მიერ დატყვევებულ (ამაზრზენ გველად სახეცვლილ) სიბრძნეს, რათა ადამიანები აზიაროს მას. ესაა ღვთიური მადლი, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა მსგავსად ზეგარდმონიჭებულ რჩეულთათვის. ის წინასწარმეტყველთა დარად დაჯილდოებულია ზეადამიანური ნიჭით ჯადოსანთაგან განსხვავებით მის გულში ბოროტებამ ვერ მოიკიდა ფეხი, პირიქით, ყველგან სიკეთისა და სიყვარულის მეესველია. მას მაინც ეჭვით უცქერიან; რადგან მოაქვს სიახლე, სიახლე კი ადვილად მისაწვდომი არ არის ყველასათვის. იოანე მოციქული ამბობს „... სიყვარული მომცა ჩვენ მამამან, რაჲთა შვილ ღმრთისა ვიწოდნეთ. ამისათჳს სოფელმან არა გიცნის თქუენ, რამეთუ არცა იგი იცნეს (ახალი აღთქმა, 1995, 305.3.1). ხალხის პროტესტს მინდიას მიმართ პოემაში ჩალხია გამოხატავს:

„ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,
ჩვენც რად არ გაგვიგონია?
ჩვენს სატყუებლად მინდიას
სიცრუე მოუგონია..."
(ვაჟა-ფშაველა, 1970, 130)

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, სადაც „გველისმჭამელი" განხილულია თეოსოფიის პოზიციიდან „ახლად სულის ჩადგმას", წარმართულ თვალსაზრისს მიაწერენ.

„ახლად სულის ჩადგმა" პოემაში ნიშნავს სულის გადასხვაფერებას, თვისების შეცვლას სულისას. მინდია ხომ არ მომკვდარა, ცოცხალ მდგომარეობაშივე იცვალა სახე მისმა სულმა, ე.ი. გარდაისახა, მოხდა სულის ფერიცვალება. ამის შესახებ კი არქიმანდრიტი რაფაელი ამბობს: „ქრისტიანული რელიგია არის სულის ფერიცვალება" (არქიმანდრიტი რაფაელი, 1997. 9), ე.ი. ზუსტად ის ფაქტი, რაც ვაჟას წარმართობის დასადასტურებლად იქნა მოყვანილი, ქრისტიანული თვალსაზრისით უფრო მარტივი ასახსნელია და ვფიქრობთ, ამგვარი კუთხითაც შეიძლება გამოითქვას მოსაზრება „გველისმჭამელზე" მსჯელობისას, როცა ამ საკითხს ვეხებით. საფიქრებელია, რომ იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მინდიას მიერ ბუნების ენის შეცნობის უნარზე საუბრობენ. გმირმა, განიცადა რა სულის ფერიცვალება, იმ დღიდან ესმა ფრინველთა და ცხოველთა ენა. ცამ, დედამიწამ, ტყემ საუბარი დაუწყო მინდიას. სულიერად გამშვენიერებულმა შეიყვარა მთელი სამყარო და მის განუყოფელ ნაწილად იქცა; რადგან ჰარმონიული ურთიერთკავშირი დამყარდა მათ შორის. სწორედ ბუნების ენის შეცნობის, ბუნების ამდაგვარად წვდომის საკითხებზე დაყრდნობით გამოითქვა აზრი ვაჟას ანიმისტობის შესახებ.

„დღეს არავისთვის არ არის გასაკვირი ადამიანის სულის დაფარული ძალებისა და შესაძლებლობების შესახებ საუბარი. ხოლო ბიბლიაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ადამი და ევა სახელებით უხმობდნენ ცხოველებსა და მცენარეებს. წმინდა მამების

სწავლებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამმა ყველა არსის შინაგანი ბუნება იცოდა, მისი სულიერი ხედვა ხილული სამყაროს უხილავ სიღრმეებს სწვდებოდა. სამყაროს იგი თავის სულის შუქზე სჭვრეტდა“. ცოდვით დაცემის შემდეგ კი ეს შუქი ჩაქრა. სამყარო გარეგნული საფრთხის გარსში გაეხვია; და ადამიანი მას უკვე შინაგანი ხედვისა და ინტუიციის საშუალებით კი არ აღიქვამდა, არამედ ხუთი ორგანოს გზით (იქვე, 70). ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, მივდივართ აზრამდე, რომ ავტორი ბიბლიას ეყრდნობა.

მინდია, ცოდვის ჩადენის შემდეგ, კარგავს სამყაროსთან კავშირს, ურთიერთგაგების უნარს, მანამდე კი ბუნების უხილავი, დაფარული სამყარო საჩინო იყო მისთვის, ვით ბიბლიური ადამისათვის. ცოდვის ჩადენის შემდეგ ადამმაც დაკარგა სულიერი სიმშვიდე და სამყაროს მთლიანობის შეგრძნება; ყოველივე ეს დაკარგა ვაჟა-ფშაველას თანამედროვე ღმერთდაკარგულმა საზოგადოებამაც.

მინდია ღვთის რჩეულია და ამიტომ ხალხის კუთვნილებას წარმოადგენს, როცა თავის ზეადამიანურ ნიჭს კარგავს, იწყება მისი პიროვნული ტრაგედია, რომელიც თავისთავად ხალხის ტრაგედიაშიც გადადის.

გმირი დიდი სათქმელით იყო მოსული მათთან, საზოგადოებამ ის ვერ დაიანახა, ვერ იცნო. ბოლოს, უნარწართმეულ მინდიას რჩევით ხევსურები მარცხდებიან მტერთან და ამ ფაქტით განადგურებული პიროვნება თავს იკლავს. როცა მინდია პირველ ცდუნებას აჰყვა და ხე მოჭრა, დაიწყო მისი პიროვნების რღვევა. წაერთვა მადლი. ერთ ცდუნებას მეორეც უნდა მოჰყოლოდა და სწორედ ამ ხაზის ლოგიკური გაგრძელებაა გმირის თვითმკვლელობის ფაქტიც.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მივდივართ აზრამდე, რომ „გველისმჭამელში“ ავტორის მიერ თეოსოფიური პოზიციის რომელიმე მიმართულების ძიება საფუძველს მოკლებული უნდა იყოს.

ამ კონკრეტული შემთხვევისათვის, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, გრ. კიკნაძის ნაშრომიდან – „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“– ავტორისეული დაკვირვებები, სადაც საუბარია ადამიანის გონებისმიერი პირველადი ინტუიციის რეალური მნიშვნელობის აღიარებაზე. მისი აზრით, ადამიანურ ინსტინქტს „მკაფიო მორალური სახე აქვს, მისი წარმმართავი პრინციპი ჰუმანურობაა და თავისი შინაარსი ეთიკის სფეროდან მოაქვს. როცა ჩვენი გონებაც ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, მაშინ გამორიცხულია შესაძლებლობა ინსტინქტთან მისი დაპირისპირებისა“ (კიკნაძე, 1989, 154). ინსტინქტი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია განმარტებული, შეუგნებელი მოქმედებაა, ადამიანური ინსტინქტი უკვე ალღოა, ინტუცია კი ალღო – ლოგიკური დასკვნების გარეშე სინამდვილის წვდომა. ამ ყოველივეს გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოემაში საქმე გვაქვს ადამიანის ისტორიასთან დღიდან გაჩენისა... თავისი სისუსტით და სიძლიერით, რომელიც უფალს უნდა მიეახლოს ადრე თუ გვიან. ადამიანი თავისი ბუნებით მომცველია სიბრძნისაც და ინტუიციისაც. თავიდანვე მისთვის შეუქმნია უფალს სამყარო...

ლიტერატურა

არქიმანდრიტი რაფაელი, საუბრები მართლმადიდებლობაზე. მეორე ნაწილი, თბილისი, 1997.
ბიბლია. თბილისი, 1989.
გაფრინდაშვილი ვ., პოეზია და ბუნება – თბილისი, 1990.
დანელია ს., ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, ტფილისი, 1927.
ვაჟა-ფშაველა, პოემები, ტ. II, თბილისი, 1961.
ვაჟა-ფშაველა, რჩეული, პოემები, ტ. II, თბილისი, 1970.
თევზაძე გ., შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბილისი, 1996.
კიკნაძე გრ., ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი, 1989.
ლოცვანი. თბილისი, 1996.
ნუცუბიძე შ., მისტიციზმი და ერესი აღმოსავლეთსა და დასავლეთში – შრომები IV, თბილისი, 1976.
რობაქიძე გრ., ვაჟა-ფშაველა (ნაწყვეტი 1909 წ. წაკითხული ლექციისა), „მნათობი“ №10, 1987.
ტაბიძე ტ., ვაჟა-ფშაველა – წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, №2, თბილისი, 1966.
ტაბიძე ტ., ცისფერი ყანწებით – ცისფერი ყანწები №1-2, ქუთაისის ფილიალი, 1990.
ფსალმუნები, თბილისი, 1995.
ქიქოძე გ., ვაჟა-ფშაველა – ეტიუდები და პორტრეტები, თბილისი, 1946
შარაბიძე თ., „გველისმჭამელის“ ქრისტიანული არსის გაგებისათვის, „განთიადი“ №5-6, ქუთაისი, 1993.
ჩიქოვანი ს., ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ელფერი და მისი პოეტური შემოქმედება, რჩეული წერილები, თბილისი, 1963.
ჯიბლაძე გ., ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1958.
ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ, გონის ფილოსოფია, თბილისი, 1984.
Брокгаузъ, Эфронъ. 1897, 704.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ურუშაძე

მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს...

ჩვენ გვქონდა სურვილი ერთად დაგვეწერა წიგნი შემდეგი სახის: აგვერჩია, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესი თეატრალური პრობლემა და გაგვეაზრებინა იგი – მას რეჟისორის თვალით „შიგნიდან", მე კი „გარედან" თეორეტიკოსის თვალით. ვფიქრობდით, რომ ამგვარი წიგნი ნათლად წარმოაჩენს ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ ნებისმიერი ხელოვანის ნააზრევს ამა თუ იმ მარადიულ შემოქმედებით პრობლემაზე მუდამ წინ უძღვის ამავე პრობლემაზე სხვათა ნააზრევი, წინაპართა პრაქტიკული და თეორიული მონაპოვარი.

წიგნში გათვალისწინებულია შემდეგიც: ვიხსენებთ იმ წლებს, როდესაც გამოითქვა მიხეილ თუმანიშვილის ნააზრევი და იმას, რაც შექმნა მან იმ წლებში, რათა ნათელი იყოს მიღწევათა პერიოდია ეს მისთვის, თუ პირიქით.

იმისთვის, რომ იგრძნობოდეს იმ ხელოვნების ხიბლი და მიმზიდველობა, რომელსაც მთელი სიცოცხლე ეტრფოდა დიდი ქართველი რეჟისორი, ყოველ პრობლემასთან დაკავშირებით, გარდა მიხეილ თუმანიშვილის ნააზრევისა, გავიხსენებთ მცირე მონაკვეთებს მისი მხატვრული ქმნილებებიდან.

ნააზრევი თეორიაა. შემოქმედება – მხატვრულ ქმნილებათა შეთხზვა-შექმნაა. მისი საიდუმლო საგანგებო ნიჭიერებაშია – იმაში, რაც დღემდე ამოუცნობია. სჭირდება მას თეორია ანუ გაცნობიერება და განზოგადება შემოქმედებითი პრაქტიკისა, სადაც სამყაროს ამ მშვენიერი უბნის კანონზომიერებანი ბუდობენ? სჭირდება მათი გააზრება და შესწავლა?

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ხელოვნების არც ერთი სახეობა არ სჯერდება მხოლოდ პრაქტიკულ ქმნადობას და თვითონვე ცდილობს იმის გააზრებას, რაც შემოქმედების ამ სახეობის არსს შეადგენს. ჩანს, მიაჩნია, რომ ეს გააზრება მასაც ესაჭიროება და გამოადგება. რაში? – ისევ შემოქმედებაში! საკუთარ ხელოვნებაზე სახელოვან ადამიანთა ნააზრევია იმის უტყუარი საბუთი, რომ მათთვის განუყოფელია მხატვრული ნაწარმოების შექმნა და იმ კანონზომიერებათა ცოდნა, რომელთა გარეშეც სრულფასოვანი მხატვრული მოვლენა არ დაიბადება. მეცნიერების განვითარება საკუთარ სფეროში მოქმედ ობიექტურ კანონთა ცოდნის ანუ თეორიის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ნებისმიერი მეცნიერება შეისწავლის მათ, ეუფლება და იყენებს პრაქტიკაში. ვფიქრობთ, იგივეა ხელოვნებაშიც. განა შემთხვევითია, რომ ყველა მუსიკოსი ემორჩილება დადგენილსა და აღიარებულ მუსიკალურ წეს-კანონებსა და თეორიას, პრაქტიკულად კი ამ აუცილებელსა და კანონზომიერს თავისებურად იყენებს?

ჩვენი სურვილია, მიხეილ თუმანიშვილის ნააზრევი წარმოვაჩინოთ არამარტო თეატრის სხვა მოღვაწეთა ნააზრევის, არამედ მისივე პრაქტიკული შემოქმედებისა და პედაგოგიური მოღვაწეობის ფონზე.

სათეატრო ხელოვნების რაობის თეორიული გააზრება მიხეილ თუმანიშვილს ესაჭიროებოდა, პირველ ყოვლისა, როგორც რეჟისორ პრაქტიკოსს, რადგან მიაჩნდა, რომ პრაქტიკა და თეორია არც შემოქმედებაში არსებობენ უერთმანეთოდ. სჭირდებოდა როგორც პედაგოგს – მომავალ მსახიობთა და რეჟისორთა აღმზრდელს, ვისთვისაც უნდა გადაეცა სათეატრო ხელოვნების თავისი ცოდნა. სწავლება ცოდნის სხვისთვის გადაცემაა, მას უთუოდ ახლავს თან შესატყვისი მეთოდიკა, მეთოდიკას აუცილებლად ესაჭიროება თეორია, სადაც უმთავრესი და აუცილებელია ხოლმე თავმოყრილი. თეორია აქვს ლიტერატურასაც, სახვით ხელოვნებასაც, მუსიკასაც. მაშასადამე, ყოველ ამ სფეროში უკვე მიგნებული და დადგენილია უმთავრესი კანონზომიერებანი. არ შეიძლება სათეატრო ხელოვნება იგივეს არ ესწრაფოდეს. ამის დასტურია სცენის ხელოვანთა ის წიგნები და ცალკეული წერილები, მათ რომ დაუწერიათ საკუთარი და სხვათა შემოქმედებითი პრაქტიკის თეორიული გააზრების მიზნით. ამის დასტურია თვით მიხეილ თუმანიშვილის ყველა წიგნი და ყველა წერილი. ჩვენი ერთობლივი მუშაობის მისი სურვილიც აქედან დაიბადა – მე უნდა გამენთავისუფლებინა იგი პრობლემის შესახებ სხვათა ნააზრევისგან იმისთვის, რომ მას მხოლოდ ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკუთარი სათქმელი ეთქვა.

ვერ მოვასწარით... ახლა მარტო ვცდილობ იმ ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას მის მიერ სიცოცხლეში ბეჭდურად გაცხადებული ნააზრევის მეშვეობით.

ძალიან მდიდარია მემკვიდრეობა, რომელიც მიხეილ თუმანიშვილმა

სათეატრო ხელოვნებით დაინტერესებულებს დაუტოვა. იგი მოიცავს როგორც მისი სპექტაკლებისათვის შეთხზულ სარეჟისორო გეგმებს, ისე სათეატრო ხელოვნების მისეულ გაგებას, ცალკეულ პრობლემებს, აგრეთვე მომავალ რეჟისორთა და მსახიობთა აღზრდის პრინციპებსა და საკუთარი გამოცდილებით მოპოვებულ პრაქტიკულ რჩევებს.

თეორიისადმი განსაკუთრებით მიდრეკილი არ ყოფილა. მისი მოწოდება და სიყვარული სპექტაკლების თხზვა და სცენაზე მათი გაცოცხლება იყო, მაგრამ მხატვრული სრულყოფისაკენ გამუდმებულმა სწრაფვამ სათეატრო ხელოვნების არსის გაცნობიერება მოითხოვა. მით უფრო, რომ ქმნადობის ნიჭის გარდა, ღმერთმა უფაქიზესი ანალიზისა და ნააზრევის სიტყვით გადმოცემის უნარიც მისცა. პედაგოგიური ნიჭიც გაიღო მისთვის, პედაგოგიკა კი სხვისთვის გადაცემის უნარია ზეპირადაც და ბეჭდურადაც. სცენის ხელოვნებაზე განუწყვეტელი ფიქრიც მოსვენებას არ აძლევდა.

მისი ნააზრევი მწყობრ თეორიად არ ჩამოყალიბებულა, ცალკე მარგალიტებად გაბნეული საჟურნალო და საგაზეთო სტატიებში, მრავალრიცხოვან ინტერვიუებსა და საუბრებში ადგილობრივსა და უცხოელ კორესპონდენტებთან და ორ მის შესანიშნავ წიგნში – „სანამ რეპეტიცია დაიწყება...“ და „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“. მისი გარდაცვალების შემდეგ დასტამბული „ახლა კი, ფარდა...“ ავტორს წიგნად არ შეუკრავს. ესაა უმთავრესად გამოუქვეყნებელი მისი ცალკეული ჩანაწერების არასრული კრებული. მიხეილ თუმანიშვილის უმდიდრესი მემკვიდრეობის შესწავლას დრო და სპეციალისტთა მთელი ჯგუფი ესაჭიროება.

ამჯერად ვცდილობთ თავი მოვუყაროთ მისი ნააზრევის იმ ნაწილს, რომელთა უმრავლესობა თვითონ გამოაქვეყნა. მასალა პრობლემების მიხედვით დავაჯგუფეთ, რათა იმის მიახლოებითი სურათი მაინც შეიქმნას, რაზედაც ფიქრობდა ჩვენი დროის გამოჩენილი ქართველი რეჟისორი ამავე სათაურით — „მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს...“

ხელოვნებაზე

ხელოვნებით ადრე დაინტერესებული და იმთავითვე წიგნიერი მიხეილ თუმანიშვილი, სანამ სათეატრო ხელოვნების შესახებ საკუთარ შეხედულებათა გამომზეურების უფლებას მისცემდა თავს, გარკვეული იყო საერთოდ ხელონების რაობასა და დანიშნულებაში. იცოდა, რომ მუდამ სინამდვილის ამსახველი, ის მაინც განურჩევლად ყველაფერს არ ასახავს – მხოლოდ იმას, რის არსიც ახსნა-განმარტების გარეშე შეიძლება წარმოჩინდეს სახეობრივ. ეს მაშინაა შესაძლებელი, თუ ცხოვრებისეული ფაქტი შემოქმედის სულის პრიზმაშია გატარებული და ამ გზით ხელახლა დაბადებული, უკვე როგორც ფაქტი ხელოვნებისეული სინამდვილისა. როგორც შესაძლებლობა ხელოვანის მიერ ადამიანებისათვის ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მოვლენაზე საკუთარი სათქმელის განდობისა. მისდამი საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის, ზნეობრივი და ემოციური დამოკიდებულების გამჟღავნებისა.ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა გ. ტოვსტონოგოვი იმას, რაც შემდგომ არაერთხელ განუცხადებია ბეჭდურად: „ჩემთვის ზნეობრივი პრობლემა მუდამ უმჭიდროესადაა დაკავშირებული მოქალაქეობრივ პრობლემებთან. რაც უფრო ფაქიზად და ღრმადაა დამუშავებული ადამიანის ზნეობრივი მშვენიერების პრობლემა, მით უფრო ძლიერია ნაწარმოების მოქალაქეობრივი ჟღერადობა, მით უფრო ძლიერია თანამედროვე მაყურებელზე მისი ზემოქმედება“.

იცოდა, რომ ხელოვნება ქმნადობაა, მხატვრული ნაწარმოების შეთხზვაა. რომ ეს ნაწარმოები მოიცავს არამარტო სინამდვილის სურათსა და ავტორის ჩანაფიქრს, არამედ მის ემოციებსაც – იმას, რაც მან განიცადა ცხოვრებაში და რამაც ნაწარმოების შეთხზვა მოანდომა, თავის სათქმელი ათქმევინა ხელოვნების ენით იმისთვის, რომ ადამიანებისთვის სულის საზრდო მიეწოდებინა. იცოდა, რომ ხელოვანს აქვს არამარტო გარკვეული მოქალაქეობრივი, ზნეობრივი, არამედ გარკვეული ესთეტიკური მრწამსი. რომ ნაწარმოებში ჩაღვრილი მშვენიერება საშუალებას აძლევს ადამიანებს, იქ მოწოდებული მოვლენა გაიაზროს და განიცადოს.

იცოდა, რომ შემოქმედება ხელოვანის მთელ არსებას ითხოვს, სულიერ ძალთა სრულ მობილიზაციას, ნაწილთა შეხმატკბილების, მომავალი ქმნილების ჰარმონიული მთლიანობის შეგრძნებას, რასაც საგანგებო ნიჭი ესაჭიროება. რომ ნიჭი თავისებური ვნებაცაა – ჭეშმარიტი ხელოვანი არ შეიძლება განერიდოს ცხოვრებას, ადამიანთა სატკივარი სხვას გადააბაროს. მას ცხოვრებისადმი გაძლიერებული ინტერესი ასულდგმულებს.

იცოდა, რომ ხელოვნებაში სათქმელი პირდაპირ არ ითქმის – ითქმის სახეობრივ, მინიშნებით და გათვალისწინებულია არა წაკითხვასა და ცნობაზე, არამედ წვდომაზე, ამოხსნაზე, ამოცნობაზე.

იცოდა, რომ მხატვრული ქმნილება სასიკეთოდ მოქმედებს მისი აღმქმელის გონებასა და სულზე, რადგან წარიტაცებს მათ, აღუძრავს განცდასაც, ფიქრსაც და ზნეობრივადაც აღამაღლებს. მისი სულის სარბიელს გააფართოებს და ახლებურად დაანახვებს სამყაროსაც, საკუთარ თავსაც და ესთეტიკურ ტკბობასაც განაცდევინებს. რომ ხელოვნება არის სინამდვილის არა მეცნიერული, არამედ სუბიექტისეული შეფასებითი შემეცნება, რომელიც ზოგჯერ მეცნიერულზე უფრო ღრმაა, რადგან სათქმელში შემეცნება და შეფასება ერთადაა.

ასე ქმნის ხელოვნება სინამდვილის ხატოვან მოდელს, რომელიც მიმართავს ადამიანის გრძნობებს, წარმოსახვის მისეულ უნარს და ამ გზით ამოაცნობინებს იმას, რაც ითქვა მინიშნებით, სულ ერთია, სიტყვა იქნება ეს მინიშნება, ფერი, ხაზი, ბგერა, პლასტიკა თუ მოქმედება.

რაგინდ ცნობილი იყოს ეს ყოველივე, ჭეშმარიტ ხელოვანს აუცილებლად გაუჩნდება ხოლმე საკუთარი მოსაზრებები და საკუთარი მაგალითები როგორც თავის, ისე სხვათა თეორიული თუ პრაქტიკული შემოქმედებიდან გამომდინარე. ამიტომაა, რომ ყველა ხელოვანი, ასე თუ ისე, თვითონაც ხელახლა გაიაზრებს ხოლმე შემოქმედების მარადიულ პრობლემებს და მათ შესახებ საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს. მათ შორის სახეობრივი ენით სპექტაკლების მთხზველი მიხეილ თუმანიშვილიც.

1961 წელს ჟურნ. „დროშაში" (№11) გამოქვეყნდა ახალგაზრდა შემოქმედთა ნააზრევი საკუთარ ხელოვნებაზე. მათ შორის იყო რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც აცხადებდა:

„ჩვენ, ხელოვნების მუშაკები, მოვალენი ვართ ვაკმაყოფილებდეთ ჩვენ თანამედროვეთა მაღალ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს, მაგრამ ამისათვის მარტოოდენ ეპოქალური იდეების ცოდნა როდია საკმარისი. აუცილებელია ახლოს მიხვიდე, ჩასწვდე და გაიგო ჩვენი დროის ახალგაზრდობის სურვილები და მისწრაფებები, გახდე მათი ოცნებისა და ფიქრების მესაიდუმლე. ერთი სიტყვით, გრძნობდე და განიცდიდე ცხოვრებას ისე, როგორც მათ ესმით, მათ წარმოუდგენიათ.

ახალგაზრდობა ჩვენი ცხოვრების ხვალინდელი დღეა, და ეს ხვალინდელი დღეს იქმნება, დღეს ეყრება საფუძველი ქვეყნის მომავალს, ახალ პიროვნებას, მის მოქალაქეობრივ სახეს და გულმხურვალე მამულიშვილობას.

ამიტომაა, რომ ყოველი ახალი პიესის გამოჩენას ახალგაზრდობის თემაზე, ჩვენ დიდი გულისყურითა და მზრუნველობით ვეკიდებით.

დღეს რუსთაველის თეატრის კოლექტივის ერთი ნაწილი [illegible] ბით მუშაობს გ. ხუხაშვილის [illegible] შვილები". პოეტური და სიმბოლური ხასიათის ამ ნაწარმოებში დასმულია მთელი რიგი საკითხები, რომელიც სხვადასხვა თაობათა ჩვენებისა და ზოგჯერ დაპირისპირების გზით წყდება.

ნაწარმოებს თანამედროვე ლეგენდის ჟანრის სახე გააჩნია. მისი დადგმა ბევრ სიძნელეს უკავშირდება, რაც მხოლოდ ერთიანი და დაძაბული მუშაობით შეიძლება იქნას დაძლეული".

მცირე ზომის, მოკრძალებული წერილია, მაგრამ ფაქტობრივად, საპროგრამო. დავაკვირდეთ თუნდაც პირველსავე წინადადებას: „ჩვენ, ხელოვნების მუშაკები, მოვალენი ვართ ვაკმაყოფილებდეთ ჩვენ თანამედროვეთა მაღალ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს". ამისთვის „აუცილებელია ახლოს მიხვიდე, ჩასწვდე და გაიგო ჩვენი დროის ახალგაზრდობის სურვილები და მისწრაფებები, გახდე მათი ოცნებისა და ფიქრების მესაიდუმლე. ერთი სიტყვით, იცნობდე, გრძნობდე და განიცდიდე ცხოვრებას ისე, როგორც მათ ესმით, მათ წარმოუდგენიათ".

ამგვარად, რეჟისორის ორიენტაცია აშკარადაა გაცხადებული — მისი ადრესატი, საფიქრალი და საზრუნავი ობიექტი მისივე დროის ახალგაზრდობაა. თუ რატომ, ამას ის მომდევნო წინადადებით აზუსტებს: „ახალგაზრდობა ჩვენი ცხოვრების ხვალინდელი დღეა, და ეს ხვალინდელი — დღეს იქმნება. დღეს ეყრება საფუძველი ქვეყნის მომავალს, ახალ პიროვნებას, მის მოქალაქეობრივ სახეს და გულმხურვალე მამულიშვილობას".

მიხეილ თუმანიშვილის ეს მოქალაქეობრივი პოზიცია ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გვამცნობს, რომ ქვეყნის ცხოვრებისაგან განრიდებული ხელოვნება მას არ წარმოუდგენია. ეს თვალსაზრისი არც შემდგომ შეეცვლება. მით უფრო, რომ საკუთარი შემოქმედებითაც მას ადასტურებდა. ამ დროისათვის უკვე დადგმული აქვს ისეთი შესანიშნავი სპექტაკლები, როგორც: „ადამიანებო, იყავით ფხიზლად" ი. ფუჩიკის მიხედვით (1951). ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი" (1954), ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოტორი" (1954), კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა" (1958) და პ. კოჰოუტის „როცა ასეთი სიყვარულია" (1959).

ერთი ეპიზოდი ამ განსაცვიფრებელი სპექტაკლიდან — სცენა, სადაც პეტრი პეტრუსი და მილან სტიბორთან შესახვედრად მიმავალი ლიდა მატისოვა შემთხვევით შეეყარნენ ერთმანეთს ვაცლავის მოედანზე ქუჩის გადასასვლელთან.

ლიდა და პეტრი არ ელოდნენ ამ შეხვედრას. გაოცებულებს უნებლიეთ აღმოხდათ ერთმანეთის სახელები. სწორედ ამ დროს შუქნიშანი, რომელიც ქუჩის გადასასვლელზე მოძრაობას აწესრიგებს, წითლად განათდა. ძნელი არ არის მიხვდე – აქ საფრთხეა, რაღაც საფრთხე... სანამ ამ ავტომატურ შუქნიშანში შემდეგი ფერის დრო მოაღწევდა, ლიდამ უკვე მოასწრო იმის თქმა, რომ პეტრის ჩამოსვლის გამო მან მოსვენება დაკარგა. პეტრიმ ჰკითხა – „დრო თუ გაქვს?" ლიდამ უპასუხა – „არა... მე უნდა..." – შუქნიშანი მწვანედ განათდა, ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა შეიძლება! ლიდაც გადავა, ალბათ, და აღარ არის მგონი საფრთხე? მაგრამ ლიდამ გადასვლა ვერ მოასწრო იმიტომ, რომ პეტრი ისევ ეხვეწებოდა – „შევხვდეთ სადმე, საქმეები სწრაფად მოაგვარე, რამდენი გვაქვს მოსაგონებელიო"... როდესაც მის დაჟინებულ შეკითხვას „მოხვალ?" მან უპასუხა „არ ვიცი... შეიძლება..." შუქნიშანი ყვითლად განათდა. მაშასადამე, საფრთხე ნახევარ გზაზე შეჩერდა...

არაფერი ამის მსგავსი ავტორს არა აქვს. პიესაში ლიდას და პეტრის ეს შეხვედრა, რემარკის მიხედვით, ხელის ჩამორთმევით მთავრდება, წარმოდგენაში კი შუქნიშანის ყვითლად მოელვარე ნათურით. ჩვენ არ ვიცით, რომელი ფერი აციაფდება მის შემდეგ. არც ის ვიცით, როგორ მოიქცევა ლიდა – თავისუფლად გაივლის მწვანე ფერის ნიშანზე, თუ არ შეხედავს საფრთხის მაუწყებელ წითელ ნათურას და ქუჩას მაინც გადალახავს?!..

მიხეილ თუმანიშვილი უკვე აღიარებულია უნიჭიერეს რეჟისორად, დგამს სპექტაკლებს, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ პრესაში მისი წერილები არ ჩანს. არ წერს? თურმე წერს – წიგნს „სანამ რეპეტიცია დაიწყება...", რომელსაც 1977 წელს გამოსცემს საქართველოს თეატრალური საზოგადოება. აქაც შეეხება საკითხს ხელოვნების რაობისა და დანიშნულების შესახებ:

„ხელოვანი ის ადამიანია, რომელსაც სათქმელი აქვს ცხოვრებაზე" (გვ. 173).

„განა რა არის შემოქმედება? ესაა ადამიანის თანდაყოლილი სწრაფვა შექმნას რაღაც ახალი. შემოქმედება – ესაა დაუოკებელი სურვილი ყოველდღიური, სტერეოტიპული, ჩვეულებრივი აზროვნების წესიდან თავდახსნისა და ახალ, ჯადოსნურ სამყაროში, უცნობ ფორმათა და აზრთა ქვეყანაში შესვლისა" (გვ. 176).

„თუ საგანს, მოვლენას სულს შთავბერავთ, ის სრულიად ახალ აზრს შეიძენს, ახალი იდეის მტვირთველი გახდება" (გვ. 56). და კიდევ ერთხელ:

„ხელოვნების ნაწარმოები მოქმედებს ადამიანის შეგნებაზე, აფხიზლებს მის წარმოსახვას, აღებს (როგორც მეცნიერებაში ამბობენ) მისი მეხსიერების ბლოკს, იწვევს ემოციებს და ასხვაფერებს მის შეგნებაში ჩამოყალიბებულ დებულებებს, აზროვნებისა და საქციელის ჩვეულებრივ ნორმებს, ხელს უწყობს არაბანალური აზროვნების ფორმირებას" (გვ. 278).

1983 წელს მოსკოვის გამომცემლობა „ისკუსტვომ" დასტამბა მიხეილ თუმანიშვილის წიგნი „რეჟისორი თეატრიდან მიდის". ამ წიგნში ხელოვნების მისეული გაგება შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

„ხელოვნება მიემართება იქით, საითაც მას უხმობს დრო" (გვ. 129).

„ზუსტი მნიშვნელობა უნდა იყოს რაღაც მსგავსი კონსტრუქციისა, თავისებური ჩონჩხი იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს კიდევ ერთი, უფრო რთული მნიშვნელობის აღმოცენება. ის ოდნავ უნდა „დამახინჯდეს" ანუ ოდნავ უნდა განშორდეს ნორმას. მაშინ აღმოცენდება მეორე მნიშვნელობა, გამრუდება, როგორც ამას მიქელანჯელო და ელ გრეკო აკეთებდნენ. ან უფრო მეტი – დაიყოს ნაწილებად, დანაწევრდეს, შემდეგ კი შეერთდეს და ამ შეერთებით შეიქმნას მეორე მნიშვნელობა, შესაძლოა, მეოთხეც, ანალოგიური" (გვ. 193).

„თვითონ შემოქმედება – ესაა ბედნიერი წამი შთაგონებისა, გაცისკროვნებისა. ესაა საიდუმლო, თუმცა ამ იდუმალებას თან მკაცრი ანალიზი ახლავს. მე თვითონაც არ ვიცი კარგად, რა და როგორ ხდება ჩემში ამ დროს, თუმცა მთელი ცხოვრება დაჟინებით მივისწრაფვი, რომ გავიგო ეს" (გვ. 224).

1989 წელს იგივე წიგნი ქართულად გამოიცა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ. ქართული ვარიანტი მოცულობით მეტია. აქ ხელოვნებაზე ახალი მოსაზრებაც გვხვდება:

„ხელოვნება, ალბათ, იწყება იმ მომენტიდან, როცა აღმოცენდება „აღელვება", რომელიც მოითხოვს გამოსავალს და იძენს „სხეულს" – ფორმას. იდეებისა და გრძნობების სფეროდან ის მატერიალური ფორმების სფეროში გადადის" (გვ. 258).

1992 წლის ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში" (№2) გამოქვეყნებულ წერილშიც გაიხსენა ხელოვნება:

„შემოქმედება მონოლოგი არ არის, იგი ფარული დიალოგია ადამიანსა და სამყაროს შორის. დიალოგი არა მარტო ადამიანებთან, არამედ ხეებთან, ვარსკვლავებთან, სამყაროს ყველა საგანსა თუ მოვლენასთან" (გვ. 67).

„შემოქმედში ორი ადამიანი უნდა არსებობდეს: ერთი უშიშრად, უკონტროლოდ უნდა თხზავდეს, „ყველაფერს, რაც თავში მოუვა", მეორე კი ყველაფერს ეჭვის ქვეშ აყენებდეს" (გვ. 69).

1998 წელს დაისტამბა მიხეილ თუმანიშვილის წიგნი „ახლა კი, ფარდა...“ აქ ვკითხულობთ:

„ხელოვნების არსიც სწორედ ესაა: განთავისუფლდე ზმანებათაგან, მოსვენებას რომ არ გაძლევენ. საშუალება მისცე შენს შიგნით არსებულ უტყვ ხმას სხვისთვისაც გასაგონი გახდეს. რა ბედნიერებაა!.. საკუთარი „მე“-ს გამოხატვის მგზნებარე სურვილით შეპყრობილი მიქელანჯელო გააფთრებული ეჭიდებოდა ქვის უზარმაზარ ლოდებს იმისთვის, რომ თავისი „მონები“ მათი ტყვეობიდან გამოეხსნა. მათში შთაიღვრებოდა მისი გულისნადების გამომხატველი ღრმად ჩამალული შინაგანი ხმა. სპექტაკლის შეთხზვის დროსაც იგივე ხდება“ (გვ. 70).

„მე მგონია, ხელოვნებაში მთავარია — ნაწარმოებით გამოხატო შენი თავი, შენი პირადი, განცდილი, ტანჯვით მოპოვებული, მხოლოდ შენთვის ძლიერ ნაცნობი. შენს მეხსიერებაში, გულსა და წარმოსახვაში გატარებული“ (გვ. 74).

„ხელოვნება — ეს არის **„როგორ“** და არა მხოლოდ **„რა“**. „რა“ — უფრო გასაგებია. ბოლოს და ბოლოს, ის შეიძლება სადმე ამოიკითხო. „როგორს“ — ვერ ამოიკითხავ, ის უნდა გამოიცნო, შეიგრძნო, მოიგონო და შექმნა“ (გვ. 91).

„ხელოვნების რაც მეტ კანონს შეიცნობ, მით უფრო იდუმალი ხდება თეატრალური სარკისმიღმური სამყარო, ყველაფერი ცოტათი უკუღმაა. ყველაფერს შენი სული და წარმოსახვა წყვეტს. იქ ყველაფერი ოდნავ კანონს აცდენილია. მის გვერდით, ცხოვრებასთან შედარებით, ყველაფერი ცოტათი შეცვლილია, „დამახინჯებული“. რაღაც დარღვეულია იმისთვის, რომ არეკლილი ცხოვრება უფრო მართლმაგვარი გახდეს“ (გვ. 166).

„ეს განსაკუთრებული უნარი გახლავთ — ისე დაარღვიო კანონები, რომ ხელოვნება ცხოვრებაზე უფრო მართალი გახდეს, რომ მან ცხოვრების ზეაზრი გახსნას, გამოააშკარაოს. ამას ვერ დაისწავლი. ეს უნდა მოგდგამდეს. ამას დაბადებისას ურიგებენ, მაგრამ ყველას არა“ (გვ. 167).

„ისევე, როგორც მეცნიერება, ხელოვნებაც ასახავს ცხოვრებას, პროცესს. მაგრამ, მეცნიერებისგან განსხვავებით, მათ ამრეკლავი სარკის სიზუსტით კი არ გადმოსცემს, რომელიც მიუკერძოებლად ასახავს ყველაფერს, რაც წინ დახვდება, არამედ მოვლენის ასახვისას მასში თავის პირადულ შეფასება-დამოკიდებულებას აქსოვს. ხელოვნება სუბიექტურია.

მეცნიერება ლოგიკური საბუთებით ამტკიცებს, ხელოვნება — მხატვრული სახეებით წარმოგვიდგენს. მეცნიერება და ხელოვნება ობიექტური სინამდვილის ერთი და იმავე სურათის ორ პრიზმას წარმოადგენს. მეცნიერება ასობით მეცნიერული მოვლენისათვის საერთო კანონზომიერებას ეძებს. შეისწავლის რა 100 შემთხვევას — დასკვნები გამოაქვს. მოვლენის კანონზომიერებას ადგენს. მეცნიერებისთვის ცალკეულ, 101 შემთხვევას არ აქვს მნიშვნელობა. ხელოვნებისთვის კი სწორედ 101 შემთხვევაა მნიშვნელოვანი. ის ერთადერთი, რომელიც თავისი ინდივიდუალობისა და განუმეორებლობისას სხვა დანარჩენსაც ასახავს. განზოგადებული, ოღონდ არა ინდივიდუალობადაკარგული, იმ მხატვრის პიროვნების თავისებურებას ასახავს. აინშტაინს ფარდობითობის კანონი რომ არ აღმოეჩინა, მას ადრე თუ გვიან სხვები აღმოაჩენდნენ, მაგრამ ვერავინ, რენუარის გარდა, ვერ შექმნიდა მის ტილოებს. ვერავინ, როდენის გარდა, ვერ გამოაქანდაკებდა მის ქმნილებებს“ (გვ. 172).

„ხელოვნება ზემოქმედებას ახდენს წარმოსახვაზე, წარმოსახვის მეშვეობით — ემოციაზე, ემოცია კი — ცნობიერებაზე. ხოლო რადგან ცნობიერებაზე ზემოქმედება არის **იდეა**, ის აუცილებლად განუყოფელია ხელოვნებისაგან. ხელოვნება სინამდვილეს მხატვრული სახის მეშვეობით შეიმეცნებს. სილამაზე — მონაგონსა და მართლმაგვარობას შორის ჰარმონიაა“ (გვ. 173).

„ხელოვნების სარკეში არეკლილი ჩვენი სამყაროს, ცხოვრების გარდა, კიდევ რაღაც სხვა სამყარო არსებობს — მრუდე სარკეში არსებული სამყარო. ერთი სამყარო მეორეს ედება, განმსჭვალავს მას, ანიჭებს მოცულობას, ნაცნობის უცნობი თვალით დანახულის მოულოდნელ რაკურსს. იბადება „ტურანდოტის“ სამყარო, მარჯანიშვილისეული დადგმათა სამყარო — „ურიელი“ ანდა ახმეტელი — „ინ ტირანოს!“ სამყარო პირობითი, მიწას აცილებული, როგორც ბოტიჩელისთან. სამყარო აპოკალიფსის, იოანეს გამოცხადების მსგავსი“ (გვ. 181).

„შემოქმედებითი აქტი — ეს არის გათავისუფლება იმისგან, რაც გაღელვებს, მოსვენებას გიკარგავს, რასაც განიცდი, რაც აუცილებლად უნდა ითქვას: დედააზრი! (გვ. 252).

მიხეილ თუმანიშვილის ბეჭდური ნაშრომებიდან ამონარიდი მისი ნაფიქრალი ხელოვნების რაობისა და დანიშნულების შესახებ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოვადგინეთ. ეს იმისთვის, რომ ნათელი იყოს — ხელოვნების რაობაზე ის განუწყვეტლივ ფიქრობდა. ისიც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მისი მოსაზრებანი წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა.

თავის პირველ წერილში 1961 წელს ის აცხადებს, რომ მისი შემოქმედების უმთავრ-

ესი ადრესატი თანამედროვე ახალგაზრდობაა. მიაჩნია, რომ ხელოვნებამ ამ მომავლის მოქალაქეების გულმხურვალე მამულიშვილობას უნდა შეუქმნას საძირკველი. აშკარაა, რომ ახალგაზრდა რეჟისორს ხელოვნება თავისი ქვეყნის ცხოვრებისაგან მოწყვეტილად არ წარმოუდგენია.

თექვსმეტი წლის შემდეგ, 1977 წელს, თავის პირველ წიგნში „სანამ რეპეტიცია დაიწყება...“ უკვე ცნობილი რეჟისორი განაცხადებს, რომ ხელოვანი ისაა, ვისაც სათქმელი აქვს ცხოვრებაზე. რომ თავისი ქვეყნის ცხოვრებაზე საკუთარი აზრის მთქმელი თანდაყოლილი ნიჭის პატრონია და სწორედ ამ ნიჭის წყალობაა ის, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ცხოვრება შემოქმედის სულითაა განათებული. ეს სული ზემოქმედებს ადამიანთა შეგნებაზე, შეგნება აფხიზლებს წარმოსახვას, წარმოსახვა — ემოციებს. ხოლო ეს ყველაფერი ერთად აუცილებლად რაღაცას ცვლის აღმქმელის დამოკიდებულებაში ნაწარმოებში ასახული მოვლენისადმი.

1983 წელს რუსეთში გამოცემულ წიგნში „რეჟისორი თეატრიდან მიდის“, ადრე ნათქვამს ემატება ის, რომ ხელოვნება თურმე მიემართება იქით, საითაც მას დრო უხმობს ანუ საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი ტენდენციები. ნიჭიერებისათვის დამახასიათებელი არსებულის სიღრმივ [illegible] ცხოვრებისეულად ნაცნობსა და [illegible] უჩვეულოსა და საინტერესოს დაანახვებს ადამიანებს.

გადის კიდევ ცხრა წელი და მიხეილ თუმანიშვილი იტყვის, რომ საერთოდ მუდამ სუბიექტური შემოქმედება არაა მონოლოგი, საკუთარ თავთან ლაპარაკი, არამედ ის არის დიალოგი, თანაც მთელ სამყაროსთან. როგორც ვხედავთ, ხელოვანის ცხოვრებასთან კავშირის ასპარეზი უსასრულოდ გაიზარდა!

მისი გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ გამოცემულ წიგნში „ახლა კი, ფარდა...“ ამ სათაურით ნავარაუდევი წიგნისთვის შერჩეული მასალაა თავმოყრილი. მასალათა შორის ისეთიცაა, სადაც ჩანს გამოჩენილი რეჟისორის სურვილი ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის სიახლოვე — სიშორის დადგენისა. დასკვნა ასეთია — „ხელოვნება სინამდვილეს მხატვრულ სახის მეშვეობით **შეიმეცნებს**“.

ასეთია ის საძირკველი, რომელზედაც აღმოცენდა მიეხილ თუმანიშვილის შეხედულებები შემოქმედების იმ სახეობაზე, რომელსაც ის მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა — სათეატრო ხელოვნებაზე.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა კლდიაშვილი

დაკარგული ორიენტირების ძიებაში

ინფორმაცია დასავლეთიდან მძლავრი ნიაღვარივით მოასკდა ჩვენს „ნაპირებს". მათ შორის ხელოვნების „ნაპირსაც". მრავალი „იზმი" თუ მიმდინარეობა ცვლის ერთმანეთს ჩვენს თვალწინ, საგამოფენო დარბაზებში.

არატრადიციული მეთოდებით შექმნილი ნამუშევრები, აშკარა ირონიით, სარკაზმით და ნიჰილიზმით აღსავსე "პროდუქცია", დაშლილ-დეკონსტრუირებული თუ ინდიფერენტულად ესთეტიკური სამყარო, კონცეპტუალური არტი, აქცია, ჰეპენინგი და ა. შ. – დღეს ყველაფერია ჩვენს სახვით ხელოვნებაში. ამ ჭრელსა და მრავალფეროვან ნაკადში, ერთი, თუმც მცირე, მაგრამ ძარღვიანი შენაკადია, რომელიც ჩვენივე წარსულით საზრდოობს.

წარსული, ანმყო და მომავალი – ამ სამიდან ჩვენ, ქართველებს სწორედ წარსული გვეამაყება ყველაზე მეტად. ალბათ, უკვე კისერიც კი გვტკივა უკან ცქერით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ჩვენთვის, ჩვენი მომავლისთვისაა აუცილებელი, რათა წარსულში მოვიძიოთ დაკარგული ორიენტირები. სწორედ ამ დაკარგულ ორიენტირებს შეგვახსენებს მხატვარი გიორგი გეგეჭკორი თავისი ექსპოზიციით. ექსპოზიცია დეკემბრის თვეში „ცისფერ გალერეაში" მოეწყო. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო, პორტრეტები, რომლებიც სხვადასხვა დროს მოღვაწე ჩვენს სახელოვან წინაპრებს წარმოგვიდგენენ. ტილოებიდან გვიმზერენ ვახტანგ მეექვსე და ერეკლე მეფე, დემეტრე თავდადებული, თამარ მეფე, წმ. ნინო, ილია ჭავჭავაძე და სხვანი.

გიორგი გეგეჭკორისათვის ისტორიული პორტრეტი მთელი მისი შემოქმედების თანამდევი და განმსაზღვრელი ჟანრია. ამ მხრივ ეს მხატვარი გასაოცარი თანმიმდევრულობით გამოირჩევა. მხატვარმა ჯერ კიდევ შემოქმედებითი გზის დასაწყისში აირჩია მისთვის ახლობელი ჟანრი. წყალნი მიდიან და მოდიან, ის კი ჯიუტად ჩაჰკირკიტებს საქართველოს ისტორიას, მისი ნიაღიდან „ამოზიდავს" საინტერესო და გამორჩეულ პიროვნებებს. სწორედ ამ ჟანრში იპოვა მხატვარმა თავი და შეძლო გამოემჟღავნებინა საკუთარი კრედო.

გამოფენაზე ძირითადად წარმოდგენილი იყო ე.წ. საპარადო პორტრეტები და ასევე, კამერული ხასიათის ნამუშევრებიც.

გიორგი გეგეჭკორის საპარადო პორტრეტები დიდი ზომის, უმეტესად ერთფიგურიანი ტილოებია. კომპოზიცია ყოველთვის ლაკონურია, მაგრამ მეტყველი. სახეები სახასიათოა და სხვადასხვა ნიუანსებით სხვადასხვა პიროვნულ ნიშნებს ავლენს. კომპოზიციებში გააზრებულია ყოველი დეტალი: ფიგურა პოზა, მოძრაობა, რომელიც პორტრეტირებულის ხასიათს ხსნის; ჩაცმულობა, რომელიც კონკრეტული ისტორიული ეპოქის შესაბამისია. ასევე გააზრებულია თითოეული ნივთი, ატრიბუტი, ფერადოვანი გადაწყვეტა თუ დეკორატიული მოტივი.

მხატვარი რუდუნებითა და სიყვარულით ხატავს ამ ისტორიულ პირებს, მათ გარემომცველ სამყაროს, სამოსს, აქსესუარებს, ქსოვილისა თუ ლითონის ფაქტურას. ყოველივე განსაკუთრებული გულმოდგინებითაა ამოხატული, ისე, როგორც ეს ტრადიციული ევროპული ისტორიული საპარადო პორტრეტისთვისაა დამახასიათებელი. ამ ტიპის პორტრეტის ტრადიცია ჩვენში არ არსებობდა. შუა საუკუნეების ქართულ ფრესკებზე წარმოდგენილი ისტორიულ პირთა გამოსახულებანი მხოლოდ პირობითად თუ ჩაითვლება პორტრეტებად, რადგან გარეგნული მსგავსების მიუხედავად, ისინი მაინც პირობითობის ფარგლებში რჩება.

მე-19-20 სს-თა ქართულ დაზგურ ფერწერაში აქა-იქ გამოჩნდებოდა ხოლმე ისტორიულ პირთა პორტრეტები, მაგრამ თანმიმდევრული პროცესი ამ ჟანრის განვითარებისა ჩვენს თანამედროვე ხელოვნებაში მაინც არ ფიქსირდება. გიორგი გეგეჭკორი კი ცდილობს დაამკვიდროს ჩვენს სინამდვილეში ეს ჟანრი – საპარადო ისტორიული პორტრეტი და ამას ევროპული ხელოვნების ტრადიციებზე დაყრდნობით ახორციელებს.

გამოფენაზე კამერული ხასიათის პორტრეტებიც იყო წარმოდგენილი. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა ილია ჭავჭავაძის პორტრეტი, რომელიც მაქსიმალური სისადავით, თავშეკავებულობით და სილრმით გამოირჩევა. ამ პორტრეტში მნახველს არაფერზე ეფანტება ყურადღება; სამოსი უკიდურესად სადაა, არ არის გამოყენებული არც ერთი აქსესუარი; კომპოზიცია ლაკონურია, ფერადოვანი გამა თავშეკავებული; ამის გამო მახვილი მხოლოდ ილიას საგანგებოდ განათებულ მეტყველ სახესა და ხელებზე კეთდება. მუქი ფერების გარემოცვაში მოქცეული გასხივოსნებული სახე და ხელები თითქოს ანათებს და ილიას მტკიცე ხასიათს ავლენს. ამ შემთხვევაშიც კლასიკური ევროპული პორტრეტის საუკეთესო, ტრადიციული ხერხი უზადოდაა შესრულებული.

როგორც დავინახეთ, გამოფენის „გმირები" ისტორიული პირები არიან, ნამუშევრების სტილისტიკა კი ტრადიციის ფარგლებში ჯდება. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ თანამედროვე სიტუაციაში ეს ექსპოზიცია ანაქრონიზმად ჩანს. შესაძლოა... მაგრამ ყოველივე ეროვნულისა და ტრადიციულისადმი საყოველთაო ნიჰილიზმის პირობებში გიორგი გეგეჭკორი კიდევ ერთხელ მიმართავს ჩვენს ყურადღებას წარსულისაკენ, დაკარგული ორიენტირებისაკენ და ამითაცაა იგი ფასეული.

დევი ბერაძნიშვილი

გულისტკივილით დაწერილი წიგნი

გამოვიდა შოთა ლომსაძის პატარა, მაგრამ საინტერესო წიგნი „მესხები და მესხეთი". ნარკვევში მოკლედ არის მიმოხილული სამხრეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი კუთხის ისტორია, ეკონომიკური, კულტურული, ეთნიკური და რელიგიური ყოფა. ცხადია, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულმა მკითხველთა ფართო წრემ კარგად იცის ამ მხარის მნიშვნელობა და როლი ჩვენი ქვეყნის წარსულსა თუ აწმყოში, მაგრამ დგება ხოლმე ჟამი, როცა საჭიროა მთელმა საზოგადოებამ თავიდან გაიაზროს იგი. ამ მხრივაც მნიშვნელოვანია ავტორისეული ინიციატივა. უძველესი დროიდან მოყოლებული, ის თანდათან ამზადებს მკითხველს, რათა მან უკეთ წარმოადგინოს, რა მოხდა საქართველოში, როდესაც მონღოლთა ყაენმა „ხას-ინჯუდ" აქცია სარგის ჯაყელის სამფლობელო და ის ქართველთა მეფის დაქვემდებარებიდან გამოიყვანა; ან რით იყო გამოწვეული ათაბაგებისა, თუ მესხ ფეოდალთა ერთი ნაწილის სურვილი — დაყრდნობოდნენ უცხო ძალას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ: რომ სწორედ ფეოდალურმა სეპარატიზმმა გაუადვილა ოსმალეთის იმპერიას სამხრეთ საქართველოს დამორჩილება, შემდგომში კი ქართული ენის თურქულით შეცვალა მოსახლეობის ზედა ფენაში, მისი გამაჰმადიანება.

განსაკუთრებით საინტერესოა კავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე რუსეთის გამოჩენის შემდგომი პერიოდი, რუსული პოლიტიკის ავტორისეული შეფასება. აქ კარგად ჩანს, რომ მიუხედავად ერთმორწმუნეობისა და მრავალრიცხოვანი დაპირებებისა, რუსული ხელისუფლება ოსმალეთთან და ირანთან დაპირისპირებისას, მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავდა, არღვევდა, უგულებელყოფდა საქართველოსთან ტრაქტატით გათვალისწინებულ პუნქტებს. ინტერესით იკითხება ფურცლები, სადაც ავტორი დაწვრილებით აღწერს რუს-ოსმალთა ბრძოლებს ახალციხის საფაშოსათვის, საფაშოს დაცემას და რუსთა გამარჯვების შედეგებს. აღნიშნულია, რომ ქართველ მაჰმადიანთა "ნებაყოფლობით" გასახლება საქართველოდან, ჯერ კიდევ პასკევიჩის დროინდელი ვერაგი პოლიტიკა იყო, სახელმწიფო მიწების ფონდის გასაზრდელად. ზემოაღნიშნულის გამო, სამხრეთ საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობილ ნაწილში, მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები შერჩა. უპატრონოდ დარჩენილ, ან ჩალის ფასად შესყიდულ მიწებზე განზრახული იყო კაზაკების ჩამოსახლება; რაკი ეს არ მოხერხდა, მაშინ რუსულმა ხელისუფლებამ არზრუმიდან სომხური მოსახლეობის დიდი მასა ჩამოასახლა, რომელსაც ის თავის ერთგულად მიიჩნევდა; ჩვენი მიწა-წყლის ეთნოგრაფიული აჭრელებით კი დამპყრობელი ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდა. ამიტომვე მოხდა, რომ 1878 წელს, როდესაც ბერლინის ტრაქტატის ძალით, ყარსის ვილაიეთი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა „ჯავახეთიდან იქ გადასული ქართველი მაჰმადიანები თურქეთის სიღრმეში გადაასახლეს; მათი ადგილი რუსმა სექტანტებმა და ომგამოვლილმა ჯარისკაცებმა დაიკავეს. ამავე მიზნებს ემსახურებოდა ქართული ღვთისმსახურების აკრძალვა და ისლამის გავრცელებისათვის ხელშეწყობა, რასაც მოჰყვა თურქული ენის გავრცელება, მოსახლეობის დიდი ნაწილის გათურქება... ყველაფერი ეს გადაიზარდა ტრაგედიაში, რომელიც 1918-1919 წლებში მოხდა: რენეგატი ბეგების მეთაურობით, დაიწყო სისხლისმღვრელი შეტაკებები ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის.

მტკივნეული იარების მოშუშება, რასაკვირველია, ვერ მოხერხდა ვერც ბოლშევიკური ხელისუფლების დროს. ქართული სკოლების მოსურნე მაჰმადიანურ მოსახლეობას თურქულ ენაზე სწავლას სთავაზობდნენ. ისინი რეგისტრირებული იყვნენ, როგორც „თურქები", „აზერბაიჯანელები", „მუსულმანები", „კავკასიელები", „უზბეკები"... ბოლოს და ბოლოს, 1944 წ. მესხი მაჰმადიანები შუა აზიაში გადაასახლეს.

ავტორს, თავად მესხ კაცს, იმედი აქვს, რომ გადასახლებულები შეიძლება დაუბრუნდნენ საქართველოს „მხოლოდ ნაციონალური ერთიანობის გააზრებული ცნობიერების საფუძველზე". კარგია, რომ შარშან დაიბეჭდა ამავე წიგნის რუსული ვარიანტი; უფრო ფართო საზოგადოება ინტერესით გაეცნობა ასეთი გულისტკივილით დაწერილ ფურცლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულნარა დედაბრიშვილი

მონოგრაფია მოსე გოგიბერიძეზე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა კარლო ბლაგიძის მონოგრაფია „მოსე გოგიბერიძე ანტიკურ ფილოსოფიაში შემეცნების პრობლემათა შესახებ".

გამოჩენილი ფილოსოფოსის – მოსე გოგიბერიძის შესახებ მონოგრაფიაზე ჟურნალ „მნათობში" რეცენზიის გამოქვეყნება კანონზომიერია. იგი წარმოადგენს დიდი მოაზროვნის გახსენებას და მის მიმართ მადლიერების გამოხატვას. მოსე გოგიბერიძე „მნათობში" მუშაობდა პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე, 1924 წლიდან, 8 წლის განმავლობაში.

მონოგრაფიის შესავალში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ფუძემდებელთა შესანიშნავ ხუთეულში (აკადემიკოსები: შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, პროფესორები: სერგი დანელია, მოსე გოგიბერიძე, სავლე წერეთელი) მოსე გოგიბერიძეს (1897-1949 წწ.) საპატიო ადგილი უჭირავს".

მოსე გოგიბერიძემ შემეცნების პრობლემების კვლევას, მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. ქართველმა მკვლევარმა ამ პრობლემებს მიუძღვნა ნაშრომები: „ფილოსოფიის პრობლემა, შემეცნების პრობლემა, შემეცნების შესაძლებლობისათვის" (1923 წ.), „შემეცნების აქსიომატური დასაბამი" (1926 წ.), „შემეცნების საგნის პრობლემა„ (1928 წ.), „ფილოსოფიურ პრობლემათა ფენომენოლოგია" – ა) ანტიკური ქვეყანა, ბ) შემეცნების პრობლემის ისტორია ახალ დროში; გ) „კანტიდან ჰეგელამდე" (1923 წ.), ფილოსოფიის ისტორია (ტ. 1. 1941 წ.).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს მოსე გოგიბერიძე, როგორც ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარი, კერძოდ, მის მიერ გნოსეოლოგიურ პრობლემათა კვლევა ანტიკურ ფილოსოფიაში.

სარეცენზიო ნაშრომი „შესავლის მაგიერის", სამი თავის, თოთხმეტი პარაგრაფის, რეზიუმესა და ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომების სიისაგან შედგება.

პირველი თავი – „შემეცნების შესაძლებლობის პრობლემა ბერძნულ ფილოსოფიაში" მოიცავს ათ პარაგრაფს, აქ თანამიმდევრულადაა განხილული ჰერაკლიტეს, პითაგორას, პარმენიდეს, დემოკრიტეს, სოფისტების: პროტაგორას სკეპტიციზმი და გორგიას აგნოსტიციზმი, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურეს და სტოელთა მიერ შემეცნების შესაძლებლობის პრობლემის დასმა და გადაწყვეტა. მონოგრაფიის ამ ნაწილში კარგადაა წარმოჩენილი გნოსეოლოგიურ მოძღვრებათა, ერთი მხრივ, ჰერაკლიტეს, დემოკრიტეს, ეპიკურეს, სტოელთა და მეორე მხრივ, პითაგორას, პარმენიდეს, სოკრატეს, პლატონის და არისტოტელეს გნოსეოლოგიურ მოძღვრებათა შორის დაპირისპირება. ამასთან ერთად, ნაშრომში ნაჩვენებია აღნიშნული ორთავე მიმართულების ბრძოლა პროტაგორას სკეპტიციზმის, გორგიას აგნოსტიციზმისა და მათი მიმდევრების წინააღმდეგ.

ნაშრომის მეორე თავში „სკეპტიციზმი ელინისტურ ფილოსოფიაში" – მოსე გოგიბერიძის მიერ ელინისტურ ფილოსოფიაში სკეპტიციზმის წარმომადგენელთა, – კერძოდ, პირონისა და ტიმონის, „აკადემიური სკეპტიციზმის" –არკესილაკარნეადეს და ბოლოს „გვიანი ანუ რომაული" სკეპტიკოსების – ენესიდემის, აგრიპას და სექტს ემპირიკოსის შეხედულებების გოგიბერიძისეული კრიტიკული ანალიზი, ინტერპრეტაცია და შეფასებაა განხილული.

მესამე თავში – „შემეცნების თეორიის პრობლემები მოსე გოგიბერიძის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში" ხსენებული საკითხები თეორიული ასპექტით, ზოგადადაა განხილული.

კარლო ბლაგიძის მონოგრაფია „მოსე გოგიბერიძე ანტიკურ ფილოსოფიაში შემეცნების პრობლემათა შესახებ", დაწერილია საკითხის ცოდნით, მეცნიერულ დონეზე, ავტორი მდიდარ მასალას კრიტიკულად განიხილავს. აღნიშნული ნაშრომი კვლევითი ხასიათისაა. ავტორი ანტიკური ფილოსოფიისა და ქართული ფილოსოფიის კლასიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობით, ხშირ შემთხვევაში, იძლევა ახალ ინტერპრეტაციებს და ორიგინალური დასკვნები გამოაქვს.

მონოგრაფიის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დამაჯერებლად გა-

არკვია: XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ფუძემდებლებმა მიუხედავად მსოფლმხედველობითი განსხვავებისა საკვლევ პრობლემათა იდენტური ინტერპრეტაციები, შეფასებები და დასკვნები გააკეთეს.

სარეცენზიო ნაშრომის ღირსება ისაა, რომ იგი ანტიკური და XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ფუძემდებელთა მდიდარი ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლაში დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს.

ზოგიერთი საკითხის ინტერპრეტაციაში მონოგრაფიის ავტორი არ ეთანხმება მოსე გოგიბერიძეს, კერძოდ სოკრატეს ფილოსოფიის შეფასებაში და ჭეშმარიტების გაგებაში. მოსე გოგიბერიძე სოკრატეს აახლოვებდა სოფისტებთან, ეს თვალსაზრისი ჰეგელისგან და ინგლისელი მკვლევარის გროტისგან იღებს დასაბამს. ავტორი კი მომხრეა ვ. ვინდელბანდის, უ. გათრის, ს. დანელიას, ს. წერეთლის და სხვათა ინტერპრეტაციებისა. სარეცენზიო ნაშრომში არ არის განხილული მოსე გოგიბერიძის შეხედულებანი ჭეშმარიტების შესახებ და მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლება, ეს ან შრომის განსაზღვრული მოცულობითაა გამოწვეული, ან იმით, რომ ავტორი არ იზიარებს მოსე გოგიბერიძის შეხედულებას ამ საკითხზე.

მოსე გოგიბერიძის მდიდარ ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე ქართველმა ფილოსოფოსებმა აკადემიკოსმა გ. თევზაძემ, პროფესორებმა ვ. გაგოიძემ, ბ. კარტოზიამ, ფილოლოგმა ი. მეგრელიძემ და სხვ. გამოკვლევები გამოაქვეყნეს. დიდია მოსე გოგიბერიძის დამსახურება ი. კანტის „პროლეგომენების" კ. კაუცკის, ო. შპენგლერის ნაშრომების ქართულად თარმნის საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს, ი. კანტის გენიალური ნაშრომის „წმინდა გონების კრიტიკის" ქართული თარგმანი, რომელიც გამოსაცემად მზად იყო, ავტორის დაპატიმრებისთანავე დაიკარგა, ბატონი მოსე კი საბჭოურ გულაგში აღესრულა. გამოჩენილი მოაზროვნის მდიდარი მემკვიდრეობა გადარჩა და იგი შესწავლასა და ღრმა მეცნიერულ გამოკვლევას ელოდება.

გამოსათხოვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწერლის უკანასკნელი სიტყვა

ჯანსუღ ღვინჯილიასთან გამოთხოვება მტკივნეულია ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც ერთხელ მაინც გადაუფურცლავს მისი წიგნები. ჯანსუღ ღვინჯილია იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართული სიტყვის უანგარო მსახური და მამულის გულწრფელი მოჭირნახულე. ეს მან თავის სიკვდილითაც დაამტკიცა. იგი ხომ უკანასკნელ სიტყვაში ქართულ მწერლობაზე და საქართველოს სატკივარზე საუბრობდა.

ჯანსუღ ღვინჯილიას წიგნებში — „გიორგი სააკაძის პიროვნება", „სული ალმაშენებელი", „ქართველი კაცის სინამდვილე", „ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა", „ქართლოსის საფლავი", აქტუალური საკითხების კვლევა მხატვრულ აზროვნებასთანაა შერწყმული.

ბოლო დროს მწერალი გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორად მუშაობდა. უაღრესად რთულ ვითარებაში მან შეძლო გაჩერებული გამომცემლობის ამუშავება და ზედიზედ გამოსცა ქართული პროზის და მსოფლიო ლიტერატურის მრავალტომეულები. ეს არ იყო იოლი საქმე.

სწორედ დღეს სჭირდებოდა ჯანსუღ ღვინჯილიას გაბედული სიტყვა ქვეყანას. სადღეისოდ მოელოდა მკითხველი მის მანუგეშებელ და გულისხმიერ თანადგომას, მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ მოულოდნელად აღკვეთა მისი ამქვეყნიური არსებობა.

მწერლის მდიდარი მემკვიდრეობა მანათობელ შუქურად გაჰყვებათ ნათელი გზის მაძიებელ მკითხველებს.

თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61
პ\მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასაწყობად 8.01.2001 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.03.2001

ტირაჟი 300. შეკვეთა №5

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. №42

ფასი ორი ლარი

ინდექსი
76125

ეროვნული
ბიბლიოთეკა